K 233.179
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილი

გურამ ყორანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილი

(ახლებურად წაკითხვის ცდა)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თ ბ ი ლ ი ს ი 1999

9(479.22)(092 ჯავახიშვილი ივ)
ჯავახიშვილი ივანე.

63.3 (2Г)
947.922
ჯ 692

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსებით გასაგები მიზეზების გამო დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის — ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების მთელი რიგი მომენტები მიჩუმათებული იყო, ანდა — მცდარად გადმოცემული. მოხდა ისიც, რომ ქართველ ისტორიკოსთა მიერ ვერ იქნა სათანადოდ გაცნობიერებული დიდი ისტორიკოსის თეორიული, კერძოდ, მეთოდოლოგიური შეხედულებანი, აქიტომაც ხშირად ჰგონიათ, რომ ივანე ჯავახიშვილი ძირითადად საქართველოს ისტორიის შესახებ არსებული წყაროების კრიტიკითა და ფაქტების დადგენით, ე. ი. „საშენი მასალის" შეგროვებით შემოიფარგლა. ავტორი ცდილობს შეავსოს აღნიშნული ხარვეზები და უდიდესი წინაპარი წარმოაჩინოს მთელი თავისი სიდიადით.

რედაქტორი ალ. ბენდიანიშვილი
რეცენზენტები: † გ. იობაშვილი
დ. ნინიძე

სპეგ-2000
შემოწმებულია

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999

0503000000
ჯ ——————
608(06)—99
ISBN 99928—31—30—8

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავტორისაგან

წინამდებარე წიგნზე ინტენსიურად ვმუშაობდი 1995—96 წლებში. დაწერილია იგი ჩვენი დიდი წინაპრის — ილია ჭავჭავაძის ღირსეული სულიერი მემკვიდრის საიუბილეო — 1996 წელს. წიგნის ის ნაწილი, რომელიც ეხება ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებას, თითქმის მთლიანად დაიბეჭდა რესპუბლიკურ პრესაში („თბილისი", „შანსი", „სალიტერატურო გაზეთი", „სამშობლო—ფორტე", „სრულიად არასაიდუმლოდ" და სხვ.). რაც შეეხება თეორიულ, მეთოდოლოგიურ ნაწილს, აქედან მხოლოდ ერთი პარაგრაფი „ელიტა და ხალხის მასა ივანე ჯავახიშვილის ნააზრევში" გამოქვეყნდა ერთ-ერთ სამეცნიერო კრებულში და ერთიც — „ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის საკითხისათვის" — 1996 წლის 5 ივნისს მოხსენდა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიას. ასე რომ მთლიანი სახით ნაშრომი ჯერ არ გამოქვეყნებულა. ამჯერად მეძლევა ამის შესაძლებლობა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, განსაკუთრებით კი ბატონ როინ მეტრეველს. დაბოლოს, როცა 1937 წლის მაისში ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება —„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია", იგი ამას თვლიდა ვალის მოხდად დიდი წინაპრის ხსოვნის წინაშე. სხვა დროს შოთა რუსთაველთან მიმართებაში იგი წერდა: „ქართულ მეცნიერებას თავისი გენიოსი მგოსნის წინაშე ზნეობრივი მოვალეობა მოხდილი არა აქვს". მეც იგივე გრძნობა და განცდა მეუფლება ასევე დიდი ქართველის წინაშე. ვწუხვარ, რომ უდროობის გამო ვერ მოვახერხე უფრო ფართოდ დამემუშავებინა ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების თემა, რის დასაწერადაც უამრავი მასალა არსებობს. დიდად სასიხარულო იქნება, თუ ახლო მომავალში გამოჩნდება ისტორიკოსი, რომელიც ამ ხარვეზს შეავსებს.

10 მაისი 1998 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვა

როცა ჩვენი დიდი ისტორიკოსისა და მამულიშვილის — ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის თემას ვეხები, არ შემიძლია არ გავიხსენო 1957—62 წლები, როდესაც თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მაშინ საქართველოს ისტორიის კურსს გვიკითხავდნენ განსვენებული პროფესორები: შოთა მესხია, დავით გვრიტიშვილი და აბელ კიკვიძე. სამივენი ჩვენი დიდი წინაპრის მოწაფე-შეგირდნი გახლდნენ და სამივეს უცილობლად ჰქონდათ სიყვარული დიდი მოძღვრისადმი. მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ მიერ ივანე ჯავახიშვილის ისტორიოგრაფიული შემოქმედებისა და ქართულ მეცნიერებაში მისი ადგილის გაგება საკმაოდ შორს იდგა სინამდვილისაგან. მიაჩნდათ, რომ ივანე ჯავახიშვილი იყო დიდი ერუდიტი, ფაქტოლოგოსი, რომელიც ჩვენი ისტორიული პროცესის მრავალ მხარეს გასწვდა, მაგრამ თეორიული, მეთოდოლოგიური აზროვნების მსრივ თითქოს ემპირიზმის დონეს ვერ გასცილდა[1]. კერძოდ, მეთოდოლოგიის თვალსაზრისით იგი ვითომც ძირითადად კრიტიკული (საისტორიო-ფილოლოგიური) მე-

---

[1] მსგავსი იდეური შტამპის გამოძახილს წარმოადგენს პროფ. ლევან სანიკიძის მკვეთრი განცხადება: „დიდმა ივანე ჯავახიშვილმა მთელი თავისი გიგანტური ტალანტი საქართველოს უხანგრძლივესი და უმღიდრესი თაეგადასავლის ფაქტოლოგიურ აღდგენასა და დადგენას შეალია... ეს იყო მისი ფასდაუდებელი ღვაწლი, რასაც ჰქვია სწორედ ფაქტობრივი, ემპირიული, ცდისეული ისტორიის აღდგენა და აგება. მაგრამ ეს მაინც არ გახლავთ თავიდან ბოლომდე, ანუ როგორც იტყვიან, ანიდან ჰოემდე, სრულქმნილება ისტორიისა. ფაქტობრივი, ანუ ემპირიული ნაკვლევ-ნაღვაწი საძირკველია, მაგრამ მაინც მხოლოდ საძირკველი, ანუ პირველი საფეხური მთელი შემდგომი შენობისა, რასაც სწორედ შემდგომ—შენობა-საძირკვლიანად შეიძლება ეწოდოს სრულქმნილი ისტორია. იმ შენობას კი საზრისი ჰქვია, მომხდარ და ემპირიულად დადგენილ ფაქტთა აზრობრივ, გნებავთ, მსოფლიო ისტორიის დონეზე ფუნქციურად და ფილოსოფიურად გააზრებული და განზოგადებული“. იხ. ავტორის სტატია „ისტორია — ნაშრომი თუ ნაწარმოები?“, „სახალხო განათლება“, 1990, 19 ივლისი.

თოდით შემოიფარგლა, რომ ნამდვილი მეცნიერული ისტორიოგრაფია საქართველოში დაფუძნებულ იქნა საბჭოური მარქსიზმისა თუ ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის ბაზაზე და ამდენად, უკავშირდება სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის სახელებს, ქრონოლოგიურად კი 30-იანი წლების შუახანებს. რას იზამ, რეალობა ისეთი გახლდათ, რომ ყველაფერი გაიაზრებოდა საბჭოური მენტალიტეტის თვალთახედვით. შედეგად კი ის მიიღებოდა, რომ ჩვენ, მომავალ ისტორიკოსებს თავგზა გვებნეოდა — ვინც კრიტიკულად იყო განწყობილი, რასაკვირველია, ისიც კი ვერ ერკვეოდა ამგვარი სამეცნიერო მითოლოგიის ხლართებში და როგორც საერთოდ ქართული ისტორიოგრაფიის, ისე კერძოდ ივანე ჯავახიშვილის შემოქმედების გაცნობიერებისას ბუნდოვანი წარმოდგენისანი რჩებოდნენ.

პირადად მე მსოფლიო ისტორიის (ძველი პერიოდისა) განსრით დავსპეციალდი და, გამოგიტყდებით, სტუდენტობის წლებში ჩვენ დიდი ისტორიკოსის სამეცნიერო ღვაწლის გაგება-გააზრებისათვის ნაკლებად მოვიცალე. ამ პერიოდში მივსვდი, რომ ფილოსოფიისა და ზოგადი სოციოლოგიის ცოდნის გარეშე სერიოზულ საისტორიო მეცნიერებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. რაკი ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადავდგი, მიღწეული დონიდან ივანე ჯავახიშვილის თითქოსდა ოდენ ერუდიტობასა და ემპირიკოსობას ზემოდან ვუყურებდი. მაგრამ გავიდა ხანი და 70-იანი წლების შუახანებში გავეცანი ჩვენი დიდი წინაპრის „ქართულ ეროვნულ წარმართობას", რომელიც დიდი ისტორიოგრაფიული თხზულების — „ქართველი ერის ისტორიის" პირველ წიგნში არის შესული და მაშინ გავაცნობიერე, რომ ივანე ჯავახიშვილისეული საისტორიო შემეცნება სულ სხვა დონისა ყოფილა. მალე ამას დაემატა საფუძვლიანი გაცნობა „მამულიშვილობისა და მეცნიერებისა", „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორიისა" და განსაკუთრებით ივანე ჯავახიშვილის შესავალი ლექციისა, რომელიც 1902 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში წაიკითხა სრულიად ახალგაზრდა, 26 წლის მეცნიერმა. სავსებით კანონზომიერად მოხდა ისე, რომ ჩემი შეხედულებანი ივანე ჯავახიშვილისეულ საისტორიო ნააზრევსა და შემოქმედებით პოტენციალზე რადიკალურად შეიცვალა.

მეტსაც ვიტყოდი, ორი წლის (1995—96) სისტემატური მუშაობით დავრწმუნდი, რომ ჩემი ცოდნა საგნის თაობაზე კვლავაც საკმაოდ შორს ყოფილა სასურველისაგან. აი ასეთი გახლავთ ჩემი

აზროვნების ევოლუცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ცხადია, ასე არ დამემართებოდა, თუკი ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებას ადეკვატურად გაიაზრებდნენ სხვა ქართველი ისტორიკოსები — სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, დავით გვრიტიშვილი და სხვანი, თუნდაც სპეციალურ, ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ ნაშრომებში. აღნიშნულ საკითხზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

1938 წელს სიმონ ჯანაშიამ ჟურნალ „მნათობის" მეექვსე ნომერში გამოაქვეყნა სპეციალური წერილი ივანე ჯავახიშვილზე. ავტორი სათანადოდ მიუზღავდა ჩვენს დიდ წინაპარს, მაგრამ ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ის, თუ როგორ წარმოედგინა სიმონ ჯანაშიას ამ უკანასკნელის საისტორიო შემოქმედების ხასიათი. სიმონ ჯანაშია აღნიშნავდა, რომ „საქართველოს ისტორიის წყაროების შესწავლა პროფ. ივ. ჯავახიშვილის უდიდესი დამსახურებაა და ამაშივე ვპოვებთ ჩვენ საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის საძირკველსაც"[1]. მეტიც, ავტორისავე აღიარებით „საქართველოს ისტორიულ ორიგინალურ წყაროებთან ერთად პროფ. ივ. ჯავახიშვილი ასევე კრიტიკულად სწავლობს უცხოურ წყაროებსაც და თვით ისტორიულ პროცესსაც საქართველოს მომიჯნავე ქვეყნებში. ამოდის რა იმ დებულებიდან, რომ საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა, შეუძლებელია მეზობელ ხალხთა და ქვეყნების ისტორიისაგან განცალკევებით"[2]. რაც შეეხება მეთოდოლოგიას, სიმონ ჯანაშია წერდა: „ეს წყაროთმცოდნეობითი და ისტორიულ მეთოდოლოგიური ინტერესი დღემდე შერჩა მხცოვან მეცნიერს"[3]. მაგრამ თუ როგორ დგას საქმე სხვა, დანარჩენი მეთოდების გამოყენების მხრივ, ამის თაობაზე სიმონ ჯანაშია არც 1938 წელს და არც შემდგომ არაფერს არ ამბობდა.

მივყვეთ ავტორის შემდგომ მსჯელობას: „დააგროვა რა უზარმაზარი ფაქტიური ისტორიული მასალა, გაშუქებული ზემოთაღნიშნული ისტორიული კრიტიკით, ივ. ჯავახიშვილი შეუდგა ქართველი ხალხის სოციალ-პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ისტორიის დამუშავებას წინასწარ მოფიქრებულის მკაცრი მეცნიერული

---

[1] სიმონ ჯანაშია, შრომები ტ. V, 1987, გვ. 387. იხ. აგრეთვე სიმონ ჯანაშიასავე „Иван Александрович Джавахишвили" (ნეკროლოგი), რომელიც 1940 წელს დაიბეჭდა.

[2] იქვე, გვ. 388.

[3] იქვე, გვ. 385.

გეგმის თანახმად"[1]. მაგრამ, მოგეხსენებათ, „წინასწარ მოფიქრებული მკაცრი მეცნიერული გეგმა" თავისთავად დიდს არაფერს არ ნიშნავს ისტორიკოსის მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის (მეთოდების ერთობლიობის!) გარეშე. მაშ ასე, ივანე ჯავახიშვილმა მართლაც, მეტაფორულად თუ ვიტყვით, უამრავი საშენი მასალა დააგროვა ისტორიული ფაქტების მასის სახით. „საშენი მასალის" დაგროვებას ხომ შენობის აგება უნდა მოჰყოლოდა! ივანე ჯავახიშვილი კი, რა თქმა უნდა, სულაც არა ჰგავდა ისეთ ისტორიკოსებს, რომლებიც ოდენ საისტორიო წყაროების შესწავლითა და ფაქტების დადგენით კმაყოფილდებიან. მან ხომ ააგო ჭეშმარიტად მონუმენტალური ხასიათის საისტორიო თხზულებანი: „ქართველი ერის ისტორიის" ხუთტომეული, „ქართული სამართლის ისტორია" სამ წიგნად, „საქართველოს ეკონომიკური ისტორია" ორ ტომად, „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა" და ა. შ. კიდევ რამდენი ჩანაფიქრი ვერ განასრულა! როგორ შეიძლება ილაპარაკო ივანე ჯავახიშვილზე და არ შეეხო დიდ „შენობებს", რომლებიც ავტორმა საფუძვლიანი მსოფლმხედველობითა და მეთოდოლოგიით აღასრულა. პარადოქსია, მაგრამ ამის თაობაზე სიმონ ჯანაშია არას ამბობდა.

ახლა შევჩერდებით ივანე ჯავახიშვილის ნიკო ბერძენიშვილისეულ გააზრებაზე. დიდი მეცნიერის ხსოვნისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ შეკრებაზე 1941 წელს იგი აღნიშნავდა: „ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში ივანე ჯავახიშვილი ახალი ეტაპის შემქმნელია. ქართული ისტორიოგრაფიისათვის აქამდის უჩვეულო სიღრმითა და მოცულობით სრულიად ახლად დაამუშავა განსვენებულმა მეცნიერმა ჩვენი ისტორიის აურაცხელი საკითხები: პოლიტიკა, ეკონომიკა, სამართალი, ეთიკა, იდეოლოგია, მატერიალური და სულიერი კულტურა... დიდი ერუდიცია, მაღალი მეცნიერული აღჭურვილობა, ფართო ისტორიული პერსპექტივი, ბასრი კრიტიკული ალღო, სანიმუშო და მისაბაძი მეცნიერული სინდისი, მუშაობით შეუნელებელი გატაცება, დიდი ნებისყოფა და მშობელი ხალხის სიყვარული, ყველაფერი ეს ერთად ამკობდა განსვენებულ მოღვაწეს და საშუალებას აძლევდა მას ქართული მეცნიერების დაკორდებული ყამირი ძლიერი მკლავით ღრმად გადაეხნა"[2]. ნიკო ბერძენიშვილიც, სიმონ ჯანაშიას მსგავ-

---

[1] დასახ. ნაშრომი, გვ. 388.

[2] იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 344.

სად, წერდა, რომ „დიდი შემოქმედის სიმკაცრით გაწმინდა განსვენებულმა მეცნიერმა ქართველი ერის ისტორიის საშენი მასალა“[1] და „აგრე დამზადებული საშენი მასალით ქართველი ერის ისტორიის წერას შეუდგა“[2]. ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი, თუმცა, როგორც დავინახეთ, ივანე ჯავახიშვილს თვლიდა ქართული ისტორიოგრაფიის ახალი ეტაპის შემქმნელად, მაგრამ გულის სიღრმეში მასაც სჯეროდა, რომ ივანე ჯავახიშვილისეული ეტაპი უკვე გადალახული იყო და ჩვენს სინამდვილეში შემდგომ ეტაპს ჰქონდა ადგილი — კერძოდ, სიმონ ჯანაშიასა და მის მიერ დაფუძნებულს, ისევე როგორც მომავალშიც „ქართული ისტორიოგრაფია განვითარების შემდგომ საფეხურებს მიაღწევს“. მაგრამ თუ კრიტიკულ თვალთახედვას მოვიშველიებთ, მაშინ ადვილად დავინახავთ, რომ ივანე ჯავახიშვილისეულ მსოფლმხედველობასა და მეთოდოლოგიაზე არც ნიკო ბერძენიშვილს ჰქონია სრული, ყოველ შემთხვევაში სერიოზული წარმოდგენა და აქედან გამომდინარე, იგიც სათანადოდ ვერ აცნობიერებდა ივანე ჯავახიშვილის მიერ „აგებული შენობების“ „არქიტექტურულ“ საფუძვლებს.

ამჯერად შევჩერდებით სხვა მომენტზე. იმავე სიტყვაში ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ დღეს „არახელსაყრელი დროა განსვენებული აკადემიკოსის ივ. ჯავახიშვილის პიროვნებისა თუ მეცნიერულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის რამდენადმე სრული შეფასებისათვის“, რომ „გვწამს, ქარიშხალი გადაივლის, სიმართლის მზე კვლავინდებურად ინათებს და დროც დადგება, როცა ეროვნული კულტურის ამ დიდ მოღვაწეს შესაფერისად და ღირსეულად შეაფასებენ მისი დაზრდილები“[3], „ხოლო დღევანდელს ჩვენს მცირე სიტყვაში განსვენებული მეცნიერის შეფასება, რა თქმა უნდა, არ გვიკადნიერებია“[4]. ცხადია, იმხანად, მეორე მსოფლიო ომის მესამე წელს, დრო არ იყო სათანადოდ გაეაზრებინათ ივანე ჯავახიშვილისეული შემოქმედება, კერძოდ მსოფლმხედველობა და მეთოდოლოგია. მაგრამ ამას ომის დამთავრებაც ვერ უშველიდა, რამეთუ საბჭოური სისტე-

---

[1] იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 344.

[2] იქვე, გვ. 345.

[3] იქვე, 339.

[4] იქვე.

მის პირობებში საკითხის სრული, მეცნიერული (იდეოლოგიის გარეშე) გაშუქება და საზოგადოებრიობამდე მიტანა შეუძლებელი გახლდათ.

ამჯერად ჩვენ სხვა რამ გვაინტერესებს. მოტანილი სტრიქონების დაწერის შემდგომ ნიკო ბერძენიშვილმა ოცდაოთხი წელი იცოცხლა. საინტერესოა, თუ როგორ გამოიყენა მან ეს შანსი აღძრული საკითხის გასააზრებლად. დიდად სამწუხაროდ, ნიკო ბერძენიშვილი ივანე ჯავახიშვილის თემას სერიოზულად აღარ შეხებია. დაგვრჩა მისეული ნაშრომი „ქართული ისტორიოგრაფიისათვის", რომელიც პირველად, ბროშურის სახით (სათაურით „ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი (თეზისები)" 1964 წელს დაიბეჭდა, ხოლო ორი წლის შემდგომ კი შევიდა „საქართველოს ისტორიის საკითხების" მესამე წიგნში. თუ წინასწარ აკვიატებულ აზრს შევეშვებით და ობიექტურად ვიმსჯელებთ, მაშინ პარადოქსულ დასკვნამდე მივალთ. ნიკო ბერძენიშვილი, აღნიშნავდა რა ილია ჭავჭავაძისა და დიმიტრი ბაქრაძის დამსახურებას ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომი დაწინაურების საქმეში, ასე მსჯელობდა: „მაგრამ თერგდალეულებმა, იმ დროის საქართველოს სპეციფიკურ პირობებში ვერ დასახეს რევოლუციური გამოსავალი და კლასთა ბრძოლის ნაცვლად კლასთა შეთანხმების ქადაგება თავს იდვეს. ამის შემდეგ თერგდალეულთ, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ მდგარიყვნენ რევოლუციონერ დემოკრატთა პოზიციაზე, ე. ი. იმ პოზიციაზე რომლის ერთადერთი სწორი შემდგომი განვითარება იქნებოდა მარქსიზმი ანუ რევოლუციური კლასთა ბრძოლის აღიარება საზოგადოებრივი პროგრესის ერთადერთ გზად, ამდენადვე თერგდალეულები ვერ შერჩნენ მარქსიზმის წინამორბედთა პოზიციებს"[1].

შემდეგ ნიკო ბერძენიშვილისეული აზრი ლოგიკურად ასე წარიმართება: „ამრიგად, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების კარდინალური საკითხების ისტორიულ გაშუქებაში მარქსიზმ-ლენინიზმი წამყვან პოზიციებს ეუფლებოდა. უკვე 1900-იანი წლებიდან ქართველი რევოლუციონერები მარქსისტული მოძღვრების ლენინურ ეტაპს ნაზიარები იყვნენ და ის სახელმძღვანელოდ ჰქონდათ თავიანთ მოღვაწეობაში თუ თეორიული საკითხების გაშუქებაში"[2]; „ასე შემოდიოდა ქართულ ისტორიოგრაფიაში მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელმაც მოხსნა ყველა და ყოველგვარი კრიზისი ქართულ ისტორიულ

---

[1] საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 339.

[2] იქვე, გვ. 336—37.

აზროვნებაში: ყორნის ჩხავილი გადაგვარებულ ფეოდალებისა, რომანტიკული იდეალიზაცია წვრილბურჟუაზიული პატრიოტებისა, უსასო ნიჰილიზმი ხალხოსნებისა, იდეური სიღატაკე ქართველი ბურჟუაზიისა"[1].

ამდენად, ნიკო ბერძენიშვილისეული ლოგიკით, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება თერგდალეულებიდან სოციალ-დემოკრატებისაკენ ამ უკანასკნელთა მეშვეობით წარიმართა, თურმე ჩვენში „ისტორიოგრაფიის ლენინური ეტაპიც" კი მალე დამდგარა. მაშინ როგორ გავიგოთ ივანე ჯავახიშვილისეული ეტაპი ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომლის შესახებაც ნიკო ბერძენიშვილი 1941 წელს აღნიშნავდა, რომ „სამუდამოდ დარჩა ეტაპი, ივანე ჯავახიშვილმა რომ შექმნა ქართულ ისტორიულ აზროვნებაში"? აქ ჩამოთვლილ სოციალურ კატეგორიებში (ფენებში) რომელ მათგანს უნდა იქნეს მიკუთვნებული ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება?

იმავე ნაშრომში ვკითხულობთ, რომ „კლასობრივი საზოგადოების ისტორიული აზროვნება ისევე კლასობრივია, როგორც მთელი მისი იდეოლოგია, რომ თითოეულ კლასს თავისებური ისტორიოგრაფია გააჩნია"[2]. კონკრეტულად, ქართულ სინამდვილეში „თითოეული კლასი თავისი სოციალ-პოლიტიკური იდეალების შესაფერისად ქმნის თავის „ქართლის ცხოვრებას". მშრომელი ხალხი მას თავისებურად ქმნის, ფეოდალები — ფეოდალურად, ბურჟუაზია — თავისი კლასობრივი მიზნების შესაბამისად. მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვების პირობებში, მხოლოდ ანტაგონისტური კლასების გადალახულობის პირობებში პირველად იქმნება რეალური შესაძლებლობა ნამდვილი მეცნიერული ისტორიოგრაფიისა, საყოველთაო „ქართლის ცხოვრების" შექმნისა"[3]. ამჯერადაც, ალბათ დაგვეთანხმებით, ივანე ჯავახიშვილისეული ისტორიოგრაფიული შემოქმედების რაობისა და ადგილის გაგება-გააზრება ერთობ გაძნელებულია. რამოდენა პარადოქსი გახლავთ: გამოჩენილი, უდაოდ ნიჭიერი ისტორიკოსი წერს ნაშრომს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ლოგიკის, მთავარი ხაზის შესახებ და მასში ადგილი არა რჩება... ივანე ჯავახიშვილისათვის!

წინამდებარე ნაშრომში ივანე ჯავახიშვილის ფენომენს სულ სხვანაირად ვიაზრებთ (ისევე როგორც ილია ჭავჭავაძისას). დაპყრო-

---

[1] საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 377.

[2] იქვე, გვ. 338.

[3] იქვე,

ბილ, დამონებულ საქართველოში ერის მოწინავე ჯანსაღი ძალების ძალისხმევა გაერთიანებისა და ეროვნული განთავისუფლების საქმისაკენ უნდა წარმართულიყო. თუ ამ თვალსაზრისით ჩვენში ისტორიის ლოგიკა გამრუდდა, ქართველი სოციალ-დემოკრატების წყალობით, ამაში ჩვენი დიდი წინაპრები, მათ შორის ივანე ჯავახიშვილიც, როდი იყვნენ დამნაშავენი. სოციალ-დემოკრატების, განსაკუთრებით ბოლშევიკ-კომუნისტების ხაზმა, საქართველო ჩიხში შეიყვანა და ნორმალური სოციალური განვითარება სწორედ ივანე ჯავახიშვილის მსგავსი პიროვნებების ძალისხმევით იყო შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იგივე ითქმის ისტორიოგრაფიის განვითარებაზეც.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის თაობაზე არაფერია აღნიშნული ვალერიან გაბაშვილის მიერ რუსულად გამოქვეყნებული წიგნის «История исторической науки в СССР»-ის მესამე ტომის (1963 წელს) იმ თავში, რომელშიც ივანე ჯავახიშვილის საისტორიო შემოქმედებაა განხილული. აქედან იმასაც კი ვერ ვგებულობთ, თუ სახელდობრ, რომელ მიმდინარეობას (სოციალური აზრით) — თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულს თუ ბურჟუაზიულს მიეკუთვნებოდა ჩვენი დიდი ისტორიკოსი. ერთგან ვკითხულობთ: „ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა წარიმართებოდა ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის კრიზისის პერიოდში. მაგრამ მისთვის უცხო გახლდათ იმპერიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ცრუმეცნიერული თეორიები“[1].

ასევე უაღრესად მწირია ივანე ჯავახიშვილისეული შემოქმედების გაგება გიორგი მელიქიშვილის მიერ. სპეციალურ ბროშურაში[2] იგი აღნიშნავს, რომ „ი. ა. ჯავახიშვილი სინამდვილეში იდგა ჩვენი მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპის საწყისებთან“[3]. თუმცა მანამდე იგი წერდა, რომ ივანე ჯავახიშვილის საქმიანობით ქართულ საისტორიო მეცნიერების განვითარებაში ახალი ეტაპი იწყება[4]. მაგ-

---

[1] იხ. დასახ. წიგნი, გვ. 704—05.

[2] გამოქვეყნებულია რუსულად, 1976 წელს, ასეთი სათაურით «Выдающийся ученый и общественный деятель». ასევე დიდი არაფრის მთქმელია ავტორის წერილი „ივანე ჯავახიშვილი“, რომელიც წინასიტყვაობის სახით დაერთო ჩვენი დიდი წინაპრის თხზულებათა პირველ ტომს 1979 წელს. იხ. გვ. 10—30.

[3] დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

[4] იქვე, გვ. 3.

რამ, რაც მთავარია, მისივე სიტყვებით, თითქოს, „ქართული საისტორიო მეცნიერება ახალ საფეხურზე აიყვანა მარქსიზმ-ლენინიზმის გაბატონებულ მეთოდოლოგიად გადაქცევამ. ეს მისია საქართველოს წინაფეოდალური და ფეოდალური ისტორიის დარგში აღასრულეს ქართველმა ისტორიკოსებმა, ი.ა. ჯავახიშვილის ნიჭიერმა აღზრდილებმა ს. ნ. ჯანაშიამ და ნ. ა. ბერძენიშვილმა"[1]. უფრო უწინაც გიორგი მელიქიშვილი წერდა: „ქართული საბჭოთა საისტორიო მეცნიერების სწრაფ განვითარებას ამ პერიოდში (იგულისხმება 1930-იანი წლები, გ. ყ.) ხელი შეუწყო აგრეთვე მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის ფართო დანერგვამ კვლევა-ძიებაში, ამასთანავე, წინა პერიოდის ჩვენი კადრებისათვის დამახასიათებელი ცალმხრივობის გადალახვამ, როდესაც მათ ან მარქსისტულ-ლენინური თეორია იცოდნენ კარგად, ხოლო კონკრეტული საისტორიო მასალა — ცუდად, ან კიდევ პირიქით, მასალას კარგად იცნობდნენ, მაგრამ მარქსისტულ თეორიას არ ფლობდნენ და ამ თეორიით არ ხელმძღვანელობდნენ თავის კვლევა-ძიებაში"[2], „30-იანი წლების შუა ხანები მრავალი მხრით ქმნის მიჯნას ისტორიულ მეცნიერებათა განვითარებაში, როროგორც საქართველოში, ისე საერთოდ საბჭოთა კავშირში.... ქართული საბჭოთა საისტორიო მეცნიერების სწრაფად განვითარებას ამ პერიოდში ხელი შეუწყო მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის ფართო დანერგვამ კვლევა-ძიებაში"[3].

ერთი სიტყვით, ივანე ჯავახიშვილისეული შემოქმედება, კერძოდ, მსოფლმხედველობა და მეთოდოლოგია აღნიშნულ ისტორიკოსთა მიერ სერიოზულად ვერ იქნა გააზრებული. სამაგიეროდ, ქართველ ისტორიკოსთა შორის ფართოდ გავრცელდა აზრი ახალ, პოსტივანე ჯავახიშვილისეულ ეტაპზე ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელიც, ვიმეორებთ, თითქოსდა ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის მეშვეობით იქნა დამკვიდრებული და უკავშირდება უპირველესად სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის სახელებს. ამის გაცნობიერება კი ჯერ თვითონ სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა დაიწყეს. ამათგან პირველი მეორის შესახებ ასე წერდა: „ნიკოლოზ ალექსანდრეს

---

[1] დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

[2] იხ. კრებული, „საისტორიო წერილები", ნაკვეთი პირველი, თბილისი, 1968, გვ. 11.

[3] იხ. წინასიტყვაობა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" პირველი ტომისათვის, 1970, გვ. 22.

ძე უპირობოდ მიეკუთვნება საბჭოთა ისტორიკოსების მოწინავე რაზმს, რომელიც ისტორიის მატერიალისტური გაგება დეკლარაციულად კი არ აითვისეს, არამედ შემოქმედებითად, როგორც მეთოდი ადამიანთა საზოგადოების განვითარების მექანიკის ულრმესი შემეცნებისა და რომელნიც აერთიანებენ თავიანთ უმაღლეს მეთოდოლოგიურ აღჭურვილობას ფაქტობრივი მასალის ამომწურავ ცოდნასთან. ნ. ა. ბერძენიშვილი — მარქსისტულ-ლენინურად მოაზროვნე ისტორიკოსი გახლავთ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. იგი აღზრდილია დიდი მეცნიერის, აკად. ი. ა. ჯავახიშვილის სკოლისა, რომელმაც შეითვისა რა ამ სკოლის ყველა დადებითი ნიშან-თვისება კრიტიკული აპარატის სიწმინდე და სიმკაცრე, მაღალი მეცნიერული პრინციპულობა და განვითარებული საკვლევ-საძიებო ტექნიკა, არ შეჩერდა სკოლის მიღწევებზე, არამედ დაუცველად და გაბედულად წავიდა წინ, როგორც მასალის დაგროვების, ისე, რაც უფრო მთავარია, მეთოდის სრულყოფის მხრით"[1].

ნიკო ბერძენიშვილი კი აღნიშნავდა: „საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვებით მარქსიზმ-ლენინიზმის სუფევა დამყარდა. ბუნებრივია, ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების წინაშე დიდი ამოცანა დაისვა: აქამომდელი ქართული ისტორიოგრაფიის გადასინჯვა და მისი ახლად, მარქსისტულად გამართვა"[2], „მომზადებულია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით შეიარაღებულ ისტორიკოსთა ლეგიონი. ერთი სიტყვით, ყველაფერი მზადაა იმისათვის, რომ ჩვენი სოციალისტური ხანის შესაფერისი დიდი „ქართლის ცხოვრება" დაიწეროს და ეს ასეც იქნება"[3]. თუ, ნიკო ბერძენიშვილის მიხედვით, „ქართლის ცხოვრება" ბურჟუაზიულად ვერ გაიმართა, ე. ი. ვერ დაიწერა (ცხადია ივანე ჯავახიშვილისეული „ქართველი ერის ისტორიის" ხუთტომეულის ჩათვლით!) და ასე რომ „საქართველოს ბურჟუაზიულ ხანას ფეოდალური ქართლის ცხოვრება არსებითად გადაულახავი დარჩა[4], აღნიშნული ხარვეზი მალე გამოსწორდებოდა. მი-

---

[1] იხ. სიმონ ჯანაშიას რეცენზია ნიკო ბერძენიშვილის სადოქტორო დისერტაციაზე. შრომები, V, გვ. 401 (ციტატა თარგმნილია რუსულიდან).

[2] საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 297.

[3] იხ. კრებული, „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა თბილისი, 1966, გვ. 11.

[4] იქვე.

სი ხელმძღვანელობით ჩაფიქრებულ იქნა საქართველოს ისტორიის მრავალტომეული, რომელიც „ქართველ ისტორიკოსთა ლეგიონს“ უნდა დაეწერა და რომელიც რეალიზებულ იქნა კიდეც „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის გამოცემით 1970—80 წლებში. ასე რომ, საბჭოთა პერიოდში თითქოსდა დიდი მიღწევების ფონზე ივანე ჯავახიშვილისეული შემოქმედება, a priori ცხადია, დიდად კნინდება.

ახლა საკითხის თაობაზე სხვა ქართველ ისტორიკოსთა გამონათქვამებს მოვიხმობთ. ვალერიან გაბაშვილი: „ქართველი რევოლუციონერი მარქსისტების შრომები ახალ ეპოქას უხსნიდნენ გზას ქართულ საისტორიო აზროვნებაში, ამზადებდნენ ნიადაგს ნამდვილი საისტორიო მეცნიერების შექმნისათვის“[1]. შოთა მესხია: „ქართული ისტორიოგრაფიის მრავალმხრივი და მდიდარი მემკვიდრეობა, ისტორიული კვლევის ახალი, მარქსისტული მეთოდი იყო ის ნიადაგი, რომელიც საფუძვლად დაედო ს. ჯანაშიას მოღვაწეობას“[2], მარიამ ლორთქიფანიძე და გივი ჯამბურია: „ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა, ლ. მუსხელიშვილმა და სხვ. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ათვისებისა და კვლევაში მისი გამოყენების შედეგად თავიანთ მოწაფეებთან ერთად კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმე“[3]. საკუთრივ მარიამ ლორთქიფანიძის აზრი: „თუ ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორია (ძირითადად ანტიკური და შუა საუკუნეების ხანისა) მთლიანობაში განიხილა, მისმა მოწაფეებმა ამ ისტორიის კარდინალური პრობლემების ღრმა მეცნიერული შესწავლა მიიჩნიეს აუცილებლად. ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომი სრულყოფა — ივანე ჯავახიშვილის შემდგომი საფეხური სწორედ ესაა და ეს საფეხური მისი მოწაფეების სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის სახელებთანაა დაკავშირებული“[4]. პროკოფი რატიანი: „ივანე ჯავახიშვილმა ქართული ისტორიული მეცნიერება მანამდე არნახულ სიმაღლეზე აიყვანა, რის გაკეთებაც მან

---

[1] Очерки истории исторической науки в СССР, т. III, М., 1963. გვ. 702.

[2] იხ. მისი „საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი“, თბილისი, 1960, გვ. 45.

[3] იხ. კრებული, „ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1986, გვ. 49.

[4] იხ. ინტერვიუ ავტორთან „დავინდოთ ერთმანეთი“, „სახალხო განათლება“, 2 აგვისტო, 1990.

ვერ მოასწრო, აკეთებენ მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები, ოღონდ აკეთებენ არა როგორც ეპიგონები, არამედ როგორც ნოვატორი მეცნიერები, რომლებსაც უნარი შესწევთ დაიცვან, დააფასონ და შემდგომ განავითარონ ის წმინდა საქმე, რომელსაც დიდმა ივანე ჯავახიშვილმა მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შესწირა"[1]. ედიშერ ხოშტარია-ბროსე: „ახალგაზრდა ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ წინა თაობათაგან მდიდარი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა მიიღო, მაგრამ მის წინაშე მეტად დიდი და საპატიო ამოცანა იდგა საქართველოს ისტორიული წარსულის ისტორიულ-მატერიალისტური თვალთახედვით გამართვა. ამ საქმის შესრულება ძველი და ადრეული შუასაუკუნეების ისტორიის მიმართ წილად ხვდა ს. ჯანაშიას"[2]. მამია დუმბაძე: „მეცნიერების ფართო ასპარეზზე ახალგაზრდული ძალით გამოდიოდა უმცროსი თაობა, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო სკოლის სახელოვან ტრადიციებზე აღზრდილი, სულ უფრო ღრმად ეუფლებოდა მარქსისტულ მეთოდოლოგიურ პრინციპებს საქართველოს ისტორიის პრობლემათა გაშუქებაში. ამ საქმეს წარმატებით მოთავეობდა ნ. ბერძენიშვილი"[3]. აკაკი სურგულაძე: „მისი (ივანე ჯავახიშვილის, გ. ყ.) დიდი დამსახურებაა, რომ დღეს ქართულ საისტორიო მეცნიერებას ჰყავს ნიჭიერი კოლექტივი, რომელიც, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით აღჭურვილი, მარჯვედ იყენებს მასწავლებლის დიდ მემკვიდრეობას და ახალ, მაღალ საფეხურებზე აჰყავს ქართველი ერის უმდიდრესი და უძველესი ისტორიის შესწავლის საქმე"[4]. დავით ჩხიკვიშვილი: „ივ. ჯავახიშვილის შემდეგ ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ და მას ბევრი თვალსაჩინო მიღწევა აქვს"[5]. უშანგი სიდამო-

---

[1] იხ. მისი „ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქზე", I, თბილისი, 1976, გვ. 148.

[2] სიმონ ჯანაშია, ბიობიბლიოგრაფია, თბილისი, 1976, გვ. 7.

[3] იხ. მისი „ნიკო ბერძენიშვილი", 1974, გვ. 23.

[4] იხ. ავტორის „არდავიწყება მოყვრისა", თბილისი, 1986, გვ. 14.

[5] იხ. ივანე ჯავახიშვილის თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი I, თბილისი, 1979, გვ. 5. მისივე უდაოდ სწორი აღიარებით, „ივანე ჯავახიშვილის ენა ემყარება ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოღვაწეთა ახალ ქართულ ენას: იგი თვითმყოფადია და მასში ნათლად ჩანს მჭიდრო კავშირი ჩვენ მდიდარ სასულიერო თუ საერო თხზულებათა ენასთან, იგი მრავალფეროვანია, კეთილხმოვანია და სრულ წარმოდგენას გვაძლევს, თუ როგორ მეტყველებდა დიდი ისტორიკოსი"

ნიძე: „ივანე ჯავახიშვილი, დემოკრატი შემოქმედი, მეცნიერულ კვლევის პროცესში იმ დონემდე იყო ასული, რომ ისტორიული მეცნიერების განვითარების შემდგომი ეტაპი აუცილებლად მარქსისტული უნდა ყოფილიყო. მისი მოწაფეები ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი პროფესიონალ ისტორიკოსთა შორის პირველნი იყვნენ, რომლებმაც მარქსისტული მეთოდოლოგია დანერგეს ქართულ ისტორიოგრაფიაში“[1]. იური სიხარულიძე: „ნიკო ბერძენიშვილის სტუდენტობის ჟამიდან ქართული ისტორიოგრაფია კრიზისულ ხანაში იმყოფებოდა, უნდა დაძლეულიყო ახალი ქართული საისტორიო მეცნიერების მეთოდოლოგიური შეზღუდულობა და საფუძველი ჩაყრილიყო უფრო მაღალი ეტაპისათვის“[2]. და ა. შ. და ა. შ.[3]

რასაკვირველია, ივანე ჯავახიშვილის შემდგომ უნდა დაწყებულ ყო უფრო მაღალი ეტაპი და თანაც ახალი, უფრო მრავალმხრივი ... განვითარებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, მაგრამ ჩვენს ისტორიულ სინამდვილეში (ისტორიოგრაფიის ჩათვლით) ასე როდი მოხდა. თუ საბჭოური პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას კრიტიკულ თვალთახედვით განვიხილავთ, საკმაოდ ნათლად შევამჩნევთ მის რბილად რომ ვთქვათ, არც თუ ისე მაღალ დონეს და ამ სამზერიდან თუ ივანე ჯავახიშვილისეული შემოქმედება უფრო დაბალი დონისა ჩანს, მაშინ ამ უკანასკნელის არსი არც თუ დიდი ფასეულობისა ალ-

---

(იქვე). ამის შემდგომ, ავტორის მტკიცებით, ქართული ისტორიოგრაფიის ენა კიდევ უფრო განვითარებულა, მაგრამ ძნელია დასახელდეს ამ ხანის ისტორიკოსი, რომლის ენა და სტილი არათუ ივანე ჯავახიშვილისაზე აღმატებული, არამედ ტოლფასი ყოფილიყოს.

[1] საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, თბილისი, 1970, გვ. 90.

[2] იხ. მისი, ნიკო ბერძენიშვილი“, 1989, გვ. 23.

[3] იგივენაირ შტამპებს იმეორებს რუსი ისტორიკოსი ანატოლი ნოვოსელცევი თავის წიგნში „Генезис феодализма в странах Закавказья“, Москва, 1980, (გვ. 62), აგრეთვე სტატიაში «Некоторые вопросы историографии древней и раннесредневековой истории народов Закавказья», (ჟურნალი „История СССР“, 1974, № 1) ივანე ჯავახიშვილი დახასიათებულია როგორც „მეცნიერთა ძველი, რევოლუციამდელი სკოლის წარმომადგენელი“, „ტიპური ბურჟუაზიული ობიექტივისტი“, რომელსაც თითქოს ახასიათებდა „ნაციონალისტური ყაიდის“ ცდომილებანი. ცხადია, რაიმე უფრო ვარკვეულ შეხედულებას ავტორი არ გვთავაზობს.

მოჩნდება. მაგრამ ჭეშმარიტება უფრო სხვა სიბრტყეზე გახლავთ გასაზრებელი: ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება, კერძოდ, მსოფლმხედველობა და მეთოდოლოგია, მართლაც მაღალი მეცნიერული დონისა იყო და მის შემდგომ კიდევ უფრო მაღალი საფეხურის მიღწევა საბჭოურმა სინამდვილემ, მათ შორის იდეოლოგიამ, პირწმინდად გამორიცხა. ისტორიის მუზა-კლიო მეტად ნაზია იმისათვის რომ გაუძლოს ტოტალიტარიზმის (საბჭოური სახისა) სუსხს. უფრო კონკრეტულნი რომ ვიყვეთ, არც სიმონ ჯანაშიას და არც ნიკო ბერძენიშვილს, თუნდაც ორივეს გაერთიანებულად, არ დაუტოვებიათ ივანე ჯავახიშვილის ნაწარმოებების ბადალი ნაშრომები...

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ადგილი ჰქონდა გარკვეულ ცდებს რაღაცნაირად გადაელახათ ტრადიციული საბჭოური შტამპები ივანე ჯავახიშვილის ფენომენის გაცნობიერებაში. ასე მაგალითად, ვულგარული კლასობრივი გაგებისაგან განსხვავებით სიმონ ჯანაშია ცდილობდა ივანე ჯავახიშვილი მიეკუთვნებინა მოწინავე, პროგრესული („ბურჟუაზიული" თუ „თავადაზნაურული" იარლიყების, გარეშე!) ინტელიგენციისადმი. იგი წერდა (1938 წელს): „ქართველი მოწინავე პროგრესული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელი, ივანე ჯავახიშვილი აღიზარდა იმ დიდი მოძრაობის ნიადაგზე, რომელიც ქართველი ხალხის სოციალურსა და ეროვნულ განთავისუფლებას ისახავდა მიზნად. ივანე ჯავახიშვილი ამ მოძრაობას ერთგულად მოჰყვა ბოლომდე"[1]; „აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის საზოგადოებრივი შეხედულებანი სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენის ქვეშ ყალიბდებოდა, რომელმაც საქართველო გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან მოიცვა. ივ. ჯავახიშვილის შრომები ამ მოძრაობის იდეებითაა გამსჭვალული"[2]. აბელ კიკვიძე ივანე ჯავახიშვილის ნეკროლოგში აღნიშნავდა: „თავისი ქვეყნისადმი უსაზღვრო ერთგულება, ძველი საქართველოს კულტურულ ძეგლთა სიყვარული, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პროტესტი და ბრძოლა — ასეთია ის საწყისები, რომლებიც თავიდანვე ჰკვებავდნენ ივანე ალექსანდრეს ძეს შემოქმედებას"[3]. მსგავსი მიდგომა შემდგომაც გააგრძელეს (დავით გვრიტიშვილმა, პროკოფი რატიანმა, იური

---

[1] იხ. შრომები, ტ. V, 1987, გვ. 384.
[2] „მოამბე", ტ. I, 1940, № 9, გვ. 644.
[3] იხ. ჟურნალი «Историк-марксист», 1941, № 1, (89), გვ. 157.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთ...

კაჭარავამ, როინ მეტრეველმა, აკაკი სურგულაძემ და სხვებმა)[1]. თუმცა მთლად ნათელი არაა, თუ სახელდობრ როგორ წარმოედგინათ ამ შემთხვევაში „ინტელიგენციის", კერძოდ, „დემოკრატიული ინტელიგენციის" სოციალური არსი, მისი მიმართება თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიისადმი. პროკოფი რატიანი სპეციალურ წერილში შეეცადა დაეყენებინა ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის საკითხი[2]. მამია დუმბაძე 1984 წელს გამოქვეყნებულ მცირე მოცულობის წიგნში „ივანე ჯავახიშვილის ადრინდელი შემოქმედება (1898—1912 წწ)" ცდილობდა გარკვეულიყო დიდი ისტორიკოსის მსოფლმხედველობასა და მეთოდოლოგიაში[3]. 1997 წელს გამოვიდა ედუარდ კოდუას ნაშრომი „ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი". თუ სათაურის მიხედვით ვიმსჯელებთ და იქიდანაც ამოვალთ, რომ წიგნის ავტორი პროფესიით ფილოსოფოსი გახლავთ, მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენთვის საინტერესო პრობლემა უფრო ღრმად, ვიდრე ამას ისტორიკოსებთან ვხვდებით გაშუქდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მთლად ასე როდი მოხდა, თუმცა რასაკვირველია, რამდენადაც ასეთი ცდა ქართველ ფილოსოფოსთაგან პირველია, იგი უთუოდ მისასალმებელია[4].

ყოველივე ზემოაღნიშნული მაინც ცოტაა იმასთან შედარებით, რაც გასაკეთებელია საკითხთან დაკავშირებით. ასე რომ, „სამკალი ფრიად არს" და ჯერი ამჯერად „მუშაკებზეა". შევეცადეთ ჩავღრმავებულიყავით ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის საკითხებში და ამ ასპექტზე დაყრდნობით, ასევე შემოქმედების ყველა მხარის ჩვენებით, გაგვეაზრებინა დიდი მეცნიერის

---

[1] სხვათა შორის, БСЭ-ს მეორე გამოცემის მე-8 ტომში (1972) აღნიშნულია, რომ ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივი შეხედულებანი ჩამოყალიბდა რუსეთში (!) სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენით. იხ. გვ. 198. (აქვე მეორე პარადოქსსაც ვაწყდებით. ჩვენი დიდი ისტორიკოსის შრომების დასახელება იწყება... „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხებით"!). აქ არაა მითითებული სტატიის ავტორი, მაგრამ იგივე მეორდება „საბჭოთა საისტორიო ენციკლოპედიის" მერვე ტომში (გვ. 183), რომელიც ქართველ ავტორს ეკუთვნის.

[2] იხ. „ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხისათვის", ქართული ისტორიოგრაფია, I, 1968.

[3] ავტორის მიხედვით ივანე ჯავახიშვილის შემოქმედების შემდგომი პერიოდი ხასიათდება თეორიული საკითხებისადმი ნაკლები ინტერესით, რაც თითქოსდა განაპირობა მარქსისტული ისტორიოგრაფიის განვითარებამ (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 26—27, აგრეთვე გვ. 53).

[4] აღნიშნული ნაშრომის შესახებ იხ. ჩვენი წიგნის დანართში.

ნამდვილი ადგილი მთლიანად ქართული კულტურის ისტორიაში. სხვანაირად, ე. ი. მხოლოდ ვიწრო სპეციალისტების დამოუკიდებელი ან კოლექტიური ძალისხმევით, რთული პრობლემა ვერ გადაიჭრება. შევეხებით დიდი პიროვნების ცხოვრებასაც, ოღონდ უფრო ნაკლები მოცულობით (ამის შესახებ იხ. დავით გვრიტიშვილისა და განსაკუთრებით სერგო ჯორბენაძის მონოგრაფიები).

1996 წელს, ჩვენი დიდი წინაპრის საიუბილეო წელს, გამოქვეყნდა პუბლიკაციები, რომლებიც აშუქებენ მისი ცხოვრების გარკვეულ პერიოდებს უწინ რომ მიჩუმათებული იყო (განსაკუთრებით აღვნიშნავთ ვახტანგ გურგენიძის, გიორგი ციციშვილისა და ოთარ ჯანელიძის პუბლიკაციებს, რომლებიც ახალ საარქივო მასალებს ეყრდნობიან). მაგრამ ზემოთქმული იმას როდი ნიშნავს, რომ ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების თემა უკვე ამომწურავად არის გაშუქებული. თუ სათანადო სურვილი გვექნება, გამოჩნდება რომ წიგნთსაცავებსა და არქივებში ბევრი რამ გამოსამზეურებელია[1] და მათი გათვალისწინებით ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების წიგნი შეიძლება ახლებურად დაიწეროს.

ასეთი ახალი წიგნი (და წიგნები!) კი აუცილებლად საჭიროა, რადგან როინ მეტრეველის თქმისა არ იყოს, „მეოცე საუკუნის დასაწყისში ილიას მძიმე ტვირთმა ივანე ჯავახიშვილის მხრებზე გადაინაცვლა. ამ უკანასკნელს წილად ხვდა უაღრესად საპატიო და ამასთან მეტად რთული ხვედრი... ილია ჭავჭავაძეობა გაეწია ერისათვის...“[2] ერის ისტორიაში ამგვარი განუზომელი წვლილის გამღები პიროვნებისადმი კი შთამომავლობას შესაბამისი ვალის გადახდა ჰმართებს.

---

[1] უთუოდ სწორია მკვლევარ-ფილოლოგოსი ვახტანგ გურგენიძე როცა წერს: „როგორ ვცდებით, როცა ზოგჯერ უყურადღებოდ ვექცევით ისტორიის დიადი გარდაქმნების ყველაზე უტყუარ მაცნეს, ერთი შეხედვით თითქოსდა უმნიშვნელო დოკუმენტებს! აკი ამ ტენდენციის წყალობით, დღევანდლამდე უყურადღებოდ და ჯერ კიდევ მიუკვლეველი და გამოუქვეყნებელია ივანე ჯავახიშვილის მრავალზე მრავალი დოკუმენტი, რომელიც დაცულია არა მარტო სახელმწიფო მუზეუმებში?!“ იხ. მისი „ივანე ჯავახიშვილი“, თბილისი, 1997, გვ. 7.

[2] რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1975, გვ. 25.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი პირველი

ცხოვრების წლები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I. დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის ცხოვრება

(თვალის ერთი გადავლებით)*

ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 11 (23) აპრილს. ერთი ხანობა კამათობდნენ დაბადების ადგილზე: ერთნი ამტკიცებდნენ, რომ დაიბადა სიღნაღში, სადაც მაშინ მამამისი — ალექსანდრე ჯავახიშვილი მსახურობდა, ხოლო მეორენი თვლიდნენ, რომ დაიბადა თბილისში. იყო მოსაზრებაც, რომ ასეთ ადგილად ჩაეთვალათ სოფელი ხოვლე. მაგრამ მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა უტყუარი საბუთი, საკამათო აღარაფერია: დიდი პიროვნება თბილისში დაბადებულა[1]. თვითონ ივანე ჯავახიშვილიც თავის ავტობიოგრაფიაში (დაწერილია 1936 თუ 1937 წელს) ამას წერს. დავუმატებდით იმასაც, რომ აწ განსვენებული ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილის (ბატონ ივანეს უმცროსი ვაჟი) ზეპირი გადმოცემითაც ბებიამისი სოფიო ათანასეს ასული ვახვახიშვილი-ჯავახიშვილისაც სწორედ თბილისს ასახელებდა. ასლადმოვლენილ ყრმას პაპის სახელი — ივანე დაარქვეს.

ჩვენი დიდი ისტორიული პიროვნება წარმოშობით ქართულ ფეოდალურ არისტოკრატიას მიეკუთვნებოდა, რაც ილია ჭავჭავაძის მაგალითისა არ იყოს, შემდეგში მისდამი მტრულად განწყობილ ქართველ ბოლშევიკ-კომუნისტებს „დიდ არგუმენტს" აძლევდა მეცნიერის საწინააღმდეგოდ. ჯავახიშვილები[2] სულ უწინ მესხეთის (ფართო

---

* წიგნის ამ მონაკვეთის დაწერისას, ძირითადად ვემყარებით დაეით გვრიტიშვილის, სერგო ჯორბენაძის, თამარ ტაბლიაშვილის, ნოდარ შოშიაშვილის, გიორგი ციციშვილის, ოთარ ჯანელიძისა და ვახტანგ გურგენიძის შრომებს.

[1] დაბადების მოწმობა აღმოჩნდა თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის კუკიის ეკლესიის 1876 წლის სარეგისტრაციო წიგნში (ამჟამად დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში).

[2] ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან ორი კვირის შემდგომ მცხეთაში ასჰარუგ პიტიახშის ოქროს სარტყლის ბალთის ბუდიდან ამოღებული იქნა წყვილპორტრეტიანი ძვირფასი ქვის ინტალიო, რომლის გარშემო ამოკაწრული ბერძნული

მნიშვნელობით) მკვიდრნი იყვნენ, საიდანაც XIII საუკუნეში ქართლში, კერძოდ, თეძმის ხეობაში დასახლდნენ. შემდეგში მათ მცირე ზომის სათავადო-საჯავახიანო შეჰქმნეს, რომელიც XVIII საუკუნეში კიდევ უფრო დაიმცრო და დანაწილდა საგვარეულოს რამდენიმე შტოს წარმომადგენელთა შორის. ამას დაემატა ამ სათავადოს მნიშვნელოვანი ნაწილის გაუკაცრიელებაც გარეშე მტრების შემოსევევების წყალობით.

მამამისი ალექსანდრე პედაგოგი (მათემატიკის მასწავლებელი) გახლდათ და ამდენად, სოციალურად დაკავშირებული იყო ახალ სოციალურ ფენასთან — ინტელიგენციასთან (სხვათა შორის, ამ ფენას აღიარებდა და მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია). მისი სულიერი, ინტელექტუალური ინტერესები მხოლოდ აღნიშნული ვიწრო სპეციალობით როდი შემოიფარგლებოდა, არამედ იგი გატაცებული იყო აგრეთვე მშობლიური კუთხის (ქართლის) ისტორიით, არქეოლოგიით (მიწისზედა), ეთნოგრაფიითა და ფოლკლორით. ამგვარი გატაცება კი მისით არ დამთავრებულა და ამან თავის მხრივ დიდი ბიძგი მისცა ერთ-ერთ ძეთაგანს —მომავალ დიდ ისტორიკოსს ივანე ჯავახიშვილს. ალექსანდრე ჯავახიშვილი შეძლებისდაგვარად ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. ჩვენი სასიქადულო პიროვნების დედა კი კახეთიდან გახლდათ, სადაც მისი საგვარეულოს — ვახვახიშვილების წინაპრებიც აგრეთვე მესხეთიდან იყვნენ გადმოსულნი.

ბატონ ალექსანდრეს ოჯახი მთლად „პროლეტარული" როდი იყო. გარდა ჯამაგირისა შემოსავალი ჰქონდათ მამულებიდანაც, რომ-

---

წარწერა ასე იკითხება: „ძევახი, ჩემი სიცოცხლე, კარპაკი". პავლე ინგოროყვამ ეს სახელი ჯავახიშვილებს დაუკავშირა და დაასკვნა, რომ თორელების საგვარეულო (რომლიდანაც ჯავახიშვილები წარმოიშვნენ) მემკვიდრეა ჯავახიანთა ძველი იბერიული სახლი შტოსი, რომელნიც ფლობდნენ ძველი არმაზის საპიტიახშოს ტერიტორიის ნაწილს (იხ. ავტორის „ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა", ენიმკის მოამბე, X, თბილისი, 1941, გვ. 423—24). ეს მოსაზრება ნაკლებ სავარაუდოა. ცნობილი ირანისტის ვასილ აბაევის აზრით, სახელი „ზევახ", „ძევახ" სკვითურ-ოსური წარმოშობისა გახლავთ. „ჯავახ" ჯავახიშვილთა საგვარეულოში ალბათ გავრცელდა ჯავახეთის ერისთავობის გამო. „ზაბახა" კი საქართველოს ამ კუთხეს ჯერ კიდევ ურარტუს ხანაში ერქვა. ბევრად უფრო ანგარიშგასაწევია ისტორიკოს ნოდარ შოშიაშვილის მოსაზრება, რომ ივანე ჯავახიშვილი ეკუთვნოდა იმავე საგვარეულოს (თორელებისას), რომლის წარმომადგენელივე გახლდათ შოთა რუსთაველი; მთავარ არგუმენტად კი მას მოაქვს გვარსახელ „რუსთაველის" პირის (ინდივიდის) სახელად ქცევა ჯავახიშვილთა გვარეულობაში.

ლებიც ხოვლესა, ყარაღაჯსა და ფიცესში (დღევანდელ კასპის რაიონში) მდებარეობდა. ხოვლეში ჰქონდათ მამის (ივანეს) მიერ აშენებული ორსართულიანი შენობა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ოჯახი მაინც ხელმოკლედ ცხოვრობდა. ერთობ მოკრძალებული ყოფისა და ხელგაშლილი ცხოვრებისაგან (ასე რომ „გაითქვა სახელი" XIX საუკუნეში ჩვენმა თავადაზნაურობამ) შორს დგომის მიუხედავად, ოჯახის უფროსმა ვერ შეძლო თბილისში საკუთარი ბინის შეძენა. მეტიც, მომავალი დიდი ისტორიკოსის ოჯახს ცხოვრება უმეტესწილად მაშინდელი თბილისის არაპრესტიჟულ უბანში — ავლაბარში (დღევანდელ მეტროს სადგურის მახლობლად) მოუხდა ცხოვრება.

ცხრა წლის ვანო (ამ სახელით მოიხსენიებდნენ ხოლმე ყოველთვის ახლობლები) მშობლებმა შეიყვანეს თბილისის ერთ-ერთ პროგიმნაზიაში, საიდანაც სამი წლის შემდეგ გადავიდა თბილისის პირველ გიმნაზიაში. ცნობილია, რომ რუსეთის იმპერიაში მყოფი საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობა არ სწავლობდა მშობლიურ, ქართულ ენაზე (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლების გარდა), მათ არც მშობლიური ქვეყნის ლიტერატურას, ისტორიასა და გეოგრაფიას ასწავლიდნენ. ამიტომაც იმჟამინდელი ქართველი ახალგაზრდობა მოწყვეტილი იყო ქართული კულტურის ფესვებს, რაც ხელს უწყობდა მათში კოსმოპოლიტური გრძნობებისა და შეგნების გაჩენა-ჩამოყალიბებას (აი ერთ-ერთი საფუძველი საქართველოში სოციალ-დემოკრატების აღზევებისა!). მაგრამ, ვიმეორებთ, სულ სხვანაირი იყო სიტუაცია ალექსანდრე ჯავახიშვილის ოჯახში, სადაც ტრადიციებიდან, ცხოვრების წესიდან გამომდინარე და მშობლების, განსაკუთრებით მამის, წყალობით შვილები სწავლობდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას. სწორედ ამ გარემოებამ და თანდაყოლილმა სიყვარულმა მშობლიური ქვეყნისა და ხალხისადმი განაპირობეს მომავალი დიდი მეცნიერის არჩევანი — მთელი თავისი სიცოცხლე შეეწირა საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის. საერთოდ, როგორც ივანე ჯავახიშვილი იგონებდა, გიმნაზიაში სწავლისას მის საყვარელ საგნებს წარმოადგენდა ბერძნული ენა და მწერლობა, ისტორია და ფილოსოფია.

1895 წელს ივანე ჯავახიშვილმა დაამთავრა გიმნაზია და ამავე წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე. აღნიშნულ

უნივერსიტეტში 1845 წლიდან არსებობდა ქართული სიტყვიერების კათედრა, რომელსაც იმხანად ცნობილი ქართველოლოგი ალექსანდრე ცაგარელი განაგებდა. ბუნებრივი იყო, რომ ივანე ჯავახიშვილის შემდგომი ბედ-იღბალი მჭიდროდ დაკავშირებოდა სწორედ ამ კათედრას. მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, ალექსანდრე ცაგარელმა არ ისურვა, რომ ივანე ჯავახიშვილი, ისევე როგორც მანამდე ნიკო მარი, ამ კათედრაზე დარჩენილიყო საპროფესოროდ მოსამზადებლად, ჩვენი დიდი პიროვნება თავისთან სამუშაოდ მარმა მიიწვია. მაგრამ ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და ღვაწლის სათანადო წარმოჩენა, რომელიც უკვე გაშუქებულია სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებში. ჩვენ ყურადღებას ძირითადად გავამახვილებთ დიდი მეცნიერის გამორჩეულ პიროვნულ ნიშან-თვისებაზე — ნონკონფორმისტულობაზე.

მეფის რუსეთის დესპოტურ სახელმწიფოს, ცხადია, უმაღლესი განათლების გარეშე არსებობა უკვე აღარ შეეძლო. ამიტომ იგი იძულებული იყო შეგუებოდა „აუცილებელ ჭირს" — უმაღლეს განათლებასა და სტუდენტობას. მაგრამ ცარიზმი ყოველნაირად ცდილობდა ერთიცა და მეორეც თავისთვის შეეგუებინა და ამრიგად აღეზარდა მორჩილი ინტელიგენცია. 1895 წლის 5 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილი დებს „ხელწერილს მასზედ, რომ საიმპერატორო ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტად ყოფნის პერიოდში ვალდებულებას ვიღებ არა თუ არ გავხდე წევრი რომელიმე საიდუმლო საზოგადოებისა, არამედ თითოეულ ცალკეულ შემთხვევაშიც, უშუალო უფროსების ნებართვის გარეშე, არ შევიდე წევრად კანონით დაშვებულ საზოგადოებაში, აგრეთვე არ მივიღო მონაწილეობა რაიმე ფულადი შენატანებით. ჩემ მიერ ამ აღთქმის გატეხის შემთხვევაში ვექვემდებარები დაუყოვნებლივ გარიცხვას დაწესებულებიდან და მერთმევა ყველა უფლება ჩემ მიერ იმ ფულადი თანხების მიღებაზე, რომლებიც ნებადაურთველი მიზნისათვის შეიკრიბა". ამგვარ დოკუმენტზე ხელმოწერით სტუდენტი ივანე ჯავახიშვილი თავისებური ჯაჭვით იქნა მიბმული დესპოტურ სახელმწიფო მანქანაზე, რითაც ეკრძალებოდა თავისი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მრწამსი ჰქონოდა და მით უფრო, აშკარად გამოემჟღავნებინა. დავუმატოთ ისიც, თუ მატერიალურად როგორი ხელმოკლე ოჯახიდან გახლდათ ივანე ჯავახიშვილი.

ცხოვრება, მით უმეტეს ისტორიული მოვლენები, ადამიანს დიდ გამოცდებს უწყობს, ისინი მათ აყენებენ არჩევანის წინაშე: დადგნენ

სიკეთის ან ბოროტების, სოციალური პროგრესის ან რეაქციის მხარეზე. ნამდვილად ღირსეული პიროვნებები, ცხადია, არჩევანს სიკეთის, სოციალური პროგრესის სასარგებლოდ აკეთებენ. სულ მალე ამგვარი არჩევანის წინაშე დადგა ივანე ჯავახიშვილიც. რასაკვირველია, ივანე ჯავახიშვილის აქტიური ბუნება ვერ დასჯერდებოდა მხოლოდ დოკუმენტებსა და წიგნებში ჩაფლულ ისტორიკოსობას. ამის შესახებ კარგად წერდა სიმონ ჯანაშია: „ივანე ჯავახიშვილი სარბიელზე გამოდის არა როგორც კარჩაკეტილი კაბინეტის სწავლული, რომლისთვისაც სამეცნიერო საგანი მხოლოდ საკვლევ ობიექტს წარმოადგენს და სხვა არაფერს, არამედ როგორც საზოგადოებრივი მებრძოლი, რომლისთვისაც მეცნიერული მუშაობა საზოგადოებრივი აქტიურობის ერთი ფორმათაგანია მარტოოდენ"[1]. ქვემოთ მოტანილი ფაქტები ამას მშვენივრად ადასტურებენ.

1897 წლის ოთხ მარტს პეტერბურგში, ყაზანის მოედანზე, გაიმართა სტუდენტთა მრავალათასიანი დემონსტრაცია. იგი გამოწვეული იყო სტუდენტი ქალის ვ. ვეტროვას ტრაგიკულად დალუპვის ფაქტისადმი (მან ციხეში მედილეგეთა მხეცური საქციელისადმი პროტესტის ნიშნად თავი ჩამოიხრჩო) სოლიდარობის გამოცხადებით. სტუდენტთა ამ გამოსვლამ და მით უფრო მასობრიობამ დიდად შეაშფოთა რუსეთის უმაღლესი ხელისუფალნი. შეიკრიბა სპეციალური საკრებულო, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების მინისტრი გრაფი ი. დ. დელიანოვი. სხდომას ესწრებოდნენ: სინოდის ობერ-პროკურორი, სამხედრო, შინაგან საქმეთა, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებისა და გზათა მინისტრები, ასევე დედაქალაქის სხვა მაღალი ჩინოსნებიც. სხდომაზე დიდად გაკიცხეს დემონსტრანტი სტუდენტები „ბრალდებულ" ვეტროვას მსარდაჭერის გამო, ამგვარი ქმედება კვალიფიცირებულ იქნა სახელმწიფო დანაშაულად, მაგრამ, ცხადია, გამორიცხეს თვით მომხდარი დემონსტრაციის პოლიტიკური ხასიათი. კერძოდ, საკრებულო „მივიდა დასკვნამდე, რომ მომხდარი შემთხვევა განიხილოს, როგორც სიმშვიდისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამოვლენა და პოლიციის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა, რისთვისაც დემონსტრაციის მონაწილეებს, რომლებიც ჩაწერილნი არიან პოლიციის ყაზანის ნაწილში, დააკისრა დისციპლინარული სასჯელები". გადაწყვიტეს,

---

[1] შრომები, ტ. V, 1987, გვ. 384.

რომ ყველა დემონსტრანტი სტუდენტი ერთნაირად დაესაჯათ: იმ სტუდენტებს, რომელთაც სტიპენდია ან სხვა რაიმე დახმარება ჰქონდათ, დროებით ჩამორთმეოდათ იგი, ხოლო სხვებს შეფარდებოდა სამდღეღამიანი განმარტოებული (იზოლირებული) პატიმრობა. სხვათა შორის, „დიდი წინდახედულებაც“ გამოიჩინეს: რადგან ყველა მონაწილის იზოლირებული პატიმრობისათვის ადგილები არ ეყოფოდათ. ეს გადაწყვეტილება თანდათანობით და თანამიმდევრულად განხორციელებინათ. გამოტანილი ვერდიქტის თანასმად მეორეკურსელმა ივანე ჯავახიშვილმა სამი დღე-ღამე გაატარა ოთხი წლის წინათ აგებულ ციხეში—„კრესტში“. იმუქრებოდნენ, რომ მსგავსი საქციელის განმეორებისას სასჯელი უფრო დიდი იქნებოდა.

აღნიშნული ფაქტით, გარდა არაკონფორმისტულობისა გამოჩნდა ივანე ჯავახიშვილის ხასიათის ნიშან-თვისებანი: შეუპოვრობა და პრინციპულობა. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ ჯერ კიდევ ამ დემონსტრაციამდე, 1896 წლის თებერვალში, პირველკურსელმა ივანე ჯავახიშვილმა სტუდენტ ი. ჩარექიშვილთან ერთად წერილები გამოუგზავნა ილია ჭავჭავაძეს, გიორგი ზდანოვიჩსა და ნიკო ნიკოლაძეს, რომელთაც სთხოვეს მეტი აქტიურობა გამოეჩინათ ჩვენი ბედკრული სამშობლოს საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტად. აქვე მოვიტანთ ცნობილი ისტორიკოსის გრიგოლ ნათაძის შემდეგ მოგონებას, რომელიც ივანე ჯავახიშვილს შეეხება: „შევხვედრივართ ერთმანეთს საზოგადოებრივ მუშაობაში და კარგადაც გვიმუშავნია. მაგ. 1901 წელს, მაშინ, როცა მე ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, იმართებოდა დღესასწაული საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო. ჩვენ სტუდენტებს სამარცხვინოდ მიგვაჩნდა ეს და რუსეთიდან წერილებს ვწერდით თავადაზნაურობას, რომ პროტესტს ვაცხადებთ ამის გამო. მერე აქ რომ ჩამოვედით თავადაზნაურობის წინამძღოლმა დაგვიბარა, პროფ. ჯავახიშვილიც იქ იყო, მეც იქ ვიყავი, აგრეთვე კაკი წერეთელი, ერთი ფრონტი გვქონდა მაშინ, რა თქმა უნდა, ჯავახიშვილი გარკვევით წინააღმდეგი იყო თვითმპყრობელობის, რა თქმა უნდა, ნაციონალურ ნიადაგზე იდგა“.

ჯერჯერობით მთავარი ჩვენი მომავალი დიდი მეცნიერისათვის, ცხადია, ცხოვრების მთავარი მოწოდების — მეცნიერების დაუფლება იყო. მოძღვარ-მასწავლებელთა მხრივ კი ბედმა მას ნამდვილად გაუღიმა. აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე ასწავლიდნენ ალექსანდრე ცაგარელი (ქართულ ენასა და ლიტერატურას), ნიკო მარი (სომ-

ხურ ენასა და ლიტერატურას), ვიქტორ როზენი (არაბისტიკას), ვალენტინ ჟუკოვსკი (სპარსულ ენასა და ლიტერატურას), პავლე კოკოვცოვი (სირიულ ენას). გარდა მათი ლექციებისა ივანე ჯავახიშვილი ხშირად ესწრებოდა ლექციებს ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, სადაც ასევე ფრიად გამოჩენილი მეცნიერები ასწავლიდნენ — ნ. კარეევი, ი. გრევსი, ი. სმირნოვი (ისტორიაში), ფ. ზელინსკი (ბერძნული კულტურის ისტორიაში), ა. ვესელოვსკი (ლიტერატურის შედარებით ისტორიაში). ამასაც როდი სჯერდებოდა იგი და უსმენდა ვ. სერგეევიჩს (რუსული სამართლის ისტორიაში), ვ. ეფიმოვსა და ა. ისაევს (პოლიტიკურ ეკონომიაში), ლექციებს იურიდიულ ფაკულტეტზე[1]. ამას დავუმატებდით სამეცნიერო მივლინებებს გერმანიაში და კონტაქტებს აქაურ ცნობილ მეცნიერებთან გ. ა. ჰარნაკთან[2], კ. კრუმბახერთან, კ. ლამპრეხტთან. ეს ყოველივე გასაგებია. ერთ-ერთ გვიანდელ მოგონებაში ივანე ჯავახიშვილი ხომ სწერდა, რომ სტუდენტობიდანვე ისტორია ფართო გაგებით მიტაცებდა და ჩემი მაშინდელი და ეხლანდელი რწმენითაც ისტორიკოსს საფუძვლიანი ფართო განათლება უნდა ჰქონდესო. „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში კი ვკითხულობთ: „ისტორია რთული მეცნიერება არის, იგი არას დროს გასართობ წიგნად არ გამოდგება და ყოველთვის შესწავლისა და ღრმა დაკვირვების საგნად უნდა იყოს“. ჩვენი დიდი ისტორიკოსის მსგავსი შეგონებანი უაღრესად აქტუალურია დღევანდელ პირობებში, ქართული ისტორიოგრაფიის დაძაბუნების ჟამს.

მიილია სტუდენტობის წლები, ივანე ჯავახიშვილი უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი გახლდათ. ისტორიულმა სიტუაციამ მას ახალი გამოცდა მოუწყო. ცნობილია, რომ 1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში დიდი ამბები დატრიალდა, რომელმაც თავის

---

[1] ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია მტკიცება: „ივანე ჯავახიშვილის, როგორც მეცნიერისა და მოაზროვნის ჩამოყალიბება ხდება რუსული ისტორიოგრაფიის კრიზისისა და ისტორიოგრაფიაში ლენინური ეტაპის დასაწყისზე“. იხ. მარიამ ლორთქიფანიძე, ივანე ჯავახიშვილი, თბილისი, 1976, გვ. 31.

[2] ჰარნაკმა სთხოვა დარჩენილიყო და საფუძველი ჩაეყარა ბერლინის უნივერსიტეტში აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნების, პირველ რიგში საქართველოს ძველი ლიტერატურული ძეგლების დამუშავებას საერთო ქრისტიანული კულტურის საკითხთან დაკავშირებით და საზოგადოდ, ქართული ფილოლოგიის დარგში მუშაობას. იხ. სიმონ ყაუხჩიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბილისი, 1976, გვ. 16.

მხრივ შემდეგში თავისებური ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია. ამ ისტორიული ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდა „სისხლიანი კვირიდან“ თერთმეტი დღის გასვლის შემდეგ გაზეთ „ნაშა ჟიზნ“-ში რუს მეცნიერთა მიერ გამოქვეყნებული წერილი, სადაც გამოთქმული იყო პროტესტი იმის გამო, რომ განათლების მინისტრის ლ. ა. კასოს ბრძანებით უნივერსიტეტის შენობაში პოლიციის ძალები იქნა შეყვანილი. წერილში დაუფარავად, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, იყო გაცხადებული, რომ „ხალხის განათლების დარგში მთავრობის პოლიტიკა გამსჭვალულია უპირატესად პოლიტიკური ხასიათის თვალსაზრისით, წარმოადგენს მისი განვითარების მუხრუჭს, იგი აჩერებს ხალხის სულიერ ზრდას და სახელმწიფო დაკნინებამდე მიჰყავს“-ო. ეს იყო მკვეთრი გამოწვევა მეფის დესპოტური ხელისუფლებისა და კერძოდ, მეცნიერებათა აკადემიის კონსერვატული წრეებისა. წერილს თავდაპირველად 342 მეცნიერი აწერდა ხელს, მათ შორის 16 აკადემიკოსი, 125 პროფესორი და 201 პრივატ-დოცენტი. შემდგომში ხელმომწერთა რაოდენობამ 1500-ს მიაღწია. საპროტესტო წერილის გამოქვეყნების შემდეგ, 1905 წლის 24 იანვარს, ივანე ჯავახიშვილი გაზეთ „ნაში დნის“ რედაქციას ამცნობდა: „ღრმად პატივცემულო ბატონებო, იმის გამო, რომ აქამდე გაცნობილი არ ვიყავი პროფესორების მიერ განზრახულ ბანკეტში შეეძლო თუ არა მონაწილეობა დოცენტს და უმაღლესი სკოლის სხვა მასწავლებლებს, მე ვერ შევძელი თავის დროზე მომეწერა ხელი მიმართვაზე „განათლების საჭიროების შესახებ“. ვთხოვ პატივცემულ რედაქციას, მიუერთოს ჩემი გვარი ამ მიმართვის ხელის მომწერლებს“. ასე რომ, დროის ახალ გამოცდასაც ივანე ჯავახიშვილმა წარმატებით გაართვა თავი!

საინტერესოა ივანე ჯავახიშვილის ამ აქციის შემდგომი პერიპეტიები. უმაღლესი ხელისუფლება ამჯერად ისე ძლიერი აღარ იყო როგორც 1897 წლის მარტში და მან, რასაკვირველია, თავი შეიკავა რეპრესიებისაგან. სამაგიეროდ, ნიკო მარმა — ნამდვილად ფართო სამეცნიერო ინტერესებისა და ერუდიციის მქონე მეცნიერმა კი ვერ განჭვრიტა მომავალი პერსპექტივა და თავისი მუდამ კონიუნქტურული ქცევისა და პოლიტიკური აზროვნების გამო და აგრეთვე იმ კონკრეტული მიზეზის გამოისობით, რომ ელოდა მეცნიერებათა აკადემიაში არჩევას, მრისხანება ვერ დაჰფარა „ურჩი შეგირდის“ მიმართ. გაზეთ «Наши дни»-ს ფურცლებზე გამოქვეყნებისთანავე

(25 იანვარს) ნიკო მარი ივანე ჯავახიშვილს მიმართავდა: „უკანასკ-ნელ დროს, თითქმის ნახევარი წელიწადია მე უკვე ვამჩნევდი, რომ ჩვენი სამეცნიერო ურთიერთობანი რაღაცით წყდება, რაღაც ჩემ-თვის უხილავი დენით. უკანასკნელმა საუბარმა ნაწილობრივ გაა-ცხადა წყარო თქვენი გაცივებისა ჩვენი სამეცნიერო ურთიერთობი-სადმი"[1]. ამდენად, თუ ნიკო მარის ამ წერილის მიხედვით ვიმსჯე-ლებთ, ივანე ჯავახიშვილის მსგავსი „ერესი" აშკარად გამოკვეთილია უკვე 1905 წლის ივლისიდან და ამის თაობაზე მათ შორის უსია-მოვნო საუბარსაც ჰქონია ადგილი. თავის წერილში ნიკო მარი გა-ნაგრძობდა: „თქვენი განცხადება გაზეთ «Наши дни»-ში ჩემთვის საცნაურს ხდის, რომ ჩვენ გულწრფელად არ შეგვეძლო გვევლო ერთი და იგივე სამეცნიერო გზით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვია-როთ ხელიხელ ჩაკიდებულებმა და წინანდელი მჯიდრო თანამშრომ-ლობით სამეცნიერო და პოლიტიკური ინტერესების შეფარდების დიამეტრალურად სხვადასხვა გაგებისას, მაშინ როდესაც ჩემი ღრმა რწმენით მეცნიერი პროფესორის მიერ პარტიულ-პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობა მეცნიერების აკადემიურ თავისუფლებას ყველაზე მძიმე მორალური შედეგებით ემუქრება. მაგრამ რაკი სხვა-ნაირია თქვენი რწმენა, მე დიდად მოხარული ვარ, რომ ეს გამოაშ-კარავდა და გისურვებთ წარმატებას ამ ახალ სარბიელზე"[2]. მკითხ-ველი, ვფიქრობთ, ადვილად შეამჩნევს ირონიულ ტონს, რომელიც წერილის ბოლოსაა გაცხადებული. გულისტკივილით უნდა აღინიშ-ნოს ისიც, თუ როგორ ამჟღავნებს ნიკო მარი თავის გულნამცეცო-ბას — ივანე ჯავახიშვილს სთხოვს დაუბრუნოს მისგან ადრე წაღე-ბული ჰაგიოგრაფიული წიგნები.

სულ სხვაგვარი მორალური იერსახე ჩანს ჩვენი დიდი წინაპრის პასუხში: „ჩემი პოლიტიკური მიმართულება და იდეალები, მე მეჩვე-ნებოდა, თქვენთვის ნათელი იყო ადრეც ჩვენი უწინდელი საუბრები-დან. ყოველ შემთხვევაში მე ვერ ვიფიქრებდი, რომ მოთხოვნებს ერთობლივი სამეცნიერო შესაძლებლობებისათვის, იმისათვის რათა ხელიხელ ჩაკიდებულებს გვევლო ერთი და იგივე სამეცნიერო გზით, შეეძლოთ ისე შორს წასულიყვნენ, რომ მე აუცილებლად დამ-ჯირდებოდა ჩემი პოლიტიკური და მორალური რწმენის ნიველირება

---

[1] იხ. ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა, თბი-ლისი, 1996, გვ. 24.

[2] იქვე.

და შეთანხმება თქვენეულთან. მე ყოველთვის ვაცალკევებდი სამეცნიერო შეხედულებებსა და ინტერესებს პოლიტიკურისაგან. ჩემი წერილი «Наши дни»-ს რედაქციისადმი წარმოადგენს არა პარტიულ ბრძოლაში მონაწილეობის გამოვლინებას, როგორც თქვენ ფიქრობთ, არამედ მოქალაქის მოვალეობის აღსრულებას, რადგან სახელმწიფოს ცხოვრების მსგავს მომენტებში ყოველი მოქალაქის ვალია, — ასეთი გახლავთ ჩემი ღრმა რწმენა, — გამოთქვას ამა თუ იმ მხრით, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩემეული ქმედება ყველაზე ნაკლებად ემუქრება „აკადემიურ თავისუფლებას", რომელიც ფაქტობრივად არ არსებობს"[1]. და ამ დიდებული მორალურ-ეთიკური ჟესტის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი დაუყოვნებლივ აბრუნებს წიგნებს.

რასაკვირველია, ასეთი სიტყვიერი დუელის შემდგომ სწირად ადამიანთა შორის ურთიერთობები წყდება, მაგრამ ისტორიული ვითარება იმსანად სხვანაირად წარიმართა, რაშიც ნიკო მარი მალე დარწმუნდა და მან უკანვე წაიღო თავისი გამოწვევა. ასე რომ, ურთიერთობები ორ მეცნიერს შორის კვლავ გაგრძელდა.

მეფის თვითმპყრობელობის კრიტიკა აშკარად ჩანს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის „მამულიშვილობა და მეცნიერება" შემდეგი ადგილიდან: „ერთ დროს იმათაც (იგულისხმებიან მ. ლომონოსოვი და ნ. კარამზინი, გ. ყ.) ეგონათ, ვითომც ისტორიკოსი მოვალე ყოფილიყოს დაემტკიცებინა, რომ განუსაზღვრელი თვითმპყრობელობა რუსეთის ცხოვრების დედაბოძი, უკვდავების წყარო გახლდათ"[2]. აღნიშნული კონტექსტით უნდა იქნას აღქმული ივანე ჯავახიშვილისეული სიტყვები: „ამგვარად საქართველოს მეფეებს ასი წლის მედგარმა, მძიმე შრომამ და მეცადინეობამ, რომ თვითმპყრობელობა როგორმე გაემაგრებიათ, ფუჭად და ამაოდ ჩაუარათ"[3]. აქ იგულისხმება პერიოდი დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული თამარის მეფობის ჩათვლით. ამ სიტყვებში, ვიმეორებთ, ჩანს თანამედროვე რუსეთის სახელმწიფოს თვითმპყრობელური ხასიათის კრიტიკა და იმავდროულად სიამაყეც ჩვენი ისტორიის აღნიშნული ხანით. იგივენაირი

---

[1] იხ. ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა, გვ. 34.

[2] გვ. 8. აქვე ეკითხულობთ: „ბ-ნ გოგებაშვილს ვურჩევთ პრ. მილიუკოვის „Главнейшие течения русской исторической мысли" წაიკითხოს და იქ, დაინახავს, რა ღღეც დააღგა კარამზინს".

[3] საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, ტფილისი, 1905, გვ. 79.

გრძნობა და განწყობა გამოსჭვივის ნაშრომის „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“ შემდგომი ადგილებიდან, რომლებიც თამარის წინა პერიოდისა და თანადროული პერიოდის ოპოზიციურ-პოლიტიკურ გამოსვლებს ეხება. როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ამგვარად თვითმპყრობელობის აჩრდილიც უნდა გამქრალიყო და საქართველოში პარლამენტის მსგავსი დაწესებულება დაარსებულიყო“; „თვითმპყრობელობის შეზღუდვის მომხრეთა დასის გაფიცვას სავსებით ამაოდ და უნაყოფოდ არ ჩაუვლია“[1].

ივანე ჯავახიშვილის სრულიად ნონკონფორმისტული განწყობა გამოჩნდა 1906 წელს პეტერბურგში გამოქვეყნებული ნარკვევით (ცალკე ბროშურის სახით) „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში“, რომელიც გამომცემლობა „საქართველომ“ დაბეჭდა. იგი ესმაურებოდა 1905—07 წლების მღელვარე ამბებს საქართველოში, განსაკუთრებით გურიის გლეხობის მოძრაობას. ავტორი აშკარად გამოსთქვამდა სიმპათიებს ამ მოვლენებისადმი და იმდროინდელი აწმყოს თვალით ხედავდა გასული საუკუნის შესაბამის პროცესებსაც. სხვანაირად რომ ვთქვათ, ივანე ჯავახიშვილი მაშინდელ აწმყოში განვითარებულ მოვლენებს შემთხვევითობად კი არ მიიჩნევდა, არამედ წინა საუკუნის შესაბამისი ისტორიული პროცესის კანონზომიერ გაგრძელებად. ნარკვევის გამოსვლა იმპერიის სატახტო ქალაქში რაიმე დავიდარაბის გარეშე მოხდა. მაგრამ მის გამო „ქარიშხალი“ ატყდა პერიფერიაში — საქართველოში! როცა გადაწყვიტეს ბროშურის გამოცემა საქართველოში, ბეჭდვითი სიტყვის ტფილისის კომიტეტში წარადგინეს მოთხოვნა მისი გამოცემის ნებართვისათვის. ცენზურამ უარი განაცხადა ასეთი ნებართვის გაცემაზე, თუმცა გამომცემელმა კომიტეტში წარადგინა 1906 წელს პეტერბურგში რუსულად გამოცემული ივანე ჯავახიშვილისეული ეს ნაშრომი, რომელიც, ცხადია, სათანადო ნებართვით გამოქვეყნდა და კვლავ, ხელმეორედ მოითხოვა ნებართვა. თბილისის ცენზურამ წიგნაკის გამოქვეყნების მიზანშეუწონლობის შესახებ მოხსენება წარუდგინა კავკასიის მეფისნაცვალ ი. ვორონცოვ-დაშკოვს. ამ უკანასკნელმა კვლავ, კომიტეტის მსგავსად დაასტურა ბროშურის ქართულად გამოცემის აკრძალვა, რასაც მოჰყვა რუსულად დაბეჭდილი წიგნის აკრძალვაც. ამ დროისათვის დაბეჭდილი ხუთი ათასი ცალიდან ნახევარი უკვე გაყიდული იყო, მეორე ნახევარი კი კონფისკებულ და

---

[1] საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, ტფილისი, 1905, გვ. 84, 86.

დამწვარ იქნა[1], მეტიც ივანე ჯავახიშვილი სასამართლო პასუხისგებაშიც კი მისცეს, „როგორც არსებული ხელისუფლებისადმი მტრული განწყობილების გამომწვევი და ხელისუფლების შეცვლისაკენ მიმართული ნაშრომის ავტორი“. ივანე ჯავახიშვილს აეკრძალა სამი წლით პეტერბურგიდან გასვლა სათანადო ნებართვის გარეშე[2]. როგორც შემდეგ აღიარებდა, თურმე ავტორს მეტი სასჯელიც ელოდა, მაგრამ ამჯერად თავადის წოდებულებას უშველია. მაგრამ ივანე ჯავახიშვილზე საიდუმლო ზედამხედველობა მაინც დააწესეს, რაც, უნდა ვიფიქროთ, „ძველი რეჟიმის“ არსებობის დანარჩენ მანძილზე — 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციამდე გრძელდებოდა.

1907 წლის ზაფხულში გიორგი გვაზავამ, ვარლამ ჩერქეზიშვილმა და მიხაკო წერეთელმა ქართველი ერის სახელით პეტიცია შეადგინეს და ჰააგის სამშვიდობო კონფერენციას გაუგზავნეს. ამით შეეცადნენ როგორმე გამოეყენებინათ საერთაშორისო სამართალი ჩვენი შელახული ეროვნული უფლების აღდგენისათვის. თუმცა ივანე ჯავახიშვილის სახელს ვერ ვხედავთ ხელმომწერთა შორის, მაგრამ, როგორც ვარაუდობს მკვლევარ-ისტორიკოსი ოთარ ჯანელიძე, იგი უთუოდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მისი შედგენის საქმესთან (პეტიციას შესაძლოა ხელი არ მოაწერა მეფის სასამართლოს ზემოხსენებული მკაცრი დადგენილების გამო). ივანე ჯავახიშვილის საკმაოდ რადიკალურ ქცევას ისიც ამტკიცებს, რომ ლექციებს თვით უნივერსიტეტშიც კი ქართულად კითხულობდა.

1912 წელს ივანე ჯავახიშვილი კვლავ აღმოჩნდა რეპრესიების დიდი საფრთხის წინაშე იმ ანკეტის გამო, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართულმა სამეცნიერო წრემ მისი ხელმძღვანელობით შეიმუშავა და გაავრცელა. კერძოდ, ოდესის პოლიცია დიდად დაეჭვდა და ამის თაობაზე მან სათანადო განცხადებითაც მიმართა უმა-

---

[1] შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ბროშურა საბჭოთა პერიოდის მანძილზე მხოლოდ ერთხელ, 1953 წელს, ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ V წიგნის შემადგენლობაში, გამოვიდა, მაგრამ ამ გამოცემასაც თითქმის ანალოგიური ბედ-იღბალი ეწვია.

[2] მიუხედავად აკრძალვისა, ამ წლებში ივანე ჯავახიშვილი მაინც ახერხებდა საქართველოში ჩამოსვლას. არ ვიცით ეს სათანადო ნებართვით ხდებოდა თუ მეფის მთავრობის დაძაბუნებით. სხვათა შორის, ცენზურის თბილისის განყოფილებაში ატეხილი საქმის დოკუმენტაცია აღმოაჩინა პაატა გუგუშვილმა საქართველოს სსრ ცენტრარქივში 1926 წელს. როცა ამის თაობაზე ივანე ჯავახიშვილისათვის უთქვამს, მას განუცხადებია: მეტისმეტი ყურადღება მიუქცევიათო.

ლლეს ხელისუფლებას, მაგრამ ამჯერად საქმე მშვიდობიანად დამთავრდა.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში აღმოჩენილია დოკუმენტი, რომელიც 1916 წლის დეკემბრით თარიღდება. მის მიხედვით თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი ატყობინებდა პოლიციის დეპარტამენტს: ცნობები გვაქვს, რომ პეტერბურგში მცხოვრები ქართველები შეპყრობილი არიან საქართველოს მიერ ავტონომიის მოპოვების სურვილით. ასეთთა შორისაა ისტორიკოსი, პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც თავის დასკვნებს საისტორიო დოკუმენტებზე დაყრდნობით ასაბუთებს. ჯავახიშვილს ვითომდა ქშწგს-ის მდივნის სამსონ ფირცხალავას სახელზე ვიღაც სტუდენტის ხელით გამოუგზავნია წერილი: გერმანიის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი (ციმერმანი) კარგად იცნობსო საქართველოს საკითხს, ძალიანაა ამით დაინტერესებული და დაგვპირდა რომ აღნიშნული საკითხი სამშვიდობო კონფერენციაზე წამოჭრასო. იგივე დოკუმენტის თანახმად, ივანე ჯავახიშვილი ინკოგნიტოდ გამგზავრებულა სტოკჰოლმში, სადაც შეხვედრია გერმანიის ელჩს. მოლაპარაკება, ბობოლა ჟანდარმის აზრით, შეეხებოდა საქართველოს საკითხს. თუ რამდენად სარწმუნო გახლავთ ამ დოკუმენტის მტკიცება, ამას მომავალი კვლევა-ძიება, შესაძლო ახალი დოკუმენტები გაარკვევენ. მაგრამ ის კი უეჭველია, რომ თუ არა რუსეთის წარუმატებლობანი პირველ მსოფლიო ომში და კარსმომდგარი რევოლუცია, ჩვენი დიდი წინაპარი დიდ რეპრესიებს გადაეყრებოდა.

რუსეთის თებერვლის რევოლუცია პროგრესული ხასიათისა იყო (სრულიადაც არა მსგავსი ე. წ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა)[1]. ისე ჩანდა, რომ იგი მანამდე არნახულ პერსპექტივებს გადაუშლიდა რუსეთსა და დაჩაგრულ არარუს ხალხებს (ერებს). ასეთი პერსპექტივები გადაიშალა, კერძოდ, საქართველოს წინაშე.

ახალი, ხელსაყრელი ისტორიული სიტუაცია ქართულმა საზოგადოებრიობამ უპირველესად ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგე-

---

[1] შალვა ნუცუბიძის მოგონებით ამ დღეებს ივანე ჯავახიშვილი ბარიკადებზე შეხვედრია. იხ. შალვა ხიდაშელი, შალვა ნუცუბიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1989, გვ. 10. იგივე მომისმენია ბატონ სიმონ ყაუხჩიშვილის მონათხრობიდან, თუმცა 1976 წელს გამოსულ წიგნში „ივანე ჯავახიშვილი" იგი არ იხსენიებს ამ ამბავს, მაგრამ ეს ალბათ ავტორის საცენზურო მოსაზრებით აიხსნება.

ნად გამოიყენა. რასაკვირველია, რუსეთის დროებითი მთავრობა აღფრთოვანებით როდი შეხვედრია ამგვარ მცდელობას, მაგრამ მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა, ამ მხრივ, ისტორიული სამართლიანობა აღდგენილ იქნა, რაშიც თავისი წვლილი შეიტანა ივანე ჯავახიშვილმაც, რომელსაც რუსეთის იმპერიის დედაქალაქში ცხოვრების გამო გარკვეული შესაძლებლობები გააჩნდა.

სულ მალე, 1917 წლის აპრილიდან ივანე ჯავახიშვილი საქართველოში დაბრუნდა[1]. ამ დროიდან დაწყებული მან დიდი ძალისხმევა გამოიჩინა დიდი ხნის ჩანაფიქრის — თბილისის უნივერსიტეტის იდეის ხორცშესხმისათვის. რუსეთის „დემოკრატიული" დროებითი მთავრობა ამ მხრივაც დიდ დაბრკოლებებს ჰქმნიდა: იგი თანახმა იყო მხოლოდ რუსული უნივერსიტეტის დაარსებისა (თანაც მთელი ამიერკავკასიისათვის). სათანადო დახმარება არც საქართველოს „დროებითი მთავრობის" — ეროვნული საბჭოს მხრიდან იყო. მაგრამ ქართველ მეცნიერთა მცირერიცხოვანმა დასმა ივანე ჯავახიშვილის მოთავეობით დასახულ მიზანს მაინც მიაღწია — ნიკო ცხვედაძის უდიდესი ძალისხმევით აშენებულ დიდებულ თეთრ ტაძარში უნივერსიტეტი დაფუძნდა!

თუმცა უნივერსიტეტის დაფუძნების მთავარი სულისჩამდგმელი ივანე ჯავახიშვილი გახლდათ და რექტორობაც მას ეკუთვნოდა, ეს თანამდებობა მხცოვან პეტრე მელიქიშვილს დაუთმო, თვითონ ივანე ჯავახიშვილი კი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი გახდა. უნივერსიტეტში იმხანად და შემდგომი წლების განმავლობაში ივანე ჯავახიშვილს აბელ კიკვიძის გადმოცემით, მიჰყავდა შემდეგი კურსები: 1) საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი), 2) საქართველოს ეკონომიკური ისტორია, 3) ქართული სამართლის ისტორია, 4) ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 5) საქართველოს ისტორიის დამხმარე დისციპლინები (ქართული პალეოგრაფია, ნუმიზმატიკა, მეტროლოგია, დიპლომატიკა), 6) საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორია, 7) სომხეთის ისტორია, 8) ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, 9) კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ეთნოლოგიურ-ლინგვისტური პრობლემები, 10) მახლობელი აღმოსავლეთის

---

[1] შეგახსენებთ, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების შემდეგ, 1913 წელს, მისმა თავმჯდომარემ ექვთიმე თაყაიშვილმა ივანე ჯავახიშვილს შესთავაზა თბილისში გადმოსელა და ამ საზოგადოების ფასიანი თავმჯდომარეობა, რაზედაც ბატონმა ივანემ უარი ვანაცხადა.

ისტორია, 11) ძველი სპარსული საისტორიო მწერლობა[1]. თანაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ აღნიშნულ კურსებს საფუძვლად ძირითადად ივანე ჯავახიშვილის შრომები ედო!

თუ როგორი ლექტორი გახლდათ ივანე ჯავახიშვილი, ამის თაობაზე ჯერ ქალბატონ ფატი გოკიელის მოგონებას მივმართავთ (ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია): „ივანე ჯავახიშვილი ლექციას კითხულობდა დინჯად, ხმის აუმაღლებლად, ჩვეულებრივი სასაუბრო კილოთი. მისი არაჩვეულებრივად სიმპათიური, თითქოს გამოქანდაკებული სახე მშვიდი და ოდნავ მოღიმარი იყო. მაგრამ თვალების გამომეტყველება სრულიად ეცვლებოდა, როცა საქართველოს წარსულის რომელიმე სავალალო და ბედშავს ამბავს შეეხებოდა. მაშინ ხმა აუთრთოლდებოდა, ფერი ეცვლებოდა, თვალებში სევდა ჩაუდგებოდა, ხანდახან შეჩერდებოდა კიდეც და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძობდა თხრობას. ეგი ჩვენ თვალწინ იდუმალად განიცდიდა ჩვენი ერის ტრაგიკულ წარსულს და თავისი ხალხის სიყვარულის მწველ ცეცხლს ვეღარ მალავდა იმ წუთებში ეს უაღრესად თავდაჭერილი და დარბაისელი ადამიანი“. ცნობილი ფოლკლორისტი მიხეილ ჩიქოვანი მოგვითხრობს: „ხელი წინ ეწყო და ისტორიულ მოვლენათა გულწარმტაც სურათს გადმოსცემდა. ლექციის კითხვისას არასოდეს შემიმჩნევია ეფექტისათვის გამიზნული მოძრაობა და ზეაწეული მეტყველება... მისი საუნივერსიტეტო ლექცია ნამდვილი სკოლა იყო სიტყვის უმაღლესი და უფაქიზესი გაგებით. ორი საათის მანძილზე აუდიტორიაში ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით; ყველა სულგანაბული მისდევდა რთული მსჯელობის ლაბირინთებს და ივანესებური ტკბილქართულით ისიბლებოდა.

მსმენელების სავსე აუდიტორია მხოლოდ მაშინ შეირხეოდა და ამეტყველდებოდა, როცა ზარის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი ფეხზე წარმოდგებოდა და ფართო ანალიზით ნასიამოვნები მტკიცე ნაბიჯით დერეფანში გავიდოდა“[2].

ივანე ჯავახიშვილის იშვიათ დემოკრატიზმსა და ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვაზე პროფ. შოთა მესხია თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებს მოგვითხრობდა შემდეგს: სტუდენ-

---

[1] იხ. «Академик И. А. Джавахишвили», «Историк-марксист», 1941, № 1, გვ. 158.

[2] იხ. კრებული, მიძღვნილი აკად. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი, თბილისი, 1977, გვ. 93.

ტობისა თუ ასპირანტობის წლებში (ზუსტად აღარ მახსოვს) მას გაუ-
კრიტიკებია დიდი მეცნიერის ერთი კერძო მოსაზრება, მაგრამ ამით
ივანე ჯავახიშვილი კი არ განაწყენებულა, არამედ პირიქით[1].

ივანე ჯავახიშვილის საისტორიო სემინარის თაობაზე მოვიტანთ
ცნობილი მკვლევრის ვალერიან გაბაშვილის მოგონებიდან ერთ ამო-
ნარიდს: „ჩვენ ვალდებული ვიყავით წაკითხული კონტექსტიდან გა-
მოგვეტანა ყველაფერი, რის გამოტანაც იქიდან შეიძლებოდა. ყურად-
ღება ექცეოდა ყველა დეტალს, ყოველგვარ ნიუანსს, სიტყვის ან ფრა-
ზის ყველა შესაძლებელ მნიშვნელობას. ერთი სიტყვით, სათანადო
წყაროს სათანადო კონტექსტში უნდა დაგვენახა ის, რაც გარეგნულად
შეუმჩნეველი იყო და მხოლოდ გამახვილებულ და გაწაფულ თვალს
შეეძლო შეემჩნია"[2].

ივანე ჯავახიშვილს, როგორც ენერგიულ საზოგადო მოღვაწეს და
თანაც პროფესიით ისტორიკოსს, ცხადია, არ შეეძლო პოლიტიკური
ცხოვრებისაგან განზე გადგომა. ამიტომაც იგი აქტიურად ჩაერთო
საქართველოს განახლებულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. სოციალ-დე-
მოკრატთა შორის მისი ყოფნა, რა თქმა უნდა, გამორიცხული იყო.
თუმცა მას პიროვნულად დიდი მეგობრობა აკავშირებდა ქართველი
სოციალისტ-ფედერალისტების მოთავეებთან, მაგრამ არც ამ პარტიის
რიგებში ჩამდგარა. იგი უცილობლად იზიარებდა სოციალისტ-ფედე-
რალისტთა ერთ-ერთ მთავარ საპროგრამო მოთხოვნას ჩვენი ქვეყნი-
სათვის ავტონომიის მინიჭების თაობაზე, მაგრამ როგორც ჩანს, აფრ-
თხრობდა ამ პარტიის მიდრეკილება სოციალისტური იდეალისადმი. აღ-
ნიშნული პარტიისაგან განსხვავებით ივანე ჯავახიშვილი სავსებით
იზიარებდა ეროვნულ-დემოკრატების პროგრამას, მაგრამ ფაქტია, რომ
იგი არც მათს პარტიაში არ შესულა.

1918 წლის ივლისში თბილისში შეიქმნა „დამოუკიდებელთა
(უპარტიოთა) კავშირი", რომლის თორმეტკაციან საბჭოში ივანე ჯა-
ვახიშვილიც შედიოდა. აღნიშნული პოლიტიკური გაერთიანება ცნო-
ბილი პიროვნებებისაგან შედგებოდა, რომელთაგანაც კოტე აფხაზი და
კოტე მაყაშვილი ეროვნული საბჭოს წევრები იყვნენ.

---

[1] მსგავსი რამ მომხდარა ვახტანგ კოტეტიშვილთან კამათის დროსაც (ქართულ ხალხურ შემოქმედებაში მზისა და მთვარის სქესების საკითხში.) იხ. ნანა კოტეტი-შვილის სტატია „რას ვაკეთებ და რისთვის ვაკეთებ". გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 10—17 სექტემბერი, 1999.

[2] იხ. „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 3, გვ. 159.

როგორც ვიცით, 1918 წლის დეკემბერში სომხეთის მმართველმა წრეებმა ომი წამოიწყეს საქართველოს წინააღმდეგ, რითაც მიზნად ისახავდნენ ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილისა და სამცხე-ჯავახეთის მითვისებას. უნივერსიტეტის სტუდენტობა აქტიურად გამოეხმაურა ქვეყნის პოლიტიკურ ძნელბედობას. 17 დეკემბერს გაიმართა სტუდენტთა საერთო კრება, რომელზედაც დაადგინეს, რომ ყველა მათგანი, განურჩევლად პარტიული კუთვნილებისა, ბრძოლის ველზე გავიდოდა[1]. მეორე დღეს უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა ლექცია (ცხადია, არასასწავლო): „ქართველ-სომეხთა შორის სადაო ადგილების ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა". ლექტორი აღნიშნავდა, რომ ის მხარეები, რომელზედაც პრეტენზიებს აცხადებდნენ სომხეთის მმართველი წრეები, ეკონომიკურად ბევრად უფრო საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებულნი. ასტორიული თვალსაზრისითაც სათელი გაბლდათ, რომ სადაო მხარეები საქართველოს და არა სომხეთს ეკუთვნოდა. რაც შეეხება სომეხ პოლიტიკოსთა და იდეოლოგოსთა მთავარ არგუმენტს, ამის თაობაზე ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა: „ერთადერთი საფუძველი, რომელსაც ამის შემდეგ სომხეთი უნდა ემყარებოდეს, რეალური მოსახლეობის პრინციპია, რუსეთის მოსვლის დროს ამ მაზრებიდან აიყარა ქართველი მაჰმადიანობა და მათ ადგილზე კი მშვიდობიანის გზით შემოსული სომხობა დასახლდა. ამიტომ არის, რომ ისინი ამ ადგილებში მცხოვრებთა მეტ პროცენტს შეადგენენ. მაგრამ არც ეს აძლევს სომხეთს საბუთს, რომ მათ ეს ადგილები მოითხოვონ. განა ამერიკაში გადასახლებულ 10 მლნ გერმანელებს ნება (ე. ი. უფლება, გ. ყ.) აქვთ ის ადგილები, რომელზედაც ისინი ცხოვრობენ, გერმანიის კუთვნილებად გამოაცხადონ"-ო[2].

მომხსენებელმა შემდეგ აღნიშნა, რომ სომეხთა შემოსევა აღნიშნული ადგილების დასაპყრობად პირველი ცდა როდია, რომ ეს საუკუნეების განმავლობაში მათ სურვილს შეადგენდა და საამისოდ არც პრაქტიკულ მცდელობას აკლებდა. და დღესაც, როდესაც ახალი, განახლებული საქართველო მათთან მეგობრული ურთიერთობების გან-

---

[1] იხ. გაზეთ „საქართველოს" 1918 წლის 19 და 20 დეკემბრის (ქრისტეშობისთვის) ნომრები.

[2] იხ. „საქართველო", 1918 წლის 20 დეკემბერი, ვინმე ელპარიძის ინფორმაცია „პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია".

მტკიცებას ცდილობს, სომხეთი მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს, რითაც საფრთხეს უქმნის მის დამოუკიდებლობასო. ივანე ჯავახიშვილს ლექცია დაუმთავრებია სიტყვებით: „საქართველოს არასოდეს არ გასჭირვებია სომხეთთან ომი და არც ახლა გაუჭირდება, მაგრამ, თუ ვინიცობაა გაუჭირდა, ქართველურად ქუდზე კაცი გავალთ და საქართველო, რომელიც 30 საუკუნე არსებობს, ჩვენი მკერდით დაცული კვლავ იარსებებს“.

აღნიშნულ საგაზეთო ინფორმაციაში ვკითხულობთ: „ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი ჯგუფები უნდა დარწმუნდნენ, რომ იმ ერთან, რომელიც წარსულშიც და ახლაც საქართველოს საფრთხეს უმზადებს, არავითარი კონფერენციების მართვა (ე. ი. გამართვა, გ. ყ.) არ შეიძლება. ჩვენ თუ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა გვსურს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უნდა ვებრძოლოთ სომხის ერს, რომელიც ამ დამოუკიდებლობას უდიდეს საფრთხეს უმზადებს“. მაგრამ დაბეჯითებით ვიტყვით, რომ ჩვენი დიდი წინაპარი შორს იდგა მთლიანად ჩვენს სამხრეთელ მრავალტანჯულ მეზობელზე ამგვარი წარმოდგენისაგან და იგი ჟურნალისტის შეთხზული უნდა იყოს . აქვე ვიტყვით, რომ თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეისადმი მტრობაში მხოლოდ სომეხთა პლუტოკრატიასა და დაშნაკთა პოლიტიკურ პარტიას ადანაშაულებდა. ცხადია, ქართველი ბოლშევიკ-კომუნისტები ამ გარემოებას ვერ მიხვდებოდნენ და მიტომაც ისინი, ივანე ჯავახიშვილის საწინააღმდეგო კამპანიების დროს, ხშირად წამოსძახებდნენ ხოლმე „მსგავს ანტისომხურ გამოხდომებს“.

სულ მალე, მომდევნო წლის იანვარ-მარტში დაწერილ ნაშრომში „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ (გამოვიდა თბილისში 1919 წელს), ჩვენი დიდი წინაპარი წერდა: „ზოგან, სადაც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის უვნებლად დათმობა შეიძლება, საქართველოს შეუძლიან დაუთმოს მეზობლებს, რომ მეზობლური განწყობილება, რომელიც საქართველოს წარსულშიაც კარგი ჰქონდა, ეხლაც თანხმობითა და მშვიდობიანობით დაიწყოს“[1]. მეორეგან უფრო კონკრეტულად არის აღნიშნული: „კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარება-განმტკიცებისათვის ქართველობას შეუძლიან უარი სთქვას თავის უფლე-

---

[1] დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

ბაზე იქ, სადაც საქართველოს თავდაცვის საშუალებას ეს დათმობა საგრძნობ ზიანს არ მიაყენებს, მაგ., აღმოსავლეთით, საინგილოში საზღვრად გიშის წყლის მაგიერ კაშკაჩაი დასდვას, სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვრის ხაზად კი ისტორიულის მაგიერ დებედას შემდინარეების წყალთ-გამყოფელი მთა აირჩიოს, სოლო სამხრეთის ხაზად ისტორიულის სამზღვრის ერევნის (ბამბაკის) მთების მაგიერ უფრო ჩრდილოეთით მდებარე ბერდუჯის (რუს. ბეზობდალის) მთები მიიჩნიოს მოსაზღვრე ხაზად: საქართველოს ხელში ბერდუჯის მთები იქმნება, სომხეთის ზღუდედ და სამზღვრად ერევნის მთები"[1]. აქაც შევნიშნავთ, რომ ივანე ჯავახიშვილი თავის კრიტიკულ პათოსს კვლავ წარმართავს „სომეხთა პოლიტიკური და გავლენიანი წრეების", „სომეხთა გავლენიანი წრეების", და „დაშნაკთა ბელადების" წინააღმდეგ. ასე რომ, მთლიანად სომხობა, მისი აზრით, აქ არაფერ შუაშია.

როდესაც დამფუძნებელი კრების არჩევნები მოახლოვდა (1919 წლის 14—16 თებერვალს) ივანე ჯავახიშვილი ეროვნულ-დემოკრატებმა თავიანთ საარჩევნო სიაში შეიყვანეს (მეთერთმეტე ნომრად). მაგრამ მან „დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირის" სიაში ყოფნა ამჯობინა, სადაც მეორე ნომრად (ზურაბ ავალიშვილის შემდეგ) იყო წარდგენილი. მოხდა მოულოდნელი რამ: აღნიშნულმა კავშირმა, ისევე როგორც სხვა ათმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ, ერთი დეპუტატიც კი ვერ გაიყვანა. მას (რიგითი მეთვრამეტე ნომერი გახლდათ) თბილისში ხმა მისცა 480 ამომრჩეველმა, ქუთაისში 24-მა, ფოთში — 41-მა, ჭიათურაში კი — ათმა და ა. შ. საერთო ჯამში „უპარტიოთა კავშირმა" მხოლოდ ათასამდე ხმა შეაგროვა, რამაც განაპირობა მისი დარჩენა დამფუძნებელი კრების მიღმა. აღნიშნული გარემოება ჩვენი ისტორიის პარადოქსია, რომელიც გაგება-გააზრებას საჭიროებს. ხაზს ვუსვამთ: არჩევნებში სასტიკად დამარცხდა პოლიტიკური გაერთიანება, რომლის ელიტასაც შეადგენენ: ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, კოტე აფხაზი, კოტე მაყაშვილი, კონსტანტინე ამირაჯიბი, ალექსანდრე გედევანიშვილი (საქართველოს ჯარის სარდალი) და სხვანი! სხვას რომ თავი დავანებოთ, ივანე ჯავახიშვილი სომ უნივერსიტეტის მთავარი მესაძირკვლე იყო და ათასზე მეტი ხმა მხოლოდ სტუდენტო-

---

[1] საქართველოს საზღვრები... გვ. 51.

ბას, მის ახლობლებს უნდა მიეცათ[1]. მაგრამ ვიმეორებთ, სხვანაირად მოხდა და ამის მიზეზი იმდროინდელი ქართველი ელექტორატის მენტალიტეტში არის საძებნი. შესაბამისად, აქვეა მოსაძებნი ქართველი სოციალ-დემოკრატების წარმატებაც —მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 84%, საკანონმდებლო ორგანოში გაიყვანეს 109 დეპუტატი. (მაგრამ თითქმის მსგავსი რამ ჩვენში ხომ 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბერშიც განმეორდა!).

ცხადია, არჩევნებში დამარცხება ივანე ჯავახიშვილისათვის დიდად საწყენი იქნებოდა, მაგრამ ამის გამო იგი ჩვენი ქართული ხელისუფლებისაგან განზე როდი გამდგარა. იგი, ვითარცა ექსპერტი („საქმის მცოდნე") ზურაბ ავალიშვილთან და ფილიპე გოგიჩაიშვილთან ერთად ხშირად მონაწილეობდა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმეების განხილვაში. კერძოდ, მუშაობდა დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიაში, რომელსაც კონსტიტუციის პროექტი უნდა მოემზადებინა. აგრეთვე მონაწილეობდა კომისიაში, რომელსაც რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სიმბოლიკა (ღერბი და დროშა) უნდა დაედგინა[2]. ივანე ჯავახიშვილი თანამშრომლობდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციისათვის დელეგაციის მოსამზადებელ საქმიანობასა და მთავრობის შესაბამისი სასიათის დოკუმენტების მომზადებაში ჩვენს დელეგაციას არაერთი სასარგებლო რჩევა-დარიგება მისცა, მაგრამ პარიზში არ წასულა. თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლებს ეს ძალიან სურდათ. როგორც ჩანს, ივანე ჯავახიშვილმა არ მოისურვა ახლადფეხადგმული უნივერსიტეტის მიტოვება.

ივანე ჯავახიშვილმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საქართველოს საზღვრების დასადგენად, რის შესახებაც, როგორც უკვე მივუთითებდით, 1919 წელს გამოსცა წიგნაკი „საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული". როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენელი, იგი მონაწილეობდა სამხედრო ტერ-

---

[1] უნივერსიტეტის გახსნისას იყო 369 სტუდენტი და 89 თავისუფალი მსმენელი, 1919 წელს კი სტუდენტთა რიცხოვნობამ 2500-ს გადააჭარბა. იხ. როინ მეტრეველი, ივანე ჯავახიშვილი და თბილისის უნივერსიტეტი. თბ., 1996, გვ. 21.

[2] შალვა მაღლაკელიძის (შესაბამისი კომისიის წევრის) მოგონებით: „ირაკლი წერეთელმა შემოიტანა წინადადება, რომ მიჯაჭვული ამირანი იყოსო ღერბად. ვილაცამ მტრედის იდეა შემოიტანა — ჟორდანია კაკის წინადადებას უჭერს მხარს. ივანე ჯავახიშვილმა წამოაყენა წინადადება „თეთრი გიორგის" თაობაზე და ბოლოს დარჩა „თეთრი გიორგი".

მინოლოგიის შემდგენელ კომისიაში, განათლების მინისტრის ბრძანებით 1920 წლის 10 თებერვალს კი იგი დაინიშნა სამინისტროსთან არსებული სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარედ.

1921 წლის 23—27 იანვარს თბილისში შედგა არასოციალისტურ-დემოკრატიულ-პარტიათა გაერთიანებული კონფერენცია. მონაწილეობდნენ: ეროვნულ-დემოკრატიული, მიწის მესაკუთრეთა (გლეხთა), ეროვნული და რადიკალურ-დემოკრატიული პარტიები, აგრეთვე უპარტიოთა კავშირი, შეიქმნა ერთიანი „საქართველოს გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია". დასადგენია, მონაწილეობდა თუ არა აღნიშნულ ღონისძიებაში ივანე ჯავახიშვილი. ყოველ შემთხვევაში, ხელმძღვანელ ორგანოებში მისი სახელი არ ფიგურირებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი დიდი მეცნიერი ამ საქმიდან განზე იდგა[1] (სხვათა შორის, კოფერენციამ ორი მისალმებიდან ერთი გაუგზავნა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსა და სტუდენტთა გამგეობას).

მაგრამ ჩვენი, „პატარა ოქროს ხანა" (კარლო ინასარიძის სიტყვებია) დასასრულს უახლოვდებოდა. ბოლშევიკურ-კომუნისტური რუსეთი ვერ ეგუებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას. თუმცა ფორმალურად კი სცნო, მაგრამ ელოდებოდა ხელსაყრელ მომენტს ჩვენი ქვეყნის ხელახალი ანექსიისათვის (1801 წლის შემდგომ) და გასაბჭოებისათვის. რაკი ცხადი შეიქნა, რომ დასავლეთი თავს არ გამოიდებდა პატარა საქართველოსათვის, ახალმა, „რევოლუციის წიაღში შობილმა" რუსეთმა ჩასთვალა, რომ ვადამწყვეტი მოქმედების დრო დაუდგა. ჩვენს ისედაც ტრაგიკულ ისტორიაში ახალი, ასევე ტრაგიკული, შავბნელი ფურცელი იშლებოდა 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენების სახით... მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველო უბრძოლველად არ აპირებდა დანებებას. სამშობლოს ძნელბედობას შემართული შეხვდა თბილისის უნივერსიტეტიც. მისი პროფესორთა საბჭოს სახელით, რომელსაც ხელს აწერდნენ რექტორი ივანე ჯავახიშვილი და საბჭოს

---

[1] სუკის არქივის 1938 წლის დოკუმენტში, რომელსაც ეწოდება „კონტრრევოლუციურ ეროვნულ-დემოკრატთა განსაკუთრებით აქტიური წევრების სია", ასევე საქართველოს კომპარტიის არქივის მეცნიერების, კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების 1937 წლის დასაწყისში შექმნილ დოკუმენტში ივანე ჯავახიშვილი გამოცხადებულია ეროვნულ-დემოკრატად (იხ. გ. ციციშვილის სტატია „გაუჩინარებული ისტორიის ფურცლები", ცისკარი, 1994, № 1, გვ. 180), რაც არ შეეფერება სინამდვილეს.

მდივანი აკაკი შანიძე, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს ასეთი მიმართვა გაეგზავნა: „პატივი გვაქვს წერილობით გაცნობოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება, მიღებული სასწრაფოდ მოწვეულს საგანგებო სხდომაზე 16 თებერვალს 1921 წლისა, ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც სიტყვიერად იმავე დღეს მოგახსენეთ:

ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფს ძვირფასი სამშობლო თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვენ კომიტეტს, რათა მათი გონებრივი თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის.

ბ) უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებისათვის“.

„თანადამხდურთა“ მეშვეობით (შალვა კალანდაძე, ალექსანდრე ბარამიძე) ცნობილია სიტყვები, რომლებითაც ივანე ჯავახიშვილმა მიმართა ფრონტზე მიმავალ სტუდენტებს: „მართალია გვაკლია იარაღი, გვაკლია საომარი აღჭურვილობა, გვაკლია ბევრი სხვა რამეც. მაგრამ ჩვენ ბრძენ სალსს უთქვამს: „ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა სისაო“. ჩვენი ეროვნული კულტურის თეთრი ტაძარი გზას დაულოცავს ყველას, ვინც ბრძოლის ველისაკენ მიეშურება“.

„ჩვენი დროის რეგვენობამ“ (შალვა ამირეჯიბი) გაიმარჯვა, საქართველოს წინააღმდეგობა გატეხილ იქნა და მტერი თბილისში შემოვიდა. იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის დიდმა ნაწილმა გადაწყვიტა საქართველო მიეტოვებინა და დასავლეთს შეხიზვნოდა. თბილისის დაცემის დღეებში, ივანე ჯავახიშვილის ქალიშვილის ქალბატონ ნათელას მოგონებით, „გათენებისას სადარბაზო კარზე დაჟინებული კაკუნი ისმის, მამა გადის და მალე უკანვე ბრუნდება, დედას მეორე ოთახში გაიძახებს. ცოტა ხნის შემდეგ ორივენი უკან ბრუნდე-

ბიან, ყრუდ ისმის მანქანის დაძვრის ხმა. თურმე მამას სთავაზობდნენ საზღვარგარეთ წასვლას. მამა წუთითაც არ შეყოყმანებულა უარზე"[1].

ამრიგად, არჩევანისას: დარჩენა სამშობლოში თუ ემიგრაცია დასავლეთში[2], ივანე ჯავახიშვილმა პირველი ამჯობინა. რასაკვირველია, როგორც შემდგომ გამოჩნდა, ეს ბევრად უფრო სასიფათო იყო, მაგრამ საერთო ქართული საქმისათვის—უმჯობესი. სხვას რომ თავი დავანებოთ, ნორჩ უნივერსიტეტს ხომ სათანადო მოვლა-პატრონობა ესაჭიროებოდა და ვინ შეძლებდა ამას ივანე ჯავახიშვილზე უკეთესად? უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საბჭოური რეპრესიული მანქანა ჯერჯერობით ყოვლისშემძლე როდი იყო — ტოტალიტარიზმი ერთბაშად ვერ დამყარდებოდა, თანაც იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ საკმაოდ იყო ძალები, რომლებიც ეროვნული თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეებით იყვნენ გამსჭვალული. ასე რომ, თითქმის მთელი ათი წლის მანძილზე შედარებითი თავისუფლება ასე თუ ისე რჩებოდა და ჩვენს დიდ წინაპარს გასაქანი მაინც ჰქონდა.

გასაბჭოების პირველსავე დღეებში შედგა პროფესორთა საბჭოს სხდომა, რომელიც პოლიტიკურ სასიათს ატარებდა — კრების უმთავრესი საგანი გასლდათ საქართველოში შექმნილი მდგომარეობა. მომხსენებელი იყო ივანე ჯავახიშვილი. მან მომხდარი ფაქტი შეაფასა, როგორც ქართველი ხალხის ისტორიის უდიდესი ტრაღედია. მისი ღრმა რწმენით, უნივერსიტეტს უნდა გაეგრძელებინა ბრძოლა ქართული კულტურის აღორძინების კერის შესანარჩუნებლად, არ უნდა დაეშვათ აქ ბოლშევიკთა ზეწოლა. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელ პირობას წარმოადგენდა პროფესორ-მასწავლებელთა შინაგანი სიმტკიცე და ერთობა; უნდა გამოყენებულიყო სამეცნიერო წოდებებისა და სარისხების არსებული სისტემა, თანამდებობათა დაკავების წესი, რითაც დაბრკოლება უნდა შეექმნათ უნივერსიტეტში ბოლშევიკური ელემენტებისათვის. თუ პროფესორ-მასწავლებელთა შორის აღმოჩნდებიან მერყევნი, ისინი განდევნილ უნდა იქნან უნივერსიტეტიდან. ასევე უნდა აღკვეთილიყო უნივერსიტეტში ოპოზიციური სტუდენტური

---

[1] იხ. მისი „რაც მაგონდება", თბილისი, 1990, გვ. 13. ამასთანავე, ივანე ჯავახიშვილსაც მიზანშეწონილად მიაჩნდა ჩვენი ეროვნული განძის უცხოეთში გატანა.

[2] ივანე ჯავახიშვილისაგან განსხვავებით მისი სომეხი მეგობარი და კოლეგა ნიკოლოზ ადონცი 1920 წელს წავიდა ემიგრაციაში და გახდა ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორი.

ორგანიზაცის აღმოცენება. ამრიგად, სოლიდარობა როგორც პროფესორ-მასწავლებლობაში, ისე სტუდენტობაში მტკიცე ბარიერი უნდა ყოფილიყო საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ, უნივერსიტეტს ასე უნდა შეენარჩუნებინა თავისი თავი „ვიდრე არ შეიქმნება ხელსაყრელი საშინაო და საგარეო პირობები თვით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის". როგორც ვხედავთ, ივანე ჯავახიშვილმა დასახა უნივერსიტეტის სამოქმედო პროგრამა უახლოესი წლებისათვის.

რაკი ბოლშევიზმ-კომუნიზმი რუსეთში ძალას იკრებდა და დასავლეთიც არ იჩენდა ინტერესს საქართველოსადმი, ამიტომ ივანე ჯავახიშვილი, როგორც დიდი სოციალური და პოლიტიკური გამოცდილების, თანაც მოაზროვნე ისტორიკოსი შეეცდებოდა ჯერჯერობით თავი შეეკავებინა აშკარა გამოსვლებისაგან და ძირითად ძალისხმევას წარმართავდა უნივერსიტეტის ავტონომიის შესანარჩუნებლად. ჩვენი წარსულის კვლევა-ძიებისასაც იგი ხაზს უსვამდა იმ დიდ ზიანს, რაც შიშველ ძალგულოენებას, ოდენ „ემოციურ პატრიოტიზმს" თუნდაც სიცოცხლის დათმობით, მოჰქონდა სამშობლოსათვის, მაშინ როდესაც საჭირო იყო ძალების შემოკრება, ხალხის ფართო ფენების სიცოცხლის დაზოგვა და ხელსაყრელი მომენტის ლოდინი.

ივანე ჯავახიშვილის მასშტაბის მქონე პიროვნების სარბიელი, ცხადია, უნივერსიტეტით ვერ შემოიფარგლებოდა. ექვთიმე თაყაიშვილის პოლიტიკურ ემიგრაციაში წასვლის შემდგომ, ივანე ჯავახიშვილი სათავეში ჩაუდგა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. 1921 წლის 3 ნოემბერს ჩატარდა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პირველი სხდომა, რომელმაც ფაქტობრივ თავმჯდომარედ ივანე ჯავახიშვილი აირჩია[1] (მდივნად — მიხეილ ზანდუკელი. ამ ფუნქციას დიდი წინაპარი ასრულებდა ბოლო, 1925 წლამდე). საბჭომ თავისი არსებობის განმავლობაში, ივანე ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით, ჩაატარა 183 სხდომა, რომლებზედაც განიხილებოდა მრავალი პრობლემა (ხშირად თითოეულ სხდომაზე ოთხი-ხუთი და მეტი საკითხი განიხილებოდა). კერძოდ, განიხილავდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის, სკოლებში სასწავლო გეგმების, პროგრამების, ორიგინალური და თარგმნილი სახელმძღვანელოების, სალიტერატურო ენის ნორმებისა და მეცნიერების ყველა დარგში ტერმინოლოგიის დადგენის,

---

[1] ფორმალურად ეს პოსტი ეკავა განათლების სახალხო კომისარს.

სასწავლო დაწესებულებებისა და კათედრების მუშაობის დამხმარე, სამეცნიერო, პედაგოგიკური და მეთოდური საგნების დადგენისა და მისი სწავლების, საქართველოს სიძველეთა დაცვისა და მრავალ სხვა აქტუალურ საკითხს[1].

მაგრამ დავუბრუნდეთ ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობას უნივერსიტეტში. საბჭოთა ხელისუფლება, ცხადია, ცდილობდა, რომ ტოტალიტარიზმის მეტასტაზები ამ დაწესებულებასაც მძლავრად მოდებოდა. რექტორმა მიაღწია იმას, რომ 1921-22 წლებში უნივერსიტეტში ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები მოხსენებით არ გამოსულიყვნენ. როცა 1923 წელს მსგავსი სურვილი გამოთქვა სერგო ორჯონიკიძემ (იმხანად ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანმა), ამაზე ივანე ჯავახიშვილმა უარი განუცხადა (თუმცა ეს დაბრკოლება არ აღმოჩნდა თავხედობა-უტიფრობით ცნობილ „რკინის" სერგოსათვის).

1921 წლის 23 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილმა წინადადებით მიმართა პროფესორთა საბჭოს, რათა დოქტორის ხარისხის მაძიებელისათვის სავალდებულო ყოფილიყო ერთ-ერთი დასავლეთევროპული ენის ცოდნა და საკითხის შესახებ თუნდაც ერთი ნაშრომის დაბეჭდვა. ამგვარი ქმედების მოტივი ნათელია, ამით დაბრკოლება უნდა შექმნოდა უმეცარ, „ახალი მსოფლმხედველობის" პირთა მოზღვავებას მეცნიერებაში.

როდესაც სტუდენტობის მიერ არჩეული გამგეობა გადააყენეს და „რევოლუციური სამეულები" დანიშნეს, სტუდენტებმა ამის გამო პროტესტი გამოთქვეს და რექტორთან დელეგაცია გაგზავნეს. ივანე ჯავახიშვილმა დიდი მადლობა გამოუცხადა სტუდენტთა დელეგაციას და თანაც განუცხადა: „იმოქმედეთ ისე, როგორც თქვენი შეგნება და სინდისი გიკარნახებთ და ნუ დაერიდებით თვით უნივერსიტეტის შენობის გამოყენებას"-ო (შალვა კალანდაძის მოგონება).

ცხადია, უნივერსიტეტის პროფესორის, უპირველესად რექტორის, მაღალპატრიოტული და მაღალმოქალაქეობრივი შეგნება და ქცევა სათანადოდ განაწყობდა სტუდენტობას, რომელსაც გარდა ამისა უკვე ნაგემი ჰქონდა დემოკრატიული საზოგადოების ცხოვრების ნორმები. სავსებით კანონზომიერია, რომ იგი (პოლიტექნიკური ინსტიტუტის

---

[1] საკითხის შესახებ, იხ. დიმიტრი გურგენიძის წიგნი „ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა სახალხო განათლების დარგში და მისი პედაგოგიური შეხედულებანი", თბილისი, 1979.

სტუდენტებთან ერთად) აქტიურად გამოეხმაურა თბილისის მუშათა 1921 წლის 24 ოქტომბრისა და 1 ნოემბრის გამოსვლებს, როდესაც მოითხოვდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის აღდგენას. მიტინგზე დაადგინეს, რომ სტუდენტობა:

„1. სავსებით უერთდება თფილისის პროლეტარიატის მოთხოვნებს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებისა და მისი ტერიტორიის დაცვის, სიტყვის, კრების, პრესის და სხვა პოლიტიკურ უფლებათა თავისუფლების, საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის ჯარების გაყვანის და ქართული ლაშქრის უფლებათა აღდგენისა და პოლიტიკურ დევნილთა და პატიმართა განთავისუფლების შესახებ და ყველას გასაგონად აცხადებს, რომ იგი მუდამ მზადაა მთელი თავისი ძალღონით მუშათა კლასთან ერთად დაიცვას ეს სამართლიანი მოთხოვნილებები (!).

2. სტუდენტობა ენერგიულ პროტესტს აცხადებს იმ უხეში ძალადობის გამო, რომელიც გამოიხატება რევკომის მიერ 24 ოქტომბერს მუშათა დელეგაციის დაპატიმრებაში და გამოსთქვამს თავის ღრმა აღშფოთებას რევკომის თავმჯდომარის ბ. მდივნის 29 ოქტომბრის უტიფარი განცხადების გამო, თითქოს დელეგაცია არავის დაეპატიმრებიოს.

3. კრება ღრმა თანაგრძნობასა და სოლიდარობას უცხადებს დაპატიმრებულსა და მეტეხის ციხეში გამომწყვდეულ ამხანაგებს, მუშათა დელეგაციას და

4. მოითხოვს მის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“[1]

1922 წელს უნივერსიტეტის „სტუდენტთა კავშირმა“ მიმართვა გაუგზავნა ევროპისა და ამერიკის ასალგაზრდობას, რომელშიც აღნიშნულია: „უკანასკნელ კაცამდე ვიბრძოლებთ ეროვნული თავისუფლებისათვის იმ იდეითა და რწმენით, რომ ქართველი ერი კვლავ დააღწევს თავს რუსეთის მონობას და კვლავ მოგვეცემა საშუალება განვაგრძოთ ოკუპანტების ტერორისაგან ჩახშობილი სამეცნიერო მუშაობა“. მიმართვას ხელს აწერდა 500 სტუდენტი. საქმე იქამდეც მიდი-

---

[1] იხ. ნესტან კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში. ქუთაისი, 1996, გვ. 54—55.

ოდა, რომ კომუნისტი სტუდენტებიც კი გამოსთქვამდნენ პროტესტს პარტიულ ქსელში მოხსენებების რუსულად წაკითხვის გამო.

როდესაც ხელისუფლებამ მოინდომა უნივერსიტეტისათვის ახალი წესდება მოეხვია თავს, ივანე ჯავახიშვილმა ამაზე სასტიკი უარი განაცხადა და უარზეც კი იყო რექტორობის თანამდებობაზე ეყარა კენჭი. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და პროფესურის ერთიანობა, საზოგადოებრივი აზრი ისეთი ძლიერი იყო, რომ ხელისუფლებამ ამჯერად უკან დაიხია.

სავსებით გასაგებია ივანე ჯავახიშვილის პოზიცია 1924 წლის აჯანყებასთან მიმართებით. მას მიაჩნდა, რომ ჯერჯერობით ახალ ხელისუფლებასთან რადიკალური დაპირისპირება გამორიცხული უნდა ყოფილიყო. როცა ეს გამოსვლა მოხდა, ამ დროს იგი ოჯახითურთ სოფ. კარსანში (მცხეთასთან) ისვენებდა. „ჩეკისტებმა" იგი არ „დაივიწყეს" და თბილისის ბინაზე მიაკითხეს. ამ ამბის შეტყობისთანავე ბატონი ივანე ფეხით წამოსულა თბილისში და „ჩეკაში" გამოცხადებულა. აქ იგი დაუპატიმრებიათ და ორი დღე-ღამის განმავლობაში დაუკავებიათ[1]. 1924 წლის 5 სექტემბერს შეიკრიბა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო, რომლის დამსწრე ოცდაოთხივე წევრმა დაგმო აგვისტოს გამოსვლა (შემორჩენილია გადაწყვეტილების ტექსტი). რასაკვირველია, ივანე ჯავახიშვილმა ეს გააკეთა პირადი რწმენით. რაკი „ძალა ალმართსა ხნავს", ივანე ჯავახიშვილი, უპირველესად უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობდა ანგარიში გაეწია საბჭოთა ხელისუფლებისათვის და ლოიალობის მაგალითსაც აჩვენებდა. ასე მაგალითად, ვ. ი. ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამძიმრის გამოსაცხადებლად 1924 წლის 25 იანვარს საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარეს მიხა ცხაკაიას წარუდგა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დელეგაცია ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით. 1925 წლის მარტში თბილისში შედგა საკავშირო ცაკ-ის მესამე სესია, რომელსაც თბილისის უნივერსიტეტის სახელით მიესალმა ივანე ჯავახიშვილი. მან აღნიშნა ის წარმატებები, რომლებსაც თბილისის უნივერსიტეტმა მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში, რომელიც „გარდა თავისი უშუალო ამოცანის სამსახურისა, იღებს და ყოველთვის მიიღებს აქტიურ მონაწილეობას საქართველოს მთავრობის კულტურულ აღმშენებლობაში, ხალხის ასაყვავებლად და საკეთილდღეოდ".

---

[1] ნ ა თ ე ლ ა ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „რაც მაგონდება", გვ. 18.

რექტორმა „მაღალი“ სტუმრები მ. ი. კალინინის მეთაურობით უნივერსიტეტში მიიწვია.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ ჩვენს პოლიტიკურ ემიგრაციაზე ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა: „თუ მათ არავითარი პერსპექტივა არ გააჩნიათ უმჯობესია დაიწყოს რეემიგრაცია“ და ცდილობდა, კერძოდ, ზურაბ ავალიშვილისა და მიხეილ ყაუხჩიშვილის დაბრუნებას.

მაგრამ მიუხედავად ლოიალური დამოკიდებულების ცდებისა, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ივანე ჯავახიშვილის რექტორობა მიუღებელი იყო. კარგად ხვდებოდნენ, რომ ჩვენი დიდი წინაპარი საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეებს ანსახიერებდა, რაც რუსულ ბოლშევიზმ-კომუნიზმს, ცხადია, არ აწყობდა. გარდა ამისა, ივანე ჯავახიშვილის პიროვნება მიზიდულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი გახლდათ, რომლის გარშემო, აშკარად თუ ფარულად, ერთიანდებოდა დათრგუნული ოპოზიცია.

1924 წლის 24 დეკემბერს უნივერსიტეტის კომუნისტური უჯრედის ბიუროს სხდომაზე მიიღეს დადგენილება მომავალი წლის 27 იანვარს გამართულიყო უნივერსიტეტის არსებობის შვიდი წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო საღამო. არჩეულ იქნა საღამოს მომწყობი კომისია შალვა ელიავას (საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე) თავმჯდომარეობით. კომისიის წევრთა შორის არ დაუსახელებიათ არც ივანე ჯავახიშვილი და არც ძველი პროფესურის წარმომადგენლები.

1926 წლის 19 ივნისს უნივერსიტეტის პარტიულ-კომკავშირული უჯრედების გაერთიანებულმა სხდომამ მოისმინა ლავრენტი ქართველიშვილის (ე. წ. საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის მდივანი) მოხსენება „უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ და დავით კანდელაკის (სახალხო განათლების კომისარი) მოხსენება „უნივერსიტეტის ახალი დებულების შესახებ“. პირველი მომხსენებლის თქმით, „პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უფრო ადრე ჰქონდა დასახული მიზნად უნივერსიტეტის რეორგანიზაცია საბჭოთა ხელისუფლების პირობებთან შეფარდებით, მაგრამ ამაში ხელს უშლიდა ობიექტური პირობები“. გასაგებია, რომ „ხელისშემშლელ პირობებში“ პირველ რიგში ივანე ჯავახიშვილი იგულისხმებოდა.

1926 წელს ბატონი ივანე უნივერსიტეტის რექტორობას ჩამოაშორეს[1] და მის მაგიერ რენეგატი სოციალისტ-ფედერალისტი თეოდორ ლლონტი დანიშნეს. ერთი წლის წინ შეწყვიტა არსებობა სახელმწიფო საბჭომ, რომელსაც, როგორც უკვე მივუთითებდით, ივანე ჯავახიშვილი მოთავეობდა. ჩვენი დიდი წინაპარი 1927 წელს იძულებული გახდა მიეტოვებინა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეობა (საზოგადოებამ საბოლოოდ არსებობა შეწყვიტა 1931 წელს). ერთი სიტყვით, საბჭოთა ხელისუფალთათვის იგი აშკარად persona non grata ხდებოდა. რასაკვირველია, ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება აისახებოდა საზოგადოებაშიც. ქალბატონ ნათელა ჯავახიშვილის გადმოცემით, პროფესორ სიმონ გოგიტიძის გასვენებიდან (1927 წლის მარტში) დაბრუნებულ ბატონ ივანეს დიდი გულისტკივილით უთქვამს: „მე საზოგადოებაში აღარ გამესვლება, რადგან ხალხი უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, ჩემთან მოახლოებისა ეშინიათ და ვგრძნობ ამავე დროს, ჩემი რცხვენიათ“-ო[2]. მსგავსი გუნება-განწყობილებითვე დაბრუნებულა იგი ერთ-ერთი კონცერტიდან, მთელი საღამოს განმავლობაში თურმე კაციშვილი არ გაჰკარებია[3]. მაგრამ იყვნენ გამონაკლისებიც, რომელთაც ძალუძდათ საბჭოური ტოტალიტალიზმის მიერ დამკვიდრებული ფსიქოლოგიური ბარიერის გადაბიჯება—ზაქარია ფალიაშვილი, ანდრია ბენაშვილი, ალექსანდრე დიდებულიძე, იოველ ქუთათელაძე, აკაკი შანიძე და სხვანი, რომელთაგანაც ზოგიერთი ცდილობდა მატერიალური დახმარების გაწევას. აღარას ვამბობთ გრიგოლ წერეთელზე, რომელსაც შემდგომში ივანე ჯავახიშვილზე უფრო ტრაღიკული ბედი ხვდა წილად.

ჩამოთვლილ პიროვნებებს, ასევე სხვებსაც, ბოლშევიკ-კომუნისტები თვლიდნენ „მემარჯვენე პროფესურად“. მათ აღიარებულ ლიდერად მიაჩნდათ,—და სავსებით სწორადაც, — ივანე ჯავახიშვილი, ამ დროს კი, არა თუ მემარჯვენეების, არამედ ცენტრის („ჭაობად“ რომ მოიხსენიებდნენ) ატანაც კი ეძნელებოდათ. ამდენად, ივანე ჯავა-

---

[1] აკაკი სურგულაძე წერდა: „1926 წელს ივანე ალექსანდრეს ძე (?!) ჯავახიშვილი განთავისუფლდა თბილისის უნივერსიტეტის რექტორობიდან. საქართველოს მთავრობამ მას დააკისრა რესპუბლიკის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობა“, იხ. მისი „ივანე ჯავახიშვილი“, თბილისი, 1976, გვ. 18. ისე ჩანს, თითქოს არაფერი ცუდი არ მომხდარიყოს!

[2] იხ. „რაც მაგონდება“, გვ. 22.

[3] იქვე.

ხიშვილის ცდა, როგორმე უნივერსიტეტისათვის ავტონომია შეენარ-ჩუნებინა, მარცხით დამთავრდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხ-დარიყო. საკვირველი ისაა, რომ ჩვენმა დიდმა წინაპარმა შეძლო უნივერსიტეტს 1926 წლამდე შეენარჩუნებინა ავტონომია (თითქმის იგივეს აღნიშნავდა 1996 წელს მკვლევარი გიორგი ციციშვილი: „ივანე ჯავახიშვილის რექტორობის პერიოდის საუნივერსიტეტო ორ-განიზაციული მოღვაწეობითა და ბრძოლით შენარჩუნდა უნივერსიტე-ტის ეროვნული შინაარსის განმსაზღვრელი მექანიზმი“).

უნივერსიტეტში დაინერგა პარტიული (კომუნისტური), პროფკავ-შირული და კომკავშირული ორგანიზაციები, დიდი გასაქანი მიეცა ბოლშევიკურ-კომუნისტურ იდეოლოგიას (ისტორიულ მატერიალიზმს, საბჭოთა სამართალს, კოოპერაციის ისტორიას, კომპარტიის ისტორიას). შესაბამისად, გაჩნდა ახალი კათედრები და ახალი ყაიდის ლექტორები— წითელი პროფესურის წარმომადგენლობა. როდესაც 1928 წელს უნი-ვერსიტეტის დაარსების ათი წლის იუბილე იზეიმეს, სამთავრობო კომი-სიაში ივ. ჯავახიშვილი კვლავ არ შეიყვანეს და მის სახელს ოფიციალურ დონეზე იგნორირებდნენ. ასე რომ,კომუნისტურ ხელისუფალთ უკვე აღარ აკმაყოფილებდათ ივანე ჯავახიშვილის მხოლოდ რექტორობიდან ჩამო-ცილება, არამედ ისინი ცდილობდნენ მისი და მისი ერთგული მომხრე-ების უნივერსიტეტიდან გაძევებას. 1928 წლის 27 მაისს ე. წ. საქართ-ველოს კომპარტიის (ბოლშევიკებისა) პირველი მდივანი მიხეილ კა-ხიანი სკპ (ბ) ცკ-ის საორგანიზაციო ბიუროს (ლ. მ. კაგანოვიჩის თავმჯდომარეობით), რომელიც განიხილავდა საკითხს „საქართველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ“, ჯერ სპეციალურად მომზადებულ მოხსენებით ბარათში, შემდეგ კი სათანადო სხდომას მოახსენებდა ივანე ჯავახიშვილზე. მიხეილ კახიანის მიხედვით ეს უკანასკნელი გაი-გივებული იყო კონდრატიევის მსგავს ინტელიგენტებთან. იგი ირწმუ-ნებოდა, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანე-ლობა მის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას ეწეოდა, კერძოდ, რიგით ლექტორად ჩამოაქვეითა და მომავალში განზრახული აქვთ საერთოდ უნივერსიტეტიდან მოშორება, რის თაობაზედაც სათანადო დადგენი-ლება უკვე ჰქონიათ მომზადებული. ე. წ. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი პარტიის უმაღლეს ინსტანციას მოახსენებდა: „ჯავახი-შვილის არსებობაზე საერთოდ ჩვენ შეგვიძლია პასუხი ვაგოთ იმავე ზომით, როგორც შეუძლიათ პასუხი აგონ რუსეთის ფედერაციასა და უკრაინაში ბურჟუაზიული და ნაციონალისტური პროფესორების კონდ-

რატიევების, გრუშევსკებისათვის და ა. შ. მაშასადამე, ჩვენ ვამბობთ, რომ ბატონ ჯავახიშვილებს ჩვენი დაცვის ქვეშ არ ვღებულობთ, ხოლო ბრძოლას ამ ნაციონალისტების წინააღმდეგ შეუბრალებლად ვეწევით და მათ აღმოვფხვრით".

თუ შევადარებთ ივანე ჯავახიშვილის თანამშრომლობას 1918-21 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან და ქართველ ბოლშევიკებთან მომდევნო წლებში, საერთოდ უნივერსიტეტიდან გაძევებამდე (1931 წელს), ადვილად შევამჩნევთ, რომ პირველ შემთხვევაში ურთიერთობანი ბევრად უფრო ინტენსიური და ნაყოფიერი იყო, მეორე შემთხვევაში კი ასეთი ურთიერთობანი ძალიან იშვიათი გახლდათ.

1925 წელს ივანე ჯავახიშვილმა მოხსენება-წერილი გაუგზავნა საქართველოს მთავრობას, რომელიც ეხებოდა სომეხ კომუნისტების (ყოველ შემთხვევაში მათი ხელმძღვანელობის) პრეტენზიებს საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილის მიმართ[1]. თუ ქართველ ბობოლა კომუნისტებს მიაჩნდათ, რომ 1918 წლის დეკემბერში მომხდარ სომეხ-ქართველთა ომში ორივე მხარე თანაბრად აგებდა პასუხს, ივანე ჯავახიშვილი მათ შეახსენებდა, რომ მაშინ „სომხის დაშნაკელთა მთავრობამ თავისი ჯარი საქართველოს შემოუსია" და, ამრიგად, წამოიწყო „უგუნური მეზობელთაშორისი ომი და სისხლისღვრა". მაშინ სომეხ ექსტრემისტებს ბრძოლით სურდათ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის მითვისება, ამჯერად, უკვე კომუნისტებს უნდათ იგივეს გაკეთება მშვიდობიანი გზით. წერილში ვკითხულობთ: „თუ წინანდელი რუსეთის ბატონობის დროს ქართველი ხალხის ინტერესები საქართველოში ფეხქვეშ იყო გათელილი და თავისუფალი მიწა საქართველოში რუს და სომეხ მოხელეების პოლიტიკის წყალობით მხოლოდ სომხებმა და რუსებმა ჩაიგდეს ხელში, ნუთუ ეხლაც შესაძლებელია, რომ ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები სომეხ დაშნაკელ პოლიტიკურ ეროვნულ პროექტების განხორციელებას შეეწიროს მსხვერპლად?"; „ეს იმდენად დაუჯერებელი რამეა, რომ დარწმუნებული ვარ სსრ მთავრობა ამ პროექტსაც უარყოფს იმგვარათვე, როგორც უარყოფილი იყო იმავე წრეებითგან გამომდინარე ზემოაღ-

---

[1] წერილი სათაურით „ივანე ჯავახიშვილის არქივიდან", პირველად გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში", 1988 წლის 23 სექტემბერს.

ნიშნული მსგავსი პროექტები". საღმა აზრმა გაიმარჯვა და სომეხ ბობოლა კომუნისტთა პრეტენზიები უქმი გამოდგა. დიდად ვეჭვობთ, რომ ამ შემთხვევაში ქართველმა კომუნისტებმა ყურად იღეს ივანე ჯავახიშვილის შეგონებანი.

როდესაც 1925 წელს, მტკვარზე ზაჰესისათვის ჯებირის აღმართვის შემდეგ, გადაწყვიტეს სამთავროს მინდვრის გამოყენება 60-მდე ოჯახის დასასახლებლად, ივანე ჯავახიშვილმა, როგორც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარემ, მცხეთაში გაგზავნა საბჭოს წევრი სიმონ ყაუხჩიშვილი, რათა სადაბო საბჭოს მესვეურნი დაერწმუნებინა, რომ ჯერჯერობით ეს არ გაეკეთებინათ. საბედნიეროდ, ამ უკანასკნელთ ეყოთ გონიერება და რჩევა ყურად იღეს[1].

ივანე ჯავახიშვილი პასიური მოწმე გახლდათ იმისა, თუ როგორ ნადგურდებოდა ეკლესიები, მათი ქონება. მაგრამ ამის თაობაზე რესპუბლიკის ხელმძღვანელობისათვის არ მიუმართავს. მიზეზი ცხადია: შეგონებას აზრი არ ჰქონდა. ისტორიკოს სარგის კაკაბაძეს (1923-34 წლებში იყო რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სიძველეთა, ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი) იგი სწერდა: „ძალიან საიამოვნოა, რომ სიძველეთა დაცვის შესახებ ჯგუშიასთან (განათლების სახალხო კომისარიატის რწმუნებული აკადემიურ საქმეთათვის, შ. ბ.) მოგილაპარაკნიათ, რადგან საქმე საშურია, შველა კი არსაითგან ჩანს. რაჭითგან ჩამოსულმა ერთმა რუსმა მიამბო, რომ აქ ანადგურებენ უძვირფასეს ხატებს და საეკლესიო ძეგლებს. ამას ადგილობრივი კომისრები ხედავენ და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ"[2]. სარგის კაკაბაძემ ასეთი პასიურობა გაიგო როგორც ივანე ჯავახიშვილის გულგრილობა კულტურისა და ისტორიის ძეგლების სავალალო ბედ-იღბლისადმი, რაც, ცხადია, არასწორია. ივანე ჯავახიშვილის „მუდმივი ოპონენტი" აღიარებდა თითქოს ჩვენს დიდ წინაპარს ამის თაობაზე ეთქვას: რომ რაც უფრო მეტს გაანადგურებენ, მით უფრო მეტად დარწმუნდება ხალხი კომუნისტების მხეცობაშიო.

---

[1] იხ. ალექსანდრე კალანდაძე, ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1977, გვ. 39.

[2] იხ. შოთა ბადრიძე, ღვაწლმოსილი მეცნიერი, „ლიტერატურული საქართველო", 1986, 24 ოქტომბერი.

მალე, 1930 წელს, გაუქმებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის პრაქტიკული მოღვაწეობის გვირგვინი — თბილისის უნივერსიტეტი. მის ბაზაზე წარმოიშვა ორი ინსტიტუტი — პედაგოგიური და ეკონომიური. უსასტიკესი საბჭოური რეპრესიული მანქანა ჯერ ბოლომდე არ იყო ამოქმედებული, თორემ ივანე ჯავახიშვილს უდიდესი საფრთხე ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში ელოდა. 1931 წლის 28 მაისს განათლების სახალხო კომისარის ბრძანებით ივანე ჯავახიშვილი (ფილიპე გოგიჩაიშვილთან და გრიგოლ წერეთელთან ერთად) უნივერსიტეტიდან დაითხოვეს. სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იგი უმუშევარი, ყოველ საზოგადოებრივ საქმეს იყო ჩამოშორებული. „მოწყალება გაიღო" ფილიპე მახარაძემ (იმხანად ეკავა ამიერკავკასიის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის თანამდებობები) და უნივერსიტეტიდან დევნილნი — ივანე ჯავახიშვილი და გრიგოლ წერეთელი მეცნიერ-კონსულტანტებად იქნენ მიწვეულნი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ჩვენ გავადევნეთ თვალი ბატონ ივანეს საზოგადოებრივი მოღვაწეობის (ფართო აზრით) გზას, დავინახეთ მნიშვნელოვანი სოციალური როლი, რომელსაც იგი ასრულებდა შედარებით ნორმალურ საზოგადოებაში, მაგრამ არანორმალურ, სახელდობრ საბჭოთა საზოგადოებაში, ეს როლი უაღრესად კნინი აღმოჩნდა. ასეთი მძლავრი ინტელექტის, ზნეობის მქონე, უკვე ამდენი საქმის აღმსრულებელ პიროვნებას, ვიმეორებთ, მხოლოდ მეცნიერ-კონსულტანტის ადგილი მიუჩინეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. და ეს მოხდა მაშინ, როცა დიდი სწავლული ორმოცდახუთმეტი წლისა იყო!

1933 წელს უნივერსიტეტი კვლავ აღსდგა (სხვათა შორის, იყო ცდები, რომ მისი დაარსება დაეკავშირებინათ ლ. პ. ბერიასათვის). მის ახალ რექტორს ლევან აღნიაშვილს ეყო ჭკუა-გონება და გამბედაობა და ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტში მიიწვია. ამ დროისათვის საქართველოს ისტორიის კათედრა ორად იყო გაყოფილი — ძველი ისტორიის კათედრის გამგედ დაინიშნა ბატონი ივანე, ხოლო ახალი ისტორიისა კი — სიმონ ხუნდაძე. ორი წლის შემდეგ ორივე კათედრა კვლავ გაერთიანებულ იქნა და მის გამგედ სიმონ ჯანაშია დანიშნეს. ასე რომ, ამჯერადაც უპირველესი ისტორიკოსისათვის უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეობაც კი ვერ გაიმეტეს!

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მუშაობის პარალელურად ივანე ჯავახიშვილი 1934-36 წლებში მუშაობდა ფარმაკო-ქიმიურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც იგი სატერმინოლოგიო განყოფილების გამგედ მოიწვია ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. იოველ ქუთათელაძემ. ამ შემთხვევაში თავი იჩინა ამ უკანასკნელის კეთილშობილებამ და არა ხელისუფლების რაიმე ყურადღებამ ჩვენი დიდი წინაპრისადმი. საბჭოთა რეჟიმი რომ მას კვლავინდებურად ვერ იტანდა, ეს მკვეთრად ჩანდა. ასე მაგალითად, 1935 წლის 5 იანვარს თსუ პარტორგანიზაციის კრებაზე ივანე ვაშაყმაძე აცხადებდა: „ისტორიის ფრონტზე... ფარული ინტელიგენციის ძალის წარმომადგენელია ჯავახიშვილი. ჯავახიშვილი არის პოლიტიკური ფიგურა. ამ პოლიტიკურ ფიგურას ესაჭიროება მეტი ბრძოლა, ისტორია არ დაუშვებს არავითარ კომპრომისს, ჩვენ ფრთხილად ვადევნებთ თვალყურს. საქართველოს შესწავლის საქმე არის მეტად მძლავრი (!) საქმე. შეიძლება აღიზარდოს ნაციონალისტები და კონტრრევოლუციონერები“ (კაცმა რომ თქვას, აქ მშვენივრადაა გადმოცემული ისტორიის შესწავლის დიდი მნიშვნელობა). იგივე გარემოება ნათლად გამოჩნდა 1936 წლის „ცნობილი“ (ჰეროსტრატეს გმირობის მსგავსად) დისკუსიის დროს, მაგრამ, რასაკვირველია, მიზეზი ამისა მხოლოდ პოლიტიკაში, რეჟიმში კი არ მდგომარეობდა, არამედ საზოგადოებაშიც. ახლად აღზევებული „სოციალური ელიტისათვის“ ჩვენი დიდი წინაპარი მიუღებელი გახლდათ. იმჟამინდელ ქართულ საზოგადოებაში ცოტანი იყვნენ ისეთნი, ვისაც ჩვენი დიდი ენათმეცნიერისა და ღირსეული პიროვნების აკაკი შანიძის დარად შეეძლო სიამაყით განეცხადებინა: „მე არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, ვინც ივანე ჯავახიშვილის ჩაწიხვლით თავისი კარიერის შექმნას ლამობს“-ო.

სხვა საქმე იქნებოდა, რომ ივანე ჯავახიშვილი „კანონსაში გამგზავრებულიყო“ და მიეღო ე. წ. მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, შესაბამისად, აღფრთოვანებულად აღექვა საბჭოური სინამდვილე, როგორც მოიქცნენ მაგალითად ნიკო მარი და ისტორიკოსი ბორის გრეკოვი რუსეთში ან თედო ღლონტი და სიმონ ხუნდაძე (ყოფილი სოციალისტ-ფედერალისტები) საქართველოში, ანდა ეს ნაწილობრივ რომ მაინც გაეკეთებინა, როგორც მოიქცნენ აკოპ მანანდიანი (სომხეთში) და კორნელი კეკელიძე ჩვენში. მაგრამ მსგავსი მეტამორფოზისაგან ივანე ჯავახიშვილი შორს იდგა: იგი ხომ ისეთ პიროვნე-

ბათა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც უმთავრესად თავიანთი მრწამსით და არა კონიუნქტურის მიხედვით მოქმედებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ერთ გარემოებაზე გავამახვილებთ ყურადღებას. ზოგჯერ ისე წარმოიდგენენ, თითქოს ივანე ჯავახიშვილი ისტორიული პროცესის გაგებაში ძალიან ახლოს იდგა მარქსიზმთან. მაგალითად, დავით გვრიტიშვილი, წერდა: „ივანე ჯავახიშვილისათვის ნათელი იყო, რომ ქვეყნის ეკონომიური მხარე საფუძველია ერის სოციალური ცხოვრებისათვის და არავითარი ისტორიული პროცესი არ გაიგება, თუ სათანადოდ არ იქნა შესწავლილი და გათვალისწინებული ქვეყნის ეკონომიკა“[1]. პროკოფი რატიანი აღნიშნავდა, რომ „დიდ მეცნიერს ისტორიული განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად მიაჩნდა სწორედ მატერიალური ცხოვრების პირობები და არა ადამიანების ნება-სურვილი; ივ. ჯავახიშვილმა მშვენივრად იცოდა, რომ სწორედ საზოგადოებრივი მდგომარეობა ჰქმნის საზოგადოებრივ შეგნებას და არა პირიქით: მას კარგად ესმოდა, თუ რა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების განვითარებისათვის ეკონომიურ ფაქტორს, საწარმოო ძალთა მდგომარეობას, შრომის იარაღებს“[2]. ედიშერ სოშტარია-ბროსეც მსგავს შეხედულებას გამოთქვამს: „ივანე ჯავახიშვილი თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას, როგორც საფუძველს ისტორიული განვითარებისა“.[3] აქედან გამომდინარე, იგი თითქოს „წარმოგვიდგა, როგორც მატერიალიზმის პოზიციებზე მდგომი მკვლევარი, რომლის შემოქმედება ამზადებს ნიადაგს რევოლუციის შემდეგ საქართველოს ისტორიის კვლევაძიების გასაშლელად მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის თვალთახედვით“[4].

რასაკვირველია, ამგვარი შეხედულებანი დიდ შეცდომას წარმოადგენს. რაკი ივანე ჯავახიშვილი ისტორიულ პროცესში ეკონომიკის დიდ როლს აღიარებდა (შეგახსენებთ, რომ ასევე იქცეოდნენ ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი ბაქრაძე) დაასკვნიან, თითქოს იგი ძალიან ახლოს იდგა ისტორიულ მატერიალიზმთან. მაგრამ ეს სულაც არ გახ-

---

[1] იხ. მისი „ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე“, თბ., 1960, გვ. 103.

[2] იხ. ავტორის სტატია „ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ახალი ისტორიის ზოგიერთი საკითხი“, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1958, გვ. 289.

[3] იხ. ივანე ჯავახიშვილი, ბიობიბლიოგრაფია, თბ., 1976, გვ. 9—10.

[4] იქვე, გვ. 11.

ლავთ ასე. მართლა ასე რომ ყოფილიყო, ეს უთუოდ აისახებოდა (ადრიდანვე) კომუნისტ ხელისუფალთა მისდამი დამოკიდებულებაზე.

30-იანი წლების საბჭოთა, კერძოდ საქართველოს, სინამდვილეში ახალი ტენდენციები გაჩნდა და ამ ფონზე საზოგადოებაში ობიექტურად გაჩნდა მოთხოვნილება ივანე ჯავახიშვილზე როგორც დიდ მეცნიერზე (ისტორიკოსზე) და საზოგადო მოღვაწეზე. პირველ რიგში, ვგულისხმობთ ისტორიოგრაფიის (საისტორიო მეცნიერების) რეაბილიტაციას. ამის თაობაზე მოვუსმინოთ ივანე ჯავახიშვილს: „მას შემდეგ, რაც ხალხთა ბელადის, დიდი სტალინის ჩარევამ ისტორიას თავისი მნიშვნელობა და შინაარსიანობა დაუბრუნა, ცოდნის ამ დარგს შეეძლო ადამიანის აღზრდა-განათლებაში, ხალხის კულტურულ განვითარებაში, კვლავ ღირსეული ადგილი დაეკავებინა. ფორმაციათა წინანდელი სქემატური, მშრალი ფორმულების გროვის მაგიერ სამშობლოსა და ერის კეთილდღეობისა და დამოუკიდებლობისათვის გმირული და თავგანწირული ბრძოლის, მტრის უხეში ბატონობისადმი წინააღმდეგობის გაწევის, სოციალ-ეკონომიურ უთანხმოებათა მოძრაობისა და აჯანყების ამბებს, ყველა ამ ნიადაგზე აღმოცენებულ დრამატულ და ტრაგიკულ მდგომარეობას, ინტერესთა შეხლა-შემოხლას და სულიერი გრძნობის ბრძოლას ყოველი ერის თავგადასავლის მოთხრობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა“[1].

როგორც ჩანს, ივანე ჯავახიშვილის პიროვნებით დაინტერესდა ი. ბ. სტალინიც (ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ), რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩვენი დიდი წინაპრის „სოციალურ რეაბილიტაციაში“. იგი მიწვეულ იქნა მეცნიერ-თანამშრომლად ჯერ კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტში (სხვათა შორის, ნიკო მარის გარდაცვალების შემდეგ), შემდგომ კი მის ბაზაზე დაფუძნებულ ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (ენიმკი-ში). იგი დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მის მიერვე დაარსებული ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელად, რუსთაველის სახელობის მუზეუმის დირექტორად, 1938-40 წლებში მოთავეობდა მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას, ამავე წლებში უნივერსიტეტში ასპირანტებთან ატარებდა სემინარებს, აქვე კითხულობდა ლექციებს.

---

[1] იხ. ივანე ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 208.

ზემოაღნიშნულის გარდა, სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტების გამოც (შოთა რუსთაველის იუბილეს მოწყობა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საკავშირო მასშტაბით, ილია ჭავჭავაძის სახელის რეაბილიტაცია, შესაბამისად — ისტორიის შესწავლისა და სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებანი) გაჩნდა გარკვეული საფუძველი იმისათვის, რათა ივანე ჯავახიშვილს ი. ბ. სტალინის სახელი რამდენჯერმა დადებით კონტექსტში მოეხსენებინა (აღვნიშნავთ იმასაც, რომ 1939 წელს დაწერა, მაგრამ სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებია მცირე ზომის ნარკვევი „ხალხთა ბელადის გვარის გენეალოგიისათვის"). მაგრამ მთლიანობაში „ბელადით" აღტაცება მისი ინტელექტისა და სულისკვეთების ადამიანისათვის გამორიცხული იყო (განსხვავებით სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილისაგან). აწ განსვენებულ ბატონ ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილის მოგონებით, რომლის ობიექტურობაში ეჭვი არ გვეპარება, ჩვენი დიდი წინაპრის გადეპუტატების შემდეგ მასთან მისულან კინემატოგრაფიის თანამშრომლები, „მოიტანეს სტალინის უზარმაზარი სურათიც — კედელზე დასაკიდებლად: რეჟისორის ჩანაფიქრით, მას შთამბეჭდავი, მომგებიანი ფონი უნდა შეექმნა კადრში მომუშავე ივანე ჯავახიშვლისათვის. სურათზე მამამ უარი უთხრა"[1].

თითქოსდა ისტორიის ირონიით ივანე ჯავახიშვილი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად[2], მისი პირველი სესიის შემდგომ კი შეიყვანეს პრეზიდიუმის შემადგენლობაში. ერთი წლის შემდეგ იგი გახდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრი. თითქოს აღდგა ისტორიული თუ სოციალური სამართლიანობა, მაგრამ ეს ხომ საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში ხდებოდა!

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ (მთლად შეურიგებელი გახლდათ ცნობილი ფილოლოგოსი, ელინისტი გრიგოლ

---

[1] იხ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1986, № 2—3, გვ. 89. სხვათა შორის, ახლახან გარდაცვლილი ბატონ სერგო ჯორბენაძისაგან მსმენია, რომ თურმე ქალბატონ ნათელა ჯავახიშვილის, მოგონებით, ივანე ჯავახიშვილი კრემლში ი. ბ. სტალინს უნდა შეხვედროდა, რაც გარკვეული მიზეზების გამოისობით ვერ განხორციელდა.

[2] შევნიშნავთ, რომ იგი აირჩიეს სტუდენტთა საარჩევნო ოლქში, რომლის 15 ათასი ამომრჩევლიდან უნივერსიტეტიდან წარმოდგენილი იყო 5443 (4398 სტუდენტი და 1045 თანამშრომელი).

წერეთელი). შალვა ნუცუბიძის მოგონებით, მას ამ უკანასკნელისათვის უთხოვია, რომ საქართველოს გასაბჭოების თხუთმეტი წლისთავისათვის მიძღვნილ რესპუბლიკურ და საუნივერსიტეტო შეკრებებზე სიტყვით გამოსვლისას განეცხადებინა რომ ივანე ჯავახიშვილი საბოლოოდ დადგა საბჭოთა პოზიციაზეო (ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი დასძენდა: „მე არ შემიძლია ვამტკიცო, იყო თუ არა ეს გულწრფელი“)[1]. მაგრამ ეს ყოველივე ცხადია, არ ნიშნავს, იმას, რომ დიდი მეცნიერი homo sovieticus-ად ჩამოყალიბდა. ივანე ჯავახიშვილის სიცოცხლე ყველაზე მეტად ქართულ საქმეს ესაჭიროებოდა, სწორედ ამით აიხსნება მისი კომპრომისი საბჭოთა ხელისუფლებასთან სიცოცხლის ბოლო წლებში.

ივანე ჯავახიშვილს შესთავაზეს დაეწერა ერთი ნაწილი (XI—XV საუკუნეების შესახებ) საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოსი, რომელიც სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილთან თანაავტორობით მაკეტის სახით გამოვიდა 1940 წელს, ხოლო ოფიციალურად — 1943 წელს. იგი მართლაც მშვენიერი გასლდათ, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით საუკეთესო. აღვნიშნავთ, რომ როცა ამ წიგნს მარქსისტულ სახელმძღვანელოდ მოიხსენიებენ ხოლმე, ამ შემთხვევაში უხერხულობასთან გვაქვს საქმე — ერთი ნაწილი ხომ არამარქსისტ ივანე ჯავახიშვილის მიერ იქნა დაწერილი!

საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლების „წყალობით“ რეალური ხდებოდა პერსპექტივა საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისა, რაც განხორციელდა ჩვენი დიდი წინაპრის გარდაცვალებიდან სამი თვის შემდეგ. მისი გახსნისას, საზეიმო სამეცნიერო სესიაზე, ფეხზე ადგომით პატივი მიაგეს დიდი მეცნიერისა და საზოგადო (ეროვნული) მოღვაწის ხსოვნას. ახლადდაარსებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნიკო მუსხელიშვილმა გულწრფე-

---

[1] დიდად სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილის გვარი ფიგურირებს 1936 წლის 27 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ცნობილ ქართველ მეცნიერთა (აქვეა დაბეჭდილი მწერლების განცხადებაც) მიმართვაში ი. ბ. სტალინისადმი, სადაც საბჭოური ტრადიციისამებრ დაგმობილია ტროცკისტ-ზინოვიეველთა „ბანდა“. ცხადია, მსგავსი ქმედება ივანე ჯავახიშვილის გულის სიღრმიდან ვერ წამოვიდოდა და ბევრ სხვა ხელმომწერთაგან განსხვავებით მას მაშინაც და შემდგომაც, ალბათ დიდად ეჩოთირებოდა ეს საქციელი. ამ ფაქტს აღნიშნავს, მაგრამ სათანადო კომენტარს არ აკეთებს ალექსანდრე დაუშვილი წიგნში „თბილისი 1937“, თბ., 1997, გვ. 57.

ლად, კეთილშობილურად განაცხადა: „ჩვენთვის სამწუხაროა, რომ ის მეცნიერი, რომელიც ყველაზე უფრო აღფრთოვანებული იყო ამ დღესასწაულის მოლოდინში, ჩვენს შორის არ იმყოფება. ჩემთვის ეჭვს გარეშეა, ივანე ჯავახიშვილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, იმ მაღალ თანამდებობას, რომლის დაკავების პატივი მე შემხვდა, სწორედ ის დაიკავებდა“. „ასე რომ მომხდარიყო“ შეიქმნებოდა პრეცენდენტი (მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით), მეცნიერებათა აკადემიას სათავეში ჩაუდგებოდა ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენელი (სხვათა შორის, 1943 წელს დაარსებული სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის სათავეში თავდაპირველად სურდათ ყოფილიყო ისტორიკოსი აკოპ მანანდიანი, მაგრამ აირჩიეს ასევე ჰუმანიტარი, მაგრამ აღმოსავლეთმცოდნე იოსებ ორბელი). მაგრამ საბჭოურ სინამდვილეში, სავსებით გასაგები მიზეზის გამოისობით, აღნიშნული ტრადიცია ვერ დამკვიდრდა (ე. წ. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან დავასახელებთ თადეუშ კოტარბინსკისა (ფილოსოფოსისა და ლოგიკოსის) (პოლონეთში), ზდენეკ ნეედლის (ისტორიკოსის, ფილოლოგოსისა და მუსიკისმცოდნის) (ჩეხოსლოვაკიაში) და ტოდორ პავლოვის (ფილოსოფოსის) (ბულგარეთში) მაგალითებს).

ივანე ჯავახიშვილმა თავისი დიდი (მაგრამ არა ხანგრძლივი) სიცოცხლე დაასრულა თავის „საბრძოლო ამპლუაში“, ლექციის კითხვის დროს, ხელოვნების მუშაკთა სახლში. ეს დღე — 1940 წლის 18 ნოემბერი[1] დიდად ტრაგიკულ თარიღად დამკვიდრდა საქართველოს მრავალტანჯულ მატიანეში.

2. ილია ჭავჭავაძე ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებაში

როცა ილია ტრაგიკულად აღესრულა, მაშინ ივანე ჯავახიშვილი ოცდათერთმეტი წლისა გახლდათ. თუმცა ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში ძირითადად პეტერბურგში ცხოვრობდა, მაგრამ დრო და დრო, განსაკუთრებით საზაფხულო არდადეგების დროს, იმხანად უკვე

---

[1] ზუსტად ამავე დღეს, 38 წლის წინათ, ივანე ჯავახიშვილმა თავისი მეორე საცდელი ლექცია წაიკითხა პეტერბურგის უნივერსიტეტში. პარადოქსია, რომ მაშინდელი საქართველოს სახალხო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი სტურუა თავდაპირველად წინააღმდეგი იყო ივანე ჯავახიშვილის ნეშტის თბილისის უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალვისა და წინადადებას იძლეოდა დაეკრძალათ ახლადგახსნილ საბურთალოს სასაფლაოზე.

სახელმოხვეჭილი ისტორიკოსი თბილისში ჩამოდიოდა ხოლმე. თვითონ ილიასაც, სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევის გამოისობით, რუსეთის იმპერიის სატახტო ქალაქში 1906-07 წლებში ხშირად უხდებოდა ყოფნა. მანამდეც, თბილისის პირველ გიმნაზიაში სწავლისას, ივანე ჯავახიშვილს, ცხადია, ყოველ შემთხვევაში იდეური მიმართებანი (ურთიერთობანი) ექნებოდა ჩვენს დიდ მოაზროვნესა და ეროვნულ მოღვაწესთან. უცილობელი ფაქტია, რომ თავიანთი ძირეული მისწრაფებებითა და მსოფლმხედველობით ამ ორ დიდ პიროვნებას ბევრი რამ ჰქონდათ საერთო ერთმანეთთან; ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობა ილიასა და სხვა გამოჩენილი სამოციანელების იდეების ზემოქმედებით ჩამოყალიბდა.

გიმნაზიაში სწავლისას ყმაწვილი ივანე ჯავახიშვილი ხარბად ეწაფებოდა მოწინავე ქართულ პრესას. მისი ჯერ კიდევ გიმნაზიისა და შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის ხანის მეგობარი ივანე ნიჟარაძე იგონებდა, რომ „ჩემის თვალით მინახავს, როგორ ცდილობდნენ ძმები: ვანო, გიორგი, მიშა და დათა უფრო ადრე წაეკითხათ ქართული ჟურნალ-გაზეთები ვიდრე შეუდგებოდნენ გიმნაზიის გაკვეთილების შესწავლას“, რომ ერთადერთი ამ პერიოდიკის გამო თუ ხდებოდა დავა-კამათი და-ძმათა შორის, სახელდობრ როგორ დაედგინათ მისი წაკითხვის რიგითობაო. უეჭველია, რომ ქართულ პერიოდიკაში ჭაბუკ ივანეს ყველაზე დიდ ინტერესს ილია ჭავჭავაძისეული „ივერია“ აღუძრავდა. ამიტომ შემთხვევითი როდი იყო ის ფაქტი, რომ 1897 წელს, უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას, ივანე ჯავახიშვილმა შეადგინა ბიბლიოგრაფია „ივერიის“ წინა ათი წლის (1886—1896) მიხედვით. ბუნებრივია ისიც, რომ შორეულ პეტერბურგში სტუდენტ ივანე ჯავახიშვილს ოჯახიდან ხშირად უგზავნიდნენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, რომელთა შორისაც „ივერიას“, რასაკვირველია, გამორჩეული ადგილი ეკავა.

თავის მხრივ, „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლებსაც არ გამოჰპარვიათ მხედველობის არიდან დიდი იმედების მომცემი ახალგაზრდა და მის შესახებ გაზეთში ხშირად აქვეყნებდნენ მასალას. მაგალითად, 1898 წლის 13 ოქტომბრის ნომერში „ივერია“ იუწყებოდა, რომ სტუდენტმა ივანე ჯავახიშვილმა რუსულ ენაზე თარგმნა „სიბრძნე ბალავარისა“. ამავე წლის თერთმეტ ნოემბერს გაზეთი იტყობინებოდა თხუთმეტი ქართველის მიერ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დამთავრებას და ამათგან ივანე ჯავახიშვილის დატოვებას

აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. მომდევნო წლის 5 თებერვლის ნომერში „ივერიამ“ პირველ გვერდზე მოათავსა ცნობა ივანე ჯავახიშვილის ოქროს მედლით დაჯილდოების თაობაზე (ნაშრომისათვის „ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“). 1899 წლის 12 ივნისისა და 26 ივნისის ნომერში „ივერია“ კვლავ ათავსებს პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სიას. 1902 წლის 16 ივნისს გაზეთი იუწყება ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის გამგზავრებას პალესტინაში, ძველი ქართული ძეგლების შესასწავლად. 16 ივლისის ნომერში (პირველ გვერდზე) კვლავ მოთავსებულია ინფორმაცია მათ მიერ ქართული ხელნაწერების შესწავლის შესახებ. 24 აგვისტოს კი „ივერია“ საზოგადოებრიობას აუწყებს ორი სწავლულის დაბრუნებას პალესტინიდან. უფრო ვრცლად ამავე საკითხზეა საუბარი გაზეთის 9 სექტემბრის ნომერში.

უნდა ვიფიქროთ, რომ ილიას, როგორც „ივერიის“ რედაქტორის, მახვილ თვალს არ გამოეპარებოდა ახალგაზრდა, გამორჩეული ქართველი სწავლულის სახელი. ამის დასამტკიცებლად გვაქვს სხვა ფაქტებიც. ცნობილია, რომ, როდესაც 1897 წელს ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ომი ატყდა კუნძულ კრეტის გამო, პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ გადაწყვიტა, დელეგაცია გაეგზავნა საბერძნეთის საელჩოში სოლიდარობის გამოსაცხადებლად. საბერძნეთის ელჩის რჩევით დეპეშის გაგზავნა არ ივარგებდა და შეპირდა სტუდენტებს, რომ მათ თანაგრძნობას პირადად თვითონ გადასცემდა საბერძნეთის მთავრობას. სტუდენტებმა რჩევისათვის მიმართეს ილიასა და გიორგი წერეთელს, რა ეღონათ ამ შემთხვევაში. ილიას სიტყვა ასეთი იყო: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“-ო; მისი აზრით, სტუდენტებისთვის მთავარი იყო პროფესიის სათანადოდ დაუფლება და საკუთარი მრავალტანჯული სამშობლოს სამსახური. ეს პასუხი ილიამ თბილისიდან პეტერბურგს გაგზავნა იმავე წლის 5 აპრილს და იგი ივანე ჯავახიშვილს გააცნო პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს თავმჯდომარემ სამსონ ფირცხალავამ (სოციალისტ-ფედერალისტების მომავალმა ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა). ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ჭაბუკი ივანე ჯავახიშვილი უშუალოდ იყო ჩაბმული აღნიშნულ წამოწყებაში. მანამდეც, 1896 წლის თებერვალში, როგორც უკვე მივუთითებდით, სტუდენტობისას ივანე ჯავახიშვილმა და ი. ჩარექიშვილმა წერილები

გაუგზავნეს ილიას, გიორგი ზდანევიჩსა (მაიაშვილს) და ნიკო ნიკოლაძეს, რომლებშიც სთხოვდნენ უფრო მეტი აქტიურობა გამოეჩინათ სამშობლოსათვის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტისას.

1903 წლის 18 თებერვალს და 6 ივლისს გაზეთი „ივერია" თავის მკითხველს ამცნობს, რომ ივანე ჯავახიშვილი შეუდგა ლექციების კითხვას. ერთი წლის უწინ კი ამავე გაზეთში (№ 253) მოსე ჯანაშვილმა მოათავსა მოკლე რეცენზია ივანე ჯავახიშვილის ნაშრომზე „სახალხო აღწერები საქართველოში", რომელიც რუსულად ეამოქვეყნდა „რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების ჩანაწერებში" (1902 წ., ტ. 14, ნაკვეთი I). 1904 წლის 17 ივლისს „ივერიაში" გამოქვეყნდა რეცენზია (ავტორის სახელი და გვარი სრულად არაა მითითებული, მხოლოდ „პ. პ"-ის ფორმით) „მამულიშვილობასა და მეცნიერებაზე". ამ ნაშრომში, როგორც ცნობილია, მწვავედ არის გაკრიტიკებული იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც არ დააყოვნა და გაზეთ „ცნობის ფურცელში" (№ 2481) დაბეჭდა პასუხი. პოლემიკაში ჩაება ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილიც (იხ. აღნიშნული გაზეთი № 2472 და 2473). რასაკვირველია, ილიას არც ეს ფაქტები გამორჩებოდა. იგივეს ვიტყვით ივანე ჯავახიშვილისეული ნაშრომების „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია" და «Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке» გამოქვეყნებასთან (1905 და 1906 წლებში) დაკავშირებით.

მაგრამ აღნიშნული თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო რამ მოხდა 1906 წლის აპრილში, როდესაც ილია სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს. ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ქრისტეფორე რაჭველიშვილის (ტრაღიკულად აღესრულა 1937 წელს) ბიოგრაფიულ ნარკვევში „ილია ჭავჭავაძე" ვკითხულობთ, რომ თვითონ ივანე ჯავახიშვილის გადმოცემით, პეტერბურგში ილიას ჩასვლისას იქაურ ქართველობას მისთვის შეხვედრა-ბანკეტი გაუმართავს. ბანკეტს დასწრებიან ივანე ჯავახიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გ. ერისთავი, ა. ერისთავი, სპირიდონ ვირსალაძე და სხვანი. ლუარსაბ ანდრონიკაშვილს ილიასათვის ჩინებული სიტყვით მიუმართავს, რაზედაც ილიას საკმაოდ ვრცლად უპასუხია. ივანე ჯავახიშვილს კარგად დახსომებია მისი პირველი ფრაზა: „ქართველები ბედოვ-

ლათები ვართ ქებაშიც და ძაგებაშიც“-ო[1]. ე. ი. იგულისხმება, რომ ჩვენ ზომიერებას ვერ ვიცავთ ვერანაირი მიმართულებით; თუ ამჯერად დიდმა ეროვნულმა მოღვაწემ ქება-დიდება (სხვათა შორის, სავსებით გულწრფელად ნათქვამი) მოისმინა, მეორე მხრივ, განსაკუთრებით ამ პერიოდში, ასევე უზომო ძაგებაც ხშირად სმენია (ქართველი სოციალ-დემოკრატებისაგან, როგორც მენშევიკების, ისე ბოლშევიკების მხრიდან).

ქრისტეფორე რაჭველიშვილს თავის წიგნში მოაქვს ივანე ჯავახიშვილის სხვა ცნობაც, დამყარებული ამჯერად სპირიდონ ვირსალაძის ნაამბობზე. ამ უკანასკნელთან პოლიტიკურ საკითხებზე კამათის დროს, რომელიც 1905 თუ 1906 წელს მომხდარა ილიასეულ სახლში, ილია გასულა მეორე ოთახში, გამოუტანია დიდტანიანი ხელნაწერი და ნაწყენი, მაგრამ დინჯი კილოთი უთქვამს სპირიდონ ვირსალაძისათვის: აი, ეს არის ჩემი უკანასკნელი შრომა — ქართული ლექსიკონი, ამას გავათავებ და მერე აღარაფერს დავეძებ, რაგინდ ადრე მოვკვდეო[2]. უაღრესად საყურადღებო ფაქტია, რომელიც უთუოდ საჭიროებს კრიტიკულ შემოწმებას. მაგრამ ამჯერად მთავარი ის არის, რომ ამ მოგონებამ ჩვენამდე ივანე ჯავახიშვილის მეშვეობით მოაღწია.

1907 წლის 7 იანვარს თბილისის საკრებულოში თუ არტისტული საზოგადოების სახლში ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება „საქართველოს ეკონომიური ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე“ (შეგახსენებთ რომ მომხსენებელმა ამ სათაურით თავისი ნაშრომი დაბეჭდა „ივერიაში“ წინა წელს (№ 22, 26). როგორც გაზეთი „ისარი“ გვაუწყებს (11 იანვრის მოწინავეში) აღნიშნულმა ლექციამ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა და ბევრიც გაბრუნდა უადგილობის გამო. ამავე გაზეთში იგივე საკითხს კომენტარს უკეთებდა ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი)[3]. დიდად საინტერესოა, რომ ივანე ჯავახიშვილის ამ ლექ-

---

[1] ის. დასახ. ნაშრომი, თბილისი, 1937, გვ. 106. ისტორიკოს აბელ კეკელიძის მიხედვით, იგივე სიტყვებით დაუმთავრებია ივანე ჯავახიშვილს თავისი ლექცია ილია ჭავჭავაძის შესახებ. ის. კრებული, მიძღვნილი აკად. ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი, თბ., 1977, გვ. 125.

[2] იქვე, გვ. 107.

[3] ის. „ისრის“ 1907 წლის მეოთხე და მეხუთე ნომრები.

ციას დასწრებია ილია ჭავჭავაძე[1]. ისტორიკოს მამია ლუმბაძის მოგონებით, 1939 წელს ასპირანტებთან საქართველოს ისტორიის სემინარზე ჩვენს დიდ ისტორიკოსსა და მამულიშვილს გაუხსენებია, რომ ილია დასწრებია მის ერთ-ერთ საჯარო ლექციას და ლექციით კმაყოფილს კერძო საუბარში უბრძანებია: „საქართველოს ისტორია ასე უნდა იწერებოდეს"-ო[2]. ორი დიდი ქართველის შეხვედრას მხატვრულად, ემოციურად აღწერდა გრიგოლ რობაქიძე[3].

ივანე ჯავახიშვილი და ილია ჭავჭავაძე კვლავ შეხვედრიან ერთმანეთს პეტერბურგში 1907 წლის ზაფხულში. ივანე ჯავახიშვილის მოგონებით, ილიას, როცა იგი აქ ჩამოსულა ვითარცა სახელმწიფო საბჭოს არჩევითი წევრი, ერთ-ერთი შეხვედრისას მისთვის უთქვამს: გადაწყვეტილი მაქვს დავწერო წიგნი კოოპერაციაზე და საამისოდ მუშაობას უკვე შევუდექი. მაინტერესებს, იყო თუ არა ამის მსგავსი რამ ჩვენს წარსულშიო. როდესაც ივანე ჯავახიშვილს უთქვამს, რომ საამისო ისტორიული ფაქტები საკმაოდ მოიპოვებოდაო, ილიას ასეთი წინადადება შეუთავაზებია: იკისრეთ თქვენ ამ საერთო წიგნისათვის ისტორიული ნაწილის დაწერა, ხოლო თანამედროვე ვითარებაზე მე დავწერო, რაზედაც დიდი ისტორიკოსი დათანხმებია[4]. ამას გარკვეულწილად უნდა ნათელყოფდეს ის ფაქტი, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სამეცნიერო წრის წევრებს ივანე ჯავახიშვილი, როგორც ამ წრის ხელმძღვანელი, დავალებას აძლევდა თითოეული მათგანის მშობლიური კუთხის მასალების მიხედვით ასეთი საკითხიც დაემუშავებიათ: „როგორია გლეხთა შორის შრომაში ურთიერთდახმარების ფორმები?" „ალო, მოდგამობა, მამითადი და ნადი თუ იციან, მისი წესი, პირობები და ფასები (სასურველია დაწვრილებითი ცნობები").

---

[1] შევნიშნავთ, რომ ბატონ სერგო ჯორბენაძის წიგნში „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა", (იხ. 1983 წლის გამოცემა, გვ. 511) აღნიშნულია, თითქოს ზემოხსენებული ფაქტი 1906 წლის ზაფხულში მომხდარიყო, რაც არასწორი გახლავთ.

[2] იხ. მისი „ივანე ჯავახიშვილის ადრეული შემოქმედება, 1898—1912 წწ.," თბ., 1984, გვ. 72.

[3] იხ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1986, № 2—3. შევნიშნავთ, რომ ივანე ჯავახიშვილის ამ მოხსენებას გრიგოლი არ დასწრებია, ამ დროს იგი უცხოეთში იყო. იგი წერდა: „თუ როგორ შეხვდა ამ მოხსენებას ილია ჭავჭავაძე — ეს ამბავი გაგონილი მაქვს განსვენებულ ვალერიან გუნიასაგან"-ო. იქვე, გვ. 192.

[4] იხ. ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე რ ა ჭ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. წიგნი, გვ. 85.

ამდენად გაჩნდა შესაძლებლობა ერთი კონკრეტული საკითხის თაობაზე ორ დიდ ეროვნულ მოღვაწეს — ერთს ისტორიის ასპარეზიდან უკვე მიმავალს, ხოლო მეორეს — მომავალს — ერთად ეთანამშრომლათ. საერთოდაც რა ნაკლოვანებასაც მშვენივრად აცნობიერებდა ილია — საქართველოს ისტორიის ახლებურად, თანამედროვე მეცნიერებისა და აზროვნების დონეზე გაუმართაობას, იმას უკვე თანდათანობით ავსებდა ივანე ჯავახიშვილი.

საფიქრებელია, რომ ამის შემდგომ ილიასა და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობა უფრო მჭიდრო ხასიათს მიიღებდა, მაგრამ გარეწრების მიერ დიდი ქართველის სიცოცხლის ხელყოფამ გამორიცხეს ამის შესაძლებლობა... ამიერიდან ჩვენს ხელთაა სხვა რიგის ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ ივანე ჯავახიშვილის — ილიას ყველაზე გამოჩენილი სულიერი მემკვიდრის მცდელობას უკვდავყოს დიდი წინაპრის ხსოვნა.

ტრაღიკულად აღსრულებული ილია ის-ის იყო დაასაფლავეს, რომ 1907 წლის 9 სექტემბერს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა და თბილისის წარმომადგენლებმა მოიწვიეს კრება, რომელზეც დაადგინეს შეეგროვებინათ ფული დიდი წინაპრის სახელის უკვდავსაყოფად, კერძოდ, მისი ძეგლის დადგმა თბილისის მთავარ მოედანზე. ამ საქმის მოგვარება ითავა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ", რომელმაც თავის მხრივ საქმისათვის თავის მოსაბმელად სპეციალური კომისია შეჰქმნა. მის წევრად აირჩიეს ივანე ჯავახიშვილიც. როდესაც 1910 წელს პარიზიდან ჩამოიტანეს იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული ქანდაკება, ივანე ჯავახიშვილმა არსებითად მოიწონა თვით მონუმენტი, მაგრამ წინააღმდეგი იყო მისი არქიტექტურული გადაწყვეტისა (ავტორი გახლდათ ინჟინერი პეტრე მამრაძე). ჯავახიშვილი აღნიშნავდა პ. მამრაძის აგებული ნიშის შეუფერებლობას ქართულ ხუროთმოძღვრებასთან. მისი აზრით, ამგვარი ნაგებობის აშენება სრულიად მცდარი და დასახული მიზნისათვის არადამაკმაყოფილებელი იქნებოდა. შენიშვნა კომისიამ გაითვალისწინა, რამაც გადაახანა ილიას ძეგლის დადგმა. საბოლოოდ მხოლოდ 1913 წლის პირველ აპრილს მიიღო კომისიამ ძეგლი[1], რომელიც მომდევნო თვის ხუთ რიცხვში გაიხსნა (იგულისხმება „მწუხა-

---

[1] ამის შესახებ იხ. სერგო ჯორბენაძის დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

რე საქართველო“). კომისიის აზრით,, საქმე ამით როდი უნდა დამთავრებულიყო: მომავალში უნდა შესრულებულიყო უფრო უკეთესი ქანდაკება და დადგმულიყო უფრო შესაფერის ადგილას.

ივანე ჯავახიშვილი აქტიური წევრი იყო სარედაქციო კომისიისა, რომელმაც, მიხეილ გედევანიშვილის მოთავეობით, იკისრა ილიას თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა (სამწუხაროდ, პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო მხოლოდ პირველი ტომი გამოვიდა). ივანე ჯავახიშვილი წევრად მიწვეულ იქნა 1912 წლის 16 ივნისს. ოქტომბრის თვეში იგი უკვე პეტერბურგში იყო და ზედამხედველობდა ილიას თხზულებათა ჰენრიკ ჰრინევსკისეული ილუსტრაციების კლიშეების დამზადებას, აგრეთვე ზრუნავდა ილიას შესახებ არსებული ნაშრომების ბიბლიოგრაფიის შედგენაზე. ივანე ჯავახიშვილი 1912 წლის 18 ოქტომბერს კიტა აბაშიძეს—ცნობილ კრიტიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს (იგი სოციალისტ-ფედერალური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ) სწერდა: „მ. გედევანიშვილი ბიბლიოგრაფიასა მთხოვს ილია ჭავჭავაძის შესახებ. ახლა ვაწყობ ჩვენ უშველებელს საბიბლიოგრაფიო ცნობებს შინაარსის მიხედვით და ამ სამი კვირის შემდგომ დავამთავრებ მუშაობას; მაშინ მხოლოდ შემიძლიან მოგაწოდოთ ყველა ცნობა, მე მგონია დაგვიანებული არ იქნება. სტუდენტები თსოულობენ, რომ ხელნაწერის ვადა ცოტა კიდევ გაგრძელებულიყო“[1]. იგივე საკითხს ეხება ივანე ჯავახიშვილი მიხეილ გედევანიშვილისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში (1912 წლის 22 ნოემბერს)[2]. ამავე წერილში ივანე ჯავახიშვილი დიდი მხატვრული გემოვნებით (მას ხომ მხატვრობა კარგად ეხერხებოდა!) აღნიშნავს: „სურათები ახლად მოსულები მე ძალიან მომეწონა, ერთს გარდა, სახელდობრ ალბათ „დიმიტრი თავდადებულისათვის“, „კამარად“ (заставка-ს ასე ეძახდნენ ქართველები) განკუთვნილი; იმას არა უჭირს რა, მაგრამ ბუნებრიობა აილია და სახეებიც და ჩაცმულობაც უფრო ქართული თეატრის „ხალხსა“ ჰგავს, ვიდრე ნამდვილს სოფლის ყრილობას. ამასთანავე მეფანდურესაც ფანდური ვერ უჭირავს ხეირიანად და ამ შემთხვევაში ბ. ჰრინევსკი კი არ არის დამნაშავე, არამედ „კომისიის“ წევრები: თქვენ უნდა აუხსნათ ხოლმე, იმას ფანდურის

---

[1] ციტირებულია სერგო ჯორბენაძის წიგნის მიხედვით, გვ. 131.

[2] სულ შემონახულია ხუთი წერილი, რომლებიც 1996 წლის 26 ივლისს გამოაქვეყნა მკვლევარმა მარინე ყიფიანმა „ლიტერატურულ საქართველოში“.

დამკვრელი სად ენახება". მომდევნო წლის 3 აპრილს პეტერბურგიდან მოწერილ წერილში ვკითხულობთ: „ვეზავნი სურათებს, რომლებიც გადმოვიღე მონღოლეთში ძველ XIII ს. მოგზაურთა აღწერილობაში ჩართული სურათებიდან და გიგზავნით ძველ ფრანგულად დაწერილ ტექსტიდან ამონაწერებს, რომლებიც მონღოლთა ტანისამოსისა და ბინადრობის აღწერილობას შეეხება"; „მომყავს, აგრეთვე მონღოლთა სახის აღწერილობა ქართული XIV ს. საისტორიო თხზულებიდან, აგრეთვე გადაუთარგმნელად. გთხოვთ გადაუთარგმნოთ".

ივანე ჯავახიშვილი კრიტიკულად იყო განწყობილი გიგო ყიფშიძის მიერ აღნიშნული გამოცემისათვის დაწერილი ილიას ბიოგრაფიისადმი. იგი წერდა: „გ. ყიფშიძის დაწერილს ბიოგრაფიის შესახებ მე მაშინაც მოგახსენეთ, რომ ილიას დიდებულს ღვაწლს არ შეეფერება და მის სულიერს განვითარებას არ გვისურათებს; თუ ეხლაც იმნაირივე დარჩა, რასაკვირველია, მეც სუსტად ჩავთვლიდი". მან მშვენივრად იცოდა, თუ ვის ხელეწიფებოდა ყველაზე უკეთ აღნიშნული ამოცანის აღსრულება: „საუბედუროდ ის, ვისაც ყველაზე კარგად შეეძლო ილიას ბიოგრაფიის დაწერა, არჩილ ჯორჯაძე, სამარეში დევს!.. ესეც ჩვენი ბედი!..."

1915 წელს დაიბეჭდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის კრებული, სადაც ერთ წერილში (ავტორი — გიორგი ჭუბაბრია) განხილულია მოქალაქეობრივი ჰანგები (მოტივები) ილია ჭავჭავაძის ნაშრომებში. კრებულის წინასიტყვაობაში რედაქტორი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ეს წერილი (მოხსენება) მიძღვნილია „იმ მოღვაწის შემოქმედებისადმი — ილია ჭავჭავაძისადმი, რომლის ღვაწლი ახალი საქართველოს წინაშე განუზომელია".

ივანე ჯავახიშვილი დიდად განიცდიდა ქართველი სოციალ-დემოკრატების (ორივე ფრთის) ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ილიას მიმართ. 1937 წელს იგი წერდა: „თუ თავდაპირველად ილ. ჭავჭავაძე ახალი ქართული მწერლობისა და ქართველთა საზოგადოებრივი აზრის უცილობელ ბელადად ითვლებოდა, წარსული საუკუნის დამლევითგან მოყოლებული, როგორც ცნობილია, თავი იჩინა ისეთმა მიმართულებამ, რომელიც არამცთუ საზოგადოებრივი აზრის მის ბელადობას სრულებით უარჰყოფდა და მიწასთან გასწორებას ცდილობდა, არამედ პოეზიის დარგშიც კი მისი ღვაწლის მთლიანად გაქარწყლებას ლამობ-

და"[1]. ასე გრძელდებოდა დიდი ხნის მანძილზე, სანამ 1936 წლის „პრავდის" 4 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატიით სათაველ არ დაედო დიდ შემობრუნებას ილიას გაგებისა და პროპაგანდის საქმეში. დიდი ისტორიკოსი და მამულიშვილი კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავდა: „საბედნიეროდ, ამ უმაგალითო უმადურობას უკვე საბოლოოდ ბოლო მოეღო და, ეჭველია, მთელი საქართველო გულწრფელ მადლობას უძღვნის იმას, ვისი წყალობითაც ეს საშინელი უსამართლობა მოსპობილია და ილ. ჭავჭავაძის დიდი ღვაწლიც საქართველოს წინაშე ღირსეულად შეფასებულია"[2]. ამ სიტყვებში, ცხადია იგულისხმება ი. ბ. სტალინის გარკვეული დამსახურება, რომლის წყალობითაც, სხვათაშორის, გადარჩა თვითონ ივანე ჯავახიშვილიც.

1937 წელს, როგორც ვიცით, საქართველოში, და საერთოდ საბჭოთა კავშირში, ფართოდ აღინიშნა ილიას დაბადების ასი წლის იუბილე. ამ მოვლენას დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა ივანე ჯავახიშვილიც, რომელმაც ენიმკი-ში საჯარო სხდომაზე წაიკითხა მოხსენება „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია". მოხსენების ტექსტი ამავე წელს დაიბეჭდა ენიმკ-ის მოამბეში (ტ. 2, ნაკვეთი I), ხოლო შემოკლებულად გაზეთ „კომუნისტის" 6 აგვისტოს ნომერში, მომდევნო წელს კი ცალკე წიგნაკადაც გამოიცა. მოხსენების თაობაზე ივანე ჯავახიშვილი ვარლამ დონდუასადმი გაგზავნილ წერილში (1937 წ. 2 ივნისს) უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავდა: „გუშინწინ მოვიხადე ილ. ჭავჭავაძის ხსოვნის წინაშე ვალი და აქაური ფილიალის (იგულისხმება სსრკ მეცნიერებათა აკადემიისა, გ.ყ.) სხდომაზე წავიკითხე მოხსენება „ილ. ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია", რომელზედაც ამ უკანასკნელ დროში ვმუშაობდი, რომელშიც აღნიშნული მაქვს ის დიდი ღვაწლი, მას რომ ამ დარგში მიუძღვის". აქვე შევნიშნავთ, რომ იმავე ადრესატისადმი მომდევნო წლის 3 მაისს მიწერილ წერილში ივანე ჯავახიშვილი ბოდიშს იხდის, რომ ჯერჯერობით ვერ შესძლო ბროშურის „ილ. ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის" მისთვის გაგზავნა.

მომხსენებელი არ იშურებდა ეპითეტებს დიდი წინაპრის მისამართით, კერძოდ, მას მოიხსენიებდა როგორც „ჩვენს დაუვიწყარ მოამაგეს", „ქართული საზოგადოებრივი აზრის მესაჭეს", „ჩვენს დიდებულ

---

[1] იხ. „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია", თბ., 1938, გვ. 1[illegible].

[2] იქვე.

მგოსანსა და პუბლიცისტს“ და ა. შ. მოხსენებაში ცალ-ცალკეა განსილული ილიას ზოგად-ისტორიული კონცეფცია და მეთოდოლოგიური შეხედულებანი. აღნიშნულია ილიას, ასე ვთქვათ, რევოლუციური მიდგომა საქართველოს ისტორიული პროცესის ახლებური გააზრებისადმი. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, „მისთვის (ილიასათვის, გ.ყ.) ისტორია მარტო ფაქტების გროვა არ იყო. მას ისტორიული პროცესის საფუძველი და ამამოძრავებელი ძალა აინტერესებდა, ხოლო შემდეგ მოვლენათა შეფასებაც. ამასთანავე, მისი რწმენით, მთავარი ყურადღება შინაგანს, ე. ი. სოციალ-ეკონომიურსა და კულტურის პრობლემებს უნდა მიჰქცეოდა“.[1] ილიამვე, ივანე ჯავახიშვილის აზრით, — „პირველმა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიური საფუძვლის გამორკვევის აუცილებლობა აღიარა“[2] და „ეს პრობლემა ილ. ჭავჭავაძეს სრულებით სამართლიანად საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან ამოცანად აქვს აღიარებული“[3]. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, „საქართველოს ისტორიოგრაფიას მის დროს არამცთუ ამ თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის თავგადასავლის გაშუქება აზრადაც-კი არ მოსვლია, ის მაშინ იმდენად უმწეო მდგომარეობაში იყო, რომ, ასეთი საკითხის წამოყენების შემდგომაც, პასუხის გაცემა ვერავინ შესძლო“[4].

ივანე ჯავახიშვილი ეხებოდა ილიასეულ მოსაზრებას ძველ საქართველოში მიწისმფლობელობის თავისებური წესის არსებობის თაობაზე, რისი წყალობითაც ჩვენი ქვეყანა ილიას აზრით, უამრავ შემოსევას უძლებდა. ამიტომ მასში მომხდარი არასასურველი ცვლილებანი საზოგადოების დაძაბუნებას იწვევდა (იგულისხმება საკომლოს გაზრდის ხარჯზე სასოფლო (სათემო) საკუთრების შემცირება). რა თქმა უნდა, საკითხის ამგვარი გააზრება მეცნიერული თვალსაზრისით მიუღებელია. ასევე ფიქრობდა ივანე ჯავახიშვილიც, რომელიც ფრიად დელიკატურად შენიშნავდა: „საქმე ის კი არ არის, სწორეა თუ არა თვით ილ. ჭავჭავაძის ზემომოყვანილი განმარტება. აქ ყველაზე საყურადღებო ის გარემოებაა, რომ მან ჯერ კიდევ 1880 წ. აღიარა ისტო-

---

[1] იხ. „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, თბ., 1938, გვ. 7.

[2] იქვე, გვ. 8—9.

[3] ივანე ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე..., გვ. 9. კერძოდ აქ მოტანილი აზრებიდან, ვიმეორებთ, ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი იმ დასკვნას აკეთებს, თითქოს ივანე ჯავახიშვილი ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისზე იდგა (?!).

[4] იქვე.

რიული პროცესის გასაგებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა"[1]. მოხსენებაში ცალკე იყო განმარტებული ილიას დამოკიდებულება ჩვენი ისტორიული პიროვნებებისადმი.

ივანე ჯავახიშვილი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შეეხო შესასწავლი პიროვნების მეთოდოლოგიურ პოზიციას, კერძოდ ილიას მიერ ისტორიული კრიტიკისა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდების მნიშვნელობის აღიარებას. დიდი ისტორიკოსის შეხედულებით, „ილ. ჭავჭავაძეს, რა თქმა უნდა, ისტორიული კრიტიკაცა და შედარებითი მეთოდიც ისტორიული მეცნიერების მძლავრ და აუცილებელ საშუალებად მიაჩნდა, მაგრამ ივ. ჯაბადარის ნაშრომებმა დაარწმუნა, რომ მას ვერც ერთი ამ მეთოდთაგანის ვერც დანიშნულება გაუგია და ვერც მათი გამოყენება შესძლებია"[2]. რაკი ამ ორი აღნიშნული მეთოდის მცოდნე და გამომყენებელი იმ პერიოდის საქართველოში არავინ იყო, ილიამ განმარტა მათი არსი. ივანე ჯავახიშვილის მისედვით, „ამაზე საყურადღებო და უფრო მნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რომ მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა, არამედ ყველას საქართველოს წარსულის შესასწავლად ამ ორი მეთოდის მარჯვედ და ნაყოფიერად გამოყენების რამდენიმე მაგალითიც უჩვენა"[3].

დაბოლოს, ივანე ჯავახიშვილი დაასკვნიდა: „ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ მხოლოდ, რომ, ვინც მომავალში ქართული ისტორიოგრაფიის თავგადასავლის მე-19 ს. ამბების შესწავლასა და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქმნება ისიც აღნიშნოს, რომ ილ. ჭავჭავაძე დიდებული იყო მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, ანდა კიდევ მარტო ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართულის შემქმნელიც კი არა, არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთ ქართველს არა აქვს"[4].

ასეთი იყო ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობანი (პირადი და იდეური) ილიასთან, ასე ფიქრობდა იგი თავისი დიდი ისტორიული წინამორბედის შესახებ.

---

[1] ივანე ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე, გვ. 10.
[2] იქვე, გვ. 13.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 16.

3. ივანე ჯავახიშვილის პოლემიკა იაკობ გოგებაშვილთან და მისი რეზონანსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1903 წელს დიდმა ქართველმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა დაბეჭდა მშვენიერი პუბლიცისტური ნაშრომი „ბურჯი ეროვნებისა“, სადაც სათანადოდ გაიაზრა დედაენის დიდი მნიშვნელობა პიროვნებისა და ერის ცხოვრებაში, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა ეს უკანასკნელი სხვა ხალხის მიერ დაპყრობილია. ამასთანავე, გამოჩენილი ეროვნული მოღვაწე აღნიშნავდა ერის ისტორიის შესწავლის დიდ მნიშვნელობასაც. ამის დასადასტურებლად მას მოჰქონდა მაგალითები დაჩაგრული ხალხების თანადროული ისტორიიდან. „გამოკვლევა და გამოაშკარავება თავისი წარსულის ცხოვრების ღირსებისა, ღვაწლისა, თავისებურებისა“ (იაკობ გოგებაშვილის სიტყვები გახლავთ) მათ მიაჩნდათ, და სავსებით, სწორადაც, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების საფუძვლად. თუმცა, გოგებაშვილის შეხედულებით, „ხშირად ამ გამოკვლევას აქვს ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათი; ღირსებანი დიდდებიან, ნაკლულევანებანი მცირდებიან, მაგრამ მას სარჩულად უძევს უწმინდესი გრძნობა — მამულის სიყვარული და უზენაესი მიზანი — დაცვა თავისის ერის სიცოცხლისა, ამ „ღვთის უდიდესი ქმნილებისა ქვეყნიერებაზედ“, უშინსკის სიტყვით“[1].

როგორც ვხედავთ, ჩვენი გამოჩენილი წინაპარი შეეხო დიდად სერიოზულ საკითხს — მეცნიერებისა (ისტორიოგრაფიის) და პატრიოტიზმის ურთიერთმიმართებას, რომელიც კარგა ხანია, მანამდე და შემდგომაც, აწუხებდათ და აწუხებთ განსაკუთრებით ისტორიკოსებს. მაგალითად, ფიზიკოსის ანდა ბიოლოგოსისათვის აღნიშნული პრობლემა არ არსებობს, მაგრამ ჰუმანიტარებისათვის, განსაკუთრებით, ვიმეორებთ, ისტორიკოსთათვის, იგი ძალზე აქტუალური გახლავთ. ამ შემთხვევაში წამოიმართება დილემა: ისტორიოგრაფიამ უნდა შეალამაზოს საკუთარი ხალხის წარსული და თვალი დახუჭოს ისტორიის უარყოფით მომენტებზე, თუ იყოს მკაცრად ობიექტური, როგორც ფიზიკოსი ან ბიოლოგოსი შესაბამისი შესასწავლი სინამდვილის სფეროების კვლევა-ძიებისას. თუ ამწუთიერი თვალსაზრისით ვიხელმძღვანელებთ, თითქოს ერისათვის სასარგებლო უნდა იყოს წარსულის ვარ-

---

[1] ბურჯი ეროვნებისა, II გამ., ტფილისი, 1903, გვ. 49.

დისფერი სათვალით ხედვა, რადგან მასში თითქოსდა ეს მეტ ენთუ-ზიაზმსა და შემართებას იწვევს. მაგრამ ამ შემთხვევაში, ცხადია, ეს მოხდება ისტორიოგრაფიის, როგორც მეცნიერების, დავნინება-დაკ-ცრობის ხარჯზე.

ცხადად ჩანს, რომ იაკობ გოგებაშვილი აღნიშნული დილემიდან პირველ თვალსაზრისს იზიარებდა. მისი შეხედულებით, ისევე როგორც თავის დროზე გრიგოლ და ალექსანდრე ორბელიანებისათვის და სხვა-თათვის, საქართველოს განვლილი ისტორია, ყოველ შემთხვევაში მეცხრამეტე საუკუნემდე, თითქმის სულ დადებითი, ამაღლებული მოვლენებით ხასიათდებოდა. იაკობ გოგებაშვილის აზრით, მხოლოდ საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობის შემდგომ, „დავტოვეთ თვით-მოქმედება, მივეჩვიეთ სხვის იმედსა და მივეცენით თვლემასა და ძილ-სა“; „დავუძლურდით, მივსუსტდით და უწინდელი ვაჟკაცური თვისე-ბანიც თითქოს დაგვიჭკნა და მათ მაგიერ ჩვენში ჭაობის ბალახივით ამოხეთქეს დაბალთა წვრილმანთა თვისებათა და დაამცირეს ჩვენი არსებობა“; „დავადექით გადაბირების და გაფუქსავატების „გზას“; „ზრუნვა ჩვენს ქვეყანაზედ სხვის ხელში ჩავაგდეთ“; ამიტომაც, „წარ-მოვადგენთ დაჩაგრულთა, თავმოსრილ არსებათა გროვას, რომელიც თითქმის მოკლებულია მომავლის გამაცხოვებელ იმედსა“. ამდენად, დიდი ეროვნული მოღვაწის თანახმად, კრიტიკულ ისტორიოგრაფიას ჩვენში ასპარეზი მხოლოდ XIX საუკუნიდან მოყოლებული თუ შეიძ-ლება მიეცეს, მაგრამ ეს ხომ ფრიად უმცირესი მონაკვეთი გახლდათ ჩვენი ისტორიული პროცესისა.

გოგებაშვილი გულმოკლულად წერდა: „ჩვენ შორის რაღასა ვხე-დავთ? ხშირად სრულიად წინააღმდეგსა. საარაკო უკულმართობის გამო ყოველს ღონისძიებასა ვხმარობთ, რომ ჩვენის წარსულის ყოველი ღირსება დავმალოთ, უარვყოთ ყოველივე მისი (ერის, გ.ყ.) თავისე-ბურობა და ღვაწლი, გავათახსიროთ, დავამციროთ, მიწასთან გავას-წოროთ, ამითი გამოვუთხაროთ ძირი ჩვენს აწმდგომსა (აწმოს, გ.ყ.) და მომავალსა და გარეშე პირთ ვათქმევინოთ ესა: რამდენი ათასი წე-ლიწადი ქართველებს გქონიათ საკუთარი ისტორიული ცხოვრება და სახელმწიფო, ხანდახან ძლიერიც, და იოტის ოდენა კი კულტურისათ-ვის, თქვენივე სიტყვით, არა გაგიკეთებიათ-რაო“[1]. მართლაც, რომ აღარაფერი არა ვთქვათ მეფის რუსეთის შოვინისტურ ძალებსა და

---

[1] ბურჯი ეროვნებისა, ტფილისი, 1903, გვ. 49.

სომხური პლუტოკრატიის იდეოლოგოსებსა და პუბლიცისტებზე, საქართველოს ისტორიის მიმართ უაღრესად ნიჰილისტურად განეწყვნენ ჩვენი ქვეყნის შიგნითაც, კერძოდ ჯერ ქართველი ხალხოსნები და შემდეგ სოციალ-დემოკრატები (ორივე ჯურისა). ირაკლი (კაკი) წერეთელი წერდა: „აწმყო ჩვენ გველივით გვეზიზღება, წარსული ჭირივით „გვეჯავრება"[1]. ბოლშევიკი ფილიპე მახარაძე კი თავის „შედევრში" „დანიელ ჭონქაძე, და მისი დრო" (1904) უფრო „ღრმააზროვნულად" აღნიშნავდა: „ჩვენ ხშირად გვესმის საყვედური, რომ ქართულ (!) ისტორიას ჯერ არ ყავს გამოჩენილი ისტორიკოსი, მაგრამ ასეთი საყვედური რამდენადაც მართალია, იმდენათ იგი უსაფუძვლოა, და მართლაც, კარგიც რომ გვყოლოდნენ, რას იზამდნენ ჩვენში გიზო, ლუი-ბლანი, ტიერი, ბოკლი, ნიბური და სხვა? რომელი მოძრაობა, ან რომელი ისტორიული ცვლილება უნდა გაეხადათ იმათ თავიანთ გამოკვლევათა საგნათ, რაზე უნდა მიეპყროთ თავიანთი ყურადღება? აბა დაასახელეთ ისეთი ღრმა ცვლილება ჩვენს ისტორიაში, რომელსაც ხაზი გაევლოს ძველსა და ახალს ცხოვრებაში და რომლის მოთავე თვით ხალხი ყოფილიყოს"[2].

უთუოდ განსაკუთრებით ამ უკანასკნელებს გულისხმობდა იაკობ გოგებაშვილი თავისი გულისტკივილის გამოთქმისას, თუმცა „ბურჯი ეროვნებისა"-ში ისინი პირდაპირ არ დაუსახელებია. სამაგიეროდ, ჩვენი ისტორიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების ნიმუშად მას მოპქონდა ნიკო მარის მაგალითები. რასაკვირველია, ობიექტური, თუნდაც კრიტიკული იყოს, მიდგომა, ვთქვათ, ჩვენი მხატვრული ლიტერატურის წყაროებისადმი, სავსებით ბუნებრივია, მაგრამ ნიკო მარი ამას ნამეტან ხშირად აკეთებდა და ამ მხრივ მხარს უბამდა სომხური პლუტოკრატიის იდეოლოგოსების გამოხდომებს, კერძოდ, საკმაოდ აკნინებდა ჩვენს ძველ კულტურას სომხურის განდიდების ხარჯზე. ყოველივე ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ჩვენი იმდროინდელი საზოგადოებრივი აზროვნების სხვა მესვეურებსაც — ილიასა და აკაკის.

სწორედ იაკობ გოგებაშვილს „ბურჯი ეროვნებისას" საპასუხოდ 1904 წელს ჯერ გაზეთ „ცნობის ფურცელში" (იხ. 1, 6, 8, 13, 14 და 15 აპრილის ნომრები), ხოლო შემდგომ ცალკე ბროშურის სახით ივანე ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა „მამულიშვილობა და მეცნიერება", რო-

---

[1] იხ. „კვალი", 1903, № 14.

[2] იხ. მისი თხზულებათა კრებული, ტ. V, ტფილისი, 1926, გვ. 102—103.

მელმაც იმჟამინდელ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში თვალსაჩინო გამოცოცხლება გამოიწვია. ახლა, ლამის საუკუნოვანი დროის გადასახედიდან, მით უფრო ბევრი რამ არის ნათელი ორი დიდი ქართველის პაექრობაში და ამიტომაც მეტი საფუძველი არსებობს ობიექტურობისათვის.

რა თქმა უნდა, ივანე ჯავახიშვილი სავსებით მართალი იყო იმაში, რომ პატრიოტიზმმა სულაც არ უნდა შეუშალოს ხელი წარსულის, მათ შორის XIX საუკუნემდელი, მანკიერი მოვლენების მხილებას და ამდენად, ისტორიოგრაფიის მეცნიერებად გადაქცევას. თუ ერთ დროს, ივანე ჯავახიშვილის აზრით, წარსულისადმი ამგვარ მიდგომას რაღაც გასაქანი და გამართლება ჰქონდა, XX საუკუნის დასაწყისში ეს სავსებით გამორიცხული უნდა ყოფილიყო. ამაში, ვიმეორებთ, არაფერია საკამათო და ჩვენს დიდ პედაგოგს ამ თვალსაზრისით რაიმე ხელმოსაკიდებელი არა ჰქონდა[1]. მაგრამ თუ ობიექტურნი ვიქნებით და განვთავისუფლდებით საღლეგრძელოების (ქართული!) განწყობილებისაგან, დავინახავთ, რომ საერთოდ კორექტულობითა და საფუძვლიანობით გამორჩეული ივანე ჯავახიშვილს იმხანად რაღაც შეეშალა.

დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ მისი აზრით „ენის მნიშვნელობის შესახებ გერმანულად და ფრანგულად მრავალი საუცხოო თხზულება არსებობს, რომლებშიაც გაცილებით უფრო უკეთესად, საბუთიანად და ცხადად არის გამოთქმული ის საკითხი, რომელსაც ბ-ნი გოგებაშვილი ეხება“[2]. მაგრამ თვითონ იაკობ გოგებაშვილიც ხომ მოკრძალებით აღნიშნავდა თავისი პუბლიცისტური ნაშრომის დედააზრის თაობაზე: „ეს მარტო ჩვენი აზრი არ არის: იგი ეკუთვნის ჩინებულ და განთქმულს პედაგოგებს და მეცნიერებს, რომელნიც ისეთის ძალით, ანალიზით და მჭერმეტყველობით ჰხატვენ მავნებლობას დედა-ენის უარყოფისას და მის გაცვლისას უცხო ენაზედ, რომ ჩვენი სიტყვები შეადგენენ მხოლოდ მკრთალს კოპიოს, სუსტ აჩრდილს მათის მსჯელობისას“[3]. რაც მთავარია, ვიმეორებთ, „ბურჯი ეროვნებისა“ მშვენიერი

---

[1] ცნობილი ლიტერატორი როსტომ ჩხეიძე თავის სტატიაში „მარადიული ჭიდილის ანარეკლი“ (იხ. კრებული „მზის ამოსვლის წინ“, თბ., 1997) საცილობელს ხდის ივანე ჯავახიშვილის სიმართლეს ამ საკითხში და მეტიც, თითქოს მან მოწიფულობაში გააცნობიერა იაკობ გოგებაშვილის აზრის მართებულობა.

[2] ივ. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, ტფილისი, 1904, გვ. 2.

[3] იაკობ გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა, ტფილისი, 1903, გვ. 14.

პუბლიცისტური ნაშრომი გახლავთ და მის მიმართ სხვანაირი კრიტერიუმებისა თუ სტანდარტების წამოყენება მთლად გამართლებული არ უნდა იყოს.

ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, თითქოს იაკობ გოგებაშვილს მხოლოდ წარსულის „ადვოკატურ-გამოსარჩლებითი" მეთოდით გაზრების გზით ეწადა ჩვენი სანუკვარი ეროვნული იდეალის აღსრულება და არა საზოგადოების გამოფხიზლებითა და საპარლამენტო ბრძოლით. მაგრამ მსგავსი ილუზია იაკობ გოგებაშვილს არა ჰქონია და, გარდა ამისა, იგი ხომ სამოციანელთა იმ ბრწყინვალე თაობას მიეკუთვნებოდა, რომელსაც დიდი ნიჭიერება და პრაქტიკული ენერგია არ დაუზოგავს ეროვნული თვითშეგნების ამაღლება-გაძლიერებისათვის, პრაქტიკული საქმეების აღსრულებისათვის. ივანე ჯავახიშვილის შენიშვნით: „ქართულ ენასა და მწერლობას მაშინ გაუმაგრდება ნიადაგი, თუ ჩვენი ახალი თაობა პატივცემულ პრ. (პროფესორ, გ.ყ.) ვ. პეტრიაშვილს მიჰბაძავს და გულწრფელად და თავგანწირულად ეცდება ქართული, სამეცნიერო (ყველა დარგისა) თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაფერისი მწერლობა შეჰქმნას". მაგრამ იაკობ გოგებაშვილი ხომ აშკარად არა ჰგავდა იმ „ჩვენებურ მშიშარა და ლაჩარ მამულიშვილებს" (ივანე ჯავახიშვილის სიტყვებია), რომლებიც ბლომად იყვნენ იმსანად და არიან ახლაც და რომელთა აქტიურობა მხოლოდ მოთქმა-წუწუნით გამოიხატება, და არა სერიოზული მოქმედებით; ჩვენი დიდი წინაპარი ხომ დიდად იღვწოდა ქართული პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების, შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობის, პუბლიცისტიკისა და საერთოდ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების სარბიელზე.

ბევრი იმდროინდელი ქართველის მისამართით კი უცილობლად, მაგრამ როგორ შეიძლებოდა ამგვარი საყვედურის გამოთქმა გოგებაშვილის მიმართ: „...იმის მაგივრად ეცადნენ ყოვლის ღონისძიებით იმდენად ააღორძინონ ჩვენი ცხოვრება, რომ ქართულის ენის ცოდნა აუცილებლად საჭირო იყოს ყველასათვის ცხოვრებაშიც, აღებ-მიცემობაშიც, იმის მაგივრად, რომ სამეცნიერო თუ ხელოვნურ (მხატვრულ, გ.ყ.) მწერლობის წარმატების ხელის შეწყობის წყალობით ჩვენს დედაენას მტკიცე, მკვიდრი ნიადაგი მოუპოვონ..."[1] ალბათ ასევე ასალგაზრდობით

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მამულიშვილობა და მეცნიერება, გვ. 6.

ემართებოდა ივანე ჯავახიშვილს დიდი პედაგოგის მისამართით ნათქ-
ვამი: „ბ-ნ გოგებაშვილს რომ „ადვოკატურ, გამოსარჩლებითი“ ისტო-
რიის წერის მაგიერ თავის დროზე საზოგადოებისათვის ჩაეგონებინა,
თავის წარსულ და თანამედროვე ცხოვრების კრიტიკულად შესწავლას
შესდგომოდნენ და თვითონაც შეძლებისდაგვარად მაგალითი ეჩვენე-
ბინა, მაშინ ქართველ საზოგადოებას შეეძლო ბევრი შეცდომა აეცი-
ლებინა თავიდან და ჩვენ მოქმედებას და პოლიტიკას გარკვეული, მტკი-
ცე ხასიათი ექნებოდა“.[1] მაგრამ ხომ ცნობილია, რომ იაკობ გოგებაშ-
ვილს არა ჰქონდა შესაბამისი პროფესიონალური მომზადება და მო-
წოდება, არც ილია ჭავჭავაძის გაქანება, მაგრამ, ვიმეორებთ, საერთოდ
რაც მან გააკეთა, უდიდესი მნიშვნელობისა გახლავთ.

აქ იმის ადგილი არ არის, რომ შევჩერდეთ იაკობ გოგებაშვილისა-
გან ნიკო მარისადმი წაყენებულ შენიშვნებზე და მათს შესახებ ჩვენ
დიდი ისტორიკოსის პასუხებზე. აქ დგება ნიკო მარის, როგორც ობი-
ექტური მეცნიერისა და ქართველი პატრიოტის საკითხი. ვინც ამ უკა-
ნასკნელის, როგორც მეცნიერის, ჩამოყალიბებას თვალს ადევნებდა,
ფიქრობდა, რომ მისი სახით საქართველოს პატრიოტი მეცნიერი მოევ-
ლინებოდა. მაგრამ უკვე სომხური პლუტოკრატიის გამოხდომებისას
გამოჩნდა, რომ მსგავსი მოლოდინი ვერ გამართლდებოდა: ნიკო მარმა
უკვე იმხანად გამოიჩინა კონიუნქტურის აყოლის უნარი. ეს გარემოება
კი მოწინავე ქართველობამ ადრე გაიცნობიერა. სწორედ ამის გამოძა-
ხილს წარმოადგენდა 1898 წელს მამის შეშფოთებული მიმართვა ივანე
ჯავახიშვილისადმი: „შვილო, როგორც მამა გირჩევ შენი საკუთარი და
ჭეშმარიტი კრიტიკულის თვალით შეხედო ყველაფერს და არა მიეპყ-
რო მარის ქართულის საწინააღმდეგო მიმართულებას“-ო[2].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, გვ. 17.

[2] ჩანს, იმხანად და შემდგომაც ქართულ საზოგადოებრიობაში გავრცელებული ეს
აზრი, თითქოს ივანე ჯავახიშვილი თავის სამეცნიერო მოღვაწეობაში მონურად მიჰ-
ყვებოდა ნიკო მარს. ბატონ ივანეს ხასიათიდან გამომდინარე, ასეთი რამ აბსოლ-
ტურად გამორიცხულია. ზემოთ უკვე მივუთითებდით თუ როგორ პოლიტიკურ დაპი-
რისპირებულობას ჰქონდა ადგილი მათ შორის. სხვა ფაქტებსაც მოგახსენებთ. 1902
წლის 4 იანვარს ნიკო მარი ბერლინში მყოფ ივანე ჯავახიშვილს სწერდა: „თქვენი
საქართველოს ისტორიის წერის ამბავი კაი ხანია მაცნობეს. მართალი მოგახსენო,
მე არ მჯეროდა, ერთი რომ თქვენ არ (აღნიშნულ პუბლიკაციაში სიტყვა „არ“ გა-

კონიუნქტურულობა ხომ ნიკო მარს შემდგომშიც არაერთგზის გამოუჩენია! აღნიშნული ნიშან-თვისების გამოისობით, მიუხედავად უდიდესი ერუდიციისა და მრავალი ენის ცოდნისა, ვიმეორებთ, ნიკო მარი ხშირად სცოდავდა ობიექტურობის წინაშე, კერძოდ, ქართული კულტურის შეფასების საქმეში. ასე რომ, ივანე ჯავახიშვილის სიტყვები ნიკო მარზე როგორც „დიდბუნებოვან მეცნიერზე", რბილად რომ ვთქვათ, მთლად საფუძვლიანი ვერ იყო. იგივე ითქმის ივანე ჯავახიშვილისაგან ილიას ცნობილი ლექსის ერთი ტაეპის მოხმობაზე:

„ჩემზედ ამბობენ, ის სიავეს ქართლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ ჰმალავს — ეგ რომ ცხადი სიძულვილია,
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული — კი მაშინვე სცნობს
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!".

ამ სტრიქონებში გაცხადებული ჭეშმარიტების ხაზგასმის უფლება, ცხადია, ილიას გარდა იმ დროის სხვა ქართველებსაც ჰქონდათ, მაგრამ მათ რიცხვში არ არის საგულისხმო ნიკო მარი, როგორც მაშინ ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა. მიხაკო წერეთელი, მისთვის ჩვეული პირდაპირობით, ნიკო მარის შესახებ ივანე ჯავახიშვილს 1918 წლის 29 აგვისტოს ბერლინიდან სწერდა: „პეტროგრადში რომ ვიყავი, ვნახე პირველად ჩემს სიცოცხლეში პროფ. ნ. მარი. შთაბეჭდილება იქონია ისეთი, რომ ეგ არის ნამდვილი რუსის მოხელე და სხვა არაფერი. მე სხვა რამ მეგონა. მაგას არც ქართველი და საქართველო სწამს, არც სომეხი და სომხეთი, არამედ ის დაწესებულება და სახელმწიფო, სადაც იგი ადვილად მსახურობს და საშუალება ეძლევა თავისი მეცნიერული გეგმა შეასრულოს ძლიერ ადვილად. გერმანიაში რომ ყოფილიყო, გერმანიის პატრიოტი იქნებოდა ამავე მიზეზის გამო".

ივანე ჯავახიშვილის წერილს, ოდნავ დაგვიანებით, გამოეხმაურა იაკობ გოგებაშვილი (იხ. „ცნობის ფურცლის" 1904 წლის 29 აპრი-

---

მოტოვებულია, გ. ყ.) იწერებოდით, მეორე, რომ ცოტა აჩქარებულად მეჩვენება. მაგრამ ახლა ვტყობილობ, კიდევაც დაგისრულებიათ", იხ. ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა, თბილისი, 1996, გვ. 22. ამავე წერილში ნიკო მარი უკმაყოფილებას გამოსთქვამდა ზურაბ ავალიშვილის ცნობილ წიგნზე ივანე ჯავახიშვილის მიერ დადებითი შეხედულების ქონის გამო და მკვახედ დასძენდა: „ჩემთვის რჩება ერთი დასკვნა, რომ ასეთ მიმართულებას ვერ მოგილოცავ და თუ თქვენაც მხარის გაწევას მოინდომებთ ასეთ მიმართულების უღლისთვის, სჯობს თავიდგან დავშორდეთ ერთმანეთს როგორც მეცნიერების თანამშრომელნი. იქნება ასე სჯობია თქვენი აზრით, ჩემი აზრით კი ვერა". იქვე, გვ. 21.

ლის ნომერი). როგორც აქ ვგებულობთ, ჩვენი ორი სათაყვანებელი პიროვნება: იაკობ გოგებაშვილი და ივანე ჯავახიშვილი წინა, 1903 წელს შეხვედრიან ერთმანეთს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. მაშინ იაკობს საყვედური გამოუთქვამს, თითქოსდა ივანე ჯავახიშვილის მიხედვით „წმინდა ნინო უბრალო ტყვე იყო, და მთელი დიდებული ისტორია ქრისტიანობის გავრცელებისა საქართველოში ხალხის არაკია, რომ ანდრია მოციქული საქართველოში სრულიადაც არა ყოფილა და, მაშასადამე, ქართული ეკლესია მოკლებულია ღირსებას სამოციქულო ეკლესიისას“-ო.

უფრო სერიოზული იყო იაკობ გოგებაშვილის მიერ გამოთქმული მეორე საყვედური: „ამავე დროს აუარებელი ცილისწამება იბეჭდება თქვენს ახლო ჩვენის ერის წარსულისა და აწმყოს შესახებ და თქვენ არც ერთხელ არ აგმღვრევიათ გული და არ აგილიათ კალამი სიმართლის დასაცველად და ცილისწამების გასამტყუნებლად“. მაგრამ უსაფუძვლო გახლდათ იაკობ გოგებაშვილის ნათქვამი თავმდაბლობითა და სამეცნიერო კარიერიზმისაგან შორს მდგომობით ცნობილ ივანე ჯავახიშვილისადმი: „ამბობენ, თქვენ გწადიათ დაიჭიროთ კათედრა ქართულის ენისა აღმოსავლეთის (!) ფაკულტეტზე. გულახდილად უნდა გითხრათ, ვერ მოგილოცავთ. სომხურის კათედრიდან ბ-ნი მარრი ჩვენის უარყოფობის ოპერას იმღერის წინანდებურად და თქვენ ქართულის კათედრიდან მაღალს ბანს მისცემთ. გაიმართება სწორედ ჩინებული ჰარმონიული დუეტი და... აგვიშენდება ოჯახი“.

რასაკვირველია, ივანე ჯავახიშვილს ძლიერ სწყენია მსგავსი ყოველად დაუმსახურებელი, სიტყვების მოსმენა და ამის შემდეგ, როგორც იაკობ გოგებაშვილი წერს, ამ უკანასკნელთან მცირეოდენი პირადი ნაცნობობაც კი გაუწყვეტია. როგორც იაკობ გოგებაშვილი აღიარებს: „მეც საწყენად დაჭრჩა მისი წყენა, მაგრამ სიმართლეს თქმა უნდოდა და მეც ვუთხარი“-ო. მისივე თქმით, თითქოს ამის შემდგომ ივანე ჯავახიშვილს „უსაზღვრო სიბოროტე (გაბოროტება, გ. ყ.) გასჩენია იაკობ გოგებაშვილის მიმართ, ვითომდა რითაც აიხსნება „მამულიშვილობისა და მეცნიერების“ დაწერა. ამავე წერილშივე იაკობ გოგებაშვილი ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის მისამართით იქადნიდა: „ეს საუზმედ იმყოფინონ ჩემმა მოწინააღმდეგეებმა და სადილიც თავის დროზე მიერთმევათ“-ო.

მაგრამ არც წერილის გამოქვეყნების ახლო ხანებში და არც შემდგომ მის გარდაცვალებამდე (1912 წელს) იაკობ გოგებაშვილს, მიუ-

ხედავად მისი შეუპოვრობისა და სიჯიუტისაც კი, დაქადნილი პასუხი აღარ გამოუქვეყნებია. ჩანს, იგი მიხვდა, რომ ივანე ჯავახიშვილთან აღნიშნული საკითხის თაობაზე კამათში მას მეცნიერული საფუძველი არ ეყოფოდა და მომდევნო წლების მანძილზე, ალბათ, საკმაოდ გააცნობიერა ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილის, როგორც მეცნიერისა და პიროვნების, შეფასებაში იგი მართალი არ იყო. შესაძლოა იგი თავისი პოზიციის სისუსტესაც მიხვდა. განსვენებული ისტორიკოსის იური კაჯარავას ფიქრით, დიდმა პედაგოგმა, როგორც ჩანს, გაიზიარა ივანე ჯავახიშვილის კრიტიკული შენიშვნები, რაც იმით გამოიხატა, რომ პოეტ დუტუ მეგრელს 1908 წელს თავისი სახელმძღვანელოდან ამოაღებინა მისი ლექსის ორი სტრიქონი.[1] ამის შესახებ თვითონ იგი ასე ამბობდა: „რაც შეეხება ორი სტრიქონის გამოტოვებას ბ-ნი დუტუს ლექსიდან, ეს იძულებული ვიყავი მომეხდინა შემდეგი მოსაზრებით: საღი მამულიშვილობა ძვირფასი საუნჯეა; მაგრამ გადაჭარბება ასუსტებს და ამდარებს. ჩვენი კალმოსანი გამოტოვებულს სტრიქონებში საქართველოს ქვეყნის (მსოფლიოს, გ.ყ.) თვალად სთვლის და ეს კი გადაჭარბებული ქებაა“.

1904 წლის 20 და 21 აპრილის ნომრებში გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ივანე ჯავახიშვილის „მამულიშვილობისა და მეცნიერების“ გამოქვეყნებას „ივერიაში“ (გაზეთის რედაქტორი 1903-05 წლებში, როგორც ცნობილია, გახლდათ გრიგოლ ყიფშიძე) გამოეხმაურა მოსე ჯანაშვილი. იგი ძირითადად ლაპარაკობდა თავისი უწინდელი პოლემიკის თაობაზე ნიკო მართან. ერთ ადგილას ვკითხულობთ: „ჯავახიშვილს ძალიან უყვარს ორი სიტყვა მეცნიერი, უვიცი. მეცნიერია, ვინც მარრის ახალ აზრს უმალვე დაიჯერებს, უმეცარი, ვინც ამ აზრს არ მიიღებს“ (იხ. აღნიშნული გაზეთის 20 აპრილის ნომერი). მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ამავე წლის 17 აგვისტოს გაზეთ „ივერიაში“ „პ.პ“-ს ხელმოწერით დაიბეჭდა ერთობლივი რეცენზია ქ. ა. ვერმიშევის წიგნისა «Материалы для истории грузино-армянских отношений» და ივანე ჯავახიშვილის აქ განხილულ ნაშრომზე, რომელშიც (რეცენზიაში) აშკარად ანტიქართული და პატრიოტულად (საქართველოსადმი სიყვარულით) დაწერილი ნაწარმოები ერთ სიბრტყეზეა დაყენებული. ავტორის აბსურდული მტკიცებით, ივანე ჯავახიშვილი თითქოს წინასწარ განზრახული აზრით წერდა, თითქოს მას „საქარ-

---

[1] იხ. ავტორის „ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები“, თბ., 1962, გვ. 178.

თველოდ მიაჩნია მხოლოდ გორის მაზრა, და არა მაშინდელი ვრცელი მხარე ქართველებისა“, „რომელმაც არ იცის არც ქართული ენა, არც მისი კილოკავები“ და ა. შ. დასასრულს ავტორი ასეთ მიამიტურ პროგნოზს გამოსთქვამდა: „დღეს არსებობს ბრძოლა ორ უმწვერვალესობას (დაპირისპირებულობას, გ.ყ.) შორის. ერთის მხრივ არიან ცაგარელი და მისნი მიმყოლნი და მეორეს მხრივ — პეტერბურგელი ახალი მეცნიერები. ეს ყრუ ბრძოლა დიდხანს ვერ გასტანს და, ჩვენის აზრით, გათავდება საქართველოს საკეთილდღეოდ“, ე. ი. თითქოს გაიმარჯვებდა პირველი მხარე.

პოლემიკაში ჩაება აკაკი წერეთელიც, რომელმაც „ივერიის“ 1904 წლის 3, 4 და 5 ივნისის ნომრებში დაბეჭდა სტატია („ფელეტონი“) სათაურით „ქართველთ მოძულენი“, რომელშიც იგი აგრძელებდა თავის უწინ დაწყებულ კამათს ნიკო მართან. ამის შემდეგ კი აკაკი „გაუსწორდა“ ივანე ჯავახიშვილსაც. მისი აღიარებით, „მარრის მაგალითმა შკოლა გამოიწვია (!) ჩვენში „ქართველთა მოძულეთა“, რომელთა შორის თავი იჩინა ახალგაზრდა ჯავახიშვილმა. და ამის წაყრუება არ ივარგებს არც ჩვენთვის და არც თვით იმ ახალგაზრდა სამეცნიერო გზისკენ მიმავალ კაცისთვის“ (იხ. „ივერიის“ 1904 წლის 3 ივნისის ნომერი). იგი ამ შემთხვევაში დიდად შორსმჭვრეტელურად წერდა, რომ „შეიძლება ერთხელ ოდესმე ბ-ნი ჯავახიშვილი ბრძენთა ბრძენი შეიქმნეს და მეცნიერთა მეცნიერიც გამოდგეს“, მაგრამ „ჯერ კი არც დრო და არც მისი ნაშრომ-ნაღვაწი უფლებას არ აძლევს, რომ მედიდურად მოძღვრიდეს გოგებაშვილს“ („ივერია“ 5 ივნისი). თურმე „მამულიშვილობისა და მეცნიერების“ „ზედა პირი — დიალ ლოღიკურია და, ვითომც, გულწრფელად დაწერილი, მაგრამ სარჩული კი ქვეშ-ქვეშური... შეუფერებელი“ (იქვე).

აშკარად, ჩანს, რომ პოლემიკაში აკაკი წერეთელი მნიშვნელოვანწილად ემოციებით ხელმძღვანელობდა და საკითხის (კამათის) არსს სცილდებოდა. ისიც, იაკობ გოგებაშვილის დარად, ივანე ჯავახიშვილს კითხვას უსვამდა, თუ რატომ მაშინ არ ილებს ხმას, როცა საქართველოს ხელყოფენო (იქვე)[1].

---

[1] სხვათა შორის, ნიკო მარი საქართველოს მიმართ სომხური პლუტოკრატიის ინტერესების გამომხატველთა მხრიდან გამოხდომებში ვერაფერ საგანგაშოს ვერა ხედავდა.

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ პოლემიკისაგან თავი შეიკავა იმ-დროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების უცილობლად მთავარმა წარმმართველმა ილია ჭავჭავაძემ. მას, როგორც ცნობილია, ნიკო მარის შესახებ ჯერ კიდევ 1899 წელს დაწერილ „ქვათა ღალადში" ჰქონდა ჩამოყალიბებული თავისი მყარი შეხედულება, კერძოდ ნ. მარის ნიჰილისტური დამოკიდებულების თაობაზე საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურისადმი, რის გამოც „სომხების პროფესორად" მოიხსენიებდა. მაგრამ პოლემიკაში იგი, ვიმეორებთ, მაინც არ ჩარეულა. მან ვითარცა ბრძენკაცმა, როგორც ჩანს, კარგად შეამჩნია მომავალი დიდი ისტორიკოსისა და მამულიშვილის პოზიციის საფუძვლიანობა (ძირითადში), რაშიც საბოლოოდ დარწმუნდა 1906-07 წლებში.

საინტერესოა ივანე ჯავახიშვილის სიტყვები, რომლებიც დაწერილია 1922 წელს, ე. ი. მაშინ, როდესაც აშკარად წარმოჩნდა ნიკო მარის დიდად ნეგატიური როლი ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში: „არა ერთხელ ამ ხანაში (იგულისხმება ზემოთაღწერილი პერიოდი, გ.ყ.) მას ზოგიერთ ქართველ მოღვაწეთაგან საყვედური გაუგონია და უსიამოვნებაც მისდგომია. მაგრამ რადგან, ერთის მხრით, განმარტოებულად იდგა ის-ნ. მარი, დამოუკიდებელ თავისუფალ სამეცნიერო კვლევა-ძიების თავგამოდებული მიმდევარი, მეორე მხრით, ფილოლოგიურ მეცნიერებაში უცოდინარი, მარტოოდენ ყალბი მამულიშვილური თავმოყვარეობით აღტკინებული მცირედი მოღვაწეები და ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი, ჩვენ, თუმცა ეს მაშინდელ პირობებში ადვილი არ იყო და პირადად უსიამოვნების მეტს არას გვიქადდა, უყოყმანოდ საჯაროდ მის დასაცავად გამოვედით (იხ. „მამულიშვილობა და მეცნიერება"). ვგონებ, არ უნდა ვცდებოდე, თუ ვიტყვი, რომ არა ერთს ქართველ ინტელიგენტს ამ ჩემმა წერილმა და წიგნმაც ნ. მარისაკენ გული მოუბრუნა და თანდათან გაფანტა ის გაუგებრობა, რომელიც ქართველ საზოგადოებაში ნ. მარის შესახებ სუფევდა"[1]. ვფიქრობთ, რომ ივანე ჯავახიშვილის აქ მოტანილ აზრში გადაჭარბებაა — ქართულ საზოგადოებაში იმხანად არსებულ დიდ ეჭვებს ნ. მარისადმი საკმაო საფუძველი ჰქონდა და მათი გაფანტვა საერთოდ შეუძლებელი იყო.

---

[1] ციტირებულია სერგო ჯორბენაძის წიგნის „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა" მიხედვით, 1983, გვ. 213.

როდესაც „საქართველოს ენციკლოპედიის“ გამოსაცემად შეიქმნა ამხანაგობა „ცისკარი“, მის გამგეობაში წევრად იქნა შეყვანილი იაკობ გოგებაშვილი, ხოლო მოწვეულ თანამშრომელთა შორის გასლდათ ივანე ჯავახიშვილიც[1]. სამწუხაროდ, დასახული ამოცანა იმხანად ვერ იქნა აღსრულებული, თორემ მაშინ ჩვენს ორ სასიქადულო პიროვნებას შორის კონტაქტები აღდგებოდა.

გადიოდა წლები და იმ დროის ჩვეულებრივ, საშუალო ქართველთათვისაც კი ნათელი ხდებოდა ივანე ჯავახიშვილის როგორც მეცნიერისა და ეროვნული მოღვაწის პატრიოტიზმი, სიდიადე, პრინციპულობა. როცა დარწმუნდა ნიკო მარის უმართებულო ქცევაში ქართული საქმისადმი (უნივერსიტეტის დაარსებისადმი) და მეცნიერებისადმი საერთოდ (ვგულისხმობთ იაფეტიდოლოგიას), ივანე ჯავახიშვილი მკვეთრად გაემიჯნა თავის ყოფილ, ერთ დროს ძვირფას მასწავლებელსა და მოამაგეს. მან აღიმაღლა აგრეთვე ხმა სომეხი შოვინისტების (ამჯერად პოლიტიკოსებისა და სამხედრო მოღვაწეების რანგში) წინააღმდეგ. რადიკალურად შეიცვალა თავისი აზრი ივანე ჯავახიშვილზე კერძოდ მოსე ჯანაშვილმაც. ვინც ივანე ჯავახიშვილს ეროვნულ ნიჰილიზს უკიჟინებდა, ადვილად უნდა დარწმუნებულიყო საპირისპირო აზრში, როცა 1908 წელს ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნი გამოვიდა. წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავდა: „8 წლის მუშაობამ არსებითად შესცვალა ჩემი შეხედულებაც და დამანახვა, რომ ჩვენი ერის წარსული ბევრად უფრო საყურადღებო და საგულისხმიერო ყოფილა, ვიდრე ჩვეულებრივად ეგონათ ხოლმე“[2].

თვითონ ჩვენი დიდებული ისტორიკოსი და მამულიშვილი იაკობ გოგებაშვილის დაბადების ასი წლის იუბილის დღეებში მრავალ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთში სათანადოდ გამოეხმაურა „გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და მოღვაწის“ (მისი სიტყვები გახლავთ) ხსოვნას. ივანე ჯავახიშვილი დაესწრო დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაზე ნიკოლოზ ბარათაშვილისა და იაკობ გოგებაშვილის ნეშტების გადასვენებას. ამის თაობაზე ცნობილი პათანატომი ვლადიმერ ჟლენტი ასე იგონებდა: „ამ ისედაც დიდებულ, ერთსა და იმავე დროს სამგლო�ia-

---

[1] იხ. რ ო ი ნ მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1975, გვ. 74.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტფილისი, 1908, გვ. I.

რო და საზეიმო ვითარებას კიდევ უფრო აძლიერებდა ივანე ჯავახიშვილის იქ ყოფნა. რა მშობლიური, წარმოუდგენლად ნაღვლიანი თვალებით უყურებდა ივ. ჯავახიშვილი ნ. ბარათაშვილისა და ი. გოგებაშვილის საფლავებს დიდუბეში და მთაწმინდაზე, მათს სამარეებში არსებულ ყოველ საგანს"[1].

რამდენიმე თვეში თვითონ ჯავახიშვილიც შეუერთდა დიდ წინაპართა სულებს. მაგრამ მისი ფიზიკური ნეშტი დავანდა არა აქვე, მწაწმინდის პანთეონში, რასაც იგი უეჭველად იმსახურებდა, არამედ მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტის ეზოში!

4. ივანე ჯავახიშვილის პირველი „მარქსისტული" კრიტიკა

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორი გამოხმაურება მოჰყვა ივანე ჯავახიშვილის „მამულიშვილობა და მეცნიერების" დაბეჭდვას. დავრწმუნდით იმაშიც, რომ ბევრი კრიტიკული გამოსვლა (რაც შეეხება მეცნიერებას) უსამართლო (უმართებულო) და უნიადაგო იყო. მაგრამ ამავე დროს, ამაში იგრძნობოდა გულისტკივილი დაჩაგრული საქართველოს მიმართ. ასე რომ, მსგავსი რეაქცია პატრიოტთა („ნაციონალისტთა") წრიდან მოდიოდა. საზოგადოებრიობა უფრო ერთსულოვანი გახლდათ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის"[2] შეფასებაში, აღიქვა რა იგი როგორც სრულიად ახალი სიტყვა ქართული ისტორიოგრაფიასა და საერთოდ მეცნიერებაში.

მაგრამ ამ შემთხვევაში გამონაკლისიც იყო, კერძოდ ქართველი სოციალ-დემოკრატების მხრიდან, რომელთათვისაც პატრიოტიზმი და „ნაციონალიზმი" სალანძღავ სიტყვებს წარმოადგენდნენ. მეტიც, თუ ისინი ოდნავ სერიოზულად მაინც აღიქვამდნენ და შეისწავლიდნენ მარქსიზმს, მაშინ საქართველოს ისტორიული პროცესის ეკონომიკური მხარე პირველ რიგში მათ უნდა შეესწავლათ და თანაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ინტელექტუალურ სიბერწეს, მსგავსი რამ ვერ მოხდებოდა. თუმცა მათ ზნეობაც არ ეყოთ იმისათ-

---

[1] იხ. სერგო ჯორბენაძის დასახ. წიგნი, გვ. 565.

[2] გამოიცა თბილისში 1907 წელს, წინა წელს მისი ნაწყვეტები იბეჭდებოდა „ივერიაში".

ვის, რათა სათანადოდ დაეფასებინათ ახალგაზრდა, დიდი იმედების მომცემი სწავლულის წამოწყება.

1907 წელს ქუთაისში გამომავალ სოციალ-დემოკრატების ყოველკვირეულ „ცისკარში“ (5, 6) ფილიპე მახარაძემ გამოაქვეყნა „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა“, რომელიც ფაქტობრივად რეცენზია იყო. დასაწყისშივე ქართული ბოლშევიზმის დამწყები და ლიდერი აღნიშნავდა: „სამწუხაროთ (!), არც ერთი მისი (ივანე ჯავახიშვილის, გ.ყ.) ნაწერი, გარდა იმ ნაწერისა, რომლის სათაური ზევით მოვიყვანეთ, ჩვენ შემთხვევა არ გვქონდა გაგვეცნო (სტილი დაცულია, გ.ყ.)“. და ამას აღიარებდა მაშინ, როდესაც ჩვენს მომავალ დიდ ისტორიკოსსა და მამულიშვილს იმხანად გარდა „საქართველოს ეკონომიური ისტორიისა“ საკმაოდ მრავალი ნაშრომი ჰქონდა გამოქვეყნებული როგორც რუსეთში, ისე საქართველოში.

მეტსაც ვიტყოდით, თითქოს ავტორის ნაწერების თაობაზე ქართულ მწერლობაში (ფართო აზრით) ჯერჯერობით, 1907 წლამდე, არავის ემსჯელა. ფილიპე მახარაძის მიხედვით, „საქართველოს ეკონომიური ისტორიის გადათვალიერებამ (?!) ჩვენ დაგვარწმუნა იმაში, რომ ბ-ნ ივანე ჯავახიშვილს არც მომზადება აქვს და არც ცოდნა საქართველოს ეკონომიური ყოფა-ცხოვრების გამოსაკვლევათ“. იგი ავტორს უპირველესად უკიჟინებდა მეთოდის არქონას („ავტორი ხსენებული წიგნის შედგენის (!) დროს სრულებით არავითარი მეთოდით არ ხელმძღვანელობდა. ამიტომ მისი შრომა არ არის მეცნიერული გამოკვლევა“). მოგეხსენებათ, ქაღალდი ყველაფერს იტანს და მელნითაც მასზე ყველაფრის დაწერა შეიძლება, მაგრამ რა იყო შესაბამისი საისტორიო წყაროების კრიტიკული გამოყენება თუ არა კრიტიკული (ისტორიულ-ფილოლოგიური) მეთოდი? ამ შემთხვევაში ნუთუ ძნელი იყო აგრეთვე ისტორიზმის მეთოდის დანახვა? მაგრამ თურმე საქმე იმაში გახლდათ, რომ „რადგანაც ავტორმა საქართველოს ეკონომიური ისტორიის დაწერა მოინდომა, იგი ჯერ უნდა შედგომოდა წარმოების იმ წესების გამოკვლევას, რომლებიც ძველ საქართველოში არსებობდნენ და შემდეგ უნდა ეჩვენებინა, თუ წარმოების განსაზღვრული წესი რაგვარ საზოგადოებრივ ურთიერთობას ბადებდა“.

მაგრამ ეკონომიკური და სოციალური ისტორიის დაწერისას მარქსისტული მეთოდი ერთადერთი როდი გახლავთ, ეს შეიძლება მოხდეს სხვა მსოფლმხედველობრივი და სოციოლოგიური წანამძღვრების საფუძველზედაც. თვითონ რეცენზენტი სოლომონ ბრძენისეული პოზით

აცხადებდა: „ძველი საქართველოს უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ბატონყმური ურთიერთობა და ფეოდალური წესწყობილება“. ისე გამოდის თითქოს ეს ტრუიზმი უცნობი ყოფილიყოს ვინმესთვის და პირველ რიგში ივანე ჯავახიშვილისათვის, რომელიც ახალგაზრდობიდანვე იყო დაინტერესებული სოციალური ურთიერთობების ისტორიის კვლევა-ძიებით!

სარეცენზიო ნაშრომში ვკითხულობთ: „საზოგადოდ ერთი ახირებული აზრი არსებობს, ვითომც მეთვრამეტე საუკუნემდე საქართველოში „საოჯახო მეურნეობა“ ყოფილიყოს, ვითომც ყველაფერს რაც კი ადამიანისათვის საჭირო იყო თვითეულ ოჯახში თავიანთვის ეკეთებინოთ. ეს აზრი დიდი შეცდომაა“[1]. რასაკვირველია, აქ გამოთქმულ აზრში არ არის არავითარი გადაჭარბება, მაგრამ თურმე „თუ ბ-ნ ჯავახიშვილს დავუჯერებთ, გამოვა, რომ ნატურალური წარმოება საქართველოში ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინეთ გამქრალა“. რეცენზენტის სოფისტიკა და ფანტაზია იქამდეც კი მიდიოდა, რომ ვითომც „ერთი სიტყვით, ბ-ნი ჯავახიშვილი მეთორმეტე საუკუნის წარმოებას ახასიათებს პირდაპირ კაპიტალიზმის ნიშნებით: ე. ი. გამოდის, რომ საქართველოში კაპიტალისტური წარმოება აყვავებული ყოფილა იმ დროს, როცა სხვა ქვეყნებში ჯერ კიდევ ამის ხსენება სრულებით არ იყო“. მაგრამ მსგავსი რამის მტკიცებას ხომ წიგნში ვერ ვხვდებით, პირიქით: აქ ვკითხულობთ, რომ ამ დროის საქართველოს ეკონომიკის დონე, ფულის მნიშვნელოვანი ტრიალი და ა. შ. ბევრ მხრივ დაპყრობითი ომებისა და სხვა ხალხების ექსპლოატაციის შედეგი იყო.

ფილიპე მახარაძე დიდ მეცნიერსა და მამულიშვილს უკიჟინებდა[2] სწორედ იმას, რასაც ეს უკანასკნელი სამი წლის წინათ უსაყვედურებდა იაკობ გოგებაშვილს, — თითქოს ისტორიკოსი „ყოველთვის მზათ არის ქართველი პატრიოტის გული გაახაროს, თუ „გენიოს მეფეთა“ ნამოღვაწევით, თუ ძველი ქართველების სამაგალითო ცხოვრებით. თითქოს ცნობილ პროფანსა და ეროვნულ ნიჰილისტს წიგნის სხვა „ნაკლოვანებანი და შეცდომებიც“ შეეძლო აღენიშნა, მაგრამ ამჯერად ვითომ თავი შეიკავა.

ფილიპე მახარაძისეული ვერდიქტი უმკაცრესი გახლდათ: „საზოგადოთ ცნობილია, რომ ბურჟუაზიული მეცნიერება სოციოლოგიის

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, გვ. 31.

[2] ჩანს, რეცენზენტი იცნობდა ივანე ჯავახიშვილის ზოგიერთ სხვა ნაშრომსაც.

და პოლიტიკური ეკონომიის დარგებში სრულებით გამოიფიტა. მარა, როცა ბურჟუაზიულ მეცნიერებას ზედ ერთვის კიდევ სამშობლოს ცხელ სიყვარული, რომელიც გამოიხატება წარსულის განდიდების სურვილში, და არა მეცნიერული თვალით მის გამოკვლევა-დაფასებაში, ამ შემთხვევაში ყოველგვარი საღი თეორიის, თუ მსჯელობის, ყოველგვარ ჭეშმარიტების გადამახინჯებას (!) და შელახვას საზღვარი აღარ აქვს. ბ-ნ ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორია" ამგვარი გადამახინჯების ერთ მაგალითს წარმოგვიდგენს. ჩვენ აქ იმას აღარ ვიმეორებთ, რომ „საქართველოს ეკონომიური ისტორია" თვით ბურჟუაზიულ მეცნიერების თვალითაც კი უვარგისია".

აღნიშნული რეცენზიის შესახებ ივანე ჯავახიშვილი უთუოდ შეიტყობდა, მაგრამ ფაქტია, რომ იგი მას არ გამოხმაურებია. საერთოდ, ამგვარი შეფასება-კვალიფიკაციები ივანე ჯავახიშვილის მიმართ იმავე პოლიტიკური წრიდან შემდგომშიც ხშირად გაისმოდა, მაგრამ რადგან მსგავსი კრიტიკოსები (ჭეშმარიტად „ვაიკრიტიკოსები") უკვე ხელისუფლების მაღალ ეშელონებს განასახიერებდნენ, შედეგებიც ბევრად ფართო რეზონანსისა იყო და აქედან გამომდინარე, ჩვენი დიდი მეცნიერი და მამულიშვილი ბევრად უფრო ძლიერ სულიერ ტკივილებს განიცდიდა.

5. ივანე ჯავახიშვილი რომ არ ყოფილიყო...

დღეს საყოველთაოდ არის ცნობილი ივანე ჯავახიშვილის როლი თბილისის უნივერსიტეტის დაარსების მოთავეობისა და იდეის ხორცშესხმის საქმეში. მაგრამ ხშირად ისე წარმოიდგენენ, რომ შეიქმნა რა ხელსაყრელი ისტორიული სიტუაცია, მის გარშემო დაირაზმა ქართველ პატრიოტ მეცნიერთა დასი, ამდენად წარმოიქმნა სათანადო წანამძღვრები მოწინავე ქართველობის რამდენიმე თაობის სანუკვარი მიზნის განსახორციელებლად. ასე რომ, თითქოს თუ არა ივანე ჯავახიშვილი, რომელიმე მისი თანამოსაგრე მაინც აღასრულებდა ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების საქმეს. ამგვარი წარმოდგენა კონკრეტულად ვლინდება იმაში, რომ ჩვენი დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის ირგვლივ მყოფთა მრგვალი საიუბილეო თარიღების შესრულების დროს მათ მოიხსენიებენ ხოლმე უნივერსიტეტის ერთ-ერთ თვალსაჩინო დამაარსებლად. მაშინ რაღა უნდა გაგვიკვირდეს, რომ

„დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ მეორე გამოცემის შესაბამის ტომში ივანე ჯავახიშვილი მოხსენებულია ერთ-ერთ ორგანიზატორად საქართველოს (!) უნივერსიტეტისა, რომელიც თითქოს დაარსდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ[1]. „საბჭოთა საისტორიო ენციკლოპედიაშიც“ (მესუთე ტომში) ივანე ჯავახიშვილი მხოლოდ უნივერსიტეტის დაარსების მონაწილედ არის მითითებული.

ამგვარი წარმოდგენის საწინააღმდეგოდ ჩვენ მიგვაჩნია, რომ თბილისის უნივერსიტეტის დაარსების საქმეში ივანე ჯავახიშვილის როლი გადამწყვეტი ხასიათისა გასლდათ და თუ არა იგი, ისე თბილისის უნივერსიტეტი იმსანად, 1918-21 წლებში, ვერ დაარსდებოდა და ეს ამოცანა აღსრულდებოდა სწორედ რომ საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ. რასაკვირველია, უნდა მივაგოთ „კეისრისა კეისარს, ხოლო ღმერთისა ღმერთს“ და სათანადოდ მივუზღათ ივანე ჯავახიშვილის დიდებული დასის წევრებსაც, მაგრამ ამ მხრივ მთავარი მოქმედი პირი, ვიმეორებთ, უდავოდ ჩვენი დიდი წინაპარი იყო. ივანე ჯავახიშვილის დასში მის ლიდერს მეცნიერების თვალსაზრისით, ჯერჯერობით პეტრე მელიქიშვილი თუ შეედრებოდა, მაგრამ ამ მხრივ პირველის უპირატესობა ის იყო, რომ უკვე დაწერილი და გამოქვეყნებული ჰქონდა საქართველოს ისტორიის ორი ტომი, საქართველოში ჩამოსვლისას ხშირად კითხულობდა საჯარო ლექციებს და საერთოდ, უფრო გამოირჩეოდა საზოგადოებრივი აქტიურობით. თუმცა პეტრე მელიქიშვილი ჩვენი უნივერსიტეტის პირველი რექტორი გახდა, მაგრამ ეს მოხდა არა ამ დაწესებულების დაარსების საქმეში შეტანილი სათანადო წვლილის, არამედ ივანე ჯავახიშვილის კეთილშობილური ქცევის გამო. საღაო არ უნდა იყოს, რომ თუ არა ივანე ჯავახიშვილი, ისე პეტრე მელიქიშვილი ვერ შეძლებდა უნივერსიტეტის დაარსებას 1918-21 წლებში. მით უფრო ითქმის ეს იოსებ ყიფშიძეზე, აკაკი შანიძეზე, შალვა ნუცუბიძეზე და სხვ.

როცა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში გაჩნდა იდეა საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისა, ივანე ჯავახიშვილ-

---

[1] დიდად სამწუხაროდ, სიმონ ჯანაშია წერდა, რომ „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საბჭოთა ხელისუფლების ღვიძლი შვილია. მხოლოდ ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების მეოხებით და პარტიისა და მთავრობის მუდმივი მზრუნველობით გახდა შესაძლებელი როგორც თვით უნივერსიტეტის არსებობა...“ იხ. „კომუნისტი“, 30 მაისი, 1938.

მა გულთან ახლოს არ მოიტანა იგი, რამეთუ თვლიდა, რომ ეს შენობის საძირავიდან დაწყებას ნიშნავდა. საძირკველი კი უნივერსიტეტის შექმნით უნდა დაწყებულიყო. ასე რომ, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის დაარსების იდეით შეპყრობილი უკვე დიდი ხნის წინათ იყო. საამისოდ სათანადო ნაბიჯებსაც სდგამდა. 1907 წელს მან ჩამოაყალიბა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელშიც გარდა ადგილობრივი სტუდენტობისა მონაწილეობდნენ სხვა ინსტიტუტების წარმომადგენლებიც, ასევე ბესტუჟევის ქალთა უმაღლესი კურსების მსმენელი ქართველი ქალები. ამით საფუძველი დაედო ქართველთა ძალების თავმოყრასა და აქტიურობის წარმართვას ქართული მეცნიერების განსავითარებლად.

ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნული წრის მეშვეობით 1911-12 წლებში ანკეტური გამოკითხვა მოაწყო რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე სტუდენტებისა და იქ მოღვაწე ქართველი პროფესორ-მასწავლებლების შესახებ. აღმოჩნდა რომ სტუდენტთა რაოდენობა ათასს აღწევდა, ხოლო პროფესორ-მასწავლებლებისა — ოცდაათს. ამდენად, გამოიკვეთა საიმედო ძალა მომავალში ქართული უნივერსიტეტის დასაფუძნებლად.

გაჩნდა მეორე, ლეგალური შესაძლებლობაც. 1914 წლის 1 ივლისს გამოიცა კანონი რუსეთის იმპერიის განათლების სამინისტროს იმ კერძო სასწავლებლების, კლასებისა და კურსების შესახებ, რომლებიც არ სარგებლობდნენ სახელმწიფო სასწავლებლების უფლებებით. მართალია ამ კანონს მთელი რიგი შეზღუდვებისა გააჩნდა, მაგრამ ქართველ მოღვაწეებს მისი სახით მაინიც რაღაც იურიდიული საფუძველი გააჩნდათ. მალე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ჩანაფიქრის განხორციელებაზე ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა.

საერთოდ, ცხადია, ივანე ჯავახიშვილმა მშვენივრად უწყოდა, რომ მეფის რუსეთის არსებობის საქართველოში უნივერსიტეტის (მით უმეტეს ქართულისა) დაარსება შეუძლებელ, განუხორციელებელ საქმეს წარმოადგენდა[1]. ამიტომ საჭირო იყო იმ დროის დალოდინება, როდე-

---

[1] აღსანიშნავია, რომ 1912 წლის 24 მაისს რუსეთის მინისტრთა საბჭოში განხილულ იქნა საკითხი კავკასიის უნივერსიტეტის (თბილისში) თაობაზე. მაგრამ ეს იდეა უარყვეს იმ მოტივით, რომ უნივერსიტეტის დაარსების შედეგად „კრამოლა" კიდევ უფრო მძლავრად დამკვიდრდებოდა კავკასიაში. მთავრობას მხარი აუბეს მემარჯვენე საზოგადოებრივმა ძალებმაც — მიუთითებდნენ, რომ კავკასიის უმაღლესი სასწავლებ-

საც რუსეთში რადიკალური ცვლილებები მოხდებოდა. მალე ეს დროც დადგა თებერვლის რევოლუციის წყალობით. როგორც შალვა ნუცუბიძე იგონებდა, „ყოფილ პეტერბურგში თებერვლის რევოლუციის დროს დიდ ივანეს და აკაკი შანიძეს ბარიკადებზე შევხვდი... — ესაა ჩვენი მაშველი საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის საქმეში — თქვა ივანე ჯავახიშვილმა ბარიკადებზე ხელის გაშვერით"[1]. რა თქმა უნდა, ჩვენმა დიდმა წინაპარმა მშვენივრად გაიცნობიერა ისიც, რომ დადგა დრო საქართველოს გადაედგა სერიოზული ნაბიჯები დიდი ეროვნული იდეალის აღსრულების გზაზე — მოგვეპოვებინა პოლიტიკური ავტონომია (ჯერჯერობით) და აღგვედგინა ეკლესიის ავტოკეფალია.

ივანე ჯავახიშვილმა თავისი მთავარი აღსასრულებელი საქმით დაიწყო. რევოლუციის მეორე დღეს იგი შეხვდა აკაკი შანიძეს და შალვა ნუცუბიძეს, რომელთაც განუცხადა, რომ დაყოვნება არ შეიძლებოდა და შესთავაზა მეორე დღესვე თავის ბინაზე შეკრება (ლახტის ქუჩაზე). შეკრებისას, რასაკვირველია, მთავარი თემა სწორედ ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხი იყო.

მოკლე ხანში გაიმართა უფრო ფართო ხასიათის შეკრება პეტერბურგში მცხოვრები ქართველებისა, სადაც მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების საკითხზე ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა. კრებას ესწრებოდა თერგდალეულთა თაობის „უკანასკნელი მოჰიკანიც" — ნიკო ნიკოლაძე, რომლის აზრითაც მიზნის მისაღწევად ძალისხმევა უნდა გამოეჩინათ ძირითადად პეტერბურგში (პეტროგრადში). მანვე წამოაყენა კიდევ უფრო მიუღებელი წინადადება — ეზრუნათ პოლიტექნიკური ინსტიტუტის დასაარსებლად. ცხადია, ნიკო ნიკოლაძის ავტორიტეტი დიდად გაჭრიდა და მის შეხედულებას ბევრი დაუჭერდა მხარს. ასეც მოხდა, მაგრამ შალვა ნუცუბიძის გამოსვლის შემდგომ დამსწრე საზოგადოების აზრი კვლავ ივანე ჯავახიშვილის მხარეზე გადაიხარა. რაგინდ პარადოქსულადაც უნდა გამოჩნდეს, ფაქტია, რომ ამის შემდეგ ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების საქმეში ნიკო ნიკოლაძეს თავი აღარ გამოუდვია.

ლის გაჩენით თავს იჩენდა რევოლუციის ახალი ციხე-სიმაგრე, თითქოს არ კმაროდა ფინანსები, პროფესურა და ა. შ. სხვათა შორის, ასეთ პოზიციას დაუპირისპირდა ვაზეთი „პრავდა" (26 მაისს, სტატიის ავტორი გახლდათ ვ. მ. მოლოტოვი), მაგრამ, ცხადია, სინამდვილეში ესეც შორს იდგა ქართული უნივერსიტეტის იდეისაგან.

[1] იხ. შალვა ხიდაშელი, შალვა ნუცუბიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1989, გვ 9.

სულ მალე, ნიკო ნიკოლაძის შეხედულების საწინააღმდეგოდ, უნივერსიტეტის საქმის აღსასრულებლად ივანე ჯავახიშვილმა ასპარეზი გადმოიტანა საქართველოში. ამ პროცესის პერიპეტიები კარგადაა ცნობილი და მასზე არ შევჩერდებით. შევნიშნავთ, რომ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ОЗАКОМ), რომელიც იმხანად რუსეთის ახალი, დროებითი მთავრობის სახელით ამიერკავკასიას მართავდა, დიდი ენთუზიაზმით როდი შესვედრია ივ. ჯავახიშვილისეულ წამოწყებას. იგივე ითქმის რუსეთის ახალ ცენტრალურ ხელისუფლებაზე, რომელშიც ქართველი ირაკლი წერეთელი და კარლო ჩხეიძე (ორივე სოციალ-დემოკრატი) იყვნენ წარმოდგენილი. ვერ გამოიღვეს თავი სხვა ქართველებმაც, რომლებიც ალექსანდრე კერენსკის იცნობდნენ. ჯერ კიდევ პეტროგრადში ყოფნისას, 1917 წლის 11 მარტს ივანე ჯავახიშვილი კიტა აბაშიძეს სწერდა: „აქ ყრილობა გვქონდა და პოლიტიკური ავტონომია ერთმხრივ სოციალ-დემოკრატების მიერაც იყო მიღებული... კ. ჩხეიძეც ყველა ჩვენს აზრს ემხრობა". ესეც დიდი მიღწევა გახლდათ და ამაზე მეტის მოთხოვნა მათგან, როგორც ჩანს, ზედმეტი იყო. ჩანს, ქართული უნივერსიტეტისათვის ირაკლი წერეთელი და კარლო ჩხეიძე თავს არ გამოიდებდნენ. მეტსაც ვიტყვით, თვით საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების საქმეში ივანე ჯავახიშვილს და მის მომხრეებს მხარს უბამდნენ ეროვნულ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები. ასე რომ, სოციალ-დემოკრატებს აქ ვერ ვხედავთ (ისევე როგორც მანამდე მოქმედ ეროვნულ დაწესებულებათა ფუნქციონირებაში).

ისევე როგორც რუსეთს, საქართველოსაც ამჯერად თავისებური დროებითი მთავრობა მართავდა ეროვნული საბჭოს სახით, რომელიც მთლად სათანადოდ როდი ედგა ივანე ჯავახიშვილს გვერდში საშვილიშვილო წამოწყებაში. იგივეს ვიტყვით ჩვენს პირველ, კოალიციურ მთავრობაზე, რომელსაც ნოე ჟორდანია ედგა სათავეში. ერთი სიტყვით აღდგენილი ქართული სახელმწიფოებრიობა ძალზე სუსტი იყო, თანაც მის წამყვან ძალას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ, ამდენად უნივერსიტეტის დაარსებისა და პირველი ნაბიჯების სიძნელენი ივანე ჯავახიშვილის, მისი დასისა და ქართული საზოგადოებრიობის მხრებზე აღმოჩნდა. (ერთადერთი სიკეთე, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გაიღო უნივერსიტეტის მიმართ, ეს იყო მისთვის სახელმწიფოებრივი სტატუსის მიცემა).

რუსეთის დროებითმა „დემოკრატიულმა“ მთავრობამ დიდად გააჯანჯლა ქართველ პატრიოტთა წამოწყებული საქმისათვის მხარდაჭერა. რუსეთის იმპერიის იდეის გულმხურვალე მომხრე ხელისუფლებამ ის გადაწყვეტილება მიიღო, რომ თბილისში დაარსებულიყო უნივერსიტეტი მთელი ამიერკავკასიისათვის (რასაკვირველია, რუსულ ენაზე). ნება მოგვცეს კარიკატურული სახის კერძო უნივერსიტეტიც დაგვეარსებინა. დიდად სამწუხაროდ, ამგვარ ტენდენციას მხარი აუბა ნიკო მარმა, რომელიც უწინ მომხრე იყო ჩვენში უნივერსიტეტის დაარსებისა. მსგავსი ქცევა შემთხვევითი არ ყოფილა, იგი გამომდინარეობდა ნიკო მარის კონიუნქტურულობიდან.

მაგრამ მალე მოხდა ბოლშევიკთა ამბოხება, რასაც გადაჰყვა უდღეური იმჟამინდელი რუსეთის დემოკრატია. ამის შემდეგ რუსეთის მხრიდან ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეს ხელისშემშლელი ფაქტორი აღარ ჰყავდა. ამიტომ იყო, რომ უნივერსიტეტის დაარსების ოცი წლისთავთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი საკვლევით გულწრფელად აღნიშნავდა: „შეიძლება ითქვას, რომ ოქტომბრის რევოლუცია რომ არ ყოფილიყო, ჩვენ უნივერსიტეტის გახსნის უფლებას არ მოგვცემდნენ“–ო. მაგრამ ისიც კარგად ვუწყით, რომ იგივე „ოქტომბრის რევოლუციამ“ და მისგან დაწყებულმა პროცესებმა როგორი უარყოფითი როლი შეასრულეს საერთოდ საქართველოს და კერძოდ თბილისის უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

ივანე ჯავახიშვილისავე თქმით, თბილისის უნიეერსიტეტის გახსნის იდეას მტრულად შეხვდა რუსობა (როგორც ჩანს, საქართველოში მცხოვრები შოვინიზმით გამსჭვალული ნაწილი), სომეხთა პლუტოკრატიისა და დაშნაკთა მეთაურნი. მათი ქცევის მოტივი იყო შემდეგი: „სომეხთა პლუტოკრატიისა და მათს ყველაზე ძლიერსა და მრავალრიცხოვან პოლიტიკურ პარტიას ტფილისი და ბაქო არათუ უნდოდათ თავიანთ ქალაქებად ექციათ, არამედ ასეთ თავიანთ უცილობელ საკუთრებად მიაჩნდათ კიდევაც. ეს, რასაკვირველია სრული პოლიტიკური შეცდომა და სიბეცე იყო“ (ივანე ჯავახიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერებიდან)[1].

---

[1] ნაღდი სომხების პოზიციას გამოხატავდა ოვანეს თუმანიანი, რომელმაც უნიეერსიტეტს 100 მანეთი (ოქროთი) შემოსწირა და დიდი პათოსით აღნიშნავდა: „მე აღტაცებით წარმოვიდგენ ხალისიან და კეთილშობილ ქართველს, რომელიც მშობლიურ ენაზე იღებს უმაღლეს განათლებას“.

ამიერიდან საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების საქმეს ითქოს წინ აღარაფერი უნდა დადგომოდა. მაგრამ თავი იჩინა ჩვენი ეროვნული ხასიათისათვის დამახასიათებელმა უნიათობამ, თავმოუბმელობამ. მოვიტანთ თანამედროვეთა შთაბეჭდილებებს. თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ოცი წლისთავის ზეიმზე ივანე ჯავახიშვილი იგონებდა: „რამდენი იყო ჩვენში 1917 წელს, მაშინ, როდესაც ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობაზე მსჯელობა სწარმოებდა, ისეთი განათლებული ქართველი, რომელსაც ან მთელი ეს კამათი სასაცილო გულუბრყვილობად მიაჩნდა, ანდა მის გაგონებაზე ღიმილი მოსდიოდა, რამდენი გვყავდა ბრძენი დამრიგებელნი, ჭკუის მასწავლებელი და წინასწარმეტყველნიც კი, რომელნიც, მათი ღრმა რწმენით, სრულებით უნიადაგო და უიმედო განზრახვისაგან ხელის აღებას გვირჩევდნენ“[1]. გამოსთქვამდნენ შიშს, რომ გაეერანდებოდა პეტერბურგში არსებული სომხურ-ქართული ფილოლოგიის ერთ-ერთი კერა[2]. დავით კლდიაშვილი თავის მოგონებებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ წერდა: „დღეს ზღაპრად გვეჩვენება, როცა გვაქვს მშვენიერი უნივერსიტეტი, სამაგალითო მეცნიერ-მუშაკებით სავსე: გუშინ კი გვეცინებოდა, როცა ივანე ჯავახიშვილი სიტყვას ჩამოგვიგდებდა ქართულ უნივერსიტეტზე; მისგან რომ უნივერსიტეტის გეგმა მუშავდებოდა, ფანტაზიად მიგვაჩნდა და თვით ჯავახიშვილს ფანტაზიორს ვეძახდით. თავისი თავის არა გვჯეროდა, თავისი რწმენა გვეკარგებოდა“.

1917 წლის 6 დეკემბერს შემდგარ უნივერსიტეტის გამგეობისა და საფინანსო კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე დაადგინეს, რომ „შეუძლებელია უნივერსიტეტის იანვარში (ე. ი. 1918 წლისა, გ.ყ.) გახსნა ნივთიერი უსახსრობის, ტექნიკური მოუწყობლობისა და გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო“[3]. ივანე ჯავახიშვილის დაჟინებულ მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტი იანვარში გახსნილიყო, კრების მონაწილეთაგან მხოლოდ ორმა (მ. ორბელიანმა და ნ. ნაკაშიძემ) დაუჭირა მხარი. ვუკოლ ბერიძის მოგონებით, როდესაც 1917 წლის დეკემბერში (როგორც ჩანს, 6 დეკემბრის სხდომას გულისხმობ-

---

[1] იხ. ივანე ჯავახიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ოცი წლისთავისათვის, „კომუნისტი“, 1938, 30 მაისი.

[2] იქვე.

[3] იხ. „კომუნისტი“, 1938 წლის 30 მაისი.

და) დაისვა საკითხი მომავალი უნივერსიტეტის შესახებ, ეროვნული საბჭოს განათლების კომისიის თავმჯდომარეს პირდაპირ განუცხადებია: ჩვენ უნივერსიტეტის გახსნის საკითხს შევუთანხმებთ კანონიერ (ე. ი. მენშევიკურ) მთავრობას, რომელიც მოკლე ხანში შეიქმნებაო[1].

ადვილი წარმოსადგენია თუ რა მოჰყვებოდა ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას, ფრიად აუცილებელი ღონისძიების გადავადება-გადახანებას — „ქართული უნივერსიტეტის მოძულეთა ღვარძლიანი ხითხითი, ჩამქრალი ენთუზიაზმი, გაცრუებული იმედები, დაშლილი კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულების ქონების შემდგომი დატაცება, საკუთარი უმწეობის პირდაპირი აღიარება"[2]. კრების თავმჯდომარემ — ძალზე ავტორიტეტულმა ეროვნულმა მოღვაწემ კოტე აფხაზმა (ილია ჭავჭავაძის დისწულმა) ვერ გასცა დამაიმედებელი პასუხი კითხვაზე — ექნებოდათ თუ არა საჭირო ფინანსური სახსრები 1918 წლის პირველი სექტემბრისათვის. ვითარება ერთობ დრამატული იყო, შეიძლებოდა მთლად თუ არა, დიდი ხნით მაინც ჩაშლილიყო ამდენი ხნის წარმატებული მუშაობა. სწორედ ამ მომენტში იჩინა თავი ივანე ჯავახიშვილის რკინისებურმა ნებისყოფამ, დიდმა ოპტიმიზმმა. უკვე მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ მან კრებას შეატანინა ერთი დათქმა: „თუ მაინც და მაინც პროფესორთა კოლეგია საჭიროდ დაინახავს და მოახერხებს სწავლის ამთავითვე დაწყებას, უნივერსიტეტის საზოგადოება ეცდება ხელი შეუწყოს, რითაც შეეძლება". ივანე ჯავახიშვილის სწორედ ამ მცდელობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა იმაში, რომ უნივერსიტეტი გაიხსნა 1918 წლის იანვარში.

მთელი რწმენით აღვნიშნავთ, რომ თუ არა ივანე ჯავახიშვილის დაჟინებული, დაბეჯითებითი მცდელობა, — თანაც წლების განმავლობაში, — ისე უნივერსიტეტი არა თუ 1918 წლის იანვარში ვერ გაიხსნებოდა, არამედ ვერც ამ წლის სექტემბერში და, ალბათ, ვერც საერთოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დანარჩენ წლებში. შეგახსენებთ, რომ ერევნის უნივერსიტეტი სომხეთში დაარსდა სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1920 წლის დეკემბერში), ასევე ითქმის ბელორუსიის უნივერსიტეტის (მინ-

---

[1] იხ. „კომუნისტი", 1930 წლის 30 მაისი.

[2] სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, გვ. 217.

სკში) შესახებ, რომელიც დაარსებულ იქნა 1921 წელს. ბაქოს უნივერსიტეტი მართალია უფრო ადრე, 1919 წელს დაფუძნდა, მაგრამ ძისი მთავარი დამაარსებელი და პირველი რექტორი გახლდათ რუსი მეცნიერი (სპეციალობით ქირურგი) ვ. ი. რაზუმოვსკი. იმდროინდელ საქართველოსთან შედარებით ბევრად უფრო ხელსაყრელ ისტორიულ (საგარეო) ვითარება ჰქონდა ლატვიასაც, მაგრამ რიგის უნივერსიტეტი 1919 წელს იქნა დაარსებული[1].

თუ არა ივანე ჯავახიშვილი, ვიმეორებთ, საქართველოში უნივერსიტეტი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ დაარსდებოდა და ერის მოღალატე ქართველ ბოლშევიკ-კომუნისტებს მიეცემოდათ წონადი არგუმენტი მათი კეთილმყოფლობისა საქართველოსათვის. სხვა ვინმე, თუ არა ივანე ჯავახიშვილი, ვერ შესძლებდა 1918-21 წლებში თბილისის უნივერსიტეტის დაარსებას. თუ მავანთათვის დღეს ეს საცილობელი გახდა, სამაგიეროდ კარგად უწყოდნენ ჩვენმა იმდროინდელმა გამოჩენილმა მოღვაწეებმა. მხცოვანი მოსე ჯანაშვილი უნივერსიტეტის გახსნის კვირაძალზე წერდა: „ჯავახიშვილმა იკისრა ყველაზე დიდი ტვირთი — გუთნის დედობა, თვით ქართლურ ღრმად მხვნელ გუთნისა!“[2] იგი ჭაბუკური გატაცებით მოუწოდებდა ქართველობას: „მივიდეთ ვაკეზე. იქ ჯავახიშვილმა აგვინთო სხიოსანი-მზიანი კანდელი, რომელიც ამიერიდგან შუქურ ვარსკვლავივით გაგვინათებს გზა-კვალს სვლად გმირულ და მზიან ნაბიჯით წინ, წინ ადამიანურ მარადისობისაკენ. ამასთანავე, მოვიგონოთ იქ ჩვენი ძველნი მეცნიერები საუკუნო ხსენებით, ხოლო კანდელის ამნთებელ გმირს ივანეს ერთობლივ და გულმხურვალედ შემოეძახოთ ჩვენებური ქართველური: ვაშა! გამარჯვება მარად და მარად!“[3]. საყოველთაოდაა ცნობილი თვითონ უნივერსიტეტის პირველი რექტორის პეტრე მელიქიშვილის სიტყვები: „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება

---

[1] სხვათა შორის, აღნიშნულ მომენტს კარგად აცნობიერებდა გაზეთ „საქართველოს“ კორესპონდენტი, რომელიც, გამოხატავდა რა უნივერსიტეტის გახსნის ფაქტის მრავალი „თანადამხდურის“ გულისნადებს, დიდი ეროვნული სიამაყით აცხადებდა: „ქართველი ერი უპირატესია მეზობელთა შორის. იგი წინამსრბოლი იყო პოლიტიკურად და განათლების მხრით წილად ხვდა პირველობა უნივერსიტეტის გახსნაში“. იხ. აღნიშნული გაზეთის 1918 წლის 28 იანვრის ნომერი.

[2] გაზეთი „საქართველო“, 1918, იანვარი 13 (26), № 10.

[3] იხ. დასახ. გაზეთის იგივე ნომერი.

ერთადერთი დამაარსებელი, სულის ჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეეტოლება და შეეზიარება"[1].

ყოველივე ზემოაღნიშნული, ცხადია, სულაც არ ნიშნავს ივანე ჯავახიშვილის დასის წევრების თვალსაჩინო წვლილის იგნორირებას, ამის თაობაზე თვითონ ჩვენი დიდი წინაპარი მოგვიანებით, 1938 წელს, ამბობდა: „თუ ჩემს მოღვაწეობას, განსაკუთრებით საუნივერსიტეტო მოღვაწეობას, უკვე საქართველოში მართლაც ნაყოფიერი შედეგი მოჰყვა, ეს აიხსნება მარტო ჩემი მუშაობით კი არა, არამედ იმითაც, რომ მე ბედნიერი ვიყავი, რომ გვერდს მიმშვენებდნენ საუკეთესო მუშაკები, საუკეთესო სულისკვეთებით გამსჭვალული, ერთი ნებისყოფით შეკავშირებული ადამიანები".

უნივერსიტეტის დაარსება-დაფუძნების საქმეშიც ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი ისეთივე დიდი და გადამწყვეტი ხასიათისაა, როგორც ქართული ისტორიოგრაფის ახალი ეტაპის შექმნაში.

ივანე ჯავახიშვილის როგორც დიდი მეცნიერისა და პიროვნების როლი ნათლად გამოჩნდა აგრეთვე 1921-26 წლებში. რასაკვირველია, საბჭოთა ხელისუფლება ვერ შეეგუებოდა უნივერსიტეტის ავტონომიურობას და მოახდენდა მისი სტრუქტურის ფუნქციონირების ნიველირებას სსრ კავშირის დანარჩენ უმაღლეს სასწავლებლებთან (რუსეთის ფედერაციაში ხომ უკვე მიაღწია!). 1923 წლის 10 იანვარს დამტკიცებული წესდებით, უნივერსიტეტის მიერ არჩეული პირნი განათლების კომისარს უნდა დაემტკიცებინა, თანაც ეს დებულება 12 იანვრიდან შედიოდა ძალაში. ჩვენმა დიდმა წინაპარმა მკვეთრად გაილაშქრა საბჭოთა ხელისუფლების ამ „ნოვაციის" წინააღმდეგ. 16 იანვარს მან მოითხოვა რექტორობიდან გადადგომა. ასეთივე განცხადებები შეიტანა ყველა დეკანმა და საბჭოს მდივანმა. ხელისუფლება იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო. მით უფრო, რომ ივანე ჯავახიშვილმა უარი განაცხადა რექტორობაზე ეყარა კენჭი. მარტში იგი ერთხმად

---

[1] თითქმის იგივეს აღნიშნავდა არნოლდ ჩიქობავა: „1918 წელს ცოტა ვისმე სჯეროდა ქართული უნივერსიტეტის მომავალი. ქართველი ხალხის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა ურყევი რწმენა უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ უნივერსიტეტის დაარსება ეთავა მაშინ, და ამ ურყევმა რწმენამ და შეუდრეკელმა ნებისყოფამ შეაძლებინა ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტის დაარსება თავს ეღვა და დიდი საქვეყნო საქმე განეხორციელებინა". იხ. იბერიულ-კავკასიური ენების წელიწდეული, II, 1975, გვ. 15.

აირჩიეს რექტორად (ხმა მისცა საბჭოს ყველა, ორმოცდაცხრამეტივე წევრმა). 1923 წლის 5 მაისს შეიქმნა თბილისის უნივერსიტეტის ახალი წესდება, რომელიც ძირითადად კვლავ ძველ პრინციპებს ემყარებოდა.

ღირსშესანიშნავია, რომ თუ თვით საქართველოს სსრ უმაღლესი კომუნისტურ-ბოლშევიკური ხელისუფლება ვერ აღწევდა საწადელ მიზანს ივანე ჯავახიშვილთან (როგორც რექტორთან) ურთიერთობაში, მით უმეტეს ამაო იყო უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის ანალოგიური მცდელობანი.

1925 წელს უმაღლეს პარტიულ ხელმძღვანელობისა და სახალხო განათლების კომისარიატის ერთობლივი ძალისხმევით კვლავ მიიტანეს იერიში უნივერსიტეტის ავტონომიაზე. ახალი საუნივერსიტეტო დებულების მიხედვით რექტორს და ფაკულტეტის დეკანებს ნიშნავდა სახალხო განათლების კომისარი, ხოლო უნივერსიტეტის სათავეში უნდა მდგარიყო პრეზიდიუმი. რომლის ოთხივე წევრი (რექტორი+3 პრორექტორი) დანიშნულ უნდა ყოფილიყვნენ. ივანე ჯავახიშვილი სწორად აღნიშნავდა, რომ „შესაძლებელია ამ თანამდებობაზე (რექტორისაზე, გ.ყ.) და უნივერსიტეტის ყველა ორგანოების სათავეში უნივერსიტეტისათვის სრულებით გარეშე პირები და არა მეცნიერებიც კი მოექცნენ"-ო. ცხადია, ივანე ჯავახიშვილი კვლავ გამოვიდა ხელისუფლების ახალი მცდელობის წინააღმდეგ და წარმატებასაც მიაღწია. მაგრამ თუ პროცესებს მთლიანობაში გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ ივანე ჯავახიშვილის ბრძოლა ბოლშევიკურ-კომუნისტურ ხელისუფლებასთან უთანასწორო იყო და იგი დამთავრდებოდა პირველის დამარცხებით. მალე ასეც მოხდა და 1926 წლის ივნისიდან ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის რექტორობას ჩამოაშორეს. 1930 წელს, როგორც ცნობილია, უნივერსიტეტი საერთოდ გაუქმებულ იქნა და მის ბაზაზე ორი უმაღლესი სასწავლებელი დაარსდა. 1933 წელს უნივერსიტეტი კვლავ აღდგენილ იქნა. მაგრამ მას არ შეეძლო ეარსება ისე, როგორც ოაზისს უდაბნოში და იგი იზიარებდა საზოგადოების საერთო განვითარების ბედ-ღბალს. რა თქმა უნდა, იხსნებოდა ახალი ფაკულტეტები, შესაბამისად — ახალი კათედრები, იზრდებოდა სტუდენტთა კონტინგენტი და ა. შ., მაგრამ უნივერსიტეტის აკადემიური დონე, ეროვნული მისია ქვეითდებოდა და სუსტდებოდა.

ერთი სიტყვით, ივანე ჯავახიშვილის რექტორობის წლები უნივერსიტეტის საუკეთესო ხანა იყო. ამ შემთხვევაშიც მშვენივრად მართლ-

დება ქართული ხალხური სიბრძნე: „სოფელი ვინ და, ერთი კაციო“. სხვას, თუ არა ივანე ჯავახიშვილს, არავის არ შეეძლო ასეთი თვალსაჩინო დადებითი ხასიათის დაღი დაესვა უნივერსიტეტის ცხოვრებისათვის იმჟამინდელ „ჟამთა სიავეში“. თუ საბჭოთა ხელისუფლება „ვარდისფერი სათვალით“ უყურებდა უნივერსიტეტის ცხოვრებას, სხვანაირად ფიქრობდა მისი დამაარსებელი და ყველაზე დიდი გულშემატკივარი. ამის თაობაზე იგი 1935 წლის 12 დეკემბერს ვარლამ დონდუას ლენინგრადში ნაღვლიანად და დიდი სარკაზმით აუწყებდა: „გაზეთში გუშინ აღნიშნული იყო, რომ ტფ. უნივერსიტეტს შეჯიბრებაში ჯილდო მიუღია, არ ვიცი რა ღვაწლისათვის? — თუ ჩვენი ასლანდელი უ-ტი ჯილდოს ღირსი აღმოჩენილა, რანი ყოფილან სხვები!“. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ჩვენს დიდ წინაპარს სულაც არ ღალატობდა ობიექტურობის გრძნობა და ასეთი შეფასებისას მართალი იყო.

6. „კონდრატიევშჩინის“ პირველი დიდი მსხვერპლთაგანი საქართველოში

რასაკვირველია, საბჭოური ტოტალიტარიზმი ერთბაშად ვერ დამყარდებოდა. ამ თვალსაზრისითაც 20-იანი წლები გარდამავალი ხანა იყო ძველი, ასე თუ ისე დემოკრატიული ტრადიციების მატარებელი საზოგადოებიდან ახალზე გადასვლისას. ასევე ცხადი გახლავთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამას ვერ შეეგუებოდა, მით უმეტეს, რომ საზოგადოებაში ჯერ კიდევ იყო ძალები, რომლებიც იდეურად და პოლიტიკურად ეწინააღმდეგებოდნენ ახალ, სულისშემხუთველ რეჟიმს. ამის შესახებ ლაპარაკობდა საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი მიხეილ კახიანი 1930 წლის 11 იანვარს გამართულ პლენუმზე. მომხსენებელი შეეხო უნივერსიტეტსაც. იგი აღნიშნავდა: „ღლემდე იქ მემარჯვენე პროფესურას, ყოფილი რექტორის ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, ერთგვარი გავლენა აქვს. პროფესურის ეს ნაწილი იბრძვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გასაბჭოების წინააღმდეგ, მისი ავტონომიისათვის, მისი აკადემიზმისათვის და მეტად მტრულად უცქერის „აკადემიური ტრადიციების“ დარღვევას. პროფესურის ეს ნაწილი იქამდე მიდის, რომ ბოიკოტსაც კი უცხადებს იმ პროფესორებს, რომელნიც ჩვენ გვიახლოვდებიან და რომელთაც

სურთ საბჭოთა ხელისუფლებასთან მუშაობა".[1] ამდენად, ზემოდან სიგნალი უკვე მიღებული იყო. სიტყვით გამოსულმა უნივერსიტეტის იმჟამინდელმა რექტორმა მალაქია ტოროშელიძემ განაცხადა: „რაც შეეხება კერძოთ (!) სახელმწიფო უნივერსიტეტს, იქ მართლაც ბლომათაა შენახული ძველი, დახავსებული წესები და ჩვეულებები, რომლებიც აქამდე უნდა აღმოგვეფხვრა, მაგრამ ვერ აღმოვფხვარით... უნივერსიტეტში, სწორია, მუშაობს ზოგიერთი ისეთი პირი, რომელსაც არაფერი სწამს არც ჩვენი პარტიის და არც ხელისუფლების"[2]. პლენუმის რეზოლუციაში კი ვკითხულობთ: „პლენუმი აღნიშნავს, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში არიან ბურჟუაზიულ-რეაქციონური პროფესორები, რომლებიც აფერხებენ უმაღლეს სასწავლებლის რეორგანიზაციას და მათ შეფარდებას სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნილებებთან. ამიტომ პლენუმი ავალებს ცკ-ის პრეზიდიუმს, კადრების დაჩქარებით მომზადების გეგმის დამუშავებასთან ერთად, მიიღოს საჭირო ზომები უმაღლეს სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების გასაწმენდათ ჩვენთვის უცხო, რეაქციონურად განწყობილი პროფესურისა და მასწავლებელთა შემადგენლობისაგან და სამეცნიერო მუშაკთა მომზადების გასაძლიერებლად, რათა მიუღებელი ელემენტები შეცვლილი იქნან კომუნისტებით და საბჭოთა ხელისუფლების ერთგულ ახალგაზრდა ძალებით"[3].

ამ დროს საბჭოთა კავშირში უკვე გაჩაღებული იყო ბრძოლა ე. წ. „კონდრატიევშჩინის" წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა ძველი ინტელიგენციის განადგურებას ან ყოველ შემთხვევაში დათრგუნვას. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი კამპანია დაიწყო 1930 წლის 30 ნოემბერს და გაგრძელდა 3 დეკემბერს საქართველოს ფინანსურ-კოოპერატიულ ინსტიტუტში, სადაც გაიმართა ყველა კათედრის სხდომა[4]. ღონისძიების პირველად აღნიშნულ ინსტიტუტში ჩატარებას ალბათ იმიტომ ჰქონდა ადგილი, რომ იდეურ-პოლიტიკურმა მიმართულებამ უპირველესად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საკითხში იჩინა თავი. მოისმინეს ინსტიტუტის დირექტორის ალექ-

---

1 გაზ „კომუნისტი", 1930, 19 იანვარი,

2 იქვე, 14 იანვარი,

3 იქვე, 17 იანვარი.

4 კრების შესახებ იხ. „ახალგაზრდა კომუნისტის" 1930 წლის 3 და 6 დეკემბრის ნომრები.

სანდრე ერქომაიშვილის მოხსენება „კონდრატიევშჩინის“ შესახებ. თავყრილობამ დიდი ერთსულოვნებით დაგმო გიორგი გეხტმანის, ნიკოლოზ ქოიავას, ბიძინა რამიშვილის, ფილიპე გოგიჩაიშვილის, შ. გოგებაშვილისა და სხვათა შეხედულებანი. საერთო სულისკვეთებიდან გამომდინარე, კრებამ დადგენილებაც შესაბამისი მიიღო: „დროა ბოლო მიეღოს ასეთ ამბებს და ის პროფესორები, რომლებიც არ გამოეთხოვენ თავიანთ ანტიმარქსისტულ წარსულს, ჩამოვაშოროთ ჩვენი კადრების აღზრდის საქმეს — ასეთი იყო აუდიტორიის მრისხანე განაჩენი გოგიჩაიშვილისა და მისი დამქაშების მიმართ“[1].

მსგავსი ლონისძიება უფრო მასშტაბური „გაქანებითა“ და „საფუძვლიანად“ იქნა ჩატარებული 13,17 და 20 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (იგი ერთ-ერთი (ორთაგან) ინსტიტუტი გახლდათ, რომელიც 1930 წლის პირველი სემესტრის ბოლოს უნივერსიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა). მოხსენება წაიკითხა ინსტიტუტის დირექტორმა ივანე ვაშაყმაძემ. იგი დიდი სინანულით აღნიშნავდა, რომ ინსტიტუტის პროფესურის 80 % არამარქსისტული მსოფლმხედველობისა იყო. საერთოდ, მომხსენებელი მას ჰყოფდა სამ კატეგორიად: მემარცხენეებად, ჭაობად და მემარჯვენეებად.[2] ამ შემთხვევაში ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესოა უკანასკნელთა დახასიათება. ი. ვაშაყმაძის აზრით ამ ყაიდის პროფესურა „მტრულად არის განწყობილი ჩვენ მიმართ... თავისი პრაქტიკული და მეცნიერული მუშაობით ხელს უშლის ასალ კადრების რევოლუციონურ მარქსიზმის ნიადაგზე აღზრდას. ეს სალხი გამოხატავს დრომოჭმული ქვეყნის მსოფლმხედველობას“.[3] აღნიშნული სულისკვეთების ადამიანთა ბელა-

---

1 იხ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1930, 16 დეკემბერი.

2 ალბათ არაა ინტერესმოკლებული ვიცოდეთ თუ ვინ იგულისხმებოდა ამ კატეგორიების სალხში — გრიგოლ ნათაძე, მოსე გოგიბერიძე, კოტე ბაქრაძე, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ალექსანდრე თვალჭრელიძე („მემარცხენეებში“); გიორგი გეხტმანი, იასონ მოსეშვილი (ქიმიკოსი), ალექსანდრე ბენაშვილი, მიხეილ ზანდუკელი, ივანე კაჭარავა (გეოლოგი), ალექსანდრე ჯანელიძე, შალვა ამირანაშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი („ჭაობში“); სერგი დანელია, სიმონ ყაუხჩიშვილი, დიმიტრი უზნაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, გიორგი ნიკოლაძე, ნიკო კეცხოველი, გერონტი ქიქოძე, არნოლდ ჩიქობავა, ეარლამ თოფურია, ნიკო ბერძენიშვილი და „სხვანი“ („მემარჯვენეებში“).

3 იქვე.

დებად კი დასახელებული იყვნენ გრიგოლ წერეთელი და ივანე ჯავახიშვილი (კორესპონდენციაში აღნიშნულია: „პროფ. ივ. ჯავახიშვილს ირგვლივ თავს იყრის მემარჯვენე პროფესურა, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ხალხი“). ამ კატეგორიის ხალხს და უპირველესად, ცხადია, მათ ბელადებს „ჯერაც არ გაუწყვეტიათ კავშირი მარქსისტულ მსოფლმხედველობისათვის მიუღებელ იდეოლოგიასთან. ასეთი მეცნიერული ნაშრომები კი არ გამოგვადგება ჩვენს სოციალისტურ მშენებლობის კადრების აღზრდისათვის“[1]. როგორც გაზეთის კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „მომხსენებელი პროფესურას აძლევდა გარკვეულ კითხვას, რომ დღეს სოციალისტურ მშენებლობის ფართოდ გაშლის პირობებში ვისთან არიან ისინი — პროლეტარიატთან, თუ მის მოწინააღმდეგე ბანაკში, გმობს, თუ არა პროფესურის ზოგიერთი წარმომადგენელი თავის წარსულს, ემიჯნება თუ არა იგი მენშევიკურ და სხვა ანტიბოლშევიკურ იდეოლოგიას და საჭიროდ სცნობს თუ არა საბჭოთა ხელისუფლებასთან გულწრფელ თანამშრომლობას.

ესლა, ოქტომბრის რევოლუციის მე-14 წელში ეს საკითხი მეცნიერების მუშაკთათვის გარკვეული უნდა იყვეს, ესლა ყოყმანის დრო აღარ არის. აპოლიტიკურობის დრო უკვე გავიდა, საკითხი ისმება გარკვეულად: ან ჩვენთან, ან მოწინააღმდეგეთა ბანაკში, სხვა გზა არ არსებობს“[2].

ივანე ვაშაყმაძის მიხედვით ივანე ჯავახიშვილის „თეორიული და პრაქტიკული მუშაობა დიდი ხანია, რაც გამორკვეულია“. კერძოდ, „მას არა თუ სწამს მარქსიზმი, არამედ უნივერსიტეტის რექტორად ყოფნის დროს (1926 წლამდე) იგი ენერგიულად იბრძოდა, რომ უნივერსიტეტში მარქსიზმი არ შემოჭრილიყო. მისი რექტორად ყოფნის დროს უნივერსიტეტში არ წაკითხულა არც ერთი მარქსისტული ლექცია და პროფესურის (!) შორის არ იყო არც ერთი მარქსისტი“. მომხსენებელი ჩამოთვლიდა დიდი პიროვნების სხვა „ცოდვებსაც“: „თავის წიგნში „საქართველოს საზღვრები“ ერთგულ დამცველად გამოდის მენშევიკების და საჭიროდ მიაჩნია მენშევიკურ საქართველოს სომხეთთან ბრძოლის აუცილებლობა“; „წინააღმდეგი იყო უნივერსიტეტის რეორგანიზაციისა (ასეთივე კონსერვატიზმით ხვდება იგი ხელისუფლების სხვა ღო-

---

[1] „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1930, 16, XII.

[2] იქვე.

ნისძიებებსაც)"; „ამ პროფესორის სწავლების პროგრამა არ შეეფერება სოციალისტურ მშენებლობისათვის დაჩქარებით კადრების მომზადების საქმეს"; „პედაგოგიური ინსტიტუტის მე-3 კურსზე მას უნდოდა წელს (ე. ი. 1930 წელს, გ. ყ.) წაეკითხა „ლექციები მხოლოდ ქუთაისის ეკლესიის (!) გუჯრების შესახებ"; „ვერ ითმენს თავის მონოპოლიის დანგრევას. მან დიდი წინააღმდეგობა გაუწია ინსტიტუტს ს. კაკაბაძის ლექტორად მოწვევის საქმეში".

ღონისძიებას, რომელსაც დისპუტი უწოდეს, არ დასწრებიან თვითონ ივანე ჯავახიშვილი და გრიგოლ წერეთელი, რამაც თავყრილობის მონაწილეთა უმრავლესობის დიდი გულისწყრომა გამოიწვია[1]. დამსწრე „მემარჯვენეებიც" მედგრად იცავდნენ თავს, რაც ასევე დიდად აღაშფოთებდა „რევოლუციური" სულისკვეთების მქონე კატეგორიას. როგორც მოსალოდნელი იყო, დიდ აქტიურობას იჩენდა „რევოლუციური ახალგაზრდობა". კერძოდ, სტუდენტი კომკავშირელი კ. მელაძისა და ასპირანტ ს. ყალიჩავას თავხედობა იქამდეც კი მივიდა, რომ გააკრიტიკეს არათუ ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობა, არამედ მეთოდოლოგიაც კი.

ივანე ჯავახიშვილისა და გრიგოლ წერეთლის მომხრეთაგან ორიგინალური გამოსვლა ჰქონდა არნოლდ ჩიქობავას, რომელიც შეეცადა მოწინააღმდეგეებს შებრძოლებოდა მათივე იარაღით-მარქსიზმით. იგი დამსწრეთ შეაგონებდა, რომ იმხანად გავრცელებული „საყველპურო" მარქსიზმი სერიოზული ხასიათისა არ გახლდათ. საგაზეთო კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „ჩიქობავას ჰქონდა მეტად „ორიგინალური" აზრი, რომ არ შეიძლება კაცი მარქსიზმს მისწვდეს (!) და იგი შეითვისოს გაზეთის საშუალებით. ე. ი. მისი განცხადებით, მას ვისაც „კაპიტალი" არ წაუკითხავს, ის ვერ იქნება მარქსისტი"[2]. როგორც ვხედავთ, არნოლდ ჩიქობავას შეგონება ამაო გამოდგა. ნიკო ბერძენიშვილის შესახებ კი ვკითხულობთ: „ეს დოცენტიც პროფ. ივ. ჯავახიშვილის გარშემო თავმოყრილ ჯგუფს ეკუთვნის. იგი გულმოდგინედ იცავს ივ. ჯავახიშვილს და ცდილობს ჯავახიშვილის შესახებ წამოყენებული

---

[1] კორესპონდენტი აღშფოთებით გადმოგვცემს: „ერთ-ერთი პროფესორი დერეფანში (უნივერსიტეტისა, გ. ყ.) ლაპარაკობდა: „მე რა მინდა მანდ მანდ ლაზღანდარობენო". იხ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1930, 20 დეკემბერი. ვფიქრობთ, რომ ეს „პროფესორი" ივანე ჯავახიშვილი გახლდათ.

[2] დასახ. გაზეთი, 1930, 17 დეკემბერი.

ბრალდებების გაბათილებას, მაგრამ ამაოდ"[1]. თუმცა სიმონ ჯანაშიას „არაფერი არ ულაპარაკია ჯავახიშვილის მეთოდის უარყოფის წინააღმდეგ", მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც „ახალგაზრდა კომუნისტშია", აღნიშნული „პროფ. ივ. ჯავახიშვილის ჯგუფიდან თავის დაღწევა ს

რად ლანძღვა-გინებასა და უწმაწურობაში გადადიოდა. განათლების სახალხო კომისარიატის 1931 წლის 28 მაისის დადგენილების შემდეგ ივანე ჯავახიშვილი იძულებულია, დატოვოს უნივერსიტეტი. ბრალდება: მემარჯვენე პროფესორობა, „კონდრატიევშჩინას" მავნებელთა ჯგუფის მიმართულების თანამოზიარეობა (!). ივნისიდან ტოვებს ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიის კათედრასაც. 1931 წლის 7 ივლისს იგი წერილს უგზავნის ფ. მახარაძეს უნივერსიტეტიდან წასვლის შესახებ"[1].

ცხადია, „კონდრატიევშჩინის" წინააღმდეგ კამპანიით მხოლოდ თბილისში არ შემოფარგლულან და იგი განავრცეს მთელს საქართველოში. მთავარ სამიზნედ, რასაკვირველია, ივანე ჯავახიშვილი რჩებოდა"[2].

და ბოლოს, შევჩერდებით ივანე ჯავახიშვილის მისამართით „კონდრატიევშჩინის" ბრალდების კიდევ ერთი მაგალითზე. 1932 წელს გამოვიდა ახალგაზრდა „მარქსისტი" იურისტის (სისხლის სამართლის მცოდნე) ი. ბოჭორიშვილის წიგნი „მარქსიზმი და სისხლის სამართალი", სადაც მწვავედ იქნა გაკრიტიკებული ივანე ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორია". წიგნში ვკითხულობთ: „სისხლის სამართლის წარმოშობისა და განვითარების მასაზრდოებელი კლასიური (ე. ი. კლასობრივი, გ. ყ.) ურთიერთობა ავტორისათვის სრულად მიჩქმალული რჩება და იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მთელს ისტორიას ესა თუ ის შემთხვევითი გარემოებანი და მმართველი პიროვნებები განაგებდნენ"[3]. თითქოს ივანე ჯავახიშვილს „აუცილებ-

---

[1] სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, გვ. 421. „ლანძღვა-გინებასა და უწმაწურობასთან" დაკავშირებით დავაკონკრეტებთ: ბატონი ვახტანგ პარკაძე იგონებს თუ როგორ ჩაუშალეს ლექცია სტუდენტებმა ივანე ჯავახიშვილს „კონდრატიევშჩინის" დროს. იხ. მისი „მოგონებები ქართველ მეცნიერებზე", თბილისი, 1994, გვ. 3—8.

[2] ამასთან დაკავშირებით მოვიტანთ ერთ დიდად აღმაფრთოვანებელ ფაქტს. 1931 წლის 22 იანვარს ზუგდიდში შემდგარა კრება (ესწრებოდნენ სკოლის მოსწავლეებიც), სადაც იგივე ივანე ვაშაყმაძე გამოსულა მოხსენებით „კონდრატიევშჩინის" შესახებ საქართველოში". კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „დისპუტზე გამოსულმა მასწავლებელმა აპალონ (!) როგავამ თავგამოდებით დაიცვა ნაციონალისტი პროფესორი ივანე ჯავახიშვილი. ის მისი ერთგული მოწაფეა. როგავა ივანე ჯავახიშვილს საბჭოთა პროფესურაზე მაღლა აყენებს. სკოლაში მის ნაწერებს ასწავლის მოწაფეებს". იხ. გაზეთი „კოლექტივიზაცია", 1931, 13 თებერვალი.

[3] იხ. დასახ. წიგნი, გვ. 134.

ლად დიდი იმედები უნდა ჰქონდეს საკუთარი ნებისყოფისა, მას შემდეგ, რაც მისი არა კეთილი ნება, ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრებისადმი, უცვლელი რჩება მთელი წლების განმავლობაში. მაგრამ სწორედ რომ აქ მარცხდება ჩვენი მკვლევარი. მისი ნებისყოფა მტკიცედ არის განსაზღვრული საკუთარი კლასის ინტერესებით"[1]; „როგორც ვხედავთ, ჩვენს სინამდვილეში, საკმაოდ სიცხადით არის წარმოდგენილი სისხლის სამართლის საკითხების წმინდა იდეალისტური გაშუქება ერთის მხრივ, ხოლო პოზიტიური-მექანისტური შეხედულებების გავრცელება მეორეს მხრივ. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ფართო ხასიათისაა და ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ენერგიული ბრძოლა მის წინააღმდეგ"[2]; „წმინდა სუბიექტივისტური, იდეალისტური შეხედულება, რომლითაც მიჩქმალულია კლასობრივი წინააღმდეგობა, როგორც წყარო ყოველგვარ სამართლისა, მრავლად არის გაბნეული ავტორის შრომებში, რაც გადაუდებლად მოითხოვს მის საფუძვლიან კრიტიკას მარქსისტული მსოფლმხედველობის თვალსაზრისით"[3]. და ა. შ. მსგავსი გამოხდომები, სამწუხაროდ, სულაც არ ყოფილა უკანასკნელი და მომავალში ივანე ჯავახიშვილის მიმართ კიდევ მრავალი ბრალდება გამოითქვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკური გახლდათ რომ უდღეურ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში (არსებობდა 1930—31 წლებში), სადაც არჩეულ იქნა 40 წევრი, თვით ისტორიის მეცნიერებათა სექციაშიც კი, სადაც ხუთი წევრი (ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, თენგიზ ჟღენტი და სხვანი) იყო წარმოდგენილი, ივანე ჯავახიშვილისათვის ადგილი ვერ გაიმეტეს. როცა საკავშირო მთავრობამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ენციკლოპედიის გამოცემის შესახებ, ამ ღონისძიებას მოჰყვა საკავშირო კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წლის 25 სექტემბრის დადგენილება, რომლის მიხედვითაც გადაწყდა ენციკლოპედიები ცალ-ცალკე ყოფილიყო გამოცემული ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და ცაკმა გამოჰყვეს

---

[1] იხ. დასახ. წიგნი, გვ. 136.

[2] იქვე, გვ. 141.

[3] იქვე, გვ. 10.

„ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის“ სარედაქციო კოლეგია.[1] ცხადია, ივანე ჯავახიშვილი არც ამჯერად მიუწვევიათ. მიუხედავად ამისა, ჩვენმა დიდმა წინაპარმა მოამზადა რიგი სტატიებისა „ენციკლოპედიაში“ გამოსაქვეყნებლად (გარკვეული მიზეზების გამოისობით მისი გამოცემა იმხანად ვერ მოხერხდა). მაშინ მისთვის არც მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ტიტულის მინიჭებით შეუწუხებიათ თავი. ამ მხრივ გამონაკლისი ის გახლდათ, რომ 1935 წელს ივანე ჯავახიშვილს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი დაუმტკიცეს.

7. ივანე ჯავახიშვილის ერთი ეცდელოგის შესახებ

1930 წლის 20 სექტემბერს ფილიპე მახარაძე (იმხანად ეკავა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსა და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობები) ივანე ჯავახიშვილს სწერდა: „დიდათ პატივცემულო ივანე! გაწუხებთ აი რისთვის. დამზადებულია რუსულ ენაზე დიდი საბჭოთა ენციკლოპედიისათვის სტატია სათაურით «Грузины». სხვათა შორის ამ სტატიის პირველი ნაწილი, რომელიც შეიცავს ქართველი ხალხის ისტორიის მიმოხილვას უძველეს დროიდან, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის დაწყებამდე, ჩემი აზრით, არ არის დამაკმაყოფილებელი, იქ უფრო მეფეებზე და სხვა ასეთებზეა ლაპარაკი, ვინემ თვით ხალხის მდგომარეობაზე და მის ყოფა-ცხოვრებაზე. მიმოხილვაში უნდა ყოფილიყო საზგასმით აღნიშნული მთავარი ისტორიული მომენტები და სოციალური გარდატეხანი. ეს, ჩემი აზრით, არ არის შესრულებული.

ამიტომ ჩემი თხოვნაა გულდასმით გადაიკითხოთ ეს მასალა და შეიტანოთ იქ საჭირო ცვლილებანი და დამატებანი. გარდა ამისა საჭიროა ქართველი ხალხის ისტორიის წყაროების ჩვენება.

ყველაფერი ეს დაჩქარებითაა საჭირო. ამიტომ ყოველივე სხვა საქმე უნდა გადასდოთ და დაახლოებით ორ-სამ დღეში ეს დავალება უნდა შეასრულოთ. სხვა გამოსავალი არაა“[2].

---

[1] იხ. რ ო ი ნ მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ივანე ჯავახიშვილი და თბილისის უნივერსიტეტი, თბილისი, 1996, გვ. 26.

[2] იხ. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივანე ჯავახიშვილისეული ფონდი, საქმე № 1985.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული სტატიის დაწერა რომელიმე ქართველ მეცნიერს კი არ შეუკვეთეს, არამედ დაავალეს ვინმე ვ. ნ. ხუდადოვს, რომელიც რუსეთში მოღვაწეობდა და კავკასიის შესახებ ზერელე ნაშრომებს წერდა. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის შესახებ დაწერილ სტატიებში დიდი ნაწილი ასევე არაქართველებს (რუსებს) ჰქონდათ შესრულებული. საკუთრივ ისტორიული ნარკვევი საქართველოზე კი დაიწერა ივანე ჯავახიშვილის, სარგის კაკაბაძის, სიმონ ხუნდაძისა და ფილიპე მახარაძის მიერ (ამ უკანასკნელის რედაქტორობით). სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა მაშინ ჩვენი დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის და „გამოჩენილი" ქართველი რენეგატი ბოლშევიკის დროებითი დაკავშირება, რამაც, თავის მხრივ, გადაწყვიტა ივანე ჯავახიშვილის (აგრეთვე გრიგოლ წერეთლის) მუშაობის დაწყება სახელმწიფო მუზეუმში.

წერილის მიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი ბორჯომიდან (სადაც იმჟამად ისვენებდა) იწერებოდა: „გულდასმით გადავიკითხე საბჭოთა დიდი ენციკლოპედიისათვის დამზადებული სტატია «Грузины», რომელიც თქვენ გადასაკითხავად გამოგზავნეთ. თქვენი მსჯავრი სრულებით სამართლიანია. ამას გარდა აქ არაერთი მსხვილი ანაქრონისტული შეცდომა არის და თვით სტატიაშიც ბევრგან ნასტომია ისე, რომ ზოგან წინა ნაწილების და მომდევნოთა შორის კავშირიც-კი დაცული არ არის. მაგრამ, სამწუხაროდ, ვადა იმდენად მცირეა, რომ ამ სტატიის არსებითი გადამუშავება შეუძლებელია. ამიტომ ამჟამად უკვე მხოლოდ ცხადი შეცდომების შესწორება, ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის აღდგენა და აქა-იქ აუცილებლად საჭირო ცვლილებების შეტანა-ღა შეიძლება... ტფილისში ჩამოსვლისთანავე დაუყოვნებლივ გაცნობებთ, თუ დაგვიანებული არ იქნება და კელავ ინებებთ თქვენი დავალება სამ დღეში შემიძლიან ავასრულო იმ მიზნით, რომ ეგების ამ სტატიის შეჩერება სამი დღით არ შეიძლებოდეს, ყოველ შემთხვევაში მაინც ამ სტატიას იმავე პირის ხელით უკანვე გაახლებთ". [1]

სამწუხაროდ, არ ვიცით თუ რა შესწორებები შეიტანა ივანე ჯავახიშვილმა ვ. ნ. ხუდადოვის სტატიაში, რადგან ამის თაობაზე რაიმე დოკუმენტს ჩვენამდე არ მოულწევია. მაგრამ იგი რომ რაიმეს იღონებდა ამ მიმართულებით, ეს კი უეჭველი გახლავთ (სხვათა შორის, შესაძ-

---

[1] იხ. დასახ. ფონდი, საქმე № 1460.

ლებელია ამის შესახებ დოკუმენტი არსებობდეს მოსკოვში). ფაქტია, რომ როგორც შესაბამისი, მეცხრამეტე ტომიდან ვგებულობთ, მისი სარედაქციო სამუშაოები დაუმთავრებიათ 1930 წლის პირველი ნოემბრისათვის. ჩვენ არ ვიცით, თუ როგორი იყო ავტორისეული სტატიის თავდაპირველი ვარიანტი. შეიძლება მან ივანე ჯავახიშვილის რომელიმე შენიშვნა გაითვალისწინა კიდეც. მაგრამ მითითებული წყაროები უაღრესად მწირი სახისაა. რად ღირს თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ მათში ივანე ჯავახიშვილის არც ერთი ნაშრომი არ ფიგურირებს! ჩვენს მიერ დაკავებული ტერიტორიის ჩვენებისას არაა აღნიშნული ენგურის, ხობის, ტეხურის, ღალიძგის და ა. შ. აუზები (ეს კი სრულიადაც არ გასლდათ შემთხვევითი).

სტატიაში ვკითხულობთ, რომ უკვე ძვ. წ. IV საუკუნეში ქართველობა ჩამოყალიბებულა «народность»-ის ფორმით და იგივე მეორდება XIX და XX საუკუნეების მიმართაც. ავტორის აღიარებით ქართველი ხალხის (народность) ყველაზე უფრო დამახასიათებელ წარმომადგენლებად ითვლებიან კახელები, მაგრამ რამდენიმე აბზაცის მოშორებით ასეთებად მოხსენიებულნი არიან ფშავლები, ხევსურები („პირაქეთელები") და გუდამაყრელები.

მაგრამ მთავარი მაინც სხვა რამაა. აღნიშნულ საენციკლოპედიო გამოცემაში ქართველებად არიან მიჩნეულნი ოდენ მთლად ქართულ ენაზე მეტყველნი (მხოლოდ ერთგან ვხვდებით ამორფული ეთნიკური შინაარსის მქონე («картвельская народность»-ს). ამდენად, ქართული ეთნიკური ერთობიდან გამორიცხულნი არიან მეგრელები და სვანები. შესაბამისად, როდესაც სპეციალურ სტატიაში აღნიშნულია, რომ ქართველთა რიცხოვნობა იმხანად მილიონნახევარს შეადგენდა, ამაში არ იგულისხმებიან მეგრელები (242. 289), სვანები (13. 158) და ლაზები (639) (შეგახსენებთ, რომ მოტანილი ციფრები ემყარება 1926 წლის საკავშირო აღწერას), რომელთა შესახებაც აღნიშნულმა ენციკლოპედიამ სპეციალური სტატიები დაბეჭდა.[1] როგორც ცნობილია, მეფის რუსეთის იმპერია ისე გადაეგო, რომ ქართველობას, როგორც აღნიშნული ჩვენი ეთნოგრაფიული ჯგუფების მომცველს, არა ცნობდა. ამგვარადვე დაიწყო ახალმა — ბოლშევიკურ-კომუნისტურმა

---

[1] სხვათა შორის, „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის" პირველი გამოცემის 33-ე ტომში შეტანილი იყო „კოლხები", მაგრამ როგორც გაურკვეველი და არა ჩვენი, ეთნიკური წარმომაელობის ხალხი.

რუსეთმაც, რომელმაც 1926 წლის საკავშირო აღწერის დროს, ვიმეორებთ, ქართველებად ცნო მხოლოდ და მხოლოდ მთლად ქართულ ენაზე მოლაპარაკენი.

უნდა ვიფიქროთ, რომ ფილიპე მახარაძე ალბათ ძალიან არ აღშფოთდებოდა ზემოაღნიშნული გარემოებით. მაგრამ იგი დიდად გამაოგნებელი იქნებოდა „ქართველი ერის ისტორიის“ ავტორისათვის, რომლის შეხედულებითაც ქართველობა, როგორც ერი, საუკუნეთა სიღრმიდან მოდიოდა და რომელიც უცილობლად მოიცავდა აგრეთვე სხვა ქართველურ (მეგრულსა და სვანურზე) მოლაპარაკე ეთნოგრაფიულ ჯგუფებსაც.

დიდად სამწუხაროდ, ამ საკითხზე თავგამოდება უპერსპექტივო საქმე იყო, რადგან ასე აწყობდათ ახალი რუსეთის იმპერიის მმართველ წრეებს. მეტსაც ვიტყოდით, იგივე აზრს იზიარებდა ეროვნული საკითხის „დიდი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი“ ი. ბ. სტალინიც. უკანასკნელის „მარქსიზმსა და ნაციონალურ საკითხში“ ლაპარაკია კავკასიაში მცხოვრებ რიგ ხალხებზე («народность»), რომელთაც „პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებული არიან“.[1] ერთ დროს შედევრად აღიარებულ ნაშრომში სხვა ადგილას ვკითხულობთ: „რა ვუყოთ მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ? რომელ ერებს მივაკუთვნოთ ისინი? შესაძლებელია თუ არა მათი „მოწყობა“ ნაციონალურ კავშირებად? რომელი „კულტურული საქმეების“ გარშემო მოვაწყოთ ისინი?“;[2] „რომელ ნაციონალურ კავშირს მივაკუთვნოთ აჭარლები, რომლებიც ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თურქული კულტურით ცხოვრობენ და ისლამის რჯულს აღიარებენ? ხომ არ „მოვაწყოთ“ ისინი ქართველებისაგან განცალკევებულად რელიგიური საქმეების ნიადაგზე და ქართველებთან ერთად სხვა კულტურული საქმეების ნიადაგზე? ახლა ქობულეთელები?... ახლა ინგილოები?“[3]

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 376.

[2] იქვე, გვ. 337.

[3] იქვე. შევნიშნავთ, რომ აღნიშნულ საენციკლოპედიო გამოცემაში აჭარლები ხან ცალკე ხალხად («народ») არიან გამოცხადებული, ხან კი — ქართველობის შემადგენელ ნაწილად. მითითებულია მათი მაშინდელი რაოდენობაც — 71. 390.

რაკი სიტყვამ, მოიტანა ერთსაც დავსძენთ. თავის დროზე ივანე ჯავახიშვილს სხვა ბრალდებებთან ერთად იმასაც უსაყვედურებდნენ, რომ მან ქართველი ერის წარმოშობა საუკუნეების სიღრმეებში გადაიტანა, ი. ბ. სტალინისა და საერთოდ ქართველი სოციალ-დემოკრატებისაგან განსხვავებით, რომლებიც ამ მოვლენას მეცხრამეტე საუკუნეს (კაპიტალიზმის ხანას) უკავშირებდნენ. ამის თაობაზე ზეპირგადმოცემებზე დაყრდნობით ორ ფაქტზე მოგახსენებთ. როცა ერთი მოხსენების შემდეგ მსგავსი შენიშვნა (წერილობით) მიუციათ, ბატონ ივანეს ხმამაღლა წაუკითხავს შეკითხვა, ქაღალდი დაუჭმუჭნია და გადაუგდია, ისე რომ პასუხი არ გაუცია (ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის (რომელიც აღნიშნული ფაქტის შემსწრე გახლდათ) მონათხრობი). მეორე შემთხვევაში კი დიდად გაბრაზებულ ივანე ჯავახიშვილს უთქვამს: „დაე ამის შესახებ მან გიპასუხოთ (ე. ი. სტალინმა, გ. ყ.) ვინც მსგავს რამეს ამტკიცებს"-ო (აწ განსვენებული არქეოლოგოსის ვახტანგ ჯაფარიძის (რომელიც ასევე ესწრებოდა ამ ამბავს) მოგონება).

მაგრამ იმხანად და შემდგომშიც (და ამის რეციდივები ახლაც საკმაოდ გვხვდება) საერთოდ ერის და მათ შორის ქართველების ერად ჩამოყალიბების თაობაზე ბოლშევიკ-კომუნისტებს ურყევ დებულებად მიაჩნდათ თავიანთი თვალსაზრისი და მისი შეცვლა ივანე ჯავახიშვილს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი დიდი მეცნიერი და მამულიშვილი კვლავაც შეეცადა ბოლშევიკ-კომუნისტთა გაქვავებულ დოგმებში კორექტივის შეტანას. როგორც ცნობილია, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში, რომელიც მაკეტის სახით შეიქმნა 1940 წელს (ჯერ კიდევ ჩვენი დიდი წინაპრის სიცოცხლეში, ისე რომ იგი მომსწრე და მონაწილე იყო წიგნის განხილვისა) და სამი წლის შემდგომ გამოვიდა, ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის ნაწილი (§ 55—111). ამ მონაკვეთში კი ტერმინი „ერი" უწინდელი ქართველობის მიმართ რამდენჯერმე გვხვდება. ასე მაგალითად, ერთგან წერია: „მაგრამ ამ ბრძოლაში (იგულისხმება დავით აღმაშენებლის ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ, გ. ყ.) სრული გამარჯვებისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა ქართველი ერის ყველა ძალთა გაერთიანება ერის ცენტრალიზებულ სახელმწიფოში".[1] მეორეგან კი ვკით-

---

[1] იხ. საქართველოს ისტორია, თბილისი, 1943, გვ. 182—183.

ხულობთ: „ქართველი ერი მისთვის ამ დაშორებულსა და თითქოს უცხო კულტურას (სპარსულს, არაბულს, გ. ყ.) როგორც ცხოველმყოფელ წყაროს, დაეწაფა, შეითვისა იგი და ამით თავისი მწერლობა-დასტეულოვნება გაამდიდრა"[1]. ქართველობა ერად მოიხსენიება აგრეთვე სახელმძღვანელოს 189-ე გვერდზეც, სოლო ერთი გვერდის წინ კი ამ ტერმინით აღნიშნულია მეთორმეტე საუკუნის სომხობა.

ასე რომ, ივანე ჯავახიშვილმა ამჯერად შეძლო ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მიეწოდებინა სხვაგვარი თვალსაზრისი, რომელიც საბჭოურ ხანაში „ერეტიკულად" ითვლებოდა. ცხადია, როცა ამას ვამბობთ, არ უნდა დავივიწყოთ სახელმძღვანელოს რედაქტორის სიმონ ჯანაშიას სათანადო დამსახურებაც.

8. „დიდი და საშვილიშვილო საქმე"

როგორც დავინახეთ, ივანე ჯავახიშვილს ცილს სწამებდნენ თითქოს ისტორიული იდეალიზმის წარმომადგენელი იყო, კერძოდ, ყურადღება უმთავრესად გადატანილი ჰქონდა მეფეების ბიოგრაფიებსა და პოლიტიკურ ისტორიაზე. ამდენად, საზოგადოების ცხოვრების მატერიალური მხარე, აქედან გამომდინარე, ხალხის მასის ცხოვრების პირობები თითქოს მისი ყურადღების მიღმა რჩებოდა. რასაკვირველია, ივანე ჯავახიშვილის ისტორიოგრაფიულ შემოქმედებაზე ამგვარი წარმოდგენა ან უვიცობიდან მოდიოდა, ანდა სინამდვილეზე განგებ თვალის დახუჭვით სდებოდა. რაც ჩვენმა დიდმა ისტორიკოსმა საქართველოს მატერიალური კულტურის სფეროს ისტორიის შესწავლაში გააკეთა, მიუწვდომელი აღმოჩნდა შემდგომი ხანის რომელიმე ისტორიკოსისათვის, მეტიც, ეთნოგრაფოსისათვისაც კი. აღნიშნული თვალსაზრისით პირველი ნაშრომი „საქართველოს ეკონომიური ისტორია", როგორც მივუთითებდით, მან ჯერ კიდევ 1907 წელს გამოაქვეყნა. მანვე 1916 წელს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების" გამგეობას ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაუსახა თანადროული ქართული ეთნოგრაფიული მასალების (კერძოდ, შინამრეწველობის სხვადასხვა დარგის ნივთების) შეგროვება და შესწავლა. უფრო გვიან, 1930 და 1934

---

[1] იხ. დასახ. წიგნი, გვ. 226.

წლებში, ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნული სახელწოდებით დაბეჭდა ორი მოზრდილი ტომი (აპირებდა კიდევ ორის დაწერას). მატერიალური ყოფის თემაზე მუშაობა მას არასოდეს შეუწყვეტია, რის დასტურიც გახლავთ მისი გარდაცვალების შემდგომ გამოქვეყნებული ნაშრომები.

გრძნობდა რა ამოცანის მასშტაბურობასა და სირთულეს, ივანე ჯავახიშვილი ცდილობდა სხვებიც ჩაერთო დიდ საქმეში. ეს კი სათანადო სასსრებს საჭიროებდა, რის გაღებაც ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში მაშინდელ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს მუზეუმსა და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილებას (1935 წლიდან უკვე საქართველოს ფილიალს) არ ძალუძდა, ანდა შესაძლოა შეეძლო, მაგრამ არ სურდა. თუმცა ამ წლებში მაღალი ტემპით გაშლილი ინდუსტრიალიზაციის პროცესი თვალსაჩინოდ ანგრევდა ძველ, ტრადიციულ მატერიალურ კულტურასა და ყოფას, რაც თავისთავად გულისხმობდა მათი ფიქსაციისა და პუბლიკაციის აუცილებლობას.

1934 წლის გაზაფხულზე ივანე ჯავახიშვილმა „სარეწაო კავშირის“ პრეზიდიუმს შესთავაზა შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის დაწერა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ოფიციალური ხელისუფლება დიდ მეცნიერს, რბილად რომ ვთქვათ, მაინცდამაინც არა სწყალობდა (მომდევნო სამ წელიწადს კი საერთოდ ვერ იტანდა), „სარეწაო კავშირის“ ხელმძღვანელობამ გულთან ახლოს მიიტანა მისი ჩანაფიქრი და დასთანხმდა სათანადო სარჯები გაეღო ნაშრომის მომზადებისა და დაბეჭდვისათვის, აგრეთვე შესაბამისი ტერმინოლოგიური ლექსიკონის გამოსაცემად. მანვე გაიღო ხარჯები ოცდასამი პირის მისავლინებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (საინგილოს ჩათვლით). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „სარეწაო კავშირის“ პრეზიდიუმმა გარდა ფინანსური დახმარებისა ივანე ჯავახიშვილის წამოწყებას წმინდა მორალური მხარდაჭერაც აღმოუჩინა. თავის ორგანო „საქართველოს შინამრეწველში“ 1935 წლის 10 აპრილს (№ 9(58) იგი ასე მიმართავდა თავისი „კავშირის“ წევრებს: „ამხ. შინამრეწველნო! საქართველოს სარეწაო კოოპერაციის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა გამოსცეს აკადემიური ხასიათის კაპიტალური შრომა საქართველოს შინამრეწველობის ისტორიის შესახებ. ამ დიდ შრომას ხელმძღვანელობს ისტორიკოსი პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, მასთან ერთად მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ახალგაზრდა სამეცნიერო ძალები.

ახლო ხანში წამოვლენ აღნიშნული პირები რაიონებში ადგილობრივ შესასწავლად და დასათვალიერებლად შინამრეწველობის სახელოსნოების, ხელსაწყოებისა და ნაწარმისა, რათა შეკრიბონ საჭირო მასალები, თანახმად აქ დართული პროგრამისა.

საქართველოს სარეწაო კავშირის პრეზიდიუმი სთხოვს ამხანაგ შინამრეწველებს, ხელი შეუწყონ ამ დიდ კულტურულ საქმეს, რომელიც საშუალებას მისცემს ჩვენს მეცნიერულ მუშაკებს შეიტანოს დიდი განძი სოციალისტურ მეცნიერებაში".

პროგრამა, უფრო ზუსტად მასალების შეგროვების წესი, შესაგროვებელი ცნობების მოპოვების სანიმუშო პროგრამა, შედგენილი იყო თვითონ ივანე ჯავახიშვილის მიერ და დაიბეჭდა კიდეც საქართველოს შინამრეწველთა ორგანოში. იგი მოიცავდა მატერიალური წარმოების მრავალ დარგს (სამშენებლო საქმეს, მეჭურჭლეობას, მებალეობას, მევენახეობა-მეღვინეობას, მესაქონლეობას, მეფუტკრეობას, მეთევზეობას, მეაბრეშუმეობას, ოქრომჭედლობას, იარაღების (საჭურველის) კეთებას, მეტივეობას, მერწყველობასა (ირიგაცია) და მეწისქვილეობას). როცა ადგილებიდან მასალა შეგროვდა, აღმოჩნდა, რომ იგი 6000-მდე გვერდს მოიცავდა. ამ საქმის თაობაზე ივანე ჯავახიშვილი ვარლამ დონდუას 1935 წლის 12 დეკემბერს ლენინგრადში სწერდა: „ამ ზაფხულს მთელ საქართველოში 23 კაცი მყავდა წარგზავნილი „საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის ზეპირგადმოცემითი მასალების" შესაგროვებლად. წარვლენილებმა საინტერესო ჩანახატები და ფოტო სურათები (ნივთიერი ნაშთებისა) წარმოადგინეს, და ვერ აგიწერთ, რა უხვი, მრავალმხრივი, საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალა შეგროვდა: წარსული კულტურის უკანასკნელი ანარეკლის მთელი ენციკლოპედიაა! მრავალი ახალი ტერმინი და გამონათქვამებია ჩაწერილი, ურომლისოდაც ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა სრულებით შეუძლებელი იქნება. მოხარული ვარ, რომ ჩემი მუდმივი ნატვრა და ოცნება შემისრულდა და აღბეჭდილია უკვე ის, რასაც ადამიანი მალე ველარ გაიგონებს და ველარც გაიგებს, რადგან საიქიოსკენ მიდის უკანასკნელი თაობა, რომელსაც იმდროინდელი კულტურის ნივთიერი ნაშთიც კიდევ საკმაოდ შენახული ჰქონია ისე, რომ სამუზეუმოდ შესაძენიც ბევრი რამე ყოფილა".[1]

---

1 იხ. მნათობი, 1968, № 9, გვ. 137.

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი ახალი დიდი ჯაფა დაადგებოდა ჩვენს დიდ მეცნიერს. ამის თაობაზე ვარლამ დონდუასადმი გაგზავნილ იმავე წერილში იგი აღნიშნავდა: „დღე და ღამე ამ ჩამოტანილი მასალების გამოსაცემად დამზადებისათვის ვმუშაობ. ისედაც საკუთარი კვლევა-ძიებით მოქანცულმა დიდი ზედმეტი და დამღლელი ტვირთი ავიკიდე, მაგრამ ისეთი მშვენიერი ცნობებია, რომ დაქანცულობასაც ყურადღებას არ ვაქცევ და გატაცებით ვმუშაობ. რომ დაიბეჭდება, მაშინ ყველა დარწმუნდება რამდენად დიდი და საშვილიშვილო საქმე გაკეთდა“[1]. ასე გრძელდებოდა მომდევნო წლის პირველ თვეებშიც. 1936 წლის 10 თებერვალს იმავე ადრესატისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ისედაც უაღრესად დატვირთულს კიდევ ორი ახალი დიდი სამუშაო (იგულისხმება აგრეთვე ქართველ ისტორიკოსთა თხზულებების ცალცალკე გამოცემა, გ. ყ.) დამაწვა კისერზე და დღედაღამ ვმუშაობ, მაგრამ მაინც ვერ ვერევი. საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის მასალებს რომ ჰკრებდნენ ამ ზაფხულს მთელ საქართველოში, საუცხოო ცნობები, დიდძალი ტერმინები ყოველი დარგისათვის და სურათები და ჩანახატები შეგროვდა... ამოდენა მასალის გადაკითხვას, რედაქციასა და დასაბეჭდად დამზადებას დიდი მუშაობა სჭირდება“[2].

მაგრამ კარგად დაწყებული საქმე, სამწუხაროდ, ასევე როდი წარიმართა. როგორც ჩანს, „სარეწაო კავშირის“ ხელმძღვანელობაში ცვლილებები მოხდა და ახალმა ხელმძღვანელებმა ჯეროვანი ყურადღება აღარ გამოიჩინეს საქმისადმი. 1939 წლის 10 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილი წერდა, რომ ყოველ შემთხვევაში საქართველოს მატერიალური კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ტექნიკის ისტორიის ლექსიკონი შედგენილია, ასე რომ, მომდევნო წელს იგი საბოლოოდ იქნება მომზადებული დასაბეჭდადო. მაგრამ უნდა მოძებნილიყო ახალი საიმედო კონტრაგენტი. 1939 წელს ივანე ჯავახიშვილმა როგორც „შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის“ დირექტორის მოვალეობის აღმსრულებელმა მიმართა ენიმკის დირექტორს სიმონ ჯანაშიას წიგნის გამოცემის თაობაზე. მომდევნო წლის 10 იანვარს დაიდო კიდეც სათანადო ხელშეკრულება, მაგრამ საქმე ვერც ამჯერად დაგვირგვინდა. ჯერ იყო და გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილი, შემდეგ კი (1941

---

[1] იხ. „მნათობი“, 1968. № 9, გვ. 137.

[2] იქვე, გვ. 138.

წლის 1 აპრილს) გაუქმდა ხსენებული მუზეუმი და რაც კიდევ უფრო მთავარი გახლავთ — დაიწყო ომი ფაშისტურ გერმანიასა და ბოლშევიკურ-კომუნისტურ რუსეთს შორის. მიუხედავად აღნიშნულისა, 1943 წლის ბოლოსა თუ 1944 წლის დასაწყისში საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირმა სიმონ ჯანაშიას მიმართა მასალების გამოცემის შესახებ და გადაწყვიტა 1944 წლისათვის გაეღო თანხები საჭირო ხარჯების დასაფარავად. მასალები უნდა გამოცემულიყო ორასი ნაბეჭდი თაბახის რაოდენობით, თანაც დარგობრივად. ამ წელსვე უნდა მოწყობილიყო დამატებითი ექსპედიციები იმ ვარაუდით, რომ სამუშაო მიმდინარე წელს დამთავრებულიყო. უნდა დაბეჭდილიყო შესაბამისი ლექსიკონიც".[1] მაგრამ, ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზით, საქმეს არც ამჯერად დაადგა საშველი. 1947 წელს გარდაიცვალა სიმონ ჯანაშიაც, რამაც „მასალების" გამოცემის საქმე კიდევ უფრო შეაფერხა.

ძვირფასი მასალების გამოცემა, ამით ივანე ჯავახიშვილის ჩანაფიქრის განხორციელება, როგორც იქნა დაიწყო 1976 წელს (როცა გამოვიდა პირველი ტომი). ამაში დიდი წვლილი შეიტანა აწ გარდაცვლილმა მხცოვანმა არქეოლოგოსმა ვახტანგ ჯაფარიძემ, რომელმაც 1972 წელს დააყენა საკითხი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინაშე „მასალების" გამოცემის თაობაზე[2]. მანვე მომდევნო წელს დაბეჭდა წერილი სათაურით „საშვილიშვილო საქმე" „ლიტერატურულ საქართველოში", სადაც იგივე საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობას გახაზავდა. აკადემიის პრეზიდიუმმა თავი გამოიდო ივანე ჯავახიშვილის დიდი ხნის ჩანაფიქრისა და მისი და სამეცნიერო კოლექტივის მიერ ჩატარებული სამუშაოების საბოლოო სრულ შესხმისათვის. იდეას მხარი დაუჭირეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც დიდი სწავლულისა და მამულიშვილის დაბადების ას წელთან დაკავშირებით.

და აი, „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის" ივანე ჯავახიშვილის საერთო რედაქ-

---

[1] იხ. სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა თბილისი, 1983, გვ. 490—91.

[2] სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უფრო უწინ 1965 წელს და შემდეგ 1973 წელს, პრესაში მსგავსი წინადადებით გამოვიდა ისტორიკოსი აბელ კოკვიძე.

ტორობით — სულ ხუთი ტომი, ცხრა წიგნად, უკვე გამოცემულია (ბოლო წიგნი გამოვიდა 1992 წელს). წიგნმა დაიმსახურა სახელმწიფო პრემია. იმედია, მალე შესაბამის ლექსიკონსაც ვიხილავთ. ამით ასრულდება ის „დიდი და საშვილიშვილო საქმე", რომელზედაც ოცნებობდა ილიას შემდგომი ხანის ყველაზე დიდი ქართველი.

9. ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების უმძიმესი დღეები

(1936 წლის 23 მარტ-2 აპრილს უნივერსიტეტში ჩატარებული „დისკუსიის" შესახებ)

რამდენადაც ვიცით, ივანე ჯავახიშვილი 1930 წლიდან მოყოლებული 1936 წლის იანვრის ჩათვლით სამჯერ გახდა მძაფრი კრიტიკის (კამპანიის ფორმით) ობიექტი. სპეციალურად განიხილავდნენ მისი აზროვნებისა და შემოქმედების ფეოდალურ, ბურჟუაზიულ თუ ფეოდალურ-ბურჟუაზიულ (!) ხასიათს, კერძოდ, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და ფუნქციონირების თაობაზე მისი შეხედულებების მიუღებლობას (ანტიმარქსისტულობას). მაგრამ დიდი ისტორიკოსის წინააღმდეგ გალაშქრებამ (სხვანაირად ვერ იტყვი!) 1936 წლის 23 მარტს — 2 აპრილს კულმინაციას მიაღწია. ადგილი ჰქონდა დიდი და სპეტაკი სულის პიროვნების იდეურ ჩაქოლვას, რომელსაც ადვილი შესაძლებელია მალე ფიზიკური ანგარიშსწორებაც მოჰყოლოდა, თუმცა ფსიქოზით შეპყრობილი საზოგადოების დიდი ნაწილი, თვით ისტორიკოსთა უმრავლესობაც კი, ამას ვერ აცნობიერებდა, ანდა საერთოდ ამაზე არც ნაღვლობდა. კარგა ხანია დროა დღევანდელმა ჩვენმა საზოგადოებამ იცოდეს აღნიშნული დისკუსიის პერიპეტიები და მონაწილეთა გამოსვლები. ასე რომ, ეს საიდუმლოება მხოლოდ არქივის გაყვითლებულ ფურცლებზე და რამდენიმე სპეციალისტის თავში (ცნობიერებაში) არ უნდა რჩებოდეს!

1934—36 წლების განმავლობაში საბჭოთა საზოგადოების მმართველ წრეებში თვალსაჩინო გარდატეხა მოხდა ისტორიის სწავლებისა და შესწავლისადმი დამოკიდებულებაში. როგორც იქნა გაიცნობიერეს, რომ მშრალი სოციოლოგიური სქემებით ხალხის მასის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, მოქალაქეობრივი და პატრიოტული აღზრდა ვერ მოხერხდებოდა. მსგავსი სოციოლოგიზმი და ისტორიის გავულგარება

მიხეილ პოკროვსკის საისტორიო სკოლას მიაწერეს, ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობა კი (ი. ბ. სტალინი, ს. მ. კიროვი და ა. ნ. ჟდანოვი) ისტორიის (ისტორიოგრაფიის) რეაბილიტაციის როლში გამოვიდნენ.

შექმნილი საზოგადოებრივ-ისტორიული ფონით ისარგებლა თბილისის უნივერსიტეტის იმჟამინდელმა რექტორმა, წითელი პროფესურის წრის წარმომადგენელმა კარლო ორაგველიძემ (სპეციალობით პოლიტეკონომისტმა), რომელმაც 1936 წლის 23 მარტს ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წაიკითხა მოხსენება „საქართველოს ისტორიის საკითხისათვის“.[1] (შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ ღონისძიებას, იმდროინდელი ხელისუფლების სულისკვეთებიდან გამომდინარე, დაერქვა „დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ“). რასაკვირველია, ბევრად უფრო უპრიანი იქნებოდა, რომ მსგავსი მოხსენება სპეციალობით ისტორიკოსს წაეკითხა, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მთავარი ნაკლი კარლო ორაგველიძის მოხსენებისა ის იყო, რომ მთელი თავისი პათოსი და ძალისხმევა მომხსენებელმა წარმართა უპირველესი ისტორიკოსისა და დიდი პატრიოტის ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მომხსენებლის ზურგს უკან იდგა ლ. პ. ბერია, რომელიც დიდად იყო დაინტერესებული ინტელიგენციის საუკეთესო („ძველი“) ნაწილის იდეური ჩაწიხლვითა და გაბიაბრუებით, რასაც მალე ფიზიკური განადგურებაც უნდა მოჰყოლოდა. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, ეს მოტივი მხოლოდ ბერიას კი არ ამოძრავებდა, არამედ იმხანად პოლიტიკურად აღზევებულთა უმეტესობასაც.

მომხსენებელი ერთი მხრივ სწორად აღნიშნავდა საქართველოს ისტორიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების უსაფუძვლობას, რაშიც პირველ რიგში აკრიტიკებდა ფილიპე მახარაძეს (ამ ფაქტშიც ჩანს, თუ კონკრეტულად ვის მხარეზე იდგა კარლო ორაგველიძე, მით უმეტეს, რომ იმავდროულად ცამდე აჰყავდა ლ. ბერიას პლაგიატი „ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის ამიერკავკასიაში“). მოხსენება აღსავსე იყო ივანე ჯავახიშვილისადმი წაყენებული მრავალი უნიადაგო ბრალდებით. კერძოდ, ასეთებით: რომ ივანე ჯავახიშვილის აზროვნების საფუძველი გახლდათ ისტორიული იდეალიზმი. რომ „ჯავახიშვილის მიერ ისტორიის იდეალისტური გაგება სამსახურს

---

[1] მოხსენების ტექსტი ამავე წელს ცალკეც იქნა დაბეჭდილი. ციტატები მოგვაქვს სწორედ ამ გამოცემიდან.

უწევს და ამართლებს ფეოდალურ ექსპლუატაციას"; რომ ჩვენს დიდ ისტორიკოსს გაზვიადებულად წარმოედგინა ისტორიაში პიროვნების როლი; რომ „ჯავახიშვილი თითქმის მუდმივად ლაპარაკობს ქართველებზე და არ ცდილობს გამოარკვიოს კლასობრივი ბრძოლა მათ შორის", რასაც ვითომდა მოითხოვს „მეცნიერული მიუდგომლობა"; რომ „მისი მიუდგომლობა მხოლოდ გარეგნულია და ობიექტივიზმი კი ფიქტიური, სინამდვილეში ჯავახიშვილის თანაგრძნობა აშკარად მჩაგვრელი კლასებისა და მათი წარმომადგენლების მხარეზეა". უფრო მეტიც, კარლო ორაგველიძის მტკიცებით, „შემთხვევითი არ არის ჯავახიშვილის „შრომა" საქართველოს საზღვრების შესახებ. მენშევიკების დაკვეთით აქ ჯავახიშვილი ცდილობს თეორიული საფუძველი შეუქმნას მათ იმპერიალისტურ ზრახვებს სომხეთის მიმართ"; „ჯავახიშვილი ურჩევს დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების ლაქიებს მენშევიკებს და მათ მთავრობას, სომხეთთან საზღვრების გადაწყვეტის დროს, დაადგნენ სახელმწიფოებრივ და არა ეთნოგრაფიულ თვალსაზრისს". აქედან გამომდინარე, ნამდვილ ინტერნაციონალისტ (რაც უპირველესად სხვადასხვა ერთა შორის მეგობრულ ურთიერთობებს გულისხმობს და არა სხვადასხვა ქვეყნების პროლეტარიატებს შორის, როგორც ამას ქადაგებდა ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმი) ივანე ჯავახიშვილს მომხსენებელი და ბევრი სხვა გამომსვლელი უკიჟინებდნენ სიძულვილს სომეხი ერისადმი. სინამდვილეში ჩვენი დიდი წინაპარი, როგორც უკვე მივუთითებდით, მშვენივრად აცნობიერებდა ქართველებსა და სომხებს შორის მტრობის ჩამომგდებ ძალას და თვით სომხობას კი დიდი სიმპათიებით ეკიდებოდა.

კარლო ორაგველიძე დაასკვნიდა, რომ საბოლოოდ უნდა მხილებულიყო და განადგურებულიყო (იდეურად) „ჯავახიშვილის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური სკოლა", რითაც თითქოს მნიშვნელოვანი ნაბიჯი ვადაიდგმებოდა ქართული ისტორიოგრაფიის ჩიხიდან გამოსასვლელად. მომხსენებელი „თეორიულ", კერძოდ, „მეთოდოლოგიურ გზასაც" სახავდა: „მთავარი მიზეზი ისტორიის ფრონტზე ასეთი მდგომარეობისა, როგორც რუსეთში, ისე განსაკუთრებით ჩვენში, მდგომარეობს იმაში, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორია ჯერ კიდევ არ გამხდარა ნამდვილი საფუძველი ისტორიკოსების კვლევისათვის, რომ მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის მეცნიერული მეთოდი ჯერ კიდევ არ გამხდარა ნამდვილი იარაღი ისტორიკოსებისათვის მთელი

მათი მუშაობის პროცესში". ცხადია, კარლო ორაგველიძის აგრესიული, მეცნიერებისათვის ყოველად მიუღებელი ტონი მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ გამოსვლით არ შემოფარგლულა, ამას მხედველობაში ჰყავდა სხვა ისტორიკოსებიც, რომლებიც, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ერთმანეთისაგან განსხვავებულად აზროვნებდნენ (მხედველობაში გვაქვს მსოფლმხედველობრივი, მეთოდოლოგიური დონეები). ასეთი თეორიული, მეთოდოლოგიური პლურალიზმი კი საისტორიო მეცნიერებაში საბჭოურ რეჟიმს, ოფიციალურ ხელისუფლებას არ აწყობდა, ამიტომ, მომხსენებლის სიტყვებით „შეურიგებელი ბრძოლით საბოლოოდ დაძლეულ და განადგურებულ უნდა იქნეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და სხვა ანტიმარქსისტული მიმართულებანი, სულ ერთია, იქნებიან ისინი აშკარა თუ შენიღბულ ფორმაში მოცემული".

მოხსენების ირგვლივ კამათი კიდევ ოთხ სხდომაზე (სხვადასხვა დღეს) გაიმართა და „დისკუსია" დასრულდა 2 აპრილს. მასში აქტიური მონაწილეობა მიიღო ოცამდე კაცმა, თვითონ „მთავარი ბრალდებული" — ივანე ჯავახიშვილი მასში არ მონაწილეობდა.[1] ასე რომ, „დისკუსიის" პერიპეტიების შესახებ იგი სხვათაგან გებულობდა. „დისკუსიის" დამთავრებიდან ათი დღის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი თავის ჰორაციოს — ვარლამ დონდუას სწერდა: „უკანასკნელ დროს კვლავ განახლდა ჩემ წინააღმდეგ ბრძოლა ტ. ს. (ტფილისის სახელმწიფო, გ. ყ.) უნივერსიტეტში. რექტ. კ. ორაგველიძემ 3-საათიანი მოხსენება წაიკითხა უ-ტში, რომელშიც ყველა ჩემი ნაშრომების უვარგისობის დამტკიცებას ლამობდა იმის გამო, რომ მარქსისტული არ არის, რაც არავისთვის ახალ აღმოჩენას არ წარმოადგენდა. ამას მოჰყვა „კამათი" ოთხი დღის განმავლობაში, რომლის დროსაც ბევრი შხამი პროორექტორმა გრ. ჯანელიძემაც წამოანთხია... და ზოგმა ჩემ ყოფილ მოწა-

---

[1] დისკუსიის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე მას უნივერსიტეტიდან ოფიციალურად ატყობინებდნენ: „ტ. ს. უ. სასწავლო ნაწილი გთხოვთ, ხვალ 20 მარტს დღის პირველ საათზე მობრძანდეთ სასწავლო ნაწილის პროორექტორ დოცენტ ჯანელიძესთან". იხ. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივანე ჯავახიშვილისეული ფონდი, საქმე № 895. საფიქრებელია, რომ სურდათ ადრესატი ჩაეყენებინათ მომავალი „დისკუსიის" კურსში. მაგრამ, როგორც ჩანს, ივანე ჯავახიშვილი არ გამოცხადებულა უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილში.

ფეთაგანმაც თავი ისახელა. ამბობდნენ, რომ ეს ვითომც ჩვეულებრივი კამპანიის დასაწყისია და ყურადღება არ უნდა მიაქციოთო"[1].

კარლო ორაგველიძის მოხსენებაზე უფრო ზუსტი წარმოდგენა ივანე ჯავახიშვილს შეექმნა მისი ტექსტის გამოქვეყნების შემდგომ. 1937 წლის 23 იანვარს კვლავ იმავე პირს ივანე ჯავახიშვილი ასე სწერდა: „კ. ორაგველიძემ უნივერსიტეტის ორგანოში დაბეჭდა თავისი მოხსენება, რომელიც შარშან წაიკითხა ჩემს წინააღმდეგ. მე ის მაშინ არ მომისმენია და მისი შინაარსი მხოლოდ მონათხრობის სახით მქონდა გაგონილი. ესლა საშუალება მქონდა ჩემის თვალით წამეკითხა. ვერ წარმოვიდგენდი, თუ რომ ადამიანის უანგარო მოღვაწეობის ასე ურცხვად წაბილწვა შესაძლებელი იყო. ამ ვაჟბატონის მტკიცებით, თურმე ფეოდალური წესწყობილებისა და ჩაგრულთა მჩაგვრელთაგან ექსპლოატაციის გასამართლებლად დამიწერია ჩემი თხზულებები, საქართველოს საზღვრებზე რომ მაქვს მსჯელობა, ვითომც ვისიმე კარნახით და მეზობლების მძულვარებით ვხელმძღვანელობდე, ჩემს გამოკვლევებში სოციალური ბრძოლის შესახებ ვითომც მე არას ვამბობდე, და საერთოდ კი საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორის სახელწოდების ღირსიც-კი გამხადა"[2].

რა თქმა უნდა, ოდნავ ნორმალურ ვითარებაში თავის დაცვა ადვილად შეიძლებოდა. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილი თავისი მსოფლმხედველობითა და სოციალურ-პოლიტიკური პოზიციებით შორს იდგა თავად-აზნაურთა ან ბურჟუაზიის კლასებისაგან, მით უფრო შოვინიზმისაგან; თავის ნაშრომებში მას არაერთხელ მიუთითებია საქართველოსა და სომხეთში წოდებათა შორის ბრძოლაზე[3], გლეხთა მოძრაობაზე თვით მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოში. თავის ისტორიოგრაფიულ შემოქმედებაში იგი ხშირად გახაზავდა ეკონომიკური ფაქტორის დიდ მნიშვნელობასაც: სხვას რომ თავი დავანებოთ განა ამაზე მჭვერმეტყველურად არ ლაპარაკობს მისი ორტომიანი ნაშრომი „საქართველოს ეკო-

---

[1] იხ. ივანე ჯავახიშვილი, წარსულის ფურცლები. ედიშერ ხოშტარია-ბროსეს გამოცემა, თბილისი, 1996, გვ. 40.

[2] იქვე, გვ. 50—51.

[3] 1934 წელს სწორედ უნივერსიტეტის გამომცემლობამ ცალკე ბროშურად დაბეჭდა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „სოციალური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში IX—XIII საუკუნეებში".

ნომიკური ისტორია", რომელიც 1930 და 1934 წლებში გამოქვეყნდა (ჩაფიქრებული ჰქონდა მომდევნო ორი ტომის გამოცემაც).

კარლო ორაგველიძის მხრივ ზოგჯერ მთლად კურიოზებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, მაშინ როდესაც ივანე ჯავახიშვილი წერდა ისტორიის ფილოსოფიის აუცილებლობაზე, საქართველოს ისტორიული პროცესის საფუძველზე და ამ თვალსაზრისით ქართულ ისტორიოგრაფიულ სიტუაციას ადარებდა ძველი საბერძნეთის, ძველი რომისა და დასავლეთ ევროპის ისტორიის შესწავლილობის დონეს, მომხსენებელი დაასკვნიდა, რომ ჩვენი დიდი ისტორიკოსი საერთოდ უარყოფდა საისტორიო განზოგადოებათა საჭიროებას. ამგვარი ბრიყვული დასკვნიდან კი ივანე ჯავახიშვილის ოდენ ფაქტოლოგოსობის მტკიცება ლოგიკური გახლდათ! კარლო ორაგველიძის შეხედულებით, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებში „ქართველი ხალხის ისტორია მოწყვეტილია სხვა მეზობელი ხალხებისა და მსოფლიო ისტორიისაგან. არ არის სათანადოდ შესწავლილი და შეფასებული მეზობელი სახელმწიფოების ურთიერთობა საქართველოსთან". აქედან გამომდინარე, იგი სოლომონ ბრძენისეული კილოთი აცხადებდა: „გარეშე სახელმწიფოებისა და ხალხების გავლენა საქართველოზე უეჭველია. ამ დებულების სისწორეს განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში განიცდიდა სხვადასხვა დამპყრობელი სახელმწიფოს უღელსა და მათ ზეგავლენას". ამ შემთხვევაში, რომ იტყვიან, კომენტარები სწორედ რომ ზედმეტია!

მომხსენებელს მოჰქონდა ადგილი ივანე ჯავახიშვილისეული ნაშრომიდან „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია", სადაც აღნიშნულია, რომ ჩვენი ქვეყნის გაერთიანებისას (IX—XI საუკუნეებში), „ბედი, პირადი გამჭრიახობა და გარემოება ისე არაერთგვაროვანი სწყალობდა, როგორც ტაო-კლარჯეთის მფლობელთ, აშოტ კურაპალატის ჩამომავლობას". კ. ორაგველიძე ამ ადგილის კომენტირებისას გახაზავდა მხოლოდ ბედის წყალობასა და პირად გამჭრიახობას და აქედან გამომდინარე, დაასკვნიდა: „იდეალიზმი აქ თავის უკიდურესობამდის მიდის". მაგრამ მოტანილ ციტატაში ხომ ობიექტურ ვითარებაზეც — „გარემოებაზეც" არის ლაპარაკი, ამას კი მომხსენებელი აჩუმათებდა.

კარლო ორაგველიძე და სხვა ბევრი გამომსვლელიც ძალიან წუნობდნენ ივანე ჯავახიშვილის ობიექტივიზმს (მეთოდს) და გულწრფელად სჯეროდათ, რომ ნამდვილი ობიექტივიზმი შესაძლებელი იყო მხოლოდ საბჭოური მარქსიზმისა თუ მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან,

რომლის მიხედვითაც მოვლენათა გაგებისა და შეფასებისას მთავარია კლასობრივი და პარტიული მიდგომები. კერძოდ, მომხსენებელი ფიქრობდა, რომ დიდ საისტორიო ჭეშმარიტებას ჰფლობდა, როცა აცხადებდა: „ისტორიამ (იგულისხმება ისტორიოგრაფია, გ. ყ.) უნდა მოგვცეს ჩვენ გაგება და მეცნიერული დასაბუთება იმ ფაქტისა, რომ ქართველი ხალხი მხოლოდ ამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში განიცდის პირველად თავის ხანგრძლივ ისტორიაში ნამდვილ თავისუფალ ცხოვრებას, რომელმაც მისცა მას საშუალება მძლავრად გაეშალა თავისი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი“; ანდა „ამ ისტორიამ უნდა მოგვცეს ჩვენ გაგება იმ ფაქტისა, რომ ქართველი ხალხი დიდი რუსისა და სხვა ხალხებთან ძმურ კავშირში მყოფი, მათთან ერთად აშენებს სოციალისტური ცხოვრების გრანდიოზულ შენობას“; „ამხ. ლავრენტი ბერიამ თავის ისტორიულ მოხსენებაში მოგვცა ჩვენ ბრწყინვალე მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იქნას დაყენებული ნამდვილ მეცნიერულ ლიანდაგზე ჩვენი პარტიული ორგანიზაციებისა და ხალხის ისტორიის შესწავლის საქმე“ და მისთანანი. თუ როგორი ობიექტივიზმია ასეთ „აზრებში“ ამაზე კომენტარის გაკეთება არა ღირს.

მაგრამ ყოველივე ამის შესახებ აღნიშნულ „დისკუსიაზე“ ლაპარაკი ზედმეტი იყო. სამწუხაროდ, თვით ისტორიკოსთა წრეშიც კი, მთლიანად აღებული, ისეთი სიტუაცია სუფევდა, რაც გამორიცხავდა მეცნიერული პაექრობის შესაძლებლობას. ამას ხომ შიშისაგან თავისუფალი, ჭეშმარიტებაზე ორიენტირებული ადამიანები სჭირდებოდა, რომლებიც იმხანად ცოტანი იყვნენ. თანაც ბევრისათვის ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ გამოსვლა ტრამპლინი გახლდათ საერთო და კერძოდ, სამეცნიერო კარიერის გასაკეთებლად. იმხანად ძალზე ცოტანი თუ იყვნენ ისეთნი, ვისაც აკაკი შანიძის მსგავსად შეეძლო ამაღლებულ ტონში განეცხადებინა: „მე არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, ვინც ჯავახიშვილის ჩაწიხლვით თავის კარიერის შექმნას ლამობს“-ო (ეს აზრი ზემოთაც მოვიტანეთ).

შევჩერდებით სხვა გამომსვლელებზე.[1] ისტორიკოსი ლუკა ციხისთავი „დისკუსიაზე“ აღნიშნავდა: „ქართული ბურჟუაზიული იდეალის-

---

[1] ქვემოთ ვსარგებლობთ „დისკუსიის“ სტენოგრამით, რომელიც დაცულია საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფონდი 471, აღწ. 19, საქმე, 4, 5).

ტური ისტორიოგრაფიის მამამთავრის ივანე ჯავახიშვილის შრომების ღრმა ბოლშევიკურ-აკადემიური კრიტიკით მომსსენებელმა ფარდა ახადა ივანე ჯავახიშვილის ყველა მიმდევრებს და მეცნიერულ-აკადემიური მასვილი ჩასცა მათ აშკარად ყალბსა და ფალსიფიკატორულ შეხედულებებს"; „განა მეტად თვალსაჩინოდ არ ამხილა ამხ. კარლომ ქართველი ისტორიკოსები, რომლებიც აბსოლუტურად ამახინჯებენ მე-19 საუკუნის ისტორიულ მოვლენებს, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზეზად მღვდლებისა და ეპისკოპოსების შეურაცხყოფას ასაღებენ და სხვა"; „უდაოა ერთი — ქართულმა ბურჟუაზიულ-მემამულურმა (!) ისტორიოგრაფიამ თვითმპყრობელობის ოფიციალურ ისტორიკოსებზე წინ ვერ წარსდგა ფეხი ქართველი ხალხის ცხოვრებისა და ჩვენი წარსულის ისტორიული მოვლენების შეფასებაში". ვინმე ჯინჭველაშვილის მიხედვით, „მიუხედავად მრავალი შრომისა, რომლებიც დასწერა ჯავახიშვილმა, კერძოდ, საქართველოს ისტორიაში, ვერ მოგვცა ჩვენი ხალხის ნამდვილი, კლასთა ბრძოლის ისტორია. მას, თითქმის გამოუკლებლივ, აღწერილი აქვს მეფეების ისტორია, მათი თავგადასავალი, ომები, დეტალებითაც კი, მაგრამ მთავარი რაც ამოძრავებს ისტორიას, კლასთა ბრძოლა, რომლითაც ხასიათდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებულ ხალხთა (!) ცხოვრება, მთლიანად დავიწყებულია"; „ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მან (ივანე ჯავახიშვილმა, გ. ყ.) განგებ დაფარა გამწვავებული კლასთა ბრძოლა, რომელსაც ძველ საქართველოშიც ჰქონდა ადგილი"; „ისტორიკოსი (ცხადია, იგულისხმება ივანე ჯავახიშვილი, გ. ყ.) ცდილობს ნაციონალ-შოვინიზმი დანერგოს თავის მკითხველში და ბუნებრივია, რომ უკანასკნელი მის შრომებში მძლავრ მომენტადაა მოცემული".

ისტორიკოსი ნიკოლოზ მახარაძე (ისტორიის ფაკულტეტის იმჟამინდელი დეკანი) ამბობდა: „შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამხ. ორაგველიძის მოხსენება საქართველოს მეცნიერულ ფრონტზე და განსაკუთრებით ისტორიის ფრონტზე წარმოადგენს უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობის ფაქტს: ასე მთლიანი, ასე გაშლილი, ასე დასაბუთებული კრიტიკა ჩვენი მემკვიდრეობისა ისტორიის დარგში ჯერ არავის არ გაუკეთებია ისე, როგორც ამხ. ორაგველიძემ გააკეთა"; „უკანასკნელი, რაც ყველაზე უფრო დიდი დანაშაული (!) არის პროფ. ჯავახიშვილისა ისტორიის მიმართ — ეს არის მისი დამახინჯებული შეხედულება სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ"; „დაბოლოს ამხანაგებო, პროფ.

ჯავახიშვილს აქვს ნამდვილი ბიოლოგიური შოვინიზმი" (თითქოსდა სომხების მიმართ).

ვინმე ა. დღვილავა აცხადებდა: „როგორც სრულიად სამართლიანად იყო აღნიშნული პროფ. ორაგველიძის მოხსენებაში, ივანე ჯავახიშვილი როგორც ისტორიკოსი, წარმოადგენს ფეოდალურ-ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობის ისტორიკოსს, არ შეიძლება ითქვას, რომ ის წმინდა წყლის ბურჟუაზიული ისტორიკოსია, არამედ მასში არის დიდი დოზა ფეოდალურ-მემამულურ-პომეშჩიკური (!) შეხედულების, რასაც გვერდს ვერ აუვლით, როდესაც ვიხილავთ მის ნაწარმოებებს"; „მენშევიკური დიქტატურის ისტორიის დაწერა ჯავახიშვილს არ მოუსწრია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჯავახიშვილი ამ პერიოდში აქტიურ იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას აწარმოებდა და ხშირად გამოდიოდა მენშევიკურ პოლიტიკის ყველაზე უფრო აგრესიული შოვინისტური პოლიტიკის დაცვის მიზნით". საერთოდ ამ „ბრძენი" გამომსვლელის შეფასებით, ივანე ჯავახიშვილს ქართულ ისტორიოგრაფიაში ისეთი მნიშვნელობაც კი არა ჰქონდა, როგორც სერგეი სოლოვიოვს (ვასილი კლიუჩევსკიზე რომ არაფერი ვთქვათ) რუსულ ისტორიოგრაფიაში.

ჩამოთვლილ და მისთანათა გამომსვლელებისა ივანე ჯავახიშვილს ისე არა სწყენია, როგორც თავის ერთ დროს საყვარელი მოწაფეებისა—სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილისგან. ამის თაობაზე, როგორც უკვე აღვნიშნავდით, იგი დიდი გულისტკივილით სწერდა ვარლამ დონდუას.[1] ვნახოთ, რა თქვეს ამ უაღრესად კრიტიკულ სი-

---

1 განმარტებას საჭიროებს წინადადება „ზოგმა ჩემ ყოფილ მოწაფეთაგანმაც თავი ისახელა". „დისკუსიის" დროს გამოვიდნენ ივანე ჯავახიშვილისათვის ღიად მახლობელი სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი გოზალიშვილი და აბელ კაკვიძე. მაგრამ მათ, თუ გამოსვლების მიხედვით ვიმსჯელებთ, დიდი მოძღვარი გამორიცხავდა. სხვათა შორის, პროფ. ლევან სანიკიძე გადაკვრით, მინიშნებით წერდა: „მე არც იმას ვურჩევ მავანს და მავანს, დღეს ვინმეს „გასაშავებლად" 1936 წლის შავი სტენოგრამები ამოქექონ, თორემ ვაითუ ბადეს უფრო დიდი „ლლაევიც" ამოპყენენ, ვიდრე ვინმე წვრილმანი ფუნქციონერი" და აგრძელებდა: „ახლა მხოლოდ იმის თქმა ვიკმაროთ, რომ მაშინ ივანე ჯავახიშვილი სრულიად მარტო იყო და ყველა დანარჩენი „დიდიც" და „მცირეც" და „მოწაფეც" იმ მარტოხელა ბუმბერაზს ებრძოდა". იხ. ავტორის სტატია, Sine ira, „სახალხო განათლება", I, XI, 1990. ადვილი გასაგებია, თუ საითკენ არის მიმართული ავტორის კრიტიკული ისრები, თუმცა ადრესატები პირდაპირ, აშკარად არ არიან დასახელებულნი.

ტუაციაში თავიანთ ყოფილ მასწავლებელზე ნიკო ბერძენიშვილმა და სიმონ ჯანაშიამ, ჩაერთვნენ ისინი ფარისევლობა-მაამებლობის (რექტორისა და ხელისუფლების მიმართ) დოლში თუ გაემიჯნენ ჯანარჩენ გამომსვლელებს.[1]

ნიკო ბერძენიშვილის მტკიცებით, ივანე ჯავახიშვილმა „ძლიერად წასწია წინ ქართული ისტორიოგრაფიის საქმე", მაგრამ ეს ითქმის ტექნიკური მომზადებულობის აზრით (საისტორიო წყაროების კრიტიკული განხილვა და გამოყენება, ფაქტების დადგენა). ხოლო, რაც შეეხება თეორიულ, უფრო კონკრეტულად, მეთოდოლოგიურ დონეს, აღნიშნული თვალსაზრისით ივანე ჯავახიშვილი თითქოს ძალიან მოიკოჭლებდა და ამ მხრივ მას წინ უსწრებდა მაგალითად ფილიპე მახარაძე, „რომელიც თანამოსანგრეთა უმრავლესობის მსგავსად კი არ გაურბოდა საქართველოს წარსულს, არამედ ნაყოფიერად და წარმატებით აშუქებდა თავის შრომებში ad hoc წამოჭრილ ისტორიულ საკითხებს". ნიკო ბერძენიშვილის აზრით, ივანე ჯავახიშვილმა „ქართული ისტორიოგრაფია სამარცხვინო ჩამორჩენილობიდან ვერ გამოიყვანა"; „ქართული ისტორიოგრაფია სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა", „ქართველი ერის ისტორიის" ავტორი ღვიძლი შვილია წვრილბურჟუაზიულ-ქართული ინტელიგენციის ოჯახისა და მისი ინდივიდუალისტურ-იდეალისტური იდეების მატარებელია. კვლევის ანალიტიკურ-ინდუქტიური მეთოდით და იდეალისტური მსოფლმხედველობით მოწინავე ისტორიოგრაფიის შექმნა ამ მარქსიზმის ეპოქაში, რა თქმა უნდა, მას არ შეეძლო". ნიკო ბერძენიშვილი თავის კრიტიკულ პოზიციას ივანე ჯავახიშვილის მიმარ ასე აკონკრეტებდა: „შეეხება საკითხი სახელმწიფოს რაობას და მის წარმოშობას ქართლში, ირანისა და იბერია-კოლხეთის ურთიერთობების საფუძვლებს, სხვადასხვა სარწმუნოებათა გავრცელების მიზეზებს, ფეოდალური ურთიერთობების წარმოქმნას, ფეოდალურ მონარქიის ჩამოყალიბებას, ე. წ. „სამონასტრო მოძრაობას", ბრძოლას მეფეთა და დიდ აზნაურთა შორის, პატრონ-

---

[1] ცხადია, იმჟამდელი „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" უპირველესად სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის კრიტიკული გამოსვლებით იყვნენ დაინტერესებულნი და ამ თვალსაზრისით ისინი უფრო მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდნენ, ვიდრე აბელ კაკვეიძე, გიორგი გოზალიშვილი და სხვანი.

ყმობა-ბატონყმობას, ფეოდალურ მონარქიის ძლიერების საფუძვლებს, ამ მონარქიის დაცემისა და დაშლის მიზეზებს, ყველა ეს და მრავალი სხვა ძირითადი საკითხები საქართველოს ძველი ისტორიიდან პროფ. ივანე ჯავახიშვილის შრომებში კლასობრივ ურთიერთობის გარეშე, ე. ი. არა კლასთა ბრძოლის საფუძველზე და ამდენადვე არა სწორედ არის დაყენებული და გადაჭრილი"; „პატივცემულ მომხსენებელს ამხ. ორაგველიძეს ასეთივე წარმატებით, როგორც ეს მან წარმოგვიდგინა და საფუძვლიანობით, ადვილად შეეძლო კიდევ უფრო გაემრავლებია პროფ. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებიდან ანტიმარქსისტულ დებულებათა მაგალითები".

ზემოთ მივუთითებდით ნიკო ბერძენიშვილის მიერ აღნიშნულ ივანე ჯავახიშვილისეულ ნოვატორობას ქართულ ისტორიოგრაფიაში (საისტორიოგრაფიო ტექნიკის აზრით), მაგრამ ნათქვამი იქვე უფასურდებოდა შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ დღეს, რა თქმა უნდა, მის (ივანე ჯავახიშვილის, გ. ყ.) მიერ მოპოვებულ ისტორიულ ფაქტებს თუ დადგენილ მოვლენებს კრიტიკულად ვუდგებით და მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეთოდის მიხედვით ზოგს მივიღებთ, ზოგს კიდევ უკუვაგდებთ, ან გადავაფასებთ და შევავსებთ; მრავალ ახალსაც აღმოვაჩენთ იქ, სადაც მან ეს ვერ შენიშნა და არც შეეძლო შეენიშნა: ფაქტის მოპოვება ხდება არა მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რაც არსებობს, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რას ეძებ..."

სიმონ ჯანაშია თავის გამოსვლაში აკრიტიკებდა ეროვნულ ნიჰილიზმს (შეგახსენებთ, რომ ამასვე აკეთებდა მომხსენებელიც), რომლის ერთ-ერთ მთავარ წარმომადგენლად, ნიკო ბერძენიშვილისაგან განსხვავებით, ფილიპე მახარაძეს გულისხმობდა. ამ უკანასკნელის ამგვარი პოზიციისაგან განსხვავებით იგი დადებითად გახაზავდა ი. ბ. სტალინისა და ა. წულუკიძის პოზიციას (თითქოს ესენი დიდი პატრიოტიზმით გამოირჩეოდნენ!). რაღაცა ზომით გამომსვლელი ნიკო ბერძენიშვილს უპირისპირდებოდა ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის შეფასებაშიც, როცა იგი აღნიშნავდა: „არ იქნებოდა სწორი გვეთქვა, რომ პროფ. ჯავახიშვილის დამსახურება მდგომარეობს მხოლოდ ფაქტების შეგროვებაში. არა ერთი შეხედულება და განზოგადებაც აქვს მოცემული, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ". თუმცა თვით ფაქტოლოგიის

დონეზეც კი ივანე ჯავახიშვილის ნააზრევი თითქოს მთლად უნაკლო როდი იყო, რადგან „ახალი მსოფლმხედველობა ნიშნავს ახალ ფაქტებსაც და ძველი ფაქტების ახლად გაშუქებას, იმიტომ რომ-არ შეიძლება ფაქტების დანახვა აბსტრაქტული თვალებით, შეიძლება დანახვა მხოლოდ კონკრეტული თვალებით"[1]; „არ შეიძლება მივიღოთ ყველა ფაქტი იმ სახით, როგორც მას (ე. ი. ივანე ჯავახიშვილს, გ. ყ) აქვს მოცემული".

ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის თაობაზე სიმონ ჯანაშია, როგორც ჩანს, მთლად გარკვეული არ ყოფილა. ერთი მხრივ იგი იმეორებდა კარლო ორაგველიძისეულ აზრს, როცა ამბობდა: „ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის განსაზღვრის დროს მე ვეთანხმები იმ ძირითად დებულებას, რომელიც მოხსენებაში იყო მოცემული. მის მოხსენებაში ძირითადი არის, რა თქმა უნდა, ნაციონალიზმი", მაგრამ მეორე მხრივ დასძენდა: „ნაციონალიზმი, რომელიც წინა რევოლუციურ საქართველოს განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა და რომელიც დამახასიათებელი არის იმ საზოგადოებრივი წრისათვის, რომელსაც პროფ. ჯავახიშვილი ეკუთვნოდა და რომლის მეთაურად მე ილია ჭავჭავაძე მიმაჩნია. ეს შეხედულება პროფ. ჯავახიშვილისა გამოსჭვივის, ვამბობ მე, მისი ნაწერების ყოველ გვერდზე".

როგორც ვხედავთ, ამ სიტყვებში ჩანს ბოლშევიკ-კომუნისტებისათვის ყოველთვის, როგორც წესი ოდიოზური მნიშვნელობის მქონე სიტყვა „ნაციონალიზმის" რაღაცნაირად რეაბილიტაცია, ასევე ცდა ვულგარული სოციოლოგიზმის ფარგლებიდან გამოსვლისა, რომლის მიხედვითაც პიროვნების ნააზრევისა და ნაღვაწის გაგება მხოლოდ გარკვეული სოციალური კლასისა თუ ფენის პოზიციიდან უნდა მომხდარიყო. თუ კერძოდ, ილია ჭავჭავაძეს ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკებიც და ბოლშევიკებიც) აღნიშნული თვალსაზრისით იაზრებდნენ, 1934 წელს, ი. ბ. სტალინის უშუალო ჩარევის შედეგად, დაისახა პერსპექტივა ილიას სხვაგვარი ოფიციალური (და უფრო ობიექტური!)

---

[1] შევნიშნავთ, რომ საისტორიო წყაროების უნივერსალური გამოყენებით, მათში რაც შეიძლება მეტი ფაქტის დანახვით ივანე ჯავახიშვილი დღემდე სწორუპოვარი რჩება.

გაგებისა.[1] ჩანს, ეს შესაძლებლობა გამოიყენა სიმონ ჯანაშიამ,[2] ნიკო ბერძენიშვილისაგან განსხვავებით, რომელიც, როგორც დავინახეთ, ივანე ჯავახიშვილის ფენომენს კელავინდებურად ვიწრო, კლასობრივი თვალთახედვით იაზრებდა.

მალე, 1936 წლის სექტემბერში, გაზეთ „პრავდის" მოწინავეში კიდევ უფრო გამოიკვეთა ილიას მნიშვნელობის ახლებური გაგება. ამ ნიუანსს, როგორც ჩანს, ვერ ამჩნევდა კარლო ორაგველიძე, რომელიც სიმონ ჯანაშიას მისამართით აღნიშნავდა: „მას ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის მთავარად (!) მიაჩნია ნაციონალიზმი. ნაციონალიზმი რომ იქ არის, ეს უეჭველია" და იქვე მოძღვრავდა: „მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგია ჯანაშიამ უნდა მოიმარჯვოს არა მარტო ჯავახიშვილის ნაციონალიზმის წინააღმდეგ". პრორექტორმა გრიგოლ ჯანე-

---

[1] უწინ სტატიაში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?" ი. ბ. სტალინი წერდა, რომ ქართველი თავადაზნაურების კონსერვატიულმა ნაწილმა გასული საუკუნის 60—70-იანი წლებიდან მოყოლებული უარყო ყოველგვარი „ნაციონალიზმი". მისგან განსხვავებით „მეორე — უფრო სუსტმა ჯგუფმა ქართველი თავადაზნაურებისამ — დაიმეგობრა ქართველი ეპისკოპოსები და არქიმანდრიტები და ამგვარად, კლერიკალიზმის კალთას შეაფარა ცხოვრებისაგან დევნილი „ნაციონალიზმი". ეს ჯგუფი დიდი გატაცებით ანახლებს დანგრეულ ქართულ ეკლესიებს (ეს მთავარი მუხლია მისი „პროგრამისა"!) — „ნაშთებს ძველი დიდებისა" და მოწიწებით ელის სასწაულს, რომელმაც უნდა განახორციელოს მისი ბატონყმურ-მონარქიული „სურვილები". იხ. ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 32—33. ცხადია, უნდა ეგულისხმოთ, რომ ი. ბ. სტალინი მაშინ ილიას აღნიშნულ მეორე ჯგუფში ათავსებდა.

[2] ამას მიუთითებს ისტორიკოსი ედიშერ ხოშტარია-ბროსე. იხ. ივანე ჯავახიშვილი, წარსულის ფურცლები, თბილისი, 1996, გვ. 103—4. მეორე მხრივ, სიმონ ჯანაშიასათვის ამოსავალი იქნებოდა ლ. ბერიას ცნობილი პლაგიატის აღგილი, სადაც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ინტელიგენციის ორი პოლიტიკური მიმართულებიდან ერთ-ერთად მითითებულია „ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მიმართულება, მწერალ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით". იხ. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის (რომელიც 1935 წელს გამოქვეყნდა), VIII გამ., 1951, გვ. 10; იხ. აგრეთვე „შენიშვნები", გვ. 241. მე-13 გვერდზე აღნიშნულია „ქართველი ინტელიგენციის ფეოდალურ-აზნაურული იდეური მიმართულება", რაც, ცხადია, ასევე ილიას უკავშირდება. ასე რომ, ჩვენი დიდი წინაპარი იდეურად ლ. ბერიას წიგნში" ბუნდოვნად არის წარმოდგენილი და თანაც „აღმავალი" საფეხური — მესამე დასი ისტორიულად მეორე მიმართულებასთან არის დაკავშირებული. სხვათა შორის, БСЭ-ს პირველ გამოცემაში დაბეჭდილ სიმონ ჯანაშიასეულ სტატიაში „თბილისის პარტიული ორგანიზაცია" (იხ. ტ. 53; 1946 წელი) აღნიშნულია ქართველი სოციალ-დემოკრატების წინამავალი პერიოდის ინტელიგენციის ორ დაჯგუფებაზე — ფეოდალურ-პროგრესულსა და ბურჟუაზიულ-პროგრესულზე (გვ. 695).

ლიძემ კი სიმონ ჯანაშიას მისამართით განაცხადა: „მან მოკლედ აღნიშნა, რომ პროფ. ი. ჯავახიშვილი ნაციონალისტია- ეს არ არის სამართალი“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სიმონ ჯანაშია, უფრო მოგვიანებით, 1938 წელს ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე წერდა: „ქართველი მოწინავე პროგრესიული ინტელიგენციის საუკეთესო ტრადიციების მცველი, ივანე ჯავახიშვილი აღიზარდა იმ დიდი მოძრაობის ნიადაგზე, რომელიც ქართველი ხალხის სოციალურ და ეროვნულ განთავისუფლებას ისახავდა მიზნად“.[1] რასაკვირველია, აქედან (ისევე როგორც ახალი ოფიციალური შეხედულებიდან) ილიას ფენომენის სრულყოფილად გააზრებამდე კვლავ დიდი მანძილი რჩებოდა, მაგრამ ესეც დიდი წინსვლა გახლდათ. „დისკუსიაზე“ სიმონ ჯანაშია დასძენდა: „სოლო თუ ეს ასეა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომ ის ფაქტები, რომლებსაც ჯავახიშვილი აგროვებდა, გარკვეული ელფერით არ იყოს შეფერილი“-ო.

სიმონ ჯანაშია აკრიტიკებდა გრიგოლ ნათაძის შეხედულებას ივანე ჯავახიშვილის რიკერტისა და ვინდელბანდის სკოლისადმი კუთვნილების თაობაზე და კატეგორიულად აცხადებდა: „არავითარ მაგისთანა სკოლას ჯავახიშვილი არ ეკუთვნის, არავითარი მაგისთანა ფილოსოფიური კონცეფცია მას არ მოეპოვება“. სინამდვილეში გრიგოლ ნათაძე ნაწილობრივ სწორი გახლდათ: ივანე ჯავახიშვილს უთუოდ ჰქონდა შეთვისებული რანკეს საისტორიო აზროვნების გარკვეული მხარე (თუმცა, ამასთანავე, ჩვენი დიდი ისტორიკოსი ეპოქის შესაბამისად საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობდა ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებსაც), რომელსაც აღნიშნული გერმანელი ფილოსოფოსები ანზოგადებდნენ. საკუთრივ ივანე ჯავახიშვილის მეთოდის შესახებ სიმონ ჯანაშია შენიშნავდა: „სწორად იყო ნათქვამი მოხსენებაში, რომ პროფ. ჯავახიშვილის მეთოდი არ არის ობიექტური მეთოდი, რომ მისი მეთოდი სუბიექტური მეთოდია“; „აქ ლაპარაკია იმ განზოგადებათა შესახებ, რომლებიც ჯავახიშვილს მოეპოვება და რომლებიც სუბიექტურ-

---

1 იხ. № 6. გვ. 96. სხვათა შორის, სიმონ ჯანაშია აქვე (გვ. 99,100) აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილის მიერ ისტორიული გარემოსა და კლასობრივი ბრძოლის სათანადოდ წარმოჩენას. მაგრამ ეს მოხდა ბატონ ივანეს სრული სოციალური რეაბილიტაციის დროს. დიდად სამწუხაროდ, არც მას და არც სხვა ვინმეს ეს გარემოება არ გახსენებია „დისკუსიის“ დროს.

ნი არიან" (ამითაც კვლავ უფასურდებოდა მის მიერ ზემოთ ნათქვამი!).

სიმონ ჯანაშიას თქმით, „პროფ. ჯავახიშვილი ახალგაზრდობისათვის არის მდიდარი მემკვიდრეობა, რომელიც მან უნდა შეითვისოს დაძლევისა და კრიტიკული ათვისების გზით, ეს ამბავი უნდა გამომყოფავნებულ იქნეს თითოეული ცალკე ისტორიული პრობლემის, კონკრეტული ეპოქის დაპირისპირებული შესწავლის გზით". მაგრამ უფრო მეტი ოპტიმიზმის საფუძველს იძლეოდა თურმე შემდეგი: „მე მინდა ერთი რამ აღვნიშნო. არ არის მაინც ისე ცუდად საქმე საქართველოს ისტორიაში (იგულისხმება ისტორიოგრაფია, გ. ყ.). ამის თქმა ჩვენ ესლა თამამად შეგვიძლია, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ის ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მთელს მსოფლიოში დადის და რომელსაც მილიონები კითხულობს. მე მოგახსენებთ ამხ. ბერიას ისტორიულ მოხსენებაზე (ტაში), რომელიც შეეხება საქართველოს და ამიერკავკასიის ისტორიის ერთ პერიოდს"; „მე ვამბობ რომ არ არის საქმე სრულიად უიმედოთ; ამის თავდებია ის, რომ დღესაც ჩვენს მუშაობას, კერძოდ ამ სფეროში, ხელმძღვანელობს ამხ. ბერია, რომელმაც ისტორიაში (ე. ი. ისტორიოგრაფიაში, გ. ყ.) ასეთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და რომელიც ისტორიის საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს, რომელიც უდიდეს ყურადღებას აქცევს ისტორიული კვლევის ორგანიზაციას"; „ამის თავდებია ისიც, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობა ამხ. ბერიას მითითებების საფუძველზე ასევე დიდ ყურადღებას აქცევს საისტორიო კვლევის საქმეს და მის პედაგოგიურ დაყენების საქმეს".

ისტორიკოსმა აბელ კიკვიძემ (იმხანად ასპირანტი გახლდათ) თუმცა შეაქო უნივერსიტეტის რექტორის მოხსენება, მაგრამ ამის შემდგომ ილაპარაკა მონათმფლობელობასა და ფეოდალიზმზე საქართველოში; ასე რომ, ყოველ შემთხვევაში „მთავარ ბრალდებულს" — ივანე ჯავახიშვილს საერთოდ არ შეხებია. საკმაოდ კორექტული იყო გრიგოლ ნათაძის გამოსვლა, რომელიც შეეხო ძირითადად საისტორიო მეცნიერების აქტუალურ საკითხებს და გულწრფელად ალიარებდა მისეული მეთოდოლოგიის განსხვავებულობას ივანე ჯავახიშვილისეულისაგან[1].

---

[1] მანამდე იგი ივანე ჯავახიშვილს როგორც ისტორიკოსს შეეხო თავის წიგნში „საზოგადოებათმცოდნეობის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის საკითხი", თბილისი, 1931, გვ. 81—82.

შევნიშნავთ, რომ გრიგოლ ნათაძე ეკონომიკური მატერიალიზმის მომხრე იყო და ამ პოზიციიდან ცდილობდა მარქსიზმისაკენ სვლას, რითაც (რა გზითაც) იგი დიდად განსხვავდებოდა იმ ხანის დაშტამპული საბჭოელი მარქსისტებისა თუ მარქსისტ-ლენინელ-სტალინელებისაგან. ბოლოს იგი დასძენდა: „ძალიან დიდი პატივისმცემელი ვიყავი პროფ. ივანე ჯავახიშვილის, დღესაც ვარ მისი დიდი პატივისმცემელი, ამას არ დავმალავ, ეს სამართლიანად მიმაჩნია“-ო.

გიორგი გოზალიშვილმა ილაპარაკა 1832 წლის შეთქმულებაზე, მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლისა და გამოყენების აუცილებლობაზე. ამდენად, ივანე ჯავახიშვილზე არც bene (კარგად) და არც male (ცუდად). დიდად საკვირველია, რომ ივანე ჯავახიშვილზე „დისკუსიის“ დროს არაფერი სააუგო (უფრო სწორად: საერთოდ არაფერი) არ უთქვამს სარგის კაკაბაძეს. მხოლოდ ერთი შენიშვნა გამოთქვა სიმონ ყაუხჩიშვილმა. საერთოდ გამოსვლისაგან თავი შეიკავა შალვა ნუცუბიძემ.

„დისკუსიის“ დიდი ნაწილი დაეთმო საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის ივანე ჯავახიშვილისეული შეხედულების კრიტიკას. ამ თვალსაზრისით დიდად გამოირჩეოდნენ მომხსენებელი კარლო ორაგველიძე (რომელიც, როგორც ჩანს, გიორგი სოსელიასაგან იყო დამოძღვრილი), გიორგი სოსელია, ი. ტალახაძე, და ირ. სურგულაძე. უნდა ითქვას, რომ როგორც აღნიშნულ პიროვნებებს, ისე ყველა გამომსვლელ „მარქსისტს“ ისტორიული პროცესი ესმოდათ ძალზე პრიმიტიულად ინტერპრეტირებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების კონცეფციის პოზიციიდან. ეს აისახა, კერძოდ, სახელმწიფოს წარმოშობის საკითხშიც. მაგრამ ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანდა...

შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული „დისკუსია“ მართლაც ტესილს წარმოადგენდა ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ ტესილს არა დიდი ხნის განმავლობაში გავრცელებული საბჭოური შეხედულებით. როგორ პარადოქსულადაც უნდა გამოჩნდეს, ამასვე აღიარებს ცნობილი მკვლევარი უშანგი სიდამონიძეც: „საბჭოთა ისტორიული მეცნიერების პირველი პერიოდის დასასრულს საქართველოში გატარებულ მნიშვნელოვან ღონისძიებათა შორის უნდა აღინიშნოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიება. ეს ღონისძიება... უნდა ჩაითვალოს ჩვენთან მარქსისტული ისტორიული მეცნიერების ჩასახვისა და ჩამოყალიბების პირველი პერიოდის დასასრულად, რადგან შემდეგ უკვე საქართველოს ისტორიის, საქართველოს

სოციალური ისტორიის, რევოლუციური მოძრაობის ისტორიის კვლევა არსებითად, ძირეულად განსხვავდებოდა წინა წლებში (1936 წლამდე) ჩატარებული მუშაობისაგან"[1]. სიტყვებით კამუფლიაჟს რომ თავი დავანებოთ, „დისკუსიის" შედეგად მოხდა ისტორიკოსების დიდი ნაწილის საბოლოო „მოთვინიერება", მეცნიერების ამ დარგის უნიფიცირება, საბოლოო გაუფერულება თეორიის, მეთოდოლოგიის თვალსაზრისით.

რა თქმა უნდა, ივანე ჯავახიშვილი „დისკუსიის" მსვლელობაში გამოთქმულ ბევრ შენიშვნას სრულიადაც არ იმსახურებდა, მით უმეტეს აქედან გამომდინარე შეფასებებს, რომლებიც გასცდა საზოგადოების ვიწრო წრეს, რადგანაც კარლო ორაგველიძის მოხსენება დაიბეჭდა იმავე წელს უნივერსიტეტის „შრომებში" და ცალკე გამოცემადაც იქნა გამოქვეყნებული. ფაქტია, რომ ჩვენს დიდ წინაპარს არც ამჯერად უცდია პასუხის გაცემა. საერთოდ, როგორც აღვნიშნავდით, „დისკუსიის" მოწყობა-გამართვის მოტივი ისიც იყო, რომ გაეტეხათ ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგობა „ახალი" იდეოლოგიისადმი. ერთ-ერთი მონაწილე (იურისტ-პრაქტიკოსი ი. ტალახაძე) გულწრფელად აცხადებდა: „მე ძალიან მოხარული ვიქნები, რომ ჯავახიშვილმა დაიწყოს გადაიარაღება და გახდეს მარქსისტი, ამაზე კარგი რამ არ შემიძლია ვუსურვო მას, მაგრამ ამის იმედი ჩვენ ნაკლებად გვაქვს. ამიტომ ჩვენ ვაწარმოებთ მის წინააღმდეგ კრიტიკას, რომელიც მიმართული არის ჯავახიშვილის იდეალისტურ, რეაქციონურ კონცეპციის დასამსხვრევად".

ეს ყოველივე, ცხადია, დიდად იმოქმედებდა ივანე ჯავახიშვილის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობაზე. ვარლამ დონდუასადმი 1936 წლის 12 მარტს გაგზავნილ წერილში იგი აღნიშნავდა: „ამის შემდეგ უნივერსიტეტში დარჩენა აღარ შეიძლებოდა, რადგან ეს ჩემი თავმოყვარეობის სრულ შელახვას უდრიდა, და ამიტომ განათლების კომისარს განცხადება გადავეცი, რომ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თავს ვანებებ[2]. შევწყვიტე ჩემი ნაშრომების გამოქვეყნებაც და

---

[1] უ. სიდამონიძე, საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, თბილისი, 1970, გვ. 78.

[2] თუმცა რექტორი კ. ორაგველიძე ივანე ჯავახიშვილს თხოვდა, — ძნელია თქმა: ფარისევლურად თუ გულწრფელად, — უნივერსიტეტში დარჩენას. შემდეგი წლის 5 მარტს ივანე ჯავახიშვილი დაბარებული იყო რექტორთან „ზოგიერთ საკითხებზე პირადად მოსალაპარაკებლად". იხ. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივანე ჯავახიშვილისეული ფონდი, საქმე № 899.

სულ სხვა სპეციალობის საკითხზე უნდა დავიწყო მუშაობა, უნდა უნივერსიტეტს ყველა წიგნი დავუბრუნო". ამავე წლის 7 მაისს ვალავ იგივე ადრესატისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ავად ვიყავი და ორიოდე დღეა, რაც ავდექი. ესლაც ძალიან სუსტად ვგრძნობ თავს და მუშაობა, წერაც მიძნელდება. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ დაუსრულებელი მღელვარებისაგან (წლეულს სწორედ 10 წელი შესრულდა, რაც რექტორობას თავი დავანებე და ეს დაუნდობელი ბრძოლა სწარმოებს) გულის ავადმყოფობის უძლიერესი შემოტევა მქონდა საშინელი თავბრუსხვევით და სისუსტით. ამჟამად კი გადავრჩი სიკვდილს, მაგრამ თუ კიდევ გამიმეორდა, საეჭვოა, რომ მისი ატანა შეეძლო".

ფაქტია, რომ 1936 წელს სამეცნიერო ნაყოფიერებით ფრიად გამორჩეულ დიდ სწავლულს, არც არაფერი არ დაუწერია და არც არაფერი არ გამოუქვეყნებია.[1] მან უარი განაცხადა ყოფილიყო თავმჯდომარე (მორიგეობით) და წევრი „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური გამოცემის დამდგენი კომისიისა, რომელიც 1935 წლის თებერვლიდან უნივერსიტეტთან არსებობდა[2].

ერთი სიტყვით, საიუბილეო მესამოცე წელს ჩვენი დიდი მეცნიერი და ეროვნული მოღვაწე სრულ საზოგადოებრივ იზოლაციაში შეხვდა.[3] საზოგადოების მხრივ უმადურების გამოჩენის ამაზე დიდი მაგალითი ძნელი წარმოსადგენია.

მთელი პრინციპულობით უნდა ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება არ ყოფილა და დღესაც არ გახლავთ გადაულახა-

---

1 უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ წელს ერევანში მელქონიანის ფონდის ეგიდით სომხურ ენაზე ივანე ჯავახიშვილის შრომების საფუძველზე გამოვიდა „მასალები X—XIII საუკუნის დასაწყისის სომხეთში სოციალურ მოძრაობათა ისტორიისათვის" ისტორიკოს ლეონ მელიქსეთ-ბეგის თარგმანით. მთარგმნელის აეტორიტეტული განცხადებით სომხეთის ისტორიაში სოციალური ბრძოლის საკითხი რელიეფურად პირველად ჩვენ დიდ ისტორიკოსს გამოუკვეთია.

2 იხ. დასახ. ფონდი, საქმე № 898. შევნიშნავთ, რომ უარის მოტივად მოტანილია... სმენის დაქვეითებულობა და... არასპეციალისტობა (!).

3 თითქოს, პროფესორ შალვა ჩხეტიას მოგონებით, საიუბილეო 1936 წელს ივანე ჯავახიშვილმა კოლეგებს ნება არ დართო მისთვის იუბილის ჩატარებისა. იხ. აკაკი სურგულაძე, ივანე ჯავახიშვილი, თბილისი, 1976. გვ. 26. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჩვენი დიდი წინაპრის გარიყულობას იმხანად, ასევე მის სულიერ განწყობილებას (რაც კარგად ჩანს ვარლამ ღონდუასადმი გაგზავნილი წერილებიდან), ეეჭვობთ, რომ მსგავსი წინადადება შეეთავაზებინათ ივანე ჯავახიშვილისათვის.

ეი ეტაპი. ამის თაობაზე თვითონ ივანე ჯავახიშვილი მისთვის დიდად დამახასიათებელი გულახდილობით ვარლამ დონდუას 1937 წლის 7 მარტს სწერდა: „ჩემს ნაშრომებს არაერთი ნაკლი აქვს. ეს მე თვითონ სხვებზე უკეთესად ვიცი. მაგრამ მე ისეთ პირობებში მარგუბა ბედმა მოღვაწეობის დაწყება, როდესაც საქ. ისტორიის არც ერთი სამეცნიერო დარგი არ არსებობდა, მ. ბროსეს, დ. ბაქრაძის, თ. ყორდანიას, ექ. თაყაიშვილისა და მ. ჯანაშვილის თითო-ოროლა ნაშრომის გარდა, საქ. ისტორიაში თითქმის არაფერი იყო, და ყველაფერი უნდა ერთს ადამიანს და შეძლებისამებრ მალე გაეკეთებინა. გზის გაკაფვა ადვილი საქმე არ არის და თვითონ გამკაფველისათვის უმაღურს სამუშაოს წარმოადგენს. ასეთ გარემოებაში, რაც არ უნდა ვცდილიყავ, ჩემი გაკეთებული უნებლიეთ ჰავხელად დაწერილის მსგავსი უნდა დაწერილიყო, მაგრამ თუ ვისმე ჩემზე უკეთესად შეეძლო მთელი სამუშაო აესრულებინა, რატომ არ გააკეთა, მე ხომ არავისთვის არ დამიშლია?! განა ჩემთვის-კი უკეთესი არ იყო, რომ მე დამშვიდებული, აუჩქარებელი კვლევა-ძიების საშუალება მქონოდა. მაგრამ ჩემდა საუბედუროდ შრომისა და მძიმე ტვირთის გამნაწილებელი არავინ მყოლია და მოუცლელობის გამო ისეთ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი, რომ ერთხელ დაწერილის შემოწმებისათვისაც-კი დრო არ მქონია“. მაგრამ ივანე ჯავახიშვილის კრიტიკა, გადალახვა უნდა მომხდარიყო და უნდა მოხდეს ნორმალურ ვითარებაში და სხვა ყაიდისა და გაქანების ისტორიკოსთა მხრივ. დიდმა ისტორიკოსმა და ეროვნულმა მოღვაწემ უზარმაზარი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მანამდეც და მის პარალელურადაც ბევრი რამ გაკეთდა, ასე რომ, ნიკო ბერძენიშვილსა და სიმონ ჯანაშიას, შესაძლებლობის შემთხვევაში, ნამდვილად ახალი, შემდგომი (ლოგიკური აზრით) ეტაპი უნდა დაემკვიდრებინათ ქართულ ისტორიორგაფიაში, რაც მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნაში როდი გამოიხატება (შეგახსენებთ რომ მისი ერთ-ერთი ავტორი ივანე ჯავახიშვილიც იყო). დისკუსიის ჩატარებისას ერთი უკვე 41 წლისა გახლდათ, ხოლო მეორე კი — 36-ისა. ამდენად, როგორც ისტორიკოსები ასაკის თვალსაზრისით უკვე მომწიფებულნი უნდა ყოფილიყვნენ ამ ამოცანის აღსასრულებლად. სამწუხაროდ, ეს ვერ მოახერხეს ვერც სხვა ისტორიკოსებმა მათს შემდგომ. ქართული ისტორიოგრაფია თვისებრივი, სიღრმით განვითარების ნაცვლად ოდენ რაოდენობრივი, სიფართოვის ზეით წავიდა, რითაც სავსებით გამოირიცხება

ნამდვილი საისტორიო სინთეზი. თქმულის ფონზე სწორედ რომ სა-
საცილოდ ჩანს „ქართველი ერის ისტორიის“ შედარება „საქართველ-
ლოს ისტორიის ნარკვევების“ მრავალტომეულთან. განა ვინმეს შეუ-
ძლია სერიოზულად განაცხადოს, რომ ივანე ჯავახიშვილის სხვა
ფუნდამენტური ნაშრომების მსგავსი სხვა ქართველ ავტორებსაც
(სიმონ ჯანაშიადან და ნიკო ბერძენიშვილიდან დაწყებული) დაეწე-
როთ.

დაბოლოს, დავსძენთ, რომ 1936 წლის 23 მარტ-2 აპრილს
თბილისის უნივერსიტეტში ჩატარებულმა „დისკუსიამ“ დიდი ზნეო-
ბრივი და სამეცნიერო (საისტორიო) გაკვეთილები დაგვიტოვა, რომ-
ლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გაცნობიერებული და გათვალის-
წინებული. ასე რომ, ვინმეს ან რაიმეს მიმართ თვალის დახუჭვა და
„ადვოკატობა-გამოსარჩლება“ ყოვლად გაუმართლებელია.

10. როგორ გადაურჩა „დიდ ტერორს“ ივანე ჯავახიშვილი

ოცდაათიანი წლების საბჭოური რეჟიმი, მოგეხსენებათ, ვერ იტან-
და ინტელექტით, მოქალაქეობრიობითა და პატრიოტიზმით გამორჩეულ
პიროვნებებს. ბევრი მათგანი, საუბედუროდ, 1937—38 წლების
დიდმა ტერორმა“ იმსხვერპლა. აღნიშნული თვისებებით ყველაზე გა-
გამორჩეული მაინც ივანე ჯავახიშვილი გახლდათ. მაგრამ რაღაც
„სასწაულით“ ჩვენი დიდი ისიტორიკოსი და მამულიშვილი რეპრე-
სიებს გადაურჩა. ქართველ ისტორიკოსთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ
ეს მოხდა სიმონ ჯანაშიას ლავრენტი ბერიაზე — საქართველოში
„დიდი ტერორის“ ხელმძღვანელზე — ზემოქმედების წყალობით[1]. ამ-
გვარი წარმოდგენა ძალზე ზედაპირულია და არ ითვალისწინებს ფაქ-
ტებს, ურომლისოდაც პროფესიონალი ისტორიკოსი ნაბიჯს არ უნ-
და დგამდეს. ეს კი ძალზე დამაფიქრებელია, რამეთუ თუ დღევანდელ
ქართველ ისტორიკოსებს არ სურთ და არც ძალუძთ 30-იანი წლების
ამბების გაგება, მაშინ რა მოეთხოვებათ მათ შორეული წარსულის
გააზრებისას?

---

[1] სიმონ ჯანაშიასა და ლავრენტი ბერიას ახლო ურთიერთობა, როგორც ჩანს,
განსაკუთრებით ამ უკანასკნელის დიდი აღზევებიდან დაიწყო. საკითხავია, თუ
რატომ ვერ მოახერხა სიმონ ჯანაშიამ ივანე ჯავახიშვილის მფარველობა 1937
წლამდე? შევნიშნავთ, რომ სერგო ბერია-გეგეჭკორიც თვლის რომ სწორედ მა-
მამამისმა გადაარჩინა „მსოფლიოს მეცნიერების მანათობელი ჯავახიშვილი“.

ივანე ჯავახიშვილი, მიუხედავად მისი ზომიერებისა, არ ეპიტნა-ვებოდა საბჭოთა ხელისუფლებას. ამიტომ, როგორც ცნობილია, 1926 წელს იგი რექტორის პოსტიდან გადააყენეს, ხუთი წელიც არ იყო გასული და საერთოდ დაატოვებინეს მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტი. ფაქტია, რომ ე. წ. „კონდრატიევშჩინის" წინააღმდეგ წამოწყებული კამპანიის ერთ-ერთი დიდი მსხვერპლი სწორედ ივანე ჯავახიშვილი იყო. თუ, საერთოდ, მის მიმართ შეურიგებლობას იჩენდა ფილიპე მახარაძე, არც ლავრენტი ბერია ყოფილა გამონაკლისი, რომელიც 1931 წლიდან საქართველოს კომპარტიის ცეკა-ს პირველი მდივანი გახდა. და ასე გრძელდებოდა წლების განმაელობაში, როცა ივანე ჯავახიშვილი ჩამოშორებული იყო სამეცნიერო თანამდებობებსა და აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

1928 წლის 5 აპრილს, ჯერ კიდევ საქართველოს სსრ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსად ყოფნის დროს, ლ. ბერია ლევან ღოღობერიძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს სპეციალური მოხსენებით (რუსულ ენაზე) მიმართავდა. მიმართვის ტექსტის ნაწილი, უნივერსიტეტს რომ ეხება, გამოაქვეყნა მკვლევარმა ვახტანგ გურულმა (იხ. „Свободная Грузия", 1998 წლის 7 თებერვალი). რამდენადაც ობიექტურად იგი ჩვენი დიდი წინაპრის აპოთეოზს წარმოადგენს, მას ამჯერად მთლიანი სახით გავიმეორებთ: „მიუხედავად ყველა წმენდისა და შეზღუდვებისა, მაინც სტუდენტობის შემადგენლობის კარგა ნახევარი ჩვენი არაა. სახელმწიფო უნივერსიტეტის გასაჯანსაღებლად მიღებული ღონისძიებანი არასაკმარისი, სანახევრო აღმოჩნდა და ამიტომაც ვერ მოგვცეს სასურველი შედეგები. უმეტესობა სტუდენტობის მასისა, რომელიც 8000 ადამიანს მოიცავს, იდეოლოგიურად იმყოფება მოსახლეობის შოვინისტურ-ანტისაბჭოურად განწყობილი ფენების გავლენის ქვეშ. სტუდენტთა არამცირედი ნაწილი, ამა თუ იმ ფორმით, მონაწილეობს ანტისოციალისტური პარტიების მუშაობაში.

სტუდენტთა შორის ყველაზე დიდი გავლენით ძველებურად სარგებლობენ შოვისტურ-ანტისაბჭოურად განწყობილი პროფესორები.

პროფესორი ჯავახიშვილი გაღმერთებულია. იგი სტუდენტობისათვის ნამდვილი კერპი გახლავთ. დამახასიათებელია, რომ საზეიმო სხდომის დროს, რომელიც მიეძღვნა სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ათი წლისთავს, სტუდენტობამ საკმაოდ ცივად მიიღო ამხანაგები ფ. მახარაძე, თედო ღლონტი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, მაგრამ საკმარისი იყო ვილაცას დაეყენებინა წინადა-

დება პრეზიდიუმში ივანე ჯავახიშვილის (იგი ამ დროს იქ არ ყოფილა) არჩევისა, რომ დარბაზი პირდაპირი აზრით ახმაურდა ხანგრძლივი შეუწყვეტელი ტაშისკვრითა და მისასალმებელი წამოძახილებით. ამან ძალზე შეაცბუნა ამხანაგი ფილიპე. სწორედ მაშინ, ბოლოს და ბოლოს, მას შეეძლო ნამდვილად დარწმუნებულიყო, თუ ვის მხარესაა სტუდენტობის მასის სიმპათიები და ვისი იდეოლოგია ატყვევებს მას. თუ არა და უწინ, ხდებოდა, მოახსენებ სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანთა ნამდვილი მდგომარეობის შესახებ და თქვენ გეუბნებიან „არ შეიძლება ასე იყოს“.

ამგვარ სტუდენტობასთან კვლავაც დიდი ჯახირი მოგვიწევს და ვინ იცის, რას უნდა ელოდო მისგან ქვეყანაში რაიმე სერიოზული გართულების შემთხვევაში“. ცხადია, ივანე ჯავახიშვილის შესახებ ასეთ შეხედულებას ლ. ბერია ვერ შეიცვლიდა მომდევნო წლებში საქართველოს სსრ-ის „პირველ კაცად“ ყოფნისას.

ივანე ჯავახიშვილის ბედ-იღბლით ძალიან დაინტერესდა ალექსანდრე სვანიძე (ცხოვრობდა 1886—1942 წლებში) — იმხანად მოსკოვში აღზევებული საბჭოთა და საზოგადო მოღვაწე. მიუხედავად ასეთი კარიერისა, ამ პიროვნებას არ დაუკარგავს ბევრი ნაღდი ადამიანური თვისება, კერძოდ, გაჭირვებაში ჩავარდნილი კაცისადმი დახმარების გაწევის სურვილი და უნარი. შეგახსენებთ, რომ მას უმაღლესი საისტორიო და ფილოსოფიური განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული და იყო ავტორი რამდენიმე ურარტუოლოგიური და რუსთველოლოგიური ნაშრომისა. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ალექსანდრე სვანიძე იოსებ სტალინის ცოლისძმა გახლდათ (პირველი ცოლის მხრიდან). ამ ფაქტმა კი, ჩვენი აზრით, დიდი როლი შეასრულა ივანე ჯავახიშვილის გადარჩენაში.

1935 წლის ნოემბერში ალექსანდრე სვანიძემ წერილი მოსწერა ივანე ჯავახიშვილს. იქ აღნიშნავდა, რომ სურდა ამ უკანასკნელს თავის გარშემო შემოეკრიბა ისტორიკოსები, ენათმეცნიერები და ამ ჯგუფის ხელმძღვანელი ივანე ჯავახიშვილი ყოფილიყო. დეკემბერში მოსკოვიდან გამოგზავნილ წერილში ალექსანდრე სვანიძე წერდა: „დამაღონა იმ გარემოებამ, რომ თქვენი კალიბრის მოღვაწეს ისეთ უწმაწურ პირობებში უხდება მუშაობა, რომ მას წლობით საშუალება არა აქვს გამოაქვეყნოს ყველასათვის საინტერესო გამოკვლევები. შევეხვეწე. რაც შემეძლო ვერმანე მგალობლიშვილს (იგი იმხანად სახკომსაბჭოს თავმჯდომარე იყო, ვ. ყ.), რომ ყურადღება მო-

გაქციონ თქვენ და გაგიადვილონ მუშაობა". ამავე წერილში ეკითხულობთ: „რაც შეეხება ქალდების (ურარტუელების, გ. ყ.) საკითხს, მგალობლიშვილი ფიქრობს სპეციალური კათედრა გახსნას უნივერსიტეტში. ძალიან კარგი იქნება, თუ სპეციალისტები ხელს შეუწყობთ მთავრობის ამ დაწყებულებას"; „მგალობლიშვილი ფიქრობს აგრეთვე, დაავალოს უნივერსიტეტს „შედარებითი გრამატიკის" გამოშვება ქართველური ენებისა და აგრეთვე, პარალელური ლექსიკონისა. გთხოვთ შეამზადოთ ჩვენი სპეციალისტების აზროვნება საამისოდ და თქვენი რჩევით ხელი შეუწყოთ ამ საქმეს".

ამ პერიოდში არსებობდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ტენდენციაც, რამაც, უეჭველია, აგრეთვე დიდი როლი ითამაშა იეანე ჯავახიშვილის ცხოვრებაში. 1934—36 წლებში საბჭოთა კავშირის უმაღლესმა ინსტანციებმა თვალსაჩინო ძალისხმევა გამოიჩინეს საშუალო სკოლებსა და უმაღლეს საასწავლებლებში ისტორიის სწავლების გასაუმჯობესებლად. მანამდე, როგორც ცნობილია, ისტორიის (ისტორიოგრაფიის) ნაცვლად მდარე სოციოლოგიას — სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციებს, კლასთა ბრძოლას და ა. შ. საკითხებს ასწავლიდნენ. ამ გზით, რასაკვირველია, ხალხის მასების პატრიოტული აღზრდა გამოირიცხებოდა. მაგრამ ისტორიამ ხომ უამრავი პარადოქსი იცის! ამ მიზანდასახულობით ისტორია გამოიყენეს იტალიელმა და გერმანელმა ფაშისტებმა, რომლებიც ამ დროისათვის აღმოჩნდნენ ხელისუფლების სათავეში. სწორედ ამაზე რეაქცია გახლდათ უმაღლესი საკავშირო ინსტანციების მცდელობა ისტორიის სწავლების გაუმჯობესებისათვის. კერძოდ, გიორგი დიმიტროვმა კომინტერნის მეშვიდე კონგრესზე (გაიმართა 1935 წლის ივლის-აგვისტოში) თქვა: „ის კომუნისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ყოველივე ეს არ შეესება მუშათა კლასის საქმეს და რომლებიც არაფერს აკეთებენ, რათა ისტორიულად მართებული, ჭეშმარიტად მარქსისტული, ლენინურ-სტალინური გაგებით გაუშუქონ მშრომელ მასებს მათი საკუთარი ხალხის წარსული, რათა ახლანდელი თავიანთი ბრძოლა დაუკავშირონ ამ ხალხის რევოლუციურ ტრადიციებსა და წარსულს, — ეს კომუნისტები ნებაყოფლობით უთმობენ ფაშისტ ფალსიფიკატორებს ხალხის მასების გასაბრიყვებლად ყველაფერს, რაც კი ძვირფასია ერის ისტორიულ წარსულში".

იყო სხვა გარემოებაც. რუსულმა ემიგრანტებმა — პ. ნ. მილიუკოვმა, ლ. დ. ტროცკიმ და სხვებმა ი. ბ. სტალინის პიროვნების კრი-

ტიკისას „არ დაივიწყეს“ ქართველი ერი, რომელმაც თითქოსდა თავისი ველურობით წარმოშვა ველური სტალინი. ცხადია, ასეთი აზრი ბოგინობდა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ერთ ნაწილშიც. ამიტომაც სტალინს რაიმე უნდა ეღონა ქართველი ერის რეაბილიტაციისათვის უცხოელთა და საბჭოთა კავშირის ხალხთა თვალში. მალე სათანადო ძალისხმევის შედეგად დიდი ზეიმით, საკავშირო მასშტაბით, აღინიშნა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის 750 წლისთავი, ჩატარდა ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში, აღდგა ილია ჭავჭავაძის სახელი. რასაკვირველია, სათანადო ძვრები უნდა მომხდარიყო სტალინის დამოკიდებულებაშიც საქართველოს ისტორიის მიმართ.

კითხვა ისმის: ჰყოფნიდა თუ არა ბერიას ინტელექტი და ალღო იმისათვის, რათა დროულად გაეთვალისწინებინა ახალი ტენდენციები? აღმოჩენილია სუკ-ის ერთი დოკუმენტი[1], რომლითაც ირკვევა, რომ 1938 წლის 1 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ზოდელავა მიმართავდა ლ. ბერიას — უკვე სსრ კავშირის შინსახკომის შეფს. მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში აღმოჩენილია მსხვილი (!) კონტრრევოლუციური ფაშისტური ფორმირება, რომელიც თავის ანტისაბჭოურ საქმიანობას წარმართავს ძირითადად თბილისის უნივერსიტეტში, რომ „ძიების ყოველმხრივ შემოწმებული მასალებით დადგენილია, რომ იდეოლოგი და შთამაგონებელი ამ კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა მთელი მისი ანტისაბჭოური საქმიანობის მანძილზე გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც თავის გარშემო შეაკოწიწა ქართული ინტელიგენციის ყველაზე რეაქციულად განწყობილი ნაციონალისტური ნაწილი. კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის რიგი დაპატიმრებული ხელმძღვანელი მონაწილეების[2] ჩვენებებით ასევე დადგენილია, რომ

---

[1] მის შესახებ იხ. ისტორიკოს გიორგი ციციშვილის სტატიაში „ნაციონალიზმი — დიდი რეპრესიების პოლიტიკური „საფუძველი“, „შანსი“, № 80, VI, 1997.

[2] სუკ-ის დახასიათებით ამგვარი ტიტულის „პატივი“ ხვდათ წილად შალვა მესხიშვილს, გიორგი ახვლედიანს, შალვა ნუცუბიძეს, კორნელი კეკელიძეს, პავლე ინგოროყვას, ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას, სიმონ ყაუხჩიშვილს და აკაკი შანიძეს. იხ. ამავე მკვლევრის „საიდუმლო დოკუმენტები“, გაზეთი „ერი“, 1991 წლის, 27 თებერვალი. აქვე ჩამოთვლილია „ფაშისტური ორგანიზაციის“ ასამდე წევრი (აქტიური და რიგითი). შევნიშნავთ, რომ მოტანილი დოკუმენტიც თითქმის წინა დოკუმენტის დროსაა შედგენილი — 1938 წლის 20 ოქტომბრის ფარგლებში.

პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, დაკავშირებულია რა ფაშისტური გერმანიის მთავრობის წრეებთან, ახორციელებს (!) აქტიურ საჯაშუშო საქმიანობას გერმანიის დაზვერვის სასარგებლოდ. დასასრულს, თქვენი ბრძანების მიხედვით დაპატიმრებულმა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, მონაწილემ კონტრრევოლუციური-ფაშისტური ორგანიზაციისა, მთლიანად აღიარა რა თავისი ანტისაბჭოური საქმიანობა, სავსებით დაადასტურა ჩვენს ხელთ არსებული ყველა მასალა ჯავახიშვილის ფაშისტური საქმიანობის შესახებ".

როდესაც აღნიშნული დოკუმენტი დგებოდა, ბერია, ვიმეორებთ თავის კარიერას უკვე მოსკოვში განამტკიცებდა. ამ დოკუმენტზე მან დაადო სათანადო რეზოლუცია, რომ ივანე ჯავახიშვილის „ჯგუფის" ორი დაპატიმრებული პირი (შალვა ნუცუბიძე და სიმონ ყაუხჩიშვილი) მოსკოვში ეტაპით გაეგზავნათ. საბჭოთა „ჩეკისტები", ძალლივით ერთგულნი თავიანთი შეფისა, ვერ ამჩნევდნენ, რომ ივანე ჯავახიშვილის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის პოზიცია შეიცვალა — იგი წამოყენებულ იქნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრობის კანდიდატად, 1938 წლის ივნისში არჩეულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და სულ მალე—მისი პრეზიდიუმის წევრად. მაგრამ ისიც ფაქტია რომ თვითონ ლ. ბერიასაც რომ დროზე აეღო ალღო ახალი ვითარებისათვის, „ჩეკისტები" ივანე ჯავახიშვილის შესახებ დოკუმენტს არ შეადგენდნენ 1938 წლის 1 ოქტომბერს და ვერც კარლო ორაგველიძე და ვერც სხვები ვერ გაბედავდნენ დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის იდეურ ჩაქოლვას 1936 წლის 23 მარტ-2 აპრილის დღეებში.

ამგვარ სიტუაციაში, უნდა ვიფიქროთ, ი. ბ. სტალინი დიდად დაინტერესდებოდა ივანე ჯავახიშვილის პიროვნებითა და შემოქმედებით (ზეპირი გადმოცემით, სტალინს თავის ბიბლიოთეკაში ჰქონია დიდი ისტორიკოსის ნაშრომები). ასევე ცხადი უნდა იყოს, რომ ალექსანდრე სვანიძე ივანე ჯავახიშვილს რეკომენდაციას გაუწევდა სტალინთან. სვანიძის წერილებიდან[1] ჩანს, რომ ივანე ჯავახიშვილის

---

[1] ესენი (სულ ოთხი) დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, იხ. საქმე № 2219—2222. სხვათა შორის, ეს წერილები ჩვენ დავბეჭდეთ „სალიტერატურო გაზეთში" (1997, № 3). ერთ-ერთ მათგანში (მოწერილია მოსკოვიდან 1935 წლის 29 ოქტომბერს) ალექსანდრე სვანიძეს მოაქვს ი. ბ. სტალინის აზრი ძველი აღმოსავლეთის ხალხებისა და ქართველების ურთიერთობებზე. აქვე დავუმატებდით, რომ ალ. სვანიძის ღისშვილი რევაზ მონასელიძე

ბედ-იღბლით დაინტერესებულა გერმანე მგალობლიშვილიც. ამის გამოისობით მოხდა, რომ 1937 წლის 29 მაისს ვარლამ დონდუამ ლენინგრადში გაგზავნილ წერილში ივანე ჯავახიშვილი წერდა: წინა წერილის (გაგზავნილ იქნა ამავე წლის 6 მაისს) შემდგომ ჩემი მდგომარეობა და ჩემდამი დამოკიდებულება „ძირიანად" შეიცვალაო.

ამრიგად, ჩვენი მტკიცე შეხედულებით, ივანე ჯავახიშვილის ბედის სასიკეთოდ შემობრუნების საქმში უნდა გვახსოვდეს ტრაღიკულად აღსრულებული ჩვენი თანამემამულის დამსახურება. ამის თაობაზე ბ-ნი გიორგი ჩიტაია (რომელიც მას იცნობდა) წერდა: „სვანიძის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ მისი ხელისშეწყობით ივ. ჯავახიშვილს მოეხსნა საჩოთირო ბრალდებები და აღდგენილი იქნა თავის ღირსებებში"[1].

1936 წლის 26 იანვრიდან, ივანე ჯავახიშვილი დაინიშნა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის (ენიმკის) ინსტიტუტის მუდმივ სწავლულ კონსულტანტად. მალე მას დაავალეს ძველ ქართველ ისტორიკოსთა თხზულებების კრიტიკული გამოცემაც.

1937 წლის დასაწყისში გამოცხადდა კონკურსი სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში ახალი ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების ასარჩევად. როგორც ვარლამ დონდუა 1937 წლის იანვარში ლენინგრადიდან იწერებოდა, მას აკადემიკოს იოსებ ორბელისაგან დავალებული ჰქონდა განემზადებინა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომების სია აკადემიაში მის მომავალ წარდგენასთან დაკავშირებით. ცოტა მოგვიანებით, 1937 წლის 12 მარტს, ერთგული ჰორაციო — ვარლამ დონდუა ივანე ჯავახიშვილს ატყობინებდა: როგორც ჩანს, პრაქტიკულად დგება აკადემიაში თქვენი წარდგენის საკითხი. და მართლაც, ივანე ჯავახიშვილი, ივანე ბერიტაშვილთან და ნიკო მუსხელიშვილთან ერთად, წარდგენილ იქნა საკავშირო აკადემიაში, რასაც მოჰყვა კიდეც მისი აკადემიკოსად არჩევა 1939 წლის 28 იანვარს. რასაკვირველია, ეს მოხდა ზემოდან ჩარევით. თვითონ ივანე ჯავახიშვილს, ცხადია, ამ მიმართულებით რაიმე პრაქტიკული ნაბიჯი არ

(პროფესიით ელექტროტექნიკოსი, გახლდათ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლოცენტი) იგონებს, რომ 1935 წლის ივლისში ბიძამისი სტალინთან შეხვედრისას გაცხარებით საუბრობდა ბერიას მიერ ივანე ჯავახიშვილის შევიწროების გამო. ბატონ რევაზის ვარაუდით, ესეც იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ალ. სვანიძის დაპატიმრებისა (1938 წლის 1 იანვარს).

[1] იხ. ავტორის „ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე", თბილისი, 1991, გვ. 17.

გადაუდგამს. როდესაც აკადემიაში თავისი წარდგენის ამბავი შეიტყო, 1937 წლის 7 მარტს ვარლამ დონდუას ლენინგრადში სწერდა: „არამცთუ აკადემიკოსობა, პროფესორობის მაძიებელიც კი არ ეყოფილვარ არასდროს. ნ. მარრს რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის: გადმოთარგმნეთ ერთ-ერთი თქვენი ქართული გამოკვლევა და სადოქტორო დისერტაციაც წარმოადგინეთ, რომ ეს ფორმალობა თავიდან მოიშოროთ. მაგრამ რაკი ეს ჩემთვის ზედმეტი დროის დაკარგვას უდრიდა, სამაგისტრო დისერტაციის შემდგომ სადოქტორო დისერტაცია არ წარმომიდგენია და არასდროს პირადად მე არამცთუ პროფესორის, არამედ პრივატდოცენტის წოდებულებითაც არ მისარგებლია!“ თავმდაბლობის იშვიათი და მით უფრო ჩვენი დროის საქართველოში წარმოუდგენელი მაგალითი გახლავთ!

აბსურდია წარმოვიდგინოთ, რომ ყოველივე ამის ინიციატორი გახლდათ ბერია — მას ხომ იმხანად ეს არ ხელეწიფებოდა. მთავარი ინიციატივა, უნდა ვიგულისხმოთ, მოდიოდა სტალინისაგან[1]. ამასთან, აქ ერთ გარემოებასაც აღვნიშნავთ. ფაქტია, რომ სტალინს გარკვეულად ახასიათებდა კუთხური (ქართლური) „პატრიოტული შეგნება“. ისიც უნდა ითქვას (თქმულიდანაც გამომდინარე), რომ მის გარემოცვაში საკმაოდ იყვნენ საქართველოს აღნიშნული კუთხის წარმომადგენლები — ალექსანდრე და ვასილ ეგნატაშვილები, გიორგი ელისაბედაშვილი, ნიკოლოზ ყიფშიძე, პეტრე კაპანაძე, მიხეილ წინამძღვრიშვილი, რომლებიც შეეცდებოდნენ ივანე ჯავახიშვილის პიროვნებისა და დამსახურების წარმოჩენას „ბელადის“ თვალში.

ჩანს, მოგვიანებით, ლ. ბერიამ გაიცნობიერა ზემოდან ივანე ჯავახიშვილისადმი დამოკიდებულების შეცვლა. აქედან გამომდინარე, მასთან „მეგობრული“ ურთიერთობა დაუმყარებია და სათანადო დავალებაც მიუცია. 1936 წლის 29 მაისს ვარლამ დონდუასადმი გაგზავნილ წერილიდან ვგებულობთ: „ამ ცვლილებასთან (იგულისხმება მისდამი ხელისუფლების დამოკიდებულების დადებითად შეცვლა,

---

[1] სხვათა შორის ეს გარემოება შენიშნა პროფ. სერგო ჯორბენაძემ, რომელიც აღნიშნავდა: „ასეა თუ ისე თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში განუკითხავი შევიწროებისა და დევნის შეწყვეტას, მეტიც ითქმის — ერთგვარ „ფავორში“ ყოფნას, ჩემი აზრით, სტალინის მიერ გამოჩენილი ინტერესი განსაზღვრავდა როგორც ჯავახიშვილის ნაშრომების, ასევე მისი პიროვნების მიმართაც“. „იხ. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1986, № 2—3, გვ. 104—5. და ამ საქმეში იგი სათანადოდ მიუზღავდა ალექსანდრე სვანიძეს. იხ. იქვე, გვ. 104.

გ. ყ.) დაკავშირებით, შ. რუსთაველის დღესასწაულისათვის მოსაწყობი გამოფენის ზოგად ხელმძღვანელობაზე დათანხმება მომიხდა, თუმცა ექიმები მუშაობას მიკრძალავენ და იმ ავადმყოფობის შემდგომ ჯერაც კარგად ვერ ვგრძნობ თავს, მაგრამ რაკი საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა და ნივთიერი კულტურის ისტორიაზე ჩემს გარდა არავინ მუშაობს, ამიტომ უნებლიეთ ამ მძიმე ტვირთის ალება მომიხდა და პასუხსაგები საქმის („ქართ. კულტურა XI—XIII სს") მოწყობის ხელმძღვანელობა დამაწვა. დიდხანს უარს ვეუბნებოდი, მაგრამ დათანხმება მომიხდა: სხვა გზა არ იყო. რასაკვირველია, ხელმძღვანელობის გაწევა, რაკი ამ დარგში მომზადებული პირები არ გვყვანან უმეტესად მე მომიხდება, და ეს გარემოება მაფიქრებს და მაღელვებს". ცხადია, აქ ლ. ბერიასთან შეხვედრაზეა ლაპარაკი, რაც თავის მხრივ, შესაძლოა სტალინის მიერ იყო პროვოცირებული.

ამასთან დაკავშირებით შევჩერდებით ერთ გარემოებაზე. მკვლევარ-ისტორიკოსი გიორგი ციციშვილი, რომელმაც 20—30-იანი წლების საინტერესო დოკუმენტები გამოაქვეყნა ჩვენს დიდ წინაპარზე, ერთი მხრივ უპირისპირდება ტრადიციულ წარმოდგენას სიმონ ჯანაშიას მეშვეობით ლ. ბერიას მიერ ივანე ჯავახიშვილის გადარჩენის შესახებ და თითქოს იზიარებს შეხედულებას ამ საქმეში ალექსანდრე სვანიძის დიდ როლზე, კერძოდ, მისი მეშვეობით სტალინის ჩარევაზე. მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე მკვლევარი ასეთ კითხვას სვამს: „როგორ შეეძლო ა. სვანიძეს ეხსნა ივანე ჯავახიშვილი, როცა 1937 წლიდან მას დევნიდნენ და 1938 წლის 1 იანვარს დააპატიმრეს კიდეც?"[1]. მაგრამ აქ დიდ შეუსაბამობას სულაც ვერ ვხედავთ: წინა, 1935 და 1936 წლებში ალექსანდრე სვანიძემ შეძლო დაეინტერესებინა „ხალხთა ბელადი" ჩვენი დიდი მეცნიერით და ამან, რასაკვირველია, შედეგი უკვე გამოიღო. ეს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება თვითონ ალექსანდრე სვანიძის ტრადიციულ ბედ-იღბალს. მაგრამ გონებაჩლუნგი „ჩეკისტები" 1937—38 წლებშიც კვლავ განაგრძობდნენ „საქმის კეთებას" ივანე ჯავახიშვილის ფიზიკურად მოსპობისათვის.

---

[1] იხ. მისი სტატია „უცნობი ივანე ჯავახიშვილი", „სამშობლო-ფორტე", № 12, ივნისი, 1996.

აღნიშნულთან დაკავშირებით გიორგი ციციშვილი აღნიშნავს: „ზოგმა ისტორიკოსმა კი ისე გაიაზრა, თითქოს ივანე ჯავახიშვილი უკვე ამ დროს გადარჩა სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ფიზიკური მოსპობის ცდას“[1]. მაგრამ იგივე შუბლმაგარი „ჩეკისტები“ ხომ გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს სიმონ ჯანაშიასაც, რომელზედაც ამგვარი დოსიე შეუდგენიათ: „ჯანაშია სიმონ ნიკოლოზის ძე, სოციალ-დემოკრატიული, სახუნტის პროფესორი, ს/რევ. ორგანიზაციის აქტიური წევრი. მხილებულია 1 და 3-ის ჩვენებებით“; „ჯანაშია სიმონ მარის სახ. ინსტიტუტის მუშაკი (1936—38 წლებში ხომ უკვე დირექტორი გახლდათ?! გ. ყ.), ფაშისტური ორგანიზაციის აქტიური წევრი, მხილებულია 1-ის (აგენტის ნომერია, გ. ც.) პირდაპირი ჩვენებით. ჯანაშიას ფაშისტური ორგანიზაციისადმი კუთვნილების შესახებ ასევე მისცეს არაპირდაპირი ჩვენებები 22-მა, 20-მა, და 34-მა“[2]. მაგრამ ხომ დიდად უმართებულოა ამ დოკუმენტის სერიოზულად მიჩნევა, რამეთუ სიმონ ჯანაშია ლ. ბერიას გამორჩეულ პროტეჟეს წარმოადგენდა. მეტიც, დოსიეა შედგენილი კაცზე, რომელსაც მფარველობდა.... თვითონ ი. ბ. სტალინი: „ეგნატაშვილი ვასილ იაკობის ძე. ყოფილი სოც-ფედერალისტი. ამჟამად კპ(ბ) წევრი. მუშაობს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში, იყო ს/რ ორგანიზაციის აქტიური წევრი, მხილებულია 1-ის და სხვათა ჩვენებებით“[3]. ასევე არასერიოზული გახლავთ ივანე ჯავახიშვილის შესახებ აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობის დრამატიზება და აქედან შემდეგი დასკვნის გაკეთება: „1936—38 წლებში ხელისუფლებაში ივანე ჯავახიშვილის და ძველი პროფესურის მიმართ დამოკიდებულებაში თავი იჩინა ორმა განსხვავებულმა ტენდენციამ. ერთი მიზნად ისახავდა დამორჩილება-გამოყენების მიზნით მათ სახელმწიფოებრივ სტიმულირებას, ხოლო მეორე გულისხმობდა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ დამუშავება-დაპატიმრებას და საზოგადოებისაგან იზოლირებას. ეს ტენდენცია არ გამორიცხავდა მათ ფიზიკურ განადგურებას“[4]. მაგრამ როცა ცნობილი გახლდათ ი. ბ. სტალინის პო-

---

[1] იხ. „შანსი პლიუსი“, № 7(2“), 1996.

[2] იხ. გიორგი ციციშვილის პუბლიკაცია „საიდუმლო დოკუმენტები“, „ერი“, 27 თებერვალი, 1997.

[3] იქვე.

[4] გ. ციციშვილი, გაუჩინარებული ისტორიის ფურცლები, ცისკარი, 1995, № 3-4, გვ. 171.

ზიცია ივანე ჯავახიშვილის მიმართ და აქედან გამომდინარე, ბერიას განწყობა, განა შეიძლებოდა ვინმეს სხვაგვარი პოზიციაც ჰქონოდა? ვინ იყვნენ სხვები? გარდა ამისა, კვლავ გავიმეორებთ, 1938 წლის 12 ივნისიდან ივანე ჯავახიშვილი ხომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ხოლო 10 ივლისიდან ამ ორგანოს პრეზიდიუმის წევრიც გახლდათ. შეგახსენებთ იმასაც, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 20 წლისთავთან დაკავშირებით ამავე წლის 15 ივნისს იგი დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით. ამ მხრივ ივანე ჯავახიშვილის ბედი გრიგოლ წერეთლის, შალვა ნუცუბიძის, სიმონ ყაუხჩიშვილისა და ვუკოლ ბერიძისაგან (რომლებიც დაპატიმრებულ იქნენ 1938 წელს) სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ასეთ ვითარებაში მავან „ჩეკისტთა" თავგამოდება ივანე ჯავახიშვილის საწინააღმდეგოდ აშკარა უაზრობას წარმოადგენს.

ისტორიკოსი ვალდებულია ზეპირგადმოცემებსაც გაუწიოს ანგარიში, აგრეთვე გაითვალისწინოს მოვლენათა მონაწილეებისა და თვითმხილველების ჩვენებები. ვასილ ბარნოვის უმცროსი ძმა ალექსანდრე, რომელიც ახლოს იყო ივანე ჯავახიშვილთან, გადმოგვცემდა: როცა ბერია მიმხვდარა ივანე ჯავახიშვილისადმი „ზემოდან" გამოჩენილ აშკარა კეთილგანწყობილებას, იგი თავისთან დაუბარებია და ჭეშმარიტად ვარლამ არავიძისეულ სტილში უთქვამს: თქვენზე ნაწყენი ვარ, თურმე გაწუხებენ და მე კი არაფერი არ ვიცოდი ამის შესახებო, თანაც მისთვის გარკვეული თანხა მიუცია, რაც ივანე ჯავახიშვილს გამოუყენებია მცხეთის არქეოლოგიური გათხრებისათვის (ვსარგებლობ ფილოლოგოს გურამ ბარნოვის ინფორმაციით). გარდა ამისა, წინამდებარე წიგნის ავტორი სპეციალურად ორჯერ ელაპარაკა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას ყოფილ პირველ მდივანს კანდიდ ჩარკვიანს. კითხვაზე: გამოიჩინა თუ არა ბერიამ ინიციატივა ივანე ჯავახიშვილის ბედ-იღბლის სასიკეთოდ შემოტრიალებაში, მან ღიმილით სთქვა: ვინც ბერიას ახლოს იცნობდა, მისთვის მსგავსი რამის დაშვება აბსოლუტურად გამორიცხულია, ასეთ საქმეებში იგი ინიციატივას არ იჩენდაო. მანვე დაადასტურა, რომ ჩვენი დიდი მეცნიერის ყოფნა-არყოფნის საკითხი მოსკოვში გადაწყდა.

ცხადია, ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ მოლოხი — საბჭოური რეპრესიული აპარატი — ადამიანთა სისხლით უკვე დაკმაყოფილე-

ბული იყო, დიდად სამწუხაროდ, იგი (ეს შავბნელი დაწესებულება) კვლავაც აღასრულებდა თავის შავბნელ საქმეებს, რაც გამოვლინდა ივანე ჯავახიშვილის დასის რიგი წარმომადგენლების დაპატიმრებაში[1] (მათგან დიდი ელინისტი, სპეტაკი პიროვნება გრიგოლ წერეთელი მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა).

ასე ასცდა ივანე ჯავახიშვილი, ბევრ გამოჩენილ ქართველთა სიცოცხლის ტრაღიკულ (პოლიტიკურად) აღსასრულს. შთამომავლობამ აუცილებლად უნდა იცოდეს დიდი ისტორიკოსისა და მამულიშვილის ცხოვრების ამ ეტაპის პერიპეტიები, იცოდეს ზუსტად ისე, როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი.

---

[1] სიმპტომატურია, რომ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა 1938 წლის 1 ივნისს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ ოფიციალურ მიმართვაში აღნიშნავდნენ, რომ დაეხმარებიან „სახელოვან დაზვერვას საბოლოოდ გასწმინდოს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები ბურჟუაზიულ-ნაციონალისტ ჯაშუშთა და ფაშიზმის აგენტთა ნარჩენებისაგან".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი მეორე

თეორიულ-მეთოდოლოგიური ნაკაზრევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი პირველი

ისტორიის მეთოდოლოგია და ფილოსოფია

1. ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის საკითხისათვის

ათეული წლების მანძილზე ქართველ ისტორიკოსთა შორის ფართოდ იყო გავრცელებული აზრი, თითქოს ივანე ჯავახიშვილი გახლდათ დიდი ერუდიტი, ფაქტოლოგოსი, მაგრამ ისტორიოგრაფიამ (საისტორიო მეცნიერების აზრით) როგორც ნამდვილმა მეცნიერებამ საქართველოში მხოლოდ 30-იანი წლების შუახანებში დაიწყო დამკვიდრება. მოგეხსენებათ, ამ „რევოლუციურ ეტაპს" მსოფლმხედველობრივად და მეთოდოლოგიურად უკავშირებდნენ საბჭოურ მარქსიზმს ანუ მარქსიზმ-ლენინიზმს. ამდენად, ქართულ ისტორიოგრაფიაში ივანე ჯავახიშვილის ნამდვილი ადგილის, მისი მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის შესახებ, მასზე როგორც მოაზროვნე ისტორიკოსზე ლაპარაკს სერიოზული საფუძველი ეცლებოდა. თუმცა მოგვიანებით ვალერიან გაბაშვილის, პროკოფი რატიანის, იური კაჭარავას, შალვა კაკულიას, მამია დუმბაძისა და სხვათა მხრივ იყო ცდები რაღაცნაირად შევსებულიყო აღნიშნული ხარვეზი, მაგრამ არსებითად რომ ვთქვათ, საკითხი კვლავ დაუმუშავებელი რჩება. ვფიქრობთ, რომ ამ ხარვეზის დღემდე არსებობის მიზეზი გახლავთ ისტორიოგრაფიის ისტორიაზე ჩვენში დამკვიდრებული გაუბრალოებული, სტერეოტიპული წარმოდგენა, თითქოს პროფესიონალიზმი აღნიშნულ დარგში არავითარ სპეციფიკურ ნიჭსა და სპეციალურ განათლებას არ საჭიროებს და კერძოდ, ისტორიკოსებზე წერა ყველა ასე თუ ისე წიგნიერ ისტორიკოსს ხელეწიფებოდეს. სინამდვილეში ისტორიოგრაფიის ისტორიაში სერიოზული მუშაობა და წარმატების მიღწევა ყველა ისტორიკოსს როდი ძალუძს. მაგალითად, ლეონტი მროველის როგორც ისტორიკოსის რამდენადმე ადეკვატურ გაგება-

გაცნობიერებასაც კი ყოველი ისტორიკოსი როდი შესძლებს, ამით უფრო გამორიცხულია ამის აღსრულება ივანე ჯავახიშვილის ანა ზურაბ ავალიშვილის რანგის ისტორიკოსთა შემოქმედების მიმართ.

ჯერ კიდევ 1908 წლის 14 ივნისს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება „ქართველ ისტორიკოსთა ფილოსოფიური და მეთოდოლოგიურ შეხედულების განვითარება მე-VIII—XII საუკუნეთა განმავლობაში“ (მოხსენების შესახებ საკმაოდ დეტალური ანგარიში დაიბეჭდა გაზეთ „ამირანის“ ამავე წლის 18 ივნისის ნომერში). როგორც 1916 წელს გამოქვეყნებულ „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, უფრო უწინ იგივე თემაზე, ოღონდ უფრო ვიწრო შინაარსით — XI—XII საუკუნეების ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილს მოხსენება წაუკითხავს პეტერბურგის საარქეოლოგიო საზოგადოებაში, ხოლო მესამედ 1910 წლის იანვარში თბილისში სამ საჯარო ლექციაში მთელი ქართული საისტორიო მწერლობა მიმოუხილავს XVIII საუკუნის დასასრულამდე. აქვე აღნიშნულია, რომ ნაშრომის „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა“ მეორე ნაწილში („ნაწილედში“) განხილული იქნებოდა უცხოური საისტორიო მწერლობის განვითარება, განსაკუთრებით ბერძნების, ბიზანტიელების, სომხებისა და სპარსელებისა, ხოლო მესამე წიგნში კი გამორკვეული იქნებოდა „ისტორიის მიზანი. წყაროები და მეთოდები“ თანამედროვე მეცნიერებისდა მიხედვით. ადვილი გასაგებია, თუ რა დიდ ყურადღებას იჩენდა ჩვენი დიდი ისტორიკოსი და მამულიშვილი ისტორიკოსთა მსოფლმხედველობისა და განსაკუთრებით მეთოდოლოგიისადმი, მაგრამ პარადოქსია, რომ იგივენაირ ინტერესს თვითონ მისი შემოქმედების აღნიშნული მხარეებისადმი დღემდე, როგორც უკვე მივუთითებდით, ნაკლებად აქვს ადგილი.

მეორე პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ივანე ჯავახიშვილის მოწინააღმდეგენი თუმცა გაუკულმართებულად, აკვიატებული შეხედულებებით, მაგრამ მაინც ცდილობდნენ დიდი ისტორიკოსის მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის სისტემატურ გააზრებას. განსაკუთრებით ითქმის ეს უნივერსიტეტის იმჟამინდელ რექტორის კარლო ორაგველიძის 1936 წელს წაკითხულ და დაბეჭდილ მოხსენებაზე „საქართველოს ისტორიის საკითხისათვის“. დისკუსიის დროს ვინმე ვახტანგ ცინცაძე აღნიშნავდა: „პროფ. ჯავახიშვილის ისტორიული კვლევა მოკლებულია ფაქტების ობიექტურ-მეცნიერულ ანალიზს, იზიარებს რა (!) ნაწილობრივ ვინდელბანდ-რიკერტის კონცეფციას

მხოლოდ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შემეცნება-გაგების საქმეში". ნიკოლოზ მახარაძე ივანე ჯავახიშვილის ისტორიოგრაფიულ შემოქმედებას უფარდებდა ლეოპოლდ ფონ რანკესას, ხოლო ი. ტალახაძე თვლიდა რიკერტიანიზმის გამოვლინებად. ამ დროს და შემდგომშიც ივანე ჯავახიშვილისადმი ერთგულნი და კეთილმოსურნედ განწყობილნიც კი ივანე ჯავახიშვილის დიდი ერუდიტობისა და ფაქტოლოგოსობის აღიარების იქით არ მიდიოდნენ.

ივანე ჯავახიშვილის აზროვნების სწორი გაგება-გააზრება საბჭოური მარქსიზმისა თუ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიულ ბაზაზე გამორიცხული გახლდათ. აღნიშნული მსოფლმხედველობის თანახმად შესაბამის სინამდვილეს მხოლოდ ორი — შავი და თეთრი ფერი ახასიათებდა, უფრო კონკრეტულად: ვ. ი. ლენინის „რკინისებური ლოგიკიდან" გამომდინარე, არსებობდნენ ბურჟუაზიული და პროლეტარული მსოფლმხედველობანი, იდეოლოგიები და აქედან ივანე ჯავახიშვილის აზროვნება ერთ-ერთ მათგანს უნდა დაკავშირებოდა. პასუხი „ნათელი" იყო: იგი განასახიერებდა ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობასა და იდეოლოგიას. თუმცა ესეც უკეთეს შემთხვევაში, რადგან იყო შემთხვევები, როცა, როგორც უკვე დავინახეთ, ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობას, აგრეთვე სოციალური წარმოშობის გამო, ფეოდალურად მიიჩნევდნენ[1].

დიდი ხნის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა გაგება იმისა, რომ არის ისტორიული სიტუაციები თვით ძლიერი, პოლიტიკურად თავისუფალი ერების ცხოვრებაში, მაგალითად საფრანგეთისა XVIII საუკუნეში, როდესაც იდეოლოგოსები, მეცნიერები (განსაკუთრებით ჰუმანიტარებზე ითქმის) ერის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებს გამოხატავენ. მით უფრო ითქმის ეს პოლიტიკურად სუსტი, დამონებული ერის მიმართ. კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის შესაბამისი ხანის საქართველოში საჭირო იყო მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გაერთიანება საერთო მიზნის მისაღწევად. პროგრამა-მინიმუმს ამ თვალსაზრისით წარმოადგენდა პოლიტიკური ავტონომიის მოპოვება რუსეთის (ფედერაციის ფორმით) შემადგენლობაში, ხოლო

---

[1] სხვათა შორის ნ. მარის სახელობის კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტში 1931 წელს სპეციალური დისკუსია მოუწყვიათ იმის თაობაზე სახელდობრ რომელი მსოფლმხედველობის — ფეოდალურისა თუ ბურჟუაზიულის — გამომხატველი იყო ივანე ჯავახიშვილი. იხ. სერგო ჯორბენაძის „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა", გვ. 422.

პროგრამა-მაქსიმუმს — სრული ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება. სოციალურ საკითხს კი, რასაკვირველია, ყურადღება უნდა მიქცეოდა, მაგრამ იგი დაქვემდებარებული უნდა ყოფილიყო პირველი, უმთავრესი საკითხისადმი. ეს გახლდათ იმ პერიოდის საქართველოში სწორი ეროვნული სტრატეგია, რომელიც ილიამ დასახა, თუმცა მისი მეშვეობით ქართველთა უდიდესი ნაწილის გაერთიანება ვერ მოხერხდა. ამგვარი სტრატეგია საფუძვლიანი იქნებოდა პოლიტიკური თავისუფლების მიღწევამდე (თუნდაც ავტონომიის ფორმით), ანუ ისტორიულად, ქრონოლოგიურად რომ წარმოვიდგინოთ, 1918 წლამდე. მხოლოდ ამის შემდგომ, განსაკუთრებით ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისას, თუ შეიძლებოდა სერიოზული ფიქრი ნორმალური სოციალური ევოლუციის თაობაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ვიცით, საქართველოში მოვლენები სულ სხვანაირად წარიმართა, რაც, ასევე სამწუხაროდ, ჩვენი ბოლო დიდი ეროვნული შეცდომა როდი იყო. ეს გახლდათ ტრაღედია, პირველ რიგში, მთელი ერისა და არა მარტო დიდი მამულიშვილებისა, მათ შორის ივანე ჯავახიშვილისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მიიჩნევდნენ, რომ სწორი ეროვნული სტრატეგია საქართველოში ჩაისახა 90-იანი წლების დასაწყისში. ამდენად, ილიასა და მის დასს ამიერიდან დიდი ადგილი აღარ რჩებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე. იგივე ითქმის ივანე ჯავახიშვილზეც, რომელიც თუმცა ფორმალურად ამ დასს არ ეკუთვნოდა, მაგრამ სულისკვეთებითა და პრაქტიკული საქმეებით კი უცილობლად ილიას ხაზის გამგრძელებელი იყო. ისტორიოგრაფიის ისტორიის თვალსაზრისითაც უაღრესად გაძნელებული გახლდათ ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებითი იერსახის გაცნობიერება. თუ, კერძოდ, საქართველოში ისტორიოგრაფიის განვითარების ახალი ეტაპი რუსულ და საბჭოურ მარქსიზმთან იყო დაკავშირებული, მაშინ ეს ეტაპი დაწყებულია გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძისა და სხვათა მიერ, რომლებიც, თუმცა საისტორიო პუბლიცისტიკის დონეზე, ცდილობდნენ, ყოველ შემთხვევაში, XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის გაგებას. იყო ისეთი ცდებიც, როცა ისტორიოგრაფიის უფრო მაღალ ეტაპს ე. ი. ლენინის სახელს უკავშირებდნენ. ერთი სიტყვით, თუ ყოველივე ამას დავუჯერებთ და თანაც

ლოგიკურნი ვიქნებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში ივანე ჯავახიშვილის ნამდვილი ადგილის, როლის გაგება ერთობ გაძნელებულია.

რა თქმა უნდა, ივანე ჯავახიშვილი რომ ოდენ ფაქტების დიდი მასის შეგროვებით ყოფილიყო დაკავებული, მაშინ მის მსოფლმხედველობასა და მეთოდოლოგიაზე კონკრეტული ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა. სახელდობრ თუ ჩვენი დიდი წინაპრის იმ ნაშრომებით შემოვიფარგლებით, რომლებიც დამხმარე საისტორიო დისციპლინებს ეხება, მაშინ, ცხადია, მცირე ადგილი რჩება დიდი ისტორიკოსის მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის გარკვევისათვის, მაგრამ იგი ხომ ავტორი გახლავთ „ქართული ერის ისტორიის" ხუთტომეულის, „ქართული სამართლის ისტორიის", „ძველი ქართული საისტორიო მწერლობისა" და სხვათა, სადაც მთელი გარკვეულობით, სიცხადით მჟღავნდება ავტორის მსოფლმხედველობა და განსაკუთრებით მეთოდოლოგია. დროა ახლა მაინც, ივანე ჯავახიშვილის ფიზიკურად აღსრულებიდან ამდენი ათეული წლის შემდგომ, მოეფინოს ნათელი მისი შემოქმედების აღნიშნულ მხარეებს. ამაში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან ფილოსოფოსებმაც. პარადოქსია, რომ თავის დროზე აღნიშნული თემა არ გამხდარა სერგი დანელიას, შალვა ნუცუბიძის, მოსე გოგიბერიძისა და სხვა ქართველ ფილოსოფოსთა კვლევა-ძიების საგანი. მათგან დღემდე მხოლოდ პროფ. შალვა კაკულია და ედუარდ კოდუა შეეცადნენ შესაბამისი სფეროდან (ფილოსოფიის მხრივ) შეხებოდნენ დაუმუშავებელ საკითხს (იხ. პირველის „ადამიანის პრობლემა ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში", თბილისი, 1977 და მეორის „ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი", თბილისი, 1997). ვიმედოვნებთ, რომ დაწყებულ საქმეს სხვა ქართველი ფილოსოფოსებიც გააგრძელებენ. ალბათ თავს ფილოლოგოსებიც გამოიდებენ, რამეთუ ისტორიოგრაფია ხელოვნებასთანაც, კერძოდ, მხატვრულ ლიტერატურასთან, არის წილნაყარი და ამ მხრივ ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება საინტერესო მასალას წარმოადგენს.

თავის დროზე უცილობლად უნდა დასმულიყო საკითხი იმის შესახებაც თუ მსოფლიო ისტორიოგრაფიაში, კონკრეტულად გერმანული, ფრანგული, რუსული და სხვა მოწინავე ისტორიოგრაფიების მიხედვით, რომელ მიმდინარეობას წარმოადგენდა და რომელ ისტორიკოსს ეთანადებოდა ივანე ჯავახიშვილი. დიდად სამწუხაროდ, ქართული ისტორიოგრაფია და საერთოდ საზოგადოებრივი აზროვნება დიდ ხანს ამ კითხვის დასმით თავს არ იწუხებდა. მხოლოდ 1936

წელს, ვიმეორებთ, კარლო ორაგველიძის მოხსენების განხილვის დროს გრიგოლ ნათაძემ და სხვებმა აღნიშნეს ივანე ჯავახიშვილის დიდი მსგავსება გამოჩენილ გერმანელ ისტორიკოს ლეოპოლდ რანკესთან (1795—1886). მართლაც, აღნიშნულ ორ ისტორიკოსს შორის მსგავსება უთუოდ შეინიშნება, კერძოდ, ისტორიული ეპოქებისა და დიდი ისტორიული პიროვნებების მკვეთრი წარმოჩენის (ინდივიდუალიზაციის) მხრივ, რაც მხატვრული აზროვნების ქონას გულისხმობს და რაც, თეოდორ მომზენის შემოქმედებასთან ერთად, საფუძვლად დაედო ნეოკანტიანელობის თვალსაზრისს ისტორიოგრაფიაზე, სადაც თითქოსდა ბატონობს ინდივიდუალიზაციის (მაინდივიდუალიზებელი) მეთოდი[1] განსხვავებით მაგენერალიზებელი მეთოდისაგან ბუნებისმეტყველებაში. ამ მხრივ კი გრიგოლ ნათაძე მართალი გახლდათ და ამ საკითხში მას ტყუილუბრალოდ უპირისპირდებოდა სიმონ ჯანაშია.

მაგრამ ლ. რანკე როგორც ისტორიკოსი წარმოადგენდა პროდუქტს თავისი ეპოქის გერმანიისა, რომელიც ისტორიკოსის ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში მკვეთრად ჩამორჩებოდა ინგლისსა და საფრანგეთს ეკონომიკური და სოციალური (ვიწრო, სოციალური სტრუქტურის აზრით) განვითარების მხრივ. ეს მომენტი კი, ცხადია, აისახებოდა შესაბამისი ქვეყნების ისტორიოგრაფიებზეც, სახელდობრ

---

[1] ივანე ჯავახიშვილის ბერლინში სამეცნიერო მივლინების ანგარიშიდან, რომელიც ნიკო მარმა წარუდგინა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტს, ჩანს, რომ ივანე ჯავახიშვილი ინტენსიურად მუშაობდა რანკეს სკოლის ნაშრომების გასაცნობად. სხვათა შორის, ლ. რანკე, თავისი სოციალურ-პოლიტიკური კონსერვატიზმის გამო, ცხადია, მიუღებელი როდი იქნებოდა იმჟამინდელი რუსეთის ოფიციალური ხელისუფლებისათვის და მისი რიგი ნაშრომებისა („რომის პაპები, მათი ეკლესია და სასულმწიფო XVI და XVII საუკუნეებში", „სამხრეთ ევროპის მეფეები და ხალხები XVI და XVII საუკუნეებში", „მსოფლიო ისტორიის ეპოქების შესახებ" რუსეთში ადრევე ითარგმნა და დაიბეჭდა (1856, 1869 და 1898 წლებში). ამ ვამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსის შემოქმედების რაობის გააზრებას შეეცადა ვ. პ. ბუზესკული თავის 1915 წელს პეტროგრადში გამოსულ წიგნში „Современная Германия и немецкая историческая наука XIX столетия". ცარისტული რუსეთისაგან განსხვავებით საბჭოთა კავშირში ლ. რანკე დიდი ხნის მანძილზე ოდიოზურ ფიგურად ითვლებოდა (რაც, როგორც ჩანს, აისახა სიმონ ჯანაშიას აზროვნებაში, მისგან განსხვავებით სხვანაირად ფიქრობდა ვრიგოლ ნათაძე) და იგი, რასაკვირველია, არ შეისწავლებოდა. ამ მხრივ ვარდატება მოხდა 60-იან წლებში (იხ. ო. ლ. ვაინშტეინის, ნ. ი. სმოლენსკის და ე. ა. კოსმინსკის შრომები).

ინგლისურ და ფრანგულ ისტორიოგრაფიებში ისტორიული პროცესის ეკონომიკური და სოციალური მხარეები უკვე სათანადოდ იქნა წარმოჩენილი. ასე რომ, რანკე გარკვეულად, ნაწილობრივ მაინც ივანე ჯავახიშვილის დროინდელი ისტორიოგრაფიისათვის უკვე განვლილი საფეხური, ეტაპი იყო და აქედან გამომდინარე, არსებობდა დიდი შესაძლებლობა ამ ეტაპის გადალახვისა. თვით გერმანიაში, როგორც ცნობილია, ეს გააკეთა კარლ ლამპრეხტმა (1856—1915).

ჩვენი შესაბამისი დასკვნა ოდენ ფორმალური ლოგიკიდან როდი გამომდინარეობს. გვაქვს ამის დამადასტურებელი არგუმენტები. 1901 წლის 17 მარტს ივანე ჯავახიშვილი თბილისიდან ნიკო მარს სწერდა თავის სამომავლო გეგმაზე — თუ როგორ ამოევსო მას ხარვეზი საისტორიო განათლებაში. კერძოდ, მის მიხედვით, სასურველია სპეციალურად შესწავლილ იქნას ქრისტიანული ეკლესიის დოგმატიკის ისტორია და საეკლესიო ლიტერატურა პროფ. ა. ჰარნაკთან, ბიზანტინოლოგიაში მუშაობა კ. კრუმბახერთან, რათა გათვალისწინებულ იყოს ბიზანტიის ზემოქმედება საქართველოზე და აგრეთვე შუა საუკუნეები დასავლეთ ევროპაში და ფეოდალური ინსტიტუტების ისტორია გერმანიაში, რაშიც დაეხმარებოდა სწორედ კარლ ლამპრეხტი[1]. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ივანე ჯავახიშვილს ხომ საქართველოს ისტორიული პროცესი ვერ წარმოედგინა ეკონომიკური და სოციალური მხარეების გარეშე. აღსანიშნავია, ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილი თავისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური შეხედულებებით შორს იდგა კონსერვატიული პრუსიის სამეფოს ოფიციალურ ისტორიკოს ლ. რანკესაგან.

ახლა შევჩერდებით იმაზე, რომ ივანე ჯავახიშვილი ისტორიოგრაფიას უდგებოდა არა მხოლოდ (საკუთრივ ისტორიკოსის გარდა) ფილოლოგოსის, ენათმეცნიერის, სამართალმცოდნის, ეთნოლოგოსის და ა. შ. პოზიციებიდან, არამედ ფილოსოფოსის თვალთახედვითაც, რომ ეს უკანასკნელი დარგი (ფილოსოფია) მისთვის საკმაოდ მახლობელი იყო.

ივანე ჯავახიშვილის მეგობრის (გიმნაზიისა და უნივერსიტეტის ხანიდან) ივანე ნიჟარაძის გადმოცემით ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს ივანე ჯავახიშვილს წაუკითხავს რეფერატი ჰენრი ბოკლის

---

[1] აკაკი შანიძისა და სიმონ ყაუხჩიშვილის ვარაუდით ივანე ჯავახიშვილი შესაძლოა ამ ორ უკანასკნელ პროფესორთანაც მუშაობდა. იხ. ლ. გვრიტიშვილი, ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე, თბილისი, 1960, გვ. 16.

შესახებ. უკვე ხანდაზმულობის ასაკში დიდი ისტორიკოსი ივონებდა გიმნაზიაში სწავლისას მის საყვარელ საგნებს ბერძნულ ენასა და ლიტერატურასთან, ისტორიასთან ერთად ფილოსოფიაც შეადგენდა. ცნობილია, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოსწავლე არჩილ ჯორჯაძე, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და ზურაბ ავალიშვილი ისმენდნენ სემინარს ფილოსოფიაში და მათი ასეთი მიდრეკილება ივანე ჯავახიშვილშიც გააღვივებდა (შემდგომ) ფილოსოფიისადმი ინტერესს. როდესაც ეს უკანასკნელი გერმანიაში მივლინებით იმყოფებოდა (1901—02 წლებში) ბერლინის უნივერსიტეტის (აღვნიშნავთ რომ აქვე მოღვაწეობდა კარლ ლამპრეხტიც) რექტორმა ადოლფ ჰარნაკმა მას უბოძა სიგელი ფილოსოფიურ მოქალაქეთა კორპორაციაში ჩარიცხვის თაობაზე[1]. აქვეა დაცული მოწმობა ამავე უნივერსიტეტის ფილოსოფიის ორდენის დეკანის ხელმოწერით ივანე ჯავახიშვილის ფილოსოფიის ფაკულტეტის ნამდვილ წევრად მიღების შესახებ.[2] მოვიგონოთ ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილი გახლდათ დეკანი თბილისის უნივერსიტეტში იმხანად არსებული ერთადერთი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტისა, რომელიც მოიცავდა ფილოსოფიასაც.

1907 წლის 1 მაისს კიტა აბაშიძისადმი პეტერბურგიდან თბილისში გამოგზავნილ წერილში ივანე ჯავახიშვილი იწერებოდა: „ამას წინად დეკარტის წიგნი გამოგიგზავნეთ. ის გამოცემა, რომელიც სასურვილი იყო, აქ არ აღმოჩნდა; მაგ გამოცემის გარდა კიდევ იაფფასიანი „ეროვნულ ბიბლიოთეკის“ გამოცემა იყო, მაგრამ მაგ გამოცემას უნდა ჰქონდეს უპირატესობა იმიტომ, რომ ჟიულ სიმონის რედაქტორობით არის დაბეჭდილი“[3]. ივანე ჯავახიშვილის ცხოველ ინტერესს ფილოსოფიისადმი ადასტურებს ისიც, რომ პირველი ლექცია უნივერსიტეტში მან წაიკითხა (1918 წლის 30 იანვარს) ასეთი სათაურით: „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობასა და ცხოვრებაში“.

და ბოლოს, შემორჩენილია დოკუმენტი, რომელიც თვითონ ივანე ჯავახიშვილის მიერ არის შედგენილი და ტექსტიც მისივე ხელითაა დაწერილი. იგი ეხება სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის

---

[1] იხ. კორნელი კეკელიძის სახ. ინსტიტუტის ივანე ჯავახიშვილისეული ფონდი, საქმე № 64.

[2] იქვე, საქმე № 65.

[3] დასახ. ფონდი, საქმე № 1366.

ყველა დარგის სასწავლო გეგმას. მათთვის სავალდებულო საგნად ლოლიკას, ფსიქოლოგიას, საქართველოს ისტორიასა და ერთ-ერთ თანამედროვე ენასთან ერთად აღნიშნულია ფილოსოფიის შესავალიც. ამას გარდა ფსიქოლოგიის დარგისათვის აუცილებლად არის მიჩნეული ფილოსოფიის ისტორია და, რაც ისტორიკოსთათვის უფრო საინტერესო უნდა იყოს, საისტორიო დარგისათვის — ისტორიის მეთოდოლოგია და ფილოსოფია[1].

არსებობს ზეპირად მოარული შეხედულება თითქოს ივანე ჯავახიშვილი პოზიტივისტი იყო და ამდენად, მისთვის ფილოსოფიის, სახელდობრ ისტორიის ფილოსოფიის არსებობას გამართლება არა ჰქონდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს აზრი მცდარი გახლავთ. 1904 წელს დაწერილ ნაშრომში ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „თვითოეული ხალხის ისტორიის შესწავლაზეა დამოკიდებული ბევრის მხრივ ის მეცნიერება, რომელსაც ისტორიის ფილოსოფიას ეძახიან და რომელიც შეადგენს ჩვენის მეცნიერების უზენაეს მიზანს“[2]. ჯერჯერობით ივანე ჯავახიშვილის აზრით, ისტორიის ფილოსოფიის დაწერა შეიძლებოდა ძველი საბერძნეთის, რომის, შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ევროპის ისტორიაზე დაყრდნობით, მაგრამ აღმოსავლეთისა და კერძოდ, საქართველოს ისტორიაზე კი იგი ვერ დაფუძნდებოდა, რადგან შესაბამისი რეგიონისა და ქვეყნის ისტორიოგრაფიები სათანადოდ არაა განვითარებულიო[3]. რამდენიმე ათეული წლის შემდგომ იგი წერდა რომ განზრახული ჰქონდა შეევსო აღნიშნული ხარვეზი: „ჩემი „ისტორიის მიზანი“-ს მესამე წიგნში, საქართველოს, სომხეთის, სპარსეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაზე დამყარებულ დაკვირვებათა გათვალისწინებით, ისტორიის ფილოსოფიის ყველა საკითხების საგანგებოდ განხილვას ვფიქრობ“[4].

თავის სანიმუშო (მართლაც!) ლექციაში, რომელიც 1902 წლის 18 ნოემბერს წაიკითხა, ივანე ჯავახიშვილი ამგვარად განსაზღვრავდა ისტორიის ფილოსოფიას: „დარგი, რომელიც ეგრეთწოდებულ საისტორიო კანონების, საზოგადოებრივ ცხოვრების წარმატებისა და

---

[1] იხ. რ ო ი ნ მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1975, გვ. 42.

[2] იხ. მამულიშვილობა და მეცნიერება, ტფილისი, 1904, გვ. 10.

[3] ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი V გამ, თბილისი, 1960 გვ. 2.

[4] ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, თბილისი, 1982, გვ. 404.

სხვა კიდევ მრავალ ძირითად კითხვებს იკვლევს"[1]. აქვე ჩამოთვლილია „ამ დისციპლინის ესა თუ ის ძირითადი საკითხები", როგორიცაა დადგენა და განსაზღვრა ეროვნებისა, რასობრივი და ნაციონალური გამასხვავებელი ნიშნებისა, სახელმწიფოსი და სხვა მისთანა-თა"[2]. მოგვიანებით ჩვენი დიდი ისტორიკოსი წერდა: „სხვადასხვა სელშემწყობ, თუ დამაბრკოლებელ, თანმდევ და მერმინდელ გარემოებებზე არის, რასაკვირველია, აგრეთვე დამოკიდებული რომელ საფეხურამდე დაქვეითდება ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი სასელმწიფოებრივობა"[3].

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თუ ქართულ აზროვნებაში შეიძლება რამენაირად გამოკვეთილ იქნას ისტორიის ფილოსოფია (ისტორიოსოფია), ივანე ჯავახიშვილის ხსენებული მოხსენება, რომელსაც პირობითად, ეწოდება „აღმოსავლეთის ისტორია და საქართველოსა და სომხეთის ისტორიის მონაცემები", აშკარად გამორჩეულია. და ასეთი მოხსენება წაიკითხა ივანე ჯავახიშვილმა 26 წლის ასაკში!

აღნიშნულ ლექციაში ივანე ჯავახიშვილმა სასტიკად გაილაშქრა ევროპოცენტრიზმის წინააღმდეგ, რომელიც რასიზმის გამოვლინებად მიიჩნია. მართლაც, თავის დროზე და ახლაც ევროპოცენტრისტული წარმოდგენები ხშირად ეფუძნებოდა და ეფუძნება რასიზმსა და იმპერიალიზმს და ნამდვილ მეცნიერებისა და ფილოსოფიისაგან შორს დგას. მაგრამ მსგავსი დასკვნები კეთდებოდა ჰეგელისა და კარლ მარქსის (ასევე ფრიდრიხ ენგელსის) მიერაც, რომლებიც ძალიან დაშორებული იყვნენ რასიზმისა და იმპერიალიზმისაგან. ამ გარემოებასაც რომ თავი დავანებოთ, თუ დასავლეთ ევროპის მოწინავეობა რასობრივი ფაქტორით აიხსნება, მაშინ ინდოეთის ხალხთა დიდი ნაწილი, სპარსელები, ავღანელები, სომხები, ქურთები, ტაჯიკები და სხვებიც (ისტორიიდან გამქრალ შესაბამის ეთნოსებს რომ თავი დავანებოთ) ხომ ინდოევროპული წარმოშობისანი არიან. ხომ ასეთივე წარმოშობა აქვთ სლავ ხალხებს, რომელთა უმეტესობა შუასაუკუნეებსა და ახალ დროში ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპის ხალხებს. თუმცა ამ მხრივ პოლემიკას აღარ გავაგრძელებთ, ჩვენი, ქართული აზროვ-

---

[1] იხ. ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, V გამ., 1960, გვ. 389.

[2] იქვე, გვ. 391—92.

[3] თხზულებანი, თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1982, გვ. 403.

ნებისათვის ისაა მთავარი, რომ ივანე ჯავახიშვილმა დასვა საკითხი, რომელიც დღესაც კი უძნელესი, გადაულახავია მით უმეტეს ქართული ისტორიოგრაფიისა და ისტორიის ფილოსოფიისათვის.

რაც შეეხება კვლევა-ძიების მეთოდებს, უპირველესად უნდა აღინიშნოს კრიტიკული მეთოდის ბრწყინვალე ფლობა ივანე ჯავახიშვილის მხრივ, რაც აიხსნება დიდებული ფილოლოგიური მომზადებით, თავის თავში ისტორიკოსისა და ფილოლოგოსის შერწყმით. შემდეგ აღსანიშნავია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება, რაც ეფუძნება მსოფლიო ისტორიის კარგ ცოდნას. ამ მეთოდით უდგებოდა იგი ჩვენი სოციალური და პოლიტიკური წყობილების, კულტურის, რელიგიისა და სხვა მხარეების განხილვას დასავლეთ ევროპის, ბიზანტიის, ირანის, სომხეთისა და სხვათა ისტორიის ფონზე. ივანე ჯავახიშვილის მიერ ისტორიზმის მეთოდის ფლობაც ფრიად ღირსშესანიშნავია. ყოველივე ეს მთლად ახალი როდი გახლდათ ქართულ ისტორიოგრაფიაში: მათს შესახებ იცოდნენ და შეძლებისდაგვარად გასაზავდნენ და იყენებდნენ მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე და სხვანი, მაგრამ ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებაში აღნიშნულმა მეთოდებმა ბევრად უფრო ფართო სფერო მოიცვეს. დიდი ისტორიკოსის შემოქმედებაში აღსანიშნავია მეთოდი, რომელიც ნეოკანტიანურ ფილოსოფიაში მაინდივიდუალიზებელი მეთოდის სახელითაა ცნობილი და რის სათანადოდ გამოყენებაც ისტორიკოსის ნაშრომს მხატვრულ ლიტერატურასთან აახლოებს, სოლო მკითხველი ამით ეპოქას, ისტორიულ სიტუაციებს განიცდის და არა მხოლოდ მათს შესახებ ფაქტებსა და განზოგადებებს იმახსოვრებს.

თითოეული ამ მეთოდთაგანის კონკრეტული გამოყენების მაგალითები ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებაში, საბედნიეროდ, უამრავია და მათს ჩვენებას სათანადო ადგილებზე ვაპირებთ. თავის მხრივ, ივანე ჯავახიშვილი დიდად აფასებდა სხვა ისტორიკოსების ნააზრევში ისტორიოსოფიულ, კერძოდ, მეთოდოლოგიურ დონეს. მაგალითად, სომხური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლის შესახებ იგი წერდა: „მოსე ხორენელი საინტერესო მოვლენაა არა მხოლოდ სომხეთისათვის. ის ერთია შუასაუკუნეების მცირერიცხოვან ისტორიკოსთაგან, რომელსაც ძალუძს თეორიული მსჯელობაცა და სხვათა შორის ისტორიის მეთოდოლოგიური საკითხების წამოყენებაც“[1]. იგი აღნიშნავდა ვახუშტი ბატონიშვილის „შესანიშნავი საქა-

---

[1] ციტირებულია სერგო ჯორბენაძის წიგნის მიხედვით, გვ. 509.

რთველოს ისტორიულ-ფილოსოფიურ საზოგადო მიმოხილვას"[1] ... კონკრეტულად ამის თაობაზე იგი ასე წერდა: „ერთი სიტყვით, თუ ვახუშტის მიმოხილვას თვალს გადავავლებთ, იქ ისტორიულად დახასიათებულია საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილება, ქართველთა სარწმუნოება, ქართული სამართალი, ზნე-ჩვეულებანი და შინაური ყოფა-ცხოვრება, ეს არის ქართველთა მრავალსაუკუნოვანი წარსულის საზოგადო ფილოსოფიურ-ისტორიული მიმოხილვა, რომლის მსგავსი ქართულ მწერლობაში არც წინათ დაწერილა და არც შემდეგში. ეხლაც-კი, როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, მაგგვარი საზოგადო მიმოხილვა ვახუშტის ზემოაღნიშნულ შრომის გარდა სხვა ჩვენ არ მოგვეპოვება. მარტო ეს გარემოება უკვე, სხვაც რომ არ იყოს-რა, ქართველ სახელოვან მეცნიერ ბატონიშვილის სიდიადეს და სწორუპოვრობას ამტკიცებს"[2].

გვაქვს სხვა შემთხვევებიც, სადაც გახაზულია სამეცნიერო ნაშრომთა ნაკლოვანება დაბალი მეთოდოლოგიური დონისა ან ამის არარსებობის გამოისობით. წიგნში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა" ვკითხულობთ: „პროფ. მ. ნემიროესკის (მარის მომხრე ენათმეცნიერი, გ. ყ.) აქვს აღნიშნული ის სიფრთხილე, რომელსაც დირი (გერმანელი ენათმეცნიერი, რომელიც დაღისტნურ ენებს შეისწავლიდა, გ. ყ.) მსჯელობის დროს იჩენდა. ზოგადს, ფართო შედარებასა და დასკვნას ის ერიდებოდა, ფილოსოფიური და შედარებითი პერსპექტივების გადაშლა მისი ბუნების თვისებას არ შეადგენდაო" და ავტორი იქვე ასეთ კომენტარს აკეთებს: „საამისოდ მას ვგონებ ძალაც არ შესწევდა. მისი ნამდვილი მოწოდება ცოცხალი, სასაუბრო, უმწერლობო ენის შესწავლა გახლდათ"[3]. ნიკო მარის შემოქმედების მისამართით კი წიგნში აღნიშნულია: „...უკვე ქართულისა და ქართველური, ისევე როგორც ე. წ. კავკასიის ენებზე დაწერილი გამოკვლევების გულდასმითმა შესწავლამ ბევრი რამის გათვალისწინების საშუალება მომცა: მათი ღირსება-ნაკლიც დამანახვა და ისიც გამაგებინა, თუ რატომ გამოდგა

---

[1] ივანე ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945, გვ. 351.

[2] დასახ. ნაშრომი, გვ. 341.

[3] იხ. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი, თორმეტ ტომად, ტ. X, გვ. 48.

უნაყოფო ყოველივე ცდა ქართულ-ქართველური და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის გამოსარკვევად, ცხადი შეიქმნა, რომ ამ უნაყოფობის ერთ მიზეზთაგანს იმ მეთოდოლოგიური პრინციპების გაუთვალისწინებლობა შეადგენდა, რომელთა გამოყენებით ეს უაღრესად რთული აგებულების ენები უნდა გამოკვლეული ყოფილიყო"[1]; „აკად. ნ. მარის მოღვაწეობის ზოგადი შეფასების დროს, უნდა გულასდილად აღინიშნოს, რომ ქართულის, ქართველურისა და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების, აგებულებისა და მონათესაობისა, იმგვარადვე, როგორც მათი წარმოშობილობისა და სადაურობის პრობლემა ისევე გადაუწყვეტელია, როგორც წინათ იყო... ამ სფეროში მისი დაუცხრომელი ცდის უნაყოფობა მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ სამეცნიერო მეთოდოლოგიის უგულებელყოფით დასახული მიზნის მიღწევა არ შეუძლიან ისეთი არაჩვეულებრივი ნიჭისა და დაუშრეტელი ენერგიის პატრონს და მრავალ ენათა მცოდნესაც-კი, როგორიც უცილობლად აკად. ნ. მარრია"[2].

დასასრულს დავსძენთ, რომ ივანე ჯავახიშვილის თეორიული ნააზრევის, კერძოდ, მეთოდოლოგიის წარმოჩენა მხოლოდ ქართული ისტორიოგრაფიის თავმოსაწონებლად კი არ გვჭირდება, არამედ, ჩვენი უძველესი სამეცნიერო დარგის აღმავლობისათვის, რის საჭიროებაც აშკარად იგრძნობა დღეს, საბჭოური სისტემისა და იდეოლოგიის მსხვრევის პირობებში. სათანადოდ უნდა გავიცნობიეროთ, რომ ისტორიოგრაფია როგორც მეცნიერება ოდენ ფაქტების დადგენითა და ისტორიული პროცესის ცალკეული მხარეების შესწავლით არ შემოიფარგლება, რომ ნამდვილი საისტორიო ნაშრომის დაწერას სათანადო მსოფლმხედველობა (კერძოდ, სოციალური, პოლიტიკური და ა. შ.) და თეორია, მეთოდოლოგია ესაჭიროება. ამ მხრივ კი დიდად დაგვეხმარება, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის შესწავლა. მოვიტანთ ამ უკანასკნელის ახალგაზრდობის პერიოდში გამოთქმულ აზრს: „აქნობამდე ჩვენ ისტორიკოსთა მთელი ძალღონე იმაზე ილეოდა, რომ ქართველ (როგორც ჩანს, აქ აშკარად კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს საქმე, გ. ყ.) საისტორიო წყაროების ეჭვმიუტანლობა და თვითეულ მათ ცნობის ღირსება გამოერკვიათ. იმ საკითხისათვის კი, თუ რა მიზანი ჰქონდათ ქართველ ისტორიკო-

---

[1] იხ. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. X, წინასიტყვაობა, გვ. XII.

[2] იხ. ციტირებული ნაშრომი, გვ. 76.

სებს და რა საშუალებებსა ანუ მეთოდებს ხმარობდნენ, რომ თავიანთი მიზანი განეხორციელებინათ, ჯერ ჩვენში ყურადღება არავის მიუქცევია"[1]. ხოლო ამ გზაზე ჩვენ არც თუ ისე დიდი მანძილი გვაქვს გავლილი, რაც ჩანს, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის ათვისების დღევანდელ დონითაც.

2. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი*

როგორც ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა, ქართულ აზროვნებაში შედარებით მეთოდს იყენებდა ჯერ კიდევ პატარა გიორგი, მაგრამ მისი გამოყენების სფერო საღმრთო სჯულს არ გასცილებია. ამ მხრივ ეფრემ მცირე უბადლო გახლდათ და თვით ბიზანტიაშიც კი მას ნიკონ შავთელი თუ შეედრებოდაო. კიდევ უფრო შორს წავიდა დავითის ისტორიკოსი, რომლის „შედარებითი მეთოდი ფართოა და გაბედული, მისი შედარების სფერო განუსაზღვრელია. ამასთან მისი შედარება ღრმად ფილოსოფიურია და დაკვირვების დიდი ნიჭი ემჩნევა"[2]. ახალ ქართულ საისტორიო აზროვნებაში (ისტორიოგრაფიაში) აღნიშნული მეთოდის თაობაზე სერიოზულად მსჯელობდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „შედარებითი მეთოდის სახელი, ილიას სიტყვით, სრულად „არ შეეფერება იმგვარს კვლევას საგნისას, რომელსაც ამ სიტყვით ჰხატავს მეცნიერება ყველა ენებში. ეს-გვარი კვლევა შედარება კი არ არის"-ო, არამედ „სწორედ ის არის, რომ კაცი კვალში ჩაუდგეს რომელსამე საგანს, ანუ მოვლენას, რომ თავიდამ ბოლომდე ჩამოჰყვეს, თუ სათავე ვიცით და ბოლო არა, და ან ბოლოდამ სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო ვიცით და სათავე არა, და ამი-

---

[1] გაზეთი „ამირანი", 1909, 18 ივნისი, № 86.

* ჩვენ შეგნებულად არ ვეხებით კრიტიკულ (საისტორიო-ფილოლოგიურ) მეთოდს, რომელიც ისტორიოგრაფიაში უპირველესი გახლავთ და საყოველთაოდ მიღებულია. ამ თემის გაშუქება ივანე ჯავახიშვილის შემოქმედების მიხედვით ძალიან შორს წაგვიყვანდა.

[2] გაზეთი „ამირანი", № 86, 1909 წლის 18 ივნისი. იხ. აგრეთვე „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის" შესაბამისი ადგილები.

სთვის კიბედ გაიხადოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც კი ან საგანს, ან მოვლენას თავი უჩენია"-ო[1].

ასე რომ, ერთი შეხედვით ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ოპერირება იოლდება მოვლენათა უბრალოდ შედარებისას, მაგრამ სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ შესადარებელი მოვლენების მთელი ისტორია, პროცესი უნდა ვიცოდეთ. სწორედ ამ გარემოების გაუგებრობის გამოისობით, ილიას აზრით, ხალხოსანმა ივანე ჯაბადარმა ვერ შესძლო საქართველოს ისტორიის სერიოზული გაგებაგააზრება. მაგრამ გავიდა რამდენიმე ათეული წელიწადი და „ილ. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული წერილების შემდეგაც, არავინ აღმოჩენილა, რომელსაც ჩვენი სახელოვანი მგოსნის და პუბლიცისტის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება ეცადოს და მეთოდების გამოყენება შესძლებოდეს"[2]. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, „ქართველ ხალხს ანდაზად აქვს ნათქვამი: „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა"-ო. და, ჩვენდა საუბედუროდ, მაშინ ილ. ჭავჭავაძეს კარგი გამგონე არ გამოსჩენია. მაგრამ ეს ხომ მისი ბრალი არ არის?!"[3]. ასეთი პიროვნება („გამგონე") ჩვენს დიდ წინაპარს გამოუჩნდა სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახით. გარდა აღნიშნული მეთოდის რაობის ღრმად გაგებისა, ივანე ჯავახიშვილს დიდი ერუდიცია ჰქონდა მსოფლიო ისტორიაში და ამიტომაც შესძლო მან ამ მეთოდის საშუალებით ჩვენი ისტორია მეცნიერულ დონეზე გაეაზრებინა.

ჩვენი დიდი ისტორიკოსი ნათლად სახავდა იმ უფართოეს ამოცანას, რომელიც ისტორიულ-შედარებითი მეთოდით უნდა გადაჭრილიყო. ჯერ სხვადასხვა ქვეყნების ისტორიების შედარებითი შესწავლის გზით უნდა დადგენილიყო აღმოსავლეთის ზოგადი ისტორია: „და აი, ყველა ორიენტალისტ-ისტორიკოსისათვის მეორე და საერთო ამოცანას ისიც შეადგენს, რომ შესწავლილი და დადგენილი იქნეს ის ძირითადი ფაქტორები, რომელნიც წარმოადგენენ აღმოსავლეთის ხალხთა სოციალური ცხოვრების შემაერთებელ რგოლებს, რომელთაც, მიუხედავად რასობრივი წარმოშობის სხვაობისა და პოლიტიკური განკერძოების დაბრკოლებისა, მაინც შეჰქმნეს მათი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი კულტურის ესოდენ მსგავსი

---

[1] ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, 1938, გვ. 14.
[2] იქვე, გვ. 16.
[3] იქვე.

ნიშნები"[1]. ამდენად, „იმ დრომდე, სანამ საკითხი არ გაშუქდება და არ გამოიკვლევა, არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება იქნეს აღმოსავლეთის საერთო, ზოგად ისტორიაზე იმ გაგებით, რა გაგებაც აქვს დასავლეთ ევროპის ზოგად ისტორიას, ვინაიდან იქ არსებობენ გამაერთიანებელი ფაქტორები, იქ არსებობდა საერთო კულტურული ცხოვრება"[2].

როგორც ვხედავთ, ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით, დასავლეთის კულტურულ-ისტორიულ სამყაროში მეტი წინაპირობები აღმოჩნდა ერთიანობისათვის, რამაც თავის მხრივ გააადვილა აღნიშნული გარემოების გაცნობიერება, მით უმეტეს, რომ ამას ემატება დასავლეთევროპელთა მაღალი სამეცნიერო და ფილოსოფიური განვითარებულობა. ისტორიის ფილოსოფიაც ნამდვილი გაგებით, ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, მხოლოდ დასავლეთის ისტორიული პროცესის გაგების საფუძველზე ჩამოყალიბდა. მაგრამ, მისი აზრით, სხვაგვარი ვითარება იყო აღმოსავლეთის გაგებაში: დასავლელ ისტორიის ფილოსოფოსების (ისტორიოსოფოსების) მცდარი, ზერელე წარმოდგენის გარდა, არც საკუთრივ აღმოსავლეთის ისტორიკოსებსა და ფილოსოფოსებს არ გამოუჩენიათ თავი ამ მიმართულებით. ასე რომ, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „თუ ეს ამოცანა არ იქნა შესრულებულ-გადაწყვეტილი, ისე, უამისოდ აღმოსავლეთის ისტორიაც და ეგრეთწოდებული მსოფლიო ანუ ზოგადი ისტორიაც იქნება მარტო ცალკეულ ხალხთა ან სახელმწიფოთა ისტორია, ხოლო თხრობაში ვერ იქნება გავლებული გამაერთიანებელი ლარი და ხაზი"[3]. სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ, კერძოდ ქართულ სამეცნიერო და ფილოსოფიურ აზროვნებაში, აღნიშნული პრობლემის კვლევა-ძიებაში მას შემდგომ რაიმე მნიშვნელოვანი ძვრები მომხდარიყოს. აქედან გამომდინარე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გააზრებისას ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მნიშვნელობა ჯერაც ვერაა ჯეროვნად წარმოდგენილი.

ივანე ჯავახიშვილმა მკვეთრად წარმოაჩინა შესაბამისი პერიოდის ქართული საზოგადოების სოციალური წყობილების — ფეოდალიზმის („პატრონყმობის") დიდი მსგავსება დასავლეთ ევროპის სინამდვი-

---

[1] აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოს და სომხეთის ისტორიის მონაცემები, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1960, V გამ., გვ. 400.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ლესთან. ამის თაობაზე რუსი ისტორიკოსი ა. პ. ნოვოსელცევი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირში არსებობს განსაზღვრული ტრადიცია ფეოდალური და წინამავალი პერიოდების შესწავლისა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით, კერძოდ, ამიერკავკასიის ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის მიმართ, რომ ამის ცდა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ეკუთვნის „XX საუკუნის დიდ ქართველ ისტორიკოსს ივანე ჯავახიშვილს"[1]-ო (პირველ რიგში იგულისხმებოდა. რასაკვირველია, მისი „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წესწყობილება") და იქვე დასძენდა: „ამგვარმა საქებარმა წამოწყებამ, სამწუხაროდ, ვერ ჰპოვა განვითარება ამიერკავკასიის შუასაუკუნეების ისტორიოგრაფიაში"[2]. ეს შენიშვნა საერთოდ სწორი გახლავთ, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ ეხება თვითონ ივანე ჯავახიშვილს, რომელიც კვლავაც აგრძელებდა წარმატებულ მცდელობებს აღნიშნული მიმართულებით.

გიორგი მთაწმინდელის ღვაწლის თაობაზე „ქართველი ერის ისტორიის" მეორე წიგნში ვკითხულობთ: „გიორგი მთაწმინდელმა, მაშასადამე, ქართული ეკლესიის წოდებრიობა დაარღვია, წოდებრივი უპირატესობა საეკლესიო საქმეში უარჰყო და ადამიანის პირადი ღირსება წინ წამოაყენა, თანაც ეცადა ქართული ეკლესიისათვის დემოკრატიული მიმართულება მიეცა"[3]. ფართო მასშტაბით შესაბამისი ღონისძიება, როგორც ვიცით, განახორციელა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ. და ეს მოხდა მაშინ, როდესაც „თვით დასავლეთს ევროპაშიაც-კი ეკლესიასა და მონასტრებში დემოკრატიული მიმართულება XIII საუკ. დაიწყო მხოლოდ; რომ იქ მსოფლიო ეკლესიის წოდებრივ-პატრონყმური წესწყობილება, როგორც ცნობილია, პირველად ფრანცისკმა დაარღვია"[4].

ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის პროგრამის თაობაზე ივანე ჯავახიშვილი დაასკვნიდა: „ამგვარად, ცხადია, რომ საქართველოში თვითმპყრობელობის აჩრდილიც კი უნდა გამქრალიყო და

---

[1] იხ. А. П. Новосельцев, В. Т. Пашуто, А. В. Черепнин, Пути развития феодализма («Закавказье, Средняя Азия, Прибалтика, Русь»), Москва, 1972, გვ. 9.

[2] იქვე.

[3] დასახ. წიგნი, გვ. 191.

[4] იქვე.

მის ‘აგიერ პარლამენტის მსგავსი დაწესებულება უნდა დაარსებულიყო“[1]; „ამდენად, საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილება ისეთ კალაპოტში დგებოდა, რომ თუ არა ქვეყნის შეფერხება გარეშე ძალთაგან, შემდგომში აღნიშნული დაწესებულების შემადგენლობა თანდათან შეიცვლებოდა“[2]. ივანე ჯავახიშვილი ამგვარ შედარებას ახდენდა: „საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში მომხდარი ეს ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილება იმ ცვლილების საგულისხმო და წინამორბედ ანალოგიურ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც XIII საუკ. დამდეგს ინგლისში, როგორც ცნობილია, მოხდა, და „მაგნა ხარტა ლიბერტატუმ“-ის შექმნითა და ინგლისის მეფის ხელისუფლების შეზღუდვით დამთავრდა“[3].

ჯერ კიდევ 1914 წელს „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში (პირველ გამოცემაში) ჩვენი დიდი ისტორიკოსი წერდა: „ერთი სიტყვით, ქართველობამ ელინური შემოქმედების ნიმუშები იგემა და დაეწაფა იმ ცხოველმყოფელს ელინიზმს[4], რომლის ღრმა და საუძვლიანმა შესწავლამ დასავლეთს ევროპაში ეგრეთწოდებული „რენესანსი“ წარმოშვა. საქართველომ ეს მოძრაობა უკვე მე-12-ე საუკ. დაიწყო, მაგრამ მისი დასრულება მონღოლთა შემოსევამ შეაფერხა“[5]. მოგვიანებით, საქართველოს ისტორიის პირველ სახელმძღვანელოში ივანე ჯავახიშვილი კვლავ აღნიშნავდა, რომ „მე-11—12 საუკუნეების ქართულ ხელოვნებას ახასიათებს მთელი რიგი ნიშნები, რომლებიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ევროპაში საფუძვლად დაედო ეგრეთწოდებულს რენესანსის (აღორძინების) ხანას“[6].

პრიმიტიული ევროპოცენტრიზტული წარმოდგენების კრიტიკისას ივანე ჯავახიშვილი, როგორც ცნობილია, საფუძვლიანად იყენებდა საქართველოსა და სომხეთის ისტორიის მონაცემებს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ისტორიკოსი აღნიშნავდა რომსა, საფრანგეთსა და გერ-

---

[1] დასახ. წიგნი, გვ. 250.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 378.

[4] ცხადია, ტერმინი „ელინიზმი“ აქ ნახმარია ფართო მნიშვნელობით, ანტიკური ხანის ბერძნული კულტურის აზრით.

[5] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 648.

[6] საქართველოს ისტორია, 1946, გვ. 232. ორივე მოტანილ ციტატაში „რენესანსის“ წინ სიტყვა „ეგრეთწოდებული“, როგორც ჩანს, იმიტომ იხმარება, რომ ახალი მოვლენა ძველის პირდაპირი, ყოველმხრივი გამეორება როდი ყოფილა.

მანიაში გავრცელებულ პატროცინიას (ბიზანტიაში „ხარისტიკარს"), ბენეფიციუმს და მათს შესაბამის მოვლენებს საქართველოში[1].

შევჩერდებით ერთ მაგალითზე, საიდანაც ჩანს ივანე ჯავახიშვილის ფართო საისტორიო თვალსაწიერი. ვგულისხმობთ IX საუკუნეში ბაგრატ კურაპალატის მიერ გლახაკთა წილის დაწესებას, რომელიც საქართველოში XIII საუკუნემდე არსებობდა. დიდი ისტორიკოსი სვამდა კითხვას, თუ საიდან, რომელი ქვეყნის მიბაძვით შემოიღეს ეს ტრადიცია. მის მიხედვით VI საუკუნეში გალიის ეკლესიაში შემოღებულ იქნა 10-პროცენტიანი საქველმოქმედო გადასახადი შემოსავალზე. შემდგომში კარლოს დიდმაც გამოსცა მსგავსი ბრძანებულება, მერე ისე მოხდა, რომ აღნიშნული გადასახადი ფეოდალებმა დაისაკუთრეს. ასე გადაგვარდა და მოიშალა ფრანკთა იმპერატორის განკარგულება ათპროცენტიანი საქველმოქმედო გადასახადის თაობაზე. ივანე ჯავახიშვილის ფიქრით, საქართველოში მსგავსი ტრადიცია დასავლეთიდან ვერ გავრცელდებოდა; გამოურკვეველია, არსებობდა თუ არა ამგვარი გადასახადი ბიზანტიაში. ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ, რომ ბიზანტიის ხელისუფლებამ გლახაკებზე ზრუნვა სამღვდელოებას მიანდო. ამდენად, ბიზანტიის გზაც გამოირიცხებოდა. ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით ამგვარი გადასახადი არც მაჰმადიანების 10-პროცენტიანი საქველმოქმედო გადასახადის მიბაძვით იქნა შემოღებული საქართველოში, რადგან აქ ათი პროცენტი გადასახადიდან კი არ იყო შემდგარი, არამედ მთელი სახელმწიფოს შემოსავლიდან (ბიუჯეტიდან) და დაპყრობილი ქვეყნებიდან შემოსული ხარკიდან[2].

რასაკვირველია, თავისი სპეციალობიდან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილი დიდ ადგილს დაუთმობდა საქართველოსა და სომხეთის შედარებითს შესწავლას. მართლაც ამას ნათლად, მთელი გარკვეულობით ვხედავთ „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივ წესწყობილებაში". როცა მსგავსებებს ხედავდა, ავტორი არ იფარგლებოდა ორი აღნიშნული ქვეყნით, არამედ ცდილობდა ამ თვალსაზრისით გაეთვალისწინებინა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიც. ნაშრომში ვკითხულობთ: „იყო თუ არა საქართვე-

---

[1] საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, გვ. 24—26.

[2] ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში, „ივერია", 1906, № 13, გვ. 13—14.

ლოსა და სომხეთის წესწყობილების თაობაზე მოკვლეულ შედეგებში რაიმე განსაკუთრებული, მხოლოდ ამ ორი ხალხისათვის დამახასიათებელი, თუ ჩვენს წინ იშლებოდა საერთო ხასიათის მოვლენები"[1]; „იმ ზომით, რაც ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წესწყობილების შესწავლას გამოკვლევის ავტორი მიჰყავდა განსაზღვრულ და საფუძველში მსგავს დასკვნებამდე, იგი უფრო და უფრო გრძნობდა მოთხოვნილებას შეედარებინა მიკვლეული მონაცემები აღმოსავლეთის სხვა ძველი ხალხების სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებთან"[2]. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ წინასწარულმა შტუდიებმა და საქართველოს სოციალური წესწყობილების გაცნობამ და მოპოვებული შედეგების შედარებითმა შესწავლამ სომხეთის საზოგადოებრივ წესწყობილებასთან შესაძლებელი გახადა ბევრი რამ გაცხადებულიყო და შეფასებულიყო შესაბამისი თვალსაზრისით[3].

დიდი ისტორიკოსის დაკვირვებით, ქართულ და სომხურ ენებში არ არსებობს საკუთარი სიტყვა „ქალაქის" გამოსახატავად. ეს კი უნდა აიხსნას იმით, რომ უძველეს დროში ორივე ქვეყანაში საქალაქო ცხოვრება ნაკლებად იყო განვითარებული, რომ ადმინისტრაციული, თავდაცვითი და სავაჭრო ცენტრები ცოტათი განსხვავდებოდნენ სხვა დანარჩენი დასახლებული პუნქტებისაგან[4].

ფაქტია, რომ საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლა ივანე ჯავახიშვილმა მნიშვნელოვანწილად დააფუძნა უცხოურ წყაროებზე. მათ მიხედვით კი შედარებითი მომენტი იმთავითვე იგულისხმებოდა, რადგან უცხოელ დამკვირვებელს ადვილად შეეძლო შეემჩნია ის სპეციფიკური, რაც საქართველოს ახასიათებდა თავიანთი ქვეყნებისაგან განსხვავებით, მაშინ როდესაც ადგილობრივი ისტორიკოსი ამ გარემოებას ვერ შეამჩნევდა[5].

ეხებოდა რა სტრაბონისეულ თხზულებაში მოხსენიებულ οἱ λαοί-ს საკითხს, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „... იმისათვის რათა უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენთვის საინტერესო სოციალური ჯგუფის შესახებ, აუცილებელია სხვა ქვეყნებში მისი

---

[1] Государственный строй древней Грузии и древней Армении. Санкт-Петербург, 1905, გვ. 137.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 81.

[4] იქვე, გვ. 41.

[5] იქვე, გვ. 7.

მდგომარეობის შედარებითს შესწავლას მივმართოთ, ვინაიდან ამ გზით შეიძლება დადგინდეს თუ რა უნდა ეგულისხმა სტრაბონს სიტყვა „οἱ λαοί"-ში[4]. ამ მიზნით ივანე ჯავახიშვილი განიხილავდა ეპიგრაფიკულ ძეგლს დიდიმეონიდან (სელევკიანთა სირიაში) და დაასკვნიდა, რომ „ლაოის" მდგომარეობა საერთოდ უახლოვდებოდა კოლონატს[2].

ივანე ჯავახიშვილი შედარებით პლანში იკვლევდა ქართული საზოგადოების, როგორც სოციალური სისტემის, სხვადასხვა მხარეს. ქართული სამართლის ისტორიის შესწავლაში იგი დიდად აფასებდა ნიკო ხიზანაშვილის (ურბნელის) დამსახურებას, მაგრამ აღნიშნავდა მის მთავარ ნაკლოვანებასაც, კერძოდ, „რომისა, დასავლეთი ევროპისა, ბიზანტიისა და აღმოსავლეთის სოციალური წესწყობილებისა და სამართლის შესახებ მას სათანადო წყაროებით სარგებლობა არ შეეძლო, რომ ამ გზით ქართულ იურიდიულ დაწესებულებათა ჯეროვანი შეფასება შესძლებოდა"[3]. რათა ქართული სამართლის შესწავლას ნამდვილ მეცნიერულ დონეზე ჰქონოდა ადგილი, სხვა წინაპირობების შემდგომ ქართული ინსტიტუტები უნდა შედარებულიყო „სხვა მეზობელ, გინდა შორეულ, მაგრამ ოდესმე საქართველოსთან დაკავშირებულ ერთა დაწესებულებასთან (!) შედარებითი შესწავლით, ქართული ამა თუ იმ ინსტიტუტის წარმოშობილობის გასაგებად და ღირებულების დასაფასებლად"[4].

აღნიშნულ და სხვა შემთხვევებში ივანე ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური პოზიცია ასეთი გახლდათ: „აქამდისინ ჩვენ მხოლოდ საქართველოს ნიადაგზე ვმოქმედობდით; შედარებისათვის არ მიგვიმართავს და მარტოდენ ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათა და თქმულებათა ისტორიულ შესწავლას ვაქცევდით ყურადღებას. მეთოდის მხრივ ჩვენ ამგვარი გზა ერთადერთ სამეცნიერო გზად მიგვაჩნია. მკვლევარი მოვალეა ჯერ ადგილობრივი მასალები ისტორიულად შეისწავლოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს უცხო ერთა ზნე-ჩვეულებასა, თქმულებასა და სარწმუნოებასთან შედარებას"[5].

---

[1] Государственный строй древней Грузии и древней Армении, Санкт-Петербург, 1905, გვ. 70.

[2] იქვე, გვ. 71.

[3] ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, 1928, გვ. VI.

[4] იქვე. გვ. VII.

[5] ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1908, გვ. 115.

კერძოდ, ამირანის შესახებ თქმულების შესწავლა გულისხმობდა შედარებითი მეთოდის გამოყენებას. ჯერ ქართლური, ფშაური, სვანური, აფხაზური შესაბამისი ვარიანტებისა და შემდგომ ბერძნულ და სომხურ მითებზე დაყრდნობით უნდა აღდგენილიყო ამირანის თქმულების თავდაპირველი სახე (არქეტიპი)[1]. იმხანად გავრცელებული იყო აზრი, თითქოს ჩვენი უძველესი ეპოსის მთავარი პერსონაჟის სახელი წარმომდგარიყოს სპარსული „აჰრიმანიდან". ამგვარი მოსაზრება, რომელიც უმთავრესად სახელთა მსგავსებიდან ამოდიოდა, ივანე ჯავახიშვილის მიერ შედარებითი მეთოდის მოხმობით ბათილდებოდა. იგი აღნიშნავდა: „სარწმუნოების ისტორიაში ძნელად თუ მოიპოვება ისეთი მაგალითი, რომ ბოროტი ღვთაება კეთილ ღვთაებად იქნეს აღიარებული. პირიქით, ჩვეულებრივ ყოველთვის, როდესაც ერი ძველ სარწმუნოებასა სტოვებს და ახალს ითვისებს, ძველი სარწმუნოების კეთილი ღვთაებანი ბოროტ სულებად არიან ხოლმე მიჩნეულნი. მაგალითად, ელინების დაემონიები ბოროტ დემონებად იქცნენ, კეთილი დივა ბოროტ დევად და მრავალი ამგვარი. ხოლო რაკი ამირანი ყველა ქართულ თქმულებაში კეთილ გმირად ითვლება, რომელიც განუწყვეტლივ ებრძვის ბოროტ სულებს და ადამიანთა მჭამელ მდევებს, ამიტომ შეუძლებელია სახელი ამირანი სწორედ ბოროტი ღვთაების აჰრიმანის სახელისაგან იყოს წარმომდგარი"[2].

დაასკვნიდა რა, რომ არც ერთ აღმოსავლეთის ხალხს (ბიზანტიელებს, ასურელებს, სომხებს და სხვ.) საერო პოეზია არა ჰქონია, ჩვენი დიდი ისტორიკოსი მაღალი პატრიოტული პათოსით დასძენდა: „დიახ, ყველგან ქრისტიანობამ და სამღვდელოებამ საერო პოეზია და ესტეტიური გრძნობა დაახშო, მხოლოდ საქართველოში მოწინავე საზოგადოებამ სამღვდელოებისა და თეოკრატიულ აზრთა ბატონობას თავი დაახწია, და მაღალ ესტეტიურ გრძნობას და ხელოვნებისადმი სიყვარულს ადგილი დაუთმო"[3].

ივანე ჯავახიშვილი ყოველთვის დიდ ადგილს უთმობდა ქართული და „კავკასიური" ენების შესწავლას შედარებითი მეთოდის მეშვეობით. ამასთანავე, აკრიტიკებდა იმ მკვლევრებს, რომელნიც

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, IV გამ., 1951; იხ. აგრეთვე V გამოცემა, 1960.

[2] ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, V გამ. გვ. 159.

[3] მამულიშვილობა და მეცნიერება, გვ. 51.

ზედაპირულად უდგებოდნენ მის გამოყენებას. ისინი „ქართულსა და „კავკასიურ“ ენებს ერთი ერთმანეთში დომხალივითა რევენ და თავიანთ აზრის დასამტკიცებლად ერთი მაგალითი ქართულიდან მოჰყავთ, მეორე ჩაჩნურიდან, მესამე ავარიულიდან, მეოთხე ჩერქეზულიდან და სხვა; ამგვარად თავიანთ შექმნილ ენას „კავკასიურს“ ეძახიან“[1]. ცხადია, რომ მსგავსი მცდელობები უშედეგოდ მთავრდებოდა[2]. ივანე ჯავახიშვილის ფიქრით, შესაძლოა ზოგიერთი ამ ენათაგანი ქართულის მონათესავე იყოს, მაგრამ ეს დამტკიცდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოხდება თავდაპირველი, წინარე ენის აღდგენა. ამდენად, მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი „კავკასიურ“ ენებზე ლაპარაკი[3]. ცნობილია, თუ როგორი რუდუნება გასწია ჩვენმა დიდმა მეცნიერმა აღნიშნული იდეის დასასაბუთებლად, რაც დაგვირგვინდა (1937 წელს) მონუმენტური ნაშრომის გამოქვეყნებით.

ივანე ჯავახიშვილი ასევე აკრიტიკებდა იმ მეცნიერთ, რომლებიც ამგვარადვე ზედაპირულად უდგებოდნენ ქართული და ურარტუული ენების ნათესაობის დამტკიცებას. მისი სიტყვებით, „თვით შედარების მეთოდიც, რომლის საშუალებითაც ისინი თავიანთ აზრს ამტკიცებენ, მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს; ლენორმანიცა და სხვებიც ამ წარწერების (ურარტუულის, გ. ყ.) ენას თანამედროვე ქართულს ადარებენ, თითქოს ქართული ველური ენა იყოს და მრავალი საუკუნის განმავლობაში მწერლობა არა ჰქონდეს, თითქოს შესაძლებელი იყოს, რომ ქართველებს მერვე საუკუნეში ქრ. წ. ისე ელაპარაკათ, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში ქრ. შ. ლაპარაკობენ. შეუძლებელია რომელსამე ენას ორი ათას შვიდასის (2700) წლის განმავლობაში დიდი ცვლილება არ გამოეაროს. ამიტომ შესადარებელ მასალად თანამედროვე კი არა, არამედ ძველი ქართული უნდა აიღონ ხოლმე“[4]. ასე რომ, კვლევა-ძიებამ რომ ამ თვალსაზრისით სასურველი შედეგი გამოიღოს „თავდაპირველად ძველი ქართული მწერლობის ენის უძველესი სახე უნდა აღდგენილ იქმნას, და, თუ ამის შემდეგ, ვანის წარწერების ენას მკვლევარი ქართულს

---

[1] ქართველი ერის ისტორია, ნაწილი პირველი, I გამ., 1908, გვ. 14—15.
[2] იქვე, გვ. 15.
[3] დასახ. ნაშრომი, იქვე.
[4] ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, IV გამ., 1951, გვ. 432.

შეადარებს, მხოლოდ მაშინ შესაძლებელია გამოკვლევამ ნაყოფიერი შედეგი მოიტანოს"[1].

როდესაც ივანე ჯავახიშვილი XII—XIII საუკუნეების საქართველოს „მილიტარისტულ" საგარეო პოლიტიკას აკრიტიკებდა, ამასთანავე დასძენდა: „მართალია მარტო საქართველოში არ იყო ასეთი მდგომარეობა; სხვაგანაც, სპარსეთშიაც და დასავლეთ ევროპაშიაც სულ ომიანობაზე ეჭირათ თვალი, ეგებ სადმე ჩვენი ვაჟკაცობა და ძალა გამოვიჩინოთ და თანაც დავლა ვიშოვნოთო"[2].

„ქართველი ერის ისტორიის" მესამე წიგნში ურთიერთშედარებულია თემურ-ლენგისა და მონღოლთა შემოსევები, ასევე XV საუკუნის მეორე ნახევრის ერთი მხრივ დასავლეთ ევროპის აღმავლობისა და მეორე მხრივ ჩვენი ქვეყნის დაქვეითება-დაცემის სურათები[3], ხოლო „საქართველოს ეკონომიური ისტორიის" მეორე წიგნში — ჩვენი და მეზობელი ქვეყნების მევენახეობა[4].

„ქართული დიპლომატიკის ისტორიის" გამოცემისას ივანე ჯავახიშვილი მიმოიხილავდა საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, ბიზანტიის, სპარსეთისა და სომხეთის დიპლომატიკის შესწავლის ისტორიასაც. ალექსანდრე ხახანაშვილის მისამართით კი იგი შენიშნავდა, რომ ამ უკანასკნელს ჰგონია თითქოს ჩვენებური მოსახლეობის აღწერებსაც იგივენაირი დანიშნულება ჰქონდა, რაც რუსების „Ревизские сказки"-ს, მაგრამ ჩვენებურ აღწერებს, ივანე ჯავახიშვილის აზრით, უფრო ფართო მნიშვნელობა გააჩნდა და თუ საქმე შედარებაზე მიდგება, ისინი შეიძლება მხოლოდ „писцовые книги"-ს შევადაროთ[5].

ამგვარი მაგალითების მოტანა ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებიდან კიდევ ბევრი შეიძლებოდა, მაგრამ მოტანილიც, ვფიქრობთ, ცხადად აჩვენებს იმას, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გა-

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, IV გამ., 1951, გვ. 432.

[2] საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 72.

[3] დასახ. წიგნი, გვ. 323.

[4] დასახელებულ წიგნში ვკითხულობთ, რომ „კერძოდ მევენახეობის დარგში სპარსეთისა და არაბეთის მევენახეობის მიმოხილვის გამოტოვება მომიხდა, თუმცა ამისათვის სპარსული წყაროებიდან საგულისხმო ცნობები მქონდა ამოკრეფილი". იხ. გვ. V.

[5] ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში, „მოამბე", 1902, № 4, გვ. 82.

მოყენებისასაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ივანე ჯავახიშვილი ისევ თივე სწორუპოვარი გახლდათ, როგორც კრიტიკული (საისტორიო-ფილოლოგიური) მეთოდით სარგებლობისას. ამ მხრივაც ჩვენი დიდი მეცნიერის ისტორიოგრაფიული შემოქმედება დღემდე დიდად მისაბაძ ნიმუშად რჩება.

3. რეტროსპექტული მეთოდი

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შესახებ მსჯელობისას ჩვენ შევეხეთ ილიასეულ აზრს, რომლის მიხედვითაც შესადარებელი მოვლენები მომენტალურ, მყისეულ მდგომარეობაში კი არა, არამედ მთელს სიგრძეზე, პროცესების სახით უნდა გააზრებულიყო და შედარებულიყო. თუ პროცესების სათავე ყოველ შემთხვევაში ასე თუ ისე ცნობილია, მაშინ აზროვნება იწყება სათავიდან და მიჰყვება ბოლომდე, პროცესის დასასრულამდე, მაგრამ სათავე თუ არა ჩანს ანდა ძალზე გაბუნდოვანებულია, მაშინ აზროვნება იწყება ბოლოდან, ანდა იმ მომენტიდან, როცა მოვლენა უკვე გამოკვეთილი სახით ჩანს. ივანე ჯავახიშვილიც აღნიშნულ აზროვნებით ოპერაციას ისტორიულ-შედარებითი მომენტის შემადგენელ ნაწილად თვლიდა. რა თქმა უნდა, ეს ასე გახლავთ, მაგრამ მაინც ღირს რეტროსპექტულ მეთოდზე ცალკე ვილაპარაკოთ, მით უმეტეს, რომ ჩვენი დიდი ისტორიკოსი მას საკმაოდ ხშირად იყენებდა.

როცა იბერიის (ქართლის) საზოგადოების სტრაბონისეულ აღწერილობას ეხებოდა (ძვ. წ. I ს.), ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ამის წყალობით მკვლევარს სანდო დასაყრდნობი აქვს, რომელიც მას საშუალებას მისცემს რეტროსპექტულად უფრო უძველესი ხანის მდგომარეობაც გაითვალისწოროს (!) და ამავე სფეროში მოვლენათა მერმინდელი ცვლილების შესაფასებლადაც გამოდგება“[1]. ამდენად, დგება საკითხი იმის თაობაზე, თუ აღწერილმა სოციალურმა და პოლიტიკურმა სტრუქტურებმა როდის იჩინეს თავი.

უფრო უწინ, ქსენოფონტეს მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქართველი ტომების (ეთნოსების) აღწერილობის კომენტირებისას, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „რამდენადაც

---

[1] ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი, 1928, გვ. 137—38.

ასე მკაცრად სრულდებოდა ტომობრივი დაყოფის პრინციპი სამხედრო ორგანიზაციის დროს იმ ეპოქაში, როცა თითქმის მთელი ქართველური ტომები გაერთიანებული იყვნენ საერთო სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ქვეშ, ამდენად უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვიგულისხმოთ დომინირებული მნიშვნელობა მოცემული პრინციპისა საქართველოს უძველესი პერიოდის სამხედრო ორგანიზაციაში"[1]. ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით, „მეტიც, ლაშქარი საბრძოლველად გამოდიოდა და მოქმედებდა არა მხოლოდ ტომების, არამედ, საგულვებელია, აგრეთვე გვარებისა და ხეობების მიხედვით: ამგვარ დასკვნამდე მივყევართ იმ ყოვლისმომცველ მნიშვნელობას, როგორიც გვარს ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოებრივ და სოციალურ წესწყობილებაში"[2].

ივანე ჯავახიშვილი სპეციალურად ჩერდებოდა მაკრონებსა და დრილებში გავრცელებულ ხის წკეპლებისაგან მოწნული ფარების მაგალითზე (ქსენოფონტეს აღწერილობის მიხედვით) და დასძენდა: „მსგავსი ტიპის ფარები, როგორც ჩანს, ყველა ქართველურ ტომში საყოველთაოდ იყო გავრცელებული; ამნაირ დასკვნამდე მივყევართ იმ ფაქტს, რომ ქართველი ტომების განსახლების ისეთ უკიდურეს ჩრდილოეთ პუნქტში როგორიცაა სევსურეთი, თვით უკანასკნელ დრომდეც კი ბიჭუნები ორთაბრძოლაში გადიან გრძელი ხის ხმლითა და გაქერქილი ტირიფის წკნელებისაგან მოწნული ფარებით"[3].

კვლავ სტრაბონის ხანას რომ დავუბრუნდეთ, აღწერილობაში აღნიშნულია, რომ იბერიაში (ქართლში) შენობები ქვით ნაგები და კრამიტით დახურული იყო. ივანე ჯავახიშვილის მახვილგონივრული შენიშვნით, ასეთი ვითარება ყველგან როდი იქნებოდა, რადგან კერძოდ საქართველოს აღნიშნულ რეგიონში ბოლო დრომდე რჩებოდა გავრცელებული საცხოვრებელი მიწურები, რომლებიც მოგვაგონებდნენ ქსენოფონტეს მიერ სომხეთში ნახულ სახლებს[4].

XI საუკუნის 60-იან წლებში შესრულებული წარწერის (რომელიც ატენის გაქალაქებას გადმოსცემს) განმარტებისას ივანე ჯავახიშვილი წერდა: „მართალია ეს წარწერა, ატენის სიონის წარწერა,

---

[1] Государственный строй..., გვ. 65.

[2] იქვე,

[3] იქვე, გვ. 64.

[4] იქვე, გვ. 29.

მეთერთმეტე საუკუნისაა, მაშასადამე, საქართველოს ნივთიერი კულტურის ისტორიისათვის საკმაოდ მოგვიანებული ცნობაა, მაგრამ მაინც საყურადღებო გარემოებანი არიან აღბეჭდილნი, რომელიც რეტროსპექტიულად შესაძლებელია უფრო ადრინდელი ხანისათვის გასათვალისწინებლად იყოს გამოყენებული"[1].

გიორგი ბრწყინვალის ზეობის ხანის უარყოფით მოვლენებს რომ ეხებოდა, ივანე ჯავახიშვილი დაასკვნიდა: „ადვილი წარმოსადგენია, თუ რა საშინელება უნდა ყოფილიყო იმაზე უწინარეს ხანაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება უძლური იყო და ქვეყნის ამლილობას ბოლო არ უჩანდა"[2].

ამრიგად, რეტროსპექტიული მეთოდის მიხედვით უფრო გვიანდელი სანის მოვლენები გასაღებს წარმოადგენენ უწინდელი ხანის გასაგებად. მაგრამ ივანე ჯავახიშვილის აზრით, ეს სულაც არ ნიშნავს მსგავსი აზროვნებითი პროცედურის ჩატარებას წარსულის მოვლენათა შეფასებისას. პირიქით, „წარსულის საკითხების დაფასება (შეფასება, გ. ყ.), თუნდაც ეს საკითხი სამართლის მეცნიერების სფეროს ეხებოდეს, თანამედროვე სამეცნიერო ნორმების მიხედვით-კი არ შეიძლება, არამედ ამისთანა შემთხვევაში ისტორიული თვალსაზრისი აუცილებელი და ერთადერთი უტყუარი გზა არის"[3]. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილი კრიტიკულად ეხებოდა ლეონტი მროველის ცნობას ძველ ქართლში კერძო საკუთრების მაღალი განვითარების შესახებ და თვლიდა, რომ მემატიანეს „მისი თანადროული უფლებრივი ნორმები გადაჰქონდა საქართველოს პირველყოფილ ეპოქაში"[4]. სხვაგან იგი მიუთითებს, რომ „მე-XII საუკ. მწერლის ღირსებათა და ღვაწლის დაფასება მხოლოდ მე-XII საუკუნეშივე არსებულ პოეტურ მოთხოვნილებათა და შეხედულებისდაგვარად შეიძლება"[5]. იმოწმებდა რა ილიას დიდებულ აზრს იმის თაობაზე, რომ ჭეშმარიტი მეისტორიე „ჯერ იმ დროების ქერქში ჩაჯდეს და მერე განიკითხოს

---

[1] მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946, გვ. 32.

[2] თხზულებანი თორმეტ ტომად, III, გვ. 164—65.

[3] დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, გვ. 29.

[4] Государственный строй... გვ. 52.

[5] მამულიშვილობა და მეცნიერება, გვ. 45.

თვით დროების შვილნიცა“, ივანე ჯავახიშვილი განაგრძობდა: „ს-ისტორიო მეცნიერებაში ამას ისტორიული პერსპექტივის აუცილებ-ლობა ეწოდება და მართლაც, ცხადია, რომ უამისოდ წარსულის არც ერთ შეფასებას ღირებულება არ ექნება“.[1]

4. ობიექტივიზმი ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებაში

როგორც ცნობილია, საბჭოურ მეცნიერებაში ობიექტივიზმი გა-ნიხილებოდა წმინდა ბურჟუაზიულ მიმართულებად, რომელიც ემსა-ხურებოდა მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიის (როგორც კლასის) ინ-ტერესებს. იქამდეც კი მიდიოდნენ, რომ მას სუბიექტურობის (კლა-სობრივი) სინონიმად მიიჩნევდნენ და ამდენად, „ობიექტივიზმსაც“ და „ობიექტურობასაც“, ასევე „ობიექტივისტ-ისტორიკოსს“ ოდიო-ზური შინაარსით მოიაზრებდნენ. სამაგიეროდ თვლიდნენ, რომ ის-ტორიაში ჭეშმარიტების ძიება და მოპოვება მხოლოდ კლასობრივი და განსაკუთრებით პარტიული პრინციპებით შეიძლებოდა. აქედან გამო-მდინარე, „ნამდვილი“ ისტორიკოსი იმთავითვე უნდა დამდგარიყო მუ-შათა კლასისა და კომუნისტური პარტიის პოზიციებზე და შესაბამი-სად გაეაზრებია აწმყოც, წარსულიც და მომავალიც. ასე რომ, ბოლ-შევიკურ-კომუნისტური წარმოდგენით ჭეშმარიტების წვდომა-გაგება თითქოს დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ აწმყოსა და უახლოესი წარსულის თაობაზე ისტორიკოსებს ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის ნაშრომებში, სკკპ ყრილობების დადგენილებებში და ა. შ. სახელმძღვანელო დებულებანი მზამზარეული სახით ეძლეოდათ. პარადოქსია, რომ საბჭოთა ისტორიკოსთა დიდი უმრავლესობა ოდ-ნავ კრიტიკულადაც კი არ უდგებოდა ამგვარ პოზიციას, თორემ ად-ვილად დაინახავდნენ, რომ კლასობრიობისა და პარტიულობის პრინ-ციპების საფარველით ფართო, არნახული გასაქანი ეძლეოდა სუბიექ-ტივიზმს (ამჯერად კლასობრივსა და პარტიულს).

ამგვარი პრიმიტიული აზროვნებისას, ცხადია, გაგება ობიექტი-ვისტური მიმართულების საზრისისა, რომელსაც ლეოპოლდ რანკემ დაუდო სათავე, გამოირიცხებოდა. რასაკვირველია, თვითონ რანკეს ისტორიოგრაფიულ შემოქმედებაშიც კი ობიექტურობას რაღაც ად-გილი რჩებოდა, რაც აბსოლუტურად გამორიცხული იყო ზემოაღ-

---

[1] ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, გვ. 8.

ნიშნული პრინციპების გამოყენებისას. მაგრამ ცნობილი გახლავთ, რომ რანკე სოციალურად და პოლიტიკურად კონსერვატიზმის პოზიციაზე იდგა და განზე იყო თანადროული გერმანიის პროგრესული ძალებისაგან. შემთხვევითობას არ წარმოადგენდა, რომ 1841 წლიდან იგი პრუსიის სამეფოს მთავარი ოფიციალური ისტორიოგრაფოსი გახდა. და ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, „ძლიერთა ამა სოფლისათა" იმ-ჟამინდელ პრუსიაში არ შეშლიათ. რანკესაგან განსხვავებით სხვა-გვარი იყო ფრიდრიხ შლოსერის (თითქმის მისი თაობის წარმომად-გენლის (1776—1861) სოციალურ-პოლიტიკური პოზიციები, რაც აისახა შესაბამისი, განსხვავებული ისტორიული სიუჟეტების დამუშა-ვებაშიც. რასაკვირველია, შლოსერსაც თავის თავი ობიექტივიზმის წარმომადგენლად მიაჩნდა, მაგრამ თუ მდგომარეობას მიუდგომლად განვიხილავთ, მაშინ დიდი ისტორიკოსის ნააზრევში ბევრი რამ სხვა-ნაირად წარმოჩნდება. მაგრამ პრობლემა ის გახლავთ, რომ მიუხედა-ვად ორივე ფრიად გამოჩენილი ისტორიკოსის პრეტენზიებისა ობიექ-ტურობაზე, სინამდვილეში, ვთქვათ ფიზიკოსისა ან ბიოლოგოსის ობიექტურობისაგან განსხვავებით, მათს ნააზრევს აშკარად აზის შე-საბამისი სოციალურ-პოლიტიკური პოზიციების დაღი. თეოდორ მომ-ზენიც თითქოს დიდი ობიექტივისტი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ მან არ დაწერა „რომის ისტორიის" მეოთხე ტომი, რის მიზეზსაც წარმო-ადგენს სწორედ ისტორიკოსის სუბიექტური მოტივი.

სხვა მაგალითებითაც რომ ვიმსჯელოთ, აბსოლუტურად ობიექ-ტურ პოზიციაზე მდგომად მიაჩნდა თავი ტაციტუსს, როცა Sine ira et studio-ს (გაბრაზებისა და მიკერძოების) პრინციპს აც-ხადებდა, ასევე ჩვენს „ჟამთა აღმწერელსა" (მოვიგონოთ მისი ცნო-ბილი სიტყვები: „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტების მეტყველება არს, არა თუალახმა ვისამე") და ვახუშტი ბატონიშვილს, რომელიც წერდა: „მატიანე მეტყველებს ჭეშმარიტსა და არა სცბის" და ა. შ. მაგრამ მიუხედავად მათი პრეტენზიებისა აბსოლუტური ობიექტურო-ბა, რასაკვირველია, მათთანაც მიუწვდომელ იდეალად რჩებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნული, თუ ისტორიოგრაფიის ბუნებას გა-ვითვალისწინებთ, სავსებით ბუნებრივია და არ ნიშნავს საისტორიო დარგის არამეცნიერულობას. ვთქვათ ფიზიკასა ან ბიოლოგიაში ობიექტურობა, როგორც უკვე ვამბობდით, ადვილად მისაღწევია (ცხადია, სათანადო ნიჭისა და შრომისმოყვარეობის პირობებში). ამ შემთხვევებში ფიზიკოსის ანდა ბიოლოგოსის სოციალურ-პოლიტი-

კური პოზიციები, შესაბამისი განწყობა-განწყობილებანი არ აისახება შესასწავლი ობიექტების გაგება-გააზრების შინაარსზე. მაგრამ ამ ეთარებისაგან განსხვავებით ისტორიკოსისათვის ობიექტურობის პრინციპის დაცვა ბევრად უფრო ძნელია. თუმცა თუ აბსოლუტური აზრით არა, მეტნაკლებად ეს მას ხელეწიფება, თუ რასაკვირველია, ისტორიკოსი მოწოდებითაა ასეთი, ემსახურება თავის პროფესიას და სათანადო მორალური თვისებებითაც ხასიათდება.[1]

ივანე ჯავახიშვილს რომ უთუოდ გააჩნდა ასეთი თვისებები (პრინციპულობა, ისტორიული ჭეშმარიტებისადმი დიდი სიყვარული, მოურიდებლობა (სიტყვის კარგი გაგებით) გარკვეული სოციალური ძალების მიმართ და მისთანანი) კარგად გამოჩნდა უკვე 1898 წელს, როცა იგი მესამე კურსის სტუდენტი გახლდათ და როცა დაწერა ნაშრომი „ანდრია მოციქულის და წ~ა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში"[2] (პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში" (№ V—VI) 1900 წელს). ჩვენი დიდი ისტორიკოსი პირდაპირ აღნიშნავდა: „საზოგადოდ ჩვენი მკვლევარები მეტისმეტი ნდობით, თითქმის მოწიწებით ეპყრობიან ჩვენ ორ უძველეს მატიანეს", ე. ი. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-სა და შატბერდისეულ „ნინოს ცხოვრებას"[3] და დასძენდა: „ცხადია, მგონი, რომ შატბერდისეულ წ~ა ნინოს ცხოვრების ავტორის ცნობა ვითომც ნინოს სიკვდილის წინ ეამბნას თავგადასავალი,

---

[1] ივანე ჯავახიშვილის სასიათის ობიექტურობის ნიშან-თვისების წარმოსაჩენად შევჩერდებით ორ მოგონებაზე. გიმნაზიელი ამხანაგის გაბრიელ ფონდოეის თანახმად თუ ამხანაგთა წრეში რაიმე კონფლიქტი წარმოიშობოდა, სათანადო, ობიექტური მსჯავრის გამოსატანად სწორედ მომავალ დიდ ისტორიკოსსა და მამულიშვილს მიმართავდნენ. ფიზიკოსი ვასტანგ პარკაძე მოგვითხრობს, თუ როგორ მოძღვრავდა მას ივანე ჯავახიშვილი: „ერთი რამ ყოველთვის გასსოვდეთ: როგორც არ უნდა გიჭირდეთ, მეცნიერული კვლევის პროცესში ყოველთვის ობიექტური იყავით, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს შრომას არავითარი მეცნიერული ღირებულება არ ექნება". იხ. ავტორის „მოგონებები ქართველ მეცნიერებზე", თბილისი, 1994, გვ. 8.

[2] აღსანიშნავია რომ ივანე ნიჟარაძის მოგონებით ივანე ჯავახიშვილს მოხსენება „ანდრია მოციქულის მოგზაურობა საქართველოში" ჯერ კიდევ გიმნაზიაში წაუკითხავს. როგორც ჩანს, მალე იგივე მოხსენება სხვა წრეშიც მოუსმენიათ, როცა ერთ-ერთ მსმენელს თავისი კრიტიკული აზრი გამოუთქვამს აღნიშნული ფაქტის სინამდილეზე, ყმაწვილ ივანე „ჯავახიშვილს არ გაუზიარებია ისტორიული ფაქტების ამგვარი „უსაფუძვლოდ" უარყოფა (იმავე პიროვნების მოგონება). ამ მხრივ მკვეთრი მეტამორფოზი რამდენიმე წლის შემდეგ მომხდარა.

[3] დასახ. ორგანო, V, გვ. 57.

დასაჯერებელი არ არის... შატბერდისეული ცხოვრების ტექსტი ვერც ნინოს ნაამბობად ჩაითვლება და ვერც იმის თანამედროვეთა და თანამოღვაწეების ნაწერად"[1]. თუმცა, რასაკვირველია, საკუთარი როდი უარყოფდა „ნინოს ცხოვრების" ისტორიულ (ისტორიოგრაფიულ) ფასეულობას.

ივანე ჯავახიშვილისავე კატეგორიული მტკიცებით, VIII—IX საუკუნეების განათლებულ ქართველებს ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მიმოსვლის თქმულება არ სცოდნიათ და იგი (თქმულება) ჩვენთან ქართველმა ბერებმა ბიზანტიიდან შემოიტანეს და გავრცელეს. თქმულებამ თავის დროზე და შემდგომაც, დიდი ხნის განმავლობაში, სასარგებლო იდეოლოგიური დანიშნულება შეასრულა, მაგრამ „ესლა დრო იყო, რომ ეს თქმულებები მეცნიერებას შეესწავლა და თავის პირუთვნელი და მიუდგომელი მსჯავრი გამოეთქვა"[2].

ივანე ჯავახიშვილისეული არგუმენტები და ლოგიკა იმდენად დამაჯერებელი გახლდათ, რომ იმხანად თითქმის ვერავინ ვერ გაბედა ავტორს შეკამათებოდა[3].

ობიექტური აზროვნების სიძნელის გარემოება ივანე ჯავახიშვილს მშვენივრად ჰქონდა გაცნობიერებული. ჯერ კიდევ 1916 წელს იგი აღნიშნავდა: „თანამედროვე მკვლევარმა ისიც უნდა იცოდეს, რომ აღმწერელის თვალსაზრისი, წოდება, და მედასეობა საისტორიო მოთხრობაზე თავისს ძლიერ დაღს ასვამს ხოლმე და ნებაუნებლიედ მიუდგომელობაზე მოქმედებს, რომ „მაცდურ სოფლის" მოძულე ბერი-მემატიანე თავისუფალი აზროვნების და ყოფა-ცხოვრების მიმდევარი საზოგადოებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა დახასიათების დროს პირუთვნელობას ვერ გამოიჩენდა, მეფეთა პოლიტიკის მომხრე და კარის მემატიანეც მეფეთა საძრახისს საქციელს, ან სათაკილო ამბების აღწერილობას თავის ნაწარმოებში არ შეიტანდა, ხოლო მეფეთა მოწინააღმდეგე აზნაურთადმი სიძულვილს ვერ შეიკა-

---

[1] დასახ. ორგანო, V, გვ. 62.

[2] „მოამბე", 1900, № VI, გვ. 49.

[3] მხოლოდ ერთმა — „ვინმე მესხმა" (ივანე გვარამაძემ) გაბედა გამოხმაურება, მაგრამ ოდენ ასეთი შიშველი განცხადებით შემოიფარგლა: „წ~ა ნინოსა და წ~ა ანდრია მოციქულზედ ევროპიულებ ფიცხი კრიტიკა, არ გაირჩა არც ნამდვილი ნამდვილად, არც ჭკუა გასაჭრელი დასაჯერად და არცარა საეჭვო ჭკუა გასაჭრელად". იხ. ჟურნალი „მოგზაური", III, 1901, № 12, გვ. 1185—1193.

ვებდა და სხვა"[1]. სხვანაირად, ვიმეორებთ, ისტორიოგრაფიაში ეს გამოირიცხება; საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ისტორიკოსის სიმპათია-ანტიპათიების, მგზნებარება-გულგრილობისა და მისთანათა გამჟღავნების გარეშე საისტორიო თხრობა შეუძლებელია.

ივანე ჯავახიშვილი დიდად აფასებდა პაპუნა ორბელიანს როგორც ისტორიკოსს და თვლიდა, რომ მის ნაშრომში „ასე საუცხოოდ სჩქეფს ავტორის მამულიშვილური გრძნობა და გამოსჭვივის ისტორიკოსის მიუდგომელი, ბრძენი გონება"[2]. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი დიდი ისტორიკოსი სანაქებოდ თვლის XVIII საუკუნის ისტორიკოსის სხვა თვისებებსაც, როცა წერს: „პ. ორბელიანი ცხოვრებაში ჩახედული, ღრმა-მოაზრე და ეროვნულ-საზოგადოებრივ გრძნობებით გამსჭვალული ისტორიკოსია. მისი მამულიშვილური გული თანამოძმისადმი სიყვარულით სძგერს, მისი გონება და აზრი საქართველოს მომავალს დასტრიალებს და ქვეყნის სიმტკიცეზე ოცნებობს"[3]. სულ სხვანაირი იყო მისი წინამორბედი ისტორიკოსი: „სეხნია ჩხეიძეს კიდევ ერთი ნაკლი აქვს: როცა იგი იმდროინდელ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას გვისურათებს ხოლმე, მისი თხრობა მუდამ უშფოთველი არის, პირიქით მოღიმარი და მხიარულიც-კია, თითქოს იგი ყველაფრის კმაყოფილი იყო: პოლიტიკური უკუღმართობა მას არ აღელვებდა, ამისთანა შემთხვევაში მისი ცნობები მოკლე და მარტივია. სამაგიეროდ მას ლხინისა, ლოთობისა და განცხრომის ამბავის მოთხრობა არ ავიწყდებოდა... საზოგადოდ მის ნაწერს უდარდელობისა და ქარაფშუტობის ელფერი ადევს: საქართველო დიდს განსაცდელში იყო პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც, ს. ჩხეიძე-კი სწერდა: „მტერი არსაით აუჩდიან"-ო[4]. საერთოდაც „მისი აღწერილობა ხშირად გაზვიადებულია და ამ მხრივ უფრო სპარსულ ისტორიკოსებს მიაგავს, ვიდრე ქართველ ისტორიკოსებს"[5]. ივანე ჯავახიშვილი სეხნია ჩხეიძეს უსაყვედურებდა კერძოდ ვახტანგ VI-ის ღვაწლის შეუფასებლობაში: „ამ

---

[1] ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ. ტ. VIII, თბილისი, 1977, გვ. 26.

[2] დამოკიდებულება საქართველოსა და რუსეთს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, ტფილისი, 1919, გვ. 15.

[3] ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 367—68.

[4] იქვე, გვ. 361.

[5] იქვე.

შემთხვევაშიც ს. ჩხეიძე, როგორც ჩვეულებრივ, ცივი და გულგრილია, მისი ბაგე დუმს, მის მარჯვენას კალმის მოსმა ეზარება... საზოგადოებრივი და მამულიშვილური გრძნობა მას მოდუნებული აქვს"[1]. ასევე „როდესაც იგი ვახტანგ VI-ის ბედის უკულმართობას მოგვითხრობს, როცა იგი გვიამბობს, რომ მეფე ყოველმხრივ მოტყუებული იძულებული იყო სამშობლოსათვის თავი მიენებებინა და უცხოეთში შეეფარებინა თავის მრავალტანჯული თავი, მას, მეფის მოლარეთ-უხუცესს და ისტორიკოსს, ერთხელაც არ წამოსცდენია მწუხარების გამომხატველი სიტყვა, მუხთალ იღბლისადმი მაინც წყევლა-კრულვა, რომელმაც ასეთი ნიჭიერი და საქართველოსათვის ჭირნახულევი მეფე სამშობლოს უდროოდ მოსტაცა"[2].

ივანე ჯავახიშვილის კრიტიკას ამ მხრივ ვერ გადაურჩა თვით ქამთააღმწერელი — სეხნია ჩხეიძეზე ბევრად მაღალი დონის ისტორიკოსი. კერძოდ, მონღოლთა ბატონობის პერიოდში სამცხის ხანინჯად ქცევის (ფაქტობრივად საქართველოსაგან გამოყოფის) გამო ივანე ჯავახიშვილი წერდა: „იმ ხანისათვის დამახასიათებელია, რომ არ ჩანს ქართველი ქამთააღმწერელი ამით მაინცდამაინც აღშფოთებული ყოფილიყოს: მას დამშვიდებით მხოლოდ ამ საქმის ვითარება და მისი ხანგრძლივობა აქვს აღნიშნული: „მიერითგან იქმნეს ჯაყელნი ულუსისანი ვიდრე ქამთამდე მეფეთა შორის ბრწყინვალისა და საჩინოსისა დიდისა გიორგისთა"-ო[3].

თუმცა თვითონ ივანე ჯავახიშვილის განცხადებით „ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული, გამოირკვიოს, რა და რა პირობებისა და მიზეზისგან დამოკიდებული იყო სახელმწიფო, ან საზოგადოებრივ, ან არა და ზნეობრივ-გონებრივი განვითარებისა და წარმატების მიმდინარეობა";[4] „მშვენიერი რამაა სამშობლოსადმი სიყვარული, მაგრამ მაინ ცკაცი გადაჭარბებას უნდა უფრთხოდეს, მეტადრე მაშინ, თუ ამნაირი გადაჭარბება ჩვენს მსჯელობას ამახინჯებს",[5] მაგრამ ტაციტუსის მცნებას იგი, სავსებით სწორადაც, ვერ იცავდა. ამის ცხადყოფისათვის

---

[1] ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 362.

[2] იქვე.

[3] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, 1941, გვ. 36.

[4] მამულიშვილობა და მეცნიერება, გვ. 9.

[5] იქვე, გვ. 35—36. სხვათა შორის, აქ ციტირებულია ერთი ევროპელი ფილოლოგოსის აზრი.

მოვიტანთ შემდეგ მაგალითებს. პონტოსა და სომხეთის სამეფოების მეზვეურთა მიმართ „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ ტომში ვკითხულობთ: „...მითრიდატესა და ტიგრანის მტარვალურმა ქცევამ, შემზარავმა და დაუნდობელმა სიმკაცრემ! და დაპყრობილი ქვეყნები ხარკით მეტისმეტმა დატვირთვამ, დასასრულ, ტიგრანის პოლიტიკურმა სიბეცემ ასე ბრწყინვალედ დაწყებული და ასეთი განმაცვიფრებელი სისწრაფით შექმნილი საქმე მალე მოსპო და მთელი მონაპოვარი გაანია-ვა. ორივეს აგრესიულმა პოლიტიკამ სომხეთს სპარსეთი გადაჰკიდა, მასვე და პონტოს მეფეს კი რომის სახელმწიფო“[1]; „74 წლიდან რომთან ატეხილ ბრძოლაში ტიგრანმა მითრიდატეს წინდაუხედავად დახმარებაზე უარი უთხრა და ამით საერთო მტერს საუკეთესო საშუალება მისცა ისინი ცალცალკე და სათითაოდ დაემარცხებინა“[2].

ბაგრატ III-ის ერთი, ცნობილი პოლიტიკური საქციელის გამო ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა: „ბაგრატმა თავის მამიდაშვილების, კლარჯეთის მფლობელთა საბრძანებლის ხელში ჩაგდების გულისათვის, მასპინძლობისა და სტუმართმოყვარეობის წმინდა მოვალეობაც-კი დაივიწყა და საზარელი ცბიერება და სივერაგე გამოიჩინა“[3]. ამდენად, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (სარგებლიანობის) საქმეს შეეწირა ზნეობა, რის გამოც, სამართლიან აღშფოთებას გამოსთქვამდა ჩვენი დიდი ისტორიკოსი. გიორგი III-ის დროის ქართველთა საგარეო ლაშქრობების თაობაზე ივანე ჯავახიშვილი ასე შენიშნავდა: „ოღონდაც ასეთ უგურ (კორექტურული შეცდომაა, უნდა იყოს, რა თქმა უნდა, „უგუნურ“, გ. ყ.) ლაშქრობის ნახვა სწორედ რომ უცხო რამ არის: ადამიანი სწორედ თავის თავის მტერი უნდა იყოს, რომ ყველა თავისი მეზობლები ტყუილუბრალოდ გადაიკიდოს და თავისადმი სიძულვილი ჩანერგოს. განა ასე არ იქცეოდნენ ქართველი დიდებულები და ლაშქარი? ქართველები ისეთ თავდაცვწყებამდე მივიდნენ, რომ ომიანობა სასიამოვნო ხელობად და გასართობად გაიხადეს“;[4] „ან-კი რა საჭირო იყო ომიანობა, როცა შინ იმდენი საქმე ჰქონდათ გასარიგებელი. მაგრამ რაკი ლაშქარს ერთხელ გაუტკბება გამარჯვება და ნატყვენავის შოვნა, თავს ველარ შეიკავებს“;[5] „მარტო იმის გულისათვის, რომ ჯარი უსაქმოდ არა ყოფი-

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, V გამ. გვ. 4.

[2] დასახ. წიგნი, გვ. 4—5.

[3] საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, ტფილისი, 1905, გვ. 9.

[4] საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფილისი, 1907, გვ. 71.

[5] იქვე.

ლიყო და არ მოეწყინა, დიდსა და მეტად გაბედულ ომს იწყებდნენ, მეზობლებს უმიზეზოდ იკიდებდნენ!"[1].

1908 წელს გამოცემულ „ქართველი ერის ისტორიის" პირველ წიგნში ივანე ჯავახიშვილი აკრიტიკებდა თვით თამარ მეფეს ტრაპიზონის სამეფოს დაარსების გამო და აღნიშნავდა: „მაგრამ იმის მაგივრად, რომ მრავალ საუკუნეების განმავლობაში ქართველებზე დაშორებული და მოწყვეტილი ღვიძლი ძმები ლაზები და ჭანები ქართველობისაკენ მოებრუნებინა და დაპყრობილი ქვეყანა საქართველოს სამეფოსათვის მიემატებინა, თამარ მეფემ ტრაპიზონის სამეფო დააარსა და თავის ნათესავს ალექსი კომნენს ანდრონიკეს შვილს უბოძა"[2]. თუმცა უფრო მოგვიანებით, „ქართველი ერის ისტორიის" მეორე წიგნის გვიანდელ გამოცემაში, ივანე ჯავახიშვილმა შეიცვალა კრიტიკული პათოსი და წერდა: „ბიზანტიის საკეისროს დაარსების შემდეგაც, ქართული ჯარი იქითგან მთლად არ წამოსულა, რადგან თამარისა და საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული მოქმედება მხოლოდ დასაწყისი იყო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართ დასახული პოლიტიკის გეზისა, რომლის ანარეკლი შემდეგშიც ჩანდა და რომლის გარშემო ბრძოლაც ბიზანტიასა და საქართველოს შორის მთელი XIII და XIV საუკუნის განმავლობაში წარმოებდა"[3]. ჩანს, რომ ჩვენი დიდი ისტორიკოსის ახალგაზრდობისდროინდელი კრიტიკული პათოსი თამარის, და, რასაკვირველია, მისი გარემოცვის შესაბამისი პოლიტიკის მიმართ მთლად რეალისტური არა ყოფილა. სამაგიეროდ, როგორი სიამაყის გრძნობა, სათანადო განცდა გამოსჭვივის შემდეგ სიტყვებში: „ამრიგად, თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში სრულიად საქართველოს ბრძნული საჭეთმპყრობელობისა და შორსგამჭვრეტელი პოლიტიკით, თამარმა ბრწყინვალედ დაგვირგვინა საქართველოს სახელმწიფო აღმშენებლობის ის დიადი საქმე, რომელიც მისი სახელოვანი წინაპრის დავით აღმაშენებლის მიერ იყო დაწყებული. მამაკაცის დაუღალავი დიდი ჭკუით, მხნეობით და სამაგალითო მამაცობით შექმნილი ეს ხელთუქმნელი ნაგებობა, ქალის სიბრძნითა და ნებისყოფით იყო დამთავრებული"[4].

---

[1] საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფილისი, 1907, გვ. 72.
[2] ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი, 1908, გვ. 41.
[3] დასახ. ნაშრომი, 1965, გვ. 382.
[4] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, 1941, გვ. 86.

ჟამთააღმწერლის კრიტიკისას (იხილეთ ზემოთ) ივანე ჯავახიშვილი დასძენდა: „რასაკვირველია, ეს ნაბიჯი (იგულისხმება სამცხის მთავრებისა, გ. ყ.) ქართული სახელმწიფოებრივი და ეროვნული თვალსაზრისით სრულ უგუნურებას წარმოადგენდა და საქართველოს ღალატს მიაგავდა. იგი უაღრესად სახიფათო იყო, მით უმეტეს, რომ საქართველო იმავე მონღოლთა ბატონობით შექმნილი მდგომარეობის გამო ისედაც უკვე ორად იყო განცალკევებული“.

ცნობილი გახლავთ სიმონ და დავით ბატონიშვილების მკვეთრად განსხვავებული ქცევები ქვეყნის მორიგი ძნელბედობის ჟამს. ცხადია, ივანე ჯავახიშვილი მათ შესაბამისად აფასებდა. გმირი მეფის მისამართით იგი წერდა: „წრფელად თუ განზრახ შაჰ თამაზისაგან აღმოჩენილმა დიდმა პატივისცემამ ვერ მოალბო რაინდი მეფის ამაყი გული. ვერც უხვი საბოძვარითა და საჩუქრებით დაიყოლია იგი თავის ნებაზე. თუ თამაზს იმედი ჰქონდა, რომ დაუთ-ხანივით სვიმონ მეფეც თავის რწმენას ისე ადვილად დასთმობდა, მალე გაუცრუვდა“[1]. სიმონ მეფის ანტიპოდის შესახებ კი ვკითხულობთ: „დავით ბატონიშვილი იმ მხრივაც სპარსელებისათვის იარაღად ადვილად გამოსაყენებელი გამოდგა, რომ, პატიოსანი ადამიანის სვინდისსა და ეროვნული გრძნობის დაკარგვასთან ერთად, მან სარწმუნოებაც უყოყმანოდ დასთმო და გამაჰმადიანდა. ამიერითგან ის უკვე დაუთ-ხანად იქცა და ამ სახელწოდების გარდა მან და დანარჩენმა მოღალატეებმა უფრო საფუძვლიანი და ბრჭყვიალა საჩუქრებიც მიიღეს თავის სამშობლოს გამცემლობისა და სპარსეთის ყურმოჭრილი მონობისათვის“[2]. მოვიტანთ უფრო ვრცელ ამონარიდს, სადაც უფრო ვრცლადაა გადმოცემული ივანე ჯავახიშვილის შეფასება ცნობილი რენეგატისა: „...ახსოვდა, თუ არა, ამ „საბრალოს“, „უღირსს დაუთ-ხანს“, რომელიც, სტამბოლში მყოფი, თავისი ნაშრომის დამთავრების შემდგომ მისი სამკურნალო წიგნის მკითხველს ევედრებოდა „შენდობას მიბრძანებდით კეთილისა თქვენისა ენისაგან“, რომ საქართველოში მრავალი კაცი მარტო უშველობითა და უცოდინარობით კი არ დაზიანებულა და მომკვდარა, არამედ არა ნაკლებ და უფრო მეტად შინაური, ძმათაშორისო მტრობითა და ბრძოლით, როდესაც ქართველთა უდანაშაულო და უმანკო სისხლი იღვრებოდა მისებრ უგუნურ ბა-

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, თბილისი, 1967, გვ. 261.

[2] იქვე, გვ. 259.

ტონიშვილთა და დიდებულთა წყალობით, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გმირ და რაინდ მებრძოლთა გვერდში ამოდგომასა და შველას, ვერაგობას, მტრის ბანაკში ყოფნასა და ქვეყნისა და მშობელი ერის ღალატსა რჩეობდნენ... აგონდებოდა თუ არა ეს თავისი საუგო წარსული ამ მართლაც რომ „ულირსს დაუთ-ხანს", როდესაც, მას შემდგომ რაც სამშობლოს უბედურებით მან საკუთარი ბედნიერება მოიპოვა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვერც ძლიერი მტრის მფარველობამ უზრუნველყო მისი ღალატით შენაძენი სვიანობა, ის სტამბოლში გაქცეული ამაოდ ელოდებოდა გარეშე ძალის დასმარებას. ეტყოდა თუ არა „შენდობას" დაუთ-ხანს, შეიბრალებდა, თუ არა, მას მხოლოდ იმიტომ, რომ ორი ოსმალური კარაბადინითგან ერთი ქართული საექიმო წიგნი შეადგინა, ეს მისდროინდელი მკითხველის შეგნება-სინდისის საქმე იყო; ისტორიასა და შთამომავლობას მისთვის არც შენდობა უთქვამს და არც შეუბრალებია. მის კარაბადინს ქართული ეროვნული საქმისათვის მიყენებული ზიანის არც გამოსწორება, არც ანაზღაურება შეეძლო. შთამომავლობას მისი ავტორობის არა ახსოვდა-რა, ისტორიას კი ერთი წიგნის შედგენისათვის მისი საუგო მოღვაწეობის დავიწყება არ შეეძლო და უფრო „ულირსად" მიაჩნია ვიდრე საბრალოდ"[1].

როდესაც 1604 წელს კახეთის სამეფო კარზე დატრიალებულ შემზარავ აქტს ეხება, ივანე ჯავახიშვილი მის მთავარ ინიციატორ კონსტანტინეს „მხეცის" ეპითეტით მოიხსენიებს[2]. სპეციალურ ნაშრომში, რომელიც საქართველოს რუსეთთან ურთიერთობებს ეხება, აღნიშნულია რუსეთის „ტლანქი ეროვნული ეგოიზმი"[3].

საისტორიო თხრობისას ივანე ჯავახიშვილის პოზიცია (კერძოდ, ანტიპათიები) ჩანს ირონიის გამოყენებაში. ვახტანგ მეექვსის შესაბამისი პოლიტიკის კრახით დამთავრების გამო იგი დასძენდა: „ასე უკულმართად დამთავრდა საქართველოსთვის რუსთა ხელმწიფის მიერ აღთქმული აღმოსავლეთის ქრისტიანთა „მფარველობა": ჯერ თავის სასარგებლოდ ქართველთა ომში ჩათრევით და შემდეგ მტრის წინაშე უმწეოდ მიტოვებითა და მტრისათვის გაცემით"[4]. ცხადია, ირო-

---

[1] დასახ. ნაშრომი, გვ. 266—67.
[2] იქვე, გვ. 334.
[3] დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის... გვ. 50.
[4] იქვე, გვ. 12.

ნია გამოსჯვივის სიტყვებში: „აღმოსავლეთის ქრისტიანეთა მფარველი სელმწიფე პეტრე“[1]. პავლე პირველის მისამართით კი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „თითონ მას კი ავიწყდებოდა, რომ ამ ხელშეკრულებამ (გეორგიევსკის ტრაქტატმა, გ. ყ.) მარტო საქართველოს არ დააკისრა მოვალეობა, არამედ რუსეთის სახელმწიფოსაც და, რომ თვით რუსეთს არც ერთი ეს მოვალეობათაგანი ჯერ ასრულებული არ ჰქონდა“[2]. რუსეთისაგან უკვე „გაბედნიერებული“ საქართველოს ვითარების თაობაზე კი დიდი ისტორიკოსი შენიშნავდა: „ერთი სიტყვით, საქართველო იქცეოდა სენატორ განის წყალობით ბედნიერ არკადიად!“[3].

ივანე ჯავახიშვილი, ცხადია, თავის ირონიულ განწყობილებას მხოლოდ რუსეთის (ცარისტული) მიმართ არ გამოხატავდა. ქართლში (იბერიაში) პომპეუსის ლაშქრობის შემდგომი ვითარების თაობაზე „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნში ვკითხულობთ: „ასე შემოდგეს ფეხი რომაელებმა საქართველოში: რაკი ერთხელ გზა ეკვლეული ჰქონდათ კავკასიას ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე“[4]. ბიზანტიის სამღვდელოების მისამართით ივანე ჯავახიშვილი სარკაზმით წერდა: „მართლმადიდებლობაზე გადარეულმა ბიზანტიელმა სამღვდელობამ ქართველთა ზოგიერთს საეკლესიო წესებისა და ჩვეულებათა სხვაობას ეჭვის თვალით შეჰხედა“[5]. მაინცდამაინც არც ჩვენი სამღვდელოება არაა დანდობილი: „სამწყსოს გაფართოვებისა და შემოსავლის გადიდებას რომელი მწყემსთ-მთავარი დაიწუნებდა მაშინდელ დროს?“[6] რომის ერთ-ერთი პაპის მიმართ კი ამგვარ ირონიას ვხვდებით: „...რომის პაპს-კი ეშმაკის შეწუხება მოუხდა: მაჰმადიანთაგან დამონავებული ქრისტიანების განთავისუფლება ადვილად მოსახერხებელი იყო, მაგრამ ყოველი კეთილი რჩევის ძველმა მოწინააღმდეგე მტერმა (ე. ი. ეშმაკმა) უთანხმოების თესლი დათესა იმ მთავართა შორის,

---

[1] დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის... გვ. 50.

[2] იქვე, გვ. 58.

[3] Политическое и социальное движение..., გვ. 32.

[4] დასახ. ნაშრომი, V გამ., გვ. 166.

[5] ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 179.

[6] იქვე, გვ. 182. სხვა ადგილას, უკვე ირონიის გარეშე, ვკითხულობთ: „რამდენად გულცივი იყო მაშინდელი უმაღლესი წოდებითგან გამოსული სამღვდელოება და როგორ გულ-ხელდაკრეფილი შესცქეროდა ქვეყნის ტანჯვას...“

რომელნიც ამ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებას გვპირდებოდ-ნენ"[1]-რ.

მათს შესახებ, ვისაც საქართველოს წარსულის „ადვოკატურ-გამოსარჩლებითი მეთოდით" შესწავლა-გააზრება სურდათ, ჩვენი დიდი ისტორიკოსი ირონიულად შენიშნავდა: „საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც მყუდროება სუფევდა. სიყვარული, თანხმობა, სათნოება, „მამა-შვილური" განწყობილება არსებობდა და წოდებათა შორის ბრძოლა არც როდის არა ყოფილა"[2]. რომ ეს ირონია შორს იყო ეროვნული ნიჰილიზმისაგან, ჩანს შემდეგი მაგალითითაც. მოჰქონდა რა ერთ-ერთი გერმანელი ისტორიკოსის აზრი იმის თაობაზე, რომ აღმოსავლეთში ადგილი არა ჰქონდა ბრძოლას წოდებრივ უფლებათა მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილი სიამაყის გრძნობით აღნიშნავდა: „საბედნიეროდ, მეცნიერს, რომელსაც კრიტიკულად შესწავლილი აქვს ქართული საისტორიო მასალები, შეუძლიან დაამტკიცოს, რომ საქართველოს წარსული დიაღაც წოდებრივ ბრძოლის მაგალითებით არის სავსე..."[3].

და ბოლოს, იმის დასამტკიცებლად რომ ივანე ჯავახიშვილი ტაციტუსისეულ შეგონებას ბოლომდე არ (და ვერ) იცავდა, ჩანს ქალბატონ ფატი გოკიელის მოგონებიდანაც (იხ. ზემოთ). რასაკვირველია, საისტორიო თხრობა სათანადო განცდებისა და მათი გამომჟღავნების გარეშე შეუძლებელი გახლავთ. ამის უნარი მხოლოდ უნიჭო ისტორიკოსებს შესწევთ. ივანე ჯავახიშვილის დონის მამულიშვილისა და ისტორიკოსისაგან აბსოლუტურად მიუკერძოებელი თხრობა, ცხადია, გამორიცხულია.

ყოველივე ზემოაღნიშნული თავისთავად იგულისხმება, რამეთუ საისტორიო მეცნიერების თავისებურებიდან გამომდინარეობს. ვიმეორებთ, რომ ისტორიკოსს, თუ იგი ნამდვილად ღირსია ამ წოდებისა, უნდა გააჩნდეს სათანადო სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული პოზიცია, უნდა შეეძლოს განცდა პროცესებისა და მოვლენებისა, რაც აისახება კიდეც მის მიერ წერისა თუ თხრობის დროს. როგორც დავინახეთ, ივანე ჯავახიშვილი შორს იდგა რასიზმისა და პრიმიტიული ევროპოცენტრიზმისაგან, მაგრამ არც „ადვოკა-

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, 1948, გვ. 162.
[2] მამულიშვილობა და მეცნიერება, გვ. 13.
[3] მამულიშვილობა და მეცნიერება, გვ. 15.

ტურ-გამოსარჩლებითი მეთოდით" შეეძლო საქართველოს ისტორიის გააზრება და თხრობა.

ივანე ჯავახიშვილის კრიტიკოსები ხშირად გამოსთქვამდნენ საყვედურს შესაბამის კლასობრივ პოზიციაზე დგომის გამო — თუმცა ვერ დაედგინათ სახელდობრ რომელი კლასის: თავადაზნაურობისა თუ ბურჟუაზიულის წარმომადგენელი და შესაბამისად, რომელი იდეოლოგიის გამომხატველი გახლდათ იგი. ნამეტანი ვულგარულ-სოციოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე და დიდი პიროვნების უკიდურესად რეაქციონერად გამოცხადების მსურველნი მას „თავისი" სოციალური წრის (თავადაზნაურობის) ინტერესების გამომხატველად მიიჩნევდნენ. მაგრამ ზემოთ, გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობისა და რუის-ურბნისის კრების საეკლესიო რეფორმის განხილვისას, ჩვენ დავინახეთ თუ რა შორს იდგა ივანე ჯავახიშვილი აღნიშნული სოციალური ფენის გაიდეალებისაგან. შემდგომი ისტორიული ვითარებების გადმოცემისასაც ჩვენი დიდი ისტორიკოსი ძალიან შორს იყო მსგავსი პოზიციიდან. მაგალითად, თამარის მეფობის ხანაში დიდგვარიანთა გამოსვლასთან დაკავშირებით (ყუთლუ-არსლანისამდე) იგი წერდა: „ერთი სიტყვით, ეს აზნაურ-მოხელეთა გაფიცვა უფრო წოდებრივ რეაქციის ნაყოფი იყო, ვიდრე სახელმწიფო წესწყობილების წარმატება"[1], რომ „პოლიტიკურად მხოლოდ მაღალ წოდებას მიანიჭა მან უპირატესობა, დაბალი წოდება კი პირიქით დაიჩაგრა კიდეც"[2]. ივანე ჯავახიშვილის მიმართ ვერც ოდიოზური მნიშვნელობით გაგებული ნაციონალიზმის ბრალდების წაყენება შეიძლებოდა (ვთქვათ სომხების წინააღმდეგ, რასაც მას ხშირად უკიჟინებდნენ).

დროის დიდი გადასახედიდან ცხადად ჩანს, რომ ივანე ჯავახიშვილს არ გადაუხვევია ჭეშმარიტებიდან — მეცნიერების უმაღლესი მიზნიდან და არ შეუწირავს იგი თუნდაც ცუდად (ვიწროდ) გაგებული ეროვნული ინტერესებისათვის. ამ მხრივ ჩვენი დიდი ისტორიკოსის ობიექტივიზმი (ობიექტურობა) მუდამ მისაბაძ ნიმუშად დარჩება ქართული კლიოს მსახურთათვის. და თუ ამავე გადასახედიდან გამოჩნდა, რომ ჩვენი დიდი ისტორიკოსი საქართველოს ისტორიის უძველესი საისტორიო წყაროებისადმი ჰიპერკრიტიკულადაც კი გა-

---

[1] საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, ტფილისი, 1905, გვ. 79.
[2] იქვე.

ნეწყო, ეს სავსებით გასაგებია შესაბამისი არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული მონაცემების უქონლობის პირობებში. (სხვათა შორის, მცხეთის 1938—40 წლების არქეოლოგიური გათხრების მონაპოვრების შედეგად იგი უკვე განეწყო იმისათვის, რომ ჩვენი ძველი ისტორიის რიგი მომენტებისა ახლებურად გაეაზრებინა).

5. ინდივიდუალიზაციის მეთოდი

უეჭველი გახლავთ, რომ ბუნებათმეცნიერებისაგან განსხვავებით ისტორიკოსებს საქმე აქვთ ცალკეულ მოვლენებთან — ისტორიულ პიროვნებებთან, ომებთან, კერძოდ, სამოქალაქო ომებთან, რევოლუციებთან და ა. შ., რომელთაც, ცხადია, ინდივიდუალური წარმოჩენა ესაჭიროებათ. შესაბამისი ტრადიცია ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის წინათ დამკვიდრდა. სწორედ ეს განაზოგადა (განსაკუთრებით რანკესა და მომზენის შემოქმედების საფუძველზე) ნეოკანტიანურმა ფილოსოფიამ (ჰენრიხ რიკერტი და ვილჰელმ ვინდელბანდი). ჩვენ ამჯერად არ ვეხებით მისთვის დამახასიათებელ მკვეთრ დაპირისპირებას ბუნებათმეცნიერებასთან როგორც ნამდვილ მეცნიერებასთან, რომელიც გენერალიზაციის მეთოდით სარგებლობს და ამდენად, მას ზოგად კანონებთან აქვს საქმე.

აღნიშნული ტრადიცია, რა თქმა უნდა, ქართულ ისტორიოგრაფიაშიც არსებობდა. „მეფეთა ცხოვრებაში“ ლეონტი მროველი ცდილობდა გამოეკვეთა ისტორიული პიროვნებანი, კერძოდ, მეფეთა ხასიათები. ჩანს, იგი ეყრდნობოდა ძველ მატიანეს, მაგრამ ამასთანავე, ფანტაზიასაც ფართო გასაქანს აძლევდა. მესამე მეფე მირვანის შესახებ მისეულ თხზულებაში ვკითხულობთ: „ესე მირვან იყო ტანითა სრული, შუენიერი, ძლიერი, მჭნე და ქუელი“[1]. ერთ-ერთი ომის წინ იგი დახასიათებულია „ვითარცა ჯიქი, სიფიცხითა, ვითარცა ვეფხი სიმჭნითა, ვითარცა ლომი ზახილითა“[2]; „მეფობდა ნებიერად და უშიშრად“; „იყო კაცი მიმნიჭებელი კეთილისა უხუად“[3]. მერვე მეფე მირვან „ესე მეფე იყო კაცი ქუელი, მჭნე, მჭედარი, და მრავალგზის

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, სიმონ ყაუხჩიშვილისეული გამ., 1955, გვ. 27.
[2] იქვე, გვ. 28.
[3] იქვე.

გამოიცადა იგი ბრძოლასა თურქთა (!) და „არაბთასა“[1]. მეცხრე მეფე არშაკ „და იყო ესე ძლიერი ძალითა, დიდი და გულოვანი“[2]. იგივე სიტყვებითაა დახასიათებული მეათე მეფე ადერკი. ორმეფობის ხანას როცა ეხება, ლეონტი მროველი მეთხუთმეტე მეფეებს (ფარსმან ქუელსა და მირდატს) ერთმანეთისაგან დაპირისპირებულად წარმოადგენს. თუ მირდატი „იყო კაცი ურვილი და მოსისხლე (ე. ი. შურისმაძიებელი, გ. ყ.), „ხოლო ფარსმან ქუელი იყო კაცი კეთილი და უხუად მომნიჭეებლი და შემნდობელია, ასაკითა შუენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მჭნე მჭედარი და შემმართებელი ბრძოლასა, უშიში ვითარცა უხორცო და ყოველთავე უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა, რომელნი გარდაცვალებულ იყვნეს უწინარეს მისსა“[3]. როგორც ვხედავთ, დადებითი თვისებების მქონე მეფე უფრო მდიდრული ფერებითაა წარმოჩენილი. ამ თვისებების წყალობით იყო, რომ „შეკრბიან ყოველნი და აჯსენებდიან სიმხნესა და საქუელესა, და სიშუენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქუელისასა“[4]. მეცხრამეტე მეფის შესახებ „მეფეთა ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ესე რეე მეფე დაღაცათუ იყო წარმართი, არამედ იყო მოწყალე და შემწე ყოველთა ჭირვეულთა (ე. ი. გაჭირვებულთა, გ. ყ.)“[5].

„მატიანე ქართლისაჲ“-ში ბაგრატ მესამე ასეა წარმოჩენილი: „ესე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე წარემატა ყოველთა ჭელმწიფეთა ყოვლითა განგებითა. ამისდა შემპოვნედ და ამისდა მოაჯედ შეიქმნეს ყოველნი ჭელმწიფენი, მახლობელნი და მოთაულნი მამულისა და სამეფოსა მისისანი, მოლაშქრედ ვითარცა თჳსნი და მისანდობელნი. და დაუმორჩილნა ღმერთმან ყოველნი მტერნი და წინააღმდგომნი მისნი; მომადლა დღეთა მისთა მშჳდობა და დიდი დაწყნარება ქუეყანისა, და უკეთუ ვინმე ინებოს თჳთოეულად წარმოთქმად ყოველთა განგებულებათა მისთა, მოუძლურდეს ძალი მისი, რომელთაგან მცირედი წარმოვთქუ ჟამთა სიგრძისაგან არა-დავიწყებისათჳს“;[6] „და ვთქუა ესეცა, რომელ შემდგომად დიდისა მეფისა ვასტანგ გორგასლისა არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დი-

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, სიმონ ყაუხჩიშვილისეული გამ., 1955, გვ. 28.
[2] იქვე, გვ. 33.
[3] იქვე, გვ. 51.
[4] იქვე, გვ. 53.
[5] იქვე, გვ. 58.
[6] იქვე, გვ. 281—282.

ლებითა და ძალითა, და ყოვლითა გონებითა; ეკლესიათა მაშენებელი იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათჳს".[1] ბაგრატ მეოთხეს კი „მატიანე ქართლისაჲ" ასე წარმოგვიდგენს: „იყო კაცი სახითა უშუენიერესი ყოველთა კაცთასა, სრული სიბრძნითა, ფილოსოფოსი ენითა, სჳანი ბედითა, უმდიდრესი ყოველთა აფხაზეთისათა, მოწყალე შეცოდებულთათჳს, უხვ ალაგთა ზედა"[2]. მომდევნო მეფე იმავე თხზულებაში ამნაირადაა დასასიათებული: „ხოლო გიორგი (მეორე, გ. ყ.) მეფე იყო მოწყალე და განმკითხველი გლახაკთა, კაცი საშიში (!) და უუხუესი ყოველთა, მეფეთა აფხაზეთისათა, და პურად უკეთესი ყოველთა კაცთასა, ცხენოსან-მშჳილდოსანი რჩეული"[3].

და ბოლოს, ჩვენს ძველ მემატიანეთაგან დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ ჩვენი უდიდესი მეფის დახასიათებაზე შევჩერდებით: „აჰ ესერა, სახე არა უმსგავსო, არამედ ფრიადცა თანაშეტყუებული ჩუენისა თვითმპყრობელისა, და ყოვლად გამომსახველი სიტყჳთ საქმეთა თუალთა ჩუენთა ხილულთა. რამეთუ სიტკბოებისა, სახიერებისა და სიბრძნისა მისისა ხილვად წყურიელნი კიდით ქუეყანისათ შემოკრბებოდეს წინაშე მისსა. ვინ იყო ეზომ ტკბილ შემთხვევათა შინა, ვინ სატრფიალო ზრახვითა და სასურველ დუმილითა, იგივე შუენიერ ხატითა, უშუენიერეს მორთულობითა გუამისათა, შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა, ძლიერ ძალითა, უძლიერეს სამახვილითა, საწადელ ღიმილითა, უსაწადელეს მჭუნვარებითა, მადლიერ ხედვითა, საზარელ ლომებრ მკრთომელობითა, ბრძენ ცნობითა, უბრძნეს გამორჩევითა, მარტივ სახითა, მრავალსახე მართებითა, შემრისხველ მყუდროებითა, მაქებელ განმსწავლელობითა და არცა ერთსა კეთილთაგანსა შემაშფოთებელ უზომოებითა. მაღალ უმაღლესთათჳს და მდაბალ უმდაბლესთათჳს, და თჳთ მათ მტერთაგანცა საწადელ და საყუარელ სათნოებათა მისთაგან შეკდიმებულთა. ვინა ესრეთ მიიღო ერთიცა სათნოებათაგანი, ვითარ ვინ ყოველთაგანმან შეიკრიბა ყოველი სრულებით თითოეული, რომელ ყოველთათჳს შეუძლებელ არს დაკჳრჳება ოდენ, არათუ მიბაძვება, რომელითა სრულ იქმნა იგი ყოველსა შინა, ესრეთ რა აღსავსე იყო ნავი

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 282.

[2] იქვე, გვ. 315.

[3] იქვე.

უფაროთაგან ტჳრთთა სათნოებისათა, და არღარა შემძლებელ წარ-
ვლად ღადირთა"[1].

ცხადია, ივანე ჯავახიშვილს ისტორია ვერ წარმოედგინა ისტ-
რიულ პიროვნებათა და მოვლენათა ინდივიდუალური გამოკვეთის გა-
რეშე. ამის გამო, როგორც დავინახეთ, მავან ბოლშევიკ-კომუნისტ
იდეოლოგოსთა მხრივ იგი დიდი კრიტიკის ობიექტად იქცა. ამას და-
ვუმატოთ ისიც, რომ საბჭოურ ისტორიის სახელმძღვანელოებში კონ-
კრეტული ისტორიული პროცესი არ გადმოიცემოდა, ამდენად, ისტ-
რიული პიროვნებებისა და მოვლენების ინდივიდუალური ჩვენებისათვის
მათში ადგილი არა რჩებოდა. როცა ამ ნაკლოვანებაზე სსრ კავშირის
მაღალ ინსტანციებში (ცენტრალური კომიტეტი და სახკომსაბჭო) ყუ-
რადღება გაამახვილეს და დასახეს კიდეც გარკვეული ღონისძიებანი
მდგომარეობის გამოსასწორებლად, ივანე ჯავახიშვილი ამით დიდად
ნასიამოვნები დარჩა (ამის თაობაზე იხილეთ ზემოთ).

ლეონტი მროველის საისტორიო თხზულებისადმი თავისი ჰიპერ-
კრიტიკული დამოკიდებულების გამო, ცხადია, ივანე ჯავახიშვილს არ
გამოუყენებია მეფეების მისეული დახასიათებანი. როგორც ვიცით,
ძველი ხანის შესახებ არც სხვა საისტორიო წყაროები გაგვაჩნია,
რომლებზედაც დაყრდნობით ისტორიულ პიროვნებათა ხასიათების
წარმოჩენა შეიძლებოდეს. თუმცა ვახტანგ გორგასალის შესახებ, რო-
გორც ცნობილია, არსებობს საკმაოდ ვრცელი ნაშრომი (ისტორიკოს
ჯუანშერისა), მაგრამ ივანე ჯავახიშვილი ამ თვალსაზრისით მას
იგნორირებდა, რამეთუ „ვახტანგის ზღაპრული ისტორიად" თვლი-
და[2]. ასე რომ, „ქართველი ერის ისტორიაში" (მეორე წიგნში) პირვე-
ლად ბაგრატ მესამის სახეა გამოკვეთილი. ჩვენი გამოჩენილი მეფის
შესახებ ვკითხულობთ: „ბაგრატ მეფის მტკიცე ხასიათმა, ბრძნულმა
და წინდახედულმა მმართველობამ, ვაჟკაცურმა მცდელობამ და
შორსგამჭვრეტელმა პოლიტიკამ საქართველო გააერთიანა და მისს
ძლიერებას მკვიდრი საფუძველი დაუდგა"; „არც გასაკვირველია, თუ
რომ იმდროინდელი ქართველი ისტორიკოსები მისის მოღვაწეობით
აღტაცებულნი ცოტა არ იყოს გაზვიადებით გვისურათებენ მისის მე-
ფობის ნაჭირნახულევს"[3].

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 360—361.

[2] ქართველი ერის ისტორია, II წიგნი, 1965, გვ. 132.

[3] იქვე, გვ. 158.

უფრო ვრცლად არის დახასიათებული ბაგრატ IV: „ბაგრატ მეფე მემატიანის სიტყვით „იყო კაცი უშუენიერესი ყოველთა კაცთასა“ და, მართლაც, ატენის სიონისა და ზარზმის მონასტრის ეკლესიების კედლებზე შენახულ მის სურათებზე იგი ლამაზი სახის კაცადა ჩანს. გარეგან სილამაზესთან ერთად იგი გონებრივადაც უხვად ყოფილა დაჯილდოებული, ფხიზელის და სკეპტიკოსის მსჯელობით აღჭურვილი, „სრული სიბრძნითა ფილოსოფოსისათა“,—გულუხვი და მოწყალეც იყო; მაგრამ ბედმა მას ბევრი განსაცადელი არგუნა და თითონაც მან დიდგვარიან მოხელეთა თვითნებობისა და წინააღმდეგობის ალაგმვა ვერ შესძლო და თითქმის გამუდმებულს ბრძოლაში დალია თავისი დღენი. ხასიათის სიმტკიცე აკლდა, თუ სხვა რაიმე მიზეზი იყო, არა ჩანს, მაგრამ ეს-კია, რომ თუმცა მეფე ყოფილა გულკეთილი, „მოწყალე და განმკითხველი გლახაკთა“, მაგრამ მაინც მემატიანე ჩივის, „ჟამთა მისთა ქუეყანასა დაწყნარება არ აქუნდა, ეკლესიანი და გლეხნი [და] აზნაურნი ვერ იკითხებოდეს“-ო. ეს ცნობა გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ მოწმობითაც მტკიცდება... როგორც ჩანს, ბაგრატ IV დროს მართლმსაჯულება და მიუდგომლობა მართლაც არა ერთხელ ყოფილა შელახული“[1].

ივანე ჯავახიშვილი კიდევ უფრო ვრცლად მოგვითხრობს დავით აღმაშენებლის პიროვნებაზე. „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში ამ საკითხს ცალკე ქვეპარაგრაფი (მთელი ათი გვერდი) აქვს დათმობილი. მოვიტანთ ზოგიერთ ადგილს: „დავით აღმაშენებელს თავისი თავი „უსწავლელ, „მსოფლიონ“ და „მჴედრობათა შინა აღზრდილ კაცად“ მიაჩნდა, „მაგრამ რასაკვირველია ეს თავმდაბლობით მოსდიოდა, თორემ ნამდვილად იგი ნასწავლი და განათლებული ადამიანი ყოფილა; მხოლოდ როგორც მას შეჰშვენოდა კიდეც საეკლესიო ღვთისმეტყველების მაგიერ საერო მეცნიერება ჰქონია შეთვისებული. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ დავით აღმაშენებელი, როგორც მისი საკუთარი სიტყვებითაგანაც ნათლადა ჩანს, თურმე სხვათა შორის ვარსკვლავთმრიცხველობის მცოდნე ყოფილა“[2]; „იგი ბუნებითაც უხვად ყოფილა დაჯილდოებული და მთელს თავის თავისუფალს დროს სიკვდილამდე წიგნების კითხვას და გონებრივ მუშაობას ანდომებდა. კითხვა ფიქრი იყო „მისსა საზრდელ... შუება და განცხრომა, საწურთელ და სარგებელ“. დიდებულ მეფისა-

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 158.

[2] იქვე, გვ. 210.

თვის წიგნები აუცილებელი სულიერი საზრდო იყო; „შემდგომად სერობისა ნაცულად ძილისა ანუ სხუასა რასამე საქმისა“ ჩვეულებად ჰქონდა „კითხუა წიგნთა“[1]; „გასაოცარი ეს არის, რომ დავით აღმაშენებელს საუცხოოდ შესწავლილი ჰქონია მარტო ქართული მწერლობა კი არა, არამედ მაჰმადიან მეცნიერთა და პოეტების თხზულებებიც“[2]; „საგულისხმიეროა, რომ დავით აღმაშენებელი წიგნების კითხვას გასართობად-კი არა სთვლიდა, არამედ წანაკითხს უფიქრდებოდა და აკვირდებოდა, ხოლო როდესაც სხვას აკითხებდა ხოლმე, მაშინ „ფრიადცა ფრთხილად ისმენენ წინაშე თჳსსა მკითხველისასა, გამოეძიებდნენ, ჰკითხვენ და უფროს-ღა თჳთ განმარტებენ ძალსა და სიღრმესა წაკითხვისასა“. საუბარი და კამათი, მსჯელობა და განმარტება თან სდევდა მეფის ამ მაღალს გონებრივ სამუშაოს“[3]; „ქართველი მეომარნი დავით აღმაშენებელს „ფრიად აბრალებდეს“, რომ მეფეს ასე თავდავიწყებამდე უყვარდა წიგნების კითხვა და მუდამ კითხვით იყო გართული, მაგრამ მის მაბრალობელთ ვერ გაეგოთ დიდებული მეფის გულის წადიერებანი და მაღალის სულის ერთომანი. ჩვენს გვირგვინოსანს განსაკუთრებით საისტორიო თხზულებების კითხვა ჰყვარებია, რომელშიაც „გარდასრულთა საქმეთა... და პირველ ყოფილთა მეფეთა... შემთხუეულნი“ ამბები იყო მოთხრობილი. ამ საისტორიო თხზულებებში საქართველოს სახელოვანს მეფეს თურმე თანამედროვე ცხოვრებისათვის „წინაგანსაკრძალებლად და სახედ“ გამოსადეგარი მაგალითები ამოუკითხავს იმიტომ, რომ იქ მოთხრობილი და წერილი იყო „პირველ ყოფილ მეფეთა კეთილძღუანებულთა“ და ქვეყნის გამაბედნიერებელთა ცხოვრებაც, და „ვერას წარმართებულთა“, ბედუკუღმართობით მმართველთა „შემთხუელი“ თავგადასავალიც, და ეს წარსულის გაკვეთილი ზოგი გასაფრთხილებლად“ „წინაგანსაკრძალებლად“, ზოგი კიდევ სამაგალითოდ და „სახედ“ გამოეყენებია. მაშასადამე, დავით აღმაშენებელი ცდილობდა წარსულის ცოდნისდა მიხედვით ბრძნულად „გარდასრულთა შემსგავსნი მომავალნი“ განეჭვრიტა, ისტორიულის მაგალითით და გამოცდილებით ესარგებლნა და იმისდაგვარად ემოქმედნა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი სავსებით მართალი იყო, როდესაც

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 210.

[2] იქვე, გვ. 211.

[3] იქვე.

ამტკიცებდა, რომ სწორედ ეს გონებრივი მუშაობა და საისტორიო თხზულებების შესწავლა, „წერილთა მეცნიერებანი და გარდასრულთა საქმეთა შემეცნებანი“ ჰშველიდა სახელოვანს მეფეს და იმდენი შეაძლებინა, რომ „კუერთხი მეფობისა“ საქართველოში „ესეოდენ დამდაბლებული, ესეოდენ ძნელი და ნამდვილივე დიდი განსაგებელი, ეპყრა ესრეთ მაღლად“ და სახელმწიფო უაღრეს ძლიერებასა და აყვავებამდე მიიყვანა. ამ მხრივ დავით აღმაშენებელი მართლაც ბრძენი და განათლებული მმართველი, შეგნებული და შორსგამჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო“[1]; „დავით აღმაშენებელი შესანიშნავი პიროვნება იყო, შორს გამსჭვრეტელი და ბრძენი პოლიტიკოსი, უებრო სარდალი და მეომარი, ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნავი“[2]; „დავით აღმაშენებლის იმ დროისათვის გასაოცარი და მრავალმხრივი განათლება სხვათა შორის იმითაც მტკიცდება, რომ არაბ ისტორიკოსის იბნ ალ-ჯაუზის მოწმობით მას სუფიებისა და პოეტებისათვისაც თავშესაფარი აუგია, ხშირად ქონებრივადაც დახმარება გაუწევია და სადღესასწაულო მეჯლისებსაც უმართავდა“[3]; „დავით აღმაშენებელი მამაცი მეომარი და გულადი მხედართმთავარი იყო; მას მოულოდნელი და სწრაფი სამხედრო მოქმედება უყვარდა, მაგრამ ომში უშიშარი იყო და თავის ჯარს ყოველთვის თავგანწირულად წინ მიუძღოდა ხოლმე და პირადის მაგალითით ამხნევებდა და ჰხიბლავდა ყველას“[4]; „დავით აღმაშენებელი კაცთმოყვარე და გულშემატკივარი ადამიანი ყოფილა; იგი ავადმყოფთა და დავრდომილთა შესახებაც ზრუნავდა. და განუკურნებელი სენით შეპყრობილთათვის მან „აღაშენნა ქსენონნი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი თვითოსახითა სენითა განცდილნი“ და ამ სასნეულოში „მოუმზადა ყოველი საჭმარი მათი უნაკლულად და უხუებით, განუჩინნა შესავალნი და საღუაწენი მათნი“, თანაც მომვლელები და „ზედამდგომელნი“ მიუყენა. სახელოვანი მეფე დიდ ყურადღებას აქცევდა ამ კაცთმოყვარეობით ნაკარნახევს დაწესებულებას, რომელიც დავით აღმაშენებელს შემოუღია გელათის მონასტრის აგების შემდგომ, სანამ სამშვილდეს აიღებდა, ანუ 1106—1110 წ., იგი ხშირ-ხშირად მიდიოდა და ათვალიერებდა ხოლმე თავის დაწესე-

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 211—12.
[2] იქვე, გვ. 216.
[3] იქვე, გვ. 217.
[4] იქვე, გვ. 218.

ბულებას: „მონახის თჳსითა ჴელითა ცხედრები, სამოსლები და საგებელი მათი, პინაკი და ყოველი საჴმარი მათი“, რომ ავადმყოფებს ყველაფერი სუფთა და შესაფერისი ჰქონოდათ და თავისი თვალით დარწმუნებულიყო სვინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას „ზედამდგომელნი“ თუ არა. ყოველთვის, როდესაც მეფე ქსენონში მივიდოდა ხოლმე, ავადმყოფებსაც „მოიხილნის, მოკითხნის და ამბორს უყჳს თჳთეულსა“, კეთილის სიტყვითა და თანაგრძნობით ანუგეშებდა და ამხნევებდა, „განამჴნის მოთმინებისა მიმართ“[1]; „დავით მეფე კერძო ქველმოქმედებასაც ძალიან მისდევდა და ამისათვის განსაკუთრებული ქისა, „კისაკი მცირე“ ჰქონდა და მას „აღავსებდის დრაჰკანითა დღე სარწმუნოთა ჴელითა თჳსითა“, გავიდოდა და საღამოთი „სამწუხაროდ ცარიელი მოაქუნდის იგი მხიარულსა“ სულითა და პირითა“[2]; „საზოგადოდ ეტყობა, რომ მეფე ზნეობრივად მეტად ფაქიზი, უმწიკვლო ადამიანი ყოფილა და უსამართლობის ჩადენასა და მიმძლავრებას ერიდებოდა... იგი, მაშასადამე, სწუხს, რომ თავის სახელმწიფო მოღვაწეობაში მეზობელთა ქვეყნები დაიპყრა და თავის სამფლობელოს შემოუერთა. მეტად დამახასიათებელია ჩვენის სახელოვანის მეფის დიდებულის სულისა და ფაქიზი სვინდისისათვის, რომ ასეთ გმირსა და რაინდს-მეომარს გულის სიღრმეში თურმე ამგვარი ფიქრები აწუხებდნენ![3]“; „საზოგადოდ სახელოვანი მეფე, რომელსაც ეგოდენი ღვაწლი მიუძღოდა სამშობლოს წინაშე, თავისი თავის მკაცრი მსაჯული ყოფილა და „გალობან“-ში თავის თავს ყოველგვარს ბრალსა სდებს და მართოდენ ღვთაების განუსაზღვრელ კაცთმოყვარეობის იმედი-ღა აქვს“[4]; „მაგრამ არსებობს აგრეთვე სხვა უფრო მკაცრი და ულმობელი მსჯავრიც შთამომავლობისა, ერისა და ისტორიისა, რომელსაც ვერ ასცდება ხოლმე ვერც ერთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწე, და მან დიდიხანია უკვე რაც თავისი პირუთვნელი განაჩენი გამოსთქვა. ქართველმა ერმა და ისტორიამ უკვდავ ჰყო დიდებულ მეფე დავითის, საქართველოს გამაერთიანებლის და აღმაშენებლის, მისის პოლიტიკურისა და ეკონომიურის ძლიერების შემქმნელის, სოციალური სამარ-

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 218—19.
[2] იქვე, გვ. 219.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 220.

თლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებელი სახელი. ქართველი ხალხი დავით აღმაშენებელის სამარადისო ხსოვნას თავის გულის სიღრმეში ატარებს და შეჰხარის მას ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობისა და ძლიერების სიმბოლოს"[1]. (შევნიშნავთ, რომ საქართველოს ისტორიის პირველ სახელმძღვანელოში ცალკე პარაგრაფი (ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწერილი) აქვს დათმობილი დავითის პიროვნებას).

„ქართველი ერის ისტორიის" მეორე წიგნში ცალკე პარაგრაფი ეთმობა თამარის დახასიათებას. მოვიტანთ ზოგიერთ ნაწყვეტს. „თამარ მეფე შესანიშნავი პიროვნება ყოფილა, მაგრამ იმ მხრივ კი არა, როგორც ჩვეულებრივ ჰგონიათ ხოლმე. საქართველოს სამხედრო ძლევამოსილებამ შთამომავლობის ხსოვნაში თამარის ნამდვილი ღვაწლი და თვისებანი დაჩრდილა. მართალია, თამარის დროსაც საქართველომ ბევრი ახალი მიწები შეიძინა და შემოიერთა,... მაგრამ ეს უფრო დავით აღმაშენებელისა და გიორგი III სამხედრო მოღვაწეობის ნაყოფიერი შედეგი იყო, ვიდრე თვით თამარ მეფის პირადი ღვაწლი"[2]; „თამარი პირადად შესანიშნავი იყო უპირველესად ვითარცა კარგი პოლიტიკოსი. შინაურისა თუ გარეულის მტრების წინააღმდეგ იგი გასაოცარ ხასიათის სიმტკიცეს და სიდინჯეს იჩენდა. თამარ მეფე ყოველთვის მოწინააღმდეგეთა შეთანხმებას და მშვიდობიანის მოლაპარაკებით დაყოლიებას ცდილობდა"[3]; „განსაკუთრებით საგულისხმიერო ის არის, რომ თამარ მეფე მშვიდობიანობას არას დროს სიმკაცრითა და მარტო ძალით არ ამყარებდა საქართველოში; იგი მეტად ლმობიერი და სათნო პიროვნება იყო, მოწყალე და განურისხებელი, ძალმომრეობისა და მიმძლავრების წინააღმდეგი"[4]; „თუმცა თამარის მეფობის დროინდელი მრავალი ლაშქრობის შემდგომ ადამიანს ცოტა არ იყოს შეიძლება ეუცხოვოს კიდეც, მაგრამ საერთაშორისო საქმეებშიაც იგი მარტო ძალითა და სამხედრო გავლენით არ მოქმედებდა, მიმძლავრების მიმდევარი არ იყო და სამართლიანობის აღსადგენად იღვწოდა ხოლმე"[5]; „თამარ მეფე გულმოდგინე მართლმადიდებელი იყო და „ღამე-ყოველ მღვიძარება, ლოც-

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 220.
[2] იქვე, გვ. 291.
[3] იქვე, გვ. 291—92.
[4] იქვ.ე გვ. 292.
[5] იქვე, გვ. 293.

ვა, მუსლთდრეკა და ცრემლით ვედრება ჰყვარებია"[1]; „ყურადღების ღირსია, რომ თამარ მეფე ამგვარი გარეგნული მორწმუნეობით არ კმაყოფილდებოდა და ქველმოქმედებას უმთავრესს ყურადღებას აქცევდა. დავით ალმაშენებელსავით ისიც ქველმოქმედებას საკუთარის შრომით შენაძენი ფულით ეწეოდა თურმე"[2]; „თამარის პიროვნებას მიმზიდველ თვისებას ისიც შეადგენდა, რომ იგი თავისი გასაოცარი ძლიერებისა და სიმდიდრისდა მიუხედავად მეტად თავმდაბალი და სათნო ადამიანი იყო"[3]; და ბოლოს, „ვინ არ იცის, რომ ბუნებამ გასაოცარის სილამაზით შეამკო დიდებული თამარ მეფე და ამ მხრივაც იგი ქართული განთქმული სილამაზის საუკეთესო, სწორუპოვარი წარმომადგენელი იყო. ქართველი ერისათვის მაშინაც და შთამომავლობისთვის დიდი თამარის სახელი იმიტომ იყო სათაყვანებელი, რომ ზესთაბუნებრივის ძალით მასში შეერთებული იყო ქალის მომხიბლავი მშვენიერება და ვაჟკაცური მამაცობა, სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და უმანკო, ყოვლად მოწყალე, განურისხებელი გული. მარტო ის რადა ღირდა, რომ საქართველოს უუმწვერვალეს სამხედრო ძლიერების დროს ისტორიამ ნაზს და სათუთს არსებას, უმშვენიერესს ქალს არგუნა მეფობა, რომელმაც საქართველოში დამნაშავეთა სიკვდილად დასჯა ამოჰკვეთა და დამასახიჩრებელი სასჯელები მოსპო! ამის შემდგომ ან რა გასაოცარია, თუ რომ საქართველოში „სახელთა ზედა აკროსტიხურად თამარის შესხმათა დასწერდეს" და ყრმანი... თამარის ქებათა მელექსეობდიან", ხოლო უცხოეთშიც მისი სახელი განთქმული და საქებარი იყო: „ერაყს მყოფნი მეებნენი გინა მეჩანგენი თამარის შესხმითა მუსიკობდიან, ფრანგნი და ბერძენნი, ზღვასა შინა მენავენი, ნიავ-კეთილობათა შინა თამარის ქებათა იყოფდიან!" თუ რომ რუსეთის მეფეს იოანე მრისხანესაც კიდევ ახსოვდა თამარის დიდებული მოღვაწეობა და ბრძოლის ველზე მისის მაგალითით ამხნევებდა თავის ჯარს, განა განსაკვირველია, რომ დიდებული მეფის სახელი ერაყის მომღერლებს ედიდებინათ?"[4].

შესაბამისი საგნიდან გამომდინარე, სხვაგვარადაა დახასიათებული ლაშა გიორგი. „ქართველი ერის ისტორიის" მესამე წიგნში ვკითხულობთ: „იმ ხანაში საქართველოს, შინაგანს გაერთიანებასა და

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 293.
[2] დასახ. წიგნი, გვ. 292.
[3] იქვე, გვ. 293—94.
[4] იქვე, გვ. 294.

პოლიტიკურ ზრდასთან ერთად, ძლევამოსილი ომებითა და სამხედრო ძალით შემოერთებული ქვეყნების მოსახლეობის გულის მოგება და მომტკიცება სჭირდებოდა, ბრძნული, წინდახედული პოლიტიკისა, სრული მყუდროების დამყარებისა და კეთილმოსურნე სოციალ-ეკონომიური და კულტურული საქმიანობის საშუალებით. ასეთი დიდი მოვალეობის განხორციელება მხოლოდ თამარისებრ შორსგამჭვრეტელი საერთაშორისო პოლიტიკის გამგრძელებელს შეეძლო, რომელსაც ამასთანავე, დავით აღმაშენებლის მსგავსად, მიზანშეწონილი, გეგმიანი სახელმწიფოებრივი საქმიანობის ნიჭი და მისი ასრულებისათვის ყოველგვარი დაბრკოლების გადამლახავი ნებისყოფაც აღმოაჩნდებოდა. სამწუხაროდ, რაინდული სულისკვეთებითა და პატიოსნებით უსვად დაჯილდოებული ლაშა-გიორგი, ვითარცა დედისერთა ვაჟიშვილს სჩვევია, განებივრებული და თავისნათქვამა ჭაბუკი გამოდგა. მას ზემოაღნიშნული ფართო და დიდი ამოცანებისათვის არც სათანადო ძალა შესწევდა, იმ უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც საქართველოს შემდგომი წარმატებისა და ძლიერების განმტკიცებისათვის საჭირო იყო, ლაშა-გიორგი არც იყო გამოსადეგი"[1]; „ლაშა-გიორგი გულადი, გულწრფელი და რაინდული სულისკვეთებით გამსჭვალული ჭაბუკი, განათლებული, ხელოვნებისა და სახიობა-გასართობის მოყვარული ადამიანი და დამოუკიდებელი, თავისუფალი აზროვნების მიმდევარი პიროვნება იყო. დედისგან მას გულკეთილობა და ლმობიერება ჰქონდა თანდაყოლილი. ქართული სისხლის სამართლის სასჯელთა სისტემაში დიდებული თამარის მიერ განხორციელებული ცვლილება, რომლითაც მან სიკვდილად დასჯა და სხვა დამასახიჩრებელი, თუ ადამიანის ღირსების გამაწბილებელი სასჯელები აღკვეთა, გიორგი-ლაშასაც მტკიცედ ჰქონდა დაცული. მაგრამ, ვითარცა დედისერთა ვაჟიშვილს და ნებიერად გაზრდილს უფლისწულს, ლაშა-გიორგის თანდათანობით თავისნათქვამი და თვითნება ადამიანისათვის დამახასიათებელი ნაკლი გამოაჩნდა, თავის გარშემოც თანდათანობით თავისი თანამოაზრე თანამოასაკენი შემოიკრიბა, დედის ნაცადი ხელისუფლები-კი ჩამოიცილა. თუმცა ლაშა-გიორგიმ იმდენი სახელმწიფოებრივი ალღო გამოიჩინა, რომ მამაპაპათა და დედის ნაანდერძევი სრულიადი საქართველოს ყოვე-

---

[1] იხ. „ქართველი ერის ისტორიის" მესამე წიგნის პირველი, 1941 წლის გამოცემა, გვ. 1.

ლივე მონაპოვარის შენარჩუნება შესძლო და ამ დიდი სახელმწიფოს მთლიანობის დაცვაც მოახერხა, რაც უკვე მას დიდ ღირსებად ჩაეთვლებოდა, მაგრამ ეტყობა ლაშა-გიორგის მაინც ნათლად წარმოდგენილი არ ჰქონდა ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მას, ვითარცა სამეფოს უზენაეს საჭეთმპყრობელსა და კეთილდღეობის მესვეურს, ეკისრებოდა და რომლის სიმძიმეც მას მკაფიოდ უნდა ჰქონოდა შეგნებული. როგორც ცალკეული, კერძო მოქალაქე, ლაშა-გიორგი იმ დროისათვის ბევრი მხრივ საინტერესო პიროვნებად უნდა იქმნეს მიჩნეული: თავისი რწმენის დასაცავად გამომჟღავნებული მისი მტკიცე ნებისყოფა, ეკლესიისადმი მისი თავისუფალი დამოკიდებულება, მისი გატაცება სახიობა-სანახაობითა და ხშირად ათეისტობამდი მიმავალი თეოსოფიური მოძღვრების მიმდევარ სუფიების რაინდთა წრესთან დაახლოვებულობა, მას იმ ხანისათვის ისეთ არაჩვეულებრივ ადამიანად გვაგულისხმებინებს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებული ძველი რწმენისა და ზნეობის დარღვევას არ ერიდება ხოლმე. ამ მხრივ მისი ქცევისა და თავგადასავლის მოკლე მიმოხილვაც საინტერესო სურათს გადაუშლის ადამიანს"[1]. ლაშა-გიორგის ცნობილი რომანის (ველისცხელ ქალთან) კომენტირებისას ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ნიჭიერ მწერალს შესაძლებელია ზემომოთხრობილი „ვისრამიანის" მსგავსი მომხიბლავი, თანაც სოციალური პრობლემებით დაყურსვილი რომანისათვის გამოეყენებინა კიდევაც, ლაშა-გიორგი რომ ქვეყნის მესვეური არ ყოფილიყო, რომელსაც არ უნდა დაჰვიწყებოდა, რომ მის მოვალეობას ქვეშევრდომებისათვის კანონის შელახვის მაგალითის მიცემა არ შეადგენდა და რომ მას უფლება არ ჰქონდა თავისი პირადი ბედნიერება უმწეო მოქალაქის უბედურებაზე აეგო. რაც კერძო პირს შესაძლებელია ეპატიოს, იმას ქვეყნის მმართველს ხალხი ვერ მიუტევებს"[2].

ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო სავალალო იყო მდგომარეობა მომდევნო მეფის დროს: „საქართველოს სახელმწიფოში წინანდებურად ძლიერი დიდი ნებისყოფის პატრონის, ქვეყნის მართვა-გამგეო-

---

[1] დასახ. წიგნი, გვ. 5-6.

[2] იქვე, გვ. 6—7. საქართველოს ისტორიის ძველ სახელმძღვანელოში წერია: „გიორგი ლაშა მამაცი, რაინდული სულისკვეთებისა და თავისუფალი აზროვნების კაცი იყო, მაგრამ ამასთან ერთად მას ჟინიანი და აჩქარებული ხასიათი ჰქონდა". თბილისი, 1946, გვ. 217.

ბის უცილობელი მესვეურისა და სამხედრო ძლიერებაზე და მზაობაზე დაუცხრომელად მზრუნველის მაგიერ, გამოუცდელი და ისეთი საჯელმწიფოს მესაჭეობისათვის, როგორც მაშინ საქართველო იყო, რუსუდანივით გამოუდეგარი პიროვნება იმყოფებოდა. თავისი მოვალეობის შემგნები და პოლიტიკური შორს გამჭვრეტელობის მქონე-ბელი პირებიც მთავრობისა და მთავარსარდლობის გავლენიან წევრთა შორის აღარ ჩანდნენ. პირიქით, დიდგვარიან აზნაურთა და საქვეყნოდ გამრიგე მსხვილ მოხელეთა საგვარეულოებს შორის მეტოქეობა და ქიშპობაც-კი იყო შეპარული. ასეთ პირობებში, შეუთანხმებლობასა და საკუთარ კეთილდღეობა-განდიდებაზე ოცნებაში უნდა სახელმწიფოს კეთილდღეობაზე ზრუნვის მოვალეობის შეგნება გამქრალიყო და ქვეყნის წარმატებისა და გამაგრებისათვის დაუცხრომელი საქმიანობა, რა თქმა უნდა, მოდუნებული იქნებოდა"[1]. ორივე მეფის მიმართ ასეთი დასკვნაა გაკეთებული: „საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმტკიცე ლაშა-გიორგისა და რუსუდანის მეფობის დროს შეირყა ცალკე ამ ორი პირის ასეთი პასუხსაგები თანამდებობისათვის შეუფერებლობით, მით უფრო მეტად-კი დიდგვარიან აზნაურ მეპატრონეთა თვითნებობა-ქიშპობის აულაგმელობით"[2].

როცა დავით ულუს ახასიათებდა, ივანე ჯავახიშვილი უპირველესად გახაზავდა მის მალემრწმენობას, „გულუბრყვილობასთან ერთად არა ერთხელ ფიცხი ადამიანის თვისებაც გამოუჩენია". რაც მთავარია „ამ მალემრწმენობამ და აჩქარებამ არაერთხელ მას ისეთი შეცდომა ჩაადენინა, რომელმაც საქართველოს დიდი ზიანი მიაყენა"[3], კერძოდ, სამცხე-საათაბაგოს გამოყოფა (ხასინჯუდ ქცევა) დანარჩენი საქართველოსაგან.

ივანე ჯავახიშვილი ბევრს მოგვითხრობს ალექსანდრე დიდისა და მისი სახლობის შესახებ (რამაც მისი მძვინვარე ოპონენტის კარლო ორაგველიძის დიდი გაოცება გამოიწვია). მაგრამ ამჯერად ლუარსაბ პირველის მისეულ დახასიათებაზე შევჩერდებით. „ქართველი ერის ისტორიის" მეოთხე წიგნში ვკითხულობთ: „ლუარსაბ მეფის პიროვნებისა და მისი პოლიტიკურ-ეროვნული თავმოყვარეობისა და შეგნების გასათვალისწინებლად მეტად დამახასიათებელი გარემოებაა, რომ სპარს-ოსმალთა

---

[1] დასახ. წიგნი, გვ. 17.
[2] იქვე, გვ. 42.
[3] იქვე, გვ. 52.

1553—54 წწ. საზავო პირობებს საქართველოს მათ შორის ორად გაყოფის შესახებ, „სრულ საქართველოს ბატონები დასჯერდეს, მაგრამ მეფე ლუარსაბ არ სჯერ იყო და კიდეც თაკილობდა“. ამის გამო, რაკი მისი ეროვნული თავმოყვარეობა შელახული იყო, არამცთუ მორჩილებაზე არა ფიქრობდა, პირიქით, „ამისათვის უფრო ურჩობდა და აქათ ერანის თემსა იქით ურუმის ქვეყანას არბევდეს“[1]; „უფრო საყურადღებოა ის დახასიათება ლუარსაბ მეფის პიროვნებისა, რომელიც სპარსელ ისტორიკოსსა აქვს: ლუარსაბი გასაოცარი მამაცი ადამიანი იყო, გულოვანი პირადადაც და ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწეებით გარშემორტყმული, რომელსაც სპარსეთის შაჰის არც ყმობისა და მორჩილების უღლის დადება სურდა და არც ხარკის ძლევაზე უნდოდა საუბარი ვისთანმე, რომელსაც ვერც სპარსეთის ლაშქრის მოქმედებამ მოასრევინა ქედი“[2].

და ბოლოს, მოვიტანთ გიორგი მეცამეტის ივანე ჯავახიშვილისეულ დახასიათებას: „სამეფო ტახტზე ასულს გიორგი მეფეს არც მამის ნიჭი და პირადი სიქველე ჰქონდა, არც საიმისო გავლენა მოეპოვებოდა ხალხში, რომ ესოდენ გართულებული პოლიტიკური მდგომარეობიდან ბრძნულის შორსმჭვრეტელობითა და სიფრთხილით საქართველო სამშვიდობოს გამოეყვანა“[3]. ამ გარემოებამ, ცხადია, თავისი უარყოფითი დაღი დაასვა შესაბამისი ხანის ქართლ-კახეთის სამეფოს და საერთოდ საქართველოს ისტორიას.

უცხოელ ისტორიულ პიროვნებათაგან შევჩერდებით ჯალალედინის დახასიათებაზე: „ჯალალედინი, უეჭველია, ნიჭიერი სარდალი და სამხედრო საქმის კარგი მომწყობი იყო, მაგრამ სამაგიეროდ მას ოდნავი სახელმწიფოებრივი სიბრძნე და პოლიტიკური შორსგამჭვრეტელობა არ მოეპოვებოდა“; „ჯალალედინი იმდენად უგუნური პოლიტიკოსი აღმოჩნდა, რომ მას ისიც კი არ ესმოდა, თუ მთელი თავისი მოქმედებით როგორ უმზადებდა თვითვე საუკეთესო ნიადაგს თავისი დაუძინებელი მტრების გამარჯვებას“; „ერანში და მცირე აზიაში მყოფ სამფლობელოებთანა და საქართველოს სახელმწიფოს მთავრობასთან შეთანხმებისა და მონღოლების წინააღმდეგ შეერთებული ძალით

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, გვ. 254.

[2] იქვე.

[3] დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, გვ. 57.

შებრძოლების მაგიერ, მან თავისი ქვეყნითგან ლტოლვილმა, რო-
გორღაც წარმოიდგინა, რომ თითქოს ერთი დაკვრით ერანსაც აღად-
გენდა, უზარმაზარ სახელმწიფოსაც შეჰქმნიდა და მონღოლებსაც გა-
ანადგურებდა"[1].

ამდენად, როგორც დავინახეთ, ივანე ჯავახიშვილი საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით ცდილობდა ისტორიულ პიროვნებათა სასიათების გამოკვეთას. აქედან გამომდინარე, იგი აჩვენებდა ისტორიული პროცესის სპეციფიკას, რასაც განაპირობებდა ისტორიულ პიროვნებათა სასიათი და მოქმედება. ამგვარმა ისტორიოგრაფიულმა ტრადიციამ შემდგომში ვერ ჰპოვა სათანადო განვითარება, რაშიც თავი იჩინა ისტორიული პროცესის თაობაზე პრიმიტიულმა საბჭოურმა წარმოდგენებმა. კერძოდ, მიიჩნიეს, რომ მეფეებზე წერა თავადაზნაურული ისტორიოგრაფიის პრეროგატივა გასლდათ, მთავარი კი იყო სალსის მასის როლის წარმოჩენა. ამიტომ მოხდა ისე, რომ მიატოვეს რა მეფეთა და საერთოდ ისტორიულ პიროვნებათა სასიათების სათანადოდ წარმოჩენა[2], ამით ვერც სალხის მასის როლი აჩვენეს (მასის ფსიქოლოგია ხომ სულ მთლად ბურჟუაზიული მეცნიერების დომენად ჩასთვალეს!). ყოველივე ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ამ ამოცანის აღსასრულებლად ისტორიკოსს ესაჭიროება ნიჭი და ფსიქოლოგიური განსწავლულობა.

ვამთავრებთ რა ინდივიდუალიზაციის მეთოდის გამოყენებას ივანე ჯავახიშვილის მიერ, მოკლედ შევჩერდებით ისტორიკოსთა ინდივიდუალობების წარმოჩენაზე „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის" მიხედვით. წიგნის შესავალში აღნიშნულია: „თანამედროვე მკვლევარმა ისიც უნდა იცოდეს, რომ აღმწერელის თვალსაზრისი, წოდება, და მედასეობა საისტორიო მოთხრობაზე თავისს ძლიერს დაღს ასვამს ხოლმე და ნებაუნებლიედ მიუდგომლობაზე მოქმედებს, რომ „მაცდურ სოფელის" მოძულე ბერი-მეატიანე თავისუფალი აზროვნების და ყოფა-ცხოვრების მიმდევარი საზოგადოებისა და სახელმ-

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, გვ. 16.

[2] სხვათა შორის, ქართველ მეფეთა, კერძოდ დავით აღმაშენებლისა და თამარის ცხოვრებისადმი დიდი ყურადღების გამოჩენის გამო 1972 წლის 12 ნოემბერს „ლიტერატურნაია გაზეტას" ფურცლებზე გაკრიტიკებულ იქნა პროფ. როინ მეტრეველი (მაშინდელი ბობოლა დიდმოხელისა და მომავალი „პერესტროიკის" იდეოლოგოსის ალექსანდრე იაკოვლევის მიერ). იგივე ბრალდება გამოითქვა ქართველ კომუნისტთა ერთ-ერთი თავყრილობის დროს 1974 წლის თებერვალში.

წიფო მოღვაწეთა დახასიათების დროს პირუთვნულობას ვერ გამოიჩენდა, მეფეთა პოლიტიკის მომხრე და კარის მემატიანეც მეფეთა საძრახის საქციელს, ან სათაკილო ამბების აღწერილობას თავის ნაწარმოებში არ შეიტანდა, ხოლო მეფეთა მოწინააღმდეგე აზნაურთადმი სიძულვილსა ვერ შეიკავებდა და სხვა"[1]. გარდა ამისა, ავტორი აჩვენებდა ისტორიკოსთა მეთოდოლოგიას, ენასა და სტილს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის შესახებ ვკითხულობთ, რომ მისი „აზროვნობა ფართოა და მსოფლიო-ისტორიულ ასპარეზს აღწევს, მაგრამ ამასთანავე მისი აზროვნობა ღრმა და ბრძნულია, მისი მსჯელობა თავის ზედმიწევნითი თვისებით განმაცვიფრებელია... დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება დაწერილია მშვენიერი მხატვრული, კეთილშობილური ენით და ისეთის გულწრფელობით და იმდენად საგულისხმოდ, რომ მკითხველი უნებლიედ მისდევს მის მსჯელობას და ისიბლება მისი მაღალხარისხოვანი მოთხრობით"[2]. თამარ მეფის ერთ-ერთი ისტორიკოსის ნაწარმოებზე აღნიშნულია: „ისტორიანი და აზმანი" საზოგადოდ შინაარსიანი თხზულებაა: ამ მხრივ იგი არც ერთს სხვა საუკეთესო ქართულ საისტორიო ძეგლს არ ჩამოუვარდება... რიტორობისა და შემასხმელობისადმი სიყვარულისდა მიუხედავად თამარ მეფის ისტორიკოსი მართალის მთქმელი და პირუთვნელი მემატიანეა"[3].

თუ როგორ უპირისპირებდა ერთმანეთს ჩვენი დიდი ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძესა და პაპუნა ორბელიანს, ამაზე ჩვენ უკვე ვლაპარაკობდით. ყველაზე მეტად ჩვენს ისტორიკოსთა შორის იგი მაინც ვახუშტი ბატონიშვილს გამოჰყოფდა: „ზემომოყვანილი ვრცელ განხილვის შემდგომ ვახუშტის დიადი ღვაწლი საქართველოს და ქართულ საისტორიო მეცნიერების წინაშე თვალწინ წარმოგვიდგება. ქართულ საისტორიო მწერლობაში მან შეჰქმნა მძლავრი კრიტიკული მიმართულება... თუ ამასთანავე გავიხსენებთ ვახუშტის სწორუპოვარს საქართველოს გეოგრაფიულს აღწერილობას და მის შესანიშნავს საქართველოს ისტორიულ-ფილოსოფიურ საზოგადო მიმოხილვას, მაშინ მისი სიდიადე უცილობელი იქმნება ჩვენთვის და XVIII საუკ. ქართულ მწერლობაში ნამდვილ უებრო ბუმბერაზად წარმოგვიდგება"[4].

---

[1] თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, 1977, გვ. 26.

[2] იქვე, გვ. 219—220.

[3] იქვე, გვ. 241.

[4] იქვე, გვ. 346—47.

6. ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემა

ივანე ჯავახიშვილი იზიარებდა თვალსაზრისს საზოგადოების (კაცობრიობის) აღმავალი განვითარების შესახებ. რამდენადაც იგი დიდ ყურადღებას აქცევდა სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს და მათს ევოლუციას, ამდენადვე ცდილობდა გამოეყო მსოფლიო-ისტორიული პროცესის ცალკეული ეტაპები. აღმოსავლეთიც და დასავლეთიც თითქოს ერთნაირი „ბუნებრივი" გზით ვითარდებოდა. საერთოდ კაცობრიობის ევოლუციის პირველი საფეხური, ივანე ჯავახიშვილის აღიარებით, გახლავთ გვაროვნული საზოგადოება[1], რომელიც, თავის მხრივ, ორი ეტაპისაგან შედგება: პირველი ეტაპი ეთანადება ჩვენი წარმოდგენების მიხედვით პირველყოფილ საზოგადოებას (არქაულ კომუნიზმს) ანუ, როგორც დასავლეთის მეცნიერებაშია დამკვიდრებული, პრიმიტიულ საზოგადოებას, როცა ადამიანები ცხოვრობენ გვარებად, აქვთ საერთო საკუთრება მიწაზე, თანაბარი განაწილება და ა. შ., მაგრამ სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ჯერჯერობით არ არსებობს[2]. მეორე საფეხური უფრო განვითარებულია და გვაროვნული „წესწყობილების" ზემოთ სახელმწიფო ჩნდება. კერძოდ, ჩვენი წინაპრები — თაბალები და მესხები, ივანე ჯავახიშვილის აზრით, გვაროვნული საზოგადოების მეორე საფეხურზე იმყოფებოდნენ სამი ათასი წლის წინათ, როცა მათ ასურული წყაროები ადასტურებენ. საერთოდაც, და განსაკუთრებით საქართველოს ისტორიაში, ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით, ადგილი ჰქონდა გვაროვნული წესწყობილების დეზინტეგრაციის (დაშლისა) და რეგენერაციის (აღდგენის) რამდენიმეგზის პროცესს, რის შექცევადობაც უმთავრესად თავდაცვის მიზნით ხდებოდა. საქართველოში განვითარებული გვაროვნული საზოგადოება ბოლოს, ფართო მასშტაბებით, არსებობდა სტრაბონის ხანის იბერიაში (ქართლში). მაგრამ შემდგომშიც, თვით გვიან შუასაუკუნეებშიც, გვარების ოჯახებად გაყრილობას ალაგ-ალაგ, ცალკეულ კუთხეებში, კვლავ „შეყრილობა" მოსდევდა.

---

[1] 1905 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წესწყობილება" გვხვდება სინონიმური ტერმინიც „თემურ-გვაროვნული ორგანიზაცია". იხ. გვ. 137, 139, 144.

[2] რასაკვირველია, გვაროვნულ წყობილებას წინ უძღოდა ეტაპი, რომელსაც „წინაგვაროვნულს" უწოდებენ. მაგრამ ამის თაობაზე ივანე ჯავახიშვილის ნააზრევში ვერაფერს ვხვდებით.

როცა ძველ საზოგადოებას (რომელმაც სოციალური ევოლუციის პირველყოფილი ფაზა შესცვალა) ვიაზრებთ, თვალშისაცემია აღმოსავლეთისა და დასავლეთის (ბერძნულ-რომაული სამყაროს) ევოლუციის დიდი განსხვავებულობანი, მათ შორის მონობის სოციალური ინსტიტუტის განვითარების თვალსაზრისით. სხვადასხვანაირი იყო სოციალურ-ეკონომიკური აზრით ძველი აღმოსავლეთისა და საკუთრივ ანტიკური სამყაროს განვითარების ფინალიც. მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიო ისტორიის აღნიშნულ დიდ პრობლემას ივანე ჯავახიშვილი არ შეხებია. საერთოდ, დიდია განსხვავებულობა დასავლეთსა და აღმოსავლეთის ისტორიას შორის. „ქართველი ერის ისტორიაში" ამის თაობაზე ვკითხულობთ: „რასაკვირველია, ა. მჯლერი (ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი, გ. ყ.) მართალია, როდესაც ამბობს, რომ დასავლეთთან შედარებით აღმოსავლეთი იმით იყო უბედური, რომ ბარბაროს ველურ ტომების გადმოსახლება აღმოსავლეთში თითქმის არ შეწყვეტილაო; არაბებს თურქები მოჰყვნენ, ამათ მონღოლები ორგზის და ოსმალები"[1]; „ასეთი ქარტეხილი დასავლეთს და ევროპიელ ერებს თავს არ დასტყდომიათ: იქ ერთხელ იყო ერთა დიდი გადმოსახლება; აღმოსავლეთში-კი მრავალჯერ და აყვავებული ქალაქ-სოფლები და მდიდარი ქვეყნები მრავალგზის ყოფილა განადგურებული და მირეგვ-მორეგვილი. ეს უბედურება ქართველების უბედურებაც იყო"[2]. (ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენების მშვენიერი მაგალითი გასლავთ!).

ჯერ კიდევ 1904 წელს დაბეჭდილ ნაშრომში „მამულიშვილობა და მეცნიერება" ორჯერაა აღნიშნული აღმოსავლეთის „საშუალო საუკუნეები"[3]. ამდენად, აქედანაც ჩანს, რომ სოციალური ევოლუციის თვალსაზრისით ივანე ჯავახიშვილი შესაბამისი ხანის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ისტორიას მსგავსი შინაარსით იაზრებდა[4].

ცნობილია, რომ აღმოსავლეთის „კლასიკური" ქვეყნების პოლიტიკური წყობილებისათვის დამახასიათებელი გახლდათ სახელმწიფოს დესპოტური ფორმა. მაგრამ ივანე ჯავახიშვილი არ იზიარებდა ამგვარ

---

[1] ქართველი ერის ისტორია, I—II, 1913, გვ. 466—67.

[2] იქვე, გვ. 467,

[3] დასახ. ნაშრომი. გვ. 41, აგრეთვე გვ. 41—42.

[4] იხ. აგრეთვე „ქართველი ერის ისტორია", წიგნი მეორე, 1965, გვ. 191.

ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას. იგი წერდა: „დიდი ხანია როგორც სიტყვაკაზმულ მწერლობაში, ისე განათლებულ საზოგადოებაში ერთი ახირებული და შემცდარი აზრია გავრცელებული, ვითომც საშუალო საუკუნოებში და ქრისტეს წინა დროს აზიის ყველა სახელმწიფოში განუსაზღვრელი, სრული თვითმპყრობელობა იყო გაბატონებული, ვითომც იქ მეფის სურვილსა და განზრახვას კანონის ძალა და გასავალი ჰქონდა და დაუყოვნებლივ, სიტყვის შეუბრუნებლივ უნდა აესრულებინათ ქვეშევრდომებს. ამისთანა სახელმწიფო წეს-წყობილებას, როგორც მოგეხსენებათ, აზიურ დესპოტიის, ანუ აზიურ მტარვალობის სახელიც-კი დაარქვეს"[1]. მაგრამ იქვე ფრთხილად დასძენდა: „რასაკვირველია, ყველა აღმოსავლეთის სახელმწიფოზე ლაპარაკის ჩამოგდებას ჩვენ ვერ გავბედავთ, მაგრამ საქართველოს ისტორიის შესწავლა და ქვემორე დაწერილიც, იმედია, საკმაოდ შეარყევს ამ ყალბ და უსაფუძვლო აზრს"[2]. ამ დებულების დასაბუთებას ჩვენი დიდი მეცნიერი, როგორც ვიცით, ცდილობდა თავის პირველ ლექციაში, რომელიც სიმონ ყაუხჩიშვილმა 1960 წელს გამოაქვეყნა („ქართველი ერის ისტორიის" პირველი წიგნის მეხუთე გამოცემისას) სათაურით „აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოსა და სომხეთის მონაცემები".

ცხადია, აღმოსავლეთის ყველა ქვეყნის მსგავსი წარმოდგენით გაზრება შეუძლებელია, კერძოდ, მას (ამგვარ წარმოდგენას) საფუძვლიანად არღვევს საქართველოს, სომხეთის, იაპონიისა და ალბათ კიდევ სხვა რამდენიმე მაგალითი, მაგრამ აღმოსავლეთის უმეტესი და ე. წ. კლასიკური ქვეყნებისათვის სპეციფიკური აღმოსავლური დესპოტიზმი უთუოდ დამახასიათებელი იყო. ამის მტკიცებისას მონტესკიე, ჰეგელი და სხვა დიდი მოაზროვნენი მართალნი იყვნენ.

კონსტანტინეპოლის დაცემით, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ამიერიდან მსოფლიო კულტურის ცენტრმა დასავლეთ ევროპაში გადაინაცვლა („გონებრივი და მხატვრული კულტურის

---

[1] საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, ტფილისი, 1905, გვ. 44. სხვა ადგილას (იხ. Государственный строй..., გვ. 80) 1895 წელს თბილისში გამოსული გარაგაშიანის წიგნის („სომხეთის კრიტიკული ისტორია") მისამართით ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა აღმოსავლური დესპოტიზმის თაობაზე შაბლონურ წარმოდგენას.

[2] დასახ. ნაშრომი, იქვე.

ცენტრო (!) საბერძნეთითგან და აღმოსავლეთითგან უკვე დასავლეთ ევროპაში გადავიდა"[1]). ამდენად, მოწინავე კაცობრიობას უკვე დასავლეთ ევროპის ისტორიული სამყარო განახორციელებდა, სადაც დაიწყო კიდეც აღორძინება, „რომელმაც დასავლეთ ევროპაში ჯაბუკური სიძლიერით იჩინა თავი და სწრაფი წარმატების გზაც გაუკაფა კაცობრიობას"[2]. ამიერიდან დაიწყო ახალი ხანა საერთოდ კაცობრიობის ისტორიაში.

ახალი ეპოქის სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს კაპიტალიზმი, რომელმაც უდაოდ უაღრესად დიდი როლი შეასრულა საზოგადოების (კაცობრიობის) განვითარებაში, ისტორიის ნამდვილად მსოფლიო ისტორიად ქცევაში. ამასთანავე იგი, განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული და მითუმეტეს XX საუკუნის დასაწყისში, დიდ ცვლილებებს განიცდიდა „ჰუმანური" საზოგადოების მიმართულებით. ასე რომ, რუსი და ქართველი სოციალ-დემოკრატების მძაფრი კრიტიკული პათოსი აღნიშნული საზოგადოების მიმართ ივანე ჯავახიშვილისათვის უცნობი იყო. იგი იდეურად და ორგანიზაციულადაც შორს იდგა არა მარტო ამ მიმდინარეობისაგან, არამედ ქართველი სოციალისტ-ფედერალისტებისაგანაც, რომელთა ერთ-ერთი მთავარი მიზანი — საქართველოს მიერ პოლიტიკური ავტონომიის მოპოვება ივანე ჯავახიშვილისთვისაც უცილობელი გახლდათ და რომელთა ლიდერებთანაც (არჩილ ჯორჯაძესთან, კიტა აბაშიძესთან და სამსონ ფირცხალავასთან) მას დიდი სულიერი სიახლოვე ჰქონდა. ყოველივე ამის მიუხედავად, ივანე ჯავახიშვილი სოციალიზმს როგორც სოციალური ევოლუციის ცალკე ახალ ეტაპს, მით უფრო რევოლუციის გზით დასამკვიდრებელს, მიუღებლად მიიჩნევდა[3].

ასე რომ, ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისი თვალსაჩინოდ განსხვავდებოდა საკუთრივ მარქსისტული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების კონცეფციისაგან (აღარას ვამბობთ ამ უკანასკნელის მოდიფიკაციაზე, რომელიც ამ კონცეფციამ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტა-

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, 1948, გვ. 182.

[2] იქვე, გვ. 183.

[3] თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში ივანე ჯავახიშვილი საბჭოთა კავშირისა და კერძოდ, საქართველოს მიმართ ხმარობდა ხოლმე სიტყვა „სოციალისტურს" და ა. შ., მაგრამ მსგავსი აზროვნება მისთვის ორგანული არ ყოფილა.

ლინის ზეგავლენით განიცადა და ამ სახით ჩვენში ახლაც ფართოდაა გავრცელებული), რომელიც თავის მხრივ ჰეგელისეული მსოფლიო-ისტორიული თვალსაზრისის საფუძველზე განვითარდა. დიდი ისტორიკოსისათვის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის იდეა, ვიმეორებთ, მითუმეტეს მიუღებელი აღმოჩნდა იმ სახით, როგორც მას 20-იან და 30-იან წლებში გადმოსცემდნენ და შეასწავლიდნენ საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ამ შემთხვევაში აზროვნებიდან ჰქრებოდნენ კონკრეტული ადამიანები, მოვლენები და ა. შ. ყველაფერი იფარებოდა მჭლე აბსტრაქციებით, რაც, ივანე ჯავახიშვილში მძაფრ რეაქციას იწვევდა (ამის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე მივუთითებდით)[1].

განსხვავებულობა იმაშიცაა, რომ ივანე ჯავახიშვილის აზროვნებაში არაა გამოკვეთილი საზოგადოება როგორც გარკვეული მთლიანობა, ერთიანი სისტემა[2] და ამასთანავე, კაცობრიობის ევოლუციის განსაზღვრული საფეხური. ამდენად, მისი შესაბამისი წარმოდგენები მთლად დასაბუთებული როდია. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთელი კაცობრიობის ისტორიის გააზრება სოციალური პროგრესის თვალთახედვით დღემდე ვერ ხერხდება, თუმცა საწინააღმდეგო თვალსაზრისით (ნიკოლოზ დანილევსკის, ოსვალდ შპენგლერის, არნოლდ ტოინბისა და სხვათა მიერ) მსოფლიო-ისტორიული პროცესის გააზრება რამდენიმე ვარიანტად იქნა წარმოდგენილი.

ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიულ პროცესს, ცხადია, მსოფლიო ისტორიის აღნიშნული პერიოდიზაციის თვალთახედვით განიხილავდა. აქედან გამომდინარე, ჩვენი ისტორიის პერიოდიზაციას იგი საფუძვლად უდებდა სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსს, მათ შორის ექსპლუატაციის ფორმებს. სტრაბონის ხანის იბერიის (ქართლის) გვაროვნული „წეს-წყობილების" შინაარსს იგი იაზრებდა შესაბამისი სოციალური მომენტითაც. 1905 წელს გამოსულ ნაშ-

---

[1] თვით ავთენტურ მარქსიზმს რომ აღნიშნული გარემოება არ ეხება, კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის გარდა ეს არაერთხელ დაუმტკიცებიათ კარლ კაუცკის, ფრანც მერინგს, გიორგი პლეხანოვსა და სხვებს შესაბამის საზოგადოებათა (საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, რუსეთის, ებრაელობის) ისტორიის გადმოცემისას.

[2] ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებაში, რამდენადაც ვიცით, სულ ორიოდე შემთხვევაა საზოგადოების მიმართ ორგანიზმის ცნების გამოყენებისა. იხ. «Государственный строй...,» გვ. 89, 146. სხვათა შორის, ამავე ნაშრომში ტერმინი „ფორმაციაც" გვხვდება, ოღონდ, საზოგადოების გარკვეული პოლიტიკური ეტაპის მნიშვნელობით, იხ. გვ. 114.

რომში, რომელიც ძველი საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოებრივ წყობილებას ეხება, ივანე ჯავახიშვილი, განმარტავდა რა სტრაბონისეული მეოთხე გენოსის οἱ λαοί-ს შინაარსს, აღნიშნული სოციალური ფენის ექსპლუატაციას კოლონატურ ფორმად მიიჩნევდა[1]. თუმცა უკვე ამ სანისათვის იგი უცილობლად თვლიდა ტერმინ „მონის" შესაბამისად სათანადო სოციალური ინსტიტუტის არსებობას, მაგრამ მას (ტერმინს), ივანე ჯავახიშვილის აზრით, საკუთრივ მონის გარდა კლიენტ-ყმა-გლეხის მნიშვნელობაც ჰქონდა[2]. სოლო რაკი ტერმინ „მონას" იგი სპარსულ წარმომავლობას უკავშირებდა, დაასკვნიდა, რომ თვით შესაბამისი სოციალური ინსტიტუტიც ამ ქვეყნიდან გავრცელდა[3].

აღნიშნული პერიოდის იბერიის (ქართლის) სოციალური სტრუქტურის დასასიათებისას ივანე ჯავახიშვილი გაურბოდა „სოციალური კლასის" სმარებას და ცნობილ გამომცემელს (არქეოგრაფოსს) ვ. ვ. ლატიშევს უსწორებდა „კლასად" თარგმნას. ამას იგი იმით ასაბუთებდა, რომ თანადროულ (ივანე ჯავახიშვილის) მეცნიერებაში, „სოციალური კლასი" გულისხმობს საზოგადოების დაყოფას ეკონომიკური მდგომარეობისდა მიხედვით, მაშინ როდესაც ქვეყნის სტრაბონისეულ აღწერილობაში მოსახლეობის სოციალური დაყოფაა გაგულისხმევი[4]. (რაკი სიტყვამ მოიტანა, ვიტყვით იმასაც, რომ ივანე ჯავახიშვილი ვ. ვ. ლატიშევისაგან განსხვავებით საგსებით სწორად მესამე გენოსად მიწათმოქმედთა და მეომართა ერთიან მასას გულისხმობდა).

შემდეგში, ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით, გვაროვნული წესწყობილება პატრონყმობით, ე. ი. ფეოდალიზმით შეიცვალა, თუმცა ტერმინი patronus, რომელიც მებატონე სენიორს გამოხატავს, დასავლეთევროპული წარმოშობისაა, მაგრამ ამჯერად (სპარსეთისაგან განსხვავებით („მონის" შემთხვევაში), საქართველოსაგან დასავლეთის დიდი დაშორებულობის გამო, შესაბამისი სოციალური ინსტიტუტი უცხოური წარმოშობისა როდი იყო[5].

---

[1] Государственный строй..., გვ. 71—72.

[2] იქვე, გვ. 73. შევნიშნავთ, რომ გვიან გამოსულ შრომებში ივანე ჯავახიშვილი οἱ λαοί-სა და βασιλικοὶ δοῦλοι-ს მონებად თვლიდა.

[3] იქვე, გვ. 74.

[4] იქვე, გვ. 9.

[5] იქვე, გვ. 73.

შემაჯამებელი სახით „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველი წიგნის მეორე გამოცემაში (1928) ვკითხულობთ: „სრული სიცხადით ირკვევა, რომ საქართველოში I—VII სს.-ში მხოლოდ მონობა იყო, პატრონყმობა მაშინ არ არსებობდა. მე-X ს-ის მეორე ნახევრითგან-კი საქართველოში მარტო პატრონყმობა-ღა იყო, მონობა, როგორც საზოგადო მოვლენა, უკვე აღარ არსებობდა. ამ მხრივ I—VII სს-ის საქართველოსა და X—XIII სს. საქართველოს სოციალურ წესწყობილებას შორის არსებითი განსხვავებაა, რაც ყველას კარგად გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს. მე-VII—IX სს-ში მონობის ხსენება ქრება, მაგრამ პატრონყმობა ჯერ არ არის. ამ ხანას გარდამავალი ხანის[1] თვისებები აქვს და ჯერ კიდევ გამოსარკვევია, რანაირი სოციალური დამოკიდებულება სუფევდა მაშინ უფალთა და იმ მსახურთა, ან სახლეულთა შორის, რომელნიც ამ დროის ძეგლებში მოხსენებული არიან. ძეგლების სიმცირე ამ საგულისხმო საკითხის გაშუქებას ამჟამად აძნელებს, მაგრამ მომავალში იმედია ახალი მასალები აღმოჩნდება და ამასაც შუქი მოეფინება“[2].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლოა ვინმემ დაასკვნას თითქოს 1928 წლისათვის ივანე ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ საქართველოში თავის დროზე მონობა როგორც სოციალურ-ეკონომიკური ფორმაცია („წეს-წყობილება“) არსებობდა და ამდენად საბერძნეთისა და რომისათვის დამახასიათებელი საფეხური ჩვენმა ქვეყანამაც გაიარა. მაგრამ მსგავსი დასკვნა ძალიან ზერელე იქნებოდა. თუმცა სტრაბონის ხანაში (I საუკუნე ქრისტეს წინ) დიდი მეცნიერი მონობის გავრცელებას გულისხმობდა და თანაც λαοὶ, βασιλικοὶ δοῦλα საკუთრივ მონებადაც რომც ჩავთვალოთ (როგორც დავინახეთ, 1905 წელს გამოსულ ნაშრომში ივანე ჯავახიშვილი მათში კოლონებს გულისხმობდა), ამ სოციალური კატეგორიის მოსახლეობა მაშინდელ აღმოსავლეთ საქართველოში „მრავალრიცხოვანნი არ უნდა ყოფილიყვნენ“[3]. ივანე ჯავახიშვილის დასკვნით მაშინ „ამრიგად სოციალური

---

[1] როგორც ვხედავთ, ჩვენი დიდი ისტორიკოსი ოპერირებდა „გარდამავალი საზოგადოების“ ცნებით, რაც მეტად საჭირო გახლავთ ისტორიული პროცესის ანალიზისათვის.

[2] დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

[3] იქვე, წიგნი I, 1928, გვ. 190.

უთანასწორობის მხოლოდ ჩანასახი ყოფილა და მთელი იბერიის მოსახლეობა თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ყოფილა[1]. ასე რომ, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, სტრაბონის ხანის იბერიაში (ქართლში) მონობა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური წყობის სახით თუ არსებობდა. მართალია, „შუშანიკის წამებასა“ და „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ მონები უკვე საზოგადოების სხვა ფენებშიც (უმაღლეს (არასამეფო) და ხელოსანთა) მოიხსენიება, მაგრამ მაშინაც კი აღნიშნული სოციალური ინსტიტუტი ვერ გასცდენია სოციალურ-ეკონომიკური წყობის სახეს[2]. VIII—IX საუკუნეთა ძეგლებში კი ჩვენს ქვეყანაში მონების არსებობის თაობაზე არსებული ცნობები ჯერ მეტად იშვიათი ხდება, ხოლო შემდეგ კი სავსებით ქრება[3].

ერთი სიტყვით, საკითხი იმის შესახებ თუ როგორ, რა მასშტაბებით წარმოედგინა ივანე ჯავახიშვილს მონობა ძველ საქართველოში, სავსებით გარკვეულად უნდა ჩაითვალოს. უფრო რთულია საკითხი ბატონყმობასთან დაკავშირებით. საქართველოში პატრონყმობის ფართოდ გავრცელების პირობებში „ყმა“, ცხადია, სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა — იმისდა მიხედვით თუ სოციალური იერარქიის რომელ საფეხურზე იმყოფებოდა შესაბამისი პირი. კერძოდ, დამოკიდებული მიწისმოქმედის მიმართ „ყმა“-ს სხვანაირი შინაარსი ექნებოდა. მაგრამ ეთანადებოდა თუ არა იგი „ყმაგლეხს“? ივანე ჯავახიშვილის მტკიცებით, IX—XIII საუკუნეებში ბატონყმობა ფართოდ გავრცელდა და კუთვნილობის მიხედვით ყმები სამ უმთავრეს (სამეფო, საბატონო და საეკლესიო) ჯგუფებად ნაწილდებოდა[4], თუმცა კვლავაც რჩებოდა პირადად თავისუფალი გლეხკაცობაც, რომელთა დიდმა ნაწილმა მალე ექსპლუატირებული უმრავლესობის ბედი გაიზიარა[5]. მაგრამ, მეორე მხრივ, ივანე ჯავახიშვილისავე მტკიცებით, ბატონყმობა საქართველოში ფართოდ უფრო გვიან

---

[1] ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, 1928, გვ. 190.

[2] ეს აღნიშნული აქვს ა. პ. ნოვოსელცევსაც ზემოთ დასახელებულ კოლექტიურ ნაშრომში, იხ. გვ. 23, აგრეთვე, «Генезис феодализма в странах Закавказья», М., 1980, გვ. 63.

[3] ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, 198.

[4] ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1908, გვ. 128.

[5] ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი I, ტფილისი, 1928, გვ. 38—39.

გავრცელდა, სახელდობრ იმ პერიოდში, როცა ადგილი ჰქონდა გაბატონებული სოციალური ფენის დიფერენციაციას თავადებად და აზნაურებად.

რასაკვირველია, მით უმეტეს ჩვენს ისტორიულ გარემოს თუ გავითვალისწინებთ, საქართველოში ფეოდალიზმი კაპიტალიზმით იმანენტურად ვერ შეიცვლებოდა. შესაბამისი პროცესი დაიწყო XIX საუკუნეში, როდესაც ჩვენი ქვეყანა მეფის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. ამ პერიოდში „ყოფაცხოვრების უწინდელი პატრიარქალურობა ჰქრებოდა, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება დიდად იცვლებოდა, ძველი საფუძვლების დაშლა გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობდა"[1]. ივანე ჯავახიშვილმა კარგად შეამჩნია საქართველოს მოსახლეობის ამოძრავება, XIX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, შესაბამისად ხალხის ფართო მასის ჩაბმა სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც, ცხადია, კაპიტალიზმის (რომელიც ჩვენში, მონობისა არ იყოს, სოციალურ-ეკონომიკური წყობის ფარგლებს ვერ გასცდა) შედეგი გახლდათ.

---

[1] იხ. БСЭ-ს I გამ, М., 1930, ტ. XIX, გვ. 558—59.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი მეორე

სოციოლოგიური საკითხები

1. გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობა

საბჭოური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთვისება გასლდათ ის, რომ ისტორიული პროცესის გადმოცემისას გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობა იგნორირებული რჩებოდა, ფიქრობდნენ რომ აღნიშნული ფაქტორის სათანადოდ ჩვენება თითქოს ისტორიული მატერიალიზმის პოზიციიდან მიულებელი იყო და გეოგრაფიული დეტერმინიზმის გამოვლენად ითვლებოდა. ნიკო ბერძენიშვილი თავის გვიანდელ, სიცოცხლეში გამოუქვეყნებელ ჩანაწერებში შეეცადა ეს სარეზი გამოესწორებინა. თითქოს სხვა ქართველი ისტორიკოსებიც ამასვე ცდილობენ, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი იფარგლებიან მხოლოდ ისტორიის თხრობის დასაწყისში გეოგრაფიული ნარკვევის მოთავსებით; თვით ისტორიული პროცესის გადმოცემისას კი ვერ აჩვენებენ თუ რაში მდგომარეობდა საქართველოს ბუნების როლი ქვეყნის ისტორიაში.

თუ ივანე ჯავახიშვილის ისტორიოგრაფიულ შემოქმედებას დავაკვირდებით, დავინახავთ რომ დიდი ისტორიკოსი სათანადო მნიშვნელობას მიაგებდა გეოგრაფიულ ფაქტორსაც და ამდენად, გრიგოლ ნათაძის სიტყვები: „მარქსისტ ისტორიკოსებზე რომ არც ვილაპარაკოთ, შტორხმაც და სხვებმაც კი იცოდენ კავშირი გეოგრაფიული ფაქტორებისა საზოგადოების განვითარებასთან და გამოდის, რომ პროფესორი ჯავახიშვილი მეთოდოლოგიის მხრივ ჩამორჩება ბურჟუაზიული ისტორიის უმაღლეს საფეხურსაც კი"[1], მოკლებულია საფუძველს.

---

[1] იხ. 1936 წლის 23 მარტი — 2 აპრილის „დისკუსიის" მასალები, გვ. 104.

ჯერ კიდევ 1905 წელს გამოსულ მონოგრაფიაში „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წესწყობილება“ ივანე ჯავახიშვილი ასეთ ზოგად დაკვირვებას გამოსთქვამდა: „მთელი საქართველო, თავისი ტოპოგრაფიული პირობების წყალობით, როგორც მთიანი ქვეყანა მთლიანად ხეობებითაა დასერილი; მთაგრეხილები შეადგენენ განსახლების ბუნებრივ ზღვარს; თითოეული ხეობა წარმოადგენს ცალკე ერთეულს. ქსენოფონტეს აღწერილობიდან ჩანს, რომ მსგავსი მდგომარეობა შეიძლება დავინახოთ ძვ. წ. IV საუკუნიდან. ისტორიულ ეპოქაში დაყოფა ხეობად („ხევი“), როგორც ეს ჩანს ქართული წყაროებით, საქართველოს ყველა ოლქში იყო მიღებული“[1]. აქვეა აღნიშნული ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთი თავისებურება: „შეიარაღების არასრულყოფილება, როგორც ქსენოფონტეს აღწერილობიდან ჩანს, გამოსწორებული და ნაკლებ საგრძნობი იყო ბუნებისმიერი თავდაცვისა და ადგილების მიუდგომლობის წყალობით: ამ პირობებში შეუიარაღებლებთანაც ძნელი იყო ბრძოლა, განსაკუთრებით ალყის შემორტყმისას ან თავდასხმისას“[2].

1919 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ ვკითხულობთ, რომ საზღვრები ყალიბდებოდა ისტორიული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, აგრეთვე გეოგრაფიული და ეკონომიკური პირობების წყალობით[3]. წიგნში აღნიშნულია: „თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველ ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით-კი მის ტერიტორიას შავი ზღვის, ხოლო აღმოსავლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული. ამ მხრივ საქართველო ერთს საუცხოოდ გარემოზღუდვილს ქვეყანას წარმოადგენს. სხვათა შორის, ამ პირობების წყალობითაც შესძლო ქართველმა ერმა თავის ხანგრძლივ ისტორიულ არსებობის დროს მრავალი, ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერი მტრების მოგერიება და თავისი ეროვნების დაცვა“[4]. ავტორის აზრი შემდგომ ასე გრძელდება: „ეს გარემოება საქართველოს მტრებსაც ესმოდათ და ამიტომ არა-ერთ-

---

[1] Государственный строй..., გვ. 33, იხ. აგრეთვე, გვ. 35.

[2] იქვე, გვ. 65. აქვეა მოტანილი ბერძნების ტაოხებთან ბრძოლის მაგალითი.

[3] დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

[4] იქვე.

ხელ ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მონაპირე კუთხის დაპყრა და ჩამოშორება უცდიათ. მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მთავრობასაც თავისი სახელმწიფოს ამ ბუნებრივ სამზღვრების დაცვის უაღრესი მნიშვნელობა ჩვენი ერის არსებობისათვის მშვენივრად ჰქონდათ გათვალისწინებული და ამის გამო მტრების ყოველს ამგვარს განზრახვასა და წადილს წინააღმდეგობას უწევდნენ"[1].

იგივე აზრი უფრო დაკონკრეტებულია ერთი კუთხის მაგალითზე: „ძველ დროსაც რომ ქართველებს ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილის ე. წ. სომხითის უაღრესი მნიშვნელობა საქართველოს თავდაცვისათვის კარგად ესმოდათ და მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ეს იქითგანაც სჩანს, რომ საქართველოს მეფეებმა ჯერ მიზნად ამ კუთხის უცხო ძალისგან განთავისუფლება დაისახეს, სოლო შემდეგ, როდესაც ტფილისის სამხრეთით მდებარე ქვეყანა ქართველთა ხელში იყო, თვით საქართველოს დედაქალაქის შემოერთებას შეუდგნენ. თვით ტფილისის აღების შემდგომაც „სომხითს" საქართველოს მთავრობის თვალში თავისი დიდი მნიშვნელობა არ დაუკარგავს, ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ „სომხითის ციხე ლორე" საქართველოს ჯარის მთავარსარდლისა და სამხედრო მინისტრის, ამირსპასალარის „საჯდომ"-ად ანუ რეზიდენციად ითვლებოდა, უეჭველია იმ აზრით, რომ აქეთგან სამხრეთით მომავალი მტრისგან საქართველოს დაცვა საუკეთესოდ შეიძლებოდა და აქ მცხოვრებ სამხედრო მინისტრს უფრო ფხიზლად ეჭირებოდა თვალი სახელმწიფოს ამ ფრიად მნიშვნელოვან საზღვრებზე"[2].

„დიდი საბჭოური ენციკლოპედიის" პირველი გამოცემის მე-19 ტომში ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ბუნებრივი პირობების წყალობით მთელი საქართველო უხსოვარი დროიდან იყოფოდა ორ ეკონომიკურ რაიონად — აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა ორი პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბებას: იბერიისა და კოლხეთისა[3]. აქვე აღნიშნულია, რომ საერთოდ ამიერკავკასიის ნიადაგობრივი და კლიმატური

---

[1] დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

[2] იქვე, გვ. 23.

[3] დასახ. წიგნი, გვ. 558.

პირობების ნაირგვარობა არ უწყობდა ხელს ერთნაირი ტიპის მეურნეობის წარმოებას[1].

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველ წიგნში (1930) აღნიშნულია: „საქართველოს მიწა-წყალი უაღრესად მრავალფეროვანი და მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის გამოსადეგი იყო. ნოტიოობის სიჭარბის გამო სარწყავი მიწები დასავლეთ საქართველოში არ იყო, ან ცოტა მოიპოვებოდა. პირიქით, აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგისა და ჰავის შედარებითი სიმშრალის გამოისობით ბევრგან მიწის მორწყვა აუცილებელი იყო და სასოფლო მეურნეობაშიც სარწყავ-ურწყავ მიწებსა და სარწყავ რუებს აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული“[2]. ამ წიგნშივე ვკითხულობთ, რომ თუ „ადამიანი ვახუშტის გეოგრაფიას ყურადღებით გადაიკითხავს, დარწმუნდება, რომ შვრიის მოყვანას საქართველოში თითქმის განსაკუთრებით მთა-ადგილებში მისდევენ იქ, სადაც ბუნების სიმწირე სხვა კულტურას ასპარეზს ან სრულებით უსპობდა, ან მეტისმეტად უმცირებდა“[3]. სტრაბონის ცნობებს რომ ეხება, სვანეთის მიმართ ივანე ჯავახიშვილი ასეთ აზრს გამოსთქვამდა: „მაგრამ ესეც კი უნდა თქვას კაცმა, რომ სვანეთის მკაცრი ბუნება და ჰავა მიწისმოქმედებას არც თუ ძალიან ხელს უწყობს: ზამთარში სვანეთი მიუვალია და მიმოსვლა წყდება, გაზაფხულზეც... კი ადამიანი თხილამურებს იკეთებს ფეხებზე, რომ თოვლში რა ჩაიფლას. მთიდან კი ტყავზე დაჯდომილნი ჩამოცურდებოდნენ ხოლმე, თორემ სხვაფრივ მოგზაურობა საშიში იყო. ასეთ პირობებში ან რა გასაკვირველია, რომ სვანები დაქვეითებულიყვნენ“[4].

შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ქართველი ტომების კულტურული მდგომარეობის (ძვ. წ. V—I სს.) გადმოცემისას ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა განსხვავებულობას ზღვის დაბლობ სანაპიროსა და მთიანეთში მცხოვრებთა შორის. დაბლობ ადგილებში ცხოვრება უფრო განვითარებული იყო, უფრო მეტად მისდევდნენ მიწათმოქმედებას (თუმცა მიწის ნაკლებობა აქაც იგრძნობოდა), მევენახეობა-მეღვინეობას, სელის მოყვანას, მეთევზეობას

---

[1] დასახ. წიგნი, გვ. 558.

[2] დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

[3] იქვე, გვ. 361—62.

[4] ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, IV გამ., 1951, გვ. 31.

(დელფინების ჯერას). მთიან ადგილებში მოსახლე ქართველი ტომები კი უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით „ბუნება ცხადია, მათ ისე ხელს არ შეუწყობდა, როგორც ბარის მცხოვრებლებს, პირიქით, ბევრრიგად დააბრკოლებდა კიდეც. მწირი მიწა, მკაცრი ჰავა მთა-ადგილას, საჭირო სახნავი მიწების უქონლობა, აბა რა ხეირს დააყრიდა ადამიანს“[1]. აქ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მონადირეობას, ტყის ხილის შეგროვებას. კერძოდ, მთიელი ჯანების ცხოვრების დუხჭირი პირობების გამო დიდი გასაქანი ჰქონდა მეკობრეობას. სახნავ-სათესის დიდი უკმარისობის გამოისობით ხალიბების დიდი ნაწილი დასპეციალებული იყო რკინის მეტალურგიაში (მანამდე ვერცხლის წარმოებაში)[2].

ცხადია, საქართველოს ნაირგვარ ბუნებრივ პირობებში გლეხთა გამოსალებები ერთნაირი როდი იქნებოდა. 1906 წელს რუსულად გამოქვეყნებულ ნაშრომში მოტანილია კავკასიის მთავარმართებლის ბარონ როზენის სიტყვები, რომლებითაც იგი რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას მიმართავდა: „...შეუძლებელია არა თუ სამი წლის განმავლობაში, არამედ როდესმეც კი გლეხთა ადგილობრივი ბეგარები შეცვლილ იქნეს რუსეთის წეს-ჩვეულებებით, როცა ერთი მხარე სავსებით განსხვავებულია ჰავითაც, მიწის ნაყოფიერებითაც და თვითონ თავადაზნაურობისა და გლეხობის ცხოვრების წესითაც“[3]. რასაკვირველია, აქ გაცხადებული აზრი თვითონ ივანე ჯავახიშვილის მრწამსიც იყო.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ბუნებრივი ზღუდეებით შემოფარგლულ მხარეში ტრადიციული, ძველი ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი დიდ ხანს რჩება ხოლმე უცვლელად (მაგალითად, ისტორიკოს ჯუანშერის დროს (XI საუკუნეში) ლოპოტის ხეობაშიც კი წარმართობა იყო გაბატონებული)[4]. როცა მეთხუთმეტე საუკუნეში საქართველო ცალკეულ პოლიტიკურ ნაწილებად დაიშალა, ამაში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე „გეოგრაფიული პირობებით ხელშეწყობილ თემობრივი განკერძოებისადმი მისწრაფებას“[5].

ბუნებრივი პირობების სხვადასხვაობა თავს იჩენს აგრეთვე ტექნიკის განვითარებაში. „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველ

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, IV, გამ., 1951, გვ. 27.

[2] იქვე.

[3] Политическое и социальное движение..., გვ. 30.

[4] ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, ქუთაისი, 1917, გვ. 157.

[5] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, 1948, გვ. 175.

წიგნში ვკითხულობთ: „...სახვნელის საუკუნეთა განმავლობაში თანდათანმა გაუმჯობესებამ და ახალ-ახალმა სახეობამ წინამორბედი სახეობა ვერ მოსპო. ამ ერთის შეხედვით უცნაური გარემოების ამიზეზის გაგება ადამიანს არ გაუძნელდება, თუ საქართველოს ნიადაგის გასაოცარ სხვადასხვაობასა და ბუნებისა და თვისებათა მრავალფეროვნებას გაიხსენებს. მთა და ბარი, მაღლობი, ზეგანი და დაბლობი, ფერდობი და ვაკე ადგილი, მარად-თოვლიანი, ალპური, ტყიანი და სხვა ყველა არსებული ზოლები სუბტროპიკულამდე საქართველოში შედარებით მცირე მანძილის ფარგლებშიც-კი შეუძლია ადამიანმა მოინახოს. ნიადაგის თვისებების მხრივაც დიდი მრავალნაირობაა: სოფლის მეურნე ჩვენს სამშობლოში მაგარს, ძნელ მოსახნავსაც, უაღრესად ფხვიერსაც, ხმელსა და მშრალსაც, ურწყულსა და ურწყავს, ნოტიოს, სარწყავს, შავს, ღონიერ მიწასაც და მჭლე, მწირ მიწასაც შეხვდება. ცხადია, რომ ყოველ სახნავ მიწას ნიადაგის თვისების და მიხედვით სჭირდება დამუშავება. ამიტომ საყანური ზოგან ღრმად უნდა მოიხნას, ზოგან პირიქით ზედაპირად(!), ზოგ ადგილას ნიადაგის სიმკვრივის გამო მძიმე და ღონიერი სახვნელი სჭირდება, ზოგან-კი სუბუქი და მარტივი აგებულების იარაღიც თავის დანიშნულებას კარგად და ადვილად ასრულებს"[1]. სწორედ აღნიშნული გარემოების გამო „ერთსადა-იმავე თემში, ზოგჯერ ერთისადა-იმავე მეურნისათვის ორი და რამდენიმე განსხვავებული სახეობის სახვნელი იყო ხოლმე საჭირო"[2]. ამასვე ასახავს ივანე ჯავახიშვილის განზოგადებული დასკვნა, რომ საქართველო „სახნავი იარაღის თავისებურ საისტორიო მუზეუმს" წარმოადგენდა[3].

გეოგრაფიულმა პირობებმა დიდად იმოქმედა კერძოდ მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სპეციფიკაზე. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, უძველეს დროში მთელ საქართველოში მაღლარი მევენახეობა იქნებოდა გაბატონებული. მაგრამ შემდეგშიც „ბუნებრივი პირობების გამო, საფიქრებელია, რომ ძველ ხანაშიც დას. საქართველოში უმეტესად მაღლარი უნდა ყოფილიყო გაბატონებული და დაბლარი შედარებით ნაკლებად იქმნებოდა გავრცელებული", მაშინ როდესაც „აღმ. საქართველოში

---

[1] დასახ. წიგნი, გვ. 173; იხ. აგრეთვე, გვ. 168—69.

[2] იქვე, გვ. 174.

[3] იქვე.

პირიქით მაღლარ მევენახეობას მხოლოდ მეორე-ხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა"[1]. XI—XII საუკუნეებში „ყველგან, სადაც-კი ნიადაგისა და ჰავის წყალობით შესაძლებელი იყო, წესიერი მევენახეობის მეურნეობა სწორედ დაბლარად უნდა ყოფილიყო დამუშავებული და დაბლარი იქმნებოდა კიდევაც გაბატონებული"[2]. მაგრამ კვლავ რჩებოდა გამონაკლისი: „თუ იმერეთის ფარგლებში მთლიანად დაბლარი მევენახეობა იყო, არგვეთში, ვაკე-იმერეთში, საჭილაო-სამიქელაოში და შესაძლებელია სამოქალაქოშიც, საჩხეიმეო-სალომინაოსა, სვირს-ზეით ლომსიათ-ხევში, ოკრიბაში მაღლარი მევენახეობა სჭარბობდა, ხოლო ოდიშისა და გურიის დიდ ნაწილში კვლავ მაღლარი დომინირებდა"[3]. კერძოდ, „სამეგრელოშიც მაღლარი ვაზისაგან გაცილებით უკეთესი ღვინო გამოდიოდა, ვიდრე დაბლარისაგან. ეს გაგარემოება ნიადაგის მეტისმეტი ნოტიოობით აიხსნება: დაბლარად გაშენებული ვაზის მტევანი მოჭარბებული სინოტივისაგან და უხვი შეფოთლილობისაგან ორთქლიანი ჰაერის არეში იყო და ამის გამო ფუჭდებოდა. მაღლარად დაყენებული ვაზის ყურძენი უფრო მშრალი ჰაერისა და მზის მცხუნვარების არეში კარგად მწიფდებოდა"[4]. ბუნებრივი პირობების (კერძოდ, რელიეფის) სპეციფიკამ განაპირობა დატერასება მევენახეობა-მეხილეობის დარგებში შავშეთ-კლარჯეთის ტერიტორიაზე[5].

გეოგრაფიული პირობები ზემოქმედებდა სამშენებლო საქმეზეც. ქსენოფონტეს აღწერილობიდან ჩანს, რომ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შენობები (როგორც სახლები, ისე კოშკები) აგებული იყო ხისგან, რაც აიხსნება ამ ადგილებში ტყეების სიჭარბით. აღმოსავლეთ საქართველოში კი ძირითადი იყო ქვის სახლები, მიწურები და ნახევრადმიწურები[6], რაც შესაბამისი მიზეზით (ტყეთა ნაკლებობით) აიხსნება. რელიეფის თავისებურებაც, რასაკვირველია, თავს იჩენდა: „საქართველოს ბუნებრივი პირობების გამო შენობის აგება ხშირად შეუძლებელი იყო ისე მარტივად, როგორც ვაკე

---

[1] საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, 1934, გვ. 340.

[2] იქვე, გვ. 338.

[3] იქვე, გვ. 335.

[4] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, ნაკვეთი IV და V, მეღვინეობა და მეხილეობა საქართველოში, 1964, გვ. 63.

[5] იქვე, გვ. 135—136.

[6] Государственный строй..., გვ. 48—49.

ადგილებზე შეიძლება აგებულიყო. ჩვეულებრივ საძირკვლისათვის თხრიან მიწას და საფუძველს დებენ ხოლმე. სადაც ვაკე ადგილია, ეს მოსახერხებელია, მაგრამ სადაც ფერდობებია, და საქართველოს უდიდესი ნაწილი ასეთ მთაგორიან ადგილს წარმოადგენს, იქ, რასაკვირველია, ეს მოუხერხებელი იყო და ამიტომ ნიადაგის ხელოვნურად შექმნა ხშირად და ბევრგან აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. აი, ამას ეწოდებოდა ძველად „ქუეყანისა დავაკებაჲ"[1]. იქვე ვკითხულობთ: „გვაქვს ერთი საყურადღებო ცნობა, რომლითგანაც ჩანს, რომ ასეთი ხელოვნური ნიადაგის მომზადება 30 წლის განმავლობაში წარმოებდა. ვისაც უნახავს ფერდობიანი ადგილები, ადვილად წარმოიდგენს, რომ მართლაც დიდი შრომა იყო საჭირო, სანამ ვაკე ადგილი შეიქმნებოდა. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია, ატენის სიონი ვნახოთ და დავრწმუნდეთ, რომ ამ უზარმაზარი შენობის ნახევარი თითქმის მთლიანად ხელოვნურ საფუძველზე არის დამყარებული"[2].

მეტიც, ბუნებრივი პირობები გავლენას ახდენენ თვით არქიტექტურაზეც: „...თუ ცივს ქვეყნებში სახლების უაივნობა არავითარ ზიანს არ მოუტანს მდგმურს (ე. ი. მცხოვრებს, გ. ყ.) და, შესაძლებელია, ბუნებრივ პირობებთანაც ეს კარგად შეგუებულ მოვლენადაც კი იქმნეს მიჩნეული, ისეთი თბილი და ზაფხულში ცხელი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, სახლების უაივნობა ჰიგიენისა და კეთილმოწყობის თვალსაზრისით არამცთუ არასგზით არ შეიძლება გამართლებულ იქმნეს, არამედ, პირიქით, ხუროთმოძღვრების იმ მთავარი დებულების უხეშ დარღვევასაც წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც ყოველი ქვეყნის მშენებლობა და ნაგებობათა თვისებები უპირველესად ადგილობრივ ბუნებასა და ჰავასთან უნდა იყოს შეგუებული"[3].

ბუნებრივი პირობებისა და მხატვრობის ურთიერთკავშირიც აშკარაა. ივანე ჯავახიშვილი (რომელსაც, სხვათა შორის, მხატვრის ნიჭიც მოსდგამდა) გაოცებას გამოსთქვამდა: „სწორედ გასაოცარია, რომ ისეთი მომხიბლავი და ლამაზი, თანაც მრავალფეროვანი და დიადი ბუნებისა და ქვეყნის შვილებს, ქართველებს არც ერთი პეიზაჟისტი არა

---

[1] მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946, გვ. 94.

[2] იქვე, გვ. 94.

[3] იქვე, გვ. 196.

ჰყავთ, იმ დროს, როდესაც გაცილებით უფრო ნაკლებ ლამაზი და მწირიც-კი, უფრო ერთფეროვანი ქვეყნების მხატვრებს, როგორც მაგ. რუსებსა და დას. ევროპელებს, ბევრი პირველხარისხოვანი პეიზაჟისტი ჰყავდათ და ჰყავთ ეხლაც, რომელთაც მრავალი საუცხოო ნაწარმოები აქვთ შექმნილი"[1]; „ყველაფრის გაგება შეიძლება, ამ უცნაურობის ახსნა ძალიან ძნელია. რატომ არის, რომ თანამედროვე საქართველოს, ამ სამოთხის მსგავს ბედნიერსა და თვალწარმტაც ქვეყანას ჯერ არც ერთი პეიზაჟისტი არ წარმოუშვია? ნუთუ ქართველი მხატვრის თვალი, მისი სამშობლოს მრავალფეროვანსა და დიდ მშვენიერებას ვერ ხედავს, იგი მის გულსა და გრძნობას, მის ჭკუასა და გონებას არაფერს ეუბნება? ქართული ხელოვნების უნაყოფობა სწორედ რომ განმაცვიფრებელია. ეტყობა, რომ ქართველი მხატვარი ნაკლებ ყურადღებას აქცევს და აკვირდება იმ ბუნებას, რომელიც ამ ხელოვნების საუკეთესო მასწავლებელია"[2]. რა თქმა უნდა, ამ კითხვას მოეძებნება პასუხი და შემდეგში, ქართული კულტურის განვითარების კვალობაზე, ამ მხრივ მდგომარეობა საკმაოდ გამოსწორდა.

თუ როგორ წარმოედგინა ივანე ჯავახიშვილს ბუნებისა და რელიგიის (წარმართობისა), მითოლოგიის ურთიერთკავშირი, ამის თაობაზე ჩვენ ცალკე პარაგრაფში გვექნება საუბარი.

დიდ ისტორიკოსს არ გამოჰპარვია „სპეციფიკური სნეულებების" გავრცელება შესაბამისი ბუნებრივი პირობებით (ჰერეთში, სამეგრელოში და „ქუთაისის ქვეყანაში)"[3].

აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესო გახლავთ ივანე ჯავახიშვილის ერთი დაკვირვებაც, რომელიც არქეოლოგიური ნივთების შენახულობას ეხება: „ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისს ძველი ეგვიპტე წარმოადგენს, რომლის მშრალმა ჰავამ და უნოტიო ნიადაგმა... მეცნიერებას დაუზიანებლივ შეუნახა როგორც ტანისამოსი, თავსაბურავი, ფესსაცმელი და ქსოვილები, ასევე მრავალი სხვა საყოფაცხოვრებო ნივთიც"[4], მაშინ როდესაც „მომავალშიც ამის დიდი მოლოდინი ჩვენი

---

[1] მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946, გვ. 205.

[2] იქვე.

[3] ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, ქუთაისი, 1917, გვ. 165.

[4] ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1956, გვ. 50.

ჰავისა და ნიადაგის პირობებში მაინცდამაინც არ შეიძლება ჰქონდეს ადამიანს"[1].

დაბოლოს, ივანე ჯავახიშვილს საქართველო, თავისი დიფერენცირებული ბუნებრივი პირობების გამო, გარკვეულ ეკონომიკურ ორგანიზმად წარმოედგინა, რაც დიდ წინააღმდეგობაშია ქართველი სოციალ-დემოკრატების შესაბამის წარმოდგენასთან. კერძოდ, „ბუნებრივი პირობების გამო, ოროგრაფიულ თვისებათა წყალობით, მესხეთიცა, მისი უდიდესი ნაწილი მაინც, და სვანეთიც დანარჩენ საქართველოსთან ეკონომიურად იყო დაკავშირებული და ყველა ბუნებრივი სავაჭრო გზები მათ ქართლ-იმერეთისაკენ ჰქონდა და აქვს მიმართული"[2]. ამიტომაც ჩვენი ქვეყნის ძნელბედობანი ამ ვითარებაზეც აისახებოდა ხოლმე. „ქართველი ერის ისტორიის" მესამე წიგნში აღნიშნულია: „მესხეთის ჩამოშორებამ დანარჩენი საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა შეასუსტა, ხოლო სვანეთივით მიყრუებულ კუთხესაც კი... უიმერეთოდ-გურიოთ და ქართლ-კახეთოთ ადამიანური ცხოვრება არ შეეძლო: სავაჭროდ, თუ სამუშაოდ და საჯამაგიროდ სწორედ აქ უნდა ჩამოსულიყვნენ. დაყოფის შემდგომ საქართველოს მეფე-მთავართა შორის ხშირი ურთიერთშორისი ბრძოლისა და მტრობის გამო ეს ბუნებრივი ეკონომიური კავშირი და ურთიერთობაც წამდაუწუმ სწყდებოდა და ჩვენი ქვეყნის წესიერ განვითარებას აფერხებდა"[3].

როდესაც სომხურმა პლუტოკრატიამ და მისმა მხარდამჭერმა იმპერიალისტურმა (რუსეთის) ძალებმა საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ ჩაიფიქრეს ჯავახეთის ჩამოშორება, ივანე ჯავახიშვილი აქტიურად გამოეხმაურა ამგვარ მცდელობას. 1919 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში იგი აღნიშნავდა: „საკმარისია ადამიანმა ახალქალაქის გეოგრაფიული პირობები გაითვალისწინოს, რომ მისთვის ნათელი გახდეს, რამდენად თვით ამ ქვეყნის ბუნებრივი აგებულება ეწინააღმდეგება მის შეერთებას გუმბრთან (ალექსანდროპოლთან). ერევნის გუბერნიისა და გუმბრისა და ყარსისაგან ჯავახეთსა და სამცხე-ერუშეთს ანუ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებს და ყარსის ოლქის ფოცხოვის უბანს მაღალი 7—8 თვის განმავლობაში თოვლიანი და გაუვალი ჯერ ბერდუჯის მთების დასავლეთი ნაწილი, შემდეგ აბოცის მთების,

---

[1] თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, 1982, გვ. 405.

[2] იქვე.

[3] იქვე.

მერმე ნიალისყურის მთის, დასასრულ ერუშეთის მთის სახელებით ცნობილი უღელტეხილი ჰყოფს. ამგვარ ოროგრაფიულ თვისების გამო ეს მთები მტკვრის შემდინარეების წყალთ-გამყოფელი ქედია და გზებსაც ბუნებრივი მიმართულება სწორედ მტკვრის ხეობისაკენ, ე. ი. ჩრდილოეთისაკენ, აქვს და არა სამხრეთისაკენ. ამიტომაც არის, რომ ეკონომიურადაც ამ კუთხეს მხოლოდ საქართველოსთან შეეძლო რომ ჰქონოდა კავშირი"[1]. როცა საკითხი ხელმეორედ დაისვა 20-იან წლებში (ცხადია, ამჯერად საბჭოთა ხელისუფლების პირობებში) ივანე ჯავახიშვილი კვლავ მწვავედ გამოეხმაურა და თავისი მოსაზრება საქართველოს იმჟამინდელ უმაღლეს ხელისუფალთ გაუზიარა (1925 წელს).

2. ისტორიული დემოგრაფიის საკითხები

საზოგადოების განვითარება, მისი მექანიზმი, ცხადია, დემოგრაფიული ფაქტორის გარეშე ვერ გაიაზრება. საერთოდაც, ამ ფაქტორის უჩვენებლად ზოგად-ისტორიული პროცესის გადმოცემა ძალზე ნაკლულოვანია, მით უმეტეს როცა ისტორიკოსებს აქვთ პრეტენზია ხალხის ისტორიის გადმოცემისა. სამწუხაროდ, ე. წ. საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ისტორიული პროცესის ჩვენებისას დემოგრაფიული სიტუაციების ცვალებადობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. კერძოდ, ასევე გახლდათ უახლოესი ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაშიც და აქ ისტორიული დემოგრაფიის ჩამორჩენილობა დღემდე გრძელდება. პირდაპირ ვიტყვით, რომ არ გვყავს ისტორიკოს-დემოგრაფოსები და აღნიშნული ხარვეზის შევსებას ცდილობენ მოსახლეობის დემოგრაფიის (გეოგრაფიული მეცნიერების დარგის) წარმომადგენლები და ისიც XIX—XX საუკუნეების მიმართ. სულ სხვანაირი იყო ტრადიცია, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ივანე ჯავახიშვილმა დანერგა. ამდენად, ქართული ისტორიოგრაფიის აღორძინება შესაბამისი ტრადიციის აღდგენასაც გულისხმობს.

---

[1] საქართველოს საზღვრები..., გვ. 42. აქვე ვკითხულობთ: „მესაქონლეობისა და მეცხვარეობის მთელი მეურნეობა საქართველოში უმჯიდროესად, შეიძლება ითქვას განუყრელად, ამ კუთხესთან და ბორჩალოს მაზრის საზაფხულო საძოვრებთან არის დაკავშირებული. ასე იყო ძველადვე, მაშინაც-კი როცა მესხეთი ოსმალთა ხელში იყო, ასეა ახლაც". იხ. გვ. 43.

ისტორიული დემოგრაფიის საკითხს ივანე ჯავახიშვილი სპეციალურად პირველად 1901 წელს შეეხო, როდესაც (ამ წლის 22 თებერვალს) პეტერბურგის საარქეოლოგიო საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების სხდომაზე წაიკითხა მოხსენება „ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები საქართველოში"[1]. ახალგაზრდა ისტორიკოსმა თავი მოუყარა შესაბამის საისტორიო წყაროებს, სადაც გამოავლინა დემოგრაფიული მონაცემები სადროშოების, სამოურავოების, საეპისკოპოსოების, აგრეთვე თბილისის მიხედვით. იგი იმედოვნებდა, რომ როცა აღმოჩნდება ძველი, XV საუკუნემდელი, ქართლ-კახეთის მსგავსი აღწერები, როცა გამოქვეყნდება და შესწავლილ იქნება ისინი, შესაძლებელი გახდება საქართველოს მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის, სახელმწიფო შემოსავლებისა და მცხოვრებთა დაბეგვრის ხარისხის დადგენა და ამ საფუძველზე უფრო ფართო დასკვნების გაკეთება, მათ შორის საქართველოში მოსახლე სხვა ეთნიკური ჯგუფების შესახებაც.

დიდი მამულიშვილი სიამაყის გრძნობით დასძენდა: „ის გარემოება, რომ საქართველოში ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები და მრავალი სხვა ამ გვარი საბუთები არსებობდა, ბრწყინვალედ არღვევს იმ პირველ საქართველოს მთავარ-მართებელთაგან გავრცელებულს აზრს, ვითომც საქართველოში ყველა საქმეებს სიტყვიერად აწარმოებდნენ, ან ვითომ ჩვენის მთავრობისა და მის მოხელეთა თავგასულობას და თვით-ნებობას არა ჰქონდეს სამზღვარი..."[2]

სომხით-საბარათიანოს შესახებ საისტორიო წყაროების შესწავლით გამოიკვეთა ამ მხარის თანდათანობითი დაცარიელების სურათი XVII საუკუნის დასაწყისიდან მოკიდებული, რაც განაპირობა მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ („მეწინავე სადროშოდ" ყოფნამ); აქაური მოსახლეობა გარბოდა ზემო ქართლსა და კახეთში, სადაც, მტერთაგან შედარებით უფრო დაცულობის გამოისობით მეტი მშვიდობიანობა იყო.

ისტორიული დემოგრაფიის საკითხს ივანე ჯავახიშვილი ვრცლად შეეხო მონოგრაფიაში „საქართველოს ეკონომიური ისტორია" (1907).

---

[1] დაიბეჭდა ამავე წელს ჟურნალ „მოამბის" მეოთხე ნომერში, ხოლო მომდევნო წელს აღნიშნული საზოგადოების ორგანოში. სხვათა შორის, დამწყები მეცნიერის ეს ნაშრომი „საყურადღებო გამოკვლევად" მიიჩნია მოსე ჯანაშვილმა. იხ. „ივერია", 1902, № 253.

[2] მოამბე, 1901, № IV, გვ. 17.

ამდენად, გამოჩნდა, რომ დიდ ისტორიკოსს ეკონომიკური ისტორია ვერ წარმოედგინა ხალხთმოსახლეობის გარეშე. ცნობილია, რომ 1254 წელს მონღოლებმა აღწერეს საქართველოს მოსახლეობა და მცხოვრებთა ქონებრივი მდგომარეობა (ცხადია, ფისკალური და სამხედრო მოსაზრებებიდან გამომდინარე). ჩვენი ჟამთააღმწერლის მიხედვით „იწყეს აღწერად კაცთაგან და პირუტყუთამდე, ყანით ვენაჯამდე, წალკოტით ბოსტნამდე. და ცხრასა გლეხსა, სრულისა მიწისა მქონებელსა, ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან. და გამოჴდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა დუმანი მჴედარი, თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი“[1]. აღნიშნულ წყაროზე დაყრდნობით, ივანე ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ მხედართა ამ რაოდენობის გამოყვანა შეეფარდებოდა ოთხნახევარ მილიონიან მოსახლეობას, სოლო თუ გავითვალისწინებთ ბოგანო და უმიწაწყლო გლეხკაცობას, აზნაურებს, მოხელეებს, ვაჭრებსა და სამღვდელოებას, მაშინ, ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, საქართველოს მოსახლეობა იმსანად სულ მცირე ხუთი მილიონი მაინც იქნებოდა. მაგრამ დიდი ისტორიკოსი მისთვის დამახასიათებელი კრიტიკული მეთოდის მოხმობით მაინც შენიშნავდა: „თუმცა მემატიანეს სიტყვები ხალხის აღწერის შესახებ ბუნდოვანია და შესაძლებელია მერმინდელი დროის გადამწერებისაგან იყოს ეს ადგილი დამახინჯებული“-ო[2].

რასაკვირველია, ივანე ჯავახიშვილის მიხედვით ხუთი მილიონი სული სახლობდა მთლიანად მთელს მაშინდელ საქართველოს სახელმწიფოში. ამ მონაცემის გასაკონტროლებლად ისტორიკოსი იყენებდა რუსეთის პირველი საიმპერიო აღწერის (1897) მონაცემებს, რომლის თანახმადაც მთელს ამიერკავკასიაში (ბაქოს გუბერნიისა და დაღისტნის ოლქის გამოკლებით, რომელთა ტერიტორიები მეცამეტე საუკუნის შუახანებში არ შედიოდა ჩვენი სახელმწიფოს შემადგენლობაში) სახლობდა 4. 167. 360 მცხოვრები. ასე რომ, თუ XIII საუკუნის შუაწლებში მოსახლეობის სიმრიდროვე ერთ კვადრატულ ვერსტზე 32 სული იყო, 1897 წლის აღწერით — 22-მდე. ამდენად, ივანე ჯავახიშვილის მიხედვით გამოდის, რომ თითქოს მეცამეტე საუკუნეში საქართ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II, სიმონ ყაუხჩიშვილისეული გამ., გვ. 235.
[2] საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, 1907, გვ. 76.

ველოს დემოგრაფიული მონაცემები (საერთო რაოდენობა (2,5 მილიონი) და სიმჭიდროვე) აჭარბებდა XIX საუკუნის დასასრულისას.

ამავე ნაშრომში ივანე ჯავახიშვილი შეეცადა დაედგინა საქართველოს მოსახლეობა დავით აღმაშენებლის სამეფო ტახტზე ასვლის ახლო ხანებში. შესაბამისი მონაცემები მან ნახა არაბ გეოგრაფოს იბნ-ჰაუკალთან, რომლის ცნობითაც მეათე საუკუნის შუახანებში ქართლი ხარკად იხდიდა 200 ათას დრამას. ხოლო რაკი ბელაძორის ცნობით ხარკი კომლზე თითო დინარი იყო გადაკვეთილი, ამდენად, ჩვენი დიდი ისტორიკოსის გამოთვლით აღნიშნულ რეგიონში 14.285 კომლი ანუ ორივე სქესის 71.425 სული ცხოვრობდა. დავით აღმაშენებლის გამეფების ჟამს, როდესაც საისტორიო წყაროები მოსახლეობის მკვეთრ შემცირებას ადასტურებენ, მთელი საქართველოს მიმართ იგი გულისხმობდა ექვსას ათასამდე მცხოვრებს. გამოდის, რომ თუ საკუთრივ საქართველოში მეცამეტე საუკუნის შუა წლებში მოსახლეობის რაოდენობა ორნახევარ მილიონს აღწევდა, მაშინ მეთერთმეტე საუკუნის ბოლოდან მოკიდებული, 150 წლის განმავლობაში, ყველაზე მთავარი დემოგრაფიული მაჩვენებელი თითქოს ოთხჯერ გაზრდილა. „ხოლო ეს გარემოება მართლაც მცხოვრებთა გასაოცარ ზრდასა და გამრავლებას ამტკიცებს"[1] დასძენდა ივანე ჯავახიშვილი. უფრო მეტი იქნებოდა ეს მაჩვენებელი რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, თამარის ეპოქის საქართველოში.

საბოლოოდ, დასკვნის სახით, წიგნში ვკითხულობთ: „ერთი სიტყვით მეთორმეტე საუკუნეში საქართველო ბრწყინვალე ეკონომიურ მდგომარეობაში იყო: გარეშე მტრებისგან სრულებით უზრუნველყოფილი ხალხი გასაოცრად მრავლდებოდა, სახელმწიფო ხაზინას დიდძალი შემოსავალი ჰქონდა, აღებ-მიცემობა და მრეწველობა ფართოვდებოდა და მატულობდა, ხალხი გამდიდრდა, გასაოცარი, აუარებელი ფული ტრიალებდა საქართველოში"[2]. როგორც ვხედავთ, ავტორი ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას სწორედ დემოგრაფიული სიტუაციის ჩვენებით იწყებდა და ამდენად, მის გარეშე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის წარმოდგენა შეუძლებლად ეჩვენებოდა.

---

[1] იხ. საქართველოს ეკონომიური ისტორია, გვ. 80. ჩვენ ამჯერად თავს ვიკავებთ ამგვარი დასკვნის მართებულობის კომენტირებისაგან.

[2] იქვე. გვ. 81.

„საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“, როგორც უკვე ვამბობ-დით, ავტორი შეეხო ქართლ-კახეთის მოსახლეობის რაოდენობის დადგენას მეთვრამეტე საუკუნეში. მის დასაწყისში „დასტურლამალის“ შედგენის დროს, მთელს ქართლში (არაგვის ხეობის გარდა), ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით, მოსახლეობა ოცი ათასს ძლივს აღწევდა, ასე რომ, 1770 წლისათვის ეს მონაცემი გასამკეცდა. ხოლო მთლიანად ქართლ-კახეთში (ყაზახ-შამშადილოს გარდა) სახლობდა 50.490 კომ-ლი[1] ანუ 252.450 სული. თუ ამ ციფრს მოსახლეობის მაღალი ფენების რაოდენობასაც დავუმატებთ, მივიღებთ დაახლოებით 300 ათასს. ამ-დენივეს ანგარიშობდა ივანე ჯავახიშვილი აღნიშნული დროის დასავ-ლეთ საქართველოში და ამდენად, მთელი საქართველოსათვის იგი 600 ათასს ვარაუდობდა.

მაგრამ რუსეთთან გაფორმებული გეორგიევსკის ტრაქტატის მი-ზეზით, რამაც საქართველოზე აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა გამოიწვია, ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით იმ 61 000 კომლიდან, რომელიც შემოსევამდე, თუნდ 1783 წელს იყო, ქართლ-კახეთში 1795 წელს, სპარსელთა შემოსევის შემდეგ, 35 000 კომლი ძლივსღა იქნებოდა (ასეთ დასკვნას იგი აკეთებდა პ. გ. ბუტკოვის მასალებზე დაყრ-დნობით)[2].

ივანე ჯავახიშვილი, როგორც ვამბობდით, ხშირად ცდილობდა საერთო ისტორიული პროცესი გადმოეცა დემოგრაფიული სიტუაციე-ბის ჩვენებითაც. ასე მაგალითად, სტრაბონისეული ნაშრომიდან გა-მომდინარე, იგი დაასკვნიდა ძველი ქართლის (იბერიის) მდგომარეო-ბას შესაბამისი თვალსაზრისით. (თუმცა არ ცდილა უფრო დაეკონ-კრეტებინა ამ ხანის დემოგრაფიული სინამდვილე სტრაბონის სხვა მონაცემებით). ეგრისის დიდი ომის (542—62) ვითარებას რომ ეხე-ბოდა, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა საერთოდ ლაზიკის მჭიდროდ დასახლებულობას, სამხრეთ ნაწილში მცხოვრები მოსახლეობა კი მუდმივი ომიანობის გამოისობით შეთხელებული იყო. განსაკუთრებით ხშირი მოსახლეობა ჰყავდა სამოქალაქოს[3].

---

[1] 1918 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს.“ იგივე მაჩვენებელი განსხვავებულია—55 290. იხ. ჟურნალი „პრომეთე“, 1918, № 1, გვ. 40.

[2] დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII საუკუნეში, გვ. 42.

[3] ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, V გამ., 1960, გვ. 274.

„ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე წიგნში, რომელიც XV—XVI საუკუნეების ისტორიას გადმოსცემს, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა თემურ-ლენგის შემოსევებით გამოწვეულ მოსახლეობის შემცირებას. ეს იყო „საშინელი დანაკლისი“, რომელმაც „დააუძლურა ხანგრძლივ საქართველო პოლიტიკურ-კულტურულად და გააღარიბა ეკონომიურად“; „უპირველესად ამ თვალსაზრისით „თემურ-ლენგისაგან მიყენებული ზარალი იმდენად დიდი იყო, რომ განადგურებული ქვეყნის წინანდებურად აღდგენა და დასახლება შეუძლებელი შეიქმნა“[1]. საჭირო იყო მშვიდობიანობა, რომელიც ერთი ხანობა მყარდებოდა, მაგრამ ჯეჰან-შაჰისა და შემდეგ უზუნ-ჰასანის შემოსევებმა, თბილისში და სხვა ადგილებში მოდებულმა შავმა ჭირმა, დემოგრაფიული სიტუაცია კვლავ გააუარესეს. როგორც ვიცით, მთელი XVI საუკუნის განმავლობაში საქართველოში კვლავ ომიანობას ჰქონდა ადგილი (ჯერ სპარსელებთან, ხოლო შემდეგ ოსმალებთან). განსაკუთრებით ითქმის ეს ქართლის მიმართ. ივანე ჯავახიშვილის მტკიცებით „შედარებით მყუდროებაში იყო მხოლოდ კახეთის სამეფო, სადაც ამის წყალობით და ლევანისა და ალექსანდრე მეფის გამჭრიახობით ქვეყანა მოეშენა, მოსახლეობა გამრავლდა და ეკონომიურადაც მოლონიერდა“[2].

1918 წელს ჟურნალ „პრომეთეში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს.“ ივანე ჯავახიშვილი განიხილავდა XVIII საუკუნის საქართველოს ქალაქებში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებას (განსაკუთრებით, უფრო კონკრეტულად, თბილისში), ეთნიკურ და მფლობელობით ასპექტებში (კვლავ თბილისის მაგალითზე). ავტორის გამოანგარიშებით 1770 წელს ქართლ-კახეთის სამეფოში (სულ მოითვლიდა რვა ქალაქს) ქალაქის მოსახლეობა მცხოვრებთა საერთო რიცხოვნობის $11^2/_3$ %-ს შეადგენდა.

სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილს არ დასცალდა „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ჩაფიქრებული მესამე და მეოთხე წიგნების გამოცემა, სადაც საქართველოს ხალხთმოსახლეობის საკითხი ფართოდ უნდა ყოფილიყო გაშუქებული.

და ბოლოს, შევჩერდებით ივანე ჯავახიშვილისეულ ნაშრომზე «Политическое и социальное движение в Грузии в XIX в.,»

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, 1948, გვ. 174.

[2] იქვე, გვ. 345.

რომელიც, როგორც ვიცით, 1906 წელს გამოიცა პეტერბურგში და რომელმაც დიდი პოლიტიკური ვნებათაღელვანი გამოიწვია. ნაშრომში ავტორი შეეცადა ეჩვენებინა, რომ საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში გაშლილ მძლავრ აგრარულ მოძრაობას ისტორიულის გარდა ეკონომიკური (დემოგრაფიული) საფუძველიც ჰქონდა. კერძოდ, ქუთისის გუბერნიაში ერთ კომლზე ამ დროს მოდიოდა საშუალოდ 3,28 დესეტინა სავარგული, სახნავ-სათესი კი 1,92-მდის. თბილისის გუბერნიაში შესაბამისი მაჩვენებლები გახლდათ 6,84 და 4,92 დეს[1]. მოსახლეობის სიმჭიდროვე ქუთაისის მაზრის სამტრედიის უბანზე იყო 114,8, ხონის უბანზე — 93,5, სენაკის მაზრის აბაშის უბანზე 110,1, შორაპნის მაზრის ყვირილის უბანზე 113,4[2]. შესაბამისი მაჩვენებელი უფრო დაბალი იყო თბილისის გუბერნიაში. მაგალითად, თბილისის მაზრაში ერთ კვადრატულ ვერსტზე მოდიოდა 36,2 სული, გორის მაზრის მეჯვრისხევის უბანზე — 42,3, სიღნაღის მაზრის მაჩხაანის უბანზე — 45,4[3]. ცხადია, ამგვარი ვითარება მეტ სოციალურ დაძაბულობას გამოიწვევდა დასავლეთ საქართველოში. ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ აქ „მწვავე მცირემიწიანობის გამო მიწაზე საარენდო გადასახადმა კოლოსალურ ზომებს მიაღწია; რადგან მთავრობა ქართველ გლეხკაცობას ნებას არა რთავდა შავიზღვისპირეთის სანაპიროს სახაზინო მიწებზე დასახლებულიყო, ამიტომ მიწაზე საარენდო გადასახადის ხელოვნურ გაზრდას უწინდებურად პროგრესირება უნდა განეცადა“[4]. თვით დასავლეთ საქართველოში ამ მხრივ მდგომარეობა ყველაზე მძიმედ გურიაში იყო, სადაც აგრარული პრობლემით გამოწვეული მოძრაობა მართლაც ყველაზე მძლავრი იყო და სადაც გლეხკაცობის უპირველესი მოთხოვნა საიჯარო გადასახადის შემცირება გახლდათ[5].

დავსძენთ იმასაც, რომ ივანე ჯავახიშვილის ფართო გონებრივ, კერძოდ, საისტორიო ჰორიზონტს არ გამოჰპარვია დემოგრაფიული ფაქტორის ზემოქმედება სხვა ფაქტორებთანაც — სახელდობრ გეოგრაფიულ და ტექნოლოგიურთან. მაგალითად, მეექვსე საუკუნის ლა-

---

[1] დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

[2] იქვე, გვ. 42. იგულისხმება გამოუყენებელი ადგილების გარეშე.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 42—43.

[5] იქვე, გვ. 43.

ზიკის ისტორიის თხრობისას იგი გასაზავდა ხალხთმოსახლეობის სიხშირისა და გეოგრაფიული გარემოს (ნიადაგის) ხელსაყრელობას (განსაკუთრებით მოხირისში) შორის კავშირურთიერთობას[1]. ასევე ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებული ტექნოლოგია (ტექნიკა) და ხალხთმოსახლეობაც, რის თაობაზე იგი წერდა: „სახვნელის თანდათანი გაუმჯობესების მიზანი იყო, რომ ეს იარაღი ღონიერ მანქანად ქცეულიყო და უმაგრესი ნიადაგის მოხვნაც შესძლებოდა, რათგან, მოსახლეობის თანდათანი ზრდის გამო, ისეთი მიწების გადახვნაც აუცილებელი შეიქმნა, რომელთა დამუშავებას მანამდე არ მისდევდნენ"[2]. პოლიტიკური (საგარეო) მდგომარეობისა და ხალხთმოსახლეობის ურთიერთმიმართებაზე კი ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ.

3. რასის ფაქტორი

1902 წლის 18 ნოემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტში წაკითხულ შესავალ ლექციაში ივანე ჯავახიშვილი სპეციალურად, თეორიულ პლანში შეეხო რასობრივ ფაქტორს. კერძოდ, მან მწვავედ გააკრიტიკა მსოფლიო ისტორიის პრიმიტიული ევროპოცენტრისტული ხედვა, რომელიც მნიშვნელოვანწილად სწორედ რასის დიდი მნიშვნელობის აღიარებიდან გამოდიოდა. ივანე ჯავახიშვილის თქმით, ისტორიის ფილოსოფიაში არსებობს რამდენიმე ჰიპოთეზა, რომელიც ჭეშმარიტების შემეცნებას აფერხებს და აბუნდოვანებს. ერთი მათგანი და უმთავრესია რასის ანუ მოდგმის თავისებურებათა და მისი სულის ანუ რაობის განსაზღვრა. კაცობრიობის სამ დიდ მოდგმად (ინდოევროპულ, სემიტურ და მონღოლურ) დანაწილებისდა მიხედვით ადგენენ ხოლმე იმ სულიერ განმასხვავებელ ნიშან-თვისებებს, რომლებიც თითქოს დამახასიათებელია თითოეული ამათგანისათვის. მიიჩნევენ, რომ თითოეულ მოდგმას ათვისების, შემოქმედების უნარისა და გონებრივი ნიჭის გარკვეული ზღვარი აქვს, კერძოდ, რელიგიურობის ხარისხი და ხასიათი; არკვევენ ამა თუ იმ მოდგმის ხალხების ბუნებრივ, თანდაყოლილ მიდრეკილებას ერთ წერტილზე გაყინვისა, უძრაობისა ანდა მათ ლტოლვა-მისწრაფებას სოციალუ-

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1960, გვ. 274.

[2] საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი, 1930, გვ. 174.

რი პროგრესისაკენ. ჩვენი დიდი ისტორიკოსის აღიარებით, „გამოდის ხალხთა ბედისწერის წინდაწინვე დადგენის მსგავსი რაღაცა: ერთნი რატომღაც დაჩაგრულნი არიან განგებისაგან, მეორენი ვერ სცილდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების პრიმიტიულ ფორმებსა და გონებრივი განვითარების უსუსურ ყოფა-მდგომარეობას; მაშინ როდესაც ერთნი ყოველთვის გულგრილნი არიან რელიგიის მიმართ, მეორეთა ხვედრია, ბედისწერისაგან დადგენილი, შეუქმნან კაცობრიობას რელიგიები, მესამენი ბედისაგან გალაღებულ-გათამამებულნი არიან და მარტო მათ აქვთ მინიჭებული ძალა და ღონე მიაღწიონ უმაღლეს ყოველმხრივ განვითარებას“[1].

ამგვარი შეხედულების მეცნიერები, ივანე ჯავახიშვილის აზრით, დიდ სიმპათიებს იჩენენ ინდოევროპული მოდგმისადმი. რაკი მისი მეტი ნაწილი უმთავრესად ბინადრობს ევროპაში, ხოლო კაცობრიობის დანარჩენი ჯგუფები მოსახლეობენ აღმოსავლეთში (აზიაში), ამიტომ ამ ფაქტის ძალით აღმოსავლეთის ყველა კულტურის საერთო ნიშან-თვისებად ითვლება მეტ-ნაკლებად ერთ წერტილზე გაყინვა, კარჩაკეტილობა, წოდებათა და კლასების უქონლობა, აქედან გამომდინარე წოდებრივი და კლასობრივი ბრძოლის არარსებობა, ერთი სიტყვით, სულიერი და სოციალური უძრაობა.

რასაკვირველია, ზემოთ მოტანილი პოზიცია არაფერ მეცნიერულს და ფილოსოფიურს არ შეიცავს და იგი გამოხატულებაა ევროპელთა იმპერიალისტური იდეოლოგიისა. მისი კრიტიკისას ივანე ჯავახიშვილი მეცნიერებიდან, ჭეშმარიტების ძიებიდან გამოდიოდა და თანაც ჰუმანისტურ სულისკვეთებას გამოხატავდა. შესავალი ლექციის სულისკვეთებას საქართველოს ისტორიის მაგალითით მსგავსი რასისტული შეხედულების გაბათილებაც შეადგენდა. მაგრამ, საბჭოთა ისტორიკოსთაგან და ფილოსოფოსთაგან განსხვავებით, ივანე ჯავახიშვილს საერთოდ თვალი როდი დაუხუჭავს რასობრივ რეალობაზე. მაგალითად, „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნში (1908) იგი აღნიშნავდა, რომ ერთი ხალხი მეორეს აღემატებოდა ხოლმე ნიჭითაც (შეიარაღებასა და ქონებასთან ერთად) და ამისდაგვარად სხვებზედაც მეტი გავლენა ჰქონდა[2]. სხვაგან გახაზავდა ძველი ეგვიპტელების

---

[1] აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოს და სომხეთის ისტორიის მონაცემები, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, V გამ., 1960, გვ. 391.

[2] იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

განთქმულ სამეურნეო ნიჭს. კერძოდ, მშობლიური ხალხის მიმართ აღიარებდა: „ნიჭი ქართველ ერს არც წარსულში ჰკლებია და არც ახლა აკლია“[1].

ივანე ჯავახიშვილი კონკრეტულად უჩვენებდა ხოლმე რასის ნიშან-თვისებებს. ხაზარებზე თხრობისას იგი იმოწმებდა იოანე საბანისძისეულ სიტყვებს მათ დასახასიათებლად („საშინელნი პირითა“ ე. ი. სახით)[2]. XIII საუკუნის საქართველოს ისტორიის თხრობა, ცხადია, მონღოლთა რასობრივი ნიშან-თვისებების ჩვენებასაც გულისხმობს. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „მონღოლნი, თურქებთან ერთად, მონღოლურ მოდგმას ეკუთვნიან, რომლისაც კანის ფერსაცა და ფიზიკურ აგებულებასაც თავისი განმასხვავებელი თვისებები ჰქონდა“[3]. კერძოდ, „მათ სხეულის კანის ფერი მოყვითანო იყო და ეს თვისება მონღოლებს დღევანდლამდე აქვთ შენარჩუნებული. თურქებს კანის ფერი ახალ ადგილებზე გადმოსახლებისა და მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სხვა მოდგმის ერებთან შერევის შედეგად, საგრძნობლად გაუთეთრდათ.

მონღოლთა სხეულის გარეგნობის თავისებურება ყველაზე მკაფიოდ თავზე და პირისახეზეა შესამჩნევი. მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის იმდროინდელ ისტორიკოსებსა და მოგზაურებს სწორედ ეს გარემოება აქვთ აღნიშნული და მათთვის უჩვეულო მონღოლთა ასეთი გარეგნობა დაწვრილებით აქვთ აღწერილი. მონღოლებს შავი უხეში თმით შემოსილი სხვილი თავი ჰქონდათ, წარბწამწამები და წვერ-ულვაში ამავე ფერისა, მაგრამ ბაგეები და ნიკაპი ბალნით თხლად ჰქონდათ მოფენილი. მონღოლს, კანს გარდა, მაინც უმთავრესად წვრილი ღრმად და ერთმანეთისაგან მოშორებით, თანაც ირიბად ჩამჯდარი თვალები და მეტად დაბალი, მაგრამ განიერ ნესტოებიანი ცხვირი ასხვავებდა ადამიანთა დანარჩენ მოდგმისაგან“[4]. მათგან განსხვავებით „წინათ თურქებსაც თავისა და პირისახის ასეთივე თვისებები ჰქონდათ, მაგრამ ზემოაღნიშნული მიზეზების გამოვე, ამ მხრივაც მათ დიდი ცვლილება დაეტყოთ“[5].

---

[1] მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946. გვ. 211.

[2] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, 1965, გვ. 82.

[3] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, 1941, გვ. 25.

[4] თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1982, გვ. 85.

[5] იქვე.

XV საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის თხრობისას ივანე ჯავახიშვილი იმოწმებდა იტალიელი მოგზაურის იოსაფა ბარბაროს სიტყვებს იმის თაობაზე, რომ საქართველოს მკვიდრნი მშვენიერნი და მოსულნი იყვნენ[1].

დასასრულს „ქართველი ერის ისტორიის" პირველი წიგნის მეხუთე გამოცემის მიხედვით ირკვევა თუ როგორი იყო ივანე ჯავახიშვილის შეხედულება საქართველოს უძველესი მოსახლეობის ანთროპოლოგიური ტიპის შესახებ (მცხეთა-სამთავროს მასალების გაცნობის საფუძველზე).

სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილისეული ამგვარი ტრადიცია დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში (იხ. განსაკუთრებით „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეული) დაიკარგა და ჩვენი ისტორიული პროცესის გადმოცემისას ანთროპოლოგიური (რასობრივი) მონაცემები იგნორირებულია. ეს ხარვეზი, რასაკვირველია, მალე უნდა გამოსწორდეს.

4. ეკონომიკური ფაქტორი

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში საზოგადოებრივი აზროვნების პროგრესისა და საზოგადოებაში ეკონომიკის როლის დიდი მნიშვნელობის გამოკვეთის კვალად დიდი ყურადღება მიექცა ეკონომიკურ ისტორიას. თავდაპირველად, ლოგიკურია, ამას ადგილი ჰქონდა იმდროინდელ მოწინავე ქვეყნებში—ინგლისსა და საფრანგეთში, გერმანიამ ამ თვალსაზრისით დაიგვიანა. ასევე ითქმის მით უმეტეს, რუსეთის მიმართ. შევნიშნავთ, რომ აღნიშნული მოვლენა მარქსიზმამდე და ხშირად მის პარალელურად ვითარდებოდა. საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური მიმართულების გაჩენის აუცილებლობის გაცნობიერება კიდევ უფრო გვიან მოხდა. ეს საკითხი ჯერ 70-იან წლებში, დიმიტრი ბაქრაძემ დააყენა, ხოლო შემდეგ, 1880 წელს, ილია ჭავჭავაძემ. მაგრამ, მოგეხსენებათ, საკითხის დასმა ერთია, ხოლო გადაჭრა მეორე. გადიოდა წლები, მაგრამ არ ჩანდა ისტორიკოსი, რომელიც შესძლებდა საქმის აღსრულებას. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, „საქართველოს მაშინდელ ისტორიოგრაფიაში ისეთი უმწეო მდგომარეობა იყო, რომ არამცთუ არსად ჩანდა მკვლე-

---

[1] თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1982, გვ. 335.

ვარი, რომელსაც თითონვე ნათლად გაეთვალისწინებინა თუ რა იყო უპირველესად გასაკეთებელი და შესასწავლი, როგორის თანდათანობით და რა საშუალებით უნდა ყოფილიყო საქართველოს ისტორიის უამრავი მასალები განხილული, არამედ, ილ. ჯავჯავაძის ზემოაღნიშნული წერილების შემდეგაც, არავინ აღმოჩენილა, რომელსაც ჩვენი სახელოვანი მგოსნისა და პუბლიცისტის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება ეცადოს"[1]. ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტაც, რასაც თავის მხრივ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საჭიროება მოითხოვდა, წილად ხვდა ივანე ჯავახიშვილს.

ივანე ჯავახიშვილი ჩვენი ისტორიის ეკონომიკური პრობლემატიკით ჯერ კიდევ შემოქმედების ადრეულ პერიოდში დაინტერესდა. როგორც უკვე ვწერდით, 1901 წელს მან პეტერბურგის საარქეოლოგიო საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების სხდომაზე წაიკითხა მოხსენება „ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები საქართველოში", რომელიც იმავე წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში". 1907 წელს კი გამოაქვეყნა „საქართველოს ეკონომიური ისტორია", რომელიც IX—XII საუკუნეებს ეხებოდა. საკუთრივ ეკონომიკის გარდა წიგნში ლაპარაკია მიწისმფლობელებსა და მიწისმოქმედებაზე, ე. ი. სოციალურ სტრუქტურაზე, ხალხთმოსახლეობასა და ნუმიზმატიკა-მეტროლოგიაზე, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან ოდენ ეკონომიკის ისტორიის თხრობა, აღნიშნული საკითხების გარეშე, დიდად ნაკლულოვანი იქნება. ჩანს, რაკი 1907 წელს გამოსული წიგნი პირველ ნაწილად იყო წარმოდგენილი, ავტორს ჩაფიქრებული ჰქონია, ყოველ შემთხვევაში, მეორე ნაწილის მალე გამოცემაც, რაც იმხანად ვერ მოხერხდა.

მხოლოდ თერთმეტი წლის შემდეგ, 1918 წელს, გამოვიდა მსგავსი პრობლემატიკის ივანე ჯავახიშვილისეული ნაშრომი „ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს"[2]. ავტორი აღნიშნავდა, რომ ეს სტატია ნაწილი გახლდათ უფრო ვრცელი ნაშრომისა, რომლის გამოქვეყნებაც ვერ მოასწრო. მასში მოთხრობილია გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების მდგომარეობის, მოსახლეობის რაოდენობის, საქალაქო მეურნეობის (ხელოსნობა-ვაჭრობის) შესახებ, მიმოხილულია

---

[1] ილია ჯავჯავაძე და საქართველოს ისტორია, 1938, გვ. 16.
[2] იხ. ჟურნალი „პრომეთე", № 1.

საქალაქო ცხოვრების დანარჩენი მხარეები, კერძოდ, წესწყობილება. ნაწილი აქ აღძრული საკითხებისა გაშუქებულია 1946 წელს გამოსულ ივანე ჯავახიშვილისეულ ნაშრომში „მშენებლობის სელოვნება ძველს საქართველოში“.

1930 წელს დაიბეჭდა „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველი წიგნი, რომელიც ფაქტობრივად და თვითონ ივანე ჯავახიშვილის პირდაპირი აღიარებითაც ახლად დაწერილი გამოცემა იყო. ამის თაობაზე წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ პირველად 1907 წელს გამოქვეყნდა. იმ დროს ჯერ არც „ქართული საისტორიო წყაროების მიმოხილვა“ (იგულისხმება „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, გ. ყ.) და არც „ქართველი ერის ისტორია“ დაბეჭდილი არ მქონდა. ზემოდასახელებულ თხზულებათათვის ბევრი საჭირო წინასწარი კვლევა-ძიება დაწერილიც-კი არ იყო. მაშინ „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნის გეგმის გარდა არა მომეპოვებოდა რა. ამიტომ იმ დროს და იმ პირობებში „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ დაწერის განზრახვა ეხლა ჭაბუკურ გამბედაობად მეჩვენება“-ო[1]. ავტორის მიერ გაწეული დიდი მუშაობის, ხანმეტი პალიმფსესტების აღმოჩენისა და აგრონომ-ბოტანიკოსების შრომების წყალობით შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის ისტორიის მონოგრაფიული შესწავლა. საერთოდ, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ზოგადი კურსი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის უნივერსიტეტში იკითხებოდა (1927 წლამდე).

ცხადია, საქართველოს სოფლის („სასოფლო“) მეურნეობის ისტორია ერთ წიგნში ვერ გადმოიცემოდა, მას (კერძოდ პარკოსნებს, მებოსტნეობას (მემტილეობას), მეხილეობასა და მევენახეობას), ასევე დემოგრაფიულ წყაროებს გადმოსცემს მეორე წიგნი, რომელიც 1934 წელს დაიბეჭდა. მის წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „ვინც „საქ. ეკონ. ისტორიის“ ამ წიგნს გულდასმით გადაიკითხავს, ის დარწმუნდება, რომ ქართველი ერის მოღვაწეობა მარტო პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ასპარეზით არ განისაზღვრებოდა, არამედ მეურნეობაშიც მას დაუცხრომელი მუშაობა უწარმოებია და იმ ხანაში, რომელსაც ეს წიგნი ეხება, მისი საქმიანობა ამ დარგში საკმაოდ ნა-

---

[1] დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

ყოფიერი ყოფილა"[1]. ამან განაპირობა ის, რომ სოფლის მეურნეობის ისტორიის დანარჩენი მასალა ამ დიდი მოცულობის წიგნშიც ვერ ჩაეტია, თუმცა ავტორი თავდაპირველად ასე ფიქრობდა. „საქართველოს ეკონომიური ისტორიის" პირველი წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, რომ სოფლის მეურნეობის გარდა „დანარჩენი დარგები ისევე, როგორც მოსახლეობაზე, სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობასა, საქალაქო წესწყობილებასა და ვაჭრობა-მრეწველობაზე, კერძო, საკორპორაციო და სახელმწიფო მეურნეობის წარმოების წესებსა[2] და ფინანსებზე შემდეგ წიგნშია საუბარი"[3]. დიდად სამწუხაროდ, ავტორმა ვერ მოასწრო დანარჩენი ორი წიგნის დასრულება და მისი შესაბამისი ნამუშაკევი მასალების სახით გვიან იქნა გამოცემული.

ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო ინტერესების გარეშე არ დარჩენილა შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის საკითხებიც, რაზედაც ჩვენი ნაშრომის ცალკე პარაგრაფში საკმაოდ ვრცლადაა ლაპარაკი. ასევე სამწუხაროდ, „ივ. ჯავახიშვილს არ დასცალდა მოპოვებული მასალა ქართული და უცხოური წყაროების ცნობებთან შეედარებინა და ქართული ისტორიოგრაფია შინამრეწველობისა და ხელოსნური წარმოების შესწავლისადმი მიძღვნილი ვრცელი მონოგრაფიით გაემდიდრებინა"[4].

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად უჩვენებს, რომ ივანე ჯავახიშვილი იყო ის ისტორიკოსი, რომელმაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ეძლავრად დაამკვიდრა სოციალურ-ეკონომიკური მიმართულება, ვისაც საერთო-ისტორიული პრობლემატიკის გადმოცემა ეკონომიკის გარეშე ვერ წარმოედგინა. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით,

---

[1] დასახ. ნაშრომი, გვ. VI.

[2] ცხადია, „წარმოების წესი" აქ ნახმარია, ვიწრო, ტექნიკური მნიშვნელობით და მისი შინაარსი შორსაა შესაბამისი მარქსისტული ცნებისაგან

[3] დასახ. წიგნი, გვ. IV. უფრო კონკრეტულად აი ნაწილი საკითხებისა, რომლებიც უნდა დამუშავებულიყო: მესაქონლეთა შრომის პირობები და მოვალეობანი, მონასტრების ქონებრივი სახსარი და ფინანსები, აღაპის განჩინების წესები, ვაჭრობა-მრეწველობა, ქალაქები და საქალაქო წესწყობილება, მიმოსვლისა და სავაჭრო გზები, ფულისა და სულადობის (!) მეურნეობა, ფასები, მცხოვრებთა უფლებრივ-ქონებრივი უსწორმასწორობა, სამონასტრო მეურნეობა, შრომის პირობები სასოფლო მეურნეობაში, მეფის მეურნეობის ორგანიზაცია, სტატისტიკური ცნობები და მოსახლეობის რაოდენობა.

[4] იხ. შოთა მესხიას სტატია „ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ეკონომიური ისტორიის საკითხები", ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში, თბილისი, 1976, გვ. 20.

რომ საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად დღემდე არავის არ გაუკეთებია იმდენი, რამდენიც გააკეთა ივანე ჯავახიშვილმა და არა მარტო აღნიშნულ ნაშრომებში, არამედ „ქართველი ერის ისტორიის“ მრავალტომეულშიც ივანე ჯავახიშვილი ხშირად გადმოსცემდა ჩვენი საზოგადოების ეკონომიკურ ვითარებას ცალკეულ პერიოდებში[1].

მაგრამ თქმული სრულიადაც არ ნიშნავს თითქოს ივანე ჯავახიშვილი მარქსისტულ სოციოლოგიისა და ისტორიის ფილოსოფიის (ისტორიული მატერიალიზმის) დედააზრს იზიარებდა. იმ აზრიდან, რომ ეკონომიური ფაქტორი დიდი მნიშვნელობისაა, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეებზე და თავის მხრივ განიცდის ამ უკანასკნელთა ზემოქმედებას იქამდე, რომ ეკონომიკა წარმოადგენს ბაზისს, რომლითაც საბოლოო აზრით გაიგება მთელი საზოგადოება, როგორც სოციალური სისტემა, დიდი მანძილი გახლავთ. ფაქტია, რომ ამ გარემოების გაუცნობიერებლობა ქართველ ისტორიკოსთა შორის აშკარად შეიმჩნევა. როგორც უკვე მივუთითებდით, მაგალითად დავით გვრიტიშვილი აღნიშნავდა: „ივ. ჯავახიშვილისათვის ნათელი იყო, რომ ქვეყნის ეკონომიური მხარე საფუძველია ერის სულიერი ცხოვრებისათვის და არავითარი ისტორიული პროცესი არ გაიგება, თუ სათანადოდ არ იქნა შესწავლილი და გათვალისწინებული ქვეყნის ეკონომიკა“[2]. უკვე მოხსენიებული საიუბილეო კრებულის შესავალში აღნიშნულია, რომ „ივანე ჯავახიშვილი კარგად გრძნობდა (?!) საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლის — ეკონომიკის შესწავლის დიდ მნიშვნელობას“[3]. ასევე ედიშერ ხოშტარია-ბროსე დასძენს: „ივ. ჯავახიშვილი თავიდანვე (?!) დიდ ყურადღებას აქცევდა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას, როგორც საფუძველს ისტორიული განვითარებისა“[4].

---

[1] შევჩერდებით მხოლოდ ჩვენი „ოქროს ხანის“ მდგომარეობაზე. სპარსელი გეოგრაფოსის ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობაზე დამყარებით ივანე ჯავახიშვილი დაასკვნიდა, რომ საქართველოს (ყმადნაფიცი ქვეყნების გარდა) ყოველწლიური სახელმწიფო შემოსავალი 3.750.000 ოქროს მანეთს უდრიდა, რაც აღემატებოდა ამ ხანის მოწინავე ქვეყნების შემოსავალს. იხ. ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, 1965, გვ. 394.

[2] იხ. ავტორის „ივანე ჯავახიშვილი“, თბილისი, 1968, გვ. 100.

[3] იხ. გვ. 10.

[4] იხ. ივანე ჯავახიშვილი, ბიობიბლიოგრაფია, 1976, გვ. 9. 80, 89.

ამგვარი შეხედულების მატარებელთ, გარდა ზემოაღნიშნული ზოგადსოციოლოგიური მომენტის გაუგებრობისა, ეშლებათ კიდევ სხვა რამ — თითქოს სწორედ ასევე აღიარებდა ივანე ჯავახიშვილი თავის 1938 წელს გამოსულ ნაშრომში, რომელიც ილია ჭავჭავაძეს ეხებოდა. როდესაც ილია იძლეოდა ასეთ პასუხს: „მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიურ აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს“, იგულისხმებოდა კითხვები: „რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფას? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრას? საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?“. ამათზე პასუხის თაობაზე ივანე ჯავახიშვილი, გამომდინარე დიდი წინაპრის აზრიდან, მიუთითებდა: „იმ ეკონომიურ საფუძვლად, რომელმაც ქართველ ერს მრავალრიცხოვან მტრებთან ესოდენ ხანგრძლივი ბრძოლით წარმატება შეაძლებინა, ილ. ჭავჭავაძეს მიწათმფლობელობის წესი მიაჩნდა“[1].

ბროშურაში სხვა ადგილას ვკითხულობთ, რომ ილიამ „ჯერ კიდევ 1880 წ. აღიარა ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა“[2]. ამდენად, ამ შემთხვევაში სულაც არ იგულისხმება მარქსისტული მატერიალისტური (ეკონომიკური) მონიზმი. და ბოლოს, თუ ამ თვალსაზრისით კიდევ რაიმე საეჭვო რჩება, მოვიტანთ ივანე ჯავახიშვილის შემდეგ აზრსაც: „მისი (ილიას, გ. ყ.) რწმენით მთავარი ყურადღება შინაგანს, ე. ი. სოციალურ-ეკონომიკურსა და კულტურის პრობლემებს უნდა მიჰქცეოდა“[3].

ასე რომ, ივანე ჯავახიშვილი, ისევე როგორც მანამდე ილია, სრულიადაც არ მიახლოებულა მარქსიზმთან. აღნიშნულ ორ პოზიციას შორის დიდი დისტანცია არსებობდა თეორიული თვალსაზრისითაც. აქედან გამომდინარე, სულაც არ რჩებოდა მცირე მანძილი, რაზე გავლითაც ივანე ჯავახიშვილიდან მარქსიზმამდე მისვლა შეიძლებოდა.

ზემოთ უკვე მივუთითებდით, რომ ივანე ჯავახიშვილისათვის ეკონომიკა სულაც არ გახლდათ თვითკმარი, თავის თავში ჩაკეტილი სისტემა, რომელიც ვითარდებოდა სხვა ფაქტორების ზემოქმედების გარეშე. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორად დიდ ისტორიკოსს მიაჩნდა მეცნ-

---

[1] ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია..., გვ. 9.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 7.

ნიერება. მისი აზრით, „ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ არც ერთ ეროვნებასა და ქვეყანას არ შეუძლიან შეუჩერებლად კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბადია. ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიაც კი თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღმოჩენებზეა დამოკიდებული"[1]; „რაც უნდა კარგად შეასწავლოთ პრაქტიკულად გამოსაყენებელი ტექნიკის თვით უკანასკნელი აღმოჩენა და საშუალებანი, თუ რომ თეორიული მეცნიერება მას საფუძვლად მუდამ ნიადაგს არ უმაგრებს, ამ-გვარ ცოდნას, ვითარცა ნამდვილ ხელოვნურსა, მცირედი ღირებულება აქვს და თანდათან უნდა უეჭველად ჩამოქვეითდეს"[2].

ივანე ჯავახიშვილს მაგალითად მოჰქონდა მოწინავე გერმანია. იგი აღნიშნავდა: „ცნობილია, რომ გერმანიის ქიმიურ ნივთიერებათა და სამღებრო მრეწველობის განმაცვიფრებელი ზრდა გერმანული საქიმიო მეცნიერების დაუცხრომელ წარმატების ნაყოფია. თუ გერმანია ამ მსოფლიო უმაგალითო ტვირთის სიმძიმეს ყველაზე უკეთესად იტანს და ყველგან, სადაც იგი მოქმედობას დაიწყობს ხოლმე მისი ყოველივე ნაბიჯი მიზანშეწონილია, ეს სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ თეორიული სოციალური და ჰუმანური (ჰუმანიტარული, გ. ყ.) მეცნიერებანიც იქ მაღალ ხარისხამდე არის განვითარებული და მუშაობა შეუჩერებლივ სწარმოებს"[3]. დასკვნა, რომელიც ამავე დროს ჩვენი გადაუდებელი საქმე გახლდათ, ასეთი იყო: „ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურულს ნორჩს აღორძინებას ფესვები გავუმაგროთ, მთელი ჩვენი ძალღონით მეცნიერების შექმნას და აყვავებას უნდა ხელი შევუწყოთ"[4].

როგორც დავინახეთ, ივანე ჯავახიშვილი საზოგადოებას, ისტორიულ პროცესს ხედავდა და იაზრებდა მთლიანობაში. კერძოდ, ეკონომიკა, მისი აზრით, ერთ-ერთი მხარეთაგანი იყო, რომელიც ზემოქმედებას ახდენდა სხვებზე და თავის მხრივ განიცდიდა სხვა მხარეთა ზეგავლენას.

---

[1] იხ. ივანე ჯავახიშვილის მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ, „სახალხო საქმე", 1917, № 66.

[2] დასახ. ორგანო, იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

5. ისტორიული გარემოს ანუ საზოგადოებათა ურთიერთზემოქმედების ფაქტორი

ე. წ. საბჭოურ ფილოსოფიურ ლიტერატურაში ცალკეული საზოგადოება განიხილებოდა როგორც თავის თავში ჩაკეტილი, დამოუკიდებელი სოციალური სისტემა: ამდენად, აზროვნების გარეშე სტოვებდნენ კონკრეტული საზოგადოების გარემომცველ საზოგადოებებს ანუ საზოგადოების ისტორიულ გარემოს და ეს უკანასკნელი კატეგორია, ცხადია, ისტორიოგრაფიასა და საბჭოურ ყაიდაზე ინტერპრეტირებულ ისტორიულ მატერიალიზმში არ ფიგურირებდა. მაშინ, როდესაც ცალკეულ საზოგადოებათა უმეტესობა (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ვითარდებოდა სხვა საზოგადოებებთან ურთიერთკავშირში, რის გამოც მნიშვნელოვანი იყო ამ გარემოს ზეგავლენები კონკრეტულ საზოგადოებაზე. ამასთანავე, თუ ცალკეულ საზოგადოებასთან შედარებით ისტორიული გარემო ჩამორჩენილი იყო და დიდი აგრესიული პოტენციალით ხასიათდებოდა, ადგილი ჰქონდა პირველის უკუსვლით მოძრაობასაც. ამ შემთხვევაში ბათილდებოდა საბჭოთა ფილოსოფოსების (კერძოდ სოციოლოგოსების) პრიმიტიული წარმოდგენები გარეგანი ფაქტორის ნაკლებმნიშვნელობის შესახებ შინაგანთან შედარებით[1]. რასაკვირველია, საბჭოურ ისტორიოგრაფიაში თვით ისტორიული სინამდვილიდან გამომდინარე, მეტ ანგარიშს უწევდნენ ისტორიულ გარემოს და კონკრეტულ (ცალკეულ) საზოგადოებაზე მისი ზემოქმედების შედეგებს. კერძოდ, ქართველი საბჭოთა ისტორიკოსებიც საკმაოდ კარგად ამჩნევდნენ აღნიშნულ გარემოებას, მაგრამ სასურველობამდე შორი მანძილი რჩებოდა, რამეთუ ისტორიული გარემოს საკითხი თეორიულად სათანადო დონეზე არ იყო დამუშავებული.

საქართველოს ისტორიული პროცესის გადმოცემისას ისტორიული გარემოს როლის წარმოჩენას დიდი ტრადიცია დაუმკვიდრა ივანე ჯავახიშვილმა. რა თქმა უნდა, ეს მოვლენა სავსებით კანონზომიერია და აიხსნება ჩვენი დიდი ისტორიკოსის უზარმაზარი ერუდიციით. სავსებით სწორად წერდა გამოჩენილი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, რომ „ი. ჯავახიშვილი უნივერსალურად განსწავლული მკვლევარია, დიდი მცოდნე როგორც დასავლეთის, ისე სომ-

---

[1] ისტორიულ გარემოზე ჩვენ სპეციალურად ვმსჯელობდით ცალკე სტატიაში. იხ. ჩვენი „ისტორიულ-ფილოსოფიური ეტიუდები", II, 1992, გვ. 63—94.

ხურ, ირანულ და არაბულ კულტურათა სამყაროისა"[1]. უპრიანია ამ კონტექსტში პროფ. სერგო ჯორბენაძის აზრის მოტანაც: „ივანე ჯავახიშვილამდე საქართველოს მთელს ისტორიაში არ ყოფილა სხვა მკვლევარი, რომელსაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ისტორიის, ისტორიის ფილოსოფიის ღრმა ცოდნით შესძლებოდა წარმოედგინა საქართველოს ადგილი და როლი მთლიანად მსოფლიო ისტორიის ჭრილში"[2]. დავუმატებდით, რომ ასეთი ისტორიკოსი არათუ მანამდე, არამედ მის შემდგომაც არ ყოფილა.

აღნიშნული გარემოების თაობაზე ზოგად პლანში თვითონ ივანე ჯავახიშვილი ასე წერდა: „ქართველმა მოღვაწემ თავის მეზობლების სომხების, თურქების, სპარსელების ენა და ისტორია, მწერლობა და კულტურა უნდა იცოდეს, მათთან კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობა ქართველისათვის ბუნებრივი და აუცილებელი არის. ერთა შორის სოლიდარობაც ამ ერთა გულისნადების, მათი ენისა და მწერლობის ცოდნის გარეშეც შეუძლებელია".[3]

საქართველოს ისტორიის გააზრებას კი ფართო ისტორიულ კონტექსტში, როგორც მივუთითებდით, დიდი ცოდნა სჭირდებოდა და საგანგებო მომზადების გარეშე იგი ვერ მოსერხდებოდა. ნიკო მარი 1899 წლის 20 მაისს ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილის საპროფესოროდ მოსამზადებელ რეკომენდაციაში აღნიშნავდა, რომ არმენისტიკის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მან პრივატ-დოცენტ კოკოცოვის მეშვეობით სპეციალურად შეისწავლა სირიული ენა. ორი წლის შემდეგ კი, 1901 წლის 17 მარტს ივანე ჯავახიშვილი ნიკო მარს ასე სწერდა: „სასურველია სპეციალურად შესწავლილი იქმნას ქრისტიანული ეკლესიის დოგმათა ისტორია და საეკლესიო ლიტერატურა პროფ. ჰარნაკთან, აგრეთვე შუა საუკუნეები ევროპაში და ფეოდალური ინსტიტუტების ისტორია გერმანიაში პროფ. ლამპეხტთან. ჩემთვის, რაკი ქართველოლოგიას ვსწავლობ, აუცილებელია ბიზანტინოლოგიაში მუშაობა, რათა გათვალისწინებულ იქნას ბიზანტიის გავლენა საქართველოზე, სასურველი იქნებოდა ვიმუშაო ბიზანტინოლოგიაში პროფ. კრუმბახერთან".

ასე გრძელდებოდა შემდეგშიც — როდესაც ამა თუ იმ ხანის საქართველოს ისტორიას გადმოსცემდა, ჩვენი დიდი ისტორიკოსი და

---

[1] კ. გამსახურდია, კრიტიკა, თბილისი, 1956, გვ. 290.

[2] ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბილისი, 1983, გვ. 81.

[3] იხ. საისტორიო მოამბე, ტ. 20—22, 1967, გვ. 480.

მამულიშვილი სპეციალურად შეისწავლიდა ხოლმე ჩვენს საზოგადოებაზე ზემოქმედი ხალხების ისტორიას. ამ თვალსაზრისითაც იგი, ვიმეორებთ, დღემდე სწორუპოვარ ისტორიკოსად რჩება ქართულ ისტორიოგრაფიაში.

„ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში ვკითხულობთ: „რასაკვირველია ა. მჯლერი მართალია, როდესაც ამბობს, რომ დასავლეთთან შედარებით აღმოსავლეთი იმით იყო უბედური, რომ ბარბაროსი ველური ტომების გადმოსახლება აღმოსავლეთში თითქმის არ შეწყვეტილაო; არაბებს თურქები მოჰყვნენ, ამათ მონღოლები ორგზის და ოსმალები“[1]. ამ ვითარებისაგან განსხვავებით, როგორც უკვე მივუთითებდით, ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით „ასეთი ქარტეხილი დასავლეთის და ევროპულ ერებს თავს არ დასტყდომიათ; იქ ერთხელ იყო ერთა დიდი გადმოსახლება; აღმოსავლეთში-კი მრავალჯერ და აყვავებული ქალაქ-სოფლები და მდიდარი ქვეყნები მრავალგზის ყოფილა განადგურებული და მირეგვ-მორეგვილი. ეს უბედურება ქართველების უბედურებაც იყო“[2]. ამავე წიგნში სხვა ადგილას აღნიშნულია: „ამის გამო მისი (აღმოსავლეთის, გ. ყ.) სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების ბუნებრივი მიმდინარეობა არა ერთხელ შეწყვეტილა“[3]. თუმცა, ამასთან დაკავშირებით დიდ ისტორიკოსს არც ის გარემოება გამოჰპარვია, რომ „მაინც საქართველოსათვის იმდენად გარეშე მტერი არ იყო საშიში და არც ესა ყოფილა ის დიდმნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც მის გაძლიერებას აფერხებდა. ქართველებს აუძლურებდა შინაური ბრძოლა მეფეთა და დიდგვაროვანთა შორის“[4].

ქართული საზოგადოებისა და მისი ისტორიული გარემოს ზემოქმედების ისტორიის დასაწყისს ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ ძვ. წ. XIII—XI საუკუნეებს, კერძოდ, ასურეთის აგრესიას, უკავშირებდა. ამგვარი თხრობა მოჰყავდა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის (ანექსიის) ჩათვლით. იგი გამოკვეთავდა ამ ურთიერთზემოქმედების სხვადასხვა ასპექტებს. დავიწყებთ ეკონომიკურ სფეროდან, რის თაობაზეც იგი წერდა: „თუ აქამდის ჩვენ უცხოელებთან უმთავრესად

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, 1965, გვ. 164.
[2] იქვე, გვ. 164—65.
[3] იქვე. იხ. აგრეთვე წიგნი IV, 1967, გვ. 14.
[4] საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, ტფილისი, 1934, გვ. VI.

ბრძოლის ამბები ვიცოდით, ეხლა უკვე ვრწმუნდებით, რომ ამას გარდა მეურნეობის სფეროში მათთან ურთიერთობაც ყოფილა და, პოლიტიკური ბრძოლისდა მიუხედავად, მარტო მეზობელთა-კი არა, არამედ მოწინააღმდეგე ქვეყნებიდანაც მეურნეობის სფეროში გამოსადეგი მონაპოვარი და მნიშვნელოვანი გამოცდილებაც გამოუყენებია ისევე, როგორც ქართულ სასოფლო მეურნეობასაც სხვათა მეურნეობაში თავისი წვლილი შეუტანია"[1]. სახელდობრ, საქართველოდან მეზობელ ხალხებში გავრცელდა გუთანი, ვაზის სხვადასხვა ჯიშები, ისევე როგორც სხვა ხალხებისაგან ჩვენმა წინაპრებმა აითვისეს ვაზის სხვადასხვა ჯიშები, ბრინჯი, ბამბა, თურინჯ-ნარინჯი, ხოლო ამერიკის აღმოჩენის შემდგომ — სიმინდი და ლობიო (თურქეთის მეშვეობით). ივანე ჯავახიშვილი ჩვენი მეცნიერების ნაკლოვანებად თვლიდა შინაური ცხოველების შესწავლის მცდელობას ოდენ საქართველოს ფარგლებში, მაშინ როდესაც მათი „წარმოშობილობისა და შერჩევა-გაუმჯობესების ისტორიისათვის კი ჩვენ აუცილებლად ჩრდილო კავკასიის და მცირე აზიის მესაქონლეობის ჯიშებრივი რაობის ცოდნაც გვჭირდება: სწორედ ამ მხრივ კი ჯერ არაფერია გაკეთებული"-ო[2].

როდესაც „ოქროს ხანის" საქართველოში ამქრობის ინსტიტუტს ეხებოდა, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „იყო თუ არა ამ დროს საქართველოში ამქრობის წესი და წყობილება, ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ მაინც მკვლევარს შეუძლიან სთქვას, რომ ამქრობა ამ დროს ეცოდინებოდათ, იმიტომ რომ არაბეთის სახალიფოში ამქრები უკვე მე-VIII-ე საუკუნეში არსებობდნენ (A. Kramer. Kulturgeschichte der Orient, II, 187), ხოლო ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს წესწყობილებაზე არაბებს გავლენა ჰქონდათ. ამის გამო საფიქრებელია, რომ ამქრები ტფილისში მაინც უნდა ყოფილიყვნენ"[3].

ირანისა (თურქ-სელჩუკიანების ხანისა) და არაბთა სახალიფოს სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა და შესაბამისი სამართლის ზემოქმედების შესახებ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ისტორიკოსი წერდა: „მაშინდელ ჩვენ მეზობელ ერებს სპარსელებსა და განსაკუთრებით

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 165.

[2] ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1956, გვ. 92.

[3] საქართველოს ეკონომიური ისტორია, გვ. 40—41.

არაბებს დიდი მწერლობა ჰქონდათ თავიანთ სახელმწიფოთა წესწყობილებისა და მოხელეთა უფლების შესახებ; სპარსულად დაწერილ გამოკვლევის „სიასეტ-ნამე“-ს ავტორი ნიზამ-ულ-მულქი ჩვენ სახელოვან მეფის დავით აღმაშენებლის უფროსი თანამედროვე იყო: ცოდნით და მწერლობით მაშინ ქართველები თავიანთ მეზობლებს თითქმის არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ, ამიტომ მოსალოდნელია, რომ ჩვენშიც ყოფილიყო გავრცელებული სასჯულთმეცნიერო გამოკვლევათა წერა,—სხვა და სხვა თხზულებები საქართველოს წესწყობილებისა და კანონმდებლობის შესახებ“[1]. აქედან გამომდინარე, იგი დასძენდა: „ჩვენი ძველი მწერლობა ძალიან ნაკლებად არის შესწავლილი, ამიტომ შესაძლებელია ოდესმე ამგვარი თხზულებები აღმოჩნდეს“[2]-ო. მართლაც, სულ რაღაც ათიოდე წლის შემდეგ აღმოჩენილ იქნა სწორედ ამ სახის თხზულება „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომლის შესახებაც ყველაზე კომპეტენტური სიტყვა ივანე ჯავახიშვილმა სთქვა.

ასევე გახლდათ, კერძოდ, ხელოვნების სფეროში: „თავის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ცხოვრების დროს, საქართველოს სხვადასხვა კულტუროსან ერებთან (ასურელებთან, სპარსებთან, ბერძნებთან, რომაელებთან, არაბებთან) ჰქონია საქმე და მათი გავლენის ქვეშ ყოფილა. უეჭველია, მათთან გონებრივ კავშირსა და დამოკიდებულებას ხელოვნებაზედაც კვალი უნდა დაეჩნია“[3].

ქართული დამწერლობის თაობაზე „ქართულ პალეოგრაფიაში“ ვკითხულობთ: „რადგან ყოველი სამწერლობო ხელოვნება, ვითარცა კულტურული ცხოვრების სხვა მხარეებიც, მეზობელ და თვით შორეულ ერთა ისტორიასთან არის დაკავშირებული, ამიტომ ქართული მწიგნობრობის თავგადასავლის მიმოხილვაში ჩვენ სხვა ერთა სამწიგნობრო ხელოვნების განვითარებასაც... უნდა გავუწიოთ ანგარიში“[4].

---

[1] საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, ტფილისი, 1905, გვ. 34—35.

[2] იქვე, გვ. 35.

[3] მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1964. გვ. 3.

[4] ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, II გამ., 1949, გვ. 27. იხ. აგრეთვე, გვ. 3—4.

დიდებული გახლავთ ივანე ჯავახიშვილის მსჯელობა ქართული რენესანსის განვითარებასა და მის წინაპირობებზე. ამის თაობაზე იგი წერდა: „აზიისა და ევროპის საზღვარზე მყოფმა ქართველმა ერმა იმოდენი სულიერი და გონებრივი სიღრმე-სიფართოვე გამოიჩინა, რომ ამდროინდელი აღმოსავლეთის კულტურის საუკეთესო გამოხატულობის სპარსულ-მაჰმადიანური მხატვრული მწერლობის შეყვარება და შეთვისებაც შესძლო"; „დასავლეთითგან ამავე დროს ბიზანტიური რენესანსის ცხოველმყოფელმა სიომ დაჰბერა, ძველ ბერძნულ-საისტორიო, მხატვრული და საფილოსოფიო ძეგლების შესწავლა დაიწყო და ამ ნიადაგზე საქართველოში ელინურობა აღმოცენდა"; „ამის წყალობით საბერძნეთითგან მან შეითვისა ის, რაც არც ერთს მაშინდელ აღმოსავლეთის მაჰმადიანს ერს შეთვისებული არ ჰქონდა, და შეძენილი ჰქონდა აღმოსავლეთისაგან ის, რაც მაშინდელს ბიზანტიას აკლდა: აღმოსავლეთის მშვენიერი მრავალფერადი ხელოვნებისა და კულტურის განძეულობა"[1]. რასაკვირველია, მხოლოდ XI—XII საუკუნეთა ქართულ კულტურაზე არაბულ-სპარსული და ბიზანტიური კულტურების ზემოქმედებით როდი წარმოშობილა ქართული რენესანსი, ამ მოვლენას სხვა მიზეზებიც ჰქონდა, რომლებიც ქართული საზოგადოების შინაგან ფაქტორებთან იყო დაკავშირებული. მსგავსი რამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა მომხდარიყო მონღოლთა საზოგადოებაში. მეტიც, თვით ბიზანტიაც, თავისებური სოციალური თუ ეროვნული ფსიქოლოგიის გამო, არ ყოფილა მზად მაშინდელი აღმოსავლეთის მოწინავე კულტურების ასათვისებლად. ამის შესახებ ჩვენი დიდი ისტორიკოსი წერდა: „მაშინდელი განათლებული საბერძნეთი ისეთი დაუცხრომელი ბრმა და მედიდური მძულვარებით იყო გამსჭვალული მაჰმადიანობისადმი, რომ მისი თვალი აღმოსავლეთის ისლამურს კულტურასა და ფერადოვანს ხელოვნებას ვერ ხედავდა და მისი მომხიბლავი, მდიდარი პოეზიისათვისაც ყურები დახშული ჰქონდა...".[2] საბედნიეროდ, ჩვენი წინაპრები ამ სენისაგან დაზღვეულნი ყოფილან[3].

XVII—XVIII საუკუნეებში, როგორც ვიცით, მოხდა ქართული კულტურის თავისებური აღორძინება. მის მიზეზს ივანე ჯავა-

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, თბილისი, 1949, გვ. 318.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ხიშვილის მიხედვით, გარდა ჩვენი ადგილობრივი ლიტერატურული ტრადიციებისა, მისი მიმბაძველობისა და შესწავლისა, წარმოადგენდა სეფიან სპარსეთში აღორძინებული პოეზიის ზემოქმედებაც[1].

ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომებში, განსაკუთრებით მონუმენტურ „ქართველი ერის ისტორიის“ მრავალტომეულში, ეხებოდა საქართველოსა და მისი ისტორიული გარემოს ზემოქმედებასაც ყოფის სფეროში (ძველ, მაზდეანურ სპარსელებთან, მონღოლებთან, ახალი (ყიზილბაშური) ხანის სპარსელებთან და ა. შ. ურთიერთობისას).

დაბოლოს, ისტორიულ გარემოს დიდ როლს ივანე ჯავახიშვილი გახაზავდა „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ პირველი გამოცემის მეცხრამეტე ტომში (1930). აქ ვკითხულობთ: „მდებარეობდა რა ორი მთავარი სავაჭრო გზის გზაჯვარედინზე, რომლებიც მოდიოდნენ აღმოსავლეთიდან (ინდოეთი და სპარსეთი) დასავლეთისაკენ საბერძნეთში და ჩრდილოეთიდან, ე. ი. წინაკავკასიიდან (რუსეთის თვალსაზრისით, გ. ყ.) სამხრეთისაკენ, საქართველო შეერთებული იყო მაშინდელ კულტურულ ქვეყნებთან და ტომებთან და შავი ზღვის სანაპიროზე ჰქონდა ისეთი სავაჭრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნავთსაყუდლები, როგორიც გახლდათ ფაზისი (ფოთი) და დიოსკურია (სოხუმთან).

ამასობაში შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ტომები ვითარდებოდნენ ბევრად უფრო ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში“[2]. აქვე ტაო-კლარჯეთის სამეფოს ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერის სწრაფი ზრდა ახსნილია ბიზანტიის სახელმწიფოსთან სიახლოვითა და მისი დახმარებით“[3].

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდგომ წარმოუდგენელი უაზრობაა ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი „მძვინვარე ოპონენტის“ კარ-

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, 1967, გვ. 342. ქართული და მეზობელი ხალხების კულტურების ზემოქმედება ზოგჯერ ყურადღების მიღმა რჩებათ: მაგალითად, კორნელი კეკელიძე ქართული აღორძინების (XVI—XVIII საუკუნეებში) მიზეზს მხოლოდ შინაგან ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში ხედავდა. შალვა კაკულიაც ქართული რენესანსის (XI—XII) უმთავრეს მიზეზს იმ ხანის საქართველოს ეკონომიკაში და სოციალურ ძვრებში (ვაჭართა ფენის გაძლიერება) ხედავდა. იხ. მისი ნაშრომი „ადამიანის პრობლემა ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში“, თბილისი, 1997, გვ. 17.

[2] დასახ. წიგნი, გვ. 558.

[3] იქვე, გვ. 561.

ლო ორაგველიძის შენიშვნა დიდი ისტორიკოსის ნაშრომთა მიმართ: „იქ ქართველი ხალხის ისტორია მოწყვეტილია სხვა მეზობელი ხალხებისა და მსოფლიო ისტორიისაგან. არ არის სათანადოდ შესწავლილი და შეფასებული მეზობელი სახელმწიფოების ურთიერთობა საქართველოსთან"[1] და „ბრძნული" შეგონება: „გარეშე სახელმწიფოებისა და რუსეთის გავლენა საქართველოზე უეჭველია. ამ დებულების სისწორეს განსაკუთრებით მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში განიცდიდა სხვადასხვა დამპყრობელი სახელმწიფოს უღელსა და მათ ზეგავლენას"[2]. კომენტარები მართლაც რომ ზედმეტია!

6. ელიტა და ხალხის მასა ივანე ჯავახიშვილის ნააზრევში

რასაკვირველია, „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ჩვენი ისტორია ოდენ მეფეთა აქტიურობის შედეგია და ხალხის მასა, რომელიც ბევრად უფრო სერიოზული ფაქტორი გახლდათ, მასში იგნორირებულია. ამის თაობაზე სავსებით სწორად წერდა ილ. ჭავჭავაძე: „ჩვენი „ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია, თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია, საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა საქმეთა". ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგიიდან გამომდინარე, ქართველმა საბჭოთა ისტორიკოსებმა და ფილოსოფოსებმა ილიასეულ ამ სიტყვებში ხალხის მასის როლის აბსოლუტიზაცია დაინახეს და იგნორირება ჰყვეს მეფეთა ბიოგრაფიებისა და საქმიანობის მნიშვნელობისა, მაშინ როდესაც ილია ისტორიაში ამ მომენტსაც უცილობლად გულისხმობდა. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომლის შესახებაც ქართველ ისტორიკოსებს და სხვ. არც მაშინ უფიქრიათ და ჯერჯერობით არც ახლა ფიქრობენ — ისტორიაში სოციალური ელიტის დიდი როლი. დიდად სასიხარულოა, რომ ივანე ჯავახიშვილს

---

[1] კ. ორაგველიძე, საქართველოს ისტორიის საკითხისათვის, ტფილისი, 1936, გვ. 9.

[2] იქვე.

ამ საკითხზე საკმაოდ ნათელი წარმოდგენა ჰქონდა, თუმცა იმ დროს შესაბამისი თეორია მსოფლიო აზროვნებაში ის-ის იყო იქმნებოდა.

სოციალური ელიტისა და მასის პრობლემა აშკარად, ექსპლიციტური სახით, დასმულია 1906 წელს „ივერიაში" გამოქვეყნებულ ივანე ჯავახიშვილისეულ ნაშრომში „ზნეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში"[1]. აკვირდებოდა რა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩვენს ცხოვრებაში თავჩენილ ახალ მოვლენებს, ჩვენი დიდი ისტორიკოსი წერდა: „კარგა ხანია, რაც საქართველოში დიადმა მოძრაობამ იჩინა თავი. ჯერ კიდევ ამ თხუთმეტი წლის წინად ცხადად ეტყობოდა, რომ ჩვენი ხალხის წინანდელი აზროვნობა ირყეოდა და ხალხში ახალი მიმართულება ვრცელდებოდა: ეს მოძრაობა და ძველებურ შეხედულობის შერყევა ქართველი ერის ეკონომიურ განწყობილებასაც (ურთიერთობებს, გ. ყ.) შეეხო, მის ზნეობრივ და გონებრივ ავლადიდებასაც"[2]. თუ უწინ ამ თვალსაზრისით ქართველი ერის ფართო ფენები ტრადიციულ აზროვნებას (რელიგიურ მსოფლმხედველობას) მიჰყვებოდნენ და თავიანთ „მე"-ს ვერ გამოხატავდნენ, ივანე ჯავახიშვილის აზრით, „ახლა არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ მრავალ საუკუნეების განმავლობაში მხურვალე და წრფელ სასოების პატრონმა ქართველმა ხალხმა ეკლესიას თითქმის ზურგი შეაქცია და სრული გულგრილობა გამოიჩინა: ხალხს აღარ აკმაყოფილებს წინანდელი, მამაპაპური რწმენა და ზოგან სრულმა ურწმუნოებამ მოიკიდა ფეხი, ზოგან კიდევ ეგრედ წოდებული რაციონალური მიმართულებაა გამეფებული". ცნობილია, რომ ამგვარი სულიერი სიტუაცია რუსეთის მიერ ქართული ეკლესიის დაკნინებამაც განაპირობა. მაგრამ, როგორც წერილში ვკითხულობთ, „ხალხს სომ თავის თავად გზის გაგნება არ შეუძლიან. იგი გრძნობს მხოლოდ რომ წინანდელი წესი ეხლა გამოუსადეგარია, მაგრამ რა ცვლილება უნდა მოხდეს და როგორ — ამისი გამორკვევის ძალღონე მას არა აქვს". ასე რომ, აქ თავს იჩენს ელიტის („განათლებული წრეების") როლი. ამის თაობაზე ჩვენი დიდი ისტორიკოსი და მამულიშვილი ასე წერდა: „სწორედ ბედნიერია ის განათლებული წრეები ხალხისა, რო-

---

[1] ნაშრომი მითითებულია პირველ წერილად. როგორც ჩანს ავტორი აპირებდა ეაეგრძელებია იგი, რაც რატომღაც აღარ გაუკეთებია.

[2] იხ. „ივერია", 1906, № 10.

მელთაც შეუძლიანთ ამ დიდ მოძრაობას სათავეში ჩადგენ (!) და სწორე, გონიერ და ნაყოფიერ გზაზე დააყენონ". ივანე ჯავახიშვილი ამ მხრივ ამგვარ განზოგადებას ახდენდა: „წინადაც ყოველთვის და ყოველგან ასე ყოფილა, რომ ერის მოძრაობისათვის გარკვეული მიმართულება განათლებულ წრეებს მიუნიჭებიათ; ასევე უნდა იყოს ჩვენშიც"[1].

მაგრამ, ცხადია, ის რაც საზოგადოებაში არსებობდა მრავალი საუკუნის განმავლობაში, ადვილად ვერ შეიცვლებოდა. კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის მიხედვით „სარწმუნოებრივ და ზნეობრივ შეხედულობის შეცვლა და გასწორება, რომელსაც მრავალ საუკუნეების განმავლობაში თავისი მდიდარი მწერლობა, განვითარებული დოგმატიური და საეკლესიო წყობილება აქვს შექმნილი, ძალიან ძნელი და რთული საქმეა. თითოეულ სარწმუნოებრივ და ზნეობრივ შეხედულობასა და დაწესებულებებს თავისი წარსული და მნიშვნელობა ჰქონდა". აქ ჩნდება საჭიროება ისტორიოგრაფიისა, რომელიც უპირველესად სოციალურმა ელიტამ უნდა გაიცნობიეროს: „განათლებულ წრეების მოვალეობაა, შეიგნონ მნიშვნელობა თითოეულ ამგვარ დაწესებულებებისა და გამოარკვიონ აკმაყოფილებს იგი თანამედროვე მოთხოვნილებას თუ არა?".

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ერთი ნაწილის მიდგომით „ვითომც წირვა-ლოცვის გამშვენიერება და ქადაგების შემოღება აჩერებდეს ურწმუნოებისა და ეკლესიისადმი გულგრილობის გავრცელებას", მეორე ნაწილის მიხედვით კი „ვითომც საკმარისია ხალხს ჩაგონოთ,—მღვდელი და ხატი რად გინდაო, რომ რაციონალურმა მართლა გაიმარჯვოს. მაგრამ „ორივე მხარე შემცდარია იმიტომ, რომ გარეგნობა შინაარსად მიაჩნიათ და ზედაპირული საშუალებით სურთ დიად საქმეს წინ გაუძღვენ". ჩვენი დიდი წინაპრის მიხედვით საქმის აღსრულება უფრო რთული იყო და ამისათვის, როგორც უკვე მივუთითებდით, საქართველოს ისტორიის ცოდნა იყო საჭირო.

თანადროული ხანისათვის ივანე ჯავახიშვილი წარმოაჩენდა მეცნიერების, შესაბამისად ამ დარგის წარმომადგენელთა სოციალურ ფუნქციას. იგი წერდა: „ჩვენი პატარა, ბუნებით უხვად დაჯილდოებული, მაგრამ კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყანა რასაკვირველია

---

[1] ცხადია, ელიტა ანუ „განათლებული წრეები" სულაც არ ემთხვევა მხოლოდ მესაკუთრე კლასს.

სხვებზე მეტად არის ვალდებული მეცნიერების წინამძღოლობისა და გზის გამკვლელობას ანგარიში გაუწიოს, რომ სხვებსაც დაეწიოს და კაცობრიობის დაწინაურებაშიც თავისი პატარა წვლილი შეიტანოს"[1]; „საქართველო უაღრესად თავისებური და მრავალფეროვანი ბუნებისა და თვისებების ქვეყანაა, ჯერჯერობით ძალიან ნაკლებად შესწავლილი. უდავოა აგრეთვე, რომ ჩვენ მეურნეობა-წარმოების მხრივ მეტად ჩამორჩენილები ვართ. ასეთს პირობებში მხოლოდ მეცნიერული კვლევა-ძიების საშუალებით სამოქმედო გზის გაკაფვა დაგვიხსნის ჩვენ უმწეო მდგომარეობიდგან"[2]. დიდი მეცნიერის წარმოდგენით, ეს ახალი სოციალური როლი მნიშვნელოვანწილად თბილისის უნივერსიტეტს, ქართულ სამეცნიერო ელიტას უნდა აღესრულებინა: „საქართველოს უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევა-ძიების ტაძარი, უნივერსიტეტი იმ თავითვე ცდილობდა ჩვენი ქვეყნის წარსული და აწმყო ცხოვრებისა და ბუნების შესწავლით თავისი მოვალეობა ერის წინაშე პირნათლად შეასრულოს და ჩვენი ხალხის გაჯანსაღებას, მის გონებრივსა და კულტურულ წარმატებას, სოფლის მეურნეობის დაწინაურებასა და ეკონომიურ კეთილდღეობის შესაფერისი ნიადაგის შემზადებას ხელი შეუწყოს"[3].

ივანე ჯავახიშვილის ზემოაღნიშნული თვალსაზრისი „განათლებული წრეებისა" და ხალხის ფართო მასის შესახებ თავს იჩენს მთელი ჩვენი ისტორიის მიმართაც. მაგალითად, როდესაც ბიზანტიელთა სიმუხთლით მოკლულ იქნა მეფე გუბაზ მეორე (554 წელს) „დიდებულები შეიყარნენ ამ საქვეყნო საქმეზე მოსალაპარაკებლად"[4], „საუკეთესო გამოსავლის" მოსაძებნად. გაიმარჯვა როგორც ცნობილია, ფარტაძის (ივანე ჯავახიშვილი ამ უკანასკნელს „ფარტაძეს" ფორმით მოიხსენიებდა) ზომიერმა, აწონდაწონილმა პოზიციამ, რაც, გასაგებია, აგრეთვე აიხსნება საერთოდ იმდროინდელი ლაზიკის „განათლებული", „შეგნებული" წრეების გონიერებითაც. ასე იყო სხვა დროსაც და ამდენად, ჩვენს სახელოვან მეფეებს მარტო კი არ უხდებოდათ დიდი საქმეების აღსრულება, არამედ ამ ფენებთან („წრეებთან") ერთად. მაგრამ ამჯერად საკითხს სოციოლოგიური თვალსაზ-

---

[1] საისტორიო მოამბე, ტ. 21—22, თბილისი, 1967, გვ. 461.

[2] იქვე, გვ. 384.

[3] იქვე, გვ. 461.

[4] ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1960, გვ. 256—57.

რისით განვიხილავთ და მოკლედ შევეხებით ტრადიციული ელიტის რაობას, მისი წარმოშობა-არსებობის პირობებს.

რა თქმა უნდა, აღმოსავლეთში არსებულ დესპოტიას თავისი დაღი უნდა დაესვა ამ ქვეყნების ელიტისათვისაც. მაგრამ ივანე ჯავახიშვილი საკითხს ორიგინალური პოზიციიდან უდგებოდა. თუმცა იგი წერდა, რომ „დიდი ხანია, როგორც სიტყვაკაზმულ მწერლობაში, ისე განათლებულ საზოგადოებაში ერთი ახირებული და შემცდარი აზრია გავრცელებული, ვითომც საშუალო საუკუნოებში და ქრისტეს წინა დროს აზიის ყველა სახელმწიფოში განუსაზღვრელი, სრული თვითმპყრობელობა იყო გაბატონებული, ვითომც იქ მეფის სურვილსა და განზრახვას კანონის ძალა და გასავალი ჰქონდა და დაუყოვნებლივ, სიტყვის შეუბრუნებლივ უნდა აესრულებინათ ქვეშევრდომებს. ამისთანა სახელმწიფო წესწყობილებას, როგორც მოგეხსენებათ, აზიურ დესპოტიის, ანუ აზიურ მტარვალობის სახელიც-კი დაარქვეს“[1]. მაგრამ ჩვენი დიდი ისტორიკოსი წინააღმდეგი იყო ამ თვალსაზრისის მიყენებისა მთელი აღმოსავლეთისადმი. კერძოდ, მისი შეხედულებით, ჩვენი ისტორიული პროცესი ამგვარ „გენერალიზაციას“ არ ადასტურებს („საქართველოს ისტორიის შესწავლა და ქვემორე დაწერილიც, იმედია საკმაოდ შეარყევს ამ ყალბ და უსაფუძვლო აზრს“)[2].

თითქოს, ერთი შეხედვით, დავით აღმაშენებლის ზეობის დროს და შემდგომ იყო პირობები საქართველოში დესპოტიის ჩამოყალიბებისა, მაგრამ ივანე ჯავახიშვილის განცხადებით, „საქართველოს მეფეების ასი წლის მედგარმა, მძიმე შრომამ და მეცადინეობამ, რომ თვითმპყრობელობა როგორმე გაემაგრებინათ, ფუჭად და ამაოდ ჩაუარათ“[3]. უკვე a priori ნათელია, რომ ამგვარი ვითარება თავის კვალს,—ცხადია, დადებითს,—დაასვამდა ქართული ელიტის, „განათლებული წრეების“ შერჩევა-ჩამოყალიბებას.

ახლა მეორე გარემოების თაობაზე. თუმცა IX—X საუკუნეებში საქართველოში პატრონყმობამ უკვე გაიმარჯვა, მაგრამ „ჯერ კიდევ IX საუკუნეში ისეთი მდგომარეობა იყო საქართველოში, რომ წოდებათა შორის არსებული განსხვავება ცხოვრების ყველა სფეროში ჩანდა.

---

[1] საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, ტფილისი, 1905, გვ. 31—32.
[2] იქვე, გვ. 32.
[3] იქვე, გვ. 54.

ამ მხრივ დამახასიათებელი ვითარება იყო სამონასტრო და საეკლესიო წესწყობილებაში. ამ ხანაში სამონასტრო ძმობაში დიდგვარიანი აზნაურების გვარიშვილების წარმომადგენელნი და გლეხობითგან გამოსული პირები თანასწორუფლებიან წევრებად ითვლებოდნენ: უბრალო მეცხვარე მონასტერში შესვლის, სათანადო განათლებისა და განსწავლის შემდგომ, შესაძლებელი იყო მაღალი თანამდებობის პირი გამხდარიყო: მონასტრის უფროსადაც ყოფილიყო დადგენილი და ეპისკოპოსადაც-კი აერჩიათ. ამის მაგალითები იმდროინდელს საისტორიო თხზულებაში არაერთი მოგვეპოვება"[1]. მაგრამ ამ საუკუნის შემდეგ „აზნაურთა წოდებამ ყველა სხვა წოდებებთან შედარებით განსაკუთრებული უპირატესობა მოიპოვა. X საუკუნეში იგი იმდენად გაბატონდა, რომ მონასტრებშიც კი თითქმის არავის შეეძლო შესულიყო ბერად, თუ რომ ის აზნაურთა წოდებას არ ეკუთვნოდა"[2].

გიორგი მთაწმინდელი გახლდათ ის პიროვნება, რომელმაც გაილაშქრა საეკლესიო სფეროში მსგავსი ვითარების წინააღმდეგ. ივანე ჯავახიშვილის თქმით, „გიორგი მთაწმინდელმა, მაშასადამე, ქართული ეკლესიის წოდებრივობა დაარღვია, წოდებრივი უპირატესობა საეკლესიო საქმეში უარჰყო და ადამიანის პირადი ღირსება წინ წამოაყენა, თანაც ეცადა ქართული ეკლესიისათვის დემოკრატიული მიმართულება მიეცა"[3]. ფაქტია ისიც, რომ ბაგრატ IV-ის დროსაც კი „წოდებრიობა საქართველოში მკაცრად განკერძოებულ დახშულ სოციალურ ერთეულს არ წარმოადგენდა, არამედ შესაძლებელი იყო ადამიანი დაბალი წოდებითგანაც აღზევებულიყო, ისევე როგორც მაღალი წოდების წრითგან ჩამომცრობილიყო"[4]. სოციალური აღზევება, დაბლიდან უფრო მაღალ წოდებაში გადასვლა ორი გზით იყო შესაძლებელი: ან მეფის წყალობით, ანდა პირადი ღირსებითა და სამსახურით[5].

გიორგი მთაწმინდელის იდეამ ხორცშესხმა, როგორც ვიცით, რამდენიმე ათეული წლის შემდგომ, დავით აღმაშენებლის ზეობის ხანაში (1103 წელს) ჰპოვა. „რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ, მაშასადა-

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1965, გვ. 337—38.
[2] იქვე, გვ. 338.
[3] იქვე, გვ. 191.
[4] იქვე, გვ. 337.
[5] იქვე.

მე, გადააყენა ულირსი მღვდელმთავარნი მთავარ-წარჩინებულთა შთამომავლობისანი და ამით გვარიშვილობის მნიშვნელობა ეკლესიის მსახურთათვის უარჰყო, ხოლო პირადს ღირსებას შესაფერისი პატივი და უფლება მიანიჭა"[1]. ამან, თავის მხრივ, თავისებური ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია: „უეჭველია, რაკი საეკლესიო სფეროში პატრონყმური და წოდებრივი წესი ძლეული იყო, დავით აღმაშენებელს უფრო ადვილად შეეძლო მეორე დიადი ცვლილება შეეტანა საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივს წესწყობილებაში: სახელმწიფო ცხოვრებაში დიდგვარიან მემკვიდრეობით მოხელეთა თვითნებობა და ურჩობა აელაგმა, ხოლო სამოხელეო წესწყობილებაში წოდებრივი უპირატესობა მოესპო და მოხელეთა პირად და არა „მამულობით" ღირსებისათვის შესაფერისი პატივი დაედო"[2].

კიდევ უფრო შორს წავიდა გიორგი III, რომელმაც, ისარგებლა რა დემნა-იოანე ორბელის აჯანყების ჩახშობით, იოანე ორბელის ნაცვლად ამირსპასალარობა უწყალობა ნაყივჩაყარ ყუბასარს, ხოლო აზნაურთა ნაყმევ აფრიდონს მსახურთუხუცესის თანამდებობა უბოძა. მანვე დააწინაურა ჭიაბერი, გამრეკელ-თორელი, ყუთლუ-არსლანი[3]. ივანე ჯავახიშვილი ასე დასძენდა: „ამრიგად, დემნა-იოანე ორბელის აჯანყების ჩაქრობის უმალ, გიორგი მესამემ სახელმწიფო აპარატის იმგვარივე რეფორმა განახორციელა, როგორც თავის დროზე დავით აღმაშენებელმა რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების საშუალებით ეკლესიაში მოახდინა"[4]. სამწუხაროდ, როგორც ვიცით, თამარის დროს კონსერვატულმა, რეაქციულმა ძალებმა იმძლავრეს და მეფე იძულებული შეიქნა ყუბასარი და აფრიდონი მაღალი თანამდებობებიდან გადაეყენებინა.

ასე გრძელდებოდა საუკუნეების მანძილზე და საქართველოს ავად თუ კარგად ელიტა „განათლებული წრეები" უძღვებოდნენ. ასე იყო მაგალითად ვახტანგ VI-ის ხანაში და ივანე ჯავახიშვილი საყვედურს გამოსთქვამდა ისტორიკოს სეხნია ჩხეიძის მიმართ, რომელიც „თითქოს ვერ ხედავდა, რომ ქართველი ერის პოლიტიკური დაუძლურების და საშინელი განსაცდელისდა მიუხედავად ქართველთა მეთაურ

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 213.
[2] იქვე, გვ. 214.
[3] იქვე, გვ. 369.
[4] იქვე.

საზოგადოების საუკეთესო ნაწილი ასეთი მედგარისა და დაუღალავის შრომით თავის სახელმწიფოსა და სამშობლოს გონებრივ, სახელმწიფოებრივ, სამოსამართლო და ეკონომიურ ყოფა-ცხოვრების განახლებისა და აყვავებისათვის იღვწოდა"[1].

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ ვითარება არსებითად შესცვალა. საქართველო ამიერიდან უცხო ქვეყნის მიერ იმართებოდა და ამდენად, სოციალური ელიტა უკვე აღარ გვყავდა. დიდი ცვლილებები, თუმცა ჩვენთვის საზიანოდ, მოხდა საეკლესიო მმართველობის სფეროშიც. ახლად ანექსირებულ საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის აზრით, შესაძლებელი იყო მოსახლეობის საყოველთაო პროტესტი მოქმედებაში მოსულიყო, მაგრამ ამ დროს სამი „პარტია" არსებობდა რომელნიც არა თუ სოლიდარულნი იყვნენ ერთმანეთთან, არამედ — მტრულად განწყობილნიც კი[2]. ესენი იყვნენ ტახტის მემკვიდრე დავითის, პრეტენდენტ იულონისა და რუსეთის მომხრენი. თუ პირველნი მხოლოდ მეფობის შენარჩუნებასა და მემკვიდრეობაზე ზრუნავდნენ, ხოლო შინაურ ავტონომიაზე ხელს იღებდნენ, მეორენი მიზნად ისახავდნენ შესრულებას გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებისა—სახელდობრ ქვეყნის დამოუკიდებლობას საშინაო ცხოვრებაში, მესამენი კი მზად იყვნენ შერიგებოდნენ დამოუკიდებლობის დაკარგვას. ასეთ სიტუაციაში, ცხადია, გლეხკაცობის აყოლიება შეუძლებელი გახლდათ.

რამდენადაც რუსეთის მხრივ ქართველობის აბუჩად აგდებამ, განსაკუთრებით მოხელეთა მექრთამეობამ და დაუსჯელობამ ყოველგვარი ზღვარი გადალახა, თავადაზნაურობა გაერთიანდა, მაგრამ გლეხკაცობა ჯერჯერობით ყოყმანობდა. 1832 წლის შეთქმულების თაობაზე დიდი ისტორიკოსი წერდა: „ახლა, როდესაც გაგვაჩნია დოკუმენტები, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ი. ფალავანდოვის მხრივ ღალატის გარეშეც შეთქმულებას არავითარი წარმატება არ ექნებოდა და არა იმიტომ, რომ ქართულ საზოგადოებაში ნაკლებობა იყო გაბოროტებისა და უკმაყოფილებისა იმ რეჟიმით, რომელიც შემოღებულ იქნა რუსეთის მთავრობის მიერ, არამედ იმიტომ, რომ სწორედ ამ დროს ქართველ გლეხკაცობაში ძლიერი მღელვარება იყო და იგი არ დაუჭერდა მხარს თავადაზნაურთა წოდების აჯანყებას"[3].

---

[1] ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916, გვ. 326—227.

[2] Политическое и социальное движение..., გვ. 10.

[3] იქვე, გვ. 28.

საქმე ისაა, რომ იმ პერიოდში რუსი მოხელეობა აღვივებდა ჩვენი გლეხკაცობის მისწრაფებას ბატონყმობისაგან თავდახსნისადმი. ასე, რომ, ქართველთა ჩაგრული მასა ვერ წავიდოდა თავისი „კეთილისმყოფელების“ წინააღმდეგ და ვერ დადგებოდა მათს მხარეზე, ვისგანაც განთავისუფლება სურდა[1]. როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა: „თუ ორგანიზატორები — თავადაზნაურები გაიცნობიერებდნენ ქართველი გლეხკაცობის მოძრაობის მთელს სერიოზულობას და გადადგამდნენ სათანადო ნაბიჯებს, მათი ჩანაფიქრი უფრო სერიოზულ ნიადაგზე დადგებოდა: მაგრამ სწორედ ეს არ მოხდა“[2]. გავიდა დრო და ჩვენმა გლეხკაცობამაც კარგად დაინახა რუსეთის მმართველთა ნამდვილი ზრახვანი. მით ჩვენს პრივილეგირებულ წოდებას, მსგავსად რუსეთისა, უფლება მიეცა გლეხთა რეკრუტად მიცემისა და გაციმბირებისაც კი.

ქართველი ხალხის მდგომარეობა კატასტროფული ხდებოდა. ამის შესახებ ჩვენი დიდი ისტორიკოსი და ეროვნული მოღვაწე წერდა: „არას დროს ჩვენი ერი ისეთს განსაცდელში არ ყოფილა, რა განსაცდელიც ქართველობას რუსთა მთავრობის წყალობით მეცხრამეტე საუკუნეში თავს დაატყდა“[3]. კერძოდ, ტრადიციული ქართული ელიტის უნიათობით „ქართული ენა ისე დაეცა და ჩამოქვეითდა, რომ განათლებული ქართველი სულიერად გადაგვარდა და თავის უგულითადეს და უწმინდესი გრძნობებისა და აზრების ქართულად გამოთქმა ძლივსღა ეხერხებოდა“.[4] მაგრამ, საბედნიეროდ, სიტუაცია ამ მხრივ დადებითად შეიცვალა. „თუ ჩვენი ხალხი ეროვნულად არ გადაგვარდა და ჩვენმა დედაენამ ესოდენ უმწეო მდგომარეობაშიც თავი შეინარჩუნა, თანდათანობით კვლავ მოღონიერება და ნელ-ნელა აღორძინებაც კი დაეტყო, მხოლოდ ქართველი მოღვაწეებისა, პოეტებისა, მწერლებისა, დრამატურგებისა და მსახიობთა და თითოოროლა მეცნიერის თავგამოდებულ და დაუცხრომელ პირად ზნეობის წყალობით“[5], — სიამაყით აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

---

[1] Политическое и социальное движение. გვ. 29.

[2] იქვე.

[3] მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ, „სახალხო საქმე“, 1917, № 66.

[4] იქვე,

[5] იქვე.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ქართველობის ფართო მასის გამოღვიძებამ ახალი სოციალური ელიტის ჩამოყალიბება მოითხოვა. 1918—21 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ჩათვლით ამ მხრივ ვითარება ასე თუ ისე ნორმალური გზით ვითარდებოდა. აღნიშნული თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა დიდი ისტორიკოსის სიტყვები: „ქართველი ერის შეგნებულ ნაწილს, მისს მოთავეებსა და რესპუბლიკის მთავრობას არ შეუძლიანთ თავიანთ სახელმწიფოს სამზღვრების მოხაზულობას სამხედრო თვალსაზრისითაც არ შეხედონ"[1]. ასე რომ, როგორც ვხედავთ, „შეგნებული ნაწილი", ელიტა პირველ პლანზეა დაყენებული.

დიდად სამწუხაროდ, საბჭოურ-კომუნისტური სისტემის დამყარების გამოისობით პროცესები ამ მხრივაც გაუკულმართდა და მოხდა ისე, რომ საბჭოთა ისტორიულ სინამდვილეში ქართულ საზოგადოებას სოციალური ელიტა (კულტურული ნაწილის გარდა) აღარ ჰყოლია. ივანე ჯავახიშვილისათვის, ცხადია, უდიდესი ტრაგედია, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად, იყო ამ უკუსვლითი პროცესის „თანადამხდურობა" და მწვავე განცდა.

7. სახელმწიფოს წარმოშობის პროგლემა

ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ მიმართულ იდეურ ბრძოლაში მისი მოწინააღმდეგენი (განსაკუთრებით გ. სოსელია და ი. ტალახაძე) მას ყველაზე მეტად სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში აკრიტიკებდნენ. მათ ვერ შეეწყნარებინათ აღნიშნული ინსტიტუტის თავისებური გაგება, რომლის თეორიული საფუძველი გახლდათ ცნობილი გერმანელი სახელმწიფოთმცოდნის გეორგ ელინეკის (1851—1911) შეხედულებანი. ამ უკანასკნელის მიხედვით განსხვავებულობა სახელმწიფოებრივ და გვაროვნულ-ტომობრივ ორგანიზაციას შორის არ არსებობდა; უკვე გვაროვნულ საზოგადოებაში საერთო მიზნების (სანადირო ადგილებისა და საძოვრების ძიება და შენარჩუნება, მიწათმოქმედებისათვის ვარგისი მიწების დაცვა, ომის ორგანიზაცია) გულისხმობდა სახელმწიფოს არსებობას. ამ თვალსაზრისით სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი თითქოს უეჭველი იყო, მაგრამ, „ყოველი ცდა ურდოების, ტომებისა

---

[1] საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფილისი, 1919, გვ 50.

და ოჯახების სახელმწიფოებად გადაქცევის განმარტებისა ამაო უნდა ყოფილიყო იმ ერთი მიზეზით, რომ ერთი და იგივე შედეგი შესაძლებელია მიღწეულიყო სრულიად სხვადასხვა გზითა და ნაკლებ სავარაუდოა, რომ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების პროცესი ერთი და იგივე ყოფილიყო"[1]. გეორგ ელინეკი, როგორც ჩანს, ნაკლებად იცნობდა პირველყოფილ (პრიმიტიულ) საზოგადოებას, ამიტომ ლოგიკურადაც გაუმართლებელ პოზიციაში აღმოჩნდა: თუ უფრო დავაკონკრეტებთ სახელმწიფოს რაობასა და სტრუქტურას, მაშინ, ყოველ შემთხვევაში, დიდი საფუძველი მაინც ჩნდება გვაროვნული ორგანიზაციისა და სახელმწიფოს გაიგივების თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ. გაუგებარია აგრეთვე ელინეკისეული დაყოფა „ადრეულ" და „მეორეულ" სახელმწიფოებად, სახელდობრ, დროითი განსხვავებულობის გარდა რა არსებითი ნიშან-თვისებებით ხასიათდებოდნენ ისინი.

მაგრამ ფაქტია, რომ ამგვარმა საკმაოდ გაუმართავმა თეორიამ დიდი გავლენა მოახდინა ივანე ჯავახიშვილზე. ეს ალბათ იმიტომაც მოხდა, რომ იმხანად გეორგ ელინეკის ავტორიტეტი ძალზე დიდი იყო რუსეთის ლიბერალურ წრეებში და მის ნაშრომებს რუსულ ენაზე ხშირად თარგმნიდნენ.

აღნიშნული შეხედულებიდან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილი თავისებურად მიუდგა საქართველოში (აგრეთვე სომხეთში) სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს, რომელსაც მიუძღვნა სპეციალური მონოგრაფიული გამოკვლევა „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წესწყობილება" (გამოიცა 1905 წელს და, როგორც ცნობილია, იგი გახლდათ მეცნიერების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი). მისი დედა-აზრია მტკიცება იმისა, რომ კერძოდ, საქართველოშიც სახელმწიფოს წარმოშობა არავითარი ისტორიული ტეხილი არ ყოფილა, რომ არსებითად ასეთივე ხასიათისა იყო გვაროვნული ორგანიზაცია. ამ უკანასკნელისათვის, ივანე ჯავახიშვილის აზრით, დამახასიათებელი გახლდათ კერძო საკუთრების (მათ შორის, მიწაზე) არარსებობა, ამდენად, ეკონომიკური თანასწორობა ადამიანთა შორის[2]. მაგრამ უთანასწორობა

---

[1] Георг Еллинек, Общее учение о государстве, Санкт-Петербург, 1903, გვ. 172.

[2] ივანე ჯავახიშვილის ამგვარი კატეგორიული მტკიცება, უნდა ვიგულისხმოთ, მხოლოდ მიწისადმი დამოკიდებულებას ეხებოდა.

გვარებს შორის მაინც შეიმჩნეოდა, რის დამტკიცებასაც იგი ცდილობდა გვიანი ხანის ფაქტითაც. წიგნში ვკითხულობთ: „ტერმინი „დიდგვარიანი", რომელიც აღნიშნავს დიდებულების ყველაზე მაღალ გრადაციას, აჩვენებს, რომ საქართველოს უძველეს ეპოქაში როგორც გვარი, ისე მისი ცალკეული წევრი მით უფრო მაღლა იდგა, მით უფრო გავლენიანი იყო, რაც უფრო მრავალრიცხოვანი, დიდი იყო გვარი; ეს გასაგებიცაა, რამეთუ ძალა ყოველთვის მის მხარეზე იყო"[1]. ამდენად, ძალადობის, დამორჩილების მომენტი თითქოს ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების წიაღშივე უნდა არსებულიყო, მაგრამ ივანე ჯავახიშვილი ამის აღიარებას გაურბოდა სახელმწიფოებრივი ეტაპის მიმართაც კი.

ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით, გვაროვნული წყობილება (გვარების სისტემა) წარმოადგენდა საფუძველს არა მხოლოდ იბერიის (ქართლის) სოციალური, არამედ პოლიტიკური წყობილებისათვისაც. ამის ფაქტობრივ დადასტურებად კი ის არგუმენტიც მოჰქონდა, რომ „სახლს" (გვარს) შემდგომ უფრო ფართო მნიშვნელობაც ჰქონდა მოპოვებული. ასევე ითქმის ტერმინ „მამასახლისის" შესახებაც. მსგავს ტერმინოლოგიურ ანალიზს ავტორი ატარებდა აგრეთვე სომხეთის, სპარსეთის, სირიის (წინაარაბული) და არაბული ქვეყნების მაგალითზე. თუ გეორგ ელინეკი, როგორც ზემოთ მოტანილი ციტატიდან დავინახეთ, სკეპტიკურად იყო განწყობილი გვაროვნული წყობილების სახელმწიფოებრივად გადაქცევის უნივერსალური გზის ძიებისადმი, ჩვენი დიდი ისტორიკოსი და მამულიშვილი დასძენდა: „საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოებრივი წესწყობილების შესწავლას და შედარებას სპარსელთა, ასურელთა და ნაწილობრივ არაბთა შესაბამის ინსტიტუტებთან შეუძლია მეცნიერი მიიყვანოს არცთუ ისე პესიმისტურ დასკვნამდე"[2], რომ „ამ საკითხის გადაჭრის ამოცანა ამაო არ იქნებოდა თუ ჰიპოთეზებისა და ვარაუდების სფეროდან გამოვიდოდით და უარს ვიტყოდით განზრახვაზე მოგვეძებნა ურდოთა, ტომთა და ოჯახთა სახელმწიფოებად გადაქცევის მიზეზები და დავეყრდნობოდით სახელმწიფოებრივი ტერმინოლოგიის შესწავლაზე"[3].

აღნიშნულ გარემოებას ივანე ჯავახიშვილი ნათელყოფდა შემდეგი

---

[1] Государственный строй древней Грузии и древней Армении, გვ. 58.
[2] იქვე, გვ. 146.
[3] იქვე.

ანალოგიით: „ისევე როგორც სოციოლოგოსებს მატრიარქატის უნივერსალურობის საკითხის გამორკვევისას უცილობელი სამსახური გაუწია იმ ტერმინების ანალიზმა, რომლებიც იხმარება სისხლისმიერი ნათესაობითი ურთიერთობებისათვის, ზუსტად ასევე სახელმწიფოს „წარმოშობის"(!) გამორკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება მიეცეს სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული ტერმინების დაკვირვებასა და ანალიზს"[1]. ამდენად, სხვადასხვა სპეციალობის ისტორიკოსთა ძალისხმევით თითქოს უფრო განმტკიცდებოდა გეორგ ელინეკის თვალსაზრისი და იგი ნამდვილი თეორიის რანგში ავიდოდა.

მაგრამ ივანე ჯავახიშვილის მსგავსმა მცდელობამ მიზანს ვერ მიაღწია. გვაროვნული და სახელმწიფოებრივი წყობილებების იგივეობრიობის მტკიცებამ დიდი მხარდაჭერა ვერ ჰპოვა საქართველოშიც. კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის აღნიშნული მოსაზრება გააკრიტიკა ცნობილმა ქართველმა მოაზროვნემ და პუბლიცისტმა არჩილ ჯორჯაძემ, რომლისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა აგრეთვე გეორგ ელინეკის მოძღვრებაც. გაზეთ „ისარის" 1907 წლის 34-ე, 35-ე და 38-ე ნომრებში მან დაბეჭდა დიდი სტატია „ადამიანი და კანონი, საკუთრება და სახელმწიფო" (იგი შესულია არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა პირველ ტომში), სადაც სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს სულ სხვა — ლუის მორგანის თეორიული პოზიციიდან მიუდგა. ავტორის შეხედულებით „პირველყოფილი საზოგადოების ორგანიზაცია დამყარებული იყო გვარსა, თემსა (ფრატრიასა, გ. ყ.) და ტომებზე: პოლიტიკური ორგანიზაცია კი, რომელიც მოჰყვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, დამყარდა ტერიტორიასა და საკუთრებაზე. პირველსა და მეორეს შორის ძირითადი განსხვავებაა"[2]. არჩილ ჯორჯაძე პირდაპირაც, უფრო კონკრეტული აზრით, ეკამათებოდა ივანე ჯავახიშვილს, როდესაც წერდა: „...ჩვენის აზრით, ტერმინოლოგიის მსგავსება სრულიადაც არ მოასწავებს წესწყობილებათა მსგავსებას. მართალია, საგვარეულო ტერმინოლოგია გადმოიტანეს სახელმწიფოს ნიადაგზედ, მაგრამ აქედან სრულიად არ წარმოსდგა გვარის და პოლიტიკური საზოგადოების მსგავსება. ტერმინოლოგიის მსგავსება მხოლოდ იმ ფაქტზე გვითითებს, რომ გვარი იყო პირველყოფილი ფორმა საზოგადოებისა".[3]

---

[1] Государственный строй древней Грузии и древней Армении, გვ. 146.

[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი 1, ტფილისი, 1911, გვ. 20.

[3] იქვე, გვ. 21.

„ჩვენ ტერმინოლოგიის მსგავსებას კი არ უნდა ვაქცევდეთ ყურადღებას საზოგადოებრივ ტიპების გამოკვლევის დროს, არამედ იმას, თუ რა ერთეული უდევს საფუძვლად პოლიტიკურ საზოგადოებას"[1].

მეტსაც ვიტყოდით, თუ საკითხს შევეხებით სტრუქტურის თვალსაზრისით, აშკარა ხდება დიდი განსხვავებულობა: გვაროვნული წყობილების დროს ტერიტორიას (ადამიანთან დაკავშირებით) და საკუთრებას, საზოგადოებისაგან ასე თუ ისე გაუცხოებული საჯარო ხელისუფლების არსებობას მნიშვნელობა არა ჰქონია, მაშინ როდესაც პოლიტიკური ორგანიზაცია, სახელმწიფო სწორედ ამ საფუძვლებს ემყარებოდა. აშკარაა ძალადობის, იძულების მომენტიც სახელმწიფოს ფუნქციონირებაში. ამ შემთხვევაში კი არჩილ ჯორჯაძე უმთავრესად ლუის მორგანის „ძველი საზოგადოებიდან" კი არ ამოდიოდა, არამედ ფრიდრიხ ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობიდან"[2]. იგი მთელი კატეგორიულობით აცხადებდა: „სახელმწიფო ნაყოფია უმცირესობის მიერ უმრავლესობის დაპყრობისა, ხოლო ეგ უმცირესობა ყოველთვის არ განირჩევოდა ეთნიურად უმრავლესობისაგან"[3], მაშინ როდესაც გეორგ ელინეკისა და მასზე დაყრდნობით ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით სახელმწიფო ზეკლასობრივი, მხოლოდ საზოგადოების საერთო ინტერესების აღმასრულებელი ორგანიზაცია იყო. ამდენად, თითქოს სტრაბონისეული მეოთხე გენოსის (ივანე ჯავახიშვილისეული თარგმანით „სოციალური ჯგუფი" და არა „კლასი", როგორც ლატიშევისეულ რუსულ თარგმანში ფიგუ-

---

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი, I, ტფილისი, 1911, გვ. 22.

[2] სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში არჩილ ჯორჯაძის შეხედულებათა შესახებ იხ. გივი ლობჟანიძის წიგნის „ნარკვევები არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივ-სამართლებრივი ნააზრევიდან" (ქუთაისი, 1992) მერვე თავი. მაგრამ ვერ დავეთანხმებით ავტორის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ ჯორჯაძისეულმა მეცნიერულმა დასკვნებმა „გავლენა მოახდინა ქართული ისტორიოგრაფიული მეცნიერების განვითარებაზე. უფრო სწორად ჯორჯაძის მოძღვრებამ სახელმწიფოს შესახებ სწორი მეთოდოლოგიური მიმართულება მისცა შემდგომი პერიოდის ისტორიოგრაფიას". იხ. დასახ. წიგნი, გვ. 197—98. სამწუხაროდ, საბჭოურმა სინამდვილემ ამგვარი რამ გამორიცხა და არ ჩანს, რომ კერძოდ სიმონ ჯანაშიასათვის არჩილ ჯორჯაძის აზრები ამოსავალი ყოფილიყოს.

[3] დასახ. წიგნი, გვ. 26. სხვათა შორის, მიხაკო წერეთლის შეხედულებით, გაბატონებული უმცირესობა ყოველთვის სხვა ეთნოსის წარმომადგენელი იყო, ამდენად სახელმწიფო ყოველთვის დაპყრობის გზით წარმოიშობოდა.

რირებს) მორჩილებაში მოსაყვანად არავითარი იძულებითი აპარატი არ იყო საჭირო, ასევე „ხარკის სამეუფოსა“ და „ხარკის საერისთაოს“ ასაკრებად და ა. შ.

მსგავსი იდეურ-თეორიული დაპირისპირებულობა ორ დიდებულ ქართველ ეროვნულ მოღვაწეს შორის მაჩვენებელია იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მაღალი დონისა. ამასვე აჩვენებს დაცვა მეცნიერებაში მორალური პრინციპისა, რომელიც თავის დროზე მშვენივრად გამოსატა არისტოტელემ. მიუხედავად ხანგრძლივი მეგობრობისა არჩილ ჯორჯაძეს, რაკი ჭეშმარიტება მოითხოვდა, უკან არ დაუხევია მისთვის ძვირფასი ადამიანის შეხედულებათა კრიტიკისას.

მაღალი, კერძოდ მეცნიერული, ეთიკის წინაშე პირნათელი აღმოჩნდა ივანე ჯავახიშვილიც. როცა არჩილ ჯორჯაძემ თავის თხზულებათა პირველი წიგნი, სადაც ზემოთ აღნიშნული წერილია მოთავსებული, ივანე ჯავახიშვილს გაუგზავნა, იმავე 1911 წლის 31 მარტით დათარიღებულ წერილში ეს უკანასკნელი პეტერბურგიდან ასე სწერდა: „დიდად გმადლობთ თქვენი თხზულებების პირველი წიგნის გამოგზავნისათვის, როგორც ჩვენ მხრივ პირადად, ისე სამეცნიერო წრის მაგიერ... დიდად მოხარული ვარ, რომ თქვენი თხზულებები ცალკე წიგნად გამოვიდა და იმედია შემდეგშიაც გამოვა იმიტომ, რომ თქვენ ეხებით ისეთს საყურადღებო და საგულისხმო საკითხებს, რომლის გათვალისწინება და ცოდნა ყოველ ქართველისათვის არის საჭირო და სასელმძღვანელოდ ექნება თანამედროვე საზოგადოებას. თქვენის ნაწერებისა მე გულწრფელობა და პირუთვნელობა მომწონს, მიუდგომელი, ნამდვილი მეცნიერული მსჯელობა, მაგრამ ცივი და გულგრილი კი არა, არამედ მხურვალეს, შემატკივარ და თანამგრძნობ გულით დაწერილი“[1].

ჩანს, რომ ივანე ჯავახიშვილს თავისი შეხედულებანი სახელმწიფოს ხასიათსა და წარმოშობაზე მყარად ჰქონდა ჩამოყალიბებული და გათავისებული, იმდენად მყარად, რომ არჩილ ჯორჯაძის კრიტიკის შემდგომაც კი არ შეუცვლია. 1928 წელს გამოქვეყნებული „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ წიგნში ვკითხულობთ: „I—VI სს.-ში სამეფოს (იბერიის, ქართლის, გ. ყ.) მთელი წესწყობილება და

---

[1] იხ. ლ ე ი ლ ა ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, ივანე ჯავახიშვილისა და არჩ. ჯორჯაძის მიმოწერიდან, „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, 1976, გვ. 422—23.

მეფისა და საქვეყნოდ გამრიგე მოხელეების ხელისუფლება გვაროვნულ წესწყობილების ნიადაგზე იყო აღმოცენებული და მამასახლისობისაგან წარმოიშვა და განვითარდა"[1].

გარდა ზოგადი მოსაზრებისა (გეორგ ელინეკის მოძღვრებიდან გამომდინარე), ივანე ჯავახიშვილი ეყრდნობოდა რა აგრეთვე თვით XVIII საუკუნეშიც კი არაგვისა და ქსნის ხეობებში გვარებად დასახლებისა და საერთოდ დიდებულთა საგვარეულოების დასახლების ფაქტს, დასძენდა: „უკვე დიდი საგვარეულოების მე-XVI—XVIII სს -ის ბლომად შენახული გაყრილობის წიგნებითა მტკიცდება, რომ საქართველოში გინდ დიდი საგვარეულოების განუყოფლობა-გაუყრელობაზე და ამ გზით პირვანდელ წესწყობილების დაცულობაზე მსჯელობა და ლაპარაკი შეუძლებელია"; „დაუჯერებელია ის საგვარეულო მიწისმფლობელობა, რომელიც საქართველოში მე-XVI—XIX სს.-ში იყო, სტრაბონის დროინდელი წესწყობილების ნაშთად ვცნოთ"[2]. ასეთ მსჯელობას ლოგიკურად მოსდევს აზრი: „უნებლიედ გვებადება საკითხი (კითხვა, გ. ყ.), თავდაპირველი, პირველადი მოვლენა არის ეს საგვარეულო წესწყობილება, თუ არა? ამგვარი ეჭვი სრულებით ბუნებრივი იქმნება თუ გავიხსენებთ რომ ქართველი ერი ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა ისტორიულად, ვითარცა განვითარებული და წარმატებული მოქალაქეობის მქონებელი ეროვნება. საგვარეულო წესწყობილება-კი კაცობრიობის განვითარების თითქოს პირველ საფეხურთაგანია"[3]. ივანე ჯავახიშვილის აზრით, შესაძლებელია სტრაბონის დროინდელი გვაროვნული წყობილება პირველადი კი არ იყოს, არამედ მეორადი და მესამეგზისიც კი[4].

---

[1] ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი, 1928, გვ. 183.

[2] იქვე, გვ. 152.

[3] იქვე.

[4] იქვე. თავის ფრაგმენტულ შენიშვნებში „ისტორიის მეთოდოლოგიისა და ფილოსოფიის" შესახებ ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ამასთანავე, რადგან წარმატების გარდა და მაგიერ ერი შეიძლება დაქვეითდეს თითქმის პირველყოფილ მდგომარეობამდე... ეს უკუქცევითი მეორე თუ მესამე გზისი პირველყოფილობა თავდაპირველისაგან მაინც უეჭველად უნდა განსხვავდებოდეს; ამიტომაც, შედარების დროს ეს გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ..." იხ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ივანე ჯავახიშვილისეული არქივი, საქმე № 665, ფურც. 1, 2.

მსგავსი დასკვნის დასასაბუთებლად ივანე ჯავახიშვილს მოჰქონდა XV საუკუნის მეორე ნახევარში დაშლის გზაზე მდგარი საქართველოს მაგალითი, როდესაც „გავლენიან სოციალურ წრეებში და სასულიერო თემობრივობისა და ტომობრივობის გაბატონებას ვეღარაფერი ეღობება, თვით გაყრილი გვარიშვილებიც კი თავიანთ საგვარეულოს იგონებენ და განსაცდელ-გაჭირვების წინააღმდეგ საერთო ძალით იწყებენ ბრძოლას: გაყრილობის პროცესი შეყრილობის პროცესს უთმობს ადგილს და შესაძლებელია ასეთ პირობებში გვაროვნული წესწყობილებაც კი აღდგეს“[1]. ივანე ჯავახიშვილი იმოწმებდა აგრეთვე XVII—XVIII საუკუნეებში შედგენილ „შეყრილობის წიგნებს“, რითაც ჩანს მცირე ერთეულების—ოჯახების გაერთიანება დიდ სოციალურ ერთეულებად. ეს კი აჩვენებს, რომ „სწორედ ასეთ პირობებში და ამ გზით გვაროვნული წესწყობილება ერთხელ დაშლილი შეიძლება კვლავ განახლდეს და სოციალური ცხოვრების ისევ ძირითად მოვლენად და ქვაკუთხედ დაწესებულებად იქცეს“[2]. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, თუმცა არ აკონკრეტებდა, „გვაროვნობის დაყოფის პროცესის შემაფერხებელ გარემოებას“, რომელიც ჩვენს ისტორიაში ხანგრძლივი იყო და, რადგანაც „საქართველოს პოლიტიკური ბედის ტრიალი მრავალჯერ ყოფილა უკუღმართი და სწორედ ამიტომაც გაყრილობის პროცესიც შეფერხებულა და შეყრილობა დაწყებულა“[3].

დაბოლოს, ივანე ჯავახიშვილის აზრით, გასათვალისწინებელია შემდეგი მომენტიც: „თუ ეხლა იმ გარემოებასაც გავიხსენებთ, რომ ძველადვე მაღალი კულტურის მქონებელი ქართველი ერი იძულებული იყო თავის წინანდელ სამშობლოთგან დაძრულიყო და ახალი მიწა-წყალი დაეპყრა, ადვილად წარმოიდგენთ, რომ ქ. წ. საუკუნეებშიც ჩვენი ერი შესაძლებელია არა ერთხელ იძულებული ყოფილიყო გაყრილობის პროცესი შეყრილობის პროცესზე შეეცვალა და თავდაცვის გულისათვის გვაროვნული წესწყობილება განეახლებინა“[4].

1928 წელს გამოსულ „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნის მესამე გამოცემაში ივანე ჯავახიშვილი კვლავ იმეორებდა აზრს იმის თაობაზე, რომ სტრაბონის ხანის იბერიის ყველა სახელმწიფო-

---

[1] თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, 1982, გვ. 403.

[2] ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, გვ. 157.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებანი საგვარეულო წეს-წყობილებაზე იყო დამყარებული[1]. როგორც 1905 წელს დაბეჭდილ ნაშრომში, აქაც აღნიშნულია: „მაგრამ გვარიც არის და გვარიც: ზოგი მრავალრიცხოვანი, დიდი გვარი იყო ხოლმე, ზოგი კიდევ პატარა. რასაკვირველია, მრავალრიცხოვან გვარს მეტი ძალა და გავლენაც ჰქონდა თავისი კუთხის დანარჩენ გვარებზე: დიდ-გვარიანი მამასახლისი თემის[2] მეთაურად და გამგედ იყო"[3]. თუ „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივ წესწყობილებაში" მხოლოდ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებები (სტრუქტურები) გადმოიცემოდა, ისე რომ იგნორირებული იყო შესაბამისი საზოგადოების ეკონომიკა, ამჯერად აღნიშნული წიგნის პირველ თავში საკმაო ადგილი ჰქონდა დათმობილი კავკასიისა და ქართველების ნივთიერ კულტურას, თუმცა კი წიგნში არ იყო ნაჩვენები საკმაოდ განვითარებული ეკონომიკის ზეგავლენა ტრადიციულ გვაროვნულ ორგანიზაციაზე.

ასეთი გახლდათ ივანე ჯავახიშვილისეული აზრები გვაროვნული და სახელმწიფოებრივი წყობილებების თაობაზე. როგორც უკვე მივუთითებდით, ისინი (აზრები) ჩვენს დიდ წინაპარს მტკიცე რწმენად ჰქონდა ჩამოყალიბებული და მათი შეცვლევინება ავტორისათვის მხოლოდ ნორმალური (დიქტატის გარეშე!), ხანგრძლივი დიალოგის მეშვეობით თუ მოხერხდებოდა. თუმცა, რასაკვირველია, ნორმალურ (არატოტალიტარისტულ) საზოგადოებაში სავსებით ბუნებრივია, ვთქვათ, სახელმწიფოს წარმოშობის საკითხზე მხოლოდ ერთნაირი აზრი არ არსებობდეს. გარდა ამისა, საჭირო იყო მოხსნა იმ არგუმენტებისა, რომლებსაც ივანე ჯავახიშვილი ეყრდნობოდა: ჩვენი მთიანეთის დასახლებათა ხასიათის გაგება, შეყრილობათა საზრისის გაცნობიერება, გვაროვნული წყობილების გადმონაშთების თანაარსებობა სახელმწიფოსთან და ა. შ. მაგრამ ივანე ჯავახიშვილის ოპონენტები გამოდიოდნენ მხოლოდ ფრიდრიხ ენგელსის ცნობილი წიგნისა და სახელმწიფოს შესახებ ვ. ი. ლენინის ზერელე, წყალ-წყალა ბროშურის

---

[1] ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, გვ. 154.

[2] თემში, ჩანს, ივანე ჯავახიშვილი გულისხმობდა უფრო ფართო გაერთიანებას, ეთქვათ ხევს.

[3] იქვე.

მექანიკური დაზუთხვიდან[1]. მათ ისიც კი ვერ გაეგოთ, რომ ფრიდრიხ ენგელსი თავის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობასა“ და სხვა ნაშრომებში სულაც არ იძლეოდა სახელმწიფოს წარმოშობის ერთნაირ გზას: ათენსა და რომში თუ იგი ერთ ვარიანტს ხედავდა, სპარტასა და გერმანელებში — მეორეს — სახელდობრ დაპყრობის გზას, სოლო „ანტი-დიურინგში“ აღმოსავლეთში სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებდა უმთავრესად ირიგაციისა და აგრესიულ მომთაბარეთაგან თავდაცვის აუცილებლობას. თავი დავანებოთ იმას, რომ სერიოზული პრობლემა გახლავთ სახელმწიფოს წარმოშობა მომთაბარე მესაქონლე-მეჯოგე ხალხებში, სადაც სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ერწყმოდა გვაროვნულ-ტომობრივი საზოგადოების დიდ გადმონაშთებს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის საჭიროება მხოლოდ საზოგადოების ერთი — გაბატონებული ნაწილისათვის როდია საჭირო, არამედ მთელი საზოგადოებისათვისაც (შინაგანი წესრიგის დაცვისა და თავდაცვის ინტერესები).

მაგრამ ყოველივე ამის აღიარება იმ ხანის დოგმატიკოს „მეცნიერთა“ მხრივ, ცხადია, წარმოუდგენელი იყო. მშვიდი მეცნიერული, არგუმენტირებული კამათის ნაცვლად ადგილი ჰქონდა მწვავე იდეოლოგიურ ბრალდებებს. მაგალითად ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი უკვე მოხსენიებული სასტიკი ოპონენტი (ამ საკითხში) გიორგი სოსელია აღნიშნავდა: „ამრიგად, მარქსიზმის, სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელიხელ ჩაკიდებულნი, ერთი და იმავე იარაღით, აღმოჩნდნენ ერთი მხრივ მარქსიზმის რენეგატი, „სოციალისტი კაუცკი და მეორე მხრივ საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორი ჯავახიშვილი“[2]. სტატია სხვაგანაც აჭრელებულია ამგვარი კვალიფიკაციებით: „პროფ. ჯავახიშვილის რეაქციული ბურჟუაზიული თეორია“, „ბურჟუაზიული სტრუვიანული თვალსაზრისი სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში“ (ცხადია, იგულისხმება ივანე

---

[1] შევნიშნავთ რომ ივანე ჯავახიშვილის ამ პერიოდის ერთ-ერთი მთავარი თეორიული მოწინააღმდეგე გიორგი სოსელია, სიმონ ჯანაშიას საპირისპიროდ, იზიარებდა მის შეხედულებას სტრაბონის ხანაში ქართლში გვაროვნული წყობილების თაობაზე, მაგრამ უარყოფდა სახელმწიფოს არსებობას.

[2] იხ. ავტორის სტატია: «К вопросу о происхождении государства у картвельских племен», Научные записки Закавказского коммунистического университета имени 26-ти, ტ. I, Тифлис, 1931, გვ. 218.

ჯავახიშვილისეული შესაბამისი შეხედულებაც), „ყალბი მიზანდასახულობა“ და მისთანანი. დაბოლოს, აღნიშნულ სტატიას „აგვირგვინებს“ გ. სოსელიას მოწოდება: „ჩვენ მიგვაჩნია, ერთი სიტყვით, რომ ბრძოლა საბჭოთა საქართველოს იდეალისტურ, რეაქციულ პროფესურასთან და, კერძოდ, ბრძოლა პროფ. ჯავახიშვილის რეაქციულ თეორიულ მიზანდასახულობებთან სასურველ დონეზე ვერ არის“[1].

ახლა დადგა დრო, სათანადოდ, თანამედროვე მეცნიერების დონეზე, გავიაზროთ სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი და ამ თვალთახედვით ახლებურად გავაცნობიეროთ ივანე ჯავახიშვილისეული შესაბამისი შეხედულებანი.

8. სოციალური ფსიქოლოგიის საკითხები

ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ ივანე ჯავახიშვილი დიდ ადგილს უთმობდა ადამიანის (გამოჩენილი ისტორიული პიროვნებებისა და ისტორიკოსების) ფსიქოლოგიის გაგებას. მაგრამ, ცხადია, ისეთი სერიოზული ისტორიკოსი როგორიც იგი გახლდათ, ამას არ დასჯერდებოდა და შეეცდებოდა სათანადოდ წარმოეჩინა სოციალური (ეროვნულის ჩათვლით) ფსიქოლოგიაც. ამ მომენტის უჩვენებლად ივანე ჯავახიშვილის საისტორიო (ისტორიოგრაფიული) შემოქმედება, მის მიერ ისტორიული პროცესის გადმოცემა საკმაოდ ფერმკრთალი იქნებოდა.

ჩვენი დიდი ისტორიკოსისათვის ცხადი იყო ეთნიკური მთლიანობის (ერის) ფსიქოლოგია, რაც საკამათო გახდა ბოლშევიკ-კომუნისტი იდეოლოგოსებისა და პროპაგანდისტ-აგიტატორებისათვის. თუმცა თავის მხრივ სოციალურად დაშრევებული საზოგადოების შიგნით ცალკეულ სოციალურ ნაწილებს (კლასებს, ჯგუფებს) თავისებური ფსიქოლოგია ახასიათებს, მაგრამ არის საერთო მომენტი, რომელიც მთელი ეთნოსისათვისაა დამახასიათებელი. ამდენად, ეთნიკური (ეროვნული) გრძნობა და შეგნება მთელი ეთნიკური ერთეულის საერთო ფსიქოლოგიური ფენომენებია. კერძოდ, ეროვნული თვითშეგნების („თვითშემეცნების“) საკითხით ივანე ჯავახიშვილი ახალგაზრდობიდანვე დაინტერესებულა და მის შესახებ დაუწერია კიდევაც ცალკე

---

[1] იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 220.

გამოკვლევა (სათაურით „ეროვნულ თვითშემეცნების ისტორია საქართველოში“)[1], რაც, სამწუხაროდ, ამ სახით არ გამოქვეყნებულა.

რასაკვირველია, ეთნიკური გრძნობა და შეგნება ეთნოსს მთელი ისტორიის სიგრძეზე გასდევს, მაგრამ მათი კონკრეტული ჩვენებისათვის სათანადო საისტორიო წყაროებია საჭირო. ამ თვალსაზრისით მეტად სოლიდურ საფუძველს იძლევა „ჰაბო ტფილელის წამება“. როგორც ცნობილია, ჩვენმა ბრძენმა წინაპარმა იოანე საბანისძემ ჯაბუკი არაბი ჰაბოს ქრისტეანობისათვის მარტვილობის ფაქტი გამოიყენა მთელი ხალხის იდეური და მორალური გამოფხიზლებისათვის. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ასეთია ადამიანის სულიერი ბუნება, რომ იგი ყოველს ძალმომრეობას და ძალდატანებას, დევნასა და ტანჯვას, თუნდაც განცხადებულად, ძალღონით არ იყოს, უხილავად მაინც, სულიერად წინააღმდეგობას უწევს და მაგრდება. მაშინაც სწორედ ამ დევნამ გამოაფხიზლა ქართველობა. ამ შევიწროებამ ჩაახედა ღრმად ცხოვრებაში და შექმნა ის სულიერი სიმტკიცე, რომელიც ყოველგვარს ფიზიკურ ღონეზე უძლიერესია“[2]. მაგრამ მეტიც ითქმის: „იოანე საბანისძისათვის ეს საკმარისი არ იყო: განახლებულს სარწმუნოებრივს გრძნობას ქართველებისათვის უნდა ჩაენერგა ეროვნული თავმოყვარეობა და სიამაყე, რომ მარტო ბერძნებს-კი არა, არამედ „ქართლისაცა მკვიდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა რომელთამე თჳთ აქა მკვიდრთა და რომელთამე უცხოთა, სხვით მოსრულთა ჩუენ შორის, ჟამად-ჟამად ჩუენს შორის გამოჩინებულთა“[3]. თუმცა ქრისტიანობა კოსმოპოლიტური რელიგია გახლავთ, მაგრამ თანდათანობით ხდებოდა მისი გაეროვნულება („ნაციონალიზაცია“). „ეს-ეს იყო დროებით მიბნედილი ეროვნული თავმოყვარეობა და მიმართულება იღვიძებდა და იოანე საბანისძე მისი პირველი და ნიჭით აღსავსე მქადაგებელი ყოფილა“-ო[4], დასძენდა ჩვენი დიდი ისტორიკოსი, იოანე საბანისძის საქმის გამგრძელებელი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში.

ქართველთა ძნელბედობა არაბობის გადაშენების შემდგომაც გრძელდებოდა. კერძოდ, ასე იყო დიდი თურქობის დროსაც, რომელიც

---

[1] იხ. საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, ტფილისი, 1905, გვ. 12.

[2] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, 1965, გვ. 90.

[3] იქვე, 91.

[4] იქვე.

წინ უძღოდა დავით აღმაშენებლის ზეობას. ამის თაობაზე 1907 წელს გამოქვეყნებულ „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ ვკითხულობთ: „საკვირველი ის არის, რომ მაშინდელი ქართველები სულით იმდენად ძლიერნი და გულ-გაუტეხელნი იყვნენ, რომ ასეთ პოლიტიკურ პირობების მიუხედავად მწერლობასა და ხელოვნებას თავს არ ანებებდნენ... გასაოცარია სწორედ!... ამ ხანაშია დაწერილი მრავალი საუკეთესო ხელნაწერები, სხვა და სხვა თხზულებები, როგორც ნათარგმნი, ისე ადგილობრივი, აშენებულია ბევრი საუცხოვო ჩუქურთმიანი შიგნით მოხატული ეკლესია-მონასტრები, გაკეთებულია ხელოვნური (მხატვრული, გ. ყ.) ნივთები. მაშინ ბრძოლაც იცოდნენ, ცხოვრებაც და სასოწარკვეთილებაში არას დროს არ ჩავარდებოდნენ ხოლმე“[1]. მდგომარეობა შეიცვალა ჯალალედინისა და მონღოლთა შემოსევების შედეგად, როცა აღმოჩნდა, რომ საქართველოს იმდროინდელი სოციალური ელიტა ისტორიული მოწოდების სიმაღლეზე ვერ იდგა. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით „იმ ძლიერებისა და დიდების შემდგომ, რომელიც საქართველოს XII ს -ში მოხვეჭილი ჰქონდა, ასეთი საშინელი ბედის ტრიალი იმდროინდელი ქართველი მმართველი წრეებისა და მთელი ერისთვისაც შემაძრწუნებელი და თავზარდამცემი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ იმ მწარე შეგნებას თუ შეეძლო ქართველთა მაშინდელი მძიმე სულიერი მდგომარეობის შემსუბუქება, რომ მათი ბედის მონაწილე მაშინ თითქმის მთელი აზია და ევროპის თვალსაჩინო ნაწილი იყო“[2].

VIII საუკუნის ბოლოსა და IX—X სააუკუნეებში განსაკუთრებით შავშეთსა, კლარჯეთსა და ტაოში ფართოდ გაშლილი სამონასტრო მოძრაობა დიდი ისტორიკოსის მიერ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ასეა დანახული: „ამ მოძრაობის მოთავენი და მთავარი მოღვაწენი შეუდრეკელის ხასიათისა და ნების პატრონები იყვნენ, გასაოცარის მხნეობით აღჭურვილნი, თავგანწირულის სულისკვეთებით აღფრთოვანებულნი. მათ უღვივოდათ გულში იმგვარი „მდუღარებაჲ სულისაჲ“..., რომელიც ადამიანს გმირადა ხდის და მის მოღვაწეობას მომხიბლავ მშვენიერებას ანიჭებს“[3].

---

[1] დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

[2] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, 1949, გვ. 101.

[3] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, 1965, გვ. 117—18.

როგორც დავინახეთ, ივანე ჯავახიშვილი ქართული ეროვნული შეგნების („თვითშემეცნების“) აღმავლობას იოანე საბანისძის ცნობილ თხზულებას უკავშირებდა. შესაბამისი პროცესი მომდევნო საუკუნეებში განვითარდა: „ამ ხანაშივე მომწიფდა და ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული თვითშემეცნებაც და ბევრი იმ აზრთაგანი, რომელიც შემდეგ საუკუნეებში, ჩვენ დრომდისაც-კი, ჩვეულებრივ მიღებული და გაბატონებული იყო და არის, სწორედ ამ დროს იყო შემუშავებული და გამოთქმული“[1]. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „ქართული ეროვნული თვითშემეცნების განმტკიცებისა და გამოკვერისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთში მდებარე ქართველთა მონასტრებს, სინას მთისას და პალესტინისას, შავის მთისას და განსაკუთრებით ათონის ივერთა დიდებულს ლავრას“[2]. აღნიშნული გარემოების ფსიქოლოგიური საფუძველი კი ის გახლავთ, რომ „ადამიანის სულიერი ბუნება იმგვარია, რომ ეროვნული გრძნობა უცხოეთში უფრო ცხოველდება ხოლმე; ხოლო საღს ეროვნულს სხეულს ისეთი თვისება აქვს, რომ რაც უფრო ბევრი ბრძოლა მოუხდება სხვათა ეროვნულ მძლავრ გრძნობასთან, ეროვნული გრძნობა უფრო და უფრო გაკაჟდება ხოლმე და თვითშემეცნება უფრო გარკვეული და მკაფიო ხდება. ეროვნულ დევნას მუდამ დევნილთა უფრო მჭიდრო შეკავშირება და შეერთება მოჰყვება ხოლმე შედეგად“[3]. რაც შეეხება ამ პერიოდის ჩვენი ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების პროცესში ცალკეულ ისტორიულ პიროვნებათა დამსახურებას, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებს.

ეროვნული შეგნების გაღრმავებას, ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით, ხელს უწყობდა და კვლავაც უწყობს საისტორიო მეცნიერება (ისტორიოგრაფია). კერძოდ, საუკუნეთა გასვლის შემდგომ ვახტანგ VI-ისა და სხვათა სათანადო მოღვაწეობის შედეგად „ხალხის თვითშემეცნება ფხიზელი გახდა და გაღრმავდა“[4].

როგორც „ეროვნული გრძნობა ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხისა და ტომის შვილს ერთსხეულად ჰქმნიდა და აერთებდა“, ისე

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, 1965, გვ. 168.

[2] იქვე, გვ. 168—69.

[3] იქვე, გვ. 171.

[4] დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, გვ. 6.

„საზოგადოებრივი მდგომარეობა და წოდებრივი კუთვნილებაც საქართველოს მცხოვრებთ ტომობრივ-თემობრივობის მიუხედავად რამდენსამე განსაკუთრებულ ერთეულად აყალიბებდა“[1]. თქმული გლეხობაზე, რასაკვირველია, ძალიან ნაკლებად ითქმის. მაგრამ მათგან განსხვავებით „წოდებრივი და საზოგადოებრივი ერთობის გრძნობა მეტადრე მაღალ წოდებათა და მმართველი ჯგუფების წრეებში იყო ძლიერი. საერთო მიზანი და ინტერესი მაღალი წოდებისა და საზოგადოებრივ ჯგუფის წევრებს ზოგჯერ უფრო მჭიდროდ აკავშირებდა, ვიდრე თვით ეროვნული გრძნობაც კი და ჯგუფობრივი და წოდებრივი გამოჩენის წადილი ზოგჯერ ეროვნულ თვითშემეცნებასაც სჭარბობს ხოლმე“[2]. მსგავსი ფსიქოლოგია თავს იჩენდა შესაბამის სოციალურ ქცევაში. მხედველობაში ჰქონდა რა დავით აღმაშენებლის ზეობის საწყისი პერიოდი, ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა: „მაგრამ მაინც საქართველოსათვის იმდენად გარეშე მტერი არ იყო საშიში და არც ესა ყოფილა ის დიდმნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც მის გაძლიერებას აფერხებდა. ქართველებს აუძლურებდა შინაური ბრძოლა მეფეთა და დიდგვარიან აზნაურთა შორის“[3]. ეს შემდგომაც არაერთგზის განმეორებულა ჩვენს ისტორიაში. გამონაკლისი არ ყოფილა სამღვდელოების ზედაფენაც. კერძოდ, დავით აღმაშენებლის გამეფების წინ და დასაწყისში „ყოველი უთანხმოების დროს, რომელიც დიდგვარიან აზნაურებსა და მეფის ხელისუფლებას შორის ჩამოვარდებოდა, ეკლესიის მეთაურნი, ვითარცა წოდებრივი შთამომავლობით დიდგვარიან აზნაურებთან დაკავშირებულნი, თავიანთი წოდებრივი სულისკვეთებით უფრო იყვნენ გამსჭვალულნი, ვიდრე სახელმწიფო ინტერესებით“[4]. აქედან გამომდინარე, „ამიტომაც ზოგიერთი მათგანნი მეფე-აზნაურთა შორის ამტყდარი უთანხმოების დროს საიდუმლოდ, თუ დაუფარავად, სწორედ ამ ურჩ და მოღალატე დიდგვარიან აზნაურ ხელისუფლებს უჭერდნენ მხარს“[5].

ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას (1060—65 წწ.) ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწე გიორგი მთაწმიდელი ხედავდა თუ „რამდენად

---

[1] თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VIII, 1982, გვ. 196—97.
[2] იქვე, გვ. 197.
[3] იქვე.
[4] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 165.
[5] იქვე, გვ. 349.

გულცივი იყო მაშინდელი უმაღლესი წოდებითგან გამოსული სამეფოდელოება და როგორ გულ-ხელდაკრეფილი შესცქეროდა ქვეყნის ტანჯვას"[1].

გიორგი მესამის ზეობაში ადგილი ჰქონდა სოციალური ზედაფენებისა და საერთოდ ლაშქრის მილიტარისტულ სულისკვეთებას. როგორც უკვე მივუთითებდით, დიდი ისტორიკოსი წერდა: „ოღონდაც ასეთ უგურ(!) ლაშქრობის ნახვა სწორედ რომ უცხო რამ არის: ადამიანი სწორედ თავის თავის მტერი უნდა იყოს, რომ ყველა თავისი მეზობლები ტყუილ-უბრალოდ გადიკიდოს და თავისადმი სიძულვილი ჩანერგოს. განა ასე არ იქცეოდნენ ქართველი დიდებულები და ლაშქარი? ქართველები ისეთ თავდავიწყებამდე მივიდნენ, რომ ომიანობა სასიამოვნო ხელობად და გასართობად გაიხადეს"[2]. რასაკვირველია, აჯობებდა ასეთი ენერგია საქართველოს შიგნით გამოეჩინათ, „მაგრამ რაკი ლაშქარს ერთხელ გაუტკბება გამარჯვება და ნატყვენავის შოვნა, თავს ვეღარ შეიკავებს"[3].

სხვანაირი სოციალურ-ფსიქოლოგიური სურათი გამოჩნდა მონღოლთა შემოსევების დროს. უპირველესად ყველაზე დაბნეული აღმოჩნდა მეფე (რუსუდანი) და მისი უახლოესი გარემოცვა, რომელთაც მიატოვეს თბილისი და ქუთაისში გადავიდნენ. ამის შემდგომ „ვაზირებმაც თავიანთი მოვალეობა დაივიწყეს და შეუთანხმებლივ-დაქსაქსულად მოქმედებდნენ. მათაც, გულადობისა და მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევის მაგიერ, რომ ხალხისათვის მისაბაძი და გამამხნევებელი მამაცობისა და შეუდრეკელობის მაგალითი ეჩვენებინათ, მეფეს მიბაძეს და თავიანთ თავზე დაიწყეს ზრუნვა, პირადი კეთილდღეობა და უზრუნველმყოფობა საზოგადო კეთილდღეობას ანაცვალეს"[4]. აქედან გამომდინარე, „როდესაც მეთაურნი ასე მხდალად მოიქცნენ და მტერს არ წინააღუდგნენ, განა გასაკვირველია, რომ ერიც შეძრწუნებულიყო და თავზარდაცემულს ლტოლვაზე უფრო ეფიქრა, ვიდრე თავდაცვასა და მტრის მოგერიებაზე".[5]

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 349.

[2] საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფილისი, 1907, გვ. 71.

[3] იქვე.

[4] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, 1966, გვ. 97—98.

[5] იქვე, გვ. 98.

ერთი სიტყვით, გამოჩნდა რომ საქართველოს იმდროინდელ მმართველ წრეებს ნებისყოფა და თაოსნობა, საზოგადოებრივი გრძნობა და სიმამაცე მოდუნებული და მიყუჩებული ჰქონდათ[1]. როგორც ცნობილია, საზოგადოებაში, მის ისტორიაში ახლაც დიდ როლს ასრულებს და უწინაც ასრულებდა მიბაძვა. ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით „რაკი საქართველო მტრის ხანგრძლივი ნავარდისაგან მოქანცული იყო, ერთი მაგალითიც კმაროდა, რომ ავაგის (ამირსპასალარის, გ. ყ.) გზას სხვებიც გაჰყოლოდნენ. მტრის წინაშე ქედის მოხრა, რაც უნდა იყოს, ადამიანის თავმოყვარეობისათვის სათაკილოა, მაგრამ როდესაც ამგვარ სააუგო საქმეს სხვა ჩაიდენს, მაშინ დანარჩენთ ძნელი ნაბიჯის გადადგმა უადვილდებათ და თვით საქციელსაც მათთვის თითქოს აუგიანობაც კი ეკარგება. ამ შემთხვევაში ასეთი სათაკილო ნაბიჯის გადადგმა საქართველოს სახელმწიფოს მხედრობის თვით მთავარსარდალმა ავაგ სპასალარმა იკისრა და სხვებისათვის ხომ მონღოლთა წინაშე დამორჩილება უფრო ადვილი საქმე იქმნებოდა“[2].

ასე დაიმსხვრა ის დიდი ილუზია, რომელიც საქართველოს მეთორმეტე საუკუნის დასაწყისიდანვე ჰქონდა — თითქოს ჩვენი ქვეყანა განგებისაგან მოწოდებული იყო განეხორციელებინა დიდი ქრისტიანული მონარქიის იდეა. სხვა მხრივაც, რასაკვირველია, მონღოლთა მძლავრებამ ქართველი ერის ფსიქოლოგიაში მძიმე, უარყოფითი შედეგები გამოიწვია, რაც იმაშიც გამოვლინდა, რომ „მე-13 ს. განმავლობაში საქართველოში ხალხის კულტურულად დაქვეითების გამო, ეროვნული თვითშემეცნება და ნათესაობის შეგნება ისე დაკნინდა, რომ თემთა და ტომთა შორის შუღლისა და მტრობის ჩამოსაგდებად ზოგჯერ მათი თავმოყვარეობის მცირეოდენი შელახვაც-კი საკმარისი იყო ხოლმე“[3].

მაგრამ ჩვენი ისტორიის ბედისწერა კიდევ უფრო დიდ განსაცდელს გვთავაზობდა. თუ ვთქვათ დასავლეთ ევროპის ან რუსეთის ისტორიაში მეთხუთმეტე საუკუნე აღმავლობის, სახელმწიფოთა ცენტრალიზაციის ხანა იყო, ამ დროს მოხდა ერთიანი საქართველოს დაშლა ცალკე ნაწილებად. როცა ამ პროცესის ფსიქოლოგიურ საფუძველს ეხებოდა, ივანე ჯავახიშვილი წერდა: „უიმედოდ სიცოცხლე, თუ მთლად

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, 1966, გვ. 99.
[2] იქვე, გვ. 101.
[3] თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, გვ. 164.

შეუძლებელი არა, უხალისო ცხოველური არსებობად იქცევა ხოლმე. ხოლო რამდენადაც უფრო ძლიერია იმედი, იმდენადვე უფრო ძლიერია ხოლმე ამ იმედების გაცრუებით გამოწვეული სასოწარკვეთილება. დიდი, სტიქიურობის მსგავსი უბედურების, ან ძლიერი მტრისაგან დამარცხების შემდგომ ხსნისა და გამოსავლის უიმედობის გრძნობა და შიში ზოგჯერ დამარცხებული, გაჭირვებაში ჩავარდნილი ერის ნებისყოფას სტეხს, სულიერად აკნინებს და ზნეობრივად აძაბუნებს ხოლმე. ასეთს მდგომარეობაში ადამიანის არსებაში ეგოისტური გრძნობა და ცხოველური თავდაცვის ალღო იღვიძებს და მაშინ პირად კეთილდღეობაზე მზრუნველობა საერთოსაზე სძლევს ხოლმე და სახელმწიფოებრივობა და საზოგადო ინტერესი კერძოსა და პირადულს სულისკვეთებას უთმობს ბატონობას"[1].

მსგავსი სოციალური (ეროვნული) ფსიქოლოგია წინაპირობა ხდება სახელმწიფოს დაშლისა: „სახელმწიფოს შემადგენელი ერთეული თვით, კერძო პიროვნებაც უპირველესად თავისი თავის, თავისი თემის, თავისი კუთხის გადარჩენაზე იწყებს ფიქრს და საერთო კეთილდღეობაზე მზრუნველობის მოვალეობის თავითგან მოცილებას სცდილობს. როგორც დაბალი ფიზიკური სხეული განსაცდელის დროს თავდაცვის მიზნით იკუმშება და თავის ქერქში ძვრება ხოლმე, ისევე სოციალურს სხეულს ემართება და რაკი სახელმწიფოსი და საერთო ძალის უკვე იმედგაწყვეტილობაა ხოლმე გამეფებული, ასეთ პირობებში შეიძლება სახელმწიფოებრივობის დაქვეითების და დაშლის პროცესი დაიწყოს"[2].

ივანე ჯავახიშვილის მიხედვით შეიძლება განსაზღვრული თანაფარდობაც დადგინდეს: „რამდენადაც უფრო დიდი იყო თავზე დამტყდარი უბედურება და რამდენადაც უფრო ფართოდ იყო მოდებული ხალხში და ღრმად ჩამჯდარი განსაცდელით გამოწვეული უიმედობა და სასოწარკვეთილება, ამასთანავე, რამდენადაც სუსტი იყო სახელმწიფოს ხელისუფლება და ძლიერი კულტურული დაქვეითება, იმდენად უფრო ადვილად და სწრაფად მიმდინარეობდა ხოლმე და მიმდინარეობს სახელმწიფოებრივობის დაშლის ზემოაღნიშნული პროცესი"[3]. თუმცა

---

[1] თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, გვ. 402—403.

[2] იქვე, გვ. 403.

[3] იქვე.

სახელმწიფოებრიობის დაცემის ქვედა ზღვარი სხვა ფაქტორებზეც არის დამოკიდებული[1].

მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ფსიქოლოგიური ვითარება ივანე ჯავახიშვილის მიერ ასეთი სიტყვებით არის გადმოცემული: „ხანგრძლივმა ომმა და მტრის მტარვალობამ მოსახლეობის გაბოროტებასა და გაავებას, მის გონებრივ-ზნეობრივს დაქვეითებასაც შეუწყო ხელი, რადგან მშვიდობიანი ნაყოფიერი მუშაობის მაგიერ, ადამიანი მაშინ უნებლიედ უნდა იარაღის გამუდმებით ტრიალსა და სისხლის ღვრას მისჩვეოდა. ომის საშინელება და ქვეყნის მწარე სინამდვილე აიძულებდა ველურებას შეჰგუებოდა და, წინანდელი კულტურული ყოფა-ცხოვრების მაგიერ, გამოქვაბულებსა და სახიზნარებში ყოფნას შეჰგუებოდა. სწავლისა და განათლებისათვის, მწერლობისა და ხელოვნებისათვის ასეთს პირობებშიც ვის შეეძლო მოეცალა, ანდა ვის ექნებოდა ამისათვის გული და ხალისი“.[2]

ყოველივე ზემოთქმულის შემდგომ, ალბათ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ჩვენი დიდი ისტორიკოსის სოციალურ-ფსიქოლოგიური განსწავლულობა და დაკვირვებანი ნამდვილად შეეფერება დარგის თანამედროვე დონეს და მისაბაძია თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთათვის.

9. ადამიანის საკითხი ივანე ჯავახიშვილის საისტორიო შემოქმედებაში*

ე. წ. საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ადამიანის პრობლემა დიდი ხნის მანძილზე იგნორირებული იყო. გადმოიცემოდა ტექნიკა, მეურნეობის ფორმები და ა. შ. მაგრამ ადამიანები, რომლებიც ქმნიდნენ შესაბამის ისტორიულ სინამდვილეს და მეორე მხრივ განასახიერებდნენ მას, არ ჩანდნენ. ჯერდებოდნენ ზოგად, აბსტრაქტულ, კარლ მარქსისეულ მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ადამიანი წარმოადგენს წარმოებით (ანდა უფრო ფართო, საზოგადოებრივი აზრით)

---

[1] თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, გვ. 403.

[2] იქვე, გვ. 458.

* საკითხის შესახებ იხ. შალვა კაკულიას „ადამიანის პრობლემა ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში“, თბილისი, 1977 და ედუარდ კოდუას „ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი“, თბილისი, 1977, გვ. 102—128.

ურთიერთობათა ერთობლიობას. როცა მეფეებსა და სხვა ისტორიულ პიროვნებებზე მიდგებოდა საქმე, რასაკვირველია, ისტორიკოსები გადმოსცემდნენ მათს მოღვაწეობას, მაგრამ ხასიათების ფსიქოლოგიური წვდომისაგან შორს იდგნენ. ცნობილია, თუ როგორ ნეგატიურ რეაქციას იწვევდა საბჭოთა იდეოლოგოსებში აღნიშნული თემის დამუშავება ივანე ჯავახიშვილისეულ „ქართველი ერის ისტორიაში". მაგრამ პრობლემას, ვიმეორებთ, სათანადოდ ვერც პროფესიონალი ისტორიკოსები აცნობიერებდნენ. ამდენად, კერძოდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში შეუმჩნეველი რჩებოდა სპეციფიკა, რასაც ისტორიულ პროცესს გამორჩეული (ისტორიული) პიროვნებანი ამჩნევდნენ— თითქოს ამა თუ იმ ისტორიული პიროვნების მიერ გაწეული ღვაწლი აბსოლუტურად მოცემული სახისა, და არა თავისებურიც, უნდა ყოფილიყო. ამ თვალსაზრისით კერძოდ, „ქართლის ცხოვრების" ავტორები ბევრად უფრო წინ იდგნენ უახლესი ხანის ბევრ ისტორიკოსთან შედარებით. ასე რომ, თუ ილია ჭავჭავაძის ცნობილი აზრიდან გამოვალთ, ძველი ავტორები მეფეთა პიროვნებებს მაინც ითვალისწინებდნენ და იმის მაგიერ, რომ უახლესი დროის ქართველი ისტორიკოსები ამ თვალსაზრისით წინ წასულიყვნენ, ჩამორჩნენ კიდეც.

აღნიშნული გარემოება მით უფრო შეუწყნარებელი გახლავთ, რომ ივანე ჯავახიშვილი, როგორც დავინახეთ, სათანადო ყურადღებას იჩენდა აღძრული საკითხისადმიც — მისეულ ნაწარმოებებში ჩანან არა მარტო მეფეები თავიანთი ხასიათებით, არამედ სხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებიც ცალ-ცალკე და თავიანთ ერთობლიობაში. როგორც ცნობილია, ივანე ჯავახიშვილმა თავის ერთ-ერთ საჩვენებელ ლექციაში საქართველოსა და სომხეთის ისტორია განიხილა მსოფლიო ისტორიის ფონზე, რითაც დაუპირისპირდა პრიმიტიულ ევროცენტრისტულ წარმოდგენებს. ამით იგი შეეცადა სათქმელი აღნიშნულ საკითხზეც გამოეხატა. შემთხვევითი არ გახლავთ ის გარემოებაც, რომ ივანე ჯავახიშვილმა თავისი პირველი ლექცია ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში (1918 წლის 30 იანვარს) წაიკითხა თემაზე: „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობასა და ცხოვრებაში" (პირველად დაიბეჭდა 1956 წელს ავტორისეულ კრებულში „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები").

დასახელებული ნაშრომი შედგება სამი ნაწილისაგან: მოძღვრება ადამიანზე, ადამიანის სოციალურ-ეთიკური იდეალები და ადამიანი, ეითარცა მოღვაწე. პირველ ნაწილში გადმოცემულია ჩვენი ძველი წინაპრების ცოდნა ადამიანის ფსიქოლოგიასა და ფიზიოლოგიაში. იგი (ეს ცოდნა) ადგილობრივი ტრადიციების გარდა, როგორც ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდნენ, დაფუძნებული იყო ფსევდო დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის), გრიგოლ ნოსელისა და პროკლე დიადოქოსის ნაშრომებზე, რომელთა ნაწილი ქართულადაც იქნა ნათარგმნი. ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში აღსანიშნავია შოთა რუსთაველის მხატვრული შემოქმედება, სადაც მჟღავნდება ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა, აზრი სიბრძნისა (ცოდნის) და მოქმედების ერთიანობაზე („არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა" და სხვ.).

ხაზგასასმელია ერთი მეთოდოლოგიური ხასიათის გარემოება. თუ ბევრისათვის ადამიანზე, მის ბუნებაზე მსჯელობა განყენებულია და მოწყვეტილი იმ კონკრეტულ სოციალურ გარემოს, სადაც ადამიანს უხდება ცხოვრება, ივანე ჯავახიშვილისათვის საკითხის გაგება-გააზრება წარმოუდგენელი იყო სოციალური გარემოს (საზოგადოების) ფაქტორის გათვალისწინების გარეშე. ადამიანის სოციალურ-ეთიკურ იდეალებზე მსჯელობას ივანე ჯავახიშვილი იწყებდა იმის აღნიშვნით, რომ „ძველ დროს ადამიანის პიროვნება მრავალგვარი გარემოებით იყო შეზღუდვილი და შებორკილი: ჯერ საგვარეულო (ე. ი. გვაროვნული, გ. ყ.) წესწყობილება და ზნე-ჩვეულებანი, შემდეგ წოდებრიობა, პატრონყმობა, სარწმუნოებრივი მცნებანი და კანონ-წესები კაცის პიროვნების თავისუფალ განსახიერებას ზღუდავდნენ და მის მოქმედებას საზღვრებს უდებდნენ. ასე იყო ყველგან და ყველა ერთა წარსულში, ასევე იყო ძველად საქართველოშიაც"[1]. გასაგებია, რომ დიდი ისტორიკოსის აზრით, ცხოვრების პირობები ადამიანს ძველად გაცილებით ნაკლებ საშუალებას, გასაქანს აძლევდა თავისი პიროვნების თავისებურებების გამოსაჩენად, ვიდრე ახლა. მიუხედავად ამისა, ისევე როგორც თანამედროვე ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, ყოველ ადამიანსა და სოციალურ წრეს თავისი იდეალები გააჩნია, ასევე იყო, ივანე ჯავახიშვილის აზრით, ძველადაც, რის შესა-

---

[1] იხ. ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, კრებულში „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები", თბილისი, 1956, გვ. 138.

ხებაც იგი ფართოდ მსჯელობდა „ქართული სამართლის ისტორიის“ I და II წიგნებში (გამოქვეყნდა 1928—29 წლებში).

თუმცა ჩვენი ისტორიის გარკვეული სანიდან მოყოლებული წოდებრიობა გაბატონებულ მოვლენად იქცა, ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით, ორი გარემოების გამოისობით იგი შესუსტებული გახლდათ. „ამის წყალობით იყო, რომ წოდებრიობა საქართველოში ერისელ და სამუდამოდ დახშულ და უცვლელ ოდენობას არ წარმოადგენდა, როგორც ამაღლება, „აღზევება“, ისევე დამდაბლება და „ჩამომცრობა“ შეიძლებოდა“.[1] ამგვარი სოციალური მობილურობის მიზეზთაგან ერთი პირადი თვისებისა იყო—უკავშირდებოდა პირად შრომასა და სამსახურს. ამ გარემოებათა წყალობით წოდებრიობას ღირსება უფრო ემატებოდა და ადამიანი უფრო მეტად „საპატიო“ და „საჩინო“ პიროვნება ხდებოდა. მეორე მიზეზი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ვინც ქონებრივად და სამსახურითაც თავისთავს განსაზღვრულ სოციალურ საფეხურზე ვერ შეინარჩუნებდა, ამისდაკვალად ხდებოდა მისი ჩამომცრობაც. გარდა აღნიშნული ორი მომენტისა წოდებრივ განკერძოებას, ჩვენი დიდი ისტორიკოსის მიხედვით, აგრეთვე არბილებდა მოყმეობის ანუ რაინდობის წესები, რაშიც უმთავრესი მნიშვნელობა ადამიანის კაცურ თვისებებს, სიმამაცეს, თავდადებასა და ერთგულებას ჰქონდა, რა თვისებებითაც აგრეთვე ხდებოდა განსაზღვრული სოციალური აღზევება.

ძველი (ფეოდალური) საქართველოს მოსახლეობა გარდა სხვადასხვა სოციალურ ფენად დაყოფისა, დაშრეეებული იყო ორ დიდ ფენად: ერისკაცებად (ფართო მნიშვნელობით) და მოწესეებად. ერისკაცები, ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, ამქვეყნიური ყოფა-ცხოვრების მიმდევარნი იყვნენ და ამდენად დაკავშირებულნი „მაცდურ“ ქვეყანასთან, მოწესენი კი წარმოადგენდნენ სამღვდელო პირებსა და მონაზვნებს, რომლებიც საეკლესიო და სამონასტრო წესებს ემორჩილებოდნენ და მით ხელმძღვანელობდნენ ცხოვრებაში. თუ ერისკაცების მთავარ მისწრაფებას შეადგენდა მატერიალური სიმდიდრის მოხვეჭა, მოწესეთა სოციალური იდეალი სხვაგვარი იყო. მაგრამ, ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით, ოდენ მატერიალური სიმდიდრის მოხვეჭას იმდროინდელი საზოგადოების თვალში აბსოლუტური ფასი როდი ჰქონ-

[1] იხ. ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, კრებულში „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1956, გვ. 139.

და, „თუ ზნეობრივი სიფაქიზე და ღვთისნიერი ცხოვრება არ სდევდა თან ეკონომიკურს კეთილდღეობაზე ზრუნვასა და გამდიდრებას, მაშინ მას მაშინდელი შეხედულებით მომხიბლავი მიმზიდველობა აკლდა“[1].

ამრიგად, მაშინდელი საზოგადოებრივი აზრის თანახმად იდეალური ერისკაცი „ორთავე ცხორებითა შეზავებულად“ უნდა ყოფილიყო შემკული ისე, რომ „სიმდიდრესა თანა საღმრთოჲსა მოქალაქობისასა ხორციელიცა სიმდიდრე უხუებით“ უნდა ჰქონოდა. მეტიც, მას ქველმოქმედებაზეც უნდა ეზრუნა, ხოლო ამ მიზნით კი უკეთესი იყო საკუთარი შრომით მონაგარი შემოსავალი დაეხარჯათ (ცნობილი ფაქტი გახლავთ, რომ დავით აღმაშენებელი და თამარ მეფეც კი ასე ფიქრობდნენ და მოქმედებდნენ).

სხვაგვარი იყო მეუდაბნოესა და მონაზონის სოციალური იდეალი. მათ უნდა მიეტოვებინათ თავიანთი მახლობელნი, ადამიანთა საზოგადოებაც კი და მხოლოდ „უცხოება“ აერჩიათ. რაღა თქმა უნდა, თავი უნდა დაენებებიათ საკუთრებისათვის, რადგან იგი ყოველი ბოროტებისა და ანგარების მიზეზად იყო მიჩნეული. ასე რომ, აღნიშნული გზა მიაჩნდათ საუკეთესო საშუალებად ზნეობრივი სრულყოფისათვის, რაც, იმდროინდელი გაბატონებული შეხედულებით, საერო ცხოვრებაში, შესაბამისად, საერო ცხოვრების წესით, გამოირიცხებოდა.

მაგრამ ცხოვრების პირობებს დიდი კორექტივი შეჰქონდა ბერ-მონაზვნების წარმოდგენებში. მეუდაბნოება მონასტრებში ცხოვრებით შეიცვალა. თუ თავდაპირველად სამონასტრო ძმობები თავიანთი საკუთარი შრომით ცხოვრობდნენ, შემდეგ მათ უარყვეს ეს პრინციპი. საქართველოს მსგავსადვე მოხდა სომხეთსა და ასურეთში (სირიაში). თუ დასავლეთევროპელ მეცნიერთა აზრით აღნიშნული ფაქტის მიზეზი „ჩვეულებრივი სახელგანთქმული აღმოსავლეთის ხალხთა სიზარმაცე“ იყო, ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით ასე იმიტომ მოხდა, რომ ეგონათ შრომის გარეშე სამონასტრო საძმოებს შორის უფრო მეტად დამყარდებოდა მშვიდობა და აღმოიფხვრებოდა შურიანობა[2]. ამდენად, ისინი, ივანე ჯავახიშვილის აზრით, სათანადოდ ვერ ითვალისწინებდნენ ადამიანის ფსიქოლოგიას. მაგრამ როგორც არ უნდა ყო-

---

[1] იხ. იგივე ნაშრომი, დასახ. კრებულში, გვ. 140.

[2] იხ. ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში, „ივერია“, 1906, № 13, გვ. 11.

ფილიყო, მონასტრების საძმო „თავისი ოფლით კი არა ცხოვრობდა, არამედ ყმების ოფლითა და ნამუშევარით ირჩენდა თავს და, ამგვარად, სხვისი ოფლით სურდა ზნეობრივი სისპეტაკე დაემკვიდრებინა“[1]. ამით, არღვევდნენ რა პავლე მოციქულის მცნებას — „უკეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჰსჯამნ“, „ოღონდაც, ამ დროს მონაზნებს არავითარი უფლება არა ჰქონდათ თავიანთ თავისათვის წინანდებურად „გლახაკის“ სახელი დაეძახნათ. მონაზნები ამიერიდგან დიდებულთა და პატრონთა წოდებას უფრო ეკუთვნოდნენ, ვიდრე უმიწაწყლო ღარიბ-ღატაკებს“[2].

ჩვენი წინაპრების შეხედულებით, ადამიანები არა მხოლოდ იძენდნენ სათანადო ჩვევებსა და თვისებებს შესაბამისი სოციალური წრიდან, არამედ შეძენილი თვისებები მემკვიდრეობითაც გადაიცემოდა ხოლმე. ამის შესახებ წერდნენ, კერძოდ, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და ჟამთააღმწერელი. ივანე ჯავახიშვილი, — რასაკვირველია, სავსებით სწორად, — უფრო შორსაც მიდიოდა და აღნიშნავდა: „ნიკოლოზ კათალიკოზს თავის XII ს. შუა წლებში დაწერილ საგულისხმო თხზულებაში უკვე ეროვნული თანდაყოლილი თვისებების არსებობის დებულება აქვს წამოყენებული და ის ამტკიცებს, რომ ყოველ ადამიანს თავისი მიდრეკილება და ნიჭი აბადია, თავისებურება ემჩნევა, რომ ამგვარადვე, „ესე სახედვე უკვე იხილვების ნათესავთა (ხალხთა, ერთა, გ. ყ.) შორისაც, რამეთუ რომელნიმე ნათესავნი ანუ ერნი“ ესევითარნი არიან ბუნებით, ხოლო რომელნიმე ეგევითარნი“. ასეთი ეროვნული თვისებები, „ესევითარი ბუნებაჲ პირველითგანვე“ აქვთ ყველა ერებს დამკვიდრებულიო“[3]. ესეც, რასაკვირველია, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი (ნათესავის, ეთნოსის) ადამიანის ხასიათზე მსჯელობისას.

ფეოდალური ეპოქის საქართველოში გაცნობიერებული ჰქონდათ დიდი მოღვაწისათვის საჭირო ნიშან-თვისებები, ხოლო დავით აღმა-

---

[1] იხ. ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში, „ივერია“, 1906, № 13, გვ. 12.

[2] იქვე. ჯერ კიდევ ამავე წერილში ივანე ჯავახიშვილი სხვა ადგილასაც აღნიშნავდა გლეხკაცობის (ყმების) ექსპლუატაციას სოციალური ზედაფენების მხრივ. ამას კი იმიტომ გავხაზავთ, რომ თითქოს საერთოდ ივანე ჯავახიშვილი ვერ ამჩნევდა აღნიშნულ გარემოებას.

[3] ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში. იხ. დასახ. კრებული, გვ. 153.

შენებლის ისტორიკოსი იმასაც კარგად ხვდებოდა, რომ თვით დიდი ისტორიული პიროვნების სამოქმედო ასპარეზს საზღვარს უდებდა შესაბამისი სოციალური გარემო, საზოგადოება; თუ ეს უკანასკნელი დიდ შესაძლებლობებს იძლეოდა, მაშინ ისტორიული პიროვნება მეტს აღწევდა და პირიქით. ამას არ შეიძლებოდა უკმაყოფილების გრძნობა და განცდა არ წარმოეშვა. და არა მხოლოდ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის! ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „როგორც ჩვენ დროში სხვებზე გაცილებით მაღლა მდგომი და თავისი ხანის წინგამსწრები მოღვაწე შეიძლება თავისი დროის გარემოთი და საზოგადოებით უკმაყოფილო იყოს და მთელი სიმწვავით ამ უკმაყოფილებას გრძნობდეს, ისევე ქართულ საისტორიო მწერლობაში გვხვდება ჩვენ გამოჩენილ მოღვაწეთა თავის დროინდელი ცხოვრების პირობებისა და გარემო საზოგადოებით უკმაყოფილების გრძნობის მკაფიო ანარეკლიც“[1]. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა მაგალითი გიორგი მთაწმიდელისა, რომელიც ერთი მხრივ უკმაყოფილო იყო თანადროული ქართველობით, მაგრამ მეორე მხრივ ქართველი კაცის ხასიათს გაიდეალებულად წარმოიდგენდა[2].

სხვანაირი გრძნობები და განცდები ეუფლება ადამიანს უცხოეთში ცხოვრებისას. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით: „ადამიანის სულიერი ბუნება იმგვარია, რომ ეროვნული გრძნობა უცხოობაში უფრო ცხოველდება ხოლმე; ხოლო საღს ეროვნულს სხეულს ისეთი თვისება აქვს, რომ რაც უფრო ბევრი ბრძოლა მოუხდება სხვათა ეროვნულ მძლავრ გრძნობასთან, ეროვნული გრძნობა უფრო და უფრო გაკაჟდება ხოლმე და თვითშემეცნება უფრო გარკვეული და მკაფიო ხდება. ეროვნულ დევნას მუდამ დევნილთა უფრო მჭიდრო შეკავშირება და შეერთება მოჰყვება ხოლმე შედეგად“[3]. „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში ნაჩვენებია ბიზანტიაში მცხოვრები ქართველი ბერების განცდები[4].

ივანე ჯავახიშვილი, ცხადია, არ სჯერდებოდა ადამიანის გაგებას მხოლოდ ზოგად პლანში, არამედ საკითხს უფრო კონკრეტულადაც

---

[1] ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, იხ. დასახ. კრებული, გვ. 153.

[2] იქვე, გვ. 154—55.

[3] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1965, გვ. 171.

[4] იხ. იქვე, გვ. 171—72 და სხვაგან.

იაზრებდა. რამდენადაც ჩვენი ისტორიოგრაფია და ისტორიული დოკუმენტები ძირითადად მეფეთა სასიათების გაგება-გააზრების შესაძლებლობას იძლევიან, ამიტომ ჩვენმა დიდმა ისტორიკოსმა, როგორც უკვე დავინახეთ, ინდივიდუალიზაციის მეთოდის გამოყენების მრავალი ნიმუში მოგვცა. იგივე მოთხოვნას უყენებდა იგი სხვა დარგსაც, კერძოდ, ქართული ლიტერატურის ისტორიას. ისტორიკოსი აბელ კიკვიძე, როგორც ჩანს, პირადად ივანე ჯავახიშვილისაგან მოსმენილის საფუძველზე, წერდა, რომ დიდი ისტორიკოსის შენიშვნით „ძველი ქართული მწერლობის კვლევა-ძიება ბიბლიოგრაფიის ფარგლებს ჯერ კიდევ ვერ გასცილდა, თუმცა, რაც გაკეთდა ამ მხრივ ფრიად საჭიროა და აუცილებელი. ლიტერატურის ისტორიკოსმა უნდა გადმოსცეს სულიერი განცდები ისეთი მოღვაწეებისა, როგორიც იყვნენ იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. მომავალში ესეც გაკეთდება“[1].

---

[1] იხ. კრებული, მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი, გვ. 124.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი მესამე

სხვადასხვა საკითხები

1. ქართველთა ეთნოგენეზისის პროგლემის ივანე ჯავახიშვილის მიერი გააზრების შესახებ

ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ცნობილია, ჩვენი ეთნოგენეზისის საკითხი დიდი ხნის წინათ დაისვა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს მატიანის თანახმად ჩვენი წინაპრები (სულ თვრამეტი სახლის (გვარის) რაოდენობით) დღევანდელ საქართველოში მის ფარგლებს გარედან—სამხრეთ-დასავლეთიდან („არიან-ქართლიდან") მოსულან, ხოლო ლეონტი მროველის მიხედვით — სამხრეთიდან („არარატის ქვეყნის" მიდამოებიდან). ამდენად, როგორც ვხედავთ, ჩვენი ისტორიოგრაფიული ტრადიცია ქართველთა წარმომავლობას მიგრაციების გზით ხსნიდა. თუმცა „ბიბლიაში" ლაპარაკია თუბალებსა და მეშეხებზე, რომელთა სახელების ჟღერადობა აშკარად მსგავსია „იბერებისა" და „მესხებისა", მაგრამ ჩვენს ძველ ისტორიკოსებს არ უცდიათ ჩვენი დაკავშირება აღნიშნულ ბიბლიურ ხალხებთან. მხოლოდ ახ. წ. I საუკუნის ებრაელ-რომაელმა ავტორმა იოსებ ფლავიუსმა მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება (საყურადღებოა რომ ამის თაობაზე იცოდა ჩვენმა ფილოსოფოსმა იოანე პეტრიწმა).

გავიდა დრო და ჩვენი მოდგმის ბიბლიისეულ თუბალებთან და მეშეხებთან დაკავშირების მოსაზრებამ დიდი გასაქანი ჰპოვა. საქმე ის გახლავთ, რომ ასურულ წყაროებში, უკვე ძვ. წ. XII საუკუნიდან მოყოლებული ლაპარაკია მუშკებისა და თუბალების (თაბალების) შესახებ, რომლებშიც დასავლეთევროპულმა და რუსმა ორიენტალისტებმა სწორედ ჩვენი წინაპრები მესხები და იბერები დაინახეს. რაკი ასე იყო, დაასკვნეს, რომ საქართველოს (აღმოსავლეთი და სამხრეთი მხარეების) დღევანდელ ტერიტორიაზე დასახლებას სწორედ მიგრაციის

გზით ჰქონდა ადგილი. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, იგი თითქოს დაასახლეს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან წამოსულმა [illegible]ებმა (კოლხთა წინაპრებმა).

მსგავსი დასკვნები (ჩვენს მიგრაციას რომ ასაბუთებდნენ) იქნა გაკეთებული დასავლელი არქეოლოგოსების მიერაც. რუდოლფ ვირხოვის აზრით, საქართველოში ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანა, ანდა რკინის ხანის დასაწყისი (რაც მაშინ უკვე იყო ცნობილი) უეცრად დაიწყო ძვ. წ. XI—X საუკუნეებიდან შუა აზიიდან მოსულთა წყალობით. ერნესტ შანტრის შეხედულებით, ადრეული რკინის ხანის კულტურა კავკასიაში სამხრეთ მესოპოტამიიდან მოსულმა დოლიხოკეფალმა (გრძელთავიანმა) მონღოლ-სემიტებმა თუ სემიტურ-ქუშიტური მოდგმის ხალხებმა მოიტანეს. ჟაკ დე-მორგანის მიხედვით მატერიალური კულტურის უფრო წინანდელი სტადია—ბრინჯაოს მეტალურგია კავკასიაში გაჩნდა ჩინეთიდან, თურქმენეთსა და ჩინეთზე გამოვლით, ხოლო აქაური რკინის კულტურა კი თურანული წარმოშობისა გახლდათ, რომელიც შემდგომში არიულ და სემიტურ ზეგავლენებს განიცდიდა. ი. კარსტი ფიქრობდა, რომ ქართველები არიული წარმოშობის არიან და ამრიგად, ჩვენი კულტურაც გარედან მოტანილიაო.

ერთი სიტყვით, როგორც დავინახეთ, იმ ხანის დასავლურ ორიენტალისტიკაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი ქართველთა წინაპრების შორს სამხრეთში განსახლების, შესაბამისად, წინარე ხანის არქეოლოგიური კულტურების უცხოური წარმომავლობის იდეამ, რამაც, ცხადია, ქართულ ისტორიოგრაფიაზე და კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია. და მართლაც, ჩვენი დიდი ისტორიკოსი ქართველთა პოლიტიკური თავგადასავლის თხრობას ასურული წყაროების მიხედვით იწყებდა, უკავშირებდა რა მას ბიბლიისეულ თუბალებსა და მეშეხებს, რომლებიც, თუ ამ წყაროების მიხედვით ვიმსჯელებთ, საისტორიო არენაზე ძვ. წ. XI—IX საუკუნეებში ჩნდებიან. მანამდე ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით, ჩვენი წინაპრების, — როგორც დასავლელი ისე აღმოსავლელისა,—სამშობლო ყოფილა კარდუ (ხალდები).

მაგრამ გავიდა დრო და დასავლურ ორიენტალისტიკაში, კერძოდ, ხეთოლოგიის წარმატებების შედეგად, დაასკვნეს, რომ თაბალები (თუბალები) და მუშკები ინდოევროპული წარმოშობის ხალხები ყოფილან და არა ქართველური მოდგომისა. ამდენად, აუცილებელი გახდა

ჩვენი უძველესი ისტორიის ახლებური გააზრება, რაზედაც ივანე ჯავახიშვილი, 1930 წლიდან მოკიდებული, ინტენსიურად მუშაობდა. მისეული ახალი აზრები გადმოცემულია წიგნში „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები", რომელიც „ქართველი ერის ისტორიის შესავლის" სახით 1950 წელს გამოქვეყნდა[1]. იგი აღნიშნავდა: „მაგრამ მას შემდეგ რაც ბედრიხ ჰროძნიმ 1917 წელს შესძლო დაემტკიცებინა, რომ ხეთური ლურსმული დოკუმენტების ენა ინდოევროპულია და მისმა ამ აღმოჩენამ მალე მხარდაჭერა ჰპოვა სხვა კუნეოლოგების (ლურსმული დამწერლობის სპეციალისტები, გ. ყ.) მხრივაც, როცა ხეთების კვალდაკვალ მუშქებიც თაბალებთან ერთად დასავლეთევროპული ბურჟუაზიული მეცნიერების მიერ ინდოევროპული ტომებისადმი იქნენ მიკუთვნებული, გაჰქრა ყველაფერი, რასაც ეფუძნებოდა უძველესი ეპოქის საქართველოს ისტორიის აგება"[2].

ივანე ჯავახიშვილმა ინტენსიურად შეისწავლა ბერძნული ეპიგრაფიკული წარწერები, რომლებიც ჩრდილო შავიზღვისპირეთის ქალაქებში აღმოაჩინეს და დაასკვნა, რომ უმეტესობა ამ წარწერებისა ჩრდილოელ კავკასიელ სარმატებს ეკუთვნოდათ, რომლებიც ძირითადად ადგილობრივი კავკასიური წარმომავლობისანი იყვნენ. მსგავსი დასკვნა გამეორებულ იქნა ენათმეცნიერული და ფოლკლორისტიკული გზებითაც. აქედან გამომდინარე, რაკი ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით ქართველებსა და ჩრდილოკავკასიელ ხალხებს ენათა მსგავსება და ამდენად, ერთიანი წარმომავლობა აკავშირებდათ, ქართველები არ შეიძლებოდა საქართველოში ჩრდილოეთიდან მოსულიყვნენ. მეტიც, მის მიხედვით ჩრდილოკავკასიური მოდგმის ხალხები უწინ უფრო სამხრეთით, დღევანდელ საქართველოში ცხოვრობდნენ, რასაც ასაბუთებდა ტოპონიმიკური მასალით.

ამგვარ დასკვნას მოსდევდა ჰიპოთეზა მათი მოსულობის თაობაზე უფრო სამხრეთიდან. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ამრიგად, უნდა ვაღიაროთ, რომ მონათესავე ქართველი, ქართველური და სკვითურ-

---

[1] წიგნის ძირითადი დასკვნები ივანე ჯავახიშვილმა მოახსენა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და ფილოლოგიის განყოფილების სხდომაზე 1939 წლის მაისში, ხოლო მოხსენება დაიბეჭდა რუსულად ჟურნალ «Вестник древней истории»-ს ამავე წლის მეოთხე ნომერში.

[2] იხ. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, გვ. 227.

სარმატული ტომები სინამდვილეში თავიანთ ისტორიულ სამშობლოში მხოლოდ სამხრეთიდან უნდა მოხვედრილიყვნენ. ამიტომაც „ოუბალ-თაბალები და მოსოხ-მუშქები არ შეიძლებოდა ინდოევროპელები ყოფილიყვნენ“[1]. დაბოლოს, იგი დასძენდა: „თავის მოხსენებაში მე მინდოდა მეჩვენებინა, რომ მცირე მონაცემი როდია რათა ვაღიაროთ, რომ დასკვნები, რომლებიც საბოლოოდ დადგენილია უკანასკნელ ათწლეულებში დასავლეთევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში, სულაც არაა ისეთი შეურყეველი როგორც ეს გარეგნულად ჩანს, რომ, პირიქით, არსებობს ყველა საფუძველი მისი გადასინჯვისა და გადაფასებისათვის ახალი მასალის მოზიდვისა და მეცნიერული მეთოდების უფრო მიზანშეწონილი გამოყენების გზით“[2].

როგორც ვხედავთ, ივანე ჯავახიშვილი კვლავ მტკიცედ დადგა მიგრაციების თეორიის პოზიციაზე. კერძოდ, მიაჩნდა, რომ ქართველობა (ქართველი ხალხები) ჩვენს დღევანდელ ტერიტორიაზე სამხრეთიდან მოვიდნენ, რომ მანამდე აქ ანთროპოლოგიურადაც სხვანაირი მოდგმა (დოლიხოკეფალები) ცხოვრობდა. ამ მტკიცებითაც იგი მკვეთრად დაუპირისპირდა საბჭოთა კავშირში იმხანად გაბატონებულ მარისტულ კონცეფციას. შეგახსენებთ, რომ ნიკო მარმა სასტიკად გაილაშქრა მიგრაციონიზმის თვალსაზრისის წინააღმდეგ, გამოაცხადა რა იგი... ანტიმარქსისტულად. მარქსიზმი აღნიშნული საკითხის გაგებაში თითქოს იმაში მდგომარეობდა, რომ გვემტკიცებინა ყველა ხალხის იმთავითვე ავტოქთონობა.

ჩვენი დიდი ისტორიკოსი არც მეორე დაბრკოლებას მორიდებია, რომლის მიხედვითაც ხალხის ოდინდელი ავტოქთონობა-აბორიგენობა ფართო მასის თვალთახედვით კარგ პატრიოტულ ტონად იქცა, რაც, როგორც ჩანს, ჩვენში დღევანდლამდე გრძელდება და ამით ისიც წარმოჩინდება, რომ ჩვენს წინაპრებს (ისინი ხომ მიგრაციების გზით იაზრებდნენ ჩვენს ძველ წარსულს) ამ თვალსაზრისითაც ჩამოერჩებით.

საინტერესოა თუ როგორ გაიაზრა ქართველთა ავტოქთონობის საკითხი სიმონ ჯანაშიამ. მისი შეხედულებით ქართველობა (ქართველური მოდგმა) შედიოდა ხეთურ-იბერული გვარტომობის ხალხთა წრე-

---

[1] ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, გვ. 250.

[2] იქვე, გვ. 252.

ში, რომელშიც შედიოდნენ აგრეთვე ბასკები, ეტრუსკები, პელაზგები და სუმერები (შუმერები). ქართველთა წინაპრები გახლდნენ აგრეთვე ხეთები (ალბათ პროტოხეთებს გულისხმობდა) და სუბარები (მიანის მოსახლეობა). ამდენად, გამოდიოდა, რომ ჩვენი მოდგმის ხალხები უზარმაზარ ტერიტორიებზე იყვნენ განფენილნი. მაგრამ კითხვა ისმის: როგორ, რომელი ცენტრიდან უნდა მომხდარიყო „ხეთურ-იბერული გვარტომობის“ ხალხების გადასახლება? სამწუხაროდ, სიმონ ჯანაშია ამგვარ კითხვას არ სვამდა და მითუმეტეს მასზე პასუხს არ იძლეოდა. ჩანს, ივი, ნიკო მარის ზეგავლენით, არ იზიარებდა მიგრაციების თვალსაზრისს. ისტორიკოსის შეხედულებით, ხდებოდა კულტურული ცენტრების გადანაცვლება, კერძოდ, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ბრინჯაოს ხანაში, სიმონ ჯანაშიას თანახმად, საქართველოში უკვე არსებობდა ორი დიდი გაერთიანება, „კულტურული წრე“ — დასავლური, რომელიც ჭოროხის ხეობასაც მოიცავდა და აღმოსავლური, ალაზნის გაღმამხარ-ჰერეთ-სევანისპირეთითურთ (სამხრეთით არაქსამდე). მაგრამ, ვიმეორებთ, მეცნიერების ლოგიკიდან თუ ამოვალთ, სიმონ ჯანაშიასეული მოსაზრება დიდი გაურკვევლობის შემცველია, რადგან გულისხმობს მონათესავე ხალხების დიდ ტერიტორიებზე განფენილობას და არ ითვალისწინებს თუ სახელდობრ როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი (განფენისა).

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაიმარჯვა ქართველთა ავტოქთონობის იდეამ, რაშიც გადამწყვეტი სიტყვა თქვა რუსმა არქეოლოგოსმა (საქართველოში მოღვაწემ) ბორის კუფტინმა[1], რომელმაც ჩვენს ტერიტორიაზე წინა საფეხურების: შუა ბრინჯაოს, ადრებრინჯაოსა და ენეოლითის პერიოდების შესწავლით დაასკვნა კულტურის უწყვეტობა და ამით ქართველთა აბორიგენობა-ავტოქთონობა. ეს დასკვნა აიტაცეს ქართველმა არქეოლოგოსებმა. ამისათვის მათ თითქოს მყარი საფუძველი ჰქონდათ — არქეოლოგიური საფეხურების მონაცვლეობა, მაგრამ რამდენი მაგალითის მოტანა შეიძლება იმის დასამტკიცებლად, რომ არქეოლოგიური კულტურების თანამიმდევრობის მიუხედავად მიგრაციებს აშკარად ჰქონდათ ადგილი (ყველაზე შთამბეჭდავია ამ მხრივ დასავლეთ ევროპის ისტორიის მაგალითი). გარდა ამისა, ვფიქ-

---

[1] იხ. «К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии», საქართველოს მუზეუმის მოამბე XII, 1944; ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, თბილისი, 1949 და სხვ.

რობთ, რომ ქართველ არქეოლოგოსებს გულუბრყვილოდ გაგებული პატრიოტული მოსაზრებაც განუმტკიცებდა აღნიშნულ თვალსაზრისს. სხვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ბორის კუფტინისათვის მისეული მტკიცების ერთ-ერთი ამოსავალი გახლდათ ნიკო მარის თვალსაზრისი ხალხების იმთავითვე ავტოქთონობა-აბორიგენობის თაობაზე.

მაგრამ კვლავინდებურად ნუ ვიქნებით ილუზიებით შეპყრობილნი და ნუ გვგონია, რომ ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემა უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილი გვაქვს. სინამდვილეში აღნიშნული საკითხი ბევრად უფრო რთული გადასაწყვეტია და გარდა არქეოლოგიური მასალისა საჭიროა აგრეთვე ენობრივი, ანთროპოლოგიური და სხვა სახის მასალების მოხმობაც, ასევე ცხადია, აუცილებელია სათანადო მეთოდების გამოყენება, თეორიული აზროვნება. აბა წარმოიდგინოთ, ვთქვათ,!პირველყოფილი ადამიანის რამოდენიმე ჯოგი (Homo sapiens-ის ჩამოყალიბებამდე) საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ჯერ კიდევ ქვედა პალეოლითის ხანაში ერთ ენაზე — კერძოდ, წინარექართველურზე (წინარექართულზე, წინარემეგრულ-ჭანურზე და წინარესვანურზე) ლაპარაკობდა და ეს წინარე ქართველური არსებობდა მრავალი ათეული ათასი წლის განმავლობაში!

კაცს ისტორიოგრაფიაზე და კერძოდ, ეთნოლოგიაზე არავითარი წარმოდგენა არ უნდა ჰქონდეს, რომ ამ ხანაში, თუნდაც ზედა პალეოლითში (როდესაც Homo sapiens წარმოიშვა) და შემდეგაც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მხოლოდ წინარე-ქართველურ ენაზე მოლაპარაკე ეთნოსის არსებობა დაუშვას. მაგრამ პარადოქსია, რომ ქართველი არქეოლოგოსები კვლავაც აგრძელებენ ბორის კუფტინისული თვალსაზრისის ტყვეობაში ყოფნას[1]...

არქეოლოგოსთა თვალსაზრისის შეუსაბამობა ისტორიულ სინამდვილესთან ოდენ არქეოლოგიური ფაქტებით ოპერირების სისუსტე, კარგად გამოჩნდა გიორგი მელიქიშვილის წიგნით „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის“, რომელიც 1965 წელს გამოქვეყნდა. ავტორი შეე-

---

[1] მათგან განსხვავებით არნოლდ ჩიქობავა კვლავ მიგრაციების პოზიციიდან უდგებოდა საკითხს. იგი წერდა: „ისტორიული ვითრება კი არ უჭერს მხარს იბერიულ-კავკასიურ ენათა ენდოგენურობას. იბერიულ-კავკასიური ენები „იმთავითვე“ კავკასიაში არ ყოფილა გავრცელებული, აქ ეს ენები გარკვეული დროიდან გვაქვს“. იხ. მისი „იბერიული-კავკასიური ენათა შესწავლის ისტორია“, თბილისი, 1965, გვ. 3.

ცადა ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემას ენათმეცნიერების პოზიციიდანაც შეხებოდა. ერთი მხრივ რუსი ენათმეცნიერის გიორგი კლიმოვის დაკვირვებიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც საერთო ქართველურ ენაში ასახული ფაუნა და ფლორა (არჩვი, დათვი, კვერნა, თხა, ვაცი, ორბი (—არწივი), მელა და სხვ; ანწლი, ბრყენ (-პანტა), გვიმრა, ვაშლი, ვერხვი, მარწყვი, მსხალი, ზღმარტლი, სოკო, ქრცხამლი (-რცხილა), ქაცვი, ძეწნა, წიფელი, წყავი და სხვ.) „კარგად ეგუება (თუ ესადაგება? გ. ყ.) კავკასიის მიწა-წყალს, უფრო მეტად მის მთიან ზოლს. ამიტომაც ამ დროისათვის მაინც (!)ქართველური ჯგუფის ადგილსამყოფელი თამამად შეიძლება კავკასიისავე მიწა-წყალზე ვივარაუდოთ“.[1] ჯერ ერთი, გაუგებარია თუ მსგავსი ფაუნა და ფლორა რატომ მაინცდამაინც კავკასიის ტერიტორიასთან უნდა იქნეს დაკავშირებული და არა უფრო სამხრეთით მდებარე ტერიტორიებთან, ვთქვათ, ჭოროხის აუზთან ან მისგან აღმოსავლეთით მდებარე მხარესთან. და მეორე, ავტორი ქართველთა (ფართო აზრით) დასახლებას საქართველოში მხოლოდ ძვ. წ. III და II ათასწლეულების მიჯნას უკავშირებს (მაშინ რა შუაშია აქ ფაუნისა და ფლორის მონაცემები?).

გიორგი მელიქიშვილის დასკვნით: „ამრიგად, ქართველურ ეთნიკურ ჯგუფს, როგორც ირკვევა, ძვ. წ. III—II ათასწლეულთა მიჯნაზე მაინც უკვე ჰქონდა საკუთარი სახე. უკვე ამ დროს უნდა არსებულიყო ქართველურ ენათა ფუძე-ენა, რომლის წიაღში მხოლოდ დიალექტური მასშტაბის განსხვავებანი თუ იყო ჩასახული“.[2] თუ არქეოლოგიური ფაქტებიდან ამოვალთ, მაშინ ამას ადგილი უნდა ჰქონოდა ადრეული ბრინჯაოს გვიან ხანაში, მაშინ რა ხდებოდა უფრო ადრეულ ხანაში, კიდევ უფრო უწინ ენეოლითში, ნეოლითში და ა. შ.?

გამოდის რა ე. წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდიდან და გიორგი კლიმოვის დასკვნიდან, წინარექართველურიდან სვანურის გამოყოფას გ. მელიქიშვილი, როგორც სხვები, უკავშირებს ძვ. წ. XVIII საუკუნეს, ხოლო ქართულ-ზანური საერთო ენის ორ ენად დაშლის

---

[1] გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის..., გვ. 71. უცნაურია, რომ „ზვავისა“ და „მარწყვის“ ლექსიკური ფაქტებით გ. კლიმოვი და გ. მელიქიშვილი ქართველთა უძველეს ადგილსამყოფელად კავკასიონის მთავარი ქედის ზონასაც ვარაუდობენ.

[2] დასახ. წიგნი, იხ. გვ. 71.

დასაწყისს — ძვ. წ. VIII საუკუნეს. მისი აღიარებით: „მაგრამ თუ ჩვენ ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დაშლა ძვ. წ. VIII საუკუნეზე ადრე არ უნდა ვივარაუდოთ (ეს ისტორიულადაც საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება, უკავშირდება ამ მხარეში მომხდარ დიდ ძვრებს), აშკარაა, რომ ძვ. წ. II—I ათასწლეულთა მიჯნაზე არსებული „კოლხეთის სამეფო" არ შეიძლება ზანური გაერთიანება ყოფილიყო. იგი, ზემონათქვამის შუქზე, საჭიროა განვიხილოთ როგორც ქართულ-ზანური მოსახლეობის გაერთიანება"[1]. როგორც ავტორი ამტკიცებს: „ასევე ამ, ჯერ კიდევ სუსტად დიფერენცირებული, ქართული ეთნიკური ჯგუფის კულტურა უნდა ყოფილიყო ე. წ. „კოლხური კულტურა", რომელიც ისტორიული კოლხეთის მიწა-წყალს მოიცავდა ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში და I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში""[2]. გეოგრაფიული თვალსაზრისით კი ქართულ-ზანური ერთობის უმთავრესი ცენტრი გახლდათ ჭოროხის აუზი.

ყოველივე ამის მტკიცებას რაღაც საფუძველი უთუოდ აქვს, მაგრამ მაშინ უნდა დავუშვათ, რომ თანამედროვე დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილში აფსაზურ-ადიღეური მოდგმის მოსახლეობა ცხოვრობდა (ავტორი ამას პირდაპირ აღიარებს, რუსი არქეოლოგოსის ლ. ნ. სოლოვიოვის თვალსაზრისზე დაყრდნობით), მით უმეტეს აღმოსავლეთ საქართველოში არა ქართების, არამედ ნახურ-დაღისტნური მოდგმის ხალხების ცხოვრებაა საგულვებელი. ამგვარ დასკვნას მხოლოდ დედუქციის გზით როდი ვაკეთებთ; გიორგი მელიქიშვილი აღნიშნულ ნაშრომში პირდაპირ მიუთითებს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ეთნოსი ინდოევროპული წარმოშობისა იყო[3], ხოლო თრიალეთის კულტურისა—ხურიტები[4], შესაძლოა კლარჯები იყვნენ პროტეხეთური წარმოშობისა[5] და ა. შ.

მაგრამ ამ მიმართულებით მსჯელობა ძალიან გაგვიგრძელდა. მთავარია, რომ გიორგი მელიქიშვილის მსჯელობანი ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხზე საფუძვლიანად არღვევს ბორის კუფტინი-

---

[1] გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის..., გვ. 72.

[2] იქვე, გვ. 72—73, 102.

[3] იქვე, გვ. 244, 246.

[4] იქვე, გვ. 195.

[5] იქვე, გვ. 186.

სეულ თვალსაზრისს საქართველოში ჩვენი იმთავითვე ავტოქთონობის თაობაზე. სხვა ამბავია, რომ თავის ახლებურ თვალსაზრისს იგი ფარავს, ნიღბავს ძველი მოსაზრებისათვის სარკის გადახდით. ასევე გვიან გამოსულ ნაშრომებში იგი მკითხველებს ილუზიას უქმნის, თითქოს ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხში უკვე დამკვიდრებულ აზრს იზიარებს...

დიდად საგულისხმოა გიორგი მელიქიშვილისეული აზრი: „ნათქვამის საფუძველზე შეიძლება გაჩნდეს ცთუნება ძველაღმოსავლურ ხანაში — ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში — თანამედროვე კავკასიელი ტომების ადგილსამყოფელად მივიჩნიოთ ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარე მხარე, სამხრეთ აზერბაიჯანიდან მოკიდებული ვიდრე მცირე აზიის აღმოსავლეთ რაიონებამდე და ვივარაუდოთ აქედან მათი შემდგომი გადმოსახლება კავკასიის მიწა-წყალზე. როგორც ვიცით, ასე წყვეტდა ამ საკითხს ივ. ჯავახიშვილი“[1]. თუმცა ავტორი არ იზიარებს ცალკე იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის არსებობას; მაგრამ აღიარებს ჩრდილო-კავკასიელი ხალხების უწინ სამხრეთში ცხოვრებას და იქიდან გადმოსახლების ივანე ჯავახიშვილისეულ იდეას, კერძოდ, ქართველური ხალხების გვიან მოსულობას ჩვენს ტერიტორიაზე. (სხვათა შორის, საინტერესოა უკვე ივანე ჯავახიშვილის ცნობილი წიგნისა და გიორგი მელიქიშვილის აქ დამოწმებული ნაშრომის სათაურების დამთხვევა).

დაბოლოს, კიდევ ერთხელ დავსძენთ, რომ ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემა ფრიად სერიოზული გახლავთ და იგი ახლებურ გაა-

---

[1] საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის... გვ. 101. წიგნის წინა გვერდზე ვკითხულობთ: „სამხრეთის რაიონებთან კონტაქტი ძვ. წ. II—I ათასწლეულების მასალების მიხედვით უჩანთ აგრეთვე სხვა კავკასიელი ტომების — აფხაზურ-ადიღეური და ჩაჩნურ-დაღესტნური ჯგუფის წარმომადგენლებს. ხეთური, ასურული და ურარტული წყაროები მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ზოგ ისეთ სატომო სახელწოდებას იხსენიებენ, რომლებიც პარალელს ჰპოვებენ სწორედ ჩრდილო-აღმოსავლურ კავკასიურ (ვეინახურ) ეთნონიმიკაში (ფახოვა-ფხოვ, წოფ(ანი) (წოფქ-სოფენე)-წოვ, დუალი-დვალი), ხოლო სევანის ტბის მიდამოებსა და სამხრეთ აზერბაიჯანში ურარტული მასალების მიხედვით თავს იჩენს დაღესტნური ტიპის ტოპონიმიკა“.

ზრებას საჭიროებს. ამ თვალსაზრისით თავის საფუძვლიანობას ინარჩუნებს ივანე ჯავახიშვილის შესაბამისი შეხედულებანი. არ არის გამორიცხული მათი აღორძინება ახალ — ფართო საფუძველზე (ახალი ფაქტების გათვალისწინებით).

2. ივანე ჯავახიშვილი და იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის იდეა

ჩვენი ერის ისტორიის შესასწავლად ენის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე. შემდგომ ეს იდეა გააღრმავა და განავითარა ივანე ჯავახიშვილმა. მის მიხედვით, მით უმეტეს უძველესი ისტორიის შესწავლის საქმეში, როცა წერილობითი წყაროები არ არსებობს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ არქეოლოგიას, ენას (შესაბამისად ენათმეცნიერებას) და მითოლოგიას. „ქართველი ერის ისტორიის" პირველი წიგნის პირველ გამოცემაში (1908) იგი წერდა: „ნივთიერ ნაშთების შემდეგ ერის პირვანდელ ყოფა-ცხოვრებისა და მის თანდათან განვითარების შესახებ ყველაზე უფრო მეტს ცნობებს ადამიანის ენა და ის მეცნიერება გვაძლევს, რომელიც მას იკვლევს; იმიტომ რომ ენას, რაც უნდა განვითარებული და წარმატებული იყოს იგი, ყველთვის ისეთი სიტყვები და ანდაზებიც ბლომად შერჩება ხოლმე, რომელიც ეროვნების ცხოვრების უძველესს, თავდაპირველ ხანას ეკუთვნის და მაშინდელ საზოგადოებრივ ვითარებასა და აზროვნობას გვიხატავს"[1]. კერძოდ, ტოპონიმიის შესწავლით შესაძლებელი ხდება თვალი გავადევნოთ ხალხის თავდაპირველ საცხოვრისს, მის თანდათანობით მოძრაობასა და გადასახლების პროცესს; სხვა ხალხთაგან ნასესხები სიტყვების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ რომელ ხალხთან ჰქონია ამა თუ იმ ხალხს ურთიერთობანი, ვის და რაგვარი გავლენა მოუხდენია მასზე, ხოლო სიტყვათა მნიშვნელობის გარკვევა ხალხის კულტურის წარმატებასა და განვითარებას გვიდასტურებს[2].

---

[1] იხ. დასახ. წიგნი, გვ. 5. ამავე წელს ივანე ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა სტატია «Обзор теорий и литературы о происхождении грузинского языка», Журнал Министерства Народного Просвещения, № 8.

[2] იქვე.

ივანე ჯავახიშვილი უფრო შორსაც მიდიოდა. მისი შეხედულებით, აუცილებელია დადგინდეს ამა თუ იმ ხალხის ენობრივი (და ნაწილობრივ ანთროპოლოგიური) ნათესაობა სხვა ხალხებთან. აღნიშნული პრობლემის სერიოზული დამუშავება იმ ხანის საქართველოში, ცხადია, კადრების უქონლობის გამოისობით, გამოირიცხებოდა და ეს ხდებოდა დასავლეთევროპულ და რუსულ მეცნიერებაში. მაგრამ ნამდვილად მეცნიერულ დონეზე პრობლემის კვლევა-ძიება, ივანე ჯავახიშვილის აზრით, აქაც ვერ ხერხდებოდა. ჩამოთვლიდა რა პრობლემის მკვლევრებს, ისინი „ქართულსა და „კავკასიურ" ენებს ერთი ერთმანეთში დომხალივითა რევენ და თავიანთ აზრის დასამტკიცებლად ერთი მაგალითი ქართულიდან მოჰყავთ, მეორე ჩაჩნურიდან, მესამე ავარიულიდან, მეოთხე ჩერქეზულიდან და სხვა; ამგვარად თავიანთ შექმნილ ენას „კავკასიურს" ეძახიან"[1]. ასე რომ, საკითხის მეცნიერული გააზრება ქართულის, მეგრულ-ჭანურისა და სვანურის დადგენის იქით ვერ წავიდა. ამის გარეშე კი, ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, ქართველი ერის ისტორია სათანადოდ ვერ დამუშავდებოდა. ვთქვათ, რომელიმე ინდოევროპული ხალხის ისტორიის დამწერისათვის ნათელია თუ ენათა რომელ ოჯახს ეკუთვნის მაგალითად, გერმანელი ან ესპანელი ერი, ამდენად, რომელ ხალხთა (ენათა) გარემოცვაში უხდებოდათ მათ ყოფნა დიდი ხნის განმავლობაში; თუმცა მისთვის (ისტორიკოსისათვის) დღემდე გაურკვეველია ხალხთა ამ მოდგმის წინარე სამშობლო და კულტურა. ქართველი ისტორიკოსი კი უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა; მან საერთოდ არ იცოდა, თუ ენათა რომელ ოჯახს მიეკუთვნებოდა ქართული. ან უნდა მტკიცედ დადგენილიყო, რომ ენათა ნათესაობა ქართველურ ეთნიკურ ჯგუფს (ქართებს, მეგრულ-ჭანებსა და სვანებს) იქით არ მიდიოდა, ანდა უნდა დადგენილიყო წრე შესაბამისი ენებისა და ხალხებისა. ამ რთულ გზაზე წარმატების მიღწევა, ცხადია, ძნელი გახლდათ და ჯერჯერობით ჰიპოთეზის დონეზე თუ შეიძლებოდა აზრის განვითარება.

როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა: „მართალია, წინადაც თქმულა და ეხლაც ბევრი საბუთები მოიპოვება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ზოგიერთს ენებს (მაგ. აბხაზურს, ჩერქეზულს, დიდოურს)

---

[1] ქართველი ერის ისტორია, გვ. 14—15.

ქართულთან ნათესაობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამ აზრს ჯერ კიდევ მეცნიერულად დამტკიცება უნდა და მხოლოდ შემდეგ იქნება შესაძლებელი, რომ მეცნიერებამ თეორიულად ერთი თავდაპირველი ენა აღადგინოს, მხოლოდ მაშინ შეიძლება „კავკასიურ"-ზე ლაპარაკი"[1]. ამავე წიგნში სხვა ადგილას ვკითხულობთ, რომ ქართველთა სამი შტოს გარდა „ვგონებ, აფხაზურიცა, ჩერქეზულიცა და დიდოურიც, იქნებ ზოგიერთი სხვა კავკასიის ენებიც, ქართული ენის მონათესავედ უნდა ჩაითვალოს და ცალკე მეოთხე შტოს უნდა შეადგენდეს, მაგრამ ჯერჯერობით ეს საკითხი საკმაოდ გამორკვეული არ არის"[2].

აღნიშნულ პერიოდში და შემდგომაც ნიკო მარი გატაცებული იყო იდეით, რომ დაემტკიცებინა ქართველური ენების ნათესაობა სემიტურთან (ანდა სემიტურ—ქამიტურთან). ამაში ჯერჯერობით მასთან სოლიდარული იყო ივანე ჯავახიშვილიც. ამ მცდელობის შემდგომ, როგორც ცნობილია, ნიკო მარი შეჩერდა ჩვენი და „კავკასიური" ენების იაფეტურობაზე. აღნიშნულ საკითხშიც ივანე ჯავახიშვილი კვლავ ემხრობოდა თავის მასწავლებელს, მაგრამ როდესაც იაფეტური სტადია ნიკო მარის მიერ საყოველთაო ხასიათისად იქნა გამოცხადებული, საიდანაც თითქოს სემიტური და შემდეგ ინდოევროპული ენები განვითარდა, ივანე ჯავახიშვილი უყოყმანოდ გაემიჯნა მარისეულ ამ „ახალ თეორიას".

მალე ახალი პერსპექტივა (სამეცნიერო) დაისახა. ცნობილი ფაქტია, რომ რუს მოხელესა (წარმოშობით გერმანელს) და ფართო თვალსაწიერის მქონე მეცნიერს პეტრე უსლარს (1816—1875) კავკასიაში ყოფნის დროს გაუჩნდა აზრი დაეწერა ამ რეგიონის ისტორია უძველესი პერიოდიდან მოყოლებული. რაკი დასაწყისი ხანისათვის წერილობითი წყაროები არ არსებობდა, სანდო ცნობების მოპოვება უსლარს აქ მცხოვრებ ხალხთა ენების შესწავლით სურდა. აქედან გამომდინარე, დასახული ამოცანის გადაწყვეტის წინაპირობად ენათმეცნიერული კვლევა-ძიება იქნა მიჩნეული. თბილისში 1851 წელს დაარსებული გეოგრაფიული საზოგადოების გავლენიანი წევრებისა და თანამგრძნობთა დახმარებით (თვითონ უსლარი აღნიშნული საზოგადოების აქტიური წევრი გახლდათ. სხვათა შორის, 1868 წელს

---

[1] ქართველი ერის ისტორია, გვ. 15.

[2] იქვე, გვ. 19.

იგი აირჩიეს პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრადაც) და კავკასიის ჯარის მთავარსარდლის შუამდგომლობით 1858 წელს იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბრძანებულებით პეტრე უსლარს დაევალა კავკასიის ისტორიის დაწერა.

ყოველივე ზემოთქმულის თაობაზე ივანე ჯავახიშვილი დასძენდა: „რა თქმა უნდა, იმ დროს ისეთი ფართო მიზნისა და გეგმის განხორციელება, როგორც უსლარს ჰქონდა დასახული, მხოლოდ გატაცებული ადამიანის გულუბრყვილო ოცნება იყო, მაგრამ ამ გატაცებამა და აღფრთოვანებულმა მუშაობამ უსლარს ის შეაძლებინა, რაც ერთ ადამიანს კავკასიის შესასწავლად, არც მანამდე და არც მას შემდგომ, მის გარდა, არავის გაუკეთებია“[1].

აღნიშნული ბრძანებულებიდან ექვსი წლის გასვლის შემდგომ პ. უსლარი დაასკვნიდა, ასლა უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ძველი სამყაროს ენათა დიდ ოჯახებს — ინდოევროპულს, სემიტურს, ქუშიტურს (კოპტურ-ეთიოპურს) და ურალ-ალთაურს, კიდევ ერთი, სრულიად დამოუკიდებელი, კავკასიურ ენათა ოჯახი უნდა დაემატოს, რადგან, დიდი მრავალსახეობისდა მიუხედავად, ყველა ამ ენას ნათესაობის ღრმა ნიშან-თვისებები ემჩნევაო. ქართული, პ. უსლარის აღიარებით, როგორც ჩანს, კავკასიური ენაა და თანაც მთელი ამ ოჯახის ენათაგან ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავიაო. ამიტომ უსლარს სურდა კავკასიური ენების თავისი გრამატიკული კვლევა-ძიება ქართული ენის შესწავლით დაემთავრებინა, რაც, სამწუხაროდ, არ დასცალდა. ივანე ჯავახიშვილი სინანულით აღნიშნავდა, რომ პეტრე უსლარის „თავგამოდებული მუშაობის მიმბაძველი და მისგან დაწყებული დიდი საქმის, კავკასიის ენების მონოგრაფიული შესწავლის გამაგრძელებელი არავინ გამოჩენილა. გასაოცარია, რომ იმ საკმაოდ მდიდარი და საფუძვლიანი ენოვანი მასალის გაღრმავებული და შედარებითი შესწავლისა და გამოკვლევის წადილიც-კი არავის აღძვრია“[2].

პ. უსლარის ფუძემდებლური იდეა გააგრძელა ივანე ჯავახიშილმა, რომელსაც პრობლემა აინტერესებდა ძირითადად როგორც ისტორიკოსს. განსაკუთრებით ინტენსიურად აღნიშნული მიმართულებით იგი

---

[1] იხ. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. X, 1992, გვ. 35.
[2] იქვე, გვ. 42—43.

მუშაობდა 1923 წლიდან მოყოლებული. ივანე ჯავახიშვილს ჩაფიქრებული ჰქონდა საკითხი გაეშუქებინა სამ მონოგრაფიაში: პირველში განხილული იქნებოდა საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, მეორეში გამორკვეული იქნებოდა ქართულ-ქართველური და ე. წ. კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების, აგებულებისა და ნათესაობის საკითხი, ხოლო მესამე წიგნში — ქართველთა და კავკასიელთა უძველესი ხანის კულტურული ვითარებისა და ისტორიის ზოგადი მონახაზი ენისა, ზნე-ჩვეულებების ანალიზისა და ნივთიერი კულტურის არქეოლოგიური ძეგლების მარაგის მიხედვით.

ჩაფიქრებული სამი წიგნიდან, რომლებიც ერთიანობაში საქართველოს ისტორიის შესავალი უნდა ყოფილიყო, ჯერ, ივანე ჯავახიშვილის სიცოცხლეში, 1937 წელს, გამოვიდა „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა", რომელიც ჩანაფიქრის მიხედვით რიგით მეორე უნდა ყოფილიყო, ხოლო 1950 წელს გამოქვეყნდა „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები", სადაც განხილულია დანარჩენი საკითხები, რომლებიც, ვიმეორებთ, ავტორის გეგმით ორ წიგნად უნდა გამოსულიყო.

თვითონ ივანე ჯავახიშვილისავე აღიარებით ყველაზე რთული გახლდათ „კავკასიური" ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის პრობლემის გარკვევა. იგი აღნიშნავდა: „ამ სამი წიგნისათვის დასახული მიზანი „ქართველი ერის ისტორიის" მესამე, შევსებულ გამოცემაზე მუშაობამ წარმოშვა, რათგან ჩემთვის ცხადი შეიქმნა, რომ მარტო არსებული ეთნოლოგიური და ენათმეცნიერული წყაროების გამოყენებითა და მხოლოდ ქართულ-ქართველური ენოვანი მასალის ანალიზით ქართველთა სადაურობისა და უძველესი კულტურის საკითხების გამორკვევა და გადაჭრა შეუძლებელია. ამისათვის ე. წ. კავკასიური ერებისა და ენების ეთნოგრაფიული და ლინგვისტიკური მასალების გამოყენება მაინც აუცილებლად საჭიროა. ესოდენ ფართოდ შემოფარგლულ არეზე დამყარებული და ამდენად რთული ამოცანების დამსახველი გამოკვლევა, ცხადია, „ქართველი ერის ისტორიის" I წიგნში ვეღარ დაეტეოდა და ამიტომ ცალკეულ წიგნად,

ანდა წიგნებადაც-კი უნდა გამოყოფილიყო"[1]. აშკარაა, რომ ივანე ჯავახიშვილმა ვერ მოასწრო ჩანაფიქრის აღსრულება, რის გამოც ორი წიგნის შინაარსი ერთში იქნა გადმოცემული.

ამრიგად იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის იდეა ჰიპოთეზის სახით ჯერ კიდევ პეტრე უსლარის შემოქმედებაში ჩაისახა და იგი გაღრმავდა სხვათა მიერაც, განსაკუთრებით ივანე ჯავახიშვილის ხსენებულ მონოგრაფიაში. მის შესავალში ვკითხულობთ: „კვლევა-ძიების დაწინაურებასთან ერთად თანდათან ირკვეოდა, რომ თავდაპირველად ქართველური და ე. წ. კავკასიური ენები ერთი და იმავე ბუნებისა და უმჯიდროესად მონათესავე ენები ყოფილა და რომ მხოლოდ შემდეგში, სხვადასხვა მიზეზის გამო დროთა განმავლობაში დაჰშორებიან ერთმანეთს და სამ-ხუთ დიდ მთავარ ენათა ჯგუფად ქცეულან"[2]. აზრის ლოგიკური გაგრძელება ასეა გადმოცემული: „ქართველური და შარომატული (სარმატული), ანუ ჩრდილო-კავკასიური ენების თავდაპირველი აგებულების მთავარი დამახასიათებელი თვისებების გამორკვევის შემდგომ, მათი ლექსიკური საგანძურის ამავე მეთოდებით წარმოებულმა ცალ-ცალკეულმა და შედარებითმა შესწავლამაც დამარწმუნა, რომ ამ გზით შესაძლებელია მეცნიერებას ამ ტომებისა და ერების უძველესი ხანის ნივთიერი კულტურისა და მსოფლმხედველობის სხვადასხვა მხარე გადაეშალოს თვალ წინ და არა ერთხელ სრულებით ახალი და ფრიად საგულისხმო ფაქტებიც შეეძინოს. ფართო და მიმზიდველი პერსპექტივები ისახებოდა"[3].

დღესდღეობით აღნიშნული იდეა ბევრთაგან ოდენ ჰიპოთეზად ითვლება, ყოველ შემთხვევაში იგი ვერ დამკვიდრდა თეორიის დონეზე[4]. ეს საინტერესო საკითხია და მეცნიერებათმცოდნეობა (განსა-

---

[1] იხ. „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების"... წინასიტყვაობა, გვ. XI; აგრეთვე „ქართველი ერის ისტორიის" პირველი წიგნის მესამე, 1928 წლის გამოცემის წინასიტყვაობა.

[2] დასახ. წიგნი, გვ. XIII.

[3] იქვე. ივანე ჯავახიშვილის ტერმინოლოგიით, რომელიც თავის მხრივ ანტიკურ ტრადიციას ეფუძნებოდა, „სინდურით" აღინიშნებოდა აფხაზურ-ადიღეური ენები, „ღილღურით" — ნახური, „ლეგურით" („ლეგურ-ალბანურით") კი — დაღისტნური. გამაერთიანებელ ტერმინად კი იგი ხმარობდა „ქართულ — შარომატულს".

[4] საყურადღებოა რომ რუსეთში და, ჩანს, საქართველოშიც ფეხი მოიკიდა ვ. მ. ილიჩ-სვიტიჩისა და ა. ბ. დოლგოპოლსკის „თეორიამ" ე. წ. ნოსტრატული ენების მაკროოჯახის არსებობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ერთიანდება ინდო-

კუთრებით მეცნიერების ლოგიკა), რომელიც საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არსებობს, მით უნდა დაინტერესდეს. პეტრე უსლარის, ივანე ჯავახიშვილისა და სხვათა იდეის საწინააღმდეგოდ საბჭოთა კავშირში და სხვაგანაც განმტკიცდა რუსი ენათმეცნიერის ნიკოლოზ ტრუბეცკოის (1890—1938) აზრი. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ 1924 წელს უარყოფდა აღნიშნულ ენათა საერთო ნათესაობას და თვლიდა, რომ ჩრდილო-კავკასიური ენები ერთ ოჯახს წარმოადგენდა, სამხრეთ-კავკასიური (ქართველური) კი — მეორეს. ასე რომ, ნ. ს. ტრუბეცკოის შეხედულებით „კავკასიური ენები" თითქოს ოდენ გეოგრაფიულ მნიშვნელობისაა და არა საენათმეცნიერო, ისტორიულ-გენეზისური სასიათისა. 1928 წელს ნ. ტრუბეცკოიმ ჩრდილო-კავკასიური ენები უკვე ორ დამოუკიდებელ ოჯახში მოაქცია, ხოლო რვა წლის შემდგომ საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ენათა წარმოშობითი, გენეტიკური ნათესაობა (მათ შორის ინდოევროპული ენებისაც).[1]

არ არის გამორიცხული, რომ განსაკუთრებით რუს მეცნიერებს იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის უარყოფისას საკუთრივ მეცნიერულის გარდა იდეოლოგიური (კერძოდ, პოლიტიკური) მოტივიც მძლავრად უნდა ამოქმედებდეს. მაგრამ ფაქტია, რომ ქართულმა მეცნიერებამ (კავკასიის — და ქართველთმცოდნეობამ) დროის გამოწვევას სათანადო პასუხი ვერ გასცა. ერთი მიზეზთაგანი, რასაკვირველია, მდგომარეობს თვით საკითხის სირთულეში: ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესწავლილ უნდა იქნეს სულ მცირე ოცდათხუთმეტი ენა მაინც თავიანთი უამრავი დიალექტითურთ (როგორც ჩანს, ქართველ ენათმეცნიერთა შორის თავი იჩინა ფსიქოლოგიურმა ფაქტორმაც). მეცნიერების სიფართოვეში წასვლის აზრით კიდევ ბევრი რამის გაკეთებაა საჭირო. მაგრამ მეციერება ხომ უნდა განვითარდეს ინტენსიური გზითაც, რის აღსრულებისათვისაც საშუალო მეცნიერთაგან შემდგარი კოლექტივი უძლურია. ჯერ აღსადგენია ე. წ. იბე-

---

ევროპული, ქართველური, სემიტურ-ქამიტური, ურალური, თურქული, მოხდოლური, ტუნგუსურ-მანჯურიული და დრავიდული ენები (ცდილობენ ავრეთვე მსგავსება აღმოაჩინონ იაპონურ, ნიეხურ, იუკაგირულ, ჩუკოტკურ-კამჩატკურ და ა. შ. ენებში). თითქოს ეს მოსაზრება უფრო დამაჯერებელი იყოს იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახის იდეასთან შედარებით.

[1] ამის თაობაზე იხ. არნოლდ ჩიქობავას წიგნში „იბერიულ-კავკასიური ენათა შესწავლის ისტორია", თბილისი, 1965, გვ. 391—93.

რიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ცალკეული ჯგუფების წინარეენები, რაც დიდად გაადვილებს საერთო წინარეენის (ცხადია, არსებობის შემთხვევაში) აღდგენას. ასეთი ზეამოცანა ხელეწიფებათ გამორჩეული, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებებს, რის დეფიციტსაც როგორც ჩანს, აშკარად განიცდის თანამედროვე ქართული ენათმეცნიერება (საერთოდ ქართული მეცნიერებაც).

ივანე ჯავახიშვილი, როგორც დავინახეთ, საკითხის შესწავლას უფრო ფართო თვალსაზრისით უდგებოდა. მის მიხედვით უნდა გამოკვლეულიყო წინარეკავკასიური ერთობის საერთო კულტურაც, კერძოდ, მსოფლმხედველობაც. ამგვარი ფართო კულტუროლოგიური ხედვა კი მით უფრო გამორიცხულია დღევანდელ ქართულ მეცნიერებაში. მეტსაც ვიტყოდით, ივანე ჯავახიშვილმა სცადა ხელაღებით კი არა, არამედ არგუმენტირებულად დაემტკიცებინა (ყოველ შემთხვევაში ემტკიცებინა) სარმატების („შარომატების") კავკასიური (ჩრდილოური) წარმომავლობა, რაც უეჭველი გახლდათ ჯერ კიდევ ანტიკური გეოგრაფოსებისა და ისტორიკოსებისათვის. მკითხველი მოხიბლული რჩება ივანე ჯავახიშვილისეული არგუმენტების გონებამახვილური მიგნებითა და სიმწყობრით, მაგრამ რუსმა მეცნიერებმა ეს იდეაც ხელაღებით უარყვეს. სამწუხარო ფაქტია, რომ ქართველ მეცნიერებს (კერძოდ, ისტორიკოსებსა და არქეოლოგოსებს) დიდად არც ამჯერად გამოუდვიათ თავი. ფაქტია ისიც, რომ არა თუ ივანე ჯავახიშვილის მიერ დასახული ამოცანა არაა სათანადოდ აღსრულებული, არამედ ქართველური ერთობის კულტურაც კი ვერ იქნა გააზრებული.

მაშ ასე: იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის იდეა (ჰიპოთეზა თუ თეორია?) კვლავ გამოსარკვევი რჩება. თვითონ ივანე ჯავახიშვილის აღიარებით, „მაგრამ, თუნდაც ბედმა მიმტყუნოს და ჩემი ეს მოლოდინი მომავალში არ გამართლდეს, მაინც ვფიქრობ, რომ მხოლოდ ამ მეთოდოლოგიური გზითა და ამნაირი ენოვანი მასალის ანალიზით არის იმ მრავალსაუკუნოვანი ამოცანის გადაჭრა შესაძლებელი, რომელსაც ე. წ. კავკასიური ენების ბუნებისა და ნათესაობის საკითხი წარმოადგენს: იმედია, მომავალში მაინც, სხვები ამ პირველი ცდის ავტორზე უფრო უკეთესად და დამაჯერებლად შესძლებენ ამ პრობლემების გაშუქებას"[1]. წიგნის გამოცემის შემ-

---

[1] ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თხზულებანი, ტ. X, თბილისი, 1992, გვ. XIV.

დგომ ასლო ხანებში ავტორი ვარლამ დონდუასადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „ვნახოთ, როგორი მსჯავრი დაედება ამ ჩემს მრავალწლოვან ნაფიქრალსა და ნაშრომს, რომელიც ყველა ჩემ გამოკვლევათაგან, ყველაზე უფრო პასუხსაგებად მიმაჩნია“-ო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კითხვაზე საბოლოო პასუხს გასცემს აღორძინებული ქართული მეცნიერება, რომელიც ფართოდ გაითვალისწინებს ჩვენი დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის სათანადო წვლილს და წავა იმ რთული სამეცნიერო გზით, რითაც მიდიოდა ეს უკანასკნელი.

3. ივანე ჯავახიშვილის წვლილი ქართულ ეთნოლოგიაში

სადაო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ საერთო ისტორიული პროცესის გადმოცემა მატერიალური (ნივთიერი) კულტურისა და ყოფის გარეშე დიდად ნაკლულოვანი იქნება. აქედან გამომდინარე, ისტორიკოსები (და არ ამხოლოდ ეთნოლოგოსები და არქეოლოგოსები) დიდ ყურადღებას უნდა იჩენდნენ სინამდვილის ამ მხარეების შესწავლისა და გადმოცემისადმი. მართლაც მეოცე საუკუნის ჩვენი უდიდესი ისტორიკოსი და მამულიშვილი ივანე ჯავახიშვილი თავის ისტორიოგრაფიულ შემოქმედებაში მათ მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა. თუ მისეული აზროვნებისა და სამეცნიერო ინტერესების ფართო დიაპაზონს გავითვალისწინებთ, ცხადია, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ზემოაღნიშნული თითქოს უდაო ჭეშმარიტებას უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, დღევანდელ ქართულ მეცნიერებაში იგი, სახელდობრ ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი ქართულ ეთნოლოგიაში (ეთნოგრაფიაში) მიჩუმათებულია. სულაც არაა აქტუალური, ვთქვათ, საკითხი ივანე ჯავახიშვილის მიერ ქართულ არქეოლოგიაში შეტანილი წვლილის თაობაზე და ამაზე თავს არც გამოვიდებთ, რამეთუ ქართული არქეოლოგოსების (გიორგი ლომთათიძის, ალექსანდრე კალანდაძის, ანდრია აფაქიძის, ოთარ ლორთქიფანიძისა და სხვათა) მიერ მის შესახებ უკვე საკმაოდ ითქვა.

იგივეს ვიტყოდით ქართული სამართლის ისტორიის სპეციალისტთა მიმართაც. მაგალითად, სერგო ჯორბენაძე თავის წიგნში ივანე ჯავახიშვილის შესახებ წერდა: „ერთმა მკვლევარმა წინამორ-

ბედზე და ჩვენს თანამედროვეებზე მეტი გააკეთა ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის"[1]. ასევე იქცევიან ენათმეცნიერები და ფილოლოგოსები.

მაგრამ ქართველი ეთნოლოგოსები (ეთნოგრაფოსები) მსგავს ალიარებას ჩვეულებრივ გაურბიან ხოლმე. მაგალითისათვის დავასახელებით ალექსი რობაქიძის 1983 წლის გამოქვეყნებულ ნაშრომს „ქართული საბჭოური ეთნოგრაფიის გზები" (რუსულ ენაზე), სადაც თითქმის სავსებით იგნორირებულია ივანე ჯავახიშვილის მიერ მეცნიერების ამ დარგში შეტანილი წვლილი. და ეს მაშინ, როდესაც ავტორი ცდილობს წარმოაჩინოს ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგისა და სხვათა ღვაწლი შესაბამის სფეროში, რითაც მზადდებოდა წინაპირობა ქართული ეთნოლოგიის (ეთნოგრაფიის) მეცნიერებად გადაქცევისათვის. მის მიხედვით გამოდის, რომ თითქოს ამ პროცესში ივანე ჯავახიშვილს არაფერი წვლილი არ ჰქონდეს შეტანილი. მეტსაც ვიტყოდით, ალექსი რობაქიძეს არ გამორჩენია ავტორები, რომლებსაც ერთი ან რამდენიმე სტატია აქვთ გამოქვეყნებული ეთნოლოგიური (ეთნოგრაფიული) სინამდვილის ამა თუ იმ მხარის შესასწავლად. მაგრამ მისეულ დასახელებულ წიგნში მხოლოდ ერთგან თუ არის აღნიშნული ივანე ჯავახიშვილის დამსახურება ქართული ტანისამოსის ისტორიის შესწავლაში (იგულისხმება 1982 წელს გამოსული წიგნის „მასალები ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის", მესამე ნაკვეთი, „სამოსი, ქსოვილები, ხელსაქმე").

1993 წელს გამოსულ ქართულ ეთნოლოგიის სახელმძღვანელოში ავტორი იოსებ ჭანტურიშვილი მხოლოდ ერთგან აღნიშნავს: „ეთნოგრაფიის პრობლემების კვლევაში დიდი ღვაწლი მიუძღვით დ. ბაქრაძეს, ა. ხახანაშვილს, ნ. მარს, ი. ჯავახიშვილს"[2]. ეს არის და ეს, სხვაგან წიგნის ავტორი არსად არ განმარტავს ნიშანდობლივ (კონკრეტულად) თუ რაში გამოიხატა ივანე ჯავახიშვილისეული შესაბამისი ღვაწლი. სახელმძღვანელოს მეცხრე თავში[3] ლაპარაკია ეთნოლოგია-ეთნოგრაფიის ქართულ სკოლაზე, მის მთავარ წარმომადგენლებზე, მათ შორის იმათზეც კი, რომელთაც მაგალითად

---

[1] იხ. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, გვ. 445.
[2] იხ. დასახ. წიგნი, გვ. 179.
[3] იქვე, გვ. 178—200.

ქართული მატერიალური კულტურის ერთი რომელიმე დარგი (ვთქვათ ხალხური მეტალურგია) ჰქონდათ შესწავლილი, მაგრამ, ვიმეორებთ, ავტორს დანანებია მცირე ადგილიც კი, სადაც ივანე ჯავახიშვილის შესაბამისი ღვაწლი იქნებოდა წარმოჩენილი. ასევე წიგნის მეთერთმეტე თავში, მთელი ოცდასამი გვერდის მანძილზე, სადაც საუბარია ხევსურებსა და ხევსურეთზე, ერთხელაც კი, თუნდაც რელიგიამითოლოგიაზე თხრობისას, არაა მოხსენიებული დიდი მეცნიერის წვლილი შესაბამისი საკითხის კვლევა-ძიებაში[1].

მოტანილი მაგალითები შემთხვევითობად როდი უნდა ჩაითვალოს; ისინი გამომდინარეობენ ვიწრო ჯგუფური სამეცნიერო ინტერესებიდან, სურვილიდან ფრიად განადიდონ დარგის „პატრიარქები". მაგრამ ამით ხომ ილახება ობიექტურობა და თანაც ივანე ჯავახიშვილისეული ღვაწლის ჯეროვანი წარმოჩენით ქართული ეთნოლოგიის ავტორიტეტს, დონეს ხომ უფრო ემატება და არამცდაარამც არ აკლდება რამე. მაგრამ ამაზე აღარ შევჩერდებით და გადავალთ უშუალოდ საკითხზე.

ჯერ კიდევ „ქართველი ერის ისტორიის" პირველ წიგნში, რომელიც 1908 წელს გამოვიდა, ივანე ჯავახიშვილი მთლიანი, საერთო ისტორიული პროცესის გადმოცემის ფონზე ცდილობდა მის ეთნოლოგიური თვალთახედვით გაშუქებასაც. რამდენადაც ჩვენმა დიდმა ისტორიკოსმა უძველესი ქართული საისტორიო წყაროებისადმი, კერძოდ, ლეონტი მროველის თხზულებისადმი" ჰიპერ კრიტიკული მიდგომა გამოიჩინა, ძირითადად დაეყრდნო არქეოლოგიას, ენათმეცნიერებასა და მითოლოგიას (რელიგიის ჩათვლით), რომელიც ფართოდ განხილული ეთნოლოგიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ავტორის განცხადებით, „ამ სამ მეცნიერების დარგის დახმარებით მეცნიერს უძველეს ხანის ისტორიის აღდგენა შეუძლიან: იქ, სადაც ისტორიკოსს არქეოლოგია უმტყუნებს, ენათმეცნიერება და თქმულებათა მეცნიერება (ე. ი. მითოლოგია, გ. ყ.) მიეხმარება და ნაკლს ავსებს ხოლმე"[2]. ავტორის შეხედულებით, მითები წარმოადგენენ თქმულებებს

---

[1] ამ თვალსაზრისით ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ეთნოგრაფოს ლევან ფრუიძის სტატია „ივანე ჯავახიშვილი და ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საკითხები" („მაცნე", ისტორიის... სერია, 1976, № 2), რომელიც ვიწრო თემას ეხება.

[2] დასახ. წიგნი, გვ. 9.

ღმერთებისა და მათი მოქმედების შესახებ, რომლებშიც აისახება ხალხის რწმენა, აზროვნება, ზნეობა და საზოგადოებრივი წესწყობილება.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, მითების ხასიათი დამოკიდებულია ერთი მხრივ გარემომცველ ბუნებაზე. მაგალითად, მზე ისეთი ქვეყნის მცხოვრებთ შეეძლოთ ეღიარებინათ კეთილ ღვთაებად და მისთვის თაყვანი ეცათ, სადაც მხოლოდ მზის შუქი ათბობს ადამიანს და ყინვისაგან იცავს და არა იქ, სადაც მზის პაპანაქება ყველაფერს ხრუკავს და აშრობს. ასეთ ცხელ ქვეყნებში მზე ადამიანებს მკაცრ, ულმობელ და გულქვა ღვთაებად, ხოლო მთვარე გულკეთილ და ადამიანის მფარველ ღვთაებად უნდა ეღიარებინათ და გაეღმერთებინათ (გადაადგილებებიც უმთავრესად მთვარიან ღამეში შეიძლებოდა). ანდა წყალს ისეთ ქვეყანაში დაუწყებდნენ თაყვანისცემას, სადაც იგი ნაკლებადაა და არა იქ, სადაც უხვად არის. მეორე მხრივ, ივანე ჯავახიშვილის თანახმად, მომთაბარე, ვთქვათ ძირითადად მეცხვარეობას მიმყოლი ხალხი, თავის ღმერთებსაც მეცხვარის სახით წარმოიდგენდა, ხოლო მეომარი ხალხის წარმოდგენით ღვთაება სისხლის ღვრისა და ომიანობის მფარველი უნდა ყოფილიყო, ე. ი. ამ შემთხვევაში რელიგიის ხასიათში თავს იჩენდა საზოგადოების, კულტურის განვითარების დონე. ცხადია, დიდი ისტორიკოსის მიხედვით, ცხოვრების პირობების შეცვლასთან ერთად სახეცვლილებას განიცდიდა თქმულებებიც და მეცნიერებამ უნდა შესძლოს მათი პირვანდელი სახით აღდგენა.

განხილულ წიგნში ივანე ჯავახიშვილი ეხებოდა ეთნოგრაფიული სინამდვილის სხვა მხარეებსაც. ქსენოფონტეს „ანაბაზისის" მიხედვით იგი გადმოსცემდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები ქართველური ტომების დასახლების ტიპს, საცხოვრებელს, მათ საომარ იარაღებსა და ზნე-ჩვეულებებს[1]. ივანე ჯავახი-

---

[1] „ქართველი ერის ისტორიის" პირველი წიგნის მეხუთე გამოცემაში (1960) ვკითხულობთ: „მეოთხე საუკუნეში ქრისტეს წინ, როგორც ქსენოფონტეს სიტყვებიდან ჩანს, სოფლები მინდვრებსა და მთის კალთაზე ყოფილა გაშენებული. სახლები და სხვა შენობები, კოშკები და ზღუდეებიც კი, ხისა უშენებიათ, რასაკვირველია, იმიტომ რომ იქ ტყე ბლომად იყო, უფრო იაფად ჯდებოდა და მარდადაც შენდებოდა. სახლები ორ-სართულიანი სცოდნიათ, ზევით სანოვაგესა და სურსათს ინახავენენ, ძირს კი თითონ მდგარან (გვ. 28), რომ „ქალაქები უფრო ციხეებს

შვილის შეხედულებით ასურული წყაროების თუბალებისა და მესხების ჩრდილოეთისაკენ წაწეული მემკვიდრეების მატერიალურ ყოფაში აშკარა დაქვეითება მომხდარა, რასაც ასე ხსნის: „ახალ სამშობლოს მკაცრი და მწირი ბუნება, ინდო-გერმანული ტომების შემოსევა, ხელს უწყობდა ქართველი ტომების თანდათან დაქვეითებას". შესაბამისი (მკაცრი) ბუნებრივი პირობებით ხსნის იგი სვანების დაქვეითებასაც. წიგნის მესამე თავში საუბარია ქართველების ეროვნულ წარმართობაზე, ბოლოს კი იაკობ ხუცესის „შუშანიკის მარტვილობის" მიხედვით მოთხრობილია მაშინდელი ოჯახობის (ოჯახის) ქალის უფლებრივი მდგომარეობის, ჩაცმა-დახურვისა და ყოფის სხვა მომენტების (საწოლი, იარაღი, პურის ჭამის წესი და სხვ.) შესახებ. ავტორი აგრეთვე შეეხო ქართლში ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელებასაც, მისგან გამომდინარე დასაფლავების წესს, მის (აღნიშნულ სარწმუნოების) გადმონაშთებს გვიანდელ ქართულ ყოფაში.

ამრიგად, ჯერ კიდევ „ქართველი ერის ისტორიის" პირველი წიგნის პირველი გამოცემით ივანე ჯავახიშვილმა დაამკვიდრა ტრადიცია საერთო ისტორიული პროცესის გადმოცემისას ეთნოგრაფიული სინამდვილის ჩვენებისაც, რაც სამწუხაროდ, დღევანდელ ქართულ მეცნიერებაში თითქმის აღარ არსებობს.

ივანე ჯავახიშვილის ინტერესი ეთნოლოგიისადმი (ეთნოგრაფიისადმი) მხოლოდ თეორიული ხასიათისა როდი გახლდათ. 1904 წელს იგი რუს აღმოსავლეთმცოდნე კ. ა. ინოსტრანცევთან ერთად მონაწილეობდა რუსეთის ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ მოწყობილ ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში, რომელიც დაღისტანში მუშაობდა. ამ ექსპედიციამ მოვლო ხუნძახი, დიდოეთი და ქვეყნის სხვა მხარეები და შესანიშნავი კოლექციები შეაგროვა[1]. მის (ექსპედიციის) თაობაზე იგი ნიკო მარს 1904 წელს სწერდა: „მესამე დღეა რაც ყარანოღაელთა მინდვრებიდან დავბრუნდით, ოთხი დღე დავრჩით იქ და მხოლოდ იქაური ქორწილი ვნახეთ, ბევრი საინტერესო სურათები

ჰგავდნენ, რომლებიც მაღალ, მიუვალ გორებზე და კლდეებზე იყო აშენებული. შიშიანობის დროს შეიხიზნებოდნენ ხოლმე. თუ ციხე-ქალაქს გარშემო მდინარე არ უვლიდა მაშინ დიდ თხრილს აკეთებდნენ და „თხრილს თავზე მარგილები ჰქონდათ ჩარჭობილი და ხის კოშკები დადგმული" (იქვე).

[1] დ ა ვ ი თ გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე, თბილისი, 1960, გვ. 120.

და სანახავები იყო. ტანისამოსები და საგნებიც საკმაოდ შევკრიბეთ, მაგრამ, სწორედ გითხრათ, მე ამნაირი ეთნოგრაფიისა არა მწამს რა: ჩემის აზრით, ეს უფრო მოხელეობაა, ვიღრე მეცნიერება; ინსტრუქციები ასეთ გზას ადგია: ყველგან ადმინისტრაციას მიჰმართავს ხოლმე, იმას (ბოქაულს, მამასახლისს, მაზრის უფროსს, ოლქის მმართველს) ჰკითხავს ხოლმე, სად შეიძლება უფრო ადვილად საინტერესო და საყურადღებო საეთნოგრაფიო მასალების შეკრება... ცხადია, რომ ამნაირად ჩვენ მხოლოდ იმის შეკრება შეგვიძლიან, რაც უნახავს და რასაც გვიჩვენებს პოლიცია; ჩვენ თითონ არ ვაკვირდებით ცხოვრებას, ზედაპირულად, გაკვრით გადავავლებთ ხოლმე თვალს; ჩემის აზრით, ამნაირად შეკრებილ მასალებს სრულებით შემთხვევითი ხასიათი უნდა ჰქონდეს და მეცნიერებისათვის მნიშვნელობა ნახევრად დაკარგული ექნება"[1].

1909 წელს ივანე ჯავახიშვილმა თითქმის მთელი საქართველო (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები) შემოიარა. კერძოდ, შორაპაში, სკანდა-ქვევრულაში (!), მუხურაში, გეგუთში, ნოქალაქევში, ატენში, უჯარმაში და ბოჯორმაში ყოფნისას არა მარტო მატერიალური კულტურის ძეგლები მოინახულა, არამედ ხალხური თქმულებებიც ჩაიწერა[2].

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა ქართულ სამეცნიერო წრეში 1910 წელს შემუშავებული (ძირითადად ივანე ჯავახიშვილის მიერ) გეგმა-კითხვარი გულისხმობდა ჩვენი სოფლების დასახლების ტიპს, ჩვეულებებს, სოფლად გავრცელებულ მეურნეობის დარგებს (მათ შორის ხელოსნობისას)[3].

1910 წლის 30 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგიდან მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს სწერდა: „იანვრის ბოლო რიცხვებში მე უნდა წავიკითხო აქაურს საარქეოლოგიო საზოგადოებაში მოხსენება „ტანისამოსისა და სამკაულის ისტორია საქართველოში"[4].

---

[1] იხ. ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა, თბილისი, 1996, გვ. 33.

[2] იხ. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

[3] კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივანე ჯავახიშვილისეულ ფონდში (საქმე № 766) ინახება კონკრეტული მონაცემები სოფელ მათხოჯის (ყოფილ ქუთაისის მაზრაში) შესახებ.

[4] დასახ. ფონდი, საქმე № 1519.

„ქართული ერის ისტორიის“ პირველი წიგნის მესამე გამოცემაში (1928) ივანე ჯავახიშვილმა უძველესი პერიოდის ყოფის წარმოსაჩენად უფრო ფართოდ გამოიყენა არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მონაცემები, უჩვენა იმდროინდელი ადამიანების ქონებრივი ავლადიდება, დასაფლავების წესები. ასევე გაფართოებულადაა წარმოდგენილი ქართველთა წარმართობა. მესამე თავში შეტანილია უძველესი სარწმუნოებრივი თქმულებანი, კერძოდ ამირანის შესახებ, არის მცდელობანი ამ თქმულებათა თავდაპირველი სახის (არქეტიპის) აღდგენისა, ამირანის მითი შედარებულია ბერძნულ პრომეთეოსის მითთან.

ივანე ჯავახიშვილი ყოველთვის სათანადოდ ითვალისწინებდა არა მარტო ქართველთა მატერიალური ყოფის დამოუკიდებელ ევოლუციას, არამედ ცვლილებებსაც ამ სფეროში, რასაც სხვა ხალხების ზემოქმედებით ჰქონდა ადგილი. სპარსული ცეცხლთაყვანისმცემლობის თაობაზე უკვე ვლაპარაკობდით. შემდგომში ცვლილებები მოხდა მონღოლთა (თემურ-ლენგის ხანის ჩათვლით) და ყიზილბაშური ირანის ზემოქმედებით. „ქართველი ერის ისტორიის“ მესამე წიგნში საგანგებოდაა ლაპარაკი თვითონ მონღოლების ყოფა-ცხოვრებასა და წესწყობილებაზე.

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ორ წიგნში (1930, 1934) ივანე ჯავახიშვილმა ფართოდ მიმოიხილა სოფლის მეურნეობის დარგების შესაბამისი ტექნიკა. შემდეგში (1964 წელს) დამატების სახით ცალკე იქნა გამოცემული წიგნი მევენახეობა-მეღვინეობისა და მეხილეობის შესახებ. მომდევნო წელს გამოვიდა ნაკვეთი 2 — „საფენელ-საგებელი, ავეჯი და ჭურჭელი“. ასევე ცალკე ნაკვეთებად (მესამე და მეოთხე) იქნა გამოცემული „ტანისამოსი, ქსოვილები და ხელსაქმე“ და „საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე“. მანამდე (1928—29 წლებში) გამოსულ „ქართული სამართლის ისტორიის“ წიგნებში ძირითად თემასთან ერთად ლაპარაკია სოციალური ურთიერთობების შესახებაც, რომლებიც, ცხადია, ეთნოგრაფიულ სინამდვილეს წარმოადგენენ.

ივანე ჯავახიშვილი დიდ ინტერესს იჩენდა კერძოდ, მშენებლობისა და არქიტექტურის ისტორიისადმი. ამის თაობაზე ჯერ კიდევ 1914 წელს რუსულ სამეცნიერო ჟურნალ „ქრისტიანულ აღმოსავლეთში“ მან გამოაქვეყნა სტატია „ხელოვნებათა ტერმინები და უმ-

თავრესი ცნობები ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ ძველ-ქართულ ლიტერატურაში". უკვე სიკვდილის შემდგომ, 1946 წელს, გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის „მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში", რომლის მეორე კარში მოთხრობილია ქალაქის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებსა, მთავარ ნაგებობებსა, სავაჭრო და საზოგადოებრივ შენობებზე. აღნიშნულ ნაშრომში აშკარად გამოკვეთილია საკითხისადმი ახლებური მიდგომა. ავტორის მოსაზრებით „თავდაპირველად უნდა შეეკრიბნათ ყველა სიტყვები, რომელთაც ძველს ქართულ მწერლობაში ხმარობდნენ ხელოვნების სხვადასხვა დარგში, და გაეგოთ მათი მნიშვნელობა. მხოლოდ შემდეგ, აღჭურვილნი ყველა იმ ცნობებით, რომლებიც ქართული ხელოვნების შესახებ ძველ საბუთებსა და მწერლობაში მოიპოვება, შესდგომოდნენ თვით ნაშთებისა და ძეგლების შესწავლასა და დაფასებას"[1].

1938 წელს გამოვიდა ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფია „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები", სადაც ჩანს ავტორის განათლება საერთოდ მუსიკის სფეროშიც და რომელიც ნამდვილად საეტაპო მნიშვნელობისა გახლდათ აღნიშნულ დარგში. დიდი მეცნიერის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ერთი შეხედვით ისეთი უმნიშვნელო საკითხიც კი, როგორიცაა ქართველი მშრომელი ხალხის კვება და მისი რაციონალიზაციის ამოცანა. (ამ საკითხის თაობაზე მან 1939 წლის 10 ოქტომბერს მოხსენება წაიკითხა).

როგორც ცნობილია, 1931 წლის სექტემბრიდან მოყოლებული, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან გამოძევების შემდგომ, იგი მეცნიერ-კონსულტანტად მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. დიდი მეცნიერი და მამულიშვილი არ შემდრკალა ბედის უკულმართობის წინაშე და კვლავაც დიდი ენერგიითა და ხალისით აგრძელებდა მუშაობას, რამაც თავი იჩინა მუზეუმის მუშაობის საგრძნობ გამოცოცხლებაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1916 წელს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების" გამგეობას ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაუსახა თანადროული ქართული ეთნოგრაფიული მასალების (კერძოდ, შინამრეწველობის

---

[1] დასახ. ნაშრომი, გვ. 2. იხ. აგრეთვე ზემოთ დასახელებული რუსულად გამოქვეყნებული სტატიის დასაწყისი.

სხვადასხვა დარგის ნივთების) შეგროვება და შესწავლა. თუ რა მოიმოქმედა მან ამ მიმართულებით, ამაზე ცალკე პარაგრაფში გვქონდა საუბარი. აღნიშნული საქმის წამოწყებასა და აღსრულებაში კარგად ჩანს ივანე ჯავახიშვილის ვითარცა ეთნოლოგოსის დიდი ღვაწლი, რომელიც დაუვიწყარი იქნება და ანალოგიური ეთნოლოგოს სერგი მაკალათიას ღვაწლისა, რომელმაც დაგვიტოვა საქართველოს ბევრი კუთხის ეთნოგრაფიული აღწერილობა.

ზემოთქმულს დავუმატებთ შემდეგსაც. ცნობილია თუ როგორი რუდუნებით მუშაობდა ივანე ჯავახიშვილი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენაზე. იგივე ითქმის ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის თაობაზეც. იგი წერდა: „მთელი ჩვენი შეცდომა, როდესაც ახალ ქართულ ტერმინოლოგიას ვქმნიდით მეცნიერების ყველა დარგში, უმთავრესად ტექნიკური დარგებისათვის, იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ ანგარიშს არ ვუწევდით მას, რაც ხალხშია მემკვიდრეობით დარჩენილი ძველი ქართული ტერმინების მარაგის სახით, და ხელოვნურად ვსაზღვრავდით და ვთარგმნიდით (უმეტეს ნაწილად რუსულიდან) სრულიად მექანიკურად, მაშინ როდესაც მრავალი საუკუნეების განმავლობაში, მოგვეპოვებოდა ქართულად. სრულებით არავითარი საჭიროება არ არსებობდა, რომ ან ჩვენ თავი შეგვეწუხებინა ამ შეთხზვით, ან ხალხი შეგვეწუხებინა ახალი, მათთვის სრულებით გაუგებარი ტერმინების ათვისებით. ამჟამად ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ განათლებული ხალხი ხმარობს ერთ სამეცნიერო ტერმინოლოგიას, ხალხისათვის გაუგებარს, ხოლო ხალხი კიდევ თავისას, რომელიც გაუგებარია განათლებული ხალხისათვის. ამოცანას წარმოადგენს, ცხადია, რომ ერთიანი, მთლიანი, ძველ მარაგზე დამყარებული ტერმინოლოგია შეიქმნეს ჩვენში“[1]. რასაკვირველია, როგორც ყოველთვის, ივანე ჯავახიშვილისათვის სიტყვას, აზრს, იდეას საქმე მოსდევდა ხოლმე და ასე გახლდათ მოცემულ შემთხვევაშიც.

1935—39 წლებში ივანე ჯავახიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჯერ სახელმწიფო და შემდეგ რუსთაველის მუზეუმში თანამშრომლები მუშაობდნენ დარგობრივი ლექსიკონების შესადგენად, ცნობილი „მასალების“ საფუძველზე. მუზეუმის მეცნიერ-

---

[1] იხ. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946, გვ. 94.

თანამშრომლებმა, წინასწარ შემუშავებული პრინციპების მიხედვით, „მასალებიდან“ ამოკრიბეს ბარათებზე ათასობით ტერმინი, ხოლო შემდეგ ბარათებზე ამოწერილი ტერმინების განმარტებათა საფუძველზე შეადგინეს დარგობრივი განმარტებითი ლექსიკონები. დიდი მეცნიერის სიცოცხლეში აღნიშნული „მასალების“ საფუძველზე სულ შედგენილ იქნა თორმეტი დარგობრივი ლექსიკონი, რომლებიც, თავის დროზე ხალხში შეკრებილ ძირითად მასალებთან ერთად, გადაეცა ენიმკის დირექციას. შემდეგში ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში სპეციალური მიზნით შექმნილი საპრობლემო ჯგუფი მუშაობდა განმარტებითი ილუსტრირებული ლექსიკონის მოსამზადებლადაც. ეს უკანასკნელი, ივანე ჯავახიშვილის ჩანაფიქრით, თან უნდა დართოდა „მასალებს“[1]. დიდად სამწუხაროდ, ეს ლექსიკონი ჯერჯეობით არ გამოსულა და მისი ბედ-იღბალიც გაურკვეველი რჩება.

რაკი სიტყვამ მოიტანა, გავიმეორებთ, რომ როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის საიუბილეოდ სპეციალური გამოფენის მოწყობა გადაწყვიტეს, ამ საქმის ორგანიზება ივანე ჯავახიშვილს დაავალეს. ამის თაობაზე იგი 1936 წლის 29 მაისს ვარლამ დონდუას ლენინგრადში სწერდა: „რაკი საქართველოს ყოფაცხოვრებასა და ნივთიერი კულტურის ისტორიაზე ჩემს გარდა არავინ მუშაობს, ამიტომ უნებლიეთ ამ ტვირთის აღება მომიხდა და პასუხსაგები საქმის („ქართ. კულტურა XI—XII სს“) მოწყობის ხელმძღვანელობა დამაწვა. რასაკვირველია, ხელმძღვანელობის გაწევა, რაკი ამ დარგში მომზადებული პირები არ გვყვანან, უმეტესად მე მომიხდება“. მალე იგი სათავეში ჩაუდგა ახლად დაარსებულ შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმს, რომელსაც ევალებოდა აღნიშნული პერიოდის საქართველოს, კერძოდ, ნივთიერი კულტურის შესწავლა (ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა ყოფაცხოვრებისა და ეკონომიურ სექტორს). იმავე მუზეუმში ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა. აღნიშნული ღონისძიებების შემდგომ იგი აპირებდა იარაღის ისტორიის გამოფენას, რის შესახებაც სწერდა ვარლამ დონდუას 1938 წლის 31 მარტს გაგზავნილ წერილში.

---

[1] იხ. ვახტანგ ჯაფარიძის წერილი „ივანე ჯავახიშვილი და ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნის პრობლემა“ ჟურნალში „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1986, № 2-3.

1939 წელს ივანე ჯავახიშვილი ფართო პროგრამას სახავდა ქართული კულტურის ისტორიის შესასწავლად, აღნიშნავდა რა, რომ „ამ პრობლემების გადასაჭრელად მათი სხვადასხვა სამეცნიერო დარგის თვალსაზრისით განხილვა და შესწავლაა საჭირო; სხვადასხვა სპეციალობის მკვლევართა გეგმიანი, თანხმობრივი მუშაობაა აუცილებელი“[1]. შესაბამისი დარგის ამოცანებს იგი ჰყოფდა ორ მთავარ ჯგუფად: 1) კულტურულ მცენარეთა, შინაურ ცხოველთა, ლითონისა და ნივთიერი კულტურის და 2) ქართველთა და კავკასიელთა თავდაპირველი სამშობლოს, გადმოსახლების და უძველესი მსოფლმხედველობის, აგრეთვე გონებრივი და ნივთიერი კულტურის (მათ შორის მუსიკისაც) ისტორიის საკითხებად[2]. დიდი მეცნიერი წინადადებას აყენებდა, რათა სამუშაოთა კოორდინაციის მიზნით აკადემიის საქართველოს ფილიალის პრეზიდიუმთან შექმნილიყო სათანადო ორგანო[3].

ყოველივე ზემოაღნიშნულს დავუმატებდით იმასაც, რომ ივანე ჯავახიშვილი ძალიან იყო დაინტერესებული ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემით. მეტიც, მისი აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია ე. წ. იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის, შესაბამისი ხალხების ნათესაობის დადგენის გარეშე. ამ მიმართულებით კი ჩვენმა დიდმა მეცნიერმა და მამულიშვილმა უთუოდ ყველაზე მეტი გაკეთა, რის დასტურიც გახლავთ წიგნი „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“[4]. (გამოქვეყნდა 1950 წელს). მასში არის ცდაც ჩვენი და ჩრდილო-კავკასიური ხალხების უძველესი მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიის აღდგენისა.

---

[1] იხ. ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1956, გვ. 90.

[2] იქვე, გვ. 95—96.

[3] იქვე, გვ. 96.

[4] შევნიშნავთ, რომ შესაბამისი მეცნიერების აღსანიშნავად ივანე ჯავახიშვილი ძირითადად ხმარობდა ტერმინ „ეთნოლოგიას“, თუმცა ზოგჯერ მის მიერ „ეთნოგრაფიაც“ იხმარებოდა. ნიკო მარისადმი უკვე მოხსენიებულ წერილში იგი ორივე ტერმინს ხმარობდა. შესაძლოა ამ შემთხვევაში „ეთნოგრაფიაში“ ნაგულისხმევია. ემპირიული დონე, სოლო „ეთნოლოგიაში“ კი უფრო მაღალი, თეორიული საფეხური.

ამდენად, ეთნოლოგიის რა მხარეც არ უნდა გავითვალისწინოთ — ეთნოგენეზისი, მატერიალური კულტურა, სოციალური ურთიერთობანი, სულიერი კულტურა აშკარად ჩანს ივანე ჯავახიშვილის დიდი ღვაწლი ქართულ ეთნოლოგიაში, რომელიც ფართოდ გაგებული ქართული საისტორიო მეცნიერების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამას ემატება კვლევა-ძიების სათანადო მეთოდების კომპლექსურობა (ისტორიკოსის, ენათმეცნიერისა და ეთნოლოგოსის ერთობლივი პოზიციიდან), რაც ასე იშვიათი იყო მანამდე და ასეთივე რჩება ახლაც[1]. ამიტომაც სულაც არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ივანე ჯავახიშვილმა ქართულ ეთნოლოგიაში ყველაზე მეტი გააკეთა და მისი ასეთი ღვაწლის დაუნახაობა მხოლოდ სიბეცითა და ვიწროჯგუფური „მეცნიერული" ინტერესებით თუ აიხსნება.

4. ივანე ჯავახიშვილი საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობების შესახებ

ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება გახლდათ ჩვენი ქვეყნის რუსეთთან ურთიერთობების დამახინჯებული, ფალსიფიცირებული სახით წარმოდგენა. ცხადია, კომუნისტური იდეოლოგია თავისთავად აღებული, აქ არაფერ შუაში იყო, მთავარია, რომ მოვლენათა ამგვარი გააზრება და შეფასება განპირობებული იყო რუსული იმპერიალისტური თვალთახედვით. დაშახინჯება იწყებოდა უკვე თამარის ხანიდან, რის გამოც, თავის დროზე, აიკრძალა შალვა დადიანის რომანი „უბედური რუსი" (სახელწოდების შეცვლამაც ვერ უშველა!).

რასაკვირველია, ზემოაღნიშნული ისტორიოგრაფიული ტრადიცია მხოლოდ საბჭოთა პერიოდში როდი არსებობდა, იგი ბოგინობდა მანამდეც: პოლიტიკურად დამონებულ ქართველობას სიმართლის თქმა არ შეეძლო მეფის რუსეთის პირობებშიც. ამის თაობაზე ივანე ჯავახიშვილი თავისი ნარკვევის „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართვე-

---

[1] სერგო ჯორბენაძის აღნიშნულ მონოგრაფიაში ვკითხულობთ: „ივანე ჯავახიშვილმა, პირველმა ქართველთა შორის დანერგა მატერიალური კულტურის ისტორიაში კომპლექსური კოლექტიური კვლევის მეთოდი" (იხ. გვ. 493). პარადოქსია, რომ ამ საკითხის თაობაზე ჯერჯერობით არც ერთი ქართველი ეთნოლოგოსი არ ჩაფიქრებულა.

ლოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში“ წინასიტყვაობაში აღნიშნავდა: „...ამ მონოგრაფიის გამოქვეყნება განსაკუთრებით იმიტომ გადავსწყვიტე, რომ ყველა აქამდის გამოცემულს თხზულებებში რუსეთში არსებულ პოლიტიკურ და საცენზურო პირობების სიმკაცრის წყალობით ავტორებს (პირველ რიგში იგულისხმებიან მიხეილ ხელთუფლიშვილი და ზურაბ ავალიშვილი, გ. ყ.) ისტორიული სიმართლის სრული სინამდვილითა და გულახდილობით გამოთქმა არ შეეძლოთ“[1]. თვითონ ჩვენი დიდი ისტორიკოსი და მამულიშვილი საქართველოს რუსეთთან ვითომდა შეერთების საკითხს თავდაპირველად შეეხო ნაშრომში „საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები მეფის ძე დავით და პატონიშვილი იულონ“, სადაც ძირითადად მასალები იყო გადმოცემული, ხოლო საკითხის გააზრება-შეფასებისაგან ავტორი იმხანად თავს იკავებდა. ბევრად უფრო თავისუფალი და გაბედული იყო საკუთარი აზრების გადმოცემისას ივანე ჯავახიშვილი 1906 წელს პეტერბურგში გამოსულ ბროშურაში „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში“ (რუსულ ენაზე). ამის შემდეგაც იგი აღნიშნულ საკითხს არაერთხელ შეხებია და მას ყოველთვის უდგებოდა ობიექტური, მიუკერძოებელი პოზიციიდან, რაც, როგორც წესი, მიუღებელი იყო ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიისათვის.

„ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე წიგნში ივანე ჯავახიშვილი დიდ ადგილს უთმობდა ალექსანდრე II კახთა მეფის ურთიერთობას რუსეთთან. კერძოდ, მან რუსეთის მეფე თეოდორე იოანეს ძეს 1586—87 წლებში დესპანები გაუგზავნა. ივანე ჯავახიშვილი მთელი

---

[1] დასახ. ნაშრომი, ტფილისი, 1919, გვ. 3. კანონზომიერი გახლავთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამ ნაშრომის გამოქვეყნება „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ არ აწყობდათ. როცა 1953 წელს სიმონ ყაუხჩიშვილმა იგი შეიტანა „ქართველი ერის ისტორიის“ მეხუთე წიგნში, ტირაჟის დიდი ნაწილი კონფისკებულ იქნა. თუმცა გამომცემელი შეფარვით წერდა, რომ „ჩვენს საისტორიო მეცნიერებას დიდი მიღწევები აქვს ამ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში და ბევრ საკითხში, რომელთაც ეხება ივ. ჯავახიშვილი წინამდებარე მეხუთე ტომის მასალებში, ჩვენ ამჟამად მოგვეპოვება უფრო მკაფიო და საღი შეხედულება“, გამოტოვებულ იქნა ნარკვევის წინასიტყვაობა და ნაშრომის ბოლო ორი გვერდი (ერთგან სიტყვა „ურცხვობა“ თავად პოტიომკინს (გრიგოლს) რომ ეხება „გამბედაობით“ არის შეცვლილი) და ა. შ. ყოველივე ამის მიუხედავად, 1953 წელს გამოსული „ქართველი ერის ისტორიის“ მეხუთე წიგნის ბედ-იღბალი, როგორც აღვნიშნეთ, სავალალო აღმოჩნდა.

გარკვეულობით წერდა: „როდესაც ალექსანდრე მეფეს რუსთა მეფისგან მფარველობის თხოვნა გადაუწყვეტია, ამი უმთავრესი ამამოძრავებელი მიზანი საქართველოს ოსმალეთისა ან სპარსეთის მძლავრობისაგან თავის დახწევა და უზრუნველყოფა-კი არ შეადგენდა, არამედ ზურგის გამაგრება და თავდაცვა ჩრდილოეთელ მეზობლებისაგან, განსაკუთრებით შამხალის ტყვევნა-ცარცვა-გლეჯისაგან"[1]. მაგრამ რუსეთის პოლიტიკა ჩვენს მიმართ სხვა გეზის გამომხატველი იყო. ივანე ჯავახიშვილის მისედვით, „იმთავითვე ქართველ მეფესა და რუსთ მეფეს შორის მათი პოლიტიკური ურთიერთობისა და დამოკიდებულების შესახებ გაუგებრობა და შეუთანხმებლობა დამყარდა. შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა ეს გარემოება, არამედ ორი ერთიმეორესთან შეურიგებელი პოლიტიკური მიმართულებისა და წადიერების ბუნებრივი შედეგი იყო"[2]. თუ ალექსანდრე მეორეს სურდა რუსეთის მფარველობით მაჰმადიანური ქვეყნებისაგან თავი დაეცვა, რუსეთი ამის სანაცვლოდ შორს მიდიოდა; მას სურდა კახეთის სამეფოს ყმობა (ყმადნაფიცობა). ამიტომაც რუსთ ხელმწიფე და მისი გარემოცვა არ იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ ქართული მხარე ხელს მოაწერდა ე. წ. ფიცის წიგნს. აშკარაა, რომ რუსეთის მხარე ზემოდან უყურებდა კახეთის მეფეს, ისე რომ ამ უკანასკნელს ამ ტიტულით არც კი მოიხსენიებდა. არც ზარბაზნის ჩამომსხმელის გამოგზავნაზე, რასაც ასე დაბეჯითებით ითხოვდა კახთა მეფე, არა ფიქრობდა. მაგრამ როდესაც ალექსანდრე II იძულებული შეიქნა ხელი მოეწერა ხელშეკრულებისათვის, ამიერიდან მას უკვე „მეფის" წოდებულებით მოიხსენიებდნენ. რუსთა მხარის ამგვარი მეტამორფოზის მიზეზი, ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით, შემდეგი იყო: „რაკი კახთა ბატონი თავიანთ ყმადნაფიცად და მოხარკედ უნდოდათ ექციათ, მათი დამპყრობლობითი მიზნისათვის უფრო ხელსაყრელი იყო ალექსანდრე მეფედ მოეხსენებინათ და მთელი ივერიის, საქართველოს, თავად მიეჩნიათ. ამით მათ საქართველოს დანარჩენ სამეფოებზე ერთგვარი უფლების მოპოვება თითქოს უადვილდებოდათ"[3].

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართული მხარე მოლაპარაკებისას დიდ გულუბრყვილობას იჩენდა, რაც კერძოდ, იმაშიც გამოვლინდა,

---

[1] დასახ. ნაშრომი, თბილისი, 1948, გვ. 301.

[2] იქვე, გვ. 307.

[3] იქვე, გვ. 310.

რომ ადვილად დაიჯერეს რუსი დესპანების ბაქიაობა თავიანთი ქვეყნის სიძლიერეზე. დიდად დასაეჭვებელი გახლდათ აგრეთვე ქართველ დესპანთა იზოლირება მოსკოვში სხვა ქვეყნების წარმომადგენლებისაგან. „წიგნი ფიცისა", როგორც ცნობილია, მაინც გაფორმდა და თავის დროზე, გეორგიევსკის ტრაქტატის „ზეიმის" წლებში ქართულმა საბჭოურმა ცნობიერებამ (კერძოდ, ისტორიოგრაფიამ და კინემატოგრაფმა) ვარდისფრად წარმოსახა. ამის შესახებ კი სულ სხვანაირი აზრისა იყო ივანე ჯავახიშვილი, რომელიც წერდა: „რუსეთთან პოლიტიკურ კავშირის დამყარებას და რუსთა მეფისათვის ყმადნაფიცობისა და ერთგულების წიგნის მიცემას კახთა მეფის ალექსანდრესი (!) და კახეთისათვის არამც თუ პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით არაფერი სარგებლობა არ მოუტანია, ჩვენ ერსა და ქვეყანას არამც თუ არავითარი დახმარება არ უნახავს, არამედ უფრო მეტი ვნება მოუტანა საქართველოს და უფრო მეტს განსაცდელსა და გასაჭირში ჩააგდო ჩვენი ხალხი"[1]. რასაკვირველია, თუ ერთი მხრივ „წიგნი ფიცისა" ქართული მხარისათვის ფარატინა ქაღალდად რჩებოდა, მეორე მხრივ, კერძოდ, ერანისა და თურქეთის მხრივ, მასზე რეაქცია ძალზე ხელშესახები იყო. ივანე ჯავახიშვილის კატეგორიული მტკიცებით „შაჰ-აბბასი საქართველოს ერთის მხრით იმიტომ ვადაემტერა, რომ ქართველებმა მაჰმადიანი მეზობელ სახელმწიფოების მძლავრების გამო თავიანთი გაჭირვებული მდგომარეობა ვითარცა ერთმორწმუნე სახელმწიფოს რუსეთის სამეფოს აცნობეს და დახმარებაც სთხოვეს"[2].

საპასუხო რეაქციამაც არ დააყოვნა და გულუბრყვილო, ბეც პოლიტიკას შედეგად მოჰყვა ქართლ-კახეთის ისტორიისათვის დიდად ტრაგიკული 1614, 1616, 1623 და 1625 წლები. „ერთმორწმუნე" რუსეთს კი, ცხადია, ქართლ-კახეთის ძნელბედობა გულთან ახლოს არ მიუტანია.

ისტორიის მწარე გაკვეთილი დაავიწყდა ალექსანდრე II-ის შვილიშვილს თეიმურაზ პირველს. მანაც იგივენაირი შეცდომა გაიმეორა

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, გვ. 319.

[2] იქვე, გვ. 346. ციტატა ასე გრძელდება: „მაგრამ ამას გარდა შინაური მტრებისა და შინათგამცემელთა მუხანათურ სისინსაც დიდ ყურადღებას აქცევდა ამბების მოყვარული შაჰი".

და მოინდომა რუსეთთან დაახლოვება თუნდაც ყმადნაფიცობის სახით. ამჯერადაც განმეორდა ჩვენი მეფეებისათვის ჩვეული გულუბრყვილობა, რის გამოისობითაც „საქართველოს პოლიტიკის ხელმძღვანელებმა მაშინდელი რუსეთი საქართველოსთან ტერიტორიულად უკვე მოახლოვებულ ქვეყნად და მისი ხელმწიფე უძლეველ და უქრისტიანეს მეფედ წარმოადგინეს, რომელსაც მარტო მაჰმადიანთა დამარცხება და აღმოსავლეთის დაჯაბნულ ქრისტიანების დახმარებით ულვიოდა გული"[1]. ჩანს, ჩვენი წინაპრების საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია რუსეთზე ტრადიციული ფეოდალური (რაინდული) მორალითაც იყო განპირობებული, რის გამოც რუსეთის მხრივ უდიდესი თვალთმაქცობა-ცბიერების გამოჩენა ვერ წარმოედგინათ.

ისტორია კახეთის მსგავს დიდ ტრაღიკულ ბედ-ილბალს ქართლსაც უმზადებდა. მალე ალექსანდრე II-ის მარცხი ვახტანგ მეექვსემაც პირადად იწვნია.

როდესაც პეტრე პირველმა გადასწყვიტა კასპიის ზღვაზე გასულიყო (სამხრეთით) და ერანის მიმდებარე ტერიტორიებს დაუფლებოდა, რუსეთის სავაჭრო ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, რასაკვირველია, ქმედების ეს ნამდვილი მოტივი მიჩქმალულ იქნა და ვახტანგ VI-ს და მის მომხრე ქართველ დიდებულებს ისე მოაჩვენეს საქმის ვითარება, „თითქოს პეტრე I-ს შეეტყოს ვახტანგ VI გაჭირვებული მდგომარეობა, მისი შველა და დახსნა სდომნოდეს სპარს-ოსმალთა კლანჭებისაგან და სწორედ ამიტომ აპირებდეს იგი სპარსეთის წინააღმდეგ ამხედრებას. მეფე ვახტანგმა და ქართლის სამეფოს გავლენიანმა წრეებმა ეს დიპლომატიური სრიკები სინამდვილედ მიიჩნიეს. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ ძლიერ ქრისტიან ხელმწიფეს გულში სხვა რაიმე იდუმალი ზრახვა ექმნებოდა და ვახტანგ VI დარწმუნებული იყო კიდეც, რომ რა წამს იგი პეტრე I-სა და რუსთა ჯარს მიემხრობოდა, პეტრეც თავის მხრივ მის მეთაურობით საქართველოს მტრის წინააღმდეგ გაილაშქრებდა"[2]. (ამ სამხედრო წამოწყებაში ასევე ჩათრეულ იქნენ სომეხთა რაზმებიც).

როგორც ვიცით, პეტრე პირველმა დაწყებული საქმე აღარ განავითარა და სამხედრო ძალის დიდი ნაწილი უკანვე, ასტრახანში, დაა-

---

[1] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესუთე, გვ. 55.

[2] დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის..., გვ. 7—8,

ბრუნა. ასე რომ, საქართველო კვლავ მარტო, პირისპირ დარჩა გამ-ძვინვარებული მტრების წინაშე. თუ ერანი ჯერჯერობით ძალზე დასუსტებული იყო და ავღანელთათვისაც კი ვერ გაერთმია თავი, საქმეში ჩაერია უფრო ძლიერი თურქეთი. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, „რაკი ოსმალეთმა დაინახა, რომ რუსეთი სპარსეთის დაპყრობას ლამობდა და ქართველებიც მათი მოკავშირენი იყვნენ, რუსების შიშით დაიძრა და ჯერ ერევნითგან თავრიზამდის მთელი ქვეყანა დაიჭირა, ხოლო შემდეგ გამოილაშქრა თვით საქართველოს წინააღმდეგაც“[1].

მკითხველებს შევახსენებთ, რომ 1723 წელს რუსეთსა და ერანს შორის დაიდო ე. წ. პეტერბურგის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც რუსეთს დაუმკვიდრდა კასპიის ზღვის დასავლეთი და სამხრეთი სანაპიროები (დარუბანდი, ბაქო, შირვანის, გილანის, მიზანდარანისა და ასტრაბადის პროვინციები), ხოლო ერანს აღეთქვა სამხედრო დახმარება ავღანელებისა და თურქეთის წინააღმდეგ. საქართველოსა და სომხეთის ინტერესები, როგორც ვხედავთ, სავსებით იგნორირებული იყო და შეეწირა რუსეთისას. რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებით (გაფორმდა 1724 წელს კონსტანტინეპოლში) რუსეთმა კვლავ დაინარჩუნა ერანის ზემოთაღნიშნული ტერიტორიები, ხოლო თურქეთს გადაეცა აღმოსავლეთ საქართველო, სომხეთი (ერევნის მხარე), აზერბაიჯანის ნაწილი (შემახა, თავრიზი) და ყაზვინი. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ვალდებულებას ღებულობდა ერანის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღსადგენად (1732 და 1735 წლების სათანადო აქტებით რუსეთმა, თურქეთის პოზიციების გაძლიერების გამო, ერანს დაუთმო მოპოვებული მიწები). ამჯერად, როგორც ვხედავთ, რუსეთის მხარის ცინიზმს საქართველოს (აგრეთვე სომხეთის) მიმართ თითქოს საზღვარი აღარ ჰქონდა. მაგრამ მეტიც, როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა: „პეტრე დიდმა ისეთი უმადურობაც კი გამოიჩინა, რომ მის მიერვე მოტყუებული და გაუბედურებული მეფე ვახტანგისათვის შესაფერისი თავშესაფრისა და საცხოვრებელი ადგილის გამოჩენა არ ნებავდა“[2]. ამგვარ შეუბრალებლობასა და გულქვაობას კი იმდროინდელ საქართველოში ვერავინ ვერ წარმოიდგენდა. მაგრამ ფაქტია, რომ ქართლ-კახეთი, განსაკუთრებით

---

[1] დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის..,, გვ, 11.

[2] იქვე.

ქართლი, ვახტანგ VI-ის ბეცი საგარეო პოლიტიკის წყალობით, უკიდურეს განსაცდელში აღმოჩნდა.

რაც ამის შემდგომ მოხდა აღმოსავლეთ საქართველოში, ყველგანაა ცნობილი. საბედნიეროდ, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის პოლიტიკური და დიპლომატიური ნიჭის შედეგად ქვეყანამ, როგორც იქნა, განსაცდელს თავი დააღწია.

როდესაც 1768 წელს რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი დაიწყო, „რუსეთის დედოფალ ეკატერინე II-ს მინისტრთა უპირველესმა იმერეთის მეფეს სოლომონ I-ს საგანგებო მოციქულის თ-დ ხვაბულოვის (ქობულიშვილის) ხელით მისწერა, რომ რუსეთი ოსმალეთს ეომება და ეს ომი მას სწორედ ეხლა საუკეთესო საშუალებას აძლევს დააღწიოს თავი ოსმალთა ბატონობას"[1]-ო. რუსეთი ცდილობდა სათანადოდ გამოეყენებინა რელიგიური ფაქტორი და ომში ჩაება აგრეთვე მართლმადიდებელი ბერძნები და სამხრეთელი სლავი ხალხები. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა; ჩანს ამ ხალხების მესვეურთ ქართველ მეფეებზე მეტი ჭკუა-გონება და წინდახედულება აღმოაჩნდათ. რაც საქართველოში გენერალმა ტოტლებენმა ჩაიდინა, სულაც არ გახლდათ ამ უკანასკნელის პოლიტიკური და სამხედრო „თვითშემოქმედების" გამოვლინება, არამედ იგი, აშკარაა, მოქმედებდა რუსეთის მთავრობის დავალებით. რუსეთის მიზანს შეადგენდა საქართველოს გარკვეული სამხედრო აქტიურობით დაებანდებინა თურქთა ძალები, ისე რომ სანაცვლოდ საქართველოს არაფერი მიეღო. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, „რუსეთმა თავის მიზანს მიაღწია, ოსმალეთის ომის საფრთხე ზავის გამო უკვე აღარ არსებობდა. ამიტომ საქართველოსაც მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა და დანაპირები მფარველობის გაწევა თითქოს დაავიწყდა კიდეც. სხვა საშუალება აღარ იყო, საქართველოს ისევ თავისი საკუთარი ძალით და გამჭრიახობით უნდა მოეწყო ძლიერ მეზობლებთან ასე მოუფიქრებლივ გაფუჭებული დამოკიდებულება"[2].

1773—83 წლებში ქართლ-კახეთი გადაურჩა ერანისა და თურქეთის მხრივ სასტიკ რეპრესიებს. მაგრამ გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატის გაფორმებით ქვეყანა დიდ განსაცდელში ჩავარდა. საერთოდ, ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით, „1783 წლის ხელშეკრუ-

---

[1] დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის..., გვ. 16,

[2] იქვე, გვ. 20.

ლება თვით ხელშემკვრელ მხარეებს „მფარველობითი მოკავშირეობის“ ტრაქტატად მიაჩნდათ და ჩვენც არავითარი უფლება არა გვაქვს გვერდი ავუხვიოთ მათს ცხადად გამოთქმულს ამ ნებისყოფას და იმ ზოგიერთი განსხვავების გამო, რომელიც თანამედროვე მეცნიერებასა და მაშინდელ უფლებრივ შეხედულებათა შორის არსებობს. 1783 წ. ხელშეკრულება სხვა თვისების საბუთად ჩავთვალოთ“[1]. მაგრამ თავის ვალდებულებათაგან არც ამის შემდგომ, 1801 წლამდე და არც შემდეგ რუსეთს არაფერი არ აღუსრულებია[2]. ცხადია, რომ აღნიშნული პოლიტიკური აქტის გაფორმება ძალზე გააღიზიანებდა ერანსა და თურქეთს. ამის გამოისობით მოხდა, რომ ხუნძახის მმართველი ომარ-ხანი 1785 წელს დიდი ჯარით შემოესია აღმოსავლეთ საქართველოს.

1787 წელს რუსეთ-თურქეთის ახალი ომის დაწყებისას, რუსეთი კვლავ შეეცადა ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეების მასში ჩაბმას, მაგრამ ამჯერად ერეკლე მეორეს ჭკუა ეყო და თავის შეკავება ამჯობინა.

გეორგიევსკის ტრაქტატიდან თორმეტი წლის გასვლის შემდეგ აღა-მაჰმად ხანმა ქართლი თბილისითურთ გააპარტახა. ივანე ჯავახიშვილის გამოანგარიშებით, იმ 61 ათასი კომლიდან, რომელიც მის შემოსევამდე, მაგალითად, თუნდ 1783 წელს, ქართლ-კახეთში ცხოვრობდა, 1795 წლის შემოსევის შემდეგ 35 ათასი კომლი-ღა ძლივს დარჩა[3]. კახეთსაც ქართლის ბედი მოელოდა და აღა-მაჰმად ხანი აქაც აპირებდა გალაშქრებას, მაგრამ რაკი ყარაბაღის სახანო და სხვ. ჯერჯერობით დამორჩილებული არ ჰყავდა და ამდენად ზურგი უზრუნველყოფილი არა ჰქონდა, ამიტომაც ამ საქმის აღსრულება სხვა დროისათვის გადასდო[4].

---

[1] დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის..., გვ. 32.

[2] ძმები გრანატებისა და კომპანიის ენციკლოპედიის მე-19 ტომში ივანე ჯავახიშვილი 1783 წლის ტრაქტატის შესახებ წერდა. „მაგრამ ამ ხელშეკრულებისაგან შედეგები მოსალოდნელისაგან დიამეტრალურად საწინააღმდეგო აღმოჩნდა“; მეფე ერეკლე „წინააღმდეგ „ხელშეკრულებისა თავისი საკუთარი ძალების ანაბრად რჩებოდა; დახმარებაზე მეფის მთავრობას არცკი უფიქრია“.

[3] დამოკიდებულება..., გვ. 42.

[4] იქვე, გვ. 42—43.

როგორც ვიცით, მომდევნო, 1796 წლის მარტში რუსეთმა სპარსეთს ომი გამოუცხადა და რუსთა ჯარმა გენერალ ვ. ა. ზუბოვის სარდლობით დაიკავა დარუბანდი, ყუბა და ბაქო. მაგრამ ამის შემდეგ იგი აღარ დაძრულა, რადგან ეკატერინე II-ის გარდაცვალების შემდეგ ახალმა იმპერატორმა პავლე II-მ ბრძანა ლაშქრობის შეწყვეტა. სხვათა შორის, ეკატერინე II-ის მანიფესტში აღნიშნული იყო, — და ამას რუსი საბჭოთა ისტორიკოსებიც იმეორებდნენ, — თითქოს რუსეთმა ამჯერად თავი გამოიდო აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრების საპასუხოდ და საერთოდ, ამიერკავკასიის სპარსთაგან დასაცავად. ერთი სიტყვით, როგორც ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა, „რუსეთის მთავრობას საქმე ისე ჰქონდა საქვეყნოდ მოჩვენებული, ვითომც ის საქართველოს აოხრების გამო შურის მაძიებლად გამოდიოდა და შუშისა, შირვანისა და დაღესტნის ხანებისა და ყარაბაღის მელიქების მყუდროებას იცავდა. მაგრამ ეს მხოლოდ თვალების ასახვევად და შესაცდენად იყო გამოცხადებული. ომის ნამდვილი მიზეზი და მიზანი კი სულ სხვა ყოფილა"[1]. სახელდობრ, რუსეთს თავისი ეკონომიკური (სავაჭრო) ინტერესები ჰქონდა ერანში და მისი ხელში ჩაგდებით—ინდოეთში. ამასაც რომ თავი დავანებოთ, თუ რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას საქართველოს ბედ-იღბალი აწუხებდა და გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებზე ფიქრობდა, მაშინ სახელმწიფოთაშორისი ვალდებულებანი ხომ ახალ იმპერატორსაც ეხებოდა. მაგრამ არც პავლე I და არც შემდეგ ალექსანდრე I ამაზე სულაც არ წუხდნენ. ამიტომ ივანე ჯავახიშვილს ფრაზა როდი გაქცევია როცა წერდა: „1783 წ. ხელშეკრულებას საქართველოსთვის სარგებლობა არა მოუტანია რა, ზიანი — კი აუარებელი"[2].

ეს ნათლად დაადასტურა შემდგომი ხანის ისტორიამაც.

1797 წლის გაზაფხულზე აღა-მაჰმად-შაჰი (ამჯერად ამ ტიტულით) შუშის ხანის დასასჯელად დაიძრა. მას განზრახული ჰქონდა რომ აქედან წამოვიდოდა აღმოსავლეთ საქართველოს ასაოხრებლად, მის მცხოვრებთ აჰყრიდა და შაჰ-აბას I-ის მსგავსად სპარსეთში

---

[1] დამოკიდებულება...., გვ. 44.

[2] იქვე, გვ. 32.

გადაასახლებდა[1]. მაგრამ წმინდა შემთხვევითობის წყალობით, შაჰის მკვლელობის გამო, საქართველო იმხანად დიდ განსაცდელს გადაურჩა. რუსეთი კი, ცხადია, ამჯერადაც არავითარი გარანტი არ იქნებოდა.

ქართველობა რუსეთის მიმართ, რაგინდ პარადოქსულიც უნდა იყოს, კვლავინდებურად დიდ გულუბრყვილობას იჩენდა. ჩვენი წინაპრები ფიქრობდნენ, „რომ რუსთა ხელმწიფეს და მთავრობას საქართველოსთვის მართლაც გული შესტკივოდა და მისი მწუხარება თავის მწუხარებად მიაჩნდა. ამგვარი განუსაზღვრელი და დაუშრეტელი რუსებისადმი ნდობა იმაზე იყო დამყარებული, რომ საქართველოს იმდროინდელი მტრები სპარსეთ-ოსმალეთი მაჰმადიანები იყვნენ, რუსეთი კი, ვითარცა ქართველთა ერთმორწმუნე სახელმწიფო, თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ"[2]. რასაკვირველია, რუსი პოლიტიკოსები ამ ნდობის ფაქტორს ადვილად შეამჩნევდნენ და სათანადოდ გამოიყენებდნენ კიდეც. მართლაც, ივანე ჯავახიშვილის აზრით, „რუსეთის მთავრობას და პოლიტიკოსებს არ გამოჰპარვიათ ქართველთა ამგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობა. მთელი მათი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, როდესაც-კი რუსეთის სამხედრო თვალსაზრისით ქართველთა ძალის გამოყენება ოსმალეთის ან სპარსეთის წინააღმდეგ საჭიროდ მიაჩნდათ, სწორედ ქართველთა ამ სუსტ გრძნობაზე და გულუბრყვილობაზე იყო ხოლმე დამყარებული"[3].

რა თქმა უნდა, საქართველო მტრულ მაჰმადიანურ გარემოცვას ასე თუ ისე უძლებდა საუკუნეთა მანძილზე; თუ ჩვენმა წინაპრებმა პოლიტიკური გეზი რუსეთზე აიღეს, ფიქრობდნენ, რომ ამ გზით ჩვენი ერის, ქვეყნის მდგომარეობა უფრო გამოსწორდებოდა. მაგრამ ჩანაფიქრის საპირისპიროდ შედეგები უარესი აღმოჩნდებოდა ხოლმე. მოულოდნელი აღმოჩნდა აგრეთვე 1801 წელი და შემდგომი ხანა, როდესაც გაქარწყლდა ქართველთა იმედები პოლიტიკური ავტონომიის თაობაზე და საქართველო ფაქტობრივად დაპყრობილ-ანექსირებულ

---

[1] დამოკიდებულება..., გვ. 49.

[2] იქვე, გვ. 51.

[3] იქვე, გვ. 52.

იქნა რუსეთის მიერ (როგორც ჩანს, სწორედ ასე ფიქრობდა ივანე ჯავახიშვილი)[1].

თუ ქართველი სოციალ-დემოკრატები XIX საუკუნეში მხოლოდ რუსეთის დადებით როლს სედავდნენ (ქვეყნის გაერთიანება, ფეოდალიზმის დაშლა, კაპიტალიზმის შემოსვლა), ივანე ჯავახიშვილი ფართოდ შეეხო იმ უარყოფით შედეგებს, რაც რუსეთის ბატონობას მოჰყვა. ეს თემაა გაშუქებული, როგორც ვიცით, 1906 წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე დაბეჭდილ ნაშრომში (ნარკვევში) „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში", რომელიც გვხიბლავს ავტორის დიდი სითამამით.

ივანე ჯავახიშვილის მტკიცებით, როგორც კი რუსეთმა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, მასთან ურთიერთობაში გამოიკვეთა სამი პარტია: დავით და იულონ ბატონიშვილებისა და რუსოფილებისა, რომლებიც მზად იყვნენ შერიგებოდნენ დამოუკიდებლობის მთლიან დაკარგვას. მაგრამ ახალმა მკაცრმა სინამდვილემ მათ მალე აუხილა თვალი და ისინიც რუსეთის საწინააღმდეგოდ განაწყო. გლეხკაცობასაც დასაწყისში ეგონა, რომ ახალი დამპყრობელი მათ ბევრ შეღავათს მისცემდა, მაგრამ მოტყუვდა. შემდგომშიც რუსი ჩინოვნიკები მას ილუზიას უქმნიდნენ ბატონყმობისაგან თავდასხნის თაობაზე, მაგრამ მალე ყველაფერი გაცხადდა. გაუგონარი, არნახული რამ მოხდა ქართულ ეკლესიასთან მიმართებაში: გაუქმდა მისი ავტოკეფალია და ბევრგან ღვთისმსახურების ენად რუსული იქცა. ნარკვევში ვკითხულობთ: „ამრიგად, საქართველოს რუსეთთან შეერთების 16 წლის შემდეგ ქართველებს წაერთვათ შესაძლებლობა საქართველოს საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურება მოესმინათ თავიანთ მშობლიურ ენაზე, რომელზედაც 1400 წლის მანძილზე შეუწყვეტლივ აღავლენდნენ მხურვალე ლოცვა-ვედრებას: არც სპარსელები, ცეცხლთაყვანისმცემლები და მაჰმადიანები, არც არაბები, არც წარმართი მონღოლები, არც თურქები არ აკეთებდნენ იმას, რაც გა-

---

[1] 1922 წელს უნივერსიტეტის დაარსების ოთხი წლის თავზე დაწერილ მოხსენებაში (ნიკო მარის საწინააღმდეგოდ) ივანე ჯავახიშვილი წერდა, რომ რუსი ხალხის მთავრობამ „ამ ასი წლის წინად ქართველთა მოკავშირედ და მფარველად შემოშვებულმა, ვერაგობით თავისუფლება მოგვისპო და ტფილისი და საქართველო ხელში ჩაიგდო".

აკეთა რუსთა მთავრობამ და მისმა ექსარხოსმა საქართველოს ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ"[1].

ასევე არნახული რამ დაემართა ქართულ ენას, რომელიც განდევნილ იქნა ადმინისტრაციიდან, სამართალწარმოებიდან და განათლების სფეროდან. მოქმედებისათვის მცირე ადგილი დარჩა ქართულ სამართალს. ქვეყანაში მალე მცირემიწიანობამ იჩინა თავი, მაგრამ რუსთა ხელისუფლება ხელს უშლიდა ჩვენს გლეხკაცობას დაეკავებინა თავისუფალი მიწები: სამაგიეროდ ქართული მიწა-წყალი ეთმობოდა სხვადასხვა ეროვნული წარმოშობის კოლონისტებს, პირველ რიგში, რასაკვირველია, რუსებს.

ივანე ჯავახიშვილი დასძენდა: „ქართველი ხალხის საუკუნოვანმა ჩაგვრამ და მისი ყველა ელემენტარული უფლების დარღვევამ, ქართველი ხალხის სისხლხორცეული ინტერესების გათელვამ რუსეთის მთავრობის მხრივ ეს უკანასკნელი მიიყვანა მთლიან მორალურ გაკოტრებამდე და ყოველგვარი ნდობისა და პრესტიჟის დაკარგვამდე!... არაა წოდება საქართველოში, რომლის თვალშიც იგი სარგებლობდეს პატივისცემითა და სიმპათიებით..."[2] თუმცა, რა თქმა უნდა, ნამდვილი ვითარების გაცნობიერება ჩვენს მჩაგვრელ ძალას არ სურდა და ყველაფერს რადიკალურ ელემენტებს აბრალებდა. ამისაგან განსხვავებით ნარკვევის წინასიტყვაობაში ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „რევოლუციურმა პარტიებმა კი არ გამოიწვიეს მთავრობის დისკრედიტირება ხალხის თვალში, არამედ თვითონ მთავრობამ მოახდინა საკუთარი თავის დისკრედიტაცია თავისი ასწლიანი მმართველობითა და რეჟიმით".

ერთი სიტყვით, საქართველოში ყველა წინაპირობა იყო მძლავრი საპროტესტო გამოსვლებისათვის, განსაკუთრებით აგრარულ სფეროში, სადაც გასული საუკუნის 60-იან წლებში რეფორმები გატარდა ადგილობრივი სპეციფიკის გაუთვალისწინებლად. ასე რომ, რასაც საქართველოში 900-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა ადგილი, იგი კანონზომიერად აიხსნება წინამავალი ისტორიით. ასევე კანონზომიერი გახლდათ აგრარული მოძრაობის გადაზრდა პოლიტიკურში.

---

[1] Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке, გვ. 21.
[2] იქვე, გვ. 44.

ივანე ჯავახიშვილი, ცხადია, არ კმაყოფილდებოდა მოვლენების გულგრილი, ოდენ „ობიექტური“ აღწერით და აშკარად გამოხატავდა დიდ სიმპათიებს რევოლუციური საქართველოსადმი, განსაკუთრებით ხალხის ფართო ფენებისადმი. (მაგრამ ბეცმა ბოლშევიკ-კომუნისტმა „პოლიტიკოსებმა“ და იდეოლოგოსებმა ეს ვერ შეამჩნიეს და, როგორც დავინახეთ, დიდი ისტორიკოსი კონსერვატორად, მეტიც, მჩაგვრელთა მხარდამჭერად წარმოადგინეს).

წინასიტყვაობაში ბროშურისა, რომელიც საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებს ეხება (XVIII საუკუნეში), ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „აწინდელმა ქართველმა პოლიტიკოსმა ამ ჩვენს წარსულშიც შეიძლება თანამედროვე მდგომარეობისათვისაც ბევრი რამ საგულისხმო და გამაფრთხილებელი ამოიკითხოს“. მოტანილ სტრიქონებს ავტორი წერდა 1919 წლის თებერვალ-მარტში. თუ გავითვალისწინებთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების მწარე გაკვეთილებს, განსაკუთრებით 1920—21 და ბოლო, 1991—99 წლებში, ივანე ჯავახიშვილის სიტყვები ნამდვილად წინასწარმეტყველურ ხასიათს იძენენ.

რასაკვირველია, არ უნდა ვიყოთ გულუბრყვილონი და ვიფიქროთ, რომ საქართველოსადმი აგდებული დამოკიდებულება (მიმართება) ოდენ რუსეთის მმართველ (პოლიტიკურ) წრეებს ახასიათებდა. ჩვენი დიდი ისტორიკოსი შორს იდგა ამგვარი მიამიტური წარმოდგენისაგან. სიმონ ჯანაშიასადმი გაგზავნილ წერილში (1927 წლის 7 აგვისტოს) იგი სარკასტულად შენიშნავდა: „გაზეთების მიხედვით ჩრდილოელი მეცნიერნი სირინოზის ხმით ქართულ (!) მეცნიერებთან თანხმობრივი მუშაობის ბაჯათებს დაჰმღერიან; რისი მომასწავებელია? ეს ხომ „სამეცნიერო მიზნით წარვლენილობისათვის მიღებული ფულის გამამართლებელ საბუთად გამოსაყენებელი სიტყვის მასალა არ არის?“[1]. პეტერბურგელი (ლენინგრადელი) „კავკასიოლოგოსის“ ნ. გენკოს[2] შესახებ კი იგი ასე წერდა: „...რაღა უნდა გამიკვირდეს იმ გაღამთიელისაგან, რომელსაც ჩემისთანა ადამიანის სულისკვეთების

---

[1] იხ. ივანე ჯავახიშვილი. წარსულის ფურცლები. პირადი მიმოწერა. ედიშერ ხოშტარია-ბროსეს გამოცემა, თბილისი, 1996, გვ. 12.

[2] შევნიშნავთ, რომ ამ პიროვნებას მავანი ცნობილი რუსი მეცნიერები ივანე ჯავახიშვილს უპირისპირებდნენ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში არჩევნებისას.

გაგებაც-კი არ შეუძლიან, რომლისთვისაც, რუსულის გარდა, სხვა ეროვნული კულტურისა და მეცნიერებისათვის ზრუნვა საძულველია"[1]. ამავე, 1937 წელს, გამოქვეყნებულ ივანე ჯავახიშვილისეულ ცნობილ საენათმეცნიერო ნაშრომში ვკითხულობთ: „სამწუხარო გარემოებაა, რომ აკად. ბროსეს ინტენსიური, გატაცებული მუშაობისდა მიუხედავად; ქართველთამცოდნეობამ ისევე, როგორც სომეხთამცოდნეობამ რუს ინტელიგენციაში არავითარი ინტერესი არ გამოიწვია, არც ერთი ამ ენათაგანი არც ერთ რუს მკვლევარს თავისი სამეცნიერო მუშაობის საგნად არ გაუხდია"[2].

ყოველივე ზემოაღნიშნული, ცხადია, სულაც არ ნიშნავს თითქოს ივანე ჯავახიშვილი საქართველოზე რუსეთის ზემოქმედებას აბსოლუტურად უარყოფითად აღიქვამდა და აფასებდა, არ (ანდა ვერ) ხედავდა რა ამ პროცესის დადებით შედეგებს 1801—1917 წლების განმავლობაში. ჯერ კიდევ ძმები გრანატებისა და კომპანიის ენციკლოპედიის მე-17 ტომში დაბეჭდილ მისეულ სტატიაში „საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა" (დაწერილია არა უგვიანეს 1912 წლისა) ვკითხულობთ, რომ 1840-იანი წლებიდან მოყოლებული ყოფა-ცხოვრების უწინდელი პატრიარქალურობა ჰქრებოდა, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება დიდ ცვლილებებს განიცდიდა, ძველი საფუძვლების დაშლა გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობდა[3]. საერთოდ, ივანე ჯავახიშვილისეული პოზიცია მოცემული საკითხის შესახებაც ძალზე ობიექტურია და შორსა დგას ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ცალმხრივი გაგებისაგან[4].

---

[1] იხ. ივანე ჯავახიშვილის წერილი, 1937 წლის 7 მარტისა, ვარლამ დონდუასადმი. იქვე გვ. 37.

[2] ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. X, 1992, გვ. 7.

[3] იხ. აგრეთვე БСЭ-ს პირველი გამოცემის მე-19 ტომი.

[4] სხვათა შორის, ისტორიკოსი პროკოფი რატიანი სავსებით გულწრფელად წერდა: „ივანე ჯავახიშვილი, მას რომ დასცლოდა, უთუოდ გადასინჯავდა თავის ძველ შემცდარ პოზიციას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში და არავითარ შემთხვევაში არ მოისურვებდა ხელახლა დაებეჭდა ზოგიერთი თავისი ადრინდელი ნაშრომი იმ სახით როგორც ამ ცოტა ხნის წინად (იგულისხმება V ტომის სიმონ ყაუხჩიშვილისეული 1953 წლის გამოცემა, გ. ყ.) დაიბეჭდა". იხ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1958, გვ. 264.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი

I. ვერ მოვატყუებთ ეთამომავლობას!

„ყამთააღმწერლობა ჭეშმარიტების მეტყველება არს, არა თუალახმა ვისიმე“.

ყამთააღმწერელი —
XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსი

წლების განმავლობაში ივანე ჯავახიშვილი საქართველოს საბჭოთა ხელისუფალთა და იდეოლოგოსთა მხრივ ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა, რაც გამოიხატებოდა პერმანენტულ იდეურ „მხილებებსა“ და „განადგურებებში“. დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის, ქართველი ერის სინდისის იმჟამინდელი განმასახიერებლის წინააღმდეგ ოთხჯერ მოაწყვეს სპეციალური იდეოლოგიური კამპანია. უკანასკნელად ამას ადგილი ჰქონდა 1936 წლის 23 მარტიდან მოყოლებული 2 აპრილის ჩათვლით. ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ მიმართული ამ უკანასკნელი საბჭოური იდეოლოგიური აქციის პერიპეტიებზე ჩვენ ვწერდით გაზეთ „თბილისში“ გასული წლის 31 დეკემბერს. ჩვენმა სტატიამ, სავსებით, გასაგები მიზეზების გამო, ისტორიკოსთა როგორც ჩანს საკმაოდ დიდ ნაწილში მწვავე რეაქცია გამოიწვია, რაც აისახა ბატონების: ედიშერ ხოშტარია-ბროსესა და ნოდარ ლომოურის გამოსვლებში[1]. სტატიების ავტორები აღშფოთებულნი არიან ხსენებული დისკუსიის დროს სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის მიერ დაკავებული პოზიციების ჩვენეული კრიტიკული გააზრებისა და შეფასების გამო. თურმე, ბატონ ნოდარ ლომოურის მტკიცებით, „საქმე ისაა, რომ გ. ყორანაშვილის მიზანი იმდენად დისკუსიის ობიექტური აღწერა-შეფასება კი არაა, რამდე-

---

[1] იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 15 IV, 1994 და „თბილისი“, 5 V, 1994. იხ. აგრეთვე ედიშერ ხოშტარია-ბროსეს სტატია „ბრძოლა ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის წინააღმდეგ 30-იანი წლების შუახანებში“, თსუ-ის „შრომები“, 321, 1996, ისტორიის... სერია.

ნადაც ივ. ჯავახიშვილის მოწაფეების, ჩვენი გამოჩენილი მეცნიერების ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის მრუდე სარკეში წარმოჩენა, განქიქება და მათი ვითომდა მაშინდელი ულირსი საქციელის მხილება".

ხატზე დაფიცება ამჯერად მოდაში არ არის, თორემ ვაღიარებდით, რომ ჩვენი მთავარი მიზანი გახლდათ ობიექტურად, დიდი რომაელი ისტორიკოსის კორნელიუს ტაციტუსისა არ იყოს, Sine ira et studio (გაბრაზებისა და მიკერძოების გარეშე) დაგვედგინა და გაგვეანალიზებინა შესაბამისი ფაქტები. ისტორიოგრაფია (საისტორიო მეცნიერება), ჩვენი მტკიცე შეხედულებით, მეცნიერება გახლავთ და ამდენად, მოვლენების ობიექტურ შესწავლას ისახავს მიზნად და არა რისიმე ან ვისიმე „ადვოკატობა-გამოსარჩლებას" (ივანე ჯავახიშვილის სიტყვებია). აქედან გამომდინარე, ისტორიკოსს უპრინციპო ადვოკატსავით წინასწარ როდი უნდა ჰქონდეს მიზანი დასახული, რომელზედაც ორიენტირებით იგი გაიაზრებს (დაადგენს კიდეც!) ფაქტებს და წარმართავს მსჯელობას. სწორედ ამგვარი მყარი ტრადიცია იყო დამკვიდრებული ე. წ. საბჭოურ მეცნიერებაში, რისი რეციდივებიც, დიდად სამწუხაროდ, ალბათ კიდევ დიდხანს შემორჩება კერძოდ, ქართულ ისტორიოგრაფიას. შეგონებისათვის აღვნიშნავთ, რომ მხოლოდ ისტორიკოსის სუბიექტივიზმში დადანაშაულება კი არაა მთავარი, არამედ უმთავრესია თვითონ ბრალმდებელს ჰქონდეს საფუძველი ნამდვილი ობიექტივიზმისა, რისთვისაც სათანადო აზროვნება, განწყობა და ზნეობრივი საყრდენები გახლავთ საჭირო.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ჩვენთვის საინტერესო მაშინდელ სიტუაციას. თბილისის უნივერსიტეტის იმჟამინდელმა რექტორმა პროფ. კარლო ორაგველიძემ (სპეციალობით პოლიტეკონომისტმა) მოინდომა კრიტიკულად მიმოეხილა ქართული ისტორიოგრაფიის მდგომარეობა და დაესახა მისი სამომავლო გზები. მან მოხერხებულად გამოიყენა საბჭოთა უმაღლეს ხელმძღვანელობაში ისტორიოგრაფიისადმი შეცვლილი (დადებითი აზრით) დამოკიდებულება და მკვეთრად დაუპირისპირდა ფილიპე მახარაძესა და მისთანებს ჩვენი ისტორისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების გამო. ამას რომ აკეთებდა, ცხადია, სამაგიეროდ ეყრდნობოდა ლავრენტი ბერიას პოლიტიკურ და „სამეცნიერო" ავტორიტეტს (ისტორიოგრაფიაში). კ. ორაგველიძის მცდელობა, იმისდა მიუხედავად ჰქონდა თუ არა მას ინტელექტუალური უფლება ქართული ისტორიოგრაფიის იმდროინდელი

მდგომარეობის გამაანალიზებლისა და შემფასებლის როლში გამოსულიყო, თავისთავად ასე თუ ისე ასატანი იქნებოდა, რომ არა მისი მწვავე გალაშქრება ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ; ფაქტობრივად მომხსენებლის გამოსვლის შინაარსი და პათოსი ჩვენი საამაყო მეცნიერისა და მამულიშვილის იდეური მხილება და განადგურება იყო.

ერთი სიტყვით, შეიქმნა მძიმე, კრიტიკული სიტუაცია, რომელშიც მკაცრი გამოცდა უნდა ჩაებარებინათ უპირველესად ქართველ ისტორიკოსებს. მათი ნაწილი საერთოდ მოერიდა დისკუსიაში თვით უბრალო მონაწილეობასაც (დასწრებასაც) კი, მეორენი თუმცა დაესწრნენ, მაგრამ „საჩოთირო" საკითხზე ლაპარაკს მოერიდნენ, მესამენი კი დადგნენ კ. ორაგველიძის, ამდენად, ოფიციალური ხელისუფლების მხარეზე. ამ უკანასკნელთა შორის, დიდად სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ ივანე ჯავახიშვილის ყოფილი, ნიჭიერებით გამორჩეული მოწაფეები, სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი. შექმნილი ვითარება, სკილასა და ქარიბდის მაგვარი, ისტორიკოსებს კარნახობდა დამდგარიყვნენ ან ოფიციალური ხელისუფლების ან ივანე ჯავახიშვილის მხარეზე: პირველი პოზიცია, ცხადია, მომგებიანი იყო სარგებლიანობის, კარიერიზმის, ხოლო მეორე — ზნეობის თვალსაზრისით. სხვა რეალური გამოსავალი გამორიცხული იყო, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ კ. ორაგველიძე და სხვა იმჟამინდელი ბოლშევიკ-კომუნისტი პოლიტიკოსები და იდეოლოგოსები იმდენად გაუნათლებლები და მიამიტნი როდი იყვნენ, რომ ადვილად შესაძლებელი ყოფილიყო მათი გაბრიყვება-გაცუცურაკება. ასე რომ, ერთდროულად მათი გულის მოგებაც და ივანე ჯავახიშვილის დაცვაც შეუძლებელი რამ გახლდათ. თუ ჩვენს ოპონენტებს დავუჯერებთ, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილს ღირსეულად გაუვლიათ „სკილასა და ქარიბდას" შორის: დაუშოშმინებიათ კომუნისტური ხელისუფალნიც და ამასთან ერთად, კიდევაც დაუცავთ ივანე ჯავახიშვილის ღირსება და ნაშრომ-ნაღვაწი.

რა თქმა უნდა, თვითონ კ. ორაგველიძესა და მისთანებს სრულიადაც არ შეჰპარვიათ ეჭვი სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის „ჭკვიანურ", „გონივრულ" ქცევაში, რასაც ადასტურებს განსაკუთრებით უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის კ. ორაგველიძის საბოლოო გამოსვლა. ჩვენი ოპონენტები კი გვსაყვედურობენ, რომ

ვერ გაგვიგია ან გაზრახ ვამახინჯებთ მაშინდელი სიტუაციის არსს: თურმე სიმონ ჯანაშიას (განსაკუთრებით) და ნიკო ბერძენიშვილს თავიანთ გამოსვლებში ნამდვილად დაუცავთ თავიანთი მასწავლებელი!

რასაკვირველია, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის გამოსვლებში ივანე ჯავახიშვილი აღიარებული იყო როგორც დიდი ერუდიტი და ფაქტოლოგოსი, რომელსაც ამდენად, თვალსაჩინო დამსახურება მიუძღოდა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში, მაგრამ დისკუსიის მონაწილეთაგან (მათ შორის გამომსვლელთაგან) განა იყო ვინმე ისეთი ჭკუათმყოფელი, რომელიც პირწმინდად, აბსოლუტურად უარყოფდა ივანე ჯავახიშვილის, ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ ღვაწლს ქართულ ისტორიოგრაფიაში, კერძოდ, მის დიდ ერუდიტობასა და ფაქტოლოგოსობას? მაგალითისათვის მივუთითებთ ივანე ჯავახიშვილის მძვინვარე ოპონენტის კარლო ორაგველიძის სიტყვებს: „არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ჯავახიშვილი აკეთებდა სასარგებლო საქმეს, როდესაც იგი ფაქტებს აგროვებდა და მათ ერთნაირ სისტემატიზაციას ახდენდა. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ჯერ კიდევ თითქმის სავსებით სელუსლებელი ემპირიული მასალების შესწავლის მხრივ ივ. ჯავახიშვილს მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის. სწორია ისიც, რომ ჯავახიშვილი თავის წინამორბედებზე მაღლა დგას"[1]; „ვისაც უნდა შეისწავლოს და შეაფასოს საქართველოს ისტორიის თანამედროვე მდგომარეობა, მას არ შეუძლია გვერდი აუაროს ისეთ ისტორიკოსს, როგორიცაა პროფ. ივ. ჯავახიშვილი. მას მრავალი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული საქართველოს ისტორიის შესახებ და თავისი მიმდევრებიც ჰყავს. შეიძლება ითქვას, რომ დღესაც საქართველოს ისტორიულ ლიტერატურაში ივანე ჯავახიშვილს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს"[2]; „პროფესორ ჯავახიშვილის ნაშრომებს საქართველოს საისტორიო ლიტერატურაში დღესდღეობით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს"[3].

მანამდე, ხუთი წლით ადრე, ივანე ჯავახიშვილის არანაკლებ სასტიკი მოწინააღმდეგე ივანე ვაშაყმაძე წერდა: „ფაქტების შეგროვების

---

[1] იხ. კ. ორაგველიძე, საქართველოს ისტორიის საკითხისათვის, ტფილისი, 1936, გვ. 10.

[2] იქვე, გვ. 11.

[3] იქვე, გვ. 60—61.

მხრივ ივ. ჯავახიშვილს აქვს დიდი ღვაწლი"[1]. ფაქტია, რომ კარლო ორაგველიძე ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტის დატოვების (თავისი ნებით) შემდგომ არაერთგზის სთხოვდა ლექციების წაკითხვას ამ დაწესებულებაში. ასევე არნაკლებ დაუნდობელი ოპონენტი გიორგი სოსელია რამდენჯერმე ადასტურებდა თავის თანხმობას ივანე ჯავახიშვილის ზოგიერთ მოსაზრებასთან სტრაბონის ხანის იბერიის (ქართლის) საზოგადოებრივი წყობილების გაგებაში. ამდენად, არასწორია მტკიცება თითქოს კ. ორაგველიძეს „ივანე ჯავახიშვილის ნამოღვაწეისა და ნაშრომის ერთმნიშვნელოვანი ნეგატიური შეფასება" ჰქონდა (ბ-ნი ედიშერ ხოშტარია-ბროსე); რომ „ორაგველიძეები, ციხისთავები, სოსელიები და ტალახაძეები ცოფმორეულნი უარყოფდნენ ჯავახიშვილის მემკვიდრეობაში რაიმე ფასეულს, ღირებულს" (ბ-ნი ნოდარ ლომოური).

გამომსვლელთა აბსოლუტურ უმრავლესობას (პროფ. გრიგოლ ნათაძის გარდა) თუ დავუჯერებთ, ივანე ჯავახიშვილს მხოლოდ შესაბამისი კლასობრივი და ნაციონალისტური მსოფლმხედველობა ჰქონდა და მის მეთოდოლოგიაზე ლაპარაკი გამორიცხული იყო. მაგრამ რაღა იმ დროზე ვლაპარაკობთ, როცა ათეული წლების შემდგომაც კი მომავალ ქართველ ისტორიკოსებს გულმოდგინედ, დაჟინებით გვინერგავდნენ აზრს იმის შესახებ, რომ ივანე ჯავახიშვილისათვის უმთავრესი საქმე საისტორიო წყაროების კრიტიკული განხილვა და ნაღდი, უტყუარი ფაქტების დადგენა იყო. სწორედ ბედის ირონიაა, რომ მაშინ როდესაც ჩვენი დიდი ისტორიკოსი ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა ძველ ქართველ ისტორიკოსთა მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის წარმოჩენას, თვითონ მას კი ამ თვალსაზრისით ისტორიკოსები არ სწყალობენ. დღემდე, დიდად სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, ერთი მცირე მოცულობის სერიოზული ნაშრომიც კი არ გაგვაჩნია, სადაც განხილული იქნებოდა ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობა და მეთოდოლოგია. მეტსაც ვიტყოდით, თვით ისტორიკოსების მიერ დიდი მეცნიერისა და ეროვნული მოღვაწის ბიოგრაფიაც კი სათანადოდ როდი გახლავთ წარმოდგენილი. აშ მხრივ თვალსაჩინოა პროფესიით იურისტის, ბატონ სერგო ჯორბენაძის დამსახურება წიგნით „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახი-

---

[1] იხ. მისი სტატია „ათი წელი საბჭოთა მეცნიერებისა საქართველოში", „მნათობი", 1931, № 1-2, გვ. 209.

შვილისა“ (თუმცა იმხანად, ავტორს სურვილი რომც ჰქონოდა, შეუძლებელი იყო, საბჭოური იდეოლოგიისა და რეჟიმის მიზეზით, ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების „საჩოთირო“ მომენტების გამომზეურება).

როცა ივანე ჯავახიშვილს აღნიშნული თვალსაზრისით აკრიტიკებდნენ კ. ორაგველიძე, გ. სოსელია, ი. ტალახაძე, (მანამდე ი. ვაშაყმაძე) და სხვები, ამის გაგება რაღაცნაირად კიდევ შეიძლება — მათ ხომ სათანადო ცოდნა და სურვილი არა ჰქონიათ საკითხის მთელი სიგრძე-სიგანით გასაცნობიერებლად. მაგრამ ივანე ჯავახიშვილის ყოფილ მოწაფეებს ხომ უნდა ჰქონოდათ საკმაოდ გარკვეული წარმოდგენა მის თაობაზე. კერძოდ, ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტში წლების განმავლობაში მიჰყავდა სპეციალური კურსი ისტორიის მეთოდოლოგიაში. იგი ასევე დიდ ინტერესს იჩენდა ისტორიის ფილოსოფიისადმი და ამ უკანასკნელის დაფუძნებას საქართველოს ისტორიის მაგალითზე ქართული ისტორიოგრაფიის (შესაძლოა ქართული ფილოსოფიისაც) უზენაეს მიზნად სახავდა. ჩვენი დიდი ისტორიკოსი და ეროვნული მოღვაწე უარყოფდა რასისტულ მსოფლმხედველობას, შოვინიზმს (რასაც, კერძოდ, სომხეთის მიმართ ტყუილუბრალოდ უკიჟინებდნენ), აღმოსავლეთის შესახებ პრიმიტიულ ევროპროცენტრისტულ წარმოდგენებს, თვალსაჩინო როლს მიაგებდა გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობას საქართველოს ისტორიულ პროცესში, მთელი სიცხადით აღიარებდა ჩვენი საზოგადოების დაყოფას სოციალურ კლასებად და წოდებებად (ცხადია, პირველყოფილი, „გვაროვნული“ საზოგადოების დაშლის შემდეგ). ისიც კარგად უწყოდა, რომ ურთიერთობა ამ უკანასკნელთა შორის ხშირად მწვავე ბრძოლებში ვლინდებოდა (სხვას რომ თავი დავანებოთ, სწორედ უნივერსიტეტის გამომცემლობამ 1934 წელს ცალკე ბროშურად გამოაქვეყნა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „სოციალური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში IX—XIII საუკუნეებში“[1]), თუმცა საგა-

---

[1] აქ დიდად უპრიანია მოვიტანოთ ამონარიდი ივანე ჯავახიშვილის წერილიდან აკად. ბორის გრეკოვისადმი, რომელიც 1939 წლის 1 ივლისს არის დაწერილი და ეხება „სსრკ ხალხთა ისტორიის“ შვიდტომეულის მეორე ტომის მაკეტს: „თითქმის არაფერი არ არის ნათქვამი სომხეთში გლეხთა გამოსვლების შესახებ, გლეხებსა და მონასტრებს, ეპისკოპოსებს შორის წინააღმდეგობებზე. მაშინ, როცა ამის შესახებ დაბეჭდილი გამოკვლევებია, რომლებიც სომხეთის შესახებ თავების ავტორების მიერ არ არის გამოყენებული. უცნაურია ყოველივე ამის შემდეგ შეავსო ამგვარი ხარვეზი ფაქტობრივი მიმოხილვით საზოგადოებრივ წესწყობილებაზე და სო-

რეო ფაქტორის წყალობით ეს ბრძოლა ხშირად შერბილებული იყო. ივანე ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა ეროვნული გრძნობისა და შეგნების დიდ მნიშვნელობას, გულთან ახლოს მიჰქონდა ქართველობის ფართო მასის ინტერესები და ა. შ.

ვიმეორებთ, ყოველივე ამაზე ხომ პირველ რიგში სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილს უნდა ელაპარაკათ. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ამის თაობაზე დისკუსიის დროს კრინტიც კი არ დაუძრავთ. ალბათ ჩემი ოპონენტები გვიპასუხებენ, რომ სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი ასე განგებ მოიქცნენ, რადგან არ სურდათ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" გაღიზიანება. მეტიც, თითქოსდა ამგვარი ლავირების წყალობით სიმონ ჯანაშია, ბერიას მეშვეობით, დაეხმარა ივანე ჯავახიშვილს ფიზიკურად გადარჩენილიყო. იქნებ ნიკო ბერძენიშვილის მხრიდან გამართლებული „ტაქტიკური სვლა" იყო მისი სიტყვები იმის შესახებ, რომ ივანე ჯავახიშვილმა თითქოს „ქართული ისტორიოგრაფია სამარცხვინო ჩამორჩენილობიდან ვერ გამოიყვანა", რის შედეგადაც „ქართული ისტორიოგრაფია სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა"? ნუთუ არავითარი კონფორმისტული და ანტიჯავახიშვილური არ მჟღავნდებოდა მისეულ სიტყვებში: „ქართველი ერის ისტორიის" ავტორი ღვიძლი შვილია წვრილ ბურჟუაზიულ-ქართულ ინტელიგენციის ოჯახისა და მისი ინდივიდუალისტურ-იდეალისტურ მსოფლმხედველობით მოწინავე ისტორიოგრაფიის შე-

---

ციალური მოძრაობის ისტორიაში არაკებითა და იგავებით, რომელიც კარგი იქნებოდა როგორც მხოლოდ საილუსტრაციო მასალა ფაქტიურ მასალისა". იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ივანე ჯავახიშვილისეული ფონდი, საქმე № 1388.

თუმცა ივანე ჯავახიშვილის აზრით „ადამიანთა შორის სრული და მკვეთრი ინტერესთა წინააღმდეგობა აბსტრაქტული მსჯელობის ნაყოფია უფრო, ვინემ ცხოვრების უტყუარი სინამდვილე", რევოლუცია კი „იმ იშვიათ შემთხვევებში ხდება, როდესაც დროებითი და განსაზღვრული მიზნით, ინტერესთა გაერთიანება მკაფიოდ ჩამოყალიბდება და ორ შეუთანხმებელ ბანაკად დარაზმულობა მოხდება ხოლმე". იხ. ივ. ჯავახიშვილის ჩანაწერები ისტორიის მეთოდოლოგიასა და ისტორიის ფილოსოფიაზე (ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილისეული ფონდი, საქმე № 665, ფურც. 47). სხვათა შორის, რამდენადაც ზეპირგადმოცემებით (პროფესორების ლეონ მელიქსეთ-ბეგისა და ალექსანდრე ღლონტისაგან) ვიცით, ივანე ჯავახიშვილს უარი განუცხადებია სიმონ ჯანაშიას სადოქტორო დისერტაციის ოპონენტობაზე, რამეთუ იგი არ იზიარებდა სოციალური რევოლუციის მოხდენას VI ს.-ის დასაწყისის საქართველოში და ამის მტკიცება მიაჩნდა არა ისტორიულ სინამდვილედ, არამედ განსაზღვრული თეორიიდან გამომდინარე სასურველ მოვლენად.

ქმნა ამ მარქსიზმის ეპოქაში, რა თქმა უნდა, მას არ შეეძლო"? ერთი სიტყვით, მსგავსი „ტაქტიკური სვლის" გაკეთება ისევე გაუგებრად მიგვაჩნია, როგორც ერთი ქართველი „პოლიტიკოსის" ლაჩრული საქციელი 1978 წელს... ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გადასარჩენად. მაგრამ ლოგიკის საწინააღმდეგოდ ადამიანის ბუნებაში არის ფსიქოლოგიური მზაობა დაუჯერებლის დაჯერებისა! ორივე მაგალითი ამის ნათელი დადასტურება გახლავთ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი ოპონენტების ლოგიკით, თუ დისკუსიის მსვლელობისას ვინმე „თავზეხელაღებული" გამოჩნდებოდა და ივანე ჯავახიშვილს ჯეროვნად დაიცავდა, ეს თურმე უადგილო (იქნებ „პროვოკატორულიც?") და თვითონ „ბრალდებულის" საწინააღმდეგო ქმედება იქნებოდა. მაგრამ ჩვენ არ გვესმის ამგვარი ლოგიკისა და მის თაობაზე დაე თვითონ მკითხველმა განსაჯოს[1].

თურმე, თუ ბ-ნ ედიშერ სოშტარია-ბროსესა და ბ-ნ ნოდარ ლომოურს ვერწმუნებით, დისკუსიის დროს სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის საქციელის საზრისის გაგებაში ცდებოდნენ არა მხოლოდ მაშინდელი და დღევანდელი მავანი მოკვდავნი, არამედ თვითონ ივანე ჯავახიშვილიც. ჩვენ უკვე აღვნიშნავდით თუ როგორი გულისტკივილით სწერდა იგი ამის თაობაზე ვარლამ დონდუას 1936 წლის 12 აპრილს. კერძოდ, ბ-ნი ნოდარ ლომოური წერს: „მაგრამ ივანე ჯავახიშვილის რეაქცია იმხანად თუმცა სრულიად გასაგებია, ობიექტურად ვერ ჩაითვლება. ჯერ ერთი, უსამართლო კრიტიკამ, მის მიმართ აშკარა უმადურობამ, იგი ისე შეურაცხყო და გაანაწყენა, რომ ამ კრიტიკაში ნებისმიერმა მონაწილეობამ მისი მოწაფეებისა მას დიდად დასწყვიტა გული". მაგრამ ისტორიკოსი, მით უმეტეს ივანე ჯავახიშვილის მასშტაბისა, რა ისტორიკოსი, თუ მას თვალწინ განვითარებული საკმაოდ მარტივი მოვლენების საზრი-

---

[1] ჩემს ოპონენტებს მოვაგონებდით ქალბატონ ფატი გოკიელის საქციელს. როდესაც 1927 წლის შემოდგომაზე მას, როგორც ასპირანტს შესთავაზეს (კერძოდ, პრორექტორმა კ. სულაქველიძემ) თავისი მასწავლებლის, პროფ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილის წინააღმდეგ გამოსვლა, მან დიდი სიამაყის გრძნობით უარი განაცხადა და იგი იმით დაასაბუთა, რომ „მაშინ საკუთარი თავისადმი პატივისცემას დავკარგავ, ეს კი ყველაზე საშინელია, რაც კი შეიძლება დაემართოს ადამიანს"-ო. ამ ინციდენტის შემდგომ ამაყ ქალბატონს დიდი ხნით მოუწია უნივერსიტეტის დატოვება და ამით იურისტის კარიერის მიტოვება. მაგრამ გააჩნია თუ რას უფრო ამჯობინებენ ადამიანები— კარიერას თუ „საკუთარი თავისადმი პატივისცემას"?!

სის გაცნობიერებაც კი არ ძალუძს. თანაც ივანე ჯავახიშვილმა თურმე „იმხანად მხოლოდ სხვათა მონაყოლით იცოდა ჯანაშია-ბერძენიშვილის დისკუსიაზე გამოსვლათა შინაარსი"[1]. ამდენად ივანე ჯავახიშვილს ყოფილ მოწაფეთა გამოსვლების შინაარსიც კი კარგა ხნის მანძილზე ვერ დაუდგენია და მით უფრო ვერ გაუგია და ვერ შეუფასებია!

ბატონ ედიშერ ხოშტარია-ბროსეს მტკიცებით, „ამ დროს (1937—1938 წწ.) მიმოწერა ივანე ჯავახიშვილსა და სიმონ ჯანაშიას შორის მოწმობს, რომ ბატონ ივანეს ამჯერად უკვე ბოლომდე ჰქონდა გათვითცნობიერებული წინა პერიოდის მძიმე მოვლენების მიზეზი და ხასიათი". მკითხველებს შევახსენებთ, რომ ივანე ჯავახიშვილმა სიმონ ჯანაშიასთან მიმოწერა განაახლა 1937 წლის 19 ივნისს (საერთოდ ეს მიმოწერა დაიწყო 1926 წლის 23 იანვრიდან და შეწყდა 1931 წლის 12 აპრილს, რის მიზეზის დადგენაც დაინტერესებული, ობიექტური ადამიანისათვის ძნელი არ უნდა იყოს). ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ივანე ჯავახიშვილმა, მისთვის ჩვეული ჰუმანურობისა და გულმოწყალების გამოისობით, სიმონ ჯანაშიას აპატია, შეუნდო ძველი შეცოდება. და თუ ზეპირ გადმოცემას მოვიხმობთ, ამით სიმონ ჯანაშიას დიდი შვება უგრძვნია.

სხვათაგან განსხვავებით, ბ-ნ ედიშერ ხოშტარია-ბროსეს მტკიცებით, სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი თურმე „მარქსისტული მეთოდოლოგიის რაციონალურად ათვისებით" და არა ვულგარული მარქსიზმის პოზიციიდან ცდილობდნენ ივანე ჯავახიშვილის კრიტიკას, ქართული ისტორიოგრაფიის ახალი საფეხურის დამკვიდრებას. მაგრამ მარქსიზმის, როგორც თეორიისა და მეთოდოლოგიის შიგნით იმხანად ასეთ დიფერენციაციაზე მსჯელობა აბსოლუტურად უადგილოა. სამწუხაროდ, სიმონ ჯანაშიაც და ნიკო ბერძენიშვილიც ვერც მაშინ და ვერც შემდგომ ვერ გამოდიოდნენ უაღრესად გამარტივებული, შაბლონური საბჭოური მარქსიზმიდან, უფრო ზუსტად მარქსიზმ-ლენინიზმიდან (სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძე ჟორდანიასთან პოლემიკაში აღნიშნავდა „რუსულ მარქსიზმს" და მას მკვეთრად გამიჯნავდა ავთენტური მარქსიზმისაგან, შესაბამისად, იგი ქართველ სოციალ-დემოკრატებს „რუსული მარქსიზმის თუთიყუშებად" მიიჩნევდა. მით უფრო მეტად გავულგარებული, კარიკატუ-

---

[1] იხ. მისივე სტატია.

რული სახე მიიღო „სოვეტომარქსიზმმა“, რითაც კერძოდ, ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ისტორიული პროცესის გაგება-გააზრებას ცდილობდნენ. შეგახსენებთ იმასაც, რომ სწორედ სიმონ ჯანაშიას ეკუთვნის გ. მ. გაკისა და მ. ბ. ვოლფსონის პრიმიტიული გავულგარებული სახელმძღვანელოს — „ისტორიული მატერიალიზმის“ ქართული თარგმანი, რომელიც 1932 წელს დაიბეჭდა).

ასე გრძელდებოდა მრავალი ათეული წლის განმავლობაში და ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის ფარგლებიდან გამოსვლას ქართველი ისტორიკოსები ვერც ამჯერად ახერხებდნენ. თუმცა ისინი, მხოლოდ კონიუნქტურული მოსაზრებით კი არა, გულწრფელად, დიდი რიხით გახაზავდნენ ხოლმე ქართული ისტორიორგაფიის დიდ აყვავებას უკვე 30-იან წლებში სწორედ მარქსიზმ-ლენინიზმის, მისი მეთოდის (?!) დანერგვის შედეგად. ასე რომ, ამ თვალსაზრისითაც ჩვენთვის ძნელია გავიზიაროთ ბ-ნ ედიშერ ხოშტარია-ბროსეს სტატიის „ქართული ისტორიოგრაფიის მძიმე დღეები“ დედააზრი ან ამ „მძიმე დღების“ ფონზე საკითხავია თუ როგორ უნდა გავიგოთ დიდად მაჟორული სულისკვეთებით დაწერილი სიტყვები: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პირველი ათეული წელი ჩვენი ისტორიული მეცნიერებისათვის ახალი გზების ძიების და ძველ მიმართულებათა (?) ბრძოლის, მარქსისტული ისტორიოგრაფიის შექმნის პირველი ეტაპის ხანა იყო. 30-იანი წლებიდან ფაქტიურად ყალიბდება მარქსისტული, საბჭოური ქართული ისტორიოგრაფია. რასაკვირველია, მთლიანად ჯერ კიდევ არ არის დაძლეული ძველი გადმონაშთები (!?), მაგრამ ქართველ ისტორიკოსებს უკვე ძირითადად გზა აქვთ აღებული. ამის შედეგად ფაკულტეტზე (იგულისხმება თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტი, გ. ყ.) გამოიყოფა ძირითადი, წამყვანი პრობლემები, მუშავდება კარდინალური საკითხები, იქმნება მარქსისტულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული გამოკვლევები, სტატიები, მონოგრაფიები. სულ უფრო მაღლდება ისტორიკოსთა კადრების მეცნიერული კვალიფიკაცია, იზრდება რაოდენობრივად და მნიშვნელობითაც სამეცნიერო პროდუქცია, იზრდება უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საერთო ავტორიტეტი“[1].

---

[1] იხ. დავით გვრიტიშვილისა და ნოდარ ლომოურის ერთობლივი სტატია „ისტორიულ მეცნიერებათა მიღწევები“ კრებულში „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავზე“, თბილისი, 1957 გვ. 43.

მაგრამ ხომ ნათლად გამოჩნდა, ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის — საბჭოური იდეოლოგიის საყრდენის არარაობა. მაშ რა ფილოსოფიურ, მეთოდოლოგიურ საფუძველზე მოხდა ივანე ჯავახიშვილის შემდგომი, ახალი ეტაპის დამკვიდრება ქართულ ისტორიოგრაფიაში? სამწუხაროდ, ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე მსჯელობა ქართველ ისტორიკოსთა შორის დღემდე ვერ ხერხდება. დავუბრუნდებით წინათქმულს და მოვიტანთ ჩემი პირველი ოპონენტის აზრს: „დისკუსიის ორგანიზატორების ამოცანა იყო ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის ანტიმარქსისტული, მეთოდოლოგიურად მავნე ბუნების „მხილება“ და „განადგურება“, როგორც ეს არა ერთხელ გაისმა მოხსენებაშიც და გამოსვლებშიც“. მაგრამ ჩვენთვის კვლავ გაუგებარია როგორ მოხდა ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებზე მდგარი სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის მეთოდოლოგიური კრიტიკა, ან როცა ეს უკანასკნელნი ფილოსოფიურად და მეთოდოლოგიურად ასე გაემიჯნენ ივანე ჯავახიშვილს, როგორ იქნა შენარჩუნებული „ივანე ჯავახიშვილის სკოლა“. თუმცა ამ მხრივ ჩვენი მეორე ოპონენტის — ბატონ ნოდარ ლომოურის შეხედულება უფრო განსხვავებულია; იგი აღნიშნავს „ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, მათი თანამოღვაწეების, მათ მიერ შექმნილ სკოლას“. მაგრამ მრავალ კითხვასთან ერთად საკითხავია, თუ როგორ შეიქმნა ერთი სკოლა, ამჯერად ივანე ჯავახიშვილისეულისაგან განსხვავებული, მრავალ პირთაგან.

როდესაც დისკუსიაზე სიმონ ჯანაშია ივანე ჯავახიშვილის ნაციონალიზმს აღნიშნავდა, ამის თაობაზე მსმენელთ არავითარი ეჭვები არ აღეძვროდათ, თვლიდნენ რა, რომ აღნიშნულ ტერმინში მოიაზრებოდა ოდიოზური მნიშვნელობა. შესაბამისად, გამოირიცხებოდა გაგება ნაციონალიზმისა როგორც პატრიოტიზმისა. ამ შემთხვევაშიც, თუ ჩვენს ოპონენტებს დავუჯერებთ, სიმონ ჯანაშიამ შესძლო კ. ორაგველიძისა და სხვათა გაცურება-გაცუცურაკება: „ნაციონალიზმი“ იგულისხმა ჯანსაღი დადებითი აზრით, არა ე. წ. ბურჟუაზიული და მით უმეტეს ფეოდალური „ნაციონალიზმის“ შინაარსით და იგი დაუკავშირა ილიასეულ მიმართულებას. თანაც, მოგეხსენებათ, ილიაც და მისი მიმართულებაც დიდი ხნის მანძილზე ოდიოზურად ითვლებოდა. პრიმიტიული, ვულგარული მარქსისტული სოციოლოგიზმის თანახმად ილია განიხილებოდა პროგრესული (!) თავადაზნაურული ფენის წარმომადგენლად (ასევე აკეთებდა, როგორც ჩანს,

სიმონ ჯანაშიაც) და მისი აზროვნებაც შესაბამისი შინარსით გაიაზ-
რებოდა (პარალელურად და ისტორიულ-ლოგიკური თანამიმდევრო-
ბით საქართველოში თითქოს არსებობდა ბურჟუაზიული და სოციალ-
დემოკრატიული, პროლეტარული მიმართულებაც). მხოლოდ ილიას
დაბადების ასი წლისთავის მზადებასთან დაკავშირებით, „პრავდაში"
ცნობილი წერილის გამოქვეყნების შემდეგ, ილია წარმოადგინეს „სა-
ქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდეს მო-
ღვაწედ მეცხრამეტე საუკუნეში", და ამდენად, დადებით მოვლენად,
მაგრამ ეს მოხდა დისკუსიის შემდეგ ხანებში, 1936 წლის 29 მაისის
შემდგომ[1].

მთელი გარკვეულობით აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად კ. ორა-
გველიძესთან სოლიდარობისა ივანე ჯავახიშვილისადმი კრიტიკულ
დამოკიდებულებაში, სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი მაინც
სხვაგვარი სულისკვეთებისა და ეროვნული განწყობისა იყვნენ, ვიდ-
რე დისკუსიაში მონაწილე Homo sovieticus-ები და საერთოდ ერთ
პლანზე მათი დაყენება არ შეიძლება. მაგრამ ზემოთქმულიდან გამომ-
დინარე, მაინც არალოგიკურად მიგვაჩნია განცხადება: „მათი (სიმონ
ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის, გ. ყ.) ამ ღვაწლის დაუფასებ-
ლობა, რბილად რომ ვთქვათ, უმადურობა, ან არაკომპეტენტურობა
იქნებოდა" (ბ-ნი ნოდარ ლომოური). მაგრამ საკითხის ამ მხარეზე ამ-
ჯერად აღარ შევჩერდებით.

ჩვენი ოპონენტები, განსაკუთრებით ბ-ნი ნოდარ ლომოური, კვლავ
იმეორებენ ჩვენში საკმაოდ ფეხმოკიდებულ მოსაზრებას ივანე ჯავა-
ხიშვილის ფიზიკურ გადარჩენაში სიმონ ჯანაშიას უდიდეს დამსახუ-
რებაზე, თითქოს ამ უკანასკნელმა ეს შესძლო ლ. ბერიაზე ზემოქმე-
დებით. ვფიქრობთ, რომ საქმე სხვა რამეში გახლავთ. 1935—37
წლებში ივანე ჯავახიშვილთან კონტაქტები განაახლა ისტორიკოსმა
(ძველი აღმოსავლეთისა) და საკმაოდ თვალსაჩინო საბჭოთა პრაქტი-
კულმა მოღვაწემ, ი. ბ. სტალინის ცოლისძმამ ალექსანდრე სვანიძემ,

---

[1] საკითხზე ჩვენი უფრო დაზუსტებული პოზიციის თაობაზე იხილეთ ზემოთ. ჯავახიშვილის ნეკროლოგში სიმონ ჯანაშია ტერმინებს „ნაციონალისტურს" და სხვათა შორის, მიუხედავად ზემო აღნიშნულისა, 1940 წელს გამოქვეყნებულ ივანე „ნაციონალიზმს" კვლავ ბოლშევიკ-კომუნისტებისათვის დამახასიათებელი აზრით ხმარობდა. იხ. შრომები, ტ. V, 1987, გვ. 392—94.

რომელმაც, აგრეთვე ძველი ნაცნობობის გამო, გულთან ახლოს მიიტანა დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის ძნელბედობა[1]. როგორც ჩანს, ივი შეეცადა კიდეც მას დახმარებოდა ი. ბ. სტალინის მეშვეობით. „ბელადს" კი ამ პერიოდში ცხოველი ინტერესი აღეძრა ქართული კულტურის, საქართველოს ისტორიის, კერძოდ, რუსთაველისა და ილიას მიმართ. მიზეზი ამისა ის გახლდათ, რომ რუსული ემიგრაცია (პ. მილიუკოვი, ლ. ტროცკი და სხვ.) ლაფში სვრიდა ი. ბ. სტალინს „ველური" საქართველოდან წარმომავლობის გამოც. ამიტომ მას ესაჭიროებოდა „ეროვნული რეაბილიტაცია" და აღნიშნული არგუმენტის გაბათილება. ამგვარად მოხდა ი. ბ. სტალინის „პატრიოტული" გრძნობებისა და შეგნების გაღვივება-გამოღვიძება.

აღნიშნულის გამოისობით მოხდა, რომ როდესაც 1937 წელს დაიწყო მზადება საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში ახალი წევრების ასარჩევად დაისვა საკითხი ივანე ჯავახიშვილის კანდიდატურის წარდგენისა. ამ წლის დასაწყისში ვარლამ დონდუას აკადემიკოს იოსებ ორბელისაგან დაევალა გაემზადებინა ივანე ჯავახიშვილის შრომების სია აკადემიაში მის სამომავლო წარდგენასთან დაკავშირებით. ამავე წლის 12 მარტს ლენინგრადიდან გამოგზავნილ წერილში ვარლამ დონდუა ივანე ჯავახიშვილს ატყობინებდა, რომ, როგორც ჩანს, პრაქტიკულად დგებაო აკადემიაში მისი წარდგენის საკითხი. ამის წამოწყება კი ლ. ბერიას ამ დროს, ცხადია, არ ხელეწიფებოდა, ეს უნდა გადაწყვეტილიყო ბევრად უფრო მაღალ, ი. ბ. სტალინის ძალაუფლების დონეზე.

ივანე ჯავახიშვილისადმი ინტერესი გაიზარდა სხვა მხრივაც, შოთა რუსთაველის იუბილეს მზადებასთან დაკავშირებით საჭირო გახდა ივანე ჯავახიშვილის, როგორც შეუცვლელი პიროვნების სათანადო ცოდნის გამოყენება. მართლაც, იმხანად საქართველოში არ ყოფილა ისტორიკოსი, რომელიც სათანადოდ შესძლებდა შესაბამისი ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული იერსახის (უფრო სწორად ფონის) წარმოჩენას. ამის შესახებ 1936 წლის 29 მაისს ივანე ჯავახიშვილი ვარლამ დონდუას ასე სწერდა: „...რაკი საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა და ნივთიერი კულტურის ისტორიაზე ჩემს

---

[1] ამ საკითხზე იხ. სერგო ჯორბენაძის წიგნი „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა", თბილისი, 1983, გვ. 534—38.

გარდა არავინ მუშაობს, ამიტომ უნებლიეთ ამ მძიმე ტვირთის აღება მომიხდა და პასუხსაგები საქმის („ქართული კულტურა XI—XIII სს.") მოწყობის ხელმძღვანელობა დამაწვა"; „რასაკვირველია, ხელმძღვანელობის გაწევა, რაკი ამ დარგში მომზადებული პირები არ გვყვანან, უმეტესად მე მომიხდება". შემდეგში ივანე ჯავახიშვილსავე, როგორც დიდი ფილოლოგიური მომზადების პირს, დაავალეს ძველ ქართველ ისტორიკოსთა თხზულებათა გამოცემა, ასევე ლიდერის როლი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნაში. ამდენად, „სამართალმა პური ჭამა" და ყველამ დაინახა, რომ ივანე ჯავახიშვილს ქართულ ისტორიოგრაფიაში სერიოზული კონკურენტი არა ჰყავდა.

ერთ გარემოებასაც აღვნიშნავთ. ფაქტია, რომ ი. ბ. სტალინს გარკვეულად ახასიათებდა კუთხური (ქართლური) „პატრიოტული შეგნება". აქედან გამომდინარე და იქიდან, რომ მის გარემოცვაში საკმაოდ იყვნენ აღნიშნული კუთხის წარმომადგენლები — ალექსანდრე და ვასილ ეგნატაშვილები, გიორგი ელისაბედაშვილი, პეტრე კაპანაძე, ნიკოლოზ ყიფშიძე და მიხეილ წინამძღვრიშვილი, რომლებიც შეეცდებოდნენ ივანე ჯავახიშვილის დამსახურების წარმოჩენას „ხალხთა ბელადის" თვალში, ეს უკანასკნელი ამ მხრივაც შეეცდებოდა თავი გამოედო დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილისათვის.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მხრივ დიდმა დაინტერესებამ, რასაც მალე მისი წევრად არჩევა მოჰყვა, გამოიწვია ივანე ჯავახიშვილის სახელისა და ავტორიტეტის თვალსაჩინოდ აწევა. შეგახსენებთ, რომ ერთი წლის წინათ იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, შემდეგ კი მისი პრეზიდიუმის წევრადაც აირჩიეს. ყოველივე ამაში, ვიმეორებთ ლ. ბერიასა და სიმონ ჯანაშიას წვლილი, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ მოკრძალებული უნდა ყოფილიყო.

რაკი შევეცადეთ გულახდილობის ტალღაზე განწყობა-განწყობილებას, შევეხებით სხვა ფაქტებსაც, რაც გარკვეულწილად ახასიათებს, წარმოაჩენს ივანე ჯავახიშვილისადმი ნიკო ბერძენიშვილის დამოკიდებულების მნიშვნელოვან წახნაგს. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოებაზე წარმოთქმულ სიტყვაში (1958 წლის 28 სექტემბერს) იგი მიმოიხილავდა რა ქართული ისტორიოგრაფიის განვლილ გზას, არსად არ მოიხსე-

ნიებდა... ივანე ჯავახიშვილის წვლილს[1]. ექვთიმე თაყაიშვილის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე 1963 წლის 15 იანვარს იგი აღნიშნავდა: „ახალგაზრდა თაყაიშვილი პატრიოტული გატაცებით შეუდგა ახალი ქართლის ცხოვრებისათვის მასალების შემოკრებას და ოცდაათი წლის დაუღალავი შრომით საქართველოს ისტორიის მეცნიერულად შემუშავების საქმეს ამ მიმართულებით დასდო ისეთი ამაგი, რომ მისი ბადალი არც მის დრომდე და არც მის შემდეგ ამ დარგის არც ერთ მოღვაწეს არ გაუწევია“[2]. სახელი და დიდება ექვთიმე თაყაიშვილს! მაგრამ რაც აქ არის თქმული, იგი ხომ უპირველესად ივანე ჯავახიშვილის ღვაწლს ესადაგება! ნაშრომში „ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი“ (პირველად გამოქვეყნდა 1964 წელს)[3] ნიკო ბერძენიშვილმა კვლავ ვერ „მოახერხა“ მოენახა ადგილი და როლი ქართული ისტორიოგრაფიის მაგისტრალურ გზაზე ივანე ჯავახიშვილისათვის.

კრებულში „ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია“ (რუსულ ენაზე) პროფ. იური კაჭარავა წერდა: „ქართული ისტორიოგრაფიაში ლენინური ეტაპის საბოლოო გამარჯვებისათვის, ანტილენინური ტენდენციებისა და მიმართულებების საბოლოო დაძლევისა და განადგურებისათვის საქართველოში დიდ და ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებდა რევოლუციური მარქსისტების პირველი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ფ. ი. მახარაძე. მიუხედავად მისი ზოგიერთი პრინციპული შეცდომებისა საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების შეფასებაში, მან შესძლო თავის გარშემო შემოეკრიბა მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის ახალგაზრდა წარმომადგენლები (მ. დ. ორახელაშვილი, კ. ი. ორაგველიძე, გ. ვ. ხაჭაპურიძე და სხვ.), დაეახლოვებინა საისტორიო მეცნიერების ნიჭიერი მკვლევარნი (ს. ი. ხუნდაძე, ს. ნ. ჯანაშია, ნ. ა. ბერძენიშვილი და სხვ.) და მათი აქტიური მონაწილეობით წარმატებით წარემართა ბრძოლა ანტილენინურ საისტორიო კონცეფციასთან საქართველოში მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საბოლოო გამარჯვების მიზნით“[4]. შე-

---

[1] იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III.

[2] იქვე, წიგნი V, გვ. 135.

[3] იხ. აგრეთვე, წიგნი, III, გვ. 328—38.

[4] იხ. აღნიშნული კრებული, თბილისი, 1967, გვ. 5—6.

გახსენებთ, რომ ეს სიტყვები იწერებოდა ისტორის ინსტიტუტში ბატონ ნიკო ბერძენიშვილის დირექტორობის ჟამს, ამასთანავე კრებულის სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი წევრი თვითონ ეს უკანასკნელიც გახლდათ, ასე რომ, იწერებოდა მისი სანქციითაც. მეტიც, კრებულის განხილვისას ერთ-ერთი ისტორიკოსის (ბ-ნ უშანგი სიდამონიძის) შეკითხვაზე: „ის ხომ ივანე ჯავახიშვილის მოწაფე ბრძანდებოდა?" ბ-ნ ნიკო ბერძენიშვილს კატეგორიულად განუცხადებია: „არა, ფილიპე მახარაძისა!" რაკი ბ-ნი ნოდარ ლომოური (სავსებით სწორად!) ზეპირგადმოცემებს საისტორიო წყაროდ იყენებს, ჩვენც კვლავ მივმართავთ ამ გზას და საჭიროებისას იმდროინდელი განხილვის სხვა მონაწილეებსაც დავასახელებთ. ყოველივე ზემოაღნიშნულის კომენტარებისაგან ამჯერად თავს შევიკავებთ და დასკვნის გამოტანას თვითონ მკითხველებს მივანდობთ.

ბ-ნი ნოდარ ლომოური გაკვირვებას გამოსთქვამს და „უკვე არც თუ მთლად ჯანსაღ იდეაფიქსადაც" კი გვითვლის ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს შექმნილი მდგომარეობისადმი ჩვენეულ კრიტიკულ მიდგომას, მაშინ როდესაც მისი აღიარებით იგი (ჩვენი ისტორიოგრაფია) დღესდღეობითაც კი „არც ერთი ქვეყნის ისტორიოგრაფიას არაფრით არ ჩამორჩება, ყველას ტოლს უდებს!" „ნეტარ არიან მორწმუნენი!" პირველი, ისე გამოდის თითქოს საბჭოურ სისტემას, კერძოდ რეჟიმსა და იდეოლოგიას არ დაემახინჯებინოს, არ გაემრუდებინოს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება სამოცდაათი წლის მანძილზე, თანაც არა მხოლოდ საბჭოური პერიოდის შემსწავლელისა, არამედ — სხვა პერიოდებისაც; მეორე საყოველთაოდ მიღებულ ჭეშმარიტებად ითვლება თეორიის დიდი მნიშვნელობა კერძოდ, მეცნიერების განვითარებაში, მაგრამ ამ მხრივ ქართულ ისტორიოგრაფიაში სავალალო მდგომარეობაა; ისტორიის მეთოდოლოგია, ისტორიის ფილოსოფია, საერთოდ ისტორიის თეორია დიდი ხანია ქართველი ისტორიკოსების ყურადღების მიღმა დგას; მესამე, ისტორიკოსები ვერ აცნობიერებენ საისტორიო სინთეზის საჭიროებას, რაც უძნელესი, მაგრამ აუცილებელი გახლავთ; მეოთხე, დღემდე არა გვაქვს დაწერილი ქართული ისტორიოგრაფიის ისტორია; ასე რომ,

ივანე ჯავახიშვილის მიერ ამ მხრივ დიდი ხნის წინათ (მხედველობაში გვაქვს 1916 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“) დაწყებული საქმე წინ დიდად არ წასულა; მეხუთე, ქართველი ისტორიკოსები დღემდე ვერ აცნობიერებენ მსოფლიო ისტორიის მთლიანი, ორგანული გააზრების საჭიროებას და ა. შ. თუ ჩვენს ოპონენტებს (მხოლოდ ორს არ ვგულისხმობთ), სურთ სერიოზული მეცნიერული კამათი, დაე გვეკამათონ ამ საკითხებზე. მაგრამ აღნიშნულ და სხვა პრობლემებზე კონკრეტული მსჯელობა ჩვენს ოპონენტებს არ აწყობთ. ამდენად, ამ საკითხებზე მათთან დიალოგი ისეთივე უნაყოფოა, როგორც ყრუ-მუნჯებთან ენით ლაპარაკი. ამ სიტუაციას მშვენივრად ესადაგება ქართული ანდაზა: „რაც არ უნდა მინდისაო, ყურში მძიმედ მიდისაო“. მაგრამ ჩვენ დიდად გვაკვირვებს იმდენად არა ძველი თაობის — სამოც, სამოცდაათ და ოთხმოც წელს მიღწეული და გადაცილებული ისტორიკოსების (ბ-ნ ნოდარ ლომოურის სიტყვები რომ ვიხმაროთ, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის „მოწაფე-მიმდევართა სახელოვანი პლეადის“) უშფოთველობა და გულარხეინობა ამ მიმართულებით, რამდენადაც მომდევნო ასაკების (50, 40 და 30 წლისა) ისტორიკოსთა დუმილი და აპათიაუდრტვინველობა გერონტოკრატიის წინაშე. ესეც ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელია ქართული კულტურის დღევანდელი სტაგნაცია-დაქვეითებისა.

დაბოლოს, ბ-ნი ნოდარ ლომოური გვიკიჟინებს, რომ ამაოდ ვცდილობთ შეცდომაში შევიყვანოთ შთამომავლობა. მაგრამ ჩვენ, როგორც ჩანს, მისგან განსხვავებით, მიგვაჩნია, რომ ჩვენი შთამომავლობა საკმაოდ გონიერი, ნონკონფორმისტული და კრიტიკული იქნება იმისათვის, რათა სათანადოდ გაერკვეს 1936 წლის საისტორიო „დისკუსიის“ რაობაში, იმაში, თუ ვინ როგორი როლი შეასრულა ამ დროს. ასე რომ, მისი მოტყუება, შეცდომაში შეყვანა შეუძლებელი იქნება. მეტსაც ვიტყოდით: აღნიშნულის გარკვევა-გაცხადებას დღევანდელი მკითხველებიც იოლად მოახერხებენ თუ საქმის არსით დაინტერესდებიან და მას „ადვოკატობა-გამოსარჩლების“ განწყობით არ მიუდგებიან და არ განიხილავენ.

(გაზ. „თბილისი“, 1994 წ., 15—16 ივნისი).

2. ნაშრომი ივანე ჯავახიშვილის თეორიული აზროვნების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით 30-იანი წლების მანძილზე საქართველოში მტკიცედ დამკვიდრდა შეხედულება, თითქოს ივანე ჯავახიშვილი ოდენ დიდი ერუდიტი, ფართო განათლების ემპირიკოსი ისტორიკოსი გახლდათ, ამდენად, იგი ვითომდა გაურბოდა თეორიულ (ფილოსოფიურ) აზროვნებას. აქედან გამომდინარე დაასკვნიდნენ, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ ეს დიდი ხარვეზი გამოასწორა სწორედ აღნიშნულ ხანაში სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წყალობით, რომლებიც, თავის მხრივ, ე. წ. მარქსიზმ-ლენინიზმიდან გამოდიოდნენ. რასაკვირველია, ამგვარი თვალსაზრისი დიდი გაუგებრობაა და მის გასაბათილებლად შემდგომი ხანის ისტორიკოსებს სათანადო ძალისხმევა უნდა გამოეჩინათ. დიდად სამწუხაროდ, მსგავს მცდელობებს დღემდე ნაკლებად აქვთ ადგილი. ცხადია, აღნიშნული საკითხისადმი ინტერესი ქართველ ფილოსოფოსებსაც უნდა გასჩენოდათ, მაგრამ ამას დღემდე ნაკლებად ვხვდებით, რაც აიხსნება ქართველ ფილოსოფოსთა ნაკლები დაინტერესებულობით ქართული სინამდვილის (წარსული და თანამედროვე) შესწავლისადმი. ზემოაღნიშნული ხარვეზის ნაწილობრივ შევსებას ისახავს მიზნად პროფ. ედუარდ კოდუას წიგნი „ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი", რომელიც თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა გასულ წელს.

სარეცენზიო ნაშრომის წინასიტყვაში ავტორი აღნიშნავს: „გადავწყვიტე მეჩვენებინა, რომ ბ-ნი ივანე არ იყო ფაქტოგრაფი, რომ მისი ისტორიული შრომები, ფაქტების დადგენასა და აღწერასთან ერთად, მათ ახსნას, გაგებას და სისტემატიზაციას მოიცავს, რომ იგი არ ყოფილა ისეთი მკვლევარი, რომელსაც არ ჰქონდა გაცნობიერებული ისტორიის ფილოსოფიური პრობლემატიკის მნიშვნელობა" (გვ. 3); „ბატონი ივანეს ნაღვაწის მაგისტრალური ხაზია კულტურის ისტორიის კომპლექსურად წარმოჩენა. ბუნებრივია, ისტორიის კომპლექსურად მკვლევარს მხედველობის გარეშე არ დარჩებოდა ისტორიის მეთოდოლოგიური და ფილოსოფიური პრინციპები, რომლითაც (!) ის ხელმძღვანელობდა კვლევაში (გვ. 3-4) ავტორი ეკამათება პროფ. ლევან სანიკიძეს, რომელიც 1990 წელს კვლავ ამტკიცებდა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომების ძირითადად ფაქტოგრაფიულ ხასიათს. წიგ-

ნის გაცნობის შემდგომ საკითხის არსის აქამდე უცოდინარ მკითხველებს უცილობლად დარჩებათ შთაბეჭდილება ივანე ჯავახიშვილზე როგორც მოაზროვნე ისტორიკოსზე, რომლისთვისაც მახლობელი, ნაცნობი იყო სტიქია ისტორიის თეორიისა (ფილოსოფიისა).

პროფ. ედუარდ კოდუას ნაშრომი შედგება ხუთი თავისაგან, რომლებიც ასახავენ საკითხის არსებით მხარეებს. ბოლოს, დანართის სახით, წარმოდგენილია ავტორის პოლემიკა პროფ. ლევან სანიკიძესთან, რომელშიც აღძრულია საკითხი ისტორიოგრაფიის რაობის თაობაზე. ასე რომ, ვიმეორებთ, საერთოდ წიგნის ხუთი თავი საკმაოდ სრულყოფილად გადმოსცემს ივანე ჯავახიშვილის მიერ ისტორიის თეორიული გააზრების სხვადასხვა ასპექტებს. მაგრამ დიდად სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით ცალკეულ თავებში შესაბამისი საკითხების სასურველი სიღრმე-სიფართოვით გადმოცემაზე. მაგალითად, შინაარსი პირველი თავისა, რომელიც ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიურ ძიებებს, ამოიწურება დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის მიერ ანკეტების შედგენით ქართული სოფლისა და ქართველი სტუდენტობის შესახებ. ამდენად, ამ მხრივ ავტორი განავრცობს ამავე თემის შესახებ პროფ. სერგო ჯორბენაძის წიგნში „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა" მოცემულ თხრობას. მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით გონებაგამჭრიახ მკითხველებს უთუოდ აღეძვრებათ ასეთი კითხვა: ნუთუ მხოლოდ ამით ამოიწურება ივანე ჯავახიშვილის შესაბამისი შეხედულებანი? რასაკვირველია, მას ჰქონდა მთლიანი ხედვა საზოგადოების, კერძოდ, სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ და ა. შ., რის უჩვენებლადაც სარეცენზიო წიგნი დიდად აგებს. აქვე დავსძენთ იმასაც, რომ ჩვენი დიდი ისტორიკოსისათვის ფაქტობრივად ნათელი იყო საკითხი სოციალური ელიტისა და ხალხის მასის როლების შესახებ, რის თეორიული გააზრებაც იმ ხანის დასავლურ აზროვნებაში ის-ის იყო ისახებოდა.

ამავე თავთან დაკავშირებით უცილოდ დაისმის კითხვაც იმის თაობაზე, თუ როგორ წარმოედგინა ივანე ჯავახიშვილს საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია. თვითონ ავტორი, როგორც ჩანს, იზიარებს მსოფლიო ისტორიის მოდურ პერიოდიზაციას აგრარულ ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ სტადიებად ანდა დახურული და ღია საზოგადოებების ტიპებად. მაგრამ დიდად ვეჭვობთ, რომ ისტორიკოსებს ძალზე გამოადგებათ ამგვარი სქემა. ისტორიკოსებისათვის,

კერძოდ, იქმნება საჭიროება „აგრარული საზოგადოების“ ცალკე პერიოდიზაციისა პირველყოფილ (თუ პრიმიტიულ), ძველაღმოსავლურ (თუ ადრეკლასობრივ), ანტიკურ და ფეოდალურ საზოგადოებებად. მეტიც, ამ თვალთახედვით ხომ საკუთრივ კაპიტალისტური საზოგადოების თითქმის ოთხი საუკუნე (სამრეწველო რევოლუციამდე) აგრარულ სტადიაზეა გააზრებული. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ჩვენი დიდი წინაპრის დროს აღნიშნული სქემა არ არსებობდა. ფაქტია, რომ ივანე ჯავახიშვილს ჰქონდა კერძოდ, საქართველოს ისტორიის მისეული პერიოდიზაცია: გვაროვნული, გარდამავალი (სადაც ადგილი ჰქონდა ექსპლუატაციის მონურ ფორმას, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ანტიკური საბერძნეთისა და რომის მასშტაბებით), პატრონყმური და ბატონყმური საზოგადოებები. მეტსაც ვიტყოდით, იგი ამჩნევდა რა საქართველოში მომხდარ ახალ დიდ ძვრებს XIX საუკუნის მეორე ნახევარში, უპირველესად გამოჰყოფდა ცვლილებებს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ცხადია, ყოველივე აღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს ივანე ჯავახიშვილის დადგომას ისტორიული მატერიალიზმის პოზიციაზე.

უფრო სრულყოფილი გახლავთ სარეცენზიო წიგნის მეორე თავი, რომელიც დიდი ისტორიკოსის ფილოსოფიურ ძიებებს გადმოსცემს (გვ. 35-89). ამასთან დაკავშირებით, ჩვენი მთავარი შენიშვნა ისაა, რომ ავტორი სჯერდება ივანე ჯავახიშვილისეულ იმ მემკვიდრეობას, სადაც ხაზგასმულად, გაბმულადაა ლაპარაკი ისტორიის თეორიაზე (ფილოსოფიაზე). მაგრამ, საბედნიეროდ, ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაში — განსაკუთრებით „ქართველი ერის ისტორიის“ სუთტომეულში — საკმაოდ სშირად არის აღძრული შესაბამისი თემა. ამის გათვალისწინებით სარეცენზიო წიგნი, რასაკვირველია, ბევრად უფრო მოიგებდა.

წიგნის მესამე თავში ლაპარაკია ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოყენებულ მეთოდებზე. თუ ავტორს დავუჯერებთ, ივანე ჯავახიშვილი თურმე მხოლოდ ორ მეთოდს — საისტორიო წყაროების ისტორიულ-ფილოლოგიურ და ისტორიულ-შედარებით მეთოდებს იცნობდა და იყენებდა. მაგრამ იგივე მეთოდები მშვენივრად იყო ცნობილი ჯერ კიდევ დიმიტრი ბაქრაძისა და ილია ჭავჭავაძისათვის, მათ შემდგომ მცხოვრები და მით უმეტეს პროფესიონალი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი, სავსებით ცხადია, მხოლოდ ამ ორ მეთოდს ვერ დასჯერდებოდა და მისი ნაშრომების უფრო გულდასმითი გაცნობით ადვილია

სხვა მეთოდების (მაინდივიდუალიზებელი, რეტროსპექციისა და სხვ.) კამოვლენაც. საინტერესო თემაა აგრეთვე ისტორიზმის გაგება ივანე ჯავახიშვილის ნააზრევში.

მკითხველებს უთუოდ დიდად დააინტერესებს მეოთხე თავის სათაური „მსოფლმხედველობის პრობლემები". მაგრამ მათ იმედები გაუცრუვდებათ, რადგან ასეთ მნიშვნელოვან საკითხს მხოლოდ ხუთი გვერდი (97—101) აქვს დათმობილი და აქ თხრობა შემოიფარგლება ქართველთა წარმართული მსოფლმხედველობის ჩვენებით. მაგრამ ივანე ჯავახიშვილი ხომ ფართოდ განიხილავდა შემდგომი ეპოქების ქართველთა, კერძოდ ისტორიკოსთა, მსოფლმხედველობასაც. და რაც უფრო მთავარია, აღნიშნულ თავში თითქმის არაფერია ნათქვამი თვითონ ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობაზე! (სხვათა შორის, ერთგან (გვ. 68) აღნიშნულია მასზე, როგორც მართლმადიდებელ ისტორიკოსზე, მაგრამ გაკვრით, ისე რომ ამის ანალიზს წიგნში ვერსად ვსვდებით).

უფრო ფართოდ და საკმაოდ ამომწურავადაა ლაპარაკი ადამიანის პრობლემებზე ივანე ჯავახიშვილის ნააზრევში, რომელსაც ეთმობა მეხუთე თავი (გვ. 102—109) (ამის შესახებ ჩვენს კომენტარს შემდგომ შემოგთავაზებთ).

სარეცენზიო წიგნის მიმართ სხვა შენიშვნებიც გვაქვს. მეექვსე გვერდზე ავტორი გვამცნობს, რომ თურმე ვინმე ისტორიკოსს თ. ლეჟავას ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებული ივანე ჯავახიშვილისეული არქივიდან მისთვის მოუტანია „საინტერესო მასალა, რომელიც მეტყველებდა (?) მეცნიერის ცხოველ ინტერესზე ისტორიის ფილოსოფიის პრობლემებისადმი". აქ ლაპარაკია მართლაც ფრიად საინტერესო მასალაზე, რომელიც დიდი ხანია რაც ცნობილია ბევრი ისტორიკოსისათვის. ასე რომ, მისი აღმოჩენის პრიორიტეტი სულაც არ ეკუთვნის „ვინმე ისტორიკოს თ. ლეჟავას", როგორც ეს სარეცენზიო წიგნიდან შეიძლება დავასკვნათ. ასევე ეს მასალა სამეცნიერო ბრუნვაში სარეცენზიო წიგნის გამოქვეყნებიდან როდი შემოდის.

როცა ჩვენს დიდ ისტორიკოსსა და მამულიშვილს ჰქოლავდნენ (იდეურად) ხოლმე, შემდგომი ხანის ქართველი ისტორიკოსები სჯერდებოდნენ და სჯერდებიან მხოლოდ ოდიოზური კომუნისტი იდეოლოგოსების (მათ მიმართ ავტორი ხმარობს გამოთქმას „ჰუნვეიბინები") მხილებას, მაგრამ თვალს ხუჭავენ იმ უცილობელ ფაქტზე, რომ განსაკუთრებით მეოთხე ჩაქოლვისას (1936 წლის მარტ-აპრილ-

ში) მონაწილეობდნენ დიდი მასწავლებლის ნიჭიერი და ერთ დროს საყვარელი შეგირდებიც — სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი, რა-მაც სწორედ ყველაზე მეტად ატკინა გული ჩვენს დიდ წინაპარს. კარგია, რომ წიგნის ავტორი არ გაურბის ამ ელემენტარულ მწარე სიმართლეს. ამის თაობაზე მეცხრე გვერდზე ვკითხულობთ: „ვფიქრობ, რომ ადამიანების ქცევა თუ მსჯელობა უნდა განვიხილოთ კონკრეტული ვითარების კონტექსტში. ნ. ბერძენიშვილიც და ს. ჯანაშიაც სერიოზული და კომპეტენტური მეცნიერები იყვნენ და არ შეიძლება არ სცოდნოდათ ბატონი ივანეს ნააზრევის ღირებულება, მაგრამ ცხოვრობდნენ ტოტალიტარიზმის ვითარებაში, როდესაც ადამიანები ამბობენ არა იმას, რასაც ფიქრობენ, არამედ იმას, რაც საჭიროა. საკუთარი თავიდან ობიექტივაციის თუ გაუცხოების ფაქტორებით უნდა აიხსნას მათი ქცევა, ვფიქრობ, მას გამართლება არა აქვს, თუმცა ნაკლებ ბოროტებად უნდა ჩაითვალოს“. მომდევნო გვერდზე კი, ამჯერად სიმონ ჯანაშიას მისამართით, ვკითხულობთ, „როგორც ჩანს, ზოგჯერ ადამიანებზე უფრო ძლიერია გარემოებები, რომლებიც მათ საკუთარ მეობას აკარგვინებს. ბოროტება, პირველ რიგში, ასეთ გარემოებათა არსებობაშია. როცა ადამიანს არ ძალუძს გმირობა, ვერ აზიდინებ გმირობის ტვირთს“. ასეთი მწარე სიმართლის აღიარება, ვიმეორებთ, ძალზე მისასალმებელია, მაგრამ ამას პირველად როდი აქვს ადგილი. კერძოდ, იგი გამოითქვა 1993 წელს გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე და ამ გამოსვლას მავან ისტორიკოსთა მხრივ შესაბამისი რეაქციაც მოჰყვა. ერთი სიტყვით, საჭირო იყო ამ ფაქტის მოხსენიება.

. რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე ვიტყვით, რომ წიგნის ავტორი არაკორექტულია სხვა ავტორთა მიმართაც. მაგალითად, მეხუთე თავში გადმოცემული საკითხი ძალზე დაწვრილებით იქნა განხილული პროფ. შალვა კაკულიას 1977 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ადამიანის პრობლემა ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში“, მაგრამ ამის შესახებ პროფ. ედუარდ კოდუა არაფერს, აბსოლუტურად არაფერს არ გვამცნობს. წიგნის დანართში ისე ჩანს, თითქოს ისტორიოგრაფიის (საისტორიო მეცნიერების) ხასიათის თაობაზე (მეცნიერებაა იგი თუ ხელოვნება?) 1990 წლამდე, ე. ი. პროფ. ლევან სანიკიძისა და ავტორის პოლემიკამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში სპეციალურად არავის არ ულაპარაკია. მაგრამ ამაზე

საკმაოდ ფართოდ იყო მსჯელობა წარმოდგენილი 1986 წელს ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში „პროფესია ისტორიკოსი“[1]. აღარას ვამბობთ იმის თაობაზე, რომ ორივე მოპაექრე საკითხის გადაწყვეტისას ცალმხრივობას იჩენს და ამ თვალსაზრისით დასახელებულ ნაშრომში სხვაგვარი, ასე ვთქვათ, სინთეზური ხასიათის შეხედულებაა (იხ. აგრეთვე თანამედროვე რუსი ფილოსოფოსის არსენ გულიგას მშვენიერი წიგნი „ისტორიის ესთეტიკა“).

ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის წარმოჩენისას უპრიანი იყო მითითება პროფესორების მამია დუმბაძისა და პროკოფი რატიანის ნაშრომებზე, რასაც, სარეცენზიო წიგნში, ცხადია, ვერ ვხედავთ.

ამგვარი ფაქტების მიჩუმათება მიუტევებელი გახლავთ, მით უფრო, რომ წიგნში საკმაოდ ხშირადაა მითითებული პროფ. სერგო ჯორბენაძის მართლაც რომ სასარგებლო ზემოთ დასახელებული წიგნი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოგიერთი ბობოლა წარმომადგენლის როლი 1996 წელს ჩატარებული „აკადემიური საუბრების“ დროს.

წიგნის 36-ე გვერდზე ვკითხულობთ, რომ „ისტორიის გააზრების ისტორიის ფილოსოფიურ რეფლექსიაზე აგება მხოლოდ ივანე ჯავახიშვილთან გვხვდება“. მაგრამ ამ თვალსაზრისით ამ უკანასკნელს ჰყავდა წინამორბედი ვახუშტი ბატონიშვილის სახით, რაც ივანე ჯავახიშვილს აღნიშნული ჰქონდა კიდეც და რასაც იმეორებს სარეცენზიო წიგნის ავტორიც[2]. რაც შეეხება ნიკოლოზ გულაბერისძის შესაბამის შემოქმედებას, იგი განსხვავებული ხასიათისა გახლავთ.

ივანე ჯავახიშვილის მიერ ევროპოცენტრიზმის კრიტიკა, კერძოდ, მიუღებლობა აზიური (აღმოსავლური) დესპოტიზმის დიდი სიმდგრადისა და ხანგრძლივობის მტკიცებისა რიგ შესიტყვებებს იწვევს. თუ საქართველოსა და სომხეთის, ასევე, ვთქვათ, იაპონიის მაგალითები ვერ თავსდებიან ამგვარ ტრადიციულ წარმოდგენებში, სამაგიეროდ აღმოსავლეთის დიდი, ასე ვთქვათ, კლასიკური ქვეყნების ისტორიას ისინი საკმაოდ ადეკვატურად ესადაგება, მაგრამ ამის შესახებ ავტორის შეხედულებაში გარკვეულობა არ შეიმჩნევა.

---

[1] იხ. გვ. 72—81.

[2] იხ. გვ. 44.

სარეცენზიო წიგნში ვკითხულობთ: „ის (ივანე ჯავახიშვილი, გ. ყ.) გამორიცხავს იმ ილუზიასაც, რაც მარქსისტ ისტორიკოსებს ასასიათებდათ, რომლის (!) მიხედვითაც, მათი პარტიულობა ემთხვევა ობიექტურობას"[1]; „მარქსიზმს ეკონომიკა მიაჩნდა ყოველთვის განმსაზღვრელად და არსებითად ყველაფერი მასზე დაჰყავდა".[2] მაგრამ ამ მტკიცებებს გამართლება აქვთ მხოლოდ აღნიშნული თეორიის ვულგარიზატორებთან მიმართებაში, რის მაგალითებიც უხვად მოგვცა განსაკუთრებით ბოლშევიკურ-კომუნისტურმა რუსეთმა, მაგრამ ავთენტური მარქსიზმი შორს დგას ამგვარი შეხედულებებიდან და ფილოსოფიის პროფესორს ამის შესხენება როდი უნდა ესაჭიროებოდეს.

ისტორიოგრაფიის საგნის მიმართ წიგნში ვკითხულობთ: „შემეცნების საგანი არსებითად უკვე არ არსებობს, ან არსებობს მხოლოდ ცნობიერების მოწმობის სახით, უკეთეს შემთხვევაში, ისტორიული ძეგლების ფორმით".[3] ეს თვალსაზრისი, როგორც ცნობილია, ინგლისელი ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის რობინ კოლინგვუდისაგან მოდის და ჩვენი ავტორიც, ჩანს იზიარებს მას. მაგრამ ისტორიული ხდომილებანი, ისტორიული პროცესის დიდი მონაკვეთები დოკუმენტების (სხვადასხვა ხასიათისა) გარდა თავს იჩენს აგრეთვე ისტორიულ რეალობაშიც, შესაბამის აწმყოშიც. შორს რომ არ წავიდეთ, განა საქართველოს ბოლო, თითქმის ორასწლოვანი, ისტორია და მანამდელიც — განსაკუთრებით XV საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული — თავს მხოლოდ საისტორიო წყაროებში იჩენს და არა ჩვენს აწმყოშიც?

ვიზიარებთ ავტორის დებულებას, რომ „სინამდვილეში იგი (ივანე ჯავახიშვილი, გ. ყ.) არასოდეს ყოფილა შეზღუდული ერთი რომელიმე მიმართულებით".[4] მაგრამ არა გვგონია ლ. რანკეს მეთოდოლოგია ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული (ისტორიოგრაფიული) შემოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს გვიხსნიდეს (შეგახსენებთ, რომ ჩვენს დიდ ისტორიკოსს სულ მთლად რანკეანელად მიიჩნევდნენ გრიგოლ ნათაძე და ნიკოლოზ მახარაძე, რასაც სავსებით გამორიცხავდა სიმონ ჯანაშია. სხვათა შორის, იურისტი ი. ტალახაძე ივანე ჯავა-

---

[1] იხ. სარეცენზიო ნაშრომი, გვ. 68.

[2] იქვე, გვ. 83.

[3] იქვე, გვ. 90.

[4] იქვე, გვ. 120.

ხიშვილს „ბრალს დებდა“ „რიკერტიანელობაში“. ამ მოსაზრებას საფუძვლიანად ეწინააღმდეგება ივანე ჯავახიშვილის პროგრესული, დემოკრატიული სულისკვეთება და ინტერესი ეკონომიკური და სოციალური ისტორიისადმი. ამის თაობაზე წიგნის ავტორი ასე გვამცნობს: „მან (ე. ი. ივ. ჯავახიშვილმა, გ. ყ.) ქართული სინამდვილის შესწავლის საფუძველზე გამოიტანა დასკვნა ამ საზოგადოების წევრთა სტატუსისთვის ეკონომიკური ფაქტორის მნიშვნელობაზე და სწორედ ამიტომ დაწერა საქართველოს ეკონომიკური ისტორია“[1]. მაგრამ ჩვენი დიდი ისტორიკოსის ცხოველი ინტერესი კერძოდ ეკონომიკური ფაქტორისადმი უფრო ფართო მოსაზრებით, ეკონომიკის დიდი მნიშვნელობის გამოისობით, აიხსნება, თუმცა, კვლავ გავიმეორებთ, ამგვარი ინტერესი მას სულაც არ გასჩენია მარქსიზმის მეშვეობით.

სარეცენზიო წიგნის მთელი შვიდი გვერდის[2] მანძილზე გადმოცემულია ანტიკურობის მოაზროვნე ლუკიანე სამოსატელის ნაშრომის „როგორ უნდა იწერებოდეს ისტორია“ შინაარსი. ამის შესახებ ასე ვრცლად თხრობა აშკარად ზედმეტია და ალბათ მიუთითებს ავტორის გარკვეულ აზრს თანამედროვე ქართველ ისტორიკოსებზე.

წიგნში გვხვდება ბუნდოვანი მსჯელობები. ასე მაგალითად, მეათე გვერდზე ვკითხულობთ: „ამ საკითხში (იგულისხმება ისტორიის მეცნიერებისათვის კრიტიკული მეთოდით და ობიექტურობის პრინციპით ხელმძღვანელობა აუცილებლობა, გ. ყ.) ივ. ჯავახიშვილის პოზიცია ხომ არ იყო ჰიპერკრიტიკული ხასიათის?“ და ამას მოსდევს ზოგადი ფრაზები და ვითომ მათგან გამომდინარე დასკვნა: „ბატონი ივანეს პოზიცია სწორედ ერთადერთი გზაა ისტორიის მეცნიერების შესანარჩუნებლად“[3]. (იქვე). მაგრამ ფაქტია, რომ ივანე ჯავახიშვილი მართლაც იჩენდა ჰიპერკრიტიციზმს, კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ ძველი პერიოდის ამსახველი ნაწილის მიმართ, რაც (ამგვარი მიდგომა) თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში საფუძვლიანად არის მიტოვებული.

საკამათო და გაურკვეველი გახლავთ ავტორისეული მსჯელობა: „საუკუნის (იგულისხმება XX საუკუნე, გ. ყ.) დასაწყისში სოციოლოგია, ისტორიის ფილოსოფიის მსგავსად ჯერ კიდევ გამოდიოდა (?) და

---

[1] სარეცენზიო ნაშრ., გვ. 121.

[2] იქვე, გვ. 169—175.

დაკავებული იყო ძირითადად თეორიული პრობლემატიკით"[1]. იგივეს ვიტყვით შემდეგ აზრზე: „მთელი მისი (ივანე ჯავახიშვილის, გ. ყ.) მცდელობა იყო საქართველოს ისტორიის ასაგები ისტორიოგრაფიული წყაროებისადმი (?!) კრიტიკული მიდგომა, რომლითაც ის განიხილავს საქართველოს (!) ისტორიოგრაფიას V—XVIII საუკუნეებში"[2].

წიგნში ხშირად გხვდება ზოგადი მსჯელობანი, რომლებიც სცილდება ძირითად საკითხს.

სარეცენზიო ნაშრომში საკმაოდ მრავლადაა გაპარული წვრილმანი შეცდომები. მაგალითად, მეხუთე გვერდზე მითითებულია „საისტორიო საზოგადოება", „ისტორიული საზოგადოება", სხვაგან „საქართველოს საისტორიო საზოგადოება" (გვ. 91) „საისტორიო-საეთნოგრაფიოს" ნაცვლად; „ვიკსონსის უნივერსიტეტის მაგიერ (გვ. 15) ალბათ უნდა იყოს[1] „ვისკონსინის უნივერსიტეტი"; „თეორიული ნაგებობანი" (გვ. 16) რუსული «построения»-ს უხეირო თარგმანს წარმოადგენს, უნდა იყოს, რა თქმა უნდა, „აგებანი". მეცხრამეტე გვერდზე გვხვდება ტერმინი „ეთნოჯგუფი", რაც გაურკვლელობას იწვევს; მოცემულ კონტექსტისათვის ნახმარი უნდა იყოს; ცხადია, ეთნოგრაფიული ჯგუფი; 35-ე გვერდზე მარკ ბლოკთან ერთად მოხსენიებულია ისტორიკოსი „ლეფევრი" (იხ აგრეთვე გვ. 132), როგორც ჩანს, ლ. (ლუსიენ) ფევრის ნაცვლად; „კოპერნიკანულის" ნაცვლად (გვ. 44, 61) უნდა იყოს კოპერნიკისეული; „შორების" (გვ. 51, 86) ქართულად ხმარება გაუმართლებელია, უნდა ნახმარი იყოს თვალსაფარი; „სუმბატის" მოხსენიება (გვ. 58) უხერხულია, უნდა იყოს სუმბატ დავითისძე; „პოლისტორის" (გვ. 59) მაგიერ — პოლიჰისტორი; „ლოგოგრაფების" (ბევრგან) ნაცვლად — ლოგოგრაფოსები; „ტაციტისა" და „გერმანიკის" (გვ. 77) სანაცვლოდ—ტაციტუსი და გერმანიკუსი. ჯონ დრეპერს არა ჰქონია ნაშრომი ასეთი სახელწოდებით „ისტორიის ფილოსოფია", როგორც ამის თაობაზე 81-ე გვერდზე ვკითხულობთ, არამედ „ევროპის გონებრივი განვითარების ისტორია". აშკარა გაზვიადება გახლავთ ნიკო მარის მოხსენიება ქართველ მოაზროვნეთა შორის (აქ უპირველესად ვგულისხმობთ მოაზროვნის რანგში მისი გამოყვანის უადგილობას). კარლ იასპერსის ცნობი-

---

[1] იხ. სარეცენზიო ნაშრომი, გვ. 12.

[2] იქვე, გვ. 120.

ლი ნაშრომის სათაური ასეა წარმოდგენილი: „ისტორიის წყაროები და საზრისი“ (გვ. 103), საიდანაც ისე ჩანს, თითქოს ცნობილი გერმანელი მოაზროვნის აღნიშნული წიგნი ისტორიოგრაფიული, კერძოდ, წყაროთმცოდნეობითი ხასიათისაც ყოფილიყოს. სინამდვილეში სათაურში უნდა ფიგურირებდეს სიტყვა „სათავეები“, „საწყისები“; „რუისურბნისის ძეგლი“ კი არ უნად ვთქვათ და დავწეროთ, არამედ „რუისურბნისის ძეგლისწერა“ და ა. შ.

რეცენზიის დასასრულს დავსძენთ, რომ მიუხედავად ჩამოთვლილი შენიშვნებისა, პროფესორ ედუარდ კოდუას წიგნი „ივანე ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი“ მაინც საყურადღებო, სასარგებლო ნაშრომია. იგი ყურადღებას ამახვილებს ჩვენი დიდი ისტორიკოსის შემოქმედების მნიშვნელოვან, დღეს დიდად აქტუალურ მხარეზე, რაც, ვიმეორებთ, უახლოესი წარსულისა და დღევანდელ ქართველ ისტორიკოსთა დიდი უმეტესობის ინტერესებისა და შემეცნების მიღმა იმყოფება. სხვა ამბავია, რომ საერთოდ ისტორიოგრაფიისა და კერძოდ, საქართველოს ისტორიის მეტი ცოდნისას ივანე ჯავახიშვილის აზროვნება უფრო მეტი სიღრმით წარმოჩნდებოდა.

ჩვენთვის ფრიად გასაგებია ავტორის მძაფრი კრიტიკული გამონათქვამები: „ქართული ისტორიოგრაფია არ არის განებივრებული ისტორიის თეორიული გააზრებით, ოავისებური გულგრილობაც ვლინდება ისტორიის ფილოსოფიის მიმართ“;[1] „ისტორიკოსები ასევე შორს არიან კულტურული, სოციალური, ფილოსოფიური ანთროპოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიისაგან. დღევანდელი დასავლური აზროვნება, ისტორიის აღქმაში (!), სწორედ ამ სფეროებს ემყარება, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ნაკლებად ისმის საკითხები: რა არის ისტორია? ხორციელდება თუ არა რაიმე საზრისი ისტორიულ პროცესში? როგორ უნდა გამოვხატოთ ისტორიული რეალობა? როგორ უნდა გავიგოთ ისტორიის შესახებ ცოდნა? რა ევალება ისტორიის მკვლევარს, მან მხოლოდ უნდა აღწეროს მოვლენები, თუ უნდა ახსნას და წვდეს მათ საზრისს?“[2] მხოლოდ დავსძენთ, რომ ამგვარი კრიტიკული პათოსი დღევანდელ ქართველ ისტორიკოსთა მიმართ ავტორმა უფრო დაჟინებით და მიზან-

---

[1] იხ. სარეცენზიო ნაშრომი, გვ. 130.

[2] იქვე, გვ. 131.

სწრაფულად უნდა გამოიყენოს, რაც უცილობლად წაადგება ქართული ისტორიოგრაფიის აღორძინება-განვითარების საქმეს. რაც შეეხება წიგნის დანართში პროფ. ლევან სანიკიძესთან ავტორის კამათში აღძრულ ისტორიოგრაფიისა და ისტორიის ფილოსოფიის რიგ მნიშვნელოვან ზოგად საკითხებს, მათზე შეჩერება, ძირითადი საკითხიდან გამომდინარე, ჯერჯერობით მიზანშეუწონლად ვცანით და მათ სპეციალურად სხვა დროს განვიხილავთ.

„სალიტერატურო გაზეთი", № 7, 1998 წ. მაისი

* * *

ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის შეთანასწორება

(პლუტარქოსის მიბაძვით)

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მანძილზე ქართველთა სულიერ ცხოვრებაში დიდი აღმავლობა მოხდა. შესაბამისად, საკმაოდ ბევრმა გამოიჩინა თავი შემოქმედებით ასპარეზზე. მაგრამ როდესაც საქმე ორივე სფეროს — სულიერი შემოქმედებისა და საზოგადოებრივი (ეროვნული მოღვაწეობის) ურთიერთშეხამებას ეხება, მაშინ, ცხადია, დიდ ქართველთა წრე ძალიან ვიწროვდება. ამის თაობაზე ილია აღნიშნავდა: „საზოგადო სარბიელზე გამოსული კაცი უსათუოდ ან აზრის კაცია, ან საქმისა, ან ორისავე ერთად, თუ ისე ბედნიერად მომადლებულია ბუნებისაგან, რომ შემძლებელია ერთისა და მეორისაც". ჩვენი ისტორიის ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში „ერთისა და მეორისაცა შემძლებელთა" შორის სწორედ ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი გამოირჩევიან.

ორივეს უდიდესი სიყვარული და სატკივარი ერთი და იგივე გახლდათ: საქართველო, რომელიც მკაცრმა ისტორიულმა ძნელბედობამ დიდად დააბეჩავა XIX და XX საუკუნეებში. სწორედ ასეთმა სიყვარულმა შეაძლებინა ფიზიკურად სუსტ და ავადმყოფ ივანე ჯავახიშვილს ამდენი საქმის აღსრულება. ილიასა და ივანე ჯავახიშვილის დაჩაგრული ეროვნული გრძნობა და შეგნება, ცხადია, ნაკლებად ვლინდებოდა ოდენ პათეტიკაში, არამედ — ძირითადად მძლავრ აზროვნებასა და აქტიურ საზოგადოებრივ (ეროვნულ) ქმედებებში დაცემული სამშობლოს ფეხზე დასაყენებლად. სხვათა შორის, პირველი ვინც მკვეთრად გამოკვეთა ილიასა და ივანე ჯავახიშვილის

დიდი სულიერი მსგავსება და პირველისაგან მეორის ისტორიული მემკვიდრეობითობა, გახლდათ გრიგოლ რობაქიძე. იგი წერდა: „ილია ილვწოდა საქართველოს მზეოსან ხელმწიფების (სუვერენიტეტის, გ. ყ.) აღდგენისათვის: სიტყვით, საქმით, ცხოვრებით. კურთხევა-მიღებული სწავლული (ე. ი. ივანე ჯავახიშვილი, გ. ყ.) ხედავს ეხლა ნათლივ: მან უნდა განაგრძოს ეს გზა—მეტად მძიმეა, გარნა მეტადვე საშური"[1]; „ივანე ჯავახიშვილმა პირნათლად გაამართლა კურთხევა, დიდი ილიასაგან იდუმალი გზით მიღებული: და ამით უკვდავჰყო თავისი პიროვნება ქართველი ერის დაუშრეტელ წიაღში"[2].

ორივე ჩვენი დიდი წინაპარი თავადაზნაურთა (უფრო სწორად: თავადთა) წრიდან იყვნენ გამოსული. რამდენადაც ვიცით, ქართულ ხალხურ პოეზიაში არ შემორჩენილა ჭავჭავაძიანთა დახასიათება, საგვარეულოსათვის დამახასიათებელი მთავარი ნიშან-თვისება. მაგრამ გვაქვს ლექსი, რომელშიც ჯავახიშვილთა საგვარეულოს წარმომადგენელთა მთავარ ინტელექტუალურ თვისებად გონებაა აღნიშნული. თუმცა ესენი გამოირჩეოდნენ სხვადასხვა სარბიელზე, მაგრამ ამ მხრივ მაინცდამაინც არა გვაქვს საფუძველი მათთვის უპირატესობის მიცემისა ქართლის სამეფოს სხვა თავადების (ამილახვრების, ციციშვილების, ბარათაშვილების, ორბელიანებისა და სხვათა წინაშე). თუმცა შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ჯავახიშვილები სხვათაგან სიდარბაისლით გამოირჩეოდნენ. მაგრამ სათანადო პოტენციალი ნამდვილად გამომჟღავნდა ივანე ჯავახიშვილის პიროვნებაში.

ილიასა და ივანე ჯავახიშვილის არისტოკრატიული წარმოშობის ფაქტით, როგორც უკვე ვთქვით, სარგებლობდნენ მათი მტრები და ხალხის მასაში სახელს უტეხდნენ ვითარცა ექსპლუატატორული კლასის წარმომადგენლებს. მაგრამ ფაქტობრივად ილიაც და ივანე ჯავახიშვილიც ახალ სოციალურ ფენას, ინტელიგენციას ეკუთვნოდნენ და შესაბამისად, ცხადია, მათი სოციალური როლები სულ სხვანაირი იყო ვიდრე ტრადიციული თავადაზნაურობის წარმომადგენლებისა. გარდა ამისა ისინი ვიწრო სოციალური ფენის კი არა,

---

[1] ცნობილი მწერალი ეხება ლექციას, რომელიც 1907 წლის 7 იანვარს წაიკითხა ივანე ჯავახიშვილმა და რომელსაც ესწრებოდა ილია ჭავჭავაძე. ციტირებულია გრ. რობაქიძის წერილი „ივანე ჯავახიშვილი", იხ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1986, № 2-3, გვ. 190.

[2] იქვე, გვ. 192.

არამედ მთელი დაჩაგრული ქართული საზოგადოების ინტერესებს გამოხატავდნენ.

მასშტაბურობითა და გაქანებით ილიას უპირატესობა ჰქონდა, რაც ცხადად ჩანს ორივეს შემოქმედებისა და საზოგადოებრივი (ეროვნული) მოღვაწეობის გათვალისწინებით. საქართველო რომ ნორმალურად განვითარებულიყო და ილია მოსწრებოდა ჩვენს ეროვნულ განთავისუფლებას, ქვეყნის სათავეში, რასაკვირველია, სწორედ იგი უნდა ყოფილიყო. მეტსაც ვიტყოდით, ნიჭითა და სათანადო გამოცდილებით ილია დიდ ქვეყანასაც გასწვდებოდა. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ივანე ჯავახიშვილზე; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისას სულ მცირე სუთ-ექვს კაცს მაინც შეეძლო ქვეყნის წინამძღოლის ტვირთის აწევა, მაგრამ მათ რიცხვში, მიუხედავად მისდამი ჩვენი დიდი მოკრძალებისა, ვერ ვიგულისხმებთ ივანე ჯავახიშვილს.

ორივე ჩვენი დიდი წინაპარი, მათ მოწინააღმდეგეთაგან განსხვავებით, ღრმად აცნობიერებდნენ, რომ დაპყრობილ-დამონებულ ქვეყანაში მთავარი შინაგანი დაპირისპირებულობის გაღრმავება კი არ იყო, არამედ გაერთიანება და დაპირისპირება გარეშე, მჩაგვრელი ძალისადმი — რუსეთის იმპერიისადმი. გარდა ამისა ისინი სთვლიდნენ რომ სოციალიზმის იდეისათვის, ყოველ შემთხვევაში, საქართველო მზად არ იყო და ამიტომაც მისთვის დიდად თავგამოდება ზედმეტად ეჩვენებოდათ.

ილიასა და ივანე ჯავახიშვილისათვის უმთავრეს იდეალს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა და ჩვენი ერის ჩართვა მსოფლიოს თავისუფალ ერთა რიგებში. მაგრამ ჯერჯერობით ისინი ავტონომიას სჯერდებოდნენ. სამწუხაროდ, ილია ვერ მოესწრო „ეროვნულ პროგრამა-მინიმუმს“ — საქართველოს ავტონომიასაც კი. მისგან განსხვავებით, ივანე ჯავახიშვილი მომსწრე და, რა თქმა უნდა, მონაწილე გახდა სავსებით დამოუკიდებელი საქართველოს შექმნისა. მაგრამ, საუბედუროდ, იგი აგრეთვე „თანადამხდური“ გახდა თავისუფალი საქართველოს დასამარებისა და მას ცხრამეტი წლის განმავლობაში მოუწია ცხოვრებამ საბჭოური ტიპის ტოტალიტარულ საქართველოში. მეტიც, იგი კინაღამ მსხვერპლი შეიქნა საბჭოური რეჟიმისა „დიდი ტერორის“ დროს.

ილიაც და ივანე ჯავახიშვილიც ორივენი დიდად ზნესრული პიროვნებანი იყვნენ და ამ მხრივაც ჩვენი დიდი წინაპრების ღირსეული მემკვიდრეები გახლდნენ. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებია: „ვისაც მაშინდელი საქართველოს სულიერი და გონებრივი კულტურის წარმოდგენა სურს, მან უნდა გაიხსნოს ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელნი, საქართველოს საუკეთესო შვილნი, მისი ეროვნულის სინდისისა და კეთილშობილურის თავმოყვარეობის და თვითშემეცნების გამომხატველნი“. იგივეს თქმა, რაიმე შეღავათის გარეშე, შეიძლება ილიასა და ივანე ჯავახიშვილის მიმართაც. სხვათა შორის, ყმაწვილ ივანე ჯავახიშვილს ერთ-ერთი თანაგიმნაზიელი კლასის სინდისის განმასასიერებლად თვლიდა, ასაკოვანი, ცნობილი ჯავახიშვილი კი მთელი ერის სინდისად იქცა. ამ თვალსაზრისით, ექვთიმე თაყაიშვილი, თვითონაც დიდი პატიოსნებით გამორჩეული პიროვნება, ამგვარ დახასიათებას იძლევა: „იშვიათია კაცი, რომელსაც რაიმე ნაკლი არ ჰქონდეს, თუნდაც სულ მცირე. ივანე ჯავახიშვილს კი, სანთლით რომ გეძებნათ, ვერავითარ ნაკლს ვერ აღმოუჩენდით. იგი სრული ღირსების მქონე ადამიანი იყო. ზნეობით სპეტაკი, ზრდილი, ალერსიანი, თავმდაბალი, კაცთმოყვარე და გულშემატკივარი, ერთ უკადრის სიტყვას მისგან ვერ გაიგონებდით“. ექვთიმე თაყაიშვილი კარგად იცნობდა და ძალიანაც აფასებდა ილიას, მაგრამ, ვფიქრობთ, მის მიმართ ასეთი დახასიათების ზოგიერთი შტრიხისაგან ალბათ თავს შეიკავებდა. აქვე ვიტყვით იმასაც, რომ დიდად ერუდირებული ფილოლოგოსი აკაკი გაწერელია წერდა: „მისი (ივანე ჯავახიშვილის, გ. ყ.) მორალური სიწმინდე მაჰატმა განდის ზნეობრივი სისპეტაკის ტოლფასი იყო...“. ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი რეზო გაბაშვილი კი თავისი უმწიკვლობით ივანე ჯავახიშვილს ქრისტეს ადარებდა.

ილია და ივანე ჯავახიშვილი, როგორც დიდი, თანაც დიდბუნებოვანი პიროვნებანი, თავიანთ გარშემო იკრებდნენ ინტელექტითა და ზნეობით გამორჩეულებს. მათ დიდად ახარებდათ ნიჭიერ კაცთა გამოსვლა შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ სარბიელზე, რადგან ამაში ხედავდნენ საქართველოს მომავალი აღმავალი განვითარების საწინდარს, საშუალებას თავიანთი იდეალების აღსასრულებლად. ცნობილია, თუ როგორი ნაღდი სიხარული გამოხატა ილიამ ვაჟა-ფშაველას ტალანტის აღმოჩენით. ისიც ვიცით თუ როგორი დიდი კმაყოფილება განიცადა „ერის უგვირგვინო მეფემ“ ივანე ჯავახიშვილის

ლექციის მოსმენისას, რაც გამოიხატა გამამხნევებელ სიტყვებში. იგივენაირი განწყობისა გახლდათ ივანე ჯავახიშვილიც, რომელიც აღნიშნავდა: „ყოველ ჩვენთაგანს, მეტადრე მოხუცებულებს, უნდა გვახსოვდეს, რომ „იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა“, უნდა იზრუნოს ძველმა თაობამ, რომ ტურფა საბაღნარო ტურფა საბაღნაროდ დარჩეს. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ ახალი, კარგად მომზადებული კადრების შექმნით, რომლებიც არა თუ არ ჩამოუვარდებიან ამ ძველ თაობას, არამედ ძველ თაობაზე უკეთესები იქნებიან“. უეჭველია მის სიცოცხლეში ვინმე დიდი ისტორიკოსი მართლაც რომ გამოჩენილიყო და დაეწერა „ქართველი ერის ისტორიაზე“ უფრო აღმატებული მონუმენტური საისტორიო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილი ამ ფაქტს უდიდესი სიხარულით შეხვდებოდა.

ამ მხრივაც ჩვენმა ორმა დიდმა წინაპარმა შესანიშნავი ზნეობრივი გაკვეთილი მოგვცა. იგი მით უფრო დასაფასებელია თუ გავითვალისწინებთ საბჭოური სინამდვილის სიმახინჯეებს, მათ შორის აღნიშნული მიმართებით.

ილიას ორიოდე თვე დააკლდა სამოცდაათი წლის შესრულებას, ხოლო ივანე ჯავახიშვილს სამოცდახუთი წელი შეუსრულდა გარდაცვალების ოთხი თვის შემდგომ. ორივეს სიკვდილში იყო ამაღლებული, დიდად ამაღელვებელი რამ. როგორც ვიცით, ილიას მკვლელობას იდეური ფონი მოუმზადეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, ხოლო ზოგიერთი მათგანი მისი სიცოცხლის ამგვარ აღსრულებაში ფიზიკურადაც მონაწილეობდა. ასე რომ, იგი „თანამემამულეების“ ხელით გაიწირა. მოხუცი ილია მხნედ დაუხვდა თავდამსხმელებს და შეეცადა კიდეც მათ იარაღით ხელში შებრძოლებოდა. სხვანაირი, უფრო მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა ივანე ჯავახიშვილის აღსასრულს. როგორც ისტორიკოსი დავით გვრიტიშვილი გვამცნობს (დიდი მოღვაწის ქალიშვილის ზეპირგადმოცემაზე დაყრდნობით[1]), თურმე ივანე ჯავახიშვილი, უნდა ვიფიქროთ რუსეთში, შესწრებია ერთი პროფესორის კათედრაზე აღსრულებას და მას უნატრია სიცოცხლის ამგვარი დასასრული. მას უთქვამს: „უბედნიერესი კაცი ყოფილა, მან სა-

---

[1] ცნობილი არქეოლოგოსის ბ-ნ გიორგი ლომთათიძის ცნობით ამ ამბავის შესახებ ბატონ ივანეს მშობლებიასდმი პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში მოუთხრობია.

მუდამო ძეგლი აიგო, ლექციის კითხვისას, თავისი საყვარელი საქმის შესრულებისას გარდაიცვალა. ბედნიერი იქნება ის, ვინც ასეთ სიკვდილს ელირსება"-ო. ამ მხრივ ბატონ ივანეს ბედმა „გაულიმა", მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ ეს მომხდარიყო რამდენიმე ათეული წლის შემდგომ, რის განმავლობაშიც იგი ბევრ ჩანაფიქრს განახორციელებდა და რითაც კიდევ უფრო გაამდიდრებდა ქართულ მეცნიერებას (თვითონ იგი სიცოცხლის ბოლო წლებში თურმე ნატრულობდა: თუნდაც ათიოდე წელი ვიცოცხლო, რაც გასაკეთებელი მრჩება, ნაწილი მაინც მოვასწროო).

თუმცა ილიაც და ივანე ჯავახიშვილიც სიცოცხლეში (ილია დიდ ხანს სიკვდილის შემდგომაც) მათ მიმართ დიდი უმადურობის მსხვერპლნი გახდნენ, მაგრამ „სანთელ-საკმეველმა გზა არ დაჰკარგა" და საზოგადოებამ მაინც დააფასა მათი შემოქმედებითი და ეროვნული ღვაწლი. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა ითქვას, რომ ე. წ. საბჭოთა საქართველოს სინამდვილესთან ილიაც და ივანე ჯავახიშვილიც თავიანთი სულისკვეთებითა და აზროვნებით არ ყოფილან ორგანულად დაკავშირებულნი. საბჭოთა ხელისუფლება მათ მხოლოდ ასე თუ ისე იწყნარებდა. თუ ამ მხრივ ილიას ნაწარმოებებს ცენზურა ძალზე იშვიათად შეხებია, ფაქტია, რომ ივანე ჯავახიშვილის მთელი რიგი ნაშრომებისა «Политическое и социальное движение в Грузии в XIX в.», „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში", „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული", თვით „მამულიშვილობა და მეცნიერება" და მისთანანი საბჭოთა წყობილების დროს ფაქტობრივად აკრძალული იყო, ყოველ შემთხვევაში ოფიციალურად არ გამოცემულა[1]. როცა ბატონმა სიმონ ყაუსჩიშვილმა 1953 წელს დასახელებულ ნაშრომთაგან პირველ ორი „ქართველი ერის ისტორიის" მეხუთე ტომში შეიტანა, ამის გამო წიგნზე ყადაღა იქნა დადებული. აღნიშნული ნაშრომები არ შეუტანიათ ივანე ჯავახიშვილისეულ თორმეტტომეულშიც, რომლის გამოცემა

---

[1] მხოლოდ 1989 წელს საბჭოთა ხელისუფლების გადაშენების კვირაძალზე და საგამომცემლო საქმის ლიბერალიზაციის პირობებში გახდა შესაძლებელი ნაშრომების: „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში" და „საქართველოს საზღვრები-ს..." გამოქვეყნება.

დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის დაბადების ასი წლისთავთან დაკავშირებით გადაწყვიტეს.

თუმცა ილიასა და ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ხანგრძლივმა დროითმა დისტანციამ ჯერჯერობით ვერ გახადა შესაძლებელი მათი სათანადო გააზრება-გაგება. ფუჭი გამოდგა მცდელობა ამ დიდ პიროვნებათა შემოქმედების ოდენ ცალკეული მხარეების გააზრების შედეგად მათი ფენომენის, როგორც მთლიანობის გაცნობიერებისა.

ამდენად ჩვენი ორი დიდი წინაპრის — ილიასა და ბატონ ივანეს ნაფიქრ-ნააზრევისა და საერთოდ ეროვნული ღვაწლის მთელი სიღრმე-სიგანით გაგება და შეფასება მხოლოდ თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში არის შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით კი მათი ხსოვნის წინაშე ვალში ვართ როგორც ქართველი მეცნიერები (ჰუმანიტარები) და ფილოსოფოსები, ისე ქართველთა ფართო ფენები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლოთქმა

ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების ერთი წლისთავზე ნიკო ბერძენიშვილი აცხადებდა, რომ დღეს „არახელსაყრელი დროა განსვენებული აკადემიკოსის ივ. ჯავახიშვილის პიროვნებისა თუ მეცნიერულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის რამდენადმე სრული შეფასებისათვის"; „გვწამს, ქარიშხალი გადაივლის, სიმართლის მზე კვლავინდებურად ინათებს და დროც დადგება, როცა ეროვნული კულტურის ამ დიდ მოღვაწეს შესაფერისად და ღირსეულად შეაფასებენ მისი დაზრდილები". ამ სიტყვების წარმოთქმიდან კარგა ხანი გავიდა, მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, ჩვენი უდიდესი წინაპრის პიროვნებისა და ისტორიოგრაფიული შემოქმედების გაგება-გააზრებაში თვალსაჩინო წარმატებანი როდი გაგვაჩნია. აღნიშნული საკითხების გაცნობიერებისას, ჩვეულებრივ, მცირე ზომის ნაშრომებით (ბროშურებით) იფარგლებიან და ისიც ივანე ჯავახიშვილის იუბილეებთან დაკავშირებით. ფაქტია, რომ ამ თვალსაზრისით ისტორიკოსთაგან ყველაზე მეტის თქმას შეცადა პროფ. დავით გვრიტიშვილი თავისი 1960 წელს გამოსული წიგნით „ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე" (იგი 1968 წელს მეორედაც გამოქვეყნდა). ასევე ფაქტი გახლავთ, რომ უფრო მეტის გაკეთება შეძლო პროფესიით იურისტმა პროფ. სერგო ჯორბენაძემ ვრცელი მონოგრაფიით „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა" (გამოვიდა 1981 და 1983 წლებში). მაგრამ ყოველივე აღნიშნული სულაც არ კმარა ფრიად გამოჩენილი მოღვაწის პიროვნებისა და მეცნიერული შემოქმედების სათანადო წარმოჩენისათვის.

მოგეხსენებათ, ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს და ეს კანონი მოქმედებს მოცემულ შემთხვევაშიც. ნათელია, რომ ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების მრავალი მომენტის გამომზეურება, და მით უმეტეს საჯაროდ გამოქვეყნება საბჭოურ ტოტალიტარულ ხელისუფლებას არ აწყობდა. ისედაც სოციალური აზროვნების კლასობრიობის პრიმიტი-

ულმა გაგებამ და „ბურჟუაზიული ობიექტივიზმის“ ქიმერამ გამორიცხა, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის ნააზრევის რამდენადმე ადეკვატური გაგება. მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში (საისტორიო მეცნიერებაში) ძალზე მოიკოჭლებს ისტორიოგრაფიის ისტორიის დარგი. ჩვეულებრივი წარმოდგენით ეს უკანასკნელი დაიყვანება ძირითადად გავრცობილი ბიბლიოგრაფიების შედგენაზე. მესამე მიზეზად იმას დავასახელებდით, რომ აღნიშნული დიდი ამოცანის აღსრულებას ცდილობენ პრობლემის ცალკეული საკითხების გაშუქებით, სახელდობრ, ივანე ჯავახიშვილის ღვაწლის წარმოჩენით ისტორიოგრაფიის ამა თუ იმ დარგებში. რასაკვირველია, შემეცნება ამ გზითაც უნდა განვითარდეს. მაგრამ ამასთანავე საჭიროა ივანე ჯავახიშვილის როგორც ფენომენისადმი ფართო, მრავალმხრივი მიდგომა. ცნობილია, რომ მთელი, მთლიანობის გაგება-გააზრება მხოლოდ ცალკეული ნაწილების შესწავლით როდი მიიღწევა. და ეს იმიტომ, რომ მთელი, მთლიანობა ოდენ შემადგენელი ნაწილების მექანიკურ ჯამს კი არ წარმოადგენს, არამედ ორგანულ ერთობას, რომლის შემეცნებაც სხვანაირად უნდა მოხდეს. სწორედ ამგვარ მიდგომას ივანე ჯავახიშვილის ფენომენის გაგების საკითხში დღემდე ვერ ვხვდებით. აქედან გამომდინარე, დღემდე ჩვენ დიდი მორალური და ინტელექტუალური მოვალეობა გვაკისრია დიდი წინაპრის ხსოვნის წინაშე.

თავის დროზე, 30-იანი წლების შუახანებში, ჩვენში წარმოიშვა მითი, რომლის თანახმადაც ივანე ჯავახიშვილმა მართალია ქართულ ისტორიოგრაფიაში დაამკვიდრა ახალი ეტაპი, მაგრამ ეს თითქოს ოდენ საისტორიო წყაროების გაფართოებასა და მათდამი კრიტიკულ მიდგომაში, ამ საფუძველზე ისტორიული ფაქტების დაგროვებაში გამოიხატა. მსგავსი ისტორიოგრაფიული მითოლოგიით ქართულ ისტორიოგრაფიაში შემდგომი ახალი ეტაპი დამკვიდრდა ე. წ. მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის დანერგვის შედეგად, რის შემდეგაც ქართული ისტორიოგრაფია თითქოსდა ნამდვილ მეცნიერებად იქცა. როგორც ვიცით, ამგვარი ეტაპის დაფუძნებას უკავშირებდნენ სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის სახელებს. პარადოქსი გახლავთ, რომ მას შემდეგაც კი რაც ეს ისტორიკოსები სულ სხვა მსოფლმხედველობაზე დადგნენ, კვლავინდებურად მოიხსენიებოდნენ

ივანე ჯავახიშვილის „მოწაფეებად“, სკოლის წარმომადგენლებად. ასეთ წარმოდგენებს ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ.

რა თქმა უნდა, სათანადო უნდა მივუზღოთ აღნიშნულ ცნობილ ქართველ ისტორიკოსებს და იმათაც, რომლებიც მათს გვერდით და შემდეგ მოღვაწეობდნენ ქართული ისტორიოგრაფიის სარბიელზე. მაგრამ ეს ყოველივე, ვიმეორებთ, არ გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ პოსტჯავახიშვილისეული ახალი ეტაპის დამკვიდრება ქართულ ისტორიოგრაფიაში.

მოდით, გონების თვალით კიდევ ერთხელ გავისიგრძეგანოთ ივანე ჯავახიშვილის, ასე ვთქვათ, ისტორიოგრაფიული სისტემა: „ქართველი ერის ისტორიის“ ხუთტომეული, „ქართული სამართლის ისტორია“ (სამ წიგნად), „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (ორ წიგნად), სერია „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა“ (ოთხ წიგნად), „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“ (ორ წიგნად), ნაშრომები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიაზე, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ და მისთანანი. აი ასეთი ჭეშმარიტად ფუნდამენტური ნაშრომები დაგვიტოვა ივანე ჯავახიშვილმა! მეორე მხრივ, წარმოვიდგინოთ თუ რა ჰქონდა ჩაფიქრებული ჩვენს დიდებულ მეისტორიეს: „ქართველი ერის ისტორიის“ მთლიანი, დასრულებული სახით გადმოცემა მეცხრამეტე საუკუნემდე (დასასრულებელი დარჩა ბოლო ორი საუკუნის ისტორია), „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ კიდევ ორი წიგნი, სადაც საკუთრივ პოლიტეკონომიური საკითხები იქნებოდა გაშუქებული, „საისტორიო მეცნიერების შესავლის“ მესამე (უდიდესი) ნაწილი, რომელშიც გადმოცემული იქნებოდა სპარსული, ბერძნული, რომაული, ბიზანტიური და ახალი და თანადროული ეპოქების ისტორიოგრაფიის ისტორიები, „ქართველი ერის ისტორიის შესავლის“ მესამე წიგნი, რომელიც გადმოსცემდა ქართველთა (ფართო აზრით) და ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა უძველეს ისტორიას, კულტურასა და მსოფლმხედველობას, „საქართველოს ზოგადი ისტორიის სახელმძღვანელო“ (ამ ჩანაფიქრიდან 1917—18, 1943 და 1946 წლებში მხოლოდ ნაწილი იქნა განხორციელებული). „ემპირიკოს“ ივანე ჯავახიშვილს განზრახული ჰქონდა „ისტორიის მეთოდოლოგიის და ისტორიის ფილოსოფიის“ დაწერა (დიდად სამწუხაროდ, მოასწრო მხოლოდ „ზოგადი შესავალი“ და „შედარებითი მეთოდის შესახებ“). ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ თუ არა დიდი მეცნიერისა და მამუ-

ლიშვილის ძალზე შერყეული ჯანმრთელობა და ნაადრევი სიკვდილი. ყოველივე ეს აღსრულებული იქნებოდა.

ახლა კითხვას დავსვამთ: რა ისეთი ნაშრომები დაიწერა ივანე ჯავახიშვილის შემდგომ, ვითომდა უფრო აღმავალ ეტაპზე, რომლებსაც თამამად ამოვუყენებდით გვერდში ივანე ჯავახიშვილისეულ ნაშრომებს. ნათელია, რომ ცალკეულ ისტორიკოსებს მსგავსი რამ არ აღუსრულებიათ. იქნებ ეს კოლექტიური ძალისხმევით გახდა შესაძლებელი? მაგრამ ნამდვილი ისტორიოგრაფიული შემოქმედება ერთეული შემოქმედი ისტორიკოსების და არა კოლექტივის მიერ ხდება და ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს გამოჩნდა ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილის (და არა „სწავლულ კაცთა კომისიის"!) მაგალითზე. იგივე ითქმის ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის" ხუთტომეულსა და 1958—62 და 1970—80 წლებში გამოქვეყნებული საქართველოს ისტორიის შესახები სამი და რვატომეულის მაგალითებზე.

ამით, რასაკვირველია, სულაც არ ვგულისხმობთ, რომ ივანე ჯავახიშვილის ისტორიოგრაფიული შემოქმედება საერთოდ გადაულასავი ეტაპია და მასში კრიტიკულად გასააზრებელი და გადასაფასებელი არაფერი არ იყოს. მაგრამ ეს ახალი ეტაპის დამკვიდრება შესაძლებელია მოხდეს დემოკრატიული საზოგადოების პირობებში, კერძოდ, ისტორიოგრაფიისადმი ბევრად უფრო სერიოზული მიდგომისას, რაც მომავლის საქმედ გვესახება. ვიმედოვნებთ, რომ ქართული კულტურის შემდგომი აღმავლობის პირობებში ამას უთუოდ ექნება ადგილი.

წიგნში ჩვენ შევეცადეთ, რომ ივანე ჯავახიშვილის პიროვნება და ღვაწლი სუბიექტურად, შესაბამისი წინასწარი განწყობა-განწყობილებით კი არა, არამედ საისტორიო წყაროებითა და მათგან გამომდინარე ფაქტებით, ავტორის ნაშრომების ნამდვილი მეცნიერული ღირსებებით გაგვეაზრებინა. მისი (წიგნის) მნიშვნელოვანი ნაწილი დავუთმეთ დიდი ისტორიკოსის ნააზრევის თეორიული, მათ შორის მეთოდოლოგიური მხარის წარმოჩენას. ჩვენი მტკიცე შეხედულებით, ამგვარ მცდელობას ოდენ თავისთავადი, მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის შემოქმედების შესწავლის, მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ ისეთიც, რომ ამაზე დაყრდნობით ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომ, ნამდვილ აღმავლობას შეეწყობა ხელი.

მიგვაჩნია, რომ წიგნში აღძრული საკითხების შესახებ კიდევ მეტის თქმა შეიძლება, რამეთუ მათს შესახებ არსებობს, კერძოდ, უამრავი საარქივო მასალა. ამ მიმართებით შეეცდებით კვლავაც გავაგრძელოთ მუშაობა. დიდად მოხარულნი ვიქნებოდით, თუ ამის სურვილს სხვა ისტორიკოსებიც გამოიჩენენ და ამგვარი ძალისხმევით მოვისდით აღსასრულებელ ზნეობრივ მოვალეობას მეოცე საუკუნის ყველაზე დიდებული ქართველის დიადი ხსოვნის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

ავტორისაგან 3
წინასიტყვა 4

ნაწილი პირველი

ცხოვრების წლები

დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის ცხოვრება (თვალის ერთი გადავლებით) . 23
ილია ჭავჭავაძე ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებაში 61
ივანე ჯავახიშვილის პოლემიკა იაკობ გოგებაშვილთან და მისი რეზონანსი . 73
ივანე ჯავახიშვილის პირველი „მარქსისტული" კრიტიკა 85
ივანე ჯავახიშვილი რომ არ ყოფილიყო 88
„კონდრატიევშჩინის" პირველი დიდი მსხვერპლთაგანი საქართველოში . . 99
ივანე ჯავახიშვილის ერთი მცდელობის შესახებ 107
„დიდი და საშვილიშვილო საქმე" 112
ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების უმძიმესი დღეები (1936 წლის 23 მარტს 2 აპრილს უნივერსიტეტში ჩატარებული „დისკუსიის" შესახებ) . . 117
როგორ გადაურჩა „დიდ ტერორს" ივანე ჯავახიშვილი . . . 136

ნაწილი მეორე

თეორიულ-მეთოდოლოგიური ნააზრევი

კარი პირველი

1. ისტორიის მეთოდოლოგია და ფილოსოფია

ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის საკითხისათვის 151
ისტორიულ-შედარებითი მეთოდი 164
რეტროსპექტიული მეთოდი 175
ობიექტივიზმი ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებაში 178
ინდივიდუალიზაციის მეთოდი 191
ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემა 207

კარი მეორე

სოციოლოგიური საკითხები

გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობა 216
ისტორიული დემოგრაფიის საკითხები 226
რასის ფაქტორი 233
ეკონომიკური ფაქტორი 236
ისტორიული გარემოს ანუ საზოგადოებათა ურთიერთზემოქმედების ფაქტორი . 243
ელიტა და ხალხის მასა ივანე ჯავახიშვილის ნააზრევში 250
სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემა 259
სოციალური ფსიქოლოგიის საკითხები 269
ადამიანის საკითხი ივანე ჯავახიშვილის საისტორიო შემოქმედებაში . . . 277

კარი მესამე

სხვადასხვა საკითხები

ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემის ივანე ჯავახიშვილისმიერი გააზრების შესახებ 285
ივანე ჯავახიშვილი და იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის იდეა . . . 294
ივანე ჯავახიშვილის წვლილი ქართულ ეთნოლოგიაში 302
ივანე ჯავახიშვილი საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობების შესახებ . 313

დანართი

ვერ მოვატყუებთ შთამომავლობას! 327
ნაშრომი ივანე ჯავახიშვილის თეორიული აზროვნების შესახებ . . . 344

* * *

ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის შეთანასწორება (პლუტარქოსის მიბაძვით) 354
ბოლოთქმა 361

გამომცემლობის რედაქტორი ნ. მუზაშვილი
ტექრედაქტორი ფ. ბუდაღაშვილი
კორექტორი ე. კასრელიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.10.99
საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16
პირ. ნაბეჭდი თაბახი 23
სააღრ.-საგამომც. თაბახი 19,45
შეკვეთა № 137 ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1.

ეროვნული
ბიბლიოთეკა